ავტორის სტილი დაცულია

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

დავით წულაია

ზოგიერთი კრიმინოლოგიური ასპექტი ქრისტიანული მართლმადიდებლური მოძღვრების მიხედვით

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
ირაკლი დვალიძე
ასოცირებული პროფესორი

თბილისი
2022

აბსტრაქტი

სადისერტაციო თემა, ქრაისტიანული მართლმადიდებლური მოძღვრების ჭრილში, იკვლევს კრიმინოლოგიის ისეთ საკვანძო საკითხებს, როგორიც არის დანაშაული და დანაშაულობა, დამნაშავის პიროვნება, დანაშაულ(ობ)ის დეტერმინანტები და პრევენცია.

თემის აქტუალობას განაპირობებს რამდენიმე ფაქტორი. უპირველეს ყოვლისა, იგი უკავშირდება მეცნიერების მიერ დღემდე ბოლომდე ამოუხსნელ დანაშაულ(ობ)ის კომპლექსურ ბუნებას, რაც დღის წესრიგში ბუნებრივად აყენებს, ფაქტებისა და მოვლენების შესახებ, ტრენსცენდენტული ცოდნის გამოყენების მიზანშეწონილობას. ამ მხრივ, აქტუალობას იძენს, ცოდვის შესახებ ქრისტიანული მართლმადიდებლური მოძღვრება (*Hamartiology*), რადგან ცოდვა არა მხოლოდ, ტრანსცენდენტული აქტი და მოვლენაა, იგი, ასევე ყოველგვარი ნეგატიური ქცევისა თუ მოვლენის, და მათ შორის, დანაშაულისა და დანაშაულობის, საფუძველია. იმ ქვეყნებში, სადაც ტარდება ემპირიული კვლევები ეკლესიურ ცხოვრებასა და დანაშაულ(ობ)ის კორელაციის საკითხებზე, ირკვევა, რომ სულიერი ცხოვრება დადებითად აისახება ადამიანის ქცევაზე, მსჯავრდებულის რეაბილიტაცია-რესოციალიზაციასა და დანაშაულ(ობ)ის თავიდან აცილებაზე. საქართველოში, სადაც ეკლესია ტრადიციულად ასრულებს სოციალური კონტროლის როლს, კრიმინოლოგიის საგანში შემავალი საკითხები დღემდე შეუსწავლელია მართლმადიდებლური მოძღვრების ჭრილში, რაც ზრდის თემის ატუალობას.

ნაშრომის ამოცანაა კრიმინოლოგიის საკვანძო საკითხების გამოკვლევა ქრისტიანული მართლმადიდებლური მოძღვრების ჭრილში, კრიმინოლოგიისთვის მნიშვნელობის მქონე აქსიოლოგიური მხარეების წარმოჩენა, მათი მეცნიერებაში გავრცელებისა და ეკლესიური სწავლებებისა და მეცნიერული მიდგომების თავსებადობის ასპექტების გაანალიზება.

კვლევის მიზანია, აიხსნას ნაშრომში გამოსაკვლევად წარმოდგენილი კრიმინოლოგიური საკითხების ბუნება. კერძოდ, დაადგინოს თუ რა ტრანსცენდენტული ნიშნებით ხასიათდება დანაშაული და დანაშაულობა, დამნაშავე, დანაშაულ(ობ)ის დეტერმინანტები და რაში მდგომაროებს დანაშულ(ობ)ის პრევენციის არსი.

ნაშრომის სიახლე განპირობებულია კრიმინოლოგიური საკითხების მართლმადიდებლური გააზრების სპეციფიკით. სიახლეს განსაზღვრავს ის გარემოებაც, რომ კრიმინოლოგიურ საკითხებზე მართლმადიდებლური სწავლებები შეჯერებულია მეცნიერულ პოზიციებთან, რაც კვლევის პროცესში განვითარებულ მსჯელობებს, შეფასებებსა და დასკვნებს ანიჭებს მეცნიერულ ღირებულებას. კვლევის სიახლე გამოიხატება იმ დებულებებში, რომლებიც ნაშრომის თავებშია მოცემული. მაგალითად, ირკვევა, რომ: დანაშაული და დანაშაულობა, შესაბამისად ტრანსცენდენტული აქტი და

მოვლენაა, რადგან ფორმალურად, ცოდვის გამოვლინების ფორმებია; დამნაშავის პიროვნების პრობლემა უკავშირდება ადამიანის ცოდვილ ბუნებას, ადამიანში არსებული ცოდვიან ვნებებს, რომლებიც მიდრეკს ადამიანს დანაშაულისკენ; დანაშაულ(ობ)ის მიზეზი უარყოფითი ტრანსცენდენტული ძალაა; დანაშაულ(ობ)ის მექანიზმში გადამწყვეტია, ადამიანის თავისუფალი ნება, რადგან იგი პრიველირებს დანაშაულ(ობ)ის მიზეზებზე; დანაშაულის პრევენცია შეუძლებელია უხილავი ტანსცენდენტული ძალის აღმოფხვრის გარეშე; ეკლესიური წესით აღსრულებული მონანიების გარეშე შეუძლებელია დამნაშავის გამოსწორება; მონანიება უზრუნველყოფს სულიწმიდის მადლის ადამიანზე გარდამოსვლას, რომელიც წმენდს დანაშაულით დაავადებულ სულს; დანაშაულის ჩამდენი, ქრისტიანული თვალთახედვით, უფრო აზარალებს საკუთარ თავს, ვიდრე დანაშაულის მსხვერპლს, რადგან დანაშაულის მოუნანიებლობის შემთხვევაში, ცოდვა მოაკვდინებს ადამიანის სულს, და ა.შ. დისერტაციას ლაიტმოტივად გასდევს ტრანსცენდენტული ასპექტების გათვალისწინების მიზანშეწონილობა კრიმინოლოგიური საკითხების სიღრმისეული გააზრებისთვის.

თემის დამუშავებისას გამოყენებულია ტექსტის ანალიზის, ტრადიციულ-დოგმატური, ისტორიული, შედარებითი და ფორმალურ-ლოგიკური მეთოდები, რაც შესაძლებლობას იძლევა საკითხების კომპლექსურ გაანალიზებას. შეფასების მეთოდით, კვლევა მკითხველს სთავაზობს კონცეპტუალურად „ახლებურ“ ხედვებს, ჰიპოთეზებს, მიგნებებსა და დასკვნებს.

ნაშრომი სტრუქტურულად შედგება შესავლის, ოთხი თავის, 12 ქვეთავის, 37 პარაგრაფის, 47 ქვე-პარაგრაფის, 32 ქვეპარაგრაფის პუნქტის, 17 შეჯამების, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურისაგან. ნაშრომი ჯამში შეიცავს 373 გვერდს. ტექსტი აკრეფილია Sylfaen-12-ში.

ნაშრომის ღირებულება და მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი ერთ მთლიანობაში თავს უყრის კრიმინოლოგიის აქტუალურ საკითხებზე საეკლესიო და სამეცნიერო წყაროებში არსებულ სწავლებებსა და კვლევის შედეგებს. ნაშრომის თეორიული ღირებულება იმაშია, რომ მკვლევარს აძლევს შესაძლებლობას სიღრმისეულად გაანალიზოს კრიმინოლოგიის ფუნდამენტული ცნებები ტრანსცენდენტული ასპექტების რაკურსით, ხოლო პრაქტიკული ღირებულება გულისხმობს იმას, რომ ნაშრომში წარმოდგენილი დასკვნები შესაძლებელია გამოყენებული იქნას მართლმსაჯულების, სასჯელაღსრულების განხორციელებისა და საკანონმებლო სრულყოფის მიზნით. გარდა ამისა, კვლევა შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც დამხმარე სასწავლო მასალა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებში, იურიდიულ და თეოლოგიის ფაკულტეტებზე. სადისერტაციო ნაშრომი ასევე დააინტერესებს კრიმინოლოგიით დაინტერესებულ მკვლევარებს და

საფუძველს დაუდებს კრიმინოლოგიისთვის სხვა საინტერესო საკითხების სიღრმისეულ კვლევას.

სადისერტაციო თემა ქართულ კრიმინოლოგიაში პირველი შრომაა ქართულ ენაზე, რაც მიუთითებს ნაშრომის მნიშვნელობაზე.

საკვანძო სიტყვები: ქრიტიანული მართლმადიდებლური მოძღვრება, ცოდვა, დანაშაული, დანაშაულობა, დამნაშავე, მიზეზობრიობა, პრევენცია.

Abstract

The thesis, in the light of Christian Orthodox doctrine explores, the following key topics of criminology, - crime, criminality, criminal man, determinants and prevention of crime and criminality.

The relevance of the topic is determined by several factors. First of all, this is due to the complex nature of crime and criminality unsolved by science, which naturally puts on the agenda the expediency of using transcendental knowledge about facts and phenomenas. In this respect, the Christian Orthodox doctrine of sin (*Hamartiology*), becomes relevant, as sin is not only a transcendental act and phenomena, but also the basis of all negative occurrences, including crime and criminality. In countries where empirical studies are conducted on the correlation between church life and crime/criminality, it turns out that spiritual life has a positive impact on human behavior, rehabilitation-resocialization of convicted persons and prevention of crime/criminality. In Georgia, where the Church traditionally plays the role of social control, the topics of criminology have not yet been studied in terms of Christian Orthodox teachings, which increases the relevance of the thesis.

The objective of the thesis is to examine the key topics of criminology in the light of Christian Orthodox doctrine, to distinguish axiological aspects important to criminology, to analyze their introduction in science and compatibility aspects of church teachings and scientific approaches.

The goal of the study is to explain the nature of the criminological issues presented for investigation in the paper. In particular, to determine what transcendental signs characterize the crime and criminality, the criminal man, the essence of the determinants and prevention of the crime and criminality.

The novelty of the thesis is conditioned by the specifics to comprehend criminological topics from the viewpoint of Orthodox teachings. The novelty is also determined by the fact that Orthodox teachings on criminological issues are compared with scientific positions, which grants scientific value to discussions, evaluations and conclusions developed in the course of research. The novelty of the research is expressed in the provisions that are provided in the chapters of the paper. For instance: crime and criminality are transcendental act and phenomena, since formally, they are forms of sin; the problem of the criminal man is related to the sinful nature of a man, the sinful passions lodged in a human being that incline him/her to commit a crime; the cause of the crime and criminality is a negative transcendental force; the free will of a person is crucial in the mechanism of the crime and criminality, because it prevails over the causes of the crime/criminality; crime and criminality cannot be prevented without eliminating an invisible transcendent force; it is impossible to correct a criminal without ecclesiastical repentance; repentance ensures the Grace of the Holy Spirit to lodge in person,

which cleanses the soul infected by crime; according to the Orthodox teachings, the person committing a crime hurts more himself than the victim of the crime, because, if crime is not repented, the sin will kill the human soul, etc. The leitmotif of the thesis is the expediency to consider transcendental aspects for the in-depth understanding of criminological topics.

In course of the thesis research, the traditional-dogmatic, historical, comparative and formal-logical methods of text analysis are used, which enables to analyze issues in a comprehensive manner. Through the evaluation method, research paper offers readers conceptually „innovative“ ideas, hypotheses, findings and conclusions.

The thesis structurally consists of an introduction, four chapters, 12 sub-chapters, 37 paragraphs, 47 sub-paragraphs, 32 parts of sub-paragraphs, 17 summaries, conclusion and the list of references. The paper contains 373 pages in total. The text uses the font “sylfaen”, size 12.

The value and importance of the thesis resides in the fact that it brings in one place the Church teachings and scientific research results on criminological issues. The theoretical value of the thesis is that it gives the researcher the opportunity to deeply analyze the fundamental notions of criminology from the transcendental standpoint, as for the practical value, the conclusions set forth in the thesis can be implemented for the perfection of justice, penitentiary and legislation. In addition, the thesis can also be used as a supplementary teaching material in higher education institutions, at law and theology faculties. The thesis will also be of interest to researchers working in criminology field and it shall lay the foundation for in-depth analysis on other issues of interest to criminology.

The thesis is the first endeavor of its kind in Georgian criminology written in the Georgian language, which indicates the importance of the work.

Key words: Christian Orthodox Doctrine, sin, crime, criminality, criminal man, crime causation and prevention.

სარჩევი

აბსტრაქტი II

Abstract V

გამოყენებული აბრევიატურებისა და შემოკლებების ნუსხა XIII

შესავალი **1**

I თავი. დანაშაულისა და დანაშაულობის კონცეფცია **14**

1.1 ცოდვის, დანაშაულისა და დანაშაულობის ნორმატიული ბუნება **14**

1.1.1 სახელმწიფოსა და სამართალის კონცეპტი ძველ აღთქმაში 16

1.1.1.1 სახელმწიფო და სამართალი პირველქმნილ ადამიანთა საზოგადოებაში 16

1.1.1.2. ისრაელის სახელმწიფო და სამართალი 20

1.1.1.2.1. ძველი ისრაელი 20

1.1.1.2.2. მღვდელთა სამეფო 23

1.1.1.2.3. ისრაელი 25

1.1.1.2.4 ისრაელის სამართალი 27

1.1.1.3 სახელმწიფო და სამართალის კონცეპტი წარმართულ საზოგადოებაში 29

1.1.1.4 მელქისედეკი - ქვეყნის ხელისუფალი 33

1.1.1.5 შეჯამება 35

1.1.2 სახელმწიფოსა და სამართალის კონცეპტი ახალ აღთქმაში 38

1.1.2.1 რომის იმპერიის სამართალისადმი ქრისტიანული დამოკიდებულება 39

1.1.2.2 ქრისტე - ზეცისა და ქვეყნის მეუფე 43

1.1.2.3 ქრისტეს სამართალი 47

1.1.2.4 შეჯამება 50

1.2 ბიბლიის სამართლებრივი ბუნება **52**

1.2.1 სიტყვა „ბიბლია“ და მისი ნორმატიული კონოტაციები 53

1.2.2 ნორმატიული ასპექტები 54

1.2.2.1 ნორმათა კლასიფიკაციის საკითხისთვის 54

1.2.2.2 ნორმათა სტრუქტურული და სემანტიკური თავისებურებანი 58

1.2.2.3 ნორმატიული ტერმინოლოგია 62

1.2.2.3.1 რჯული და მისი სინონიმური ცნებები 63

1.2.2.3.2 აღთქმა, ფიცი, ანდერძი 65
1.2.2.3.3 მცნება 66
1.2.2.3.4 ბრძანება, განაჩენი, დადგენილება და სიგელი: 67
1.2.2.3.4 ტრადიცია, ჩვეულება (ადათი) 68
1.2.2.3.5 სინდისი, გონება, გული 72
1.2.2.3.6 სიტყვა 73
1.2.2.3.7 შეჯამება 74
1.2.2.4 საღმრთო ნორმათა დაწესების ასპექტები 74
1.2.2.4.1 მამა ღმერთი, ძე ღმერთი და სულიწმიდა 74
1.2.2.4.2 საღვთო ნორმების დაწესება ანგელოზის მიერ 76
1.2.2.4.3 საღვთო ნორმების დაწესება ადამიანის მიერ 78
1.2.2.4.4 შეჯამება 84
1.2.3 ბიბლია, როგორც სამართლის წყარო 85
1.2.4 საღვთო და პოზიტიურის სამართლის თავსებადობის საკითხისთვის 88
1.2.4.1 ტრანსცენდენტული ასპექტები სამართლის თეორიებსა და სკოლებში 88
1.2.4.2 ნორმატივისტული პოზიტიური სამართლის თეორია 91
1.2.4.2.1 სამართლის პრინციპები 91
1.2.4.2.2 ადამიანის უფლებები 93
1.2.4.2.3 კანონისა და სამართლის ანალოგია 93
1.2.4.2.4 სასამართლო დოქტრინა 95
1.2.4.2.5 ბუნებითი სამართალი 95
1.2.4.2.6 საგანთა ბუნება 96
1.2.4.2.7 სინდისი და მორალი 97
1.2.4.2.8 უსამართლო ნორმა 99
1.2.4.2.9 შეჯამება 102
1.2.4.2 ტრანსცენდენტული ასპექტები სამართლის დეფინიციაში 103
1.2.4.3 საღვთო და პოზიტიურ სამართლში მორალის კონცეპტი 108
1.2.4.4 პოზიტიურ სამართალში ღვთის ნების დადგენის საკითხისთვის 115
1.2.5 შეჯამება 119

1.3 დანაშაული და დანაშაულობა, როგორც ცოდვის გამოვლინების ფორმები 121
1.3.1 დანაშაული, როგორც ცოდვის გამოვლინების ფორმა..... 121
1.3.1.1 ცოდვისა და დანაშაულის ლინგვისტური და კონცეპტუალური ასპექტები..... 121
1.3.1.2 ცოდვის კონცეფცია სისხლის სამართალში..... 124
1.3.1.2.1 Malum in se-ს ქმედებები და ცოდვა..... 124
1.3.1.2.2 Malum in Prohibitum-ის ქმედებები და ცოდვა 125
1.3.1.3 ტრანსცენდენტული ასპექტები დანაშაულის საკანონმდებლო ცნებაში..... 127
1.3.1.4 შეჯამება 130
1.3.2 დანაშაულობა, როგორც ცოდვის გამოვლინების ფორმა 133
1.3.2.1 ცოდვისა და დანაშაულობის კონცეფციები 133
1.3.2.2 ცოდვის კონცეპტი დანაშაულობის კრიმინოლოგიურ ცნებაში 135
1.3.2.2.1 ცოდვა, როგორც სოციალური მოვლენა..... 135
1.3.2.2.2 ცოდვა, როგორც სამართლებრივი მოვლენა..... 136
1.3.2.2.3 ცოდვა, როგორც მასობრივი მოვლენა..... 137
1.3.2.2.4 ცოდვის სხვა კრიმინოლოგიური ასპექტები 138
1.3.2.3 შეჯამება 140
II თავი. დამნაშავის კონცეფცია.....142
2.1 ქრისტიანული ანთროპოლოგია 144
2.1.1 ადამიანის აგებულება 144
2.1.2 ადამიანის ბუნება პირველ ცოდვამდე..... 146
2.1.2.1 ადამიანში ღვთის ხატება და მსგავსება 146
2.1.2.2 ადამიანის ყოფა პირველ ცოდვამდე 147
2.1.3 ადამიანის ბუნება პირველი ცოდვის შემდეგ 149
2.1.3.1 ადამიანში ღვთის ხატება და მსგავსება 149
2.1.3.2 ადამიანის ყოფა პირველი ცოდვის შემდეგ..... 154
2.1.4 შეჯამება 157
2.2 ადამიანის დუალისტური ბუნება 158
2.2.1 ადამიანის ორპოლარული ბუნების ზოგადი დახასიათება..... 158
2.2.2 ნორმალურისა და პათოლოგიურის მართლმადიდებლური მოძღვრება 162

2.2.2.1 ნორმალურის შესახებ მართლმადიდებლური მოძღვრება 162
2.2.2.2 პათოლოგიურის შესახებ მართლმადიდებლური მოძღვრება 164
2.2.3 ნორმალურისა და პათოლოგიურის მეცნიერული კონცეპტები 166
2.2.3.1 ნორმლურის შესახებ მეცნიერული კონცეფცია 166
2.2.3.2 პათოლოგიის შესახებ მეცნიერული კონცეფციები 170
2.2.3.2.1 პათოლოგია მედიცინაში 170
2.2.3.2.2 პათოლოგია ფსიქიატრიასა და ფსიქოლოგიაში 172
2.2.3.2.3 პათოლოგია სოციოლოგიაში 175
2.2.3.2.4 პათოლოგია პოზიტიურ სამართალსა და კრიმინოლოგიაში 176
2.2.4 შეჯამება 178
2.3 დამნაშავის ვიქტიმოლოგიური ასპექტები 180
2.3.1 დამნაშავე, როგორც დაზარალებული 181
2.3.2 დამნაშავისა და მსხვერპლის კორელაცია 184
2.3.3 შეჯამება 185
III თავი. დანაშაულ(ობ)ის დეტერმინანტები 187
3.1. პირველი ცოდვის მიზეზი 187
3.1.1 პირველი ცოდვის მიზეზი ტრანსცენდენტულ სამყაროში 187
3.1.2 პირველი ცოდვის მიზეზი ხილულ სამყაროში 191
3.1.3 კაცობრიობის უხილავი მტრის ბრძოლის მეთოდები 193
3.1.3.1 ადამიანთან უხილავი მტრის დაშვების უფლება 193
3.1.3.2 უხილავი ბრძოლა გონებაში 194
3.1.3.3 უხილავი ბრძოლის სხვა მეთოდები 198
3.1.4 შეჯამება 201
3.2 ვნებათა კლასიფიკაცია და მათი დახასიათება 202
3.2.1 ვნებათა კლასიფიკაცია 202
3.2.2 ცალკეულ ვნებათა დახასიათება 206
3.2.2.1 ნაყროვანება 206
3.2.2.2 პატივმოყვარეობა 207
3.2.2.3 ვერცხლისმოყვარეობა 209

3.2.2.4 მრუშობა 211
3.2.2.5 მრისხანება 214
3.2.2.6 მოწყინება 216
3.2.2.7 სასოწარკვეთილება 218
3.2.2.8 ამპარტავნება 219
3.2.3 ვნებების საერთო ნიშან-თვისებების ანალიზი 222
3.2.4 შეჯამება 227
3.3 ვნების კონცეპტი მეცნიერებაში 230
3.3.1 ვნების შესახებ ფილოსოფიური მიდგომები 230
3.3.2 ვნების შესახებ პოზიტიური მეცნიერების მიდგომები 235
3.3.3 მეცნიერება ვნების ტრანსცენდენტულ ბუნებაზე 243
3.3.4 ვნების (ცოდვის) მიმართ დიქოტომიური დამოკიდებულება 247
3.3.4.1 ვნება (ცოდვა) როგორც დადებითი მოვლენა 247
3.3.4.2 ვნება (ცოდვა), როგორც უარყოფითი მოვლენა 254
3.3.5 შეჯამება 257
IV თავი. დანაშაულ(ობ)ის პრევენცია 262
4.1 დანაშაულ(ობ)ის პრევეცნიის მართლმადიდებლური მოძღვრება 263
4.1.1 უხილავ მტერთან ბრძოლის ხერხები და საშუალებები 264
4.1.2 სათნოება, დანაშაულ(ობას)თან ბრძოლის პრევენციული საშუალება 267
4.1.3 დანაშაულ(ობ)ის წინააღმდეგ ბრძოლის დონეები 272
4.1.4 ღმერთი, დანაშაულ(ობ)ის პრევენციის მთავარი სუბიექტი 275
4.1.4 შეჯამება 280
4.2 დანაშაულ(ობ)ის პრევენციის ქრისტიანული ასპექტები მეცნიერებაში 281
4.2.1 დანაშაულ(ობა)ზე რელიგიის უარყოფითი გავლენის საკითხისთვის 282
4.2.2 დანაშაულის პრევენციის ყოვლისმომცველი მოდელი 285
4.2.3 რელიგიის გავლენა დანაშაულობაზე 287
4.2.4 შეჯამება 290
4.3 მონანიება, როგორც დამნაშავის გამოსწორების უმთავრესი ფაქტორი 292
4.3.1 მონანიების მართლმადიდებლური კონცეფცია 294

4.3.1.1 ტერმინი „მონანიება“ - ეტიმოლოგიური ანალიზი 294
4.3.1.2 მონანიების ცნების დამახასიათებელი ნიშნები 296
4.3.1.3 მონანიების მარეაბილიტირებელი ნიშნების ანალიზი 300
4.3.2 ღმერთის როლი დამნაშავის გამოსწორებაში 303
4.3.3 პენიტენციური სისტემის კონცეფცია 307
4.3.3.1 პენიტენციარის „განმარტოების სისტემა“ 309
4.3.3.2 პენიტენციარის „შეკავშირების სისტემა“ 312
4.3.4 პენოლოგიაში მონანიების კონცეფციის რაცეფციის საკითხისთვის 315
4.3.5 შეჯამება 329
დასკვნა 336
გამოყენებული ლიტერატურა 345

გამოყენებული აბრევიატურებისა და შემოკლებების ნუსხა

ქართულ ენაზე

1. არქიმ. - არქიმანდრიტი
2. ა.შ. - ასე შემდეგ
3. ახ. წ. - ახალი წელთაღრიცხვით
4. გაზ. - გაზეთი
5. გამომც. - გამომცემლობა
6. გვ. - გვერდი
7. დასახ. ნაშრ. - დასახელებული ნაშრომი
8. დეკ. - დეკანოზი
9. ე.ი. - ესე იგი
10. ეპ. - ეპისკოპოსი
11. ე.წ. - ეგრეთ წოდებული
12. თბ. - თბილისი
13. თხზ. სრ. კრებული - თხზულებათა სრული კრებული
14. თსუ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
15. იხ. - იხილე
16. მაგ. - მაგალითად
17. მთ. რედ. – მთავარი რედაქტორი
18. მთრგმნ. - მთარგმნელი
19. მიტრ. - მიტროპოლიტი
20. მუხ. - მუხლი
21. პ. - პუნქტი
22. პარ. - პარაგრაფი
23. პროფ. - პროფესორი
24. ჟურნ. - ჟურნალი
25. რედ. - რედაქციით, რედაქტორი
26. რეც. - რეცენზენტი
27. რუს. - რუსული, რუსულად
28. სამეცნ. რედ. - სამეცნიერო რედაქტორი
29. სამეცნ. ხელმძღვ. - სამეცნიერო ხელმძღვანელი
30. სსკ - სისხლის სამართლის კოდექსი
31. სქ. - სქოლიო
32. სხვ. - სხვა
33. ტ. - ტომი

34. შეად. - შეადარე
35. შემდგ. - შემდგენელი, შემდგენლები
36. ძვ. წ. - ძველი წელთაღრიცხვით
37. წმ. - წმინდა

ბიბლიის წიგნები

1. ამოს. - ამოს წინასწარმეტყველი
2. გამ. - გამოსვლის წიგნი ბიბლიაში
3. გამოცხ. - გამოცხადება იოანე ღვთისმეტყველისა
4. გალატ. - კათოლიკე ეპისტოლე გალატელთა მიმართ
5. გოდ. - გოდება იერემიასი
6. დაბ. - დაბადება
7. დან. - დანიელ წინასწარმეტყველი
8. ებრ. - კათოლიკე ეპისტოლე ებრაელთა მიმართ
9. ეზეკ. - ეზეკელ წინასწარმეტყველი
10. 1 ეზრ. - პირველი ეზრა
11. ეკლ. - ეკლესიასტე
12. ეს. - ესაია წინასწარმეტყველი
13. ეფეს. - ეფესელთა მიმართ
14. ზირ. - სიბრძნე ზირაქისა
15. 1 თეს. - კათოლიკე ეპისტოლენი პირველი თესალონიკელთა მიმართ
16. 2 თეს. - კათოლიკე ეპისტოლენი მეორე თესალონიკელთა მიმართ
17. იაკ. - კათოლიკე ეპისტოლე იაკობისა
18. იგავ. - იგავნი სოლომონისა
19. იერ. - იერემია წინასწარმეტყველი
20. ივდ. - ივდითი
21. ინ. - იოანეს სახარება
22. იესო - იესო ნავეს ძე
23. იობ. - იობი
24. იღ. - იღუმენი
25. კორ. - კორინთელთა მიმართ ეპისტოლე
26. ლევ. - ლევიანნი
27. ლკ. - ლუკას სახარება
28. 1 მაკ. - პირველი მაკაბელთა
29. 2 მაკ. - მეორე მაკაბელთა
30. 3 მაკ. - მესამე მაკაბელთა

31. 4 მაკ. - მეოთხე მაკაბელთა
32. მალ. - მალაქია წინასწარმეტყველი
33. მარკ. - მარკოზის სახარება
34. მთ. - მათეს სახარება
35. 1 მეფ. - პირველი მეფეთა
36. 2 მეფ. - მეორე მეფეთა
37. 3 მეფ. - მესამე მეფეთა
38. 4 მეფ. - მეოთხე მეფეთა
39. მიქ. - მიქა წინასწარმეტყველი
40. 2 ნეშტ. - მეორე ნეშტთა
41. ოს. - ოსია წინასწარმეტყველი
42. 2. პეტრ. - პირველი პეტრესი
43. საქ. - საქმე მოციქულთა
44. სიბრძ. - სიბრძნე სოლომონისა
45. რიცხ. - რიცხვნი
46. რომ. - კათოლიკე ეპისტოლე რომაელთა მიმართ
47. რჯლ. - მეორე რჯული
48. 1 ტიმ. - კათოლიკე ეპისტოლე პირველი ტიმოთეს მიმართ
49. ფსალმ. - ფსალმუნნი

რუსულ ენაზე

1. англ. - английский
2. изд. - издательство
3. М. - Москва
4. Митр. - Митрополит
5. Перев. - Перевод
6. Прот. - Протоиерей
7. Ред. - Редактор
8. Сост. - Составитель
9. С. - Страница
10. Тб. - Тбилиси
11. Т. - Том

ინგლისურ ენაზე

1. at. al - and others
2. ed/s. - editor, editors
3. Dr. - Doctor

4. Inc. - Incorporated
5. Iss. - Issued
6. LTD - Limited
7. USA - United States of America
8. Rev. - Review
9. Sept - September
10. tr. - translated
11. UK - United Kingdom
12. Vol. - Volume
13. *vs.*- verses, against

შესავალი

თემის აქტუალობა: კრიმინოლოგიაში დღემდე არ არსებობს კონსესუსი დანაშაულ(ობ)ის რაობასთან დაკავშირებით. ასეთი ვითარება შეიძლება აიხსნას მრავალი მიზეზით. მაგალითად, სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრები მოსახლეობის განსხვავებული მენტალობით, რომელიც ფორმირდება ადგილობრივი კულტურისა და მორალური ღირებულებების ზეგავლენით, სოციალური წყობით, ქვეყნების გეოგრაფიული და კლიმატური პირობებითა და ა.შ. თუმცა, ფაქტია ისიც, რომ ცალკეული კრიმინოლოგიური თეორიები ბოლომდე ვერ იკვლევენ დანაშაულ(ობ)ის ბუნებას, ვერ ხსნიან მისი წარმოშობის კანონზომიერებებს. ვერც თეორიების ინტეგრირებულმა მიდგომამ გამოიღო სასურველი შედეგი ამ კუთხით. ამას მოწმობს 21-ე საუკუნეში, კაცობრიობის ისტორიაში, ტექნოკრატიულად ყველაზე განვითარებულ ეპოქაში, არა მხოლოდ დანაშაულობის რაოდენობრივი ზრდა, არამედ, დანაშაულთა გამოვლინებების თვისებრივად ახალი ფორმები, მასშტაბები და ტენდენციები, რაც სულ უფრო სერიოზულ საფრთხეს უქმნის კაცობრიობის არსებობას.[1]

თავად ის ფაქტი, რომ ცალკეული კრიმინოლოგიური თეორიების ინტეგრირებული მიდგომაც უძლურია ამოხსნას დანაშაულ(ობ)ის ფენომენი, ამტკიცებს იმას, რომ კრიმინოლოგია მოექცა ჩაკეტილ წრეში. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ შექმნილი მოცემულობა, არის მატერიალისტურ საწყისებზე[2] დაფუძნებული ემპირიული მეცნიერების განვითარების ლოგიკური შედეგი, რომელმაც მიაღწია ზღვარს და ესაჭიროება ახალ ეტაპზე გადასვლა. იმისთვის, რომ კრიმინოლოგია გაუმკლავდეს ამ გამოწვევას, აუცილებელია დანაშაულ(ობ)ის პრობლემატიკაზე კვლევა-ძიება წარმართოს „ახლებური“ მიდგომით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ისეთ საბაზისო კატეგორიების შესწავლას, რომელიც საერთოა ყველა დანაშაულისთვის, რომელშიც წარმოაჩენდა არა მხოლოდ დანაშაულ(ობ)ის, არამედ ზოგადად, ნეგატიური მოვლენის ის საწყისი მიზეზი, რომელსაც არ ითვალისწინებს არც ერთი თანამედროვე კრიმინოლოგიური თეორია.

ამ ფონზე, ბუნებრივია, აქტუალობას იძენს ჰამარტიოლოგია (*Hamartiology*), ქრისტიანული მოძღვრება ცოდვის შესახებ. საქმე ისაა, რომ ცოდვა არის, არა მხოლოდ

---

[1] „მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციას ორგვარი შედეგი აქვს: ერთი მხრივ, იგი ხელს უწყობს ადამიანის კეთილდღეობას და ცხოვრების დონის ამაღლებას, ხოლო მეორე მხრივ - მოსპობითა და განადგურებით ემუქრება არა თუ ცივილიზაციას, არამედ საერთოდ, სიცოცხლის არსებობას დედამიწაზე. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შედეგად შეიქმნა მასობრივი მოსპობის იარაღი, რომლის გამოყენება კატასტროფას უქადის კაცობრიობას“, იხ. *ექრომაიშვილი ვ.*, ფილოსოფია, (გადამუშავებული და შევსებული გამოცემა), გამომც. „კვარი“, თბ., (წელი არ არის მითითებული), 55.

[2] „თუკი რაიმე არ შეიძლება იქცეს მეცნიერების კვლევის საგნად, ანუ არ ემორჩილება დაკვირვებას, ექსპერიმენტს, გამოთვლას, იგი უკუგდებულია, როგორც ადამიანისთვის უმნიშვნელო და სინამდვილეს მოკლებული“, იხ. *რამიშვილი ვ.*, ადამიანი და ხვედრი (დროის მეტაფიზიკა), თბ., 2002, 500.

საღვთო სჯულის დარღვევა, არამედ, როგორც წესი, ყოველგვარი ნეგატიური მოვლენის საფუძველი. ცოდვა კაცობრიობის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორია, რომელსაც სათანადო ყურადღება არ ეთმობა კრიმინოლოგიაში.

ქრისტიანული მართლმადიდებლური მოძღვრების ჭრილში კრიმინოლოგიური ასპექტების კვლევა განპირობებულია სხვა ფაქტორებითაც, კერძოდ: საქართველოში, დღემდე შეუსწავლელია კრიმინოლოგიური საკითხები ქრისტიანული მართლმადიდებლური მოძღვრების ჭრილში; გამოკვლეული არ არის ცოდვის, დანაშაულისა და დანაშაულობის დიალექტიკა, ისევე როგორც, დამნაშავის პიროვნების პრობლემატიკაში ადამიანის ტრანსცედენტული და ბიპოლარული ბუნება; შეუსწავლელია დანაშაულ(ობ)ის მეტაფიზიკური დეტერმინანტები; რა როლს თამაშობს ღმერთის რწმენა და ეკლესიური ცხოვრება დანაშაულ(ობ)ის პრევენციაში; არ არის გაანალიზებული დანაშაულის მონანიების, ადამიანის სულის უკვდავებისა და მარადიული ცხოვრების საზრისის საკითხები დამნაშავის რესოციალიზაციასა და დანაშულის პრევენციასთან მიმართებაში და სხვა.

საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ რელიგიას და ღმერთის რწმენას სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკაში, ხშირად წამყვანი როლი აკისრიათ დანაშაულის რეციდივის თავიდან აცილების საქმეში, მსჯავრდებულთა რეაბილიტაციასა და რესოციალიზაციაში. თუმცა, ეს ყოველივე საქართველოს რეალობაში არათუ გამოკვლევის დონეზე, არამედ პრაქტიკული კუთხითაც არ არის შესწავლილი და გაანალიზებული, მაშინ როდესაც, საქართველოში ეკლესია ტრადიციულად ასრულებდა, ასრულებს და მომავალშიც შეასრულებს სოციალური კონტროლის მექანიზმის როლს სხვადასხვა სოციალურ ჯგუფში, მიკრო, მეზო და მაკრო დონეზე.

კვლევის ამოცანები და მიზანი: კრიმინოლოგიური საკითხების კვლევა, უწინარეს ყოვლისა, დაკავშირებულია კრიმინოლოგიის საგანში შემავალი ისეთი ფუნდამენტური ცნებების გარკვევასთან, როგორიც არის დანაშაული და დანაშაულობა, დანაშაულ(ობ)ის ჩამდენი პირი, დეტერმინანტები და პრევენცია. აღნიშნულ ცნებებს, კრიმინოლოგია ძირითადად იკვლევს ფილოსოფიური, ბიოლოგიური, სოციოლოგიური, ფსიქოლოგიური და სამართლებრივი პერსპექტივებიდან და ნაკლებ ყურადღებას უთმობს მათ ტრანსცენდენტულ ბუნებას. ამდენად, კვლევის ამოცანად განისაზღვრა, აღნიშნული საკითხების გამოკვლევა ქრისტიანული მართლმადიდებლური მოძღვრების ჭრილში. სადისერტაციო თემის კვლევის ამოცანას, ასევე წარმოადგენს საკვლევ თემებზე, კრიმინოლოგიისთვის მნიშვნელობის მქონე ქრისტიანული მართლმადიდებლური სწავლებების აქსიოლოგიური მხარეების წარმოჩენა, მათი მეცნიერებაში გავრცელებისა და მართლმადიდებლური სწავლებებისა და მეცნიერული მიდგომების თავსებადობის ასპექტების გაანალიზება.

თემიდან გამომდინარე, სადისერტაციო თემის კვლევის **მიზანია**, აიხსნას დანაშაულ(ობ)ის, დამნაშავის პიროვნების, დანაშაულ(ობ)ის, დეტერმინანტებისა და

პრევენციის ბუნება. უფრო კონკრეტულად, კვლევის მიზანს წარმოადგენს, განისაზღვროს: რა ტრანსცენდენტული ნიშნებით ხასიათდება დანაშაული და დანაშაულობა; რაში მდგომარეობს დამნაშავის პიროვნების არსი; ტრანსცენდენტული ფაქტორები დანაშაულ(ობ)ის მიზეზობრიობასა და პრევენციაში.

სადისერტაციო თემის კვლევის საბოლოო მიზნად განისაზღვრა, სიახლეებისა და შედეგების კრიმინოლოგიაში დანერგვის შესაძლებლობების დემონსტრირება, ისეთი დასაბუთებული დებულებების შემუშავება, რომელიც გამოსადეგი იქნება თეორიასა და პრაქტიკაში. კვლევის **სიახლე** და **შედეგები** წაროდგენილია იმ დებულებებში, რომლებიც სადისერტაციო ნაშრომის თავებშია მოცემული.

დანაშაულ(ობ)ის პრობლემა მრავალმხრივი შესწავლის საგანია და მის შესწავლას დიდძალი ლიტერატურა აქვს დათმობილი კრიმინოლოგიაში. რაც შეეხება, ქრისტიანულ მართლმადიდებლურ მოძღვრებას, იგი თვისებრივად სულ სხვა კუთხით ხსნის დანაშაულ(ობ)ის არსს. კვლევით დგინდება, რომ დანაშაული და დანაშაულობა, ცოდვის გამოვლინების ფორმებია. აღნიშნული დებულება, ეფუძნება ცოდვის, დანაშაულისა და დანაშაულობის საერთო ნორმატიულ და ტრანსცენდენტულ ბუნებას.

მართლმადიდებლური მოძღვრებით, ნორმატიულობაში, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება სულიერი (ტრანსცენდენტული) ასპექტი. გარდა ამისა, ზოგადად, „რჯული სულიერია“ (რომ. 7, 14). მასში იგულისხმება, როგორც ადამიანის შინაგანი სჯული, სინდისი, ასევე ფორმალური, გარეგანი ნორმა. ამდენად, ცოდვა შეუძლებელია მხოლოდ გარეგანი სჯულის დარღვევით. მას წინ ყოვლეთვის უსწრებს შინაგანი სჯულის დარღვევა. ამასთან, ცოდვა შესაძლებელია შინაგანი სჯულის დარღვევით, ფორმალური ნორმის დარღვევის გარეშე.

კონცეპტუალურად, ანალოგიური პრინციპი მოქმედებს დანაშაულის საკანონმდებლო და დანაშაულობის კრიმინოლოგიურ ცნებასთან მიმართებაშიც. ირკვევა, რომ პოზიტიური სამართალი, თავისი არსით, ტრანსცენდენტულია. გამომდინარეობს რა ბუნებითი ან გონითი კანონიდან, სამართალი მოიცავს არა წმინდა ნორმატიული ხასიათის ელემენტებს. როგორც ცნობილია, ფართო გაგებით სამართალში, ასევე მოიაზრება ღვთაებრივი სამართალი (*ილ. ჭავჭავაძე*). რაც შეეხება სიმართლეს, იგი წარმომდგარია ზნეობითი და სარწმუნოებრივი გრძნობებისგან (*ჰ. მენი*). პოზიტიური სამართლის ტრანსცენდენტულობაზე საუბრობს არაერთი ცნობილი მეცნიერი (*ჰ. კრაბე, გ. ნანეიშვილი* და სხვები). თანამედროვე ტენდენციაც მოწმობს, რომ მეტი და მეტი სამართლის თეორიტიკოსი რეალურ „სამართალს“ თვლის იმას, რაც პირდაპირ არ არის აღიარებული სახელმწიფოს მიერ (*მ. ჰოეკე*). პოზიტიური სამართალის მეტაიურიდიული კატეგორიებია სინდისი, მორალი, პრინციპები, დოქტრინები და ა.შ. მაგალითად, სამართლის თეორიაში, ადამიანის სინდისი წარმოადგენს უმაღლეს მორალურ ინსტანცას, რომელიც, სამართალის მსგავსად,

ნორმატიული ჯერარსული წესრიგია (*გ. ხუბუა*). კრიმინოლოგიაში კი, სინდისი განიხილება როგორც პრევენციის ნორმატიული ბარიერი (*ტ. ბიორგო*).

როგორც ტერმინოლოგიური, ასევე დანაშაულის საკანონმდებლო და დანაშაულობის კრიმინოლოგიური ცნებების ანალიზით, ცოდვა, დანაშაული და დანაშაულობა სინონიმური ცნებებია. ნორმატიული ასპექტით, ცოდვა და დანაშაული სინონიმური ცნებებია. ცოდვის კონცეფცია თანხვედრაშია დანაშაულის ქმედების შემადგენლობასთან. დანაშაულის მსგავსად, ცოდვაც შედგება ობიექტური და სუბიექტური ელემენტებისაგან. მართლწინააღმდეგობა და ბრალი, ასევე ხასიათდებიან მეტაიურიდიული თავისებურებებით. ამასთან, ცოდვის კონცეფციას, ასევე ახასიათებს დანაშაულობის კრიმინოლოგიური ცნების ყველა ნიშან-თვისება. ცოდვა არის სოციალურ-სამართლებრივი და მასობრივი მოვლენა, რომელიც ხასიათდება რაოდენობრივი და თვისებრივი მაჩვენებლებით. თუმცა, ტრანსცენდენტულ ასპექტებს შორის არსებობს ერთი არსებითი შეუსაბამობაც. კერძოდ, ქრისტიანული მორალი, უცდომელი და მარადიულია. რაც შეეხება, პოზიტიურ სამართლს, მისთვის განმსაზღვრელია კონვენციური მორალი, რომელიც დროის შესაბამისად იცვლება. ეს გარემოება, წარმოშობს ხარვეზების არსებობის შესაძლებლობას პოზიტიურ სამართალში. პოზიტიური სამართლის ძალით, წმინდა ადამიანების გასამართლების უამრავი ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ საზოგადოების უმრავლესობის მორალზე დაფუძნებული პოზიტიური სამართლი ვერ გამოდგება ჭეშმარიტების კრიტერიუმად. ამას თავად *თ. ჰობსის* სიტყვებიც ადასტურებს: „ხელისუფლება, და არა ჭეშმარიტება, განსაზღვრავს სამართალს“ (*auctoritas, non veritas facit legem*).

ქრისტიანული მართლმადიდებლური მოძღვრების, მეცნიერული მიდგომებისა და მორალის ფაქტორის გათვალისწინებით უნდა გაკეთდეს დასკვნა, რომ დანაშაული და დანაშაულობა „ფორმალურად“ ცოდვის გამოვლინების ფორმებია. „ფორმალურად“ იმის გამო, რომ მართლმადიდებლური სწავლებით, ნორმის დარღვევა, რომელიც იწვევს ადამიანის უკვდავი სულის მოკვდინებას, და ზოგადად, რომელიც ეწინააღმდეგება ქრისტიანულ მორალს, წარმოადგენს ცოდვას.

საკითხების ამგვარი ინტერპრეტაცია დანაშაულ(ობ)ის პრობლემის გადაჭრის თვისებრივად „ახლებური“ მიდგომაა, რადგან დანაშაული და დანაშაულობა, უპირველეს ყოვლისა, წარმოდგება, როგორც ტრანსცენდენტული, ხოლო შემდეგ სამართლებრივი, სოციალურ და ა.შ. აქტი და მოვლენაა. დაბოლოს, დანაშაულ(ობ)ის ტრანსცენდენტული ბუნება უფრო მეტი სისავსით ვლინდება დამნაშავის, დანაშაულ(ობ)ის მიზეზობრიობისა და პრევენციის საკითხების კვლევისას.

როგორც ცნობილია, დამნაშავის პიროვნების შესწავლა შეუძლებელია ადამიანის ბუნების კვლევის გარეშე. ამ კუთხით, მართლმადიდებლური მოძღვრება კრიმინოლოგიას სთავაზობს დამნაშავის პიროვნების გააზრების „ახლებურ“ მიდგომას. მეცნიერული პოზიციებისგან განხვავებით, მართლმადიდებლური მოძღვრება

დამნაშავის პრობლემას უკავშირებს ადამიანის ცოდვილ ბუნებას, რომელიც სათავეს იღებს პირველი ცოდვიდან. აღნიშნულმა გარემოებამ, კვლევისას დღის წესრიგში დააყენა ადამიანის ბუნებისა და ყოფის გაანალიზების აუცილებლობა პირველ ცოდვამდე და მის შემდგომ.

პირველმა ცოდვამ გამოიწვია ადამიანის სულს, სამშვინველსა და სხეულს შორის არსებული იერარქიული კავშირის დარღვევა. ცოდვამ, ისინი ერთმანეთს დაუპირისპირდა. თუკი ცოდვამდე სულს ემორჩილებოდა სამშვინველი და სხეული, ცოდვის შემდეგ აღნიშნული კავშირი გაწყდა. სამშვინველი სხეულს დაემორჩილა, სხეულს რაც უნდა იმას აკეთებინებს სამშვინველს, სული კი, აგონიერებს სამშვინველს. სულიწმიდის მადლი, რომელიც ადამიანში მკვიდრობდა პირველ ცოდვამდე, განიდევნა და მისი ადგილი დაიკავა ცოდვამ. ამან გამოიწვია სულის გენის მუტაცია, რომელიც საფუძვლად დაედო უჯრედის გენის მუტაციასაც. შედეგად, ადამიანში არაბუნებრივმა ელემენტებმა დაისადგურა. ადამიანში ჩაისახა ცოდვიანი ვნებები, ამპარტავნება, შური და ა.შ. გული მიეცა უგუნურ მისწრაფებებსა და ვნებიან სურვილებს. დაზიანდა ადამიანის გონება, გრძნობა და ნებაც. ადამიანის სულიერი და ხორციელი გენეტიკა იმდენად დაავადდა, რომ ადამიანი სხეულით, გახდა მომაკვდავი, ცოდვილი და ბოროტისკენ მიდრეკილი არსება.[3] ბუნებრივი შობის კანონით მემკვიდრეობით გადმოგვეცემა ცოდვიანი ბუნება, როგორც ხორციელი, ასევე სულიერი.[4] იმის გამო, რომ ადამიანმა დაკარგა მადლი და მასში ცოდვიანი ვნებები დამკვიდრდა, ქრისტიანული ფსიქოლოგია ცოდვილს აიგივებს დაავადებულ, დასნეულებულ ადამიანთან. სიტყვა ვნებაც სწორედ შინაგან სნეულებას ნიშნავს. ცოდვა დაეუფლა ადამიანის ქმედებებს და იქცა სინამდვილედ, ხოლო სიწმინდე მხოლოდ შესაძლებლობად, რადგან ადამიანს კვლავ რჩება სულის გადარჩენის შესაძლებლობა.

ამგვარად, დამნაშავის პიროვნების კრიმინოლოგიური გააზრებისთვის ცენტრალურია ადამიანის ცოდვილი ბუნება, ის, რომ ადამიანი განიხილება დანაშაულის ჩადენისაკენ მიდრეკილ არსებად. დამნაშავის პიროვნების უმნიშვნელოვანეს ქრისტიანულ სწავლებას წარმოადგენს ადამიანის დუალისტურ ბუნებაში თავისუფალი ნების კორელაციის საკითხი.

ირკვევა, რომ ადამიანი, მუდამ იმყოფება ღმერთისა და ბოროტის ზემოქმედების ველში, და ამასთან, აქვს ნების თავისუფლება იმოქმედოს საკუთარი მიხედულებით. აღნიშნული მოცემულობა ადამიანს ჰქონდა პირველი ცოდვის ჩადენამდე და ინარჩუნებს მის შემდეგაც. არჩევანის მიხედვით, ადამიანი შეიძლება მიემსგავსოს, როგორც ღმერთს, ასევე ბოროტს. სათნოების აღსრულება უზრუნველყოფს სულიწმიდის

---

[3] „...ბოროტისკენაა მიდრეკილი ადამიანის გულისთქმა მისი სიყრმიდანვე...“ (დაბ. 8, 21; რომ 6, 6).

[4] „... როგორც ერთი კაცის მიერ შემოვიდა ცოდვა ამ ქვეყნად, ცოდვის მიერ კი - სიკვდილი, ისე სიკვდილიც გადავიდა ყველა კაცში, ...“ (რომ. 5, 12).

მოპოვებას, რაც ადამიანს მიაახლოებს ღმერთთთან, ხოლო ცოდვა და დანაშაული აყალიბებს ბოროტ არსებად.

აღსანიშნავია, რომ მართლმადიდებლური სწავლება თანხვედრაში მოდის მეცნიერებასთან ძირითად საკითხებში. ძველი ბერძენი ფილოსოფოსები, გამოჩენილი მეცნიერები და მრავალრიცხოვანი ემპირიული კვლევებიც ადასტურებენ, რომ ადამიანი არის ბიპოლარული არსება, რომელიც მიდრეკილია სათნოებებისა და ბიწიერებისაკენ. მართლმადიდებლური და მეცნიერული პოზიციების თანხვედრა განსაკუთრებით თვალსაჩინოა „პათოლოგიურის“ კონცეფციის ანალიზის ფონზე.

მართლმადიდებლობაში, პათოლოგია ნორმალურის (განმღთობილის) საპირისპირო კონცეფციაა, რომელიც სათავეს იღებს პირველი ცოდვიდან. პირველი ცოდვის შემდეგ ადამიანში დამკვიდრდა ცოდვიანი ვნებები („ვნება“ ნიშნავს შინაგან სნეულებას). პათოლოგია, გულისხმობს ნორმის დარღვევით გამოწვეულ ადამიანის სულიერ, მშვინვიერ და ფიზიკურ დაავადებას ცოდვითა და ვნებით, რაც ადამიანს დანაშაულისკენ მიდრეკს. შესაბამისად, ქრისტიანული ფსიქოლოგია ცოდვილს აიგივებს, დაავადებულ, დასნეულებულ ადამიანთან.

მეცნიერება პათოლოგიას ასევე განიხილავს, როგორც ნორმიდან გადახრას. დამნაშავე და პათოლოგი (არ იგულისხმება ფსიქიკური შეურაცხაობა) შეიძლება ჩაითვალოს იდენტურ ცნებებად, რადგან ნორმიდან გადახრა დანაშაულის, დანაშაულობისა და ცოდვის საერთო ნიშანია. ბუნებრივია, აღნიშნული მოსაზრება არ შეიძლება აბსოლუტურ ხასიათს ატარებდეს და არ იყოს გათვალისწინებული თანამედროვე სისხლის სამართლის მეცნიერებისა და კრიმინოლოგიის მიღწევები.

პოზიტივისტურ კრიმინოლოგიაში დამნაშავე, ასევე ითვლება ავადმყოფად, რადგან დანაშაულის ჩადენას უკავშირებს ცალკეულ ადამიანთა ბიოლოგიურ არსში ჩადებულ პათოლოგიის შედეგს. როდესაც პათოლოგია, ავადმყოფური ლტოლვა ადამიანში იმარჯვებს, იგი წარმოშობს ძალადობრივი ხასიათის დანაშაულებს და ა.შ. საუბარი შეეხება ადამიანში არსებულ ვნებებს, რომელიც ასევე მიდრეკს ადამიანს დევიანტური ქცევისკენ. ანალოგიური შინაარსის მოსაზრებებია დაფიქსირებული ფსიქიატრიის, ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის, სამართლისა და კრიმინოლოგიის ზოგიერთ ლიტერატურაშიც.

ამგვარად, მეცნიერებაში, პათოლოგია ნორმიდან გადახრას და ადამიანის ბუნებაში არსებული ფსიქო-სომატურ დარღვევას მოიაზრებს. შესაბამისად, ისეთი ცნებები, როგორიც არის „პათოლოგია“ (არ იგულისხმება ფსიქიკური შეურაცხაობა), „არანორმალურობა“, „ავადმყოფობა“, „დანაშაული“ და „დანაშაულობა“ ფორმალურად წარმოჩინდებიან ტოლმნიშვნელოვან ცნებებად.

ამ თვალსაზრისით, მართლმადიდებლობა და მეცნიერება აიგივებს დამნაშავეს და პათოლოგს (ავადმყოფს, არანორმალურს). განსხვავება კი იმაშია, რომ მართლმადიდებლობა პათოლოგიურ მდგომარეობას ხსნის ადამიანის ცოდვილი

ბუნებით, როდესაც ადამიანი იმყოფება ვნებების ტყვეობაში და მოკლებულია სულიწმინდის მადლს. სხვაგვარად თუ ვიტყვით, პათოლოგი (დამნაშავე) ნორმალურის (განღმრთობილის) ანტიპოდია.

დაბოლოს, დამნაშავის პიროვნების შესწავლაში ქრისტიანული ანთროპოლოგია, კრიმინოლოგიას სთავაზობს, ასევე გაითვალისწინოს დამნაშავის ვიქტიმირების ასპექტები. საქმე ისაა, რომ დანაშაულის ჩადენით, ქრისტიანული მართლმადიდებლური სწავლებით, უფრო მეტად ზარალდება თავად დამნაშავე ვიდრე დანაშაულის მსხვერპლი. დამნაშავის ვიქტიმირების ასპექტებს შორის ყველაზე არსებითია ის, რომ მონანიების გარეშე, ნებისმიერ ცოდვას აქვს უნარი მოაკვდინოს ადამიანის სული, რომელსაც აქვს უკვდავი თვისება. აღნიშნული სწავლება, განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს დამნაშავის რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის პოლიტიკაში, რასაც მეცნიერება ოფიციალურად არ ითვალისწინებს და მხოლოდ არჩევანის შეთავაზებით იფარგლება, - იწამოს ღმერთი ან არა, გადაირჩინოს სული ან არა. დაბოლოს, დამნაშავის კონცეფცია შეუძლებელია გამოკვლეული იქნას დანაშაულ(ობ)ის დეტერმინაციის გარეშე.

დანაშაულ(ობ)ის დეტერმინაციის შესახებ მართლმადიდებლური სწავლების არსი მდგომარეობს იმაში, რომ იგი აღიარებს ბოროტი უხილავი ძალის არსებობას, რომელიც ადამიანს უბიძგებს დანაშაულის ჩადენას სხვადასხვა ხერხებით. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ უპირველესი ცოდვა ჩადენილია არა ადამიანის მიერ, არამედ, ზეცაში, ტრანსცენდენტულ სამყაროში, ამპარტავნების ვნებით შეპყრობილი ანგელოზის მიერ, რომელიც გადმოგდებულ იქნება ზეციური სამყაროდან. დაცემული ანგელოზი ამპარტავნებით აცდუნებს პირველქმნილ ადამიანებს. მართალია, ბოროტების წყარო დაცემული ანგელოზია, მაგრამ ადამიანი ისჯება იმის გამო, პირველი ცოდვის შემთხვევაში ადამიანი თავისუფალი ნებით აკეთებს არასწორ არჩევანს, ღებულობს ბოროტის მაცდუნებელ წინადადებას და არღვევს ერთადერთ ნორმას. საყურადღებოა, რომ ღმერთმა თავისუფლება უბოძა ანგელოზსაც. დაცემული ანგელოზის ცოდვაც ეფუძნებოდა თავისუფალი ნებას. ცოდვა, დანაშაული და დანაშაულობა, ნებისმიერ შემთხვევაში არასწორად წარმართული ნებაა. ამდენად, დანაშაულობის მიზეზობრიობაში გასათვალისწინებელია, რომ პასუხისმგებლობის სიმძიმის ტვირთი დაკავშირებული იყოს თავისუფალ ნებასთან.

მართლმადიდებლური მოძღვრებით, ღმერთი უშვებს, სიკეთისა და ბოროტების არჩევანის წინაშე ანგელოზისა და ადამიანის ყოფნას, რადგან სათნოება იძულებით არ კეთდება. დაცემულ ანგელოზებს ღმერთისაგან ნება აქვთ მიცემული შეუტიონ ადამიანს, რადგან ადამიანი თავისი ნებით დაემორჩილა მის ხელმწიფებას, მაგრამ ვინმეს იძულება არ შეუძლიათ. ადამიანზე ბოროტის მოქმედება დაშვებულია, იმისთვის, რომ გამოიცადოს და განმტკიცდეს ადამიანის თავისუფლება.

დაცემის დღიდან მოყოლებული, ადამიანი განსაკუთრებით თავისუფალი მისადგომია ეშმაკისათვის, რადგან პირველმა ცოდვამ სულიწმიდის მადლი, რომელიც მკვიდრობდა ადამიანში განიდევნა და მისი ადგილი დაიკავა ცოდვამ. პირველმა ცოდვამ ადამიანში ჩაისახა ცოდვიანი ვნებები. შედეგად, ადამიანში ცოდვის საწყისებმა დადო ბინა და ადამიანი გახდა არა მხოლოდ მომაკვდავი, არამედ ბოროტისკენ მიდრეკილი არსებაც. ამის გამო, პირველი ცოდვის წყალობით ბოროტმა სულმა მოიპოვა ძალაუფლება ადამიანზე. იგი ადამიანს ებრძვის ადამიანში დამკვიდრებული ცოდვიანი ვნებების საშუალებით, მეთოდურად, - იწყებს გულისთქმებით, აგრძელებს სურვილებით და ვნებებით, და ამთავრებს ადამიანის სრული დამორჩილებით. ბოროტის მიზანია ღმერთისაგან ადამიანის დაშორება და მისი საუკუნო სიკვდილი. ცოდვის ეტიოლოგიაში, ადამიანში არსებული ვნებები, ცენტრალურია.

ვნებათა კლასიფიკაციისა და მათი საერთო ნიშან-თვისებების ცოდნა დამნაშავის პიროვნების, დანაშაულ(ობ)ის დეტერმინაციისა და პრევენციის მეცნიერული გააზრებისთვის აქტუალურია. თანამედროვე მეცნიერება ამტკიცებს, რომ აზრები პირველხარისხოვან გავლენას ახდენენ ჩვენს შინაგან მდგომარეობასა და საქციელზე. ამდენად, მართლმადიდებლური სწავლება იმის შესახებ, თუ საიდან მომდინარეობს ცდუნება, როგორ ვითარდება და რა გავლენას ახდენს ადამიანის აზრის ფორმირებაზე, უმნიშვნელოვანესია დანაშაულობის დეტერმინაციის პრობლემის არსში გასარკვევად. მართლმადიდებლური მოძღვრების ღირებულებას განაპირობებს ის გარემოებაც, რომ პოზიტიური მეცნიერება აღიარებს ადამიანის ვნებებს, იგივე მოტივებს, როგორც დანაშაულის ფაქტორს. ემპირიული კვლევებით, ასევე მტკიცდება სამყაროში უხილავი ძალების არსებობა, რომელიც ზემოქმედებენ ადამიანის გონებაზე. ბრალდებულ *ბ. მილიგანის* სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება ამის ნათელი მაგალითია.

აღსანიშნავია, რომ განმანათლებლობის ეპოქაში, მოვლენების რაციონალური ხასიათის ახსნა-განმარტებების განვითარებასთან ერთად, უგულებელყოფილი იქნა ეკლესიური სწავლება დანაშაულობის მიზეზობრიობაში ზებუნებრივი ბოროტი ძალების არსებობის შესახებ. მისი ადგილი, დაიკავა ბუნებრივმა ადამიანურმა ვნებებმა და წინა პლანზე წამოიწია ადამიანის გონება და ნების თავისუფლება. დღესდღეობით, მეცნიერული კვლევების ფონზე, მართლმადიდებლური სწავლება ზებუნებრივი ბოროტი ენერგიებისა და ძალების არსებობის შესახებ ეჭვს არ იწვევს. მეცნიერული ფაქტები კი, სულ უფრო ამყარებს რწმენას, რომ დანაშაულობის პრობლემების გადაჭრა შეუძლებელია ტრანსცენდენტული სწავლებების გარეშე.

დანაშაულ(ობ)ის დეტერმინაციაში გამოწვევას წარმოადგენს ის, რომ დანაშაულობის ის მიზეზები, რომელიც მართლმადიდებლური მოძღვრებით არის აღიარებული, ზოგჯერ სახელმწიფოს, მეცნიერებისა და საზოგადოების მიერ იგნორირებულია, ან სულაც განიხილება, როგორც ნორმალური და სასარგებლო

მოვლენა. აღნიშნული ფაქტი, ასევე თვალშისაცემია დანაშაულობის პრევენციის საკითხების კვლევებისას. მაგალითად, *ტ. ბიორგოს* მიერ შემუშავებულ „დანაშაულის პრევენციის თანამედროვე მოდელში“, შეიძლება ითქვას, რომ იგნორირებულია ეკლესიის ფაქტორი, მაშინ როდესაც ემპირიული კვლევებით მტკიცდება ეკლესიის დადებითი ეფექტი დანაშაულ(ობ)ის პრევენციის პოლიტიკაში.

დანაშაულ(ობ)ის პრევენციის საკითხების ანალიზი, კიდევ უფრო მეტი სიცხადით წარმოაჩენს მართლმადიდებლური მოძღვრების კრიმინოლოგიაში ინტეგრირების აუცილებლობას. საყურადღებოა, რომ მართლმადიდებლური სწავლების მსგავსად, კრიმინოლოგიაც დანაშაულის თავიდან აცილებას, დანაშაულის მიზეზების წინააღმდეგ ღონისძიებების გატარებაში ხედვას. ქრისტიანული მოძღვრების მსგავსად, კრიმინოლოგიაც, დანაშაულის პრევენციის პრობლემას ადამიანის ბუნებაში ხედავს. ფორმულა „*errare humanum est*“ („შეცდომა, ადამიანის თანაარსია“), აქსიომატურია მართლმადიდებლური და პოზიტიური მეცნიერებისთვის.

თამამად შეიძლება აღინიშნოს, რომ ცოდვის თავიდან აცილების მართლმადიდებლური კონცეფცია ყველაზე სრულყოფილად აღწერს დანაშაულ(ობ)ის პრევენციის ნიუანსებს. ეს ბუნებრივია, რადგან, ცოდვა თავისი შინაგანი თვისებებითა და გამოვლინებებით, ყოველგვარი ნეგატიური მოვლენის, კრებსითი ცნებაა, ხოლო დანაშაული და დანაშაულობა ცოდვის გამოვლინების ფორმებია. ამდენად, დანაშაულობის პრევენციის სრულყოფილ მოდელზე საუბარი შეუძლებელია ცოდვის თავიდან აცილების მართლმადიდებლური კონცეფციის გარეშე. ცოდვის თავიდან აცილების მართლმადიდებლური კონცეფცია შეიძლება ჩაითვალოს სახლმძღვანელო მოდელად, და ერთგვარ გზამკვლევად, დანაშაულობის პრევენციის თანამედროვე მოდელის შესამუშავებლად.

დანაშაულ(ობ)ის მართლმადიდებლურ კონცეფციასთან დაკავშირებით აუცილებელია აღინიშნოს შემდეგი:

1. ეკლესია დანაშაულ(ობ)ის თავიდან აცილების მიზნით, ძალისხმევას მიმართავს დანაშაულობის უშუალო ტრანსცენდენტული მიზეზების წინააღმდეგ, კერძოდ, ბოროტი უხილავი ძალ(ებ)ის, გადაჭარბებული ამქვეყნიური მატერიალური სიამოვნებების, კეთილდღეობის, და ადამიანში დამკვიდრებული ცოდვიანი ვნებების წინააღმდეგ;

2. დანაშაულ(ობ)ის პრევენციული ღონისძიებები ტარდება სამ დონეზე, - ზე-მაკრო, მაკრო და ინდივიდუალურ დონეზე, დროის სამ მონაკვეთში, - განსაცდელების წინ, განსაცდელების დროს და მის შემდეგ;

3. რადგან „ცოდვა და ვნება არის უხილავი ბოროტი მატერია და ენერგია, რომელიც არ ქრება და მისი განეიტრალება შესაძლებელია მხოლოდ სულიწმიდის მადლის ზემოქმედებით“ (*არქ. გ. ბასილაძე*), შესაბამისად, ეკლესია ცოდვას, ბოროტებას

და ადამიანში დამკვიდრებულ ვნებებს უპირისპირებს მის საპირისპირო ძალას, - სათნოებას, რომლის წყარო თავად ღმერთია, შესაბამისად,.

4. დანაშაულობის პრევენციის უმთავრესი აქტორი არის ღმერთი, რომელიც მონაწილეობს ხილულად და უხილავად, სამივე დონეზე და დროის სამ მონაკვეთში. კერძოდ, მფარველი ანგელოზების, სინდისის (შინაგანი სჯულის); დაუწერელი და წერილობითი სჯულის (ბიბლია, მცნებები და ა.შ.) დაწესებით, ეკლესიის (თავისი იერაქიის) და სახელმწიფოს მეშვეობით.

5. მართლმადიდებლური სწავლებით, დანაშაულობის თავიდან აცილების ცენტრალური ასპექტი არის მსჯავრდებულის გამოსწორება სულიწმიდის მადლის ზემოქმედებით, რომელიც ცოდვების მონანიებით მიიღწევა.

მონანიების ქრისტიანული კონცეფცია საფუძვლად უდევს თანამედროვე პენიტენციურ სისტემას, რაც ხაზს უსვამს დანაშაულ(ობ)ის პრევენციაში მართლმადიდებლური მოძღვრების ვალიდურობასა და აქტუალობაზე. სიტყვა „პენიტენცია“-ში, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ მონანიებას, სინანულს ნიშნავს, ნაჩვენებია დანაშაულ(ობ)ის პრევენციის პრობლემის გადაჭრის გზა. მონანიება, მსჯავრდებულის გამოსწორების (რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის) ერთადერთი საშუალებაა, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს დანაშაულის კერძო და ზოგად პრევენციას.

მსჯავრდებულის გამოსწორებასთან და დანაშაულ(ობ)ის პრევენციასთან დაკავშირებით საკმარისია აღინიშნოს რამდენიმე ასპექტი, რათა წარმოჩენილი იქნას მონანიების აქსიოლოგიური მნიშვნელობა: 1. მონანიება არ არის იძულებითი აქტი, იგი ადამიანის გამოსწორების ნების გამოვლინებაა; 2. მონანიება არ არის დასჯა, იგი დანაშაულით დაავადებული სულის სამკურნალო საშუალებაა; 3. მონანიება არის ღმერთთან დაბრუნების საშუალება, რომლის მეშვეობითაც ადამიანი ახდენს სულიწმიდის ძალის მოპოვებას სულიწმიდის მატარებელი სასულიერო პირთან აღსარების ჩაბარებითა და ცოდვების მიტევებით; 4. სულიწმიდის მადლია ის ერთადერთი ძალა, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანში დამკვიდრებული ვნებებისა განეიტრალებას და აღმოფხვრას; 5. სულიწმიდის ძალის ზემოქმედებით, ადამიანი იბრუნებს უცოდველ ბუნებას, ხდება მისი სრული რეაბილიტაცია და რესოციალიზაცია; 6. მონანიების საბოლოო მიზანი ადამიანის განღმრთობაა, ადამიანში სულიწმიდის დამკვიდრება, უზენაეს სათნო ენერგიასთან, ღმერთთან ზიარებაა, რასაც ასევე უწოდებენ სინერგიას; 6. სულიწმიდის მადლით შემოსილი ადამიანის, სულით განიცდის მარადიულ ნეტარებას მატერიალურ სამყაროში და მის დარჩენილი ცხოვრების მიზანი ხდება სულის გადარჩენა სათნოებების კეთებითა და საღვთო კანონების მორჩილებით.

ამგვარად, მართლმადიდებლური მოძღვრება სახელმწიფოს სთავაზობს დამნაშავის რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის მეშვეობით დანაშაულ(ობ)ის

პრევენციის მიზნის მიღწევის ყველაზე რეალისტურ, ჰუმანურ და შედეგზე ორიენტირებულ საშუალებას.

ის გარემოება, რომ თანამედროვე პენოლოგია და მეცნიერება, ცნობს მონანიების მართლმადიდებლური კონცეფციის თეორიულ და პრაქტიკულ ვალიდურობას, დღის წერსიგში აყენებს ქრისტიანული მართლმადიდებლური ეკლესიისა და სახელმწიფოს მჭიდრო თანამშრომლობის აუცილებლობას, დამნაშავის რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის და დანაშაულ(ობ)ის პრევენციის საკითხებში.

დაბოლოს, ნაშრომს არა აქვს ყველა ასპექტის ყოველმხრივი განხილვის, მითუმეტეს, მათი საბოლოო გადაწყვეტის პრეტენზია. მის ამოცანას და მიზანს წარმოადგენს, წარმოდგენილი საკითხების შედარებით სრული გამოკვლევა და მათი გადაწყვეტის დასაბუთებული გზების გამონახვა. ნაშრომში წარმოდგენილია საკითხების ახლებური მიდგომისა და გააზრების მცდელობა, ქრისტიანული მართლმადიდებლური მოძღვრების ჭრილში და მეცნიერების მიღწევათა გათვალისწინებით.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველი: სადისერტაციო ნაშრომში საკითხები დამუშავებული და დასკვნები აგებულია მართლმადიდებლური სწავლებებისა და მეცნიერული მიდგომების შეპირისპირების გზით. კვლევისას სხვადასხვა დოზით გამოყენებულია ტექსტის ანალიზის, ტრადიციულ-დოგმატური, ისტორიული, შედარებითი და ფორმალურ-ლოგიკური მეთოდები, რაც შესაძლებლობას იძლევა კრიმინოლოგიის საკვანძო საკითხებზე კომპლექსურ გაანალიზებას. შეფასების მეთოდით, კვლევა მკითხველს სთავაზობს კონცეპტუალურად „ახლებურ“ ხედვებს, ჰიპოთეზებს, მიგნებებსა და დასკვნებს.

სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებულია, საკვლევი თემის ირგვლივ არსებული ქართულ და უცხოურ ენებზე არსებული საეკლესიო და მულტიდისციპლინური სამეცნიერო ლიტერატურა (წიგნები, მონოგრაფიები, კრებულები, სტატიები) და ინტერნეტ რესურსები. ნაშრომის თეორიული საფუძველი ძირითადად ბიბლიის ტექსტი, ქრისტიანული მართლმადიდებლური საეკლესიო წყაროები და წმიდა მამათა სწავლებებია.

სამეცნიერო ლიტერატურიდან გამოყენებულია სხვადასხვა დარგის მეცნიერთა შეხედულებები და ის მეცნიერული კვლევები, რომლებშიც მოცემულია ვრცელი თეოლოგიური, ეგზეგეტიკური და მეცნიერული განხილვები კრიმინოლოგიის პრობლემატურ საკითხებზე.

სადოქტორო ნაშრომში წარმოდგენილ თითოეულ საკვლევ საკითხზე, სისტემურად და თემატურად გაანალიზებულია, ბიბლიის შესაბამისი მუხლები, წმიდა მამათა სწავლებები, განმარტებები, მეცნიერული კვლევები და მიდგომები, რომლებსაც ერთვის შემაჯამებელი ანალიზი.

ნაშრომის თეორიული ღირებულება და პრაქტიკული მნიშვნელობა: დისერტაციაში, კრიმინოლოგიურ პრობლემაზე გაკეთებული ყველა დასკვნა გაკეთებულია არა მხოლოდ მართლმადიდებლური მოძღვრების, არამედ სხვადასხვა დარგის მეცნიერების შეხედულებებისა და მეცნიერულ კვლევებზე დაყრდნობით. სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში, შეძლებისდაგვარად, მკაფიოდ იქნა წარმოჩენილი, რომ პოზიტიური მეცნიერება ხშირ შემთხვევაში პირდაპირ, ხოლო იშვიათად ირიბად, აღიარებს მართლმადიდებლურ სწავლების მართებულობას. გარკვეულ შემთხვევებში თავად მეცნიერება საზრდოობს ბიბლიური და ეკლესიური სწავლებებით. ამის უტყუარი მაგალითია, სამართალში მოქმედი პრინციპების ბიბლიური საფუძვლების, ეტიმოლოგიის დემონსტირება, რომ არაფერი ვთქვათ მეცნიერთა მოსაზრებებზე და მეცნიერული კვლევის შედეგებზე დანაშაულ(ობ)ის ეტიოლოგიაზე, დამნაშავის პიროვნებაზე და დანაშაულ(ობ)ის პრევენციაზე.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ მართლმადიდებლური სწავლებებისა და მეცნიერულ მიდგომების შეჯერებით, დისერტაციაში განვითარებული დასკვნები, მაქსიმალურად დაზღვეულია სუბიექტივიზმისგან და შეცდომებისგან, რაც თავისთავად ზრდის ნაშრომის მეცნიერულ ღირებულებას და შედეგების სანდოობის ხარისხს.

დისერტაციაში, მართლმადიდებლური სწავლებების ჭრილში, ზოგიერთი კრიმინოლოგიური პრობლემა შეიძლებოდა გაცილებით ვრცლადაც გამოკვლეულიყო. თუმცა, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, როგორც ამას საკითხების ანალიზიც ცხადყოფს, აღნიშნული აუცილებლობას არ წარმოადგენდა. გარდა ამისა, კვლევის პროცესში, ზოგიერთი ასპექტი შეგნებულად არ იქნა გამოკვლეული, ხოლო ზოგიერთის გაანალიზება საერთოდ არ იყო მიზანშეწონილი. მიუხედავად ამისა, მიგვაჩნია, რომ ნაშრომში განხილული თემები კარგად წარმოაჩენს მართლმადიდებლური მოძღვრების თეორიულ და პრაქტიკულ ღირებულებას კრიმინოლოგიური საკითხების მეცნიერული გააზრებისთვის.

სადისერტაციო ნაშრომის ღირებულება მდგომარეობს კვლევის შედეგების გამოყენებაში თეორიასა და პრაქტიკაში, კერძოდ:

ნაშრომის თეორიული ღირებულება საეკლესიო და სამეცნიერო წყაროში არსებული სწავლებების, განმარტებებისა და მეცნიერული კვლევის შედეგების ერთ მთლიანობაში თავმოყრაა. ნაშრომის თეორიული მნიშვნელობა იმაშიც მდგომარეობს, რომ იგი მკაფიოდ წარმოაჩენს მართლმადიდებლური სწავლებების კრიმინოლოგიურ კვლევებში ინტეგრირების აუცილებლობას და შესაძლებლობას, რათა მკვლევარი სიღრმისეულად ჩაწვდეს ისეთ ფუნდამენტურ ცნებების არსში, როგორიც არის დანაშაული და დანაშაულობა, დამნაშავის პიროვნება, დანაშაულ(ობ)ის დეტერმინანტები, პრევენცია, დამნაშავის რესოციალიზაცია და სხვა.

ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება გულისხმობს იმას, რომ კვლევით მიღებული შედეგები შესაძლებელია გამოყენებული იქნას მართლმსაჯულების, სასჯელაღსრულების განხორციელებისა და საკანონმებლო სრულყოფის მიზნით.

გარდა ამისა, კვლევა შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც დამხმარე სასწავლო მასალა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებში, იურიდიულ და თეოლოგიის ფაკულტეტებზე. ამასთან, სადისერტაციო ნაშრომი დააინტერესებს კრიმინოლოგიით დაინტერესებულ მკვლევარებს და საფუძველს დაუდებს, კრიმინოლოგიისთვის სხვა საინტერესო საკითხების სიღრმისეულ კვლევას.

დაბოლოს, თავად ის ფაქტიც, რომ სადისერტაციო თემა ქართულ კრიმინოლოგიაში დაუმუშავებელია, ზრდის ნაშრომის თეორიულ და პრაქტიკულ ღირებულებას.

ნაშრომის სტრუქტურა: ნაშრომი ჯამში შეიცავს 373 გვერდს. ტექსტი აკრეფილია Sylfaen-12-ში. ნაშრომი შეიცავს შესავალს, ოთხ თავს, 12 ქვეთავს, 37 პარაგრაფს, 47 ქვე-პარაგრაფს, 32 ქვეპარაგრაფის პუნქტს, 17 შეჯამებას, დასკვნას და გამოყენებული ლიტერატურის სიას.

I თავი. დანაშაულისა და დანაშაულობის კონცეფცია

1.1 ცოდვის, დანაშაულისა და დანაშაულობის ნორმატიული ბუნება

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში, ადამიანის უფლებათა ფაქტიურად ყველა საერთაშორისო ხელშეკრულებაში, ნებისმიერი ქვეყნის კონსტიტუციაში,[5] ცალკეული ქვეყნის ეროვნულ სისხლისა და საერთაშორისო სისხლის სამართალში, მოქმედებს კანონიერების პრინციპი, *nullum crimen sine lege* „არ არსებობს დანაშაული კანონის გარეშე",[6] რომელსაც აქვს ბიბლიური ეტიმოლოგია, და სრულებითაც არ არის ძველი რომაული აქსიომა.[7] ბიბლიაში წერია:

„სადაც არ არის რჯული, არც დარღვევაა" (რომ. 3, 15); „ცოდვა არ შეირაცხება როცა არ არის რჯული" (რომ. 5, 13); „რჯულის გარეშე ცოდვა მკვდარია" (რომ. 7, 8); „რადგანაც ცოდვამ, მცნებისგან რომ მიიღო საბაბი" (რომ. 7, 8, 11).[8]

შესაბამისად, ცოდვის ნორმატიული ბუნების შესწავლა ობიექტურად მოითხოვს კვლევის დაწყებას ღმერთის მიერ ადამისათვის მიცემული გაფრთხილებით, რადგან სწორედ ამ გაფრთხილების დარღვევით განხორციელდა პირველი ცოდვა ადამიანის მიერ.[9] ბიბლიის პირველ წიგნში, რომელსაც ეწოდება „დაბადება", ვკითხულობთ:

„გააფრთხილა უფალმა ღმერთმა ადამი, უთხრა: ყველა ხის ნაყოფი გეჭმევა ამ ბაღში; მხოლოდ კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხის ნაყოფი არ ჭამო, რადგან როგორც კი შეჭამ მოკვდები" (დაბ. 2, 16-17).

თავდაპირველად შევნიშნავთ, რომ სიტყვა „ნორმა" *(ლათ. norma)*, „ვებსტერის" ლექსიკონში განიმარტება, როგორც: 1. სავალდებულო წესი ან სტანდარტი; 2. ქცევის სტანდარტი ან ეთიკური ღირებულება: მაქსიმა; მართებული ქცევის პრინციპი; განსაკუთრებით იმპერატიული განცხადება, რომელიც ადასტურებს ან უარყოფს, რომ რაღაც უნდა გაკეთდეს ან, რომ რაღაცას აქვს ღირებულება; 3. იდეალური სტანდარტი, რომელიც სავალდებულოა ჯგუფის წევრებისთვის, და მიზანად ისახავს გააკონტროლოს, ან დაარეგულიროს მართებული და მისაღები საქციელი.[10]

---

[5] იხ. *Schabas W.,* Unimaginable Atrocities, Justice, Politics, and Rights at the War Crimes Tribunals, Oxford University Press, London, UK, 2012, 27.

[6] 1. იხ. *Kedia B.*, Nullum Crimen Sine Lege in International Criminal Law: Myth or Fact?, International Journal of International Law (Volume 1 Issue 2), 2015, 1-2; 2, <www.law.cornell.edu/wex/nullum_crimen_sine_lege>, (მოპოვების თარიღი: 01.01.2015).

[7] იხ. *Gilling J.L.*, Criminology and Penology Vol. 1, USA, 1929, 11.

[8] დისერტაციაში ციტირებული ბიბლიის მუხლები ძირითადად აღებულია თანამედროვე ქართულ ენაზე თარგმნილი ბიბლიის ტექსტიდან, რომელიც ხელმისაწვდომია საპატრიარქოს რადიო ივერიის FM 105.4-ის, ვებ-გვერდზე: <https://www.orthodoxy.ge/tsmidatserili.htm>, (მოპოვების თარიღი: 01.01. 2015).

[9] მართალია, „ცოდვა რჯულამდეც იყო ქვეყნად, ..." (რომ. 5, 13), მაგრამ ჩვენი მიზანია გამოვიკვლიოთ იმ პირველი ნორმის დარღვევა, რომელსაც მოჰყვა ადამიანური ცოდვა.

[10] იხ. Webster's Third New International Dictionary of the English Language Unabrudged, (Editor in Chief *Philip Babcock Gove* Ph.D and the Mariam Webster Editorial staff), Sringfield, Massachusetts, USA, 1981, 1540.

ნორმატივიზმის ფუძემდებლის, *ჰანს კელზენის* მიხედვით, „ნორმაში ჩვენ ვგულისხმობთ რაღაცას, რაც *უნდა* იყოს, ან რაც *უნდა* მოხდეს. განსაკუთრებით იმას, რომ ადამიანი უნდა მოიქცეს კონკრეტულად.[11] „ნორმა არის ქმედების შინაარსი, რომლითაც კონკრეტული საქციელია ნაბრძანები, განსაზღვრული ან ნებადართული".[12] რაც შეეხება სამართლებრივ ნორმას, *ჰ. კელზენი* აღნიშნავს, რომ „იგი აღნიშნავს ადამიანის ქცევის რეგულირებას და, იგი არეგულირებს ადამიანის ქცევას იძულებითი ღონისძიების უზრუნველყოფით, როგორიც არის სანქცია."[13]

თუკი ნორმის კონცეფციიდან ამოვალთ, გამოდის, რომ ადამის გაფრთხილებით, ღმერთმა დაადგენა ნორმა, რადგან დათქმა *„კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხის ნაყოფი არ ჭამო"* (დაბ. 2, 16), გამოხატავს კონკრეტულ ჯერარსულ ქცევის წესს, ჰიპოთეზას („თუ"). ხოლო, დათქმა *„რადგან როგორც კი შეჭამ მოკვდები"* (დაბ. 2, 17) არის პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი დისპოზიცია („მაშინ"), სასჯელით.

კვლევის ამ ეტაპზეც დგინდება, რომ ცოდვა არის ნორმის დარღვევა. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ დანაშაული და დანაშაულობაც, თავის მხრივ, გულისხმობს ნორმის დარღვევას,[14] შესაძლებლებელია გაკეთდეს წინმსწრები ხასიათის დასკვნა, რომ დანაშაული და დანაშაულობა ცოდვის გამოვლინების ფორმებია. გარდა ამისა, უნდა გამოიყოს შემდეგი ასპექტები:

1. ცოდვის ნორმატიული ბუნების კვლევისთვის უმთავრესია ქცევის წესის, ანუ ნორმის ნიშნის განსაზღვრა;

2. ნორმატიულობა არის ცოდვის, დანაშაულისა და დანაშაულობის საერთო დამახასიათებელი ნიშანი;

3. კანონიერების პრინციპი სათავეს იღებს პირველი გაფრთხილებიდან და ცოდვიდან, რადგან პირველი ცოდვა, გამოხატავს რა ნორმის (გაფრთხილების) დარღვევას, რომელსაც თან ახლავს სასჯელი (მოკვდინება), სხვა არაფერია თუ არა კანონიერების პრინციპი, რომლის ფორმულა გამოიყურება შემდეგნაირად: „არ არსებობს

---

[11] იხ. *Kelsen H.*, Pure Theory of Law, (translation from the Second (revised and enlarged) German edition by Max Knight), The Lawbook Exchange LTD, Clark, New Jersey, USA, 2005, 4.

[12] იხ., იქვე, 5.

[13] *Kelsen H.*, General Theory of Law and State, (The 20th Century Legal Phylosophy Series, tr. by Anders Wedberg, third printing 2009), Harvard University Press, Cambridge, Massachusetts, USA, 1949, 123.

[14] 1. სამართლებრივად, „დანაშაული" არის სისხლისამართლებრივი ნორმის დარღვევა; 2. კრიმინოლოგიაში „დანაშაულობა", როგორც სოციალურ-სამართლებრივი მოვლენა, გულისხმობს „ანომიას", რაც სიტყვა-სიტყვით ითარგმნება, როგორც „უნორმატიულობა" და მოიაზრებს სისხლის სამართლის კანონში გათვალისწინებული ყველა დანაშაულის დარღვევასაც. ანომია თეოლოგიური კონცეფციაა, რომელმაც თავისი განვითარება ჰპოვა კრიმინოლოგიაშიც, იხ. *წულაია ზ.*, კრიმინოლოგია (ზოგადი და კერძო ნაწილი), გამომც., „ინტელექტი", თბ., 2005, 187.

ცოდვა, არ არსებობს სასჯელი, ნორმის გარეშე“, რაც იგივეა *nullum crimen, nulla pena sine lege*, „არ არსებობს დანაშაული, არ არსებობს სასჯელი კანონის გარეშე“.[15]

ბუნებრივია, კვლევა ამით ვერ ამოიწურება, რადგან ჯერ კიდევ გასარკვევია, თუ რამდენად მართებულია მხოლოდ ნორმატიული ნიშნით, ცოდვის დანაშაულთან და დანაშაულობასთან გაიგივება. როგორც ცნობილია: ა) მეცნიერებაში ნორმათა ტიპოლოგიის თანახმად, ღმერთის გაფრთხილება, განეკუთვნება საღვთო, და არა სახელმწიფოს მიერ დადგენილ, პოზიტიური სამართლის ნორმათა კატეგორიას და, რაც ყველაზე მთავარია, ბ) ***თომას ჰობსის*** სიტყვებით თუ ვიტყვით, *auctoritas, non veritas facit legem*, „ხელისუფლება, და არა ჭეშმარიტება, განსაზღვრავს სამართალს“.[16] სამართალი კი, როგორც ამას *ჰ. კელზენი* აღნიშნავს, არის ნორმატიული წესრიგი, ნორმათა სისტემა,[17] რომლის მდგომარეობა გამოიხატება სახელმწიფოს პერსონიფიკაციაში.[18]

ამგვარად, იმისთვის, რომ დავადგინოთ მართლმადიდებლური ქრისტიანული მოძღვრების დამოკიდებულება სახელმწიფოს (პოზიტიური) სამართლის ნორმის დარღვევასთან მიმართებაში, უნდა გავაანალიზოთ სახელმწიფოსა და სამართლის საკითხი ბიბლიაში.

1.1.1 სახელმწიფოსა და სამართალის კონცეპტი ძველ აღთქმაში

1.1.1.1 სახელმწიფო და სამართალი პირველქმნილ ადამიანთა საზოგადოებაში

ბიბლიიდან ვგებულობთ, რომ ღმერთი, თავის მსგავსად და ხატად ქმნის პირველ ადამიანებს (დაბ. 1, 26-27) და უფლებას აძლევს მათ დაეუფლონ დედამიწას (დაბ. 1. 28-30).

წმ. *ეფრემ ასურის* შესაქმის განმარტებაში ვკითხულობთ, რომ ადამიანმა მიწასა და ყოველივეზე მიიღო ხელმწიფება, რაც გულისხმობს ღმერთის ხატებას: „რომელიც ფლობს ზეციურსაც და მიწიერსაც.“[19]

წმ. *იოანე ოქროპირის* განმარტებით, ადამიანის ღვთის ხატებაში იგულისხმება ხელმწიფების ხატება, რომ წერილი არსობრივ ხატებას კი არ გულისხმობს, არამედ მფლობელობითს.[20] ასეთი მდგომარეობიდან გამომდინარე მხეცებს ეშინოდათ

---

[15] კანონიერების პრინციპი, სათავეს იღებს ანგელოზის მიერ ცოდვის ჩადენის მომენტიდან. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ წინამდებარე დისერტაციის პარაგრაფი: 3.1.1 პირველი ცოდვის მიზეზი ტრანსცენდენტულ სამყაროში.

[16] 1. იხ. Pluralism and Law: State, Nation, Community, Civil Society, Vol. 2, (ed. *Arend Soetemen*), Proceedings of the 20th World Congress, Amsterdam 2001, 10; 2. იხ. *ხუბუა გ.*, სამართლის თეორია, თბ., 2015, 65 (პ. 160); 3. იხ. *ხუბუა გ.*, *სამართლის თეორია*, თბ., 2004, 51 (პ. 134).

[17] იხ. *Kelsen H.*, General Theory of Norms (tr. by *M. Hartney*), Oxford, 1991, 330.

[18] იხ., იქვე, 298.

[19] *ღირსი ეფრემ ასური*, შესაქმის განმარტება (რეცენზენტ-რედაქტორი *გ. გვასალია*; მთარგმნ.: *გ. გველესიანი, სლ. ჩხიკვაძე*), შპს„ფავორიტი სტილი“, თბ., 2014, 28.

[20] იხ. *წმინდა იოანე ოქროპირი*, ჰომილიები, II ტ., შესაქმის განმარტება, მეორე ნაწილი (რედ. *თ. გოგოჩაშვილი*), გამომც. „ალილო“, თბ., 2015, 300, 303.

ადამიანის და ცახცახებდნენ მისი, როგორც მბრძანებლის წინაშე. ადამის ხელმწიფება ვლინდებოდა იმაშიც, რომ „ღმერთმა მიგვარა ადამს, რომ ენახა, რას დაარქმევდა რომელ სულდგმულს“ (დაბ. 2, 19). ადამი სახელს არქმევს ყველა სულდგმულს, რაც არის მეუფების ნიშანი[21] და სამეფო პატივი.[22]

ღირსი *მამა მაკარი ეგვიპტელი* ადამზე ამბობს: „უფალმა ამა საუკუნის (ქვეყნის) და ყოველივე ხილულის მთავრად დაადგინა ადამიანი. ვერც ცეცხლი სძლევდა მას, ვერც წყალი ახრჩობდა და ვერც მხეცი ავნებდა რამეს.“[23]

წმ. იოანე დამასკელის მიხედვით, „მცნების დარღვევამდე ადამიანს ყოველი ჰმორჩილებდა, რადგანაც ღვთისგან ყველაფრის მთავრად იყო დადგენილი, რაიც კი მიწაზე და წყალშია.“[24] მისივე განმარტებით, ღმერთმა ადამიანი შექმნა, როგორც „მიწისეულთა მეფე, ზენა მეუფებას დაქვემდებარებული.“[25]

დოგმატურ ღვთისმეტყველებაში ვკითხულობთ, რომ ადამიანის ღვთის ხატებით, ღმერთმა გამოკვეთა ადამიანის განსაკუთრებული დანიშნულება, რომ იყოს მეფე - დაიტიოს თავისთავში ყოველი ხილული ქმნილების არსებობის მიზანი და როგორც შუამავალმა, შეძლოს ყოველთვის ღმერთთან შეერთება. ამით შეინარჩუნოს მიწიერ ქმნილებათა მთელი ჯაჭვის მწყობრი კავშირი და წესრიგი.[26]

ვინაიდან ფილოსოფია მეცნიერებათა მეთოდოლოგიური საფუძველია,[27] ხოლო კრიმინოლოგიური ანალიზი ფილოსოფიურ ანალიზსაც გულისხმობს,[28] ძველი ბერძენი ფილოსოფოსი და მეცნიერის, *არისტოტელეს* ტერმინოგოლგიით შეიძლება ითქვას, რომ „ადამიანის ენტელეხიაა სახელმწიფო. ადამიანში დევს სახელმწიფო, როგორც მიზნობრივი მიზეზი, როგორც მისი შინაგანი მისწრაფება, მიზანმიმართულება, როგორც ტელეოლოგია, როგორც ადამიანის მამოძრავებელი ძალა და საბოლოო მიზანი“.[29] *არისტოტელეს* თვალსაზრისით, ხელისუფლების წარმომშობი ძირები და მისი

---

[21] იხ., იქვე, 304.

[22] იხ., იქვე, 306.

[23] მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიის მოძღვრების საფუძვლები (შემდგ. *დ. შოვნაძე, ნ. ჩაჩიბაია*), დაიბეჭდა შპს„ფავორიტი პრინტში“, თბ., 2013, 40.

[24] ბიბლია განმარტებებით (პროექტის ავტორი და რედაქტორი *თ. მამაცაშვილი*), გამომც. „პალიტრა L”, თბ., 2019, 31.

[25] *იოანე დამასკელი*, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, (რედ. *ე. ჭელიძე*), გრიგოლ ხანძთელის სახელობის ფონდი, თბ., 2012, 104.

[26] *Митр. Макарий*, Православное Догматическое Богословие, т.1. ц. 430-431., იხ. *პროტოპრისვეტერი მიხეილ პომაზანსკი* დოგმატური ღვთისმეტყველება (რედაქტორ-რეცენზენტი *იღუმენი დოსითეოსი (ბოგვერაძე)*; მთრგმნ. *ნ. ბელთაძე*), მესამე შესწორებული გამოცემა, თბ., 2012, 88.

[27] იხ. *ნაჭყებია გ.*, სისხლის სამართლის მეცნიერების საგანი (რედ. *ზ. წულაია*), გამომც. „მერიდიანი“, თბ., 1998, 175.

[28] იხ. *ბახტაძე უ.*, კრიმინალიზაციის პროცესის კრიმინოლოგიური ანალიზი (სადისერტაციო ნაშრომი), თბ., 2019, 217.

[29] *Зубов В. П.*, Аристотель М., 1963. С. 77., ნაშრომიდან: *გორგოშაძე მ.*, სამართლის ფილოსოფიის საკითხები, ბათუმი, 2009, 32.

საყრდენი ადამიანის ფსიქიკაშია,[30] ხოლო ყოველ ოჯახში უფროსი აღჭურვილია მეფის უფლებამოსილებით.[31]

ღმერთის მიერ ადამისთვის ქვეყნის მართვის უფლების მინიჭებასთან დაკავშირებით, ისიც უნდა ითქვას, რომ თავად სიტყვა „უფლება“ განიმარტება, როგორც „მთავრობა“, „მეუფება“, „ბატონობა“ და "„გაბატონება“.[32]

დაბოლოს, ბიბლეისტ *ბენ დანსონის* აზრით, „ადამს, როგორც მეფეს, ევალება ქვეყნის მართვა და ექვემდებარება ღმერთს, ჭეშმარიტად ყოველივეს მეფეს. ამ თვალსაზრისით ღმერთი მეფობს მის შექმნილზე და ადამის მეშვეობით.“[33]

გარდა იმისა, რომ ღმერთმა ადამიანი თავის ხატად შექმნა და მიანიჭა ქვეყანაზე ხელმწიფების უფლება, იგი ასევე გააფრთხილა არ ეჭამა კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხის ნაყოფი (დაბ. 2, 16-17), და მის ბუნებაში ჩაბეჭდა ცნობა შჯულისა - სინდისი (*წმ. კასიანე რომაელი, წმ. აბა სერენი, წმ. ნიკოდიმოს მთაწმინდელი*),[34] ანუ იგივე საღვთო შინაგანი სჯული.[35] როგორც *ბერი პაისი* აღნიშნავს, „სინდისი ღვთის პირველ კანონს წარმოადგენს, რომელიც მას პირველქმნილ ადამიანთა გულებში ღრმად გამოსახა და რომელსაც შემდგომში ყოველი ჩვენგანი დაბადებიდანვე, როგორც ქსეროასლს, მშობლებისაგან ვიღებთ.“[36] წმიდა მამათა სწავლებით, სინდისი სიკეთისა და ბოროტების მცნობელი გონებაა, რომელიც ღმერთმა ბოროტების სამხილებლად დანერგა ადამიანში,[37] რომ ნებისმიერ რამეში მრჩევლად და წესად ღვთის შემდგომ სინდისი გვყავდეს (*წმ. იოანე სინელი*).[38]

ბიბლიაში აღწერილი მოვლენები დაგვანახებს, რომ პირველქმნილი ადამიანები არ ემორჩილებიან შინაგან სჯულს, დაარღვევენ გაფრთხილებას და ჩაიდენენ ცოდვას

---

[30] *გორგოშაძე მ.*, ხელისუფლება, ნება, სამართალი, იხ.: ფილოსოფიური ძიებანი, კრებული №15, (რედ. *ს. ავალიანი*), თბ., 2011, 161.

[31] 1. იხ. *აბაშმაძე ვ.*, ნარკვევები პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან II (მონათმფლობელური ეპოქა; ანტიკური სამყაროს ქვეყნები), გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1977, 313; 2. იხ. Aristotle, Politics (tr. by *C.D.C. Reeve*), “Hackett Publishing”, 1998. 3.

[32] იხ. *ცინცაძე მ.*, იოანე სინელის „კიბის“ ექვთიმე ათონელისეული თარგმანი და მისი ენა (სადისერტაციო ნაშრომი), ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, 1965, 58.

[33] *Dr. Ben C. Dunson*, The Kingdom of God in the Old Testament: Kingship and Creation, 2015, იხ.: <www.ligonier.org/blog/kingdom-god-old-testament-kingship-and-creation>, (მოპოვების თარიღი: 01.02. 2015).

[34] 1. იხ. ინტერნეტ ინფორმაცია „სინდისის შესახებ”, <www.martlmadidebloba.ge/ganmarteba20.html>, (მოპოვების თარიღი: 01.02. 2015); 2. იხ. *წმ. ნიკოდიმოს მთაწმინდელი*, უხილავი ბრძოლა (რედ. *გ. წულაძე*; ბერძნულიდან თარგმნა *ე. დუღაშვილმა*;), გამომც., „ახალი ივერიონი“, თბ., 158.

[35] 1. იხ. ათი მცნების განმარტება, თავი მეორე „საღვთო სჯულისა და მცნებათა შესახებ“ <www.martlmadidebloba.ge/ganmarteba4_sjuli-da-mcnebebi.html>, (მოპოვების თარიღი: 01.02. 2015); 2. ბიბლიის ლექსიკონი (შემდგ. *ბ. გოეცე*), თბ., 2006, 382.

[36] *ბერი პაისი მთაწმინდელი*, სულის საწამლო ბალახები, სერია: მართლმადიდებლის სამაგიდო წიგნი, თბ., 2004, 11.

[37] იხ. *წმინდა იოანე სინელი*, კლემაქსი ანუ კიბე, საეკლესიო ბიბლიოთეკა II (რედ. *ნ. ხურცილავა*, მთრგმნ. *ტ. ცომაია*), მეორე გამოცემა, თბ., 2014, 228.

[38] იხ., იქვე, 229.

(დაბ. 3, 6). ბიბლეისტი *ბ. დანსონი* შენიშნავს, რომ ადამი, არათუ ვერ შეძლებს დედამიწაზე დომინირებას, პირიქით, იგი აუჯანყდება სუვერენს, ყოვლისშემძლე ღმერთს. თუმცა, ღმერთი თავის განზრახვას, რომ იმეფოს მიწიერ ქვეყანაზე ადამიანი-მეფის მეშვეობით, არ მიატოვებს.[39]

პირველი ცოდვის შემდეგ, ღმერთი, პირველქმნილ ადამიანებს განუსაზღვრავს უკვე ქცევის ახალ წესებს, როგორც საკუთრივ მათ, ასევე მათ შთამომავლობას (დაბ. 3, 16-19, 21, 22-23). მიუხედავად ამისა, ადამის შთამომავლობა კვლავაც არ ემორჩილება საღვთო შინაგან სჯულს, რაც გამოიწვევს ადამიანის სრულ გადაგვარდებას (დაბ. 6, 5, 11-12), ნოეს ოჯახის გარდა. იმის გამო, რომ ადამისა და ევას შთამომავლობაში მხოლოდ ნოეს ეპოვა მადლი უფლის თვალში (დაბ. 6, 8), ღმერთი აღთქმას დაუდებს ნოეს, რომ წარღვნას მოავლენდა ქვეყანაზე (დაბ. 7, 6), ხოლო მის ოჯახს გადაარჩენდა (დაბ. 6, 18). წარღვნამდე, ღმერთი ნოეს უწესებს კონკრეტულ ქცევის წესებს, თუ როგორ უნდა მოიქცეს, რათა გადაარჩინოს კაცობრიობა და ცოცხალი არსებანი (დაბ. 6, 13-22; 7, 1-4; 8, 15-17). წარღვნის შემდეგ კი, ღმერთი ადამის მსგავსად, უკვე ნოეს აძლევს უფლებას, რომ ინაყოფიეროს, გამრავლდეს და აავსოს ქვეყანა. განუსაზღვრავს ცხოვრების წესებს, აკრძალვებს და სასჯელს მათი დარღვევისთვის (დაბ. 9, 1-7).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ირკვევა, რომ ხილულ ქვეყანაზე სახელმწიფოსა და სამართალს აქვს ღვთიური ონტოლოგია. ღმერთმა პირველქმნილ ადამიანს უბოძა ხელმწიფების უფლება მიწაზე და ყოველივეზე. ხელმწიფება, უნდა გავიგოთ, როგორც მიწიერ ქვეყანაზე „არაფორმალური სახელმწიფოს“ დაფუძნებისა და მართვის კონცეფცია, რომლის სამართალში მოიაზრება ის დაუწერელი საღვთო ნორმათა ერთობლიობა, რომელიც უკავშირდება ქვეყნის დაუფლებასა და მართვას, პირველ გაფრთხილებას და შინაგან სჯულს, რომელთა დარღვევა არის ცოდვა. დოგმატურ ღვთისმეტყველებაში ვკითხულობთ, რომ „ღვთის ნების, მისი მცნებებისა და ადამიანის სინდისში ჩაწერილი ზნეობრივი კანონების დარღვევას ეწოდება ცოდვა“.[40]

ამრიგად, მართალია, სახელმწიფოსა და სამართალის კონცეფცია მომდინარეობს ღმერთიდან, რომლის ნებაა ადამიანმა მართოს მთელი ქვეყანა ღვთის მცნებებით და საღვთო შინაგანი ბუნებითი სჯულით (სინდისით), თუმცა, საბოლოოდ ღმერთი მეფობს ადამიანი-მეფის მეშვეობით და ღმერთია ყველას მეფე, კანონმდებელი და მსაჯული.

---

[39] *Dr. Ben C. Dunson*, The Kingdom of God in the Old Testament: Kingship and Creation, 2015, იხ. <www.ligonier.org/blog/kingdom-god-old-testament-kingship-and-creation>, (მოპოვების თარიღი: 01.02. 2015).

[40] *პროტოპრისვეტერი მიხეილ პომაზანსკი*, დოგმატური ღვთისმეტყველება (რედაქტორ-რეცენზენტი *იღუმენი დოსითეოსი (ბოგვერაძე)*; მთრგმნ. *ნ. ბელთაძე*), საგამომცემლო ცენტრი „ლაზარე“, თბ., 2006, 123.

1.1.1.2. ისრაელის სახელმწიფო და სამართალი

1.1.1.2.1. ძველი ისრაელი

ძველ ისრაელში მეფობის დაარსებამდე, ცნობილი იყო ერთადერთი ნამდვილი თეოკრატია, - მსაჯულთა სისტემა. მსაჯულები იყვნენ ღვთისაგან გამორჩეული წინასწარმეტყველები, რომლებიც ხალხს უცხადებდნენ ღვთის ნებას და საჭიროების შემთხვევაში სასამართლო, პოლიტიკურ და სამხედრო ფუნქციას ტვირთულობდნენ. მსაჯული იყო მხოლოდ ღვთის ნების გამომცხადებელი, ხოლო ერის რეალურ მმართველად აღიარებული იყო თავად ღმერთი.[41] ძველი აღთქმის საღვთო ისტორიაში ვკითხულობთ, რომ ადამის სიკვდილის შემდგომ ოჯახს განაგებდა ჩამომავლობაში უხუცესი, რომელიც იწოდებოდა პატრიარქად, ანუ მამამთავრად. მას ემორჩილებოდა ოჯახის ყველა წევრი, არჩევდა სადავო საქმეებს, დამნაშავეს სჯიდა, მართალს იფარავდა, გადასცემდა სწავლას ღმერთზე, მომავალ მაცხოვარზე, სწირავდა ღმერთს მსხვერპლს და ა.შ. ამგვარად, მამამთავარი იყო თავის ჩამომავლობაში მეფეც, მღვდელიც და მასწავლებელიც.[42]

ბიბლიის ტექსტში იუდეის შტოს მამათავართა დასახასიათებლად, ტერმინები „მსაჯული“, „უხუცესი“, „პატრიარქი“, „წინასწარმეტყველი“, „მამამთავარი“ და „მეფე“ ურთიერთმონაცვლეობით გამოიყენება. შესაბამისად, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე და ლინგვისტური თვალსაზრისით, მიზანშეწონილია გამოვიყენოთ სიტყვა „მეფე“, რადგან იგი თავის თავში აერთიანებს ყველა ჩამოთვლილ ტერმინთა შინაარსს, შედარებით ყველაზე ხშირად გამოიყენება რელიგიურ ლიტერატურაში,[43] და შედარებით ყველაზე ზუსტად გამოხატავს ზოგადად სახელმწიფოს მმართველის სტატუსს.[44]

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ადამისა და ნოეს შემდგომ, აბრაამი და იუდეის შტოს სხვა დანარჩენი მამამთავარები, უხუცესები და ა.შ. ასევე ითვლებიან მეფეებად არაფორმალური გაგებით.

---

[41] იხ. *ქუტაშვილი ა.*, ეკლესია და მონარქია: თეოლოგიური ანალიზი, ციტირებულია: „ფილოსოფიურ-თეოლოგიური მიმომხილველი“, № I, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2011, 125.

[42] იხ. ძველი აღთქმის საღვთო ისტორია, (შემდგენელი და გამომცემელი, *დეკ. ნ. ყუბანეიშვილი*), მეორე გამოცემა, გამომც. „მეცნიერება“, თბ., 1990, 11.

[43] მაგ.: 1. *Dr. Ben C. Dunson.*, სტატიაში „The Kingdom of God in the Old Testament: Kingship and Creation, 2015, იხ. <www.ligonier.org/blog/kingdom-god-old-testament-kingship-and-creation>, (მოპოვების თარიღი: 01.02. 2015), ადამს მოიხსენიებს, „ადამიან-მეფედ“; 2. იხ. ძველი აღთქმის საღვთო ისტორიაში, იუდეის შტოს მამათავრები მოიხსენიება მეფეებად, და ა.შ., იხ: ძველი აღთქმის საღვთო ისტორია, (შემდგენელი და გამომცემელი, *დეკ. ნ. ყუბანეიშვილი*), მეორე გამოცემა, გამომც. „მეცნიერება“, თბ., 1990, 11.

[44] ღმერთის განჩინებით, დედამიწაზე მცხოვრები ყველა ერი და ტომი ყოველთვის კაცობრიობის ისტორიის განმავლობაში მოწყობილი იყო მონარქიის პრინციპით, რომლის სახელმწიფოს სათავეში იდგა მეფე. იხ. *ბურკაძე ვ.*, მონარქიული მმართველობის პერსპექტივა აპუსტასირებულ მსოფლიოში, ციტირებულია: *მართლმადიდებლობა და თანამედროვეობა*, კრებული მესამე (გამომცემელი *დ. სიხარულიძე*, შემდგ. *ზ. ქუთათელაძე*, მთ. რედ. *ვ. ბურკაძე*) თბ., 2012, 89.

ძველი აღთქმის ტექსტიდან ირკვევა, რომ არც ნოეს მოდგმა დაემორჩილება საღვთო სამართალს და ქვეყანაზე კერპთაყვანისმცემლობა გავრცელდება.[45] ამიტომ, ღმერთი ინებებს ერთი ხალხის სხვა ხალხთაგან განშორებას, რათა ერთ ხალხში დაცული ყოფილიყო ჭეშმარიტი სარწმუნოება მაცხოვრის განხორციელებამდე (გამ. 2, 24-25). ეს ღვთისგან რჩეული ხალხი არის ებრაელები, იუდეის შტოდან.[46] ღმერთი გამოცხადებაში აღუთქვამს აბრაამს შთამომავლობაში მეფეების არსებობაზე (დაბ. 17, 6), შემდეგ კი, მის შვილს, ისაკს (დაბ. 26, 3). იგივე აღთქმა ღმერთის მიერ მეორდება იაკობთან გამოცხადებისას (დაბ. 26, 3-4; დაბ. 35, 9-12; გამ. 6, 8). ეს ის გამოცხადებაა, რომლითაც სამამამთავრო თეოკრატიის საიდუმლოა ახსნილი.[47] გარდა ამისა, იაკობი, იუდას წინასწარმეტყველური კურთხევის დროს, ასევე საუბრობს მეფეებზე, რომლებიც წარმოიშობიან იუდას შტოდან „*ხალხთა იმედის*“ მოსვლამდე (დაბ. 49. 10).[48] ღმერთი დებს ანდერძს, იძლევა ბრძანებებს, განსაზღვრავს მცნებებს და სჯულდებებს (დაბ. 26, 5). მოსე წინასწარ ჭვრეტს ისრაელში სამეფო მმართველობის დადგომას და ამიტომაც, ხალხს სახელმძღვანელოდ აძლევს მეფის არჩევასთან დაკავშირებულ მითითებებს. მოსე, ასევე იძლევა მითითებებს მომავალი მეფისათვის, მისი ცხოვრებისა და ქცევის წესებთან დაკავშირებით (რჯლ. 17).[49]

ნორმატიულ მასალას შეიცავს ისრაელის ერის ეგვიპტიდან გამოყვანის ეპიზოდიც. ღმერთი ეგვიპტის ფარაონთან გზავნის მოსეს (გამ. 3, 10) და უწესებს მთელ რიგ ნორმებს (იხ. გამოსვლის 4-12-ე თავები). ისრაელის ხალხის ეგვიპტიდან გამოსვლის შემდეგ კი, ღმერთი ისრაელის ხალხს დაუდგენს წესსა და სამართალს (გამ. 15, 25) და სხვადასხვა სახის ნორმებს (გამ. 20-31, 33-40 თავები).

საინტერესო ცნობებს შეიცავს ბიბლიის ის მუხლებიც, რომლებშიც აღწერილია მოსესა და მისი სიმამრის ითროს საუბარი. კერძოდ, მოსე, თავის სიმამრს ეუბნება:

> „როცა რაიმე საქმე გაუჩნდებათ, ჩემთან მოდიან და მეც განვსჯი მათ სამართალს, ვუცხადებ ღვთის წესებსა და რჯულს“ (გამ. 18, 16). ითრო კი, ურჩევს მოსეს: „... იყავი ხალხის შუამავალი ღმერთთან და წარუდგინე ღმერთს მათი სარჩელი. ასწავლე მათ წესები და რჯული, ...“ (გამ. 18, 19, 20).

---

[45] დაბ. 11, 8-9; 13, 13; 14, 2; 1 მეფ. 8, 5, 19-20; იესო 24, 2.

[46] იხ. ძველი აღთქმის საღვთო ისტორია, (შემდგენელი და გამომცემელი, *დეკ. ნ. ყუბანეიშვილი*), მეორე გამოცემა, გამომც. „მეცნიერება“, თბ., 1990, 15-16.

[47] იხ. *გვასალია გ.*, შესაქმის განმარტება, სერია „ეგზეგეტიკური კრებული” - ტომი I, შპს გამომცემლობა „შემოქმედი ანგელოზი“, თბ., 2014, 582.

[48] იხ. *ლოპუხინი ალ.*, ბიბლიის განმარტებანი III, (გამომც. რედ. *დეკ. ზ. ძინძიბაძე*, მთრგმნ. *თ. მეტრეველი*), გამომც. "დარასი“, თბ., 2000, 55.

[49] იხ., იქვე, 55.

აღნიშნული მუხლებიდან ცხადი ხდება, რომ ისრაელის ხალხში, საღვთო სამართალთან ერთად, ასევე მოქმედებს „ხალხის სამართალი“, იგივე ტრადიცია, ჩვეულება და ადათი,[50] რასაც ადასტურებს „გამოსვლის“ სხვა მუხლებიც.

მაგალითად, ძველ დროში შურისძიება ნაკურთხი იყო ადათით და წარმოადგენდა თითქმის ერთადერთ საშუალებას, რაც პიროვნების ხელშეუხებლობას იცავდა. შურისძიებით შეურაცხმყოფელის თავიდან აცილების ადათი ებრაელებსაც ჰქონდათ და ისინიც, როგორც ჩანს, იმდენად ხშირად იყენებდნენ მას, რომ მოსემ აუცილებლად მიიჩნია, შურისძიებისაგან დაეცვა ისინი, რომლებიც მკვლელობას უნებლიედ სჩადიოდნენ.[51]

გარდა ამისა, ღმერთი მოსეს ეტყვის „ვხედავ ამ ხალხს, თვითრჯული ყოფილა ეს ხალხი“ (გამ. 32, 9), „... თვითრჯული ხალხი ხართ ... .“ (გამ. 33, 3). მეორე რჯულის წიგნში, ვკითხულობთ: „უფლის წინაშე მიიტანა მოსემ მათი სამართალი“ (რჯლ. 27, 6), რომელშიც, იგულისხმება უბრალო ხალხის სამართალი.

განსაკუთრებით საყურადღებოა გამოსვლის მე-20-ე თავში დაუწერელი ნორმების სახით მოცემული ათი მცნება (გამ. 20, 1-17), რომელიც შემდგომ, მცირედი განსხვავებით, უკვე გარეგანი სჯულის, ანუ წერილობითი ნორმების სახით ფიქსირდება ძველ აღთქმის ჯერ 24-ე, ხოლო შემდეგ 34-ე თავში.[52]

გამოსვლის 24-ე თავში ვკითხულობთ, „დაწერა მოსემ უფლის სიტყვები...; აიღო აღთქმის წიგნი...“ (გამ. 24, 4, 7), რომელიც შეეხება გამოსვლის 20-21-ე თავებში აღწერილ ათ მცნებას და მასთან დაკავშირებულ წესებს. აღნიშნული წესები არეგულირებენ საზოგადოებრივი ურთიერთობის სხვადასხვა სფეროებს,[53] ქმედებებს, რომლებიც კრძალავენ ყოველგვარ ძალადობას, მოსალოდნელ სასჯელებს მათი დარღვევის შემთხვევაში და ა.შ. (გამ. 21, 12-36).[54]

გამოსვლის 24-ე თავში, ასევე აღწერილია წერილობითი სამართლის ძეგლის შექმნაც. კერძოდ, ღმერთი მოსეს ეუბნება „... მოგცემ ფიქალებს - რჯულსა და მცნებებს, მათ დასამოძღვრად რომ დავწერე” (გამ. 24, 12). სინას მთაზე ღმერთისგან მოსე ისმენს

---

[50] დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ წინამდებარე დისერტაციის პარაგრაფი: 1.2.2.3 ნორმატიული ტერმინოლოგია - „ტრადიცია ჩვეულება (ადათი)“.

[51] სახარების განმარტება, წიგნი II, (შემდგ. *ბ. ი. გლადკოვი*; მთრგმნ. *რ. ქებურია, ი. ქებურია* და *ქ. ჯანიაშვილი*) თბ., 2016, 59.

[52] თუმცა, წერილობითი სახით, ნორმის დაწესების პირველი ცნობა გვხვდება გამოსვლის წიგნის მე-17 თავში, „*უთხრა უფალმა მოსეს: სამახსოვროდ ჩასწერე ეს წიგნში...*“ (გამ. 17, 14).

[53] 1. მეპატრონისა და მსახურის უფლება-მოვალეობები (გამ. 21, 2-6); 2. სასჯელები პიროვნების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებზე (გამ. 21, 12-17).

[54] 1. მკვლელობა (გამ. 21, 12-14); 2. ადამიანის გატაცებასთან (გამ. 21, 16); 3. სხეულის დაზიანებასთან (გამ. 21, 18-19); 4. მოსამსახურის გამოსწორებასთან (გამ. 21, 20-21); ორსული ქალისთვის ზიანის მიყენება (გამ. 21, 22-23); შურისძიების კანონი (გამ. 21, 24-25); მოსამსახურის დასახიჩრება (გამ. 21, 26-27); პირუტყვის მიერ ადამიანისთვის სხეულის დაზიანება (გამ. 21, 28-32); ცხოველის დაზიანება (გამ. 21, 33-34); პირუტყვების ორთაბრძოლა (გამ. 21, 35-36).

მთელ რიგ წესებს, (გამოსვლის 25-30-ე თავები). 31-ე და 32-ე თავები კი, გვამცნობენ ღმერთის მიერ მოსესთვის ორ ფიქალზე დაწერილი ათი მცნების გადაცემას (გამ. 31, 18; 32, 15-16; 34, 1), - „აღთქმის სიტყვები, ათი სიტყვა“ (გამ. 34, 28), „ათი მცნება“, ანუ „კანონი“.[55]

საყურადღებოა, რომ აღნიშნული ათი მცნება, საფუძვლად დაედო არა მარტო ქრისტიანულ, არამედ საერთოდ ყოველგვარ მორალს. ისინი, საერთოდ, ადამიანური ქცევის ნორმებად იქცნენ და შეიძინეს ზოგადსაკაცობრიო[56] და სამართლებრივი მნიშვნელობა.[57]

გ. თოდრია აღნიშნავს, რომ ქრისტიანულ რელიგიაში მტკიცებულებების სისტემების აგება დამყარებულია არა მხოლოდ ერთი ხალხის მასალაზე, მაგალითად, იუდეველებზე, არამედ მთელი კაცობრიობის მასალაზე. ამიტომ, აქ უკვე ჩადებულია ზნეობრიობის კანონის (კანონზომიერების) წინარე ნიმუში, რომელსაც თანამედროვენი უწოდებენ საერთო საკაცობრიო ფასეულობებს, ბუნებითი სამართლის იდეებს და ა.შ.[58]

1.1.1.2.2. მღვდელთა სამეფო

სწორედ ამ ეტაპზე ღმერთი მოსეს აღუთქვამს ისრაელის ხალხში მღვდელთა სამეფოს შექმნას. ღმერთის მიერ ებრაელი ხალხის მიმართ დადებულ აღთქმაში ვკითხულობთ: „... მღვდელთა სამეფოდ და წმიდა ერად მეყოლებით“ (გამ. 19. 5-6). ბიბლიის კომენტარებში ვკითხულობთ, რომ ებრაელები იქნებიან არა მღვდლების კავშირი ან საკრებულო, არამედ „სამეფო“, რადგანაც ისინი მინიჭებული უფლების თანახმად, მიიღებენ მეფურ, გაბატონებულ მდგომარეობას სხვა ხალხებს შორის (რჯლ. 26, 16-19). როგორც მღვდელთა სამეფო, ებრაელები გახდებიან „წმინდა ხალხი“ განწმენდილნი საღვთო სჯულის ცოდვებისაგან (ლევ. 11, 44-45; რჯლ. 14, 2).[59]

მღვდელთა სამეფოზე ცნობები გვხვდება, ახალ აღთქმაშიც. კერძოდ, კათოლიკე და პავლე მოციქულის ექპიტოლენში, და მოციქულ იოანეს გამოცხადებაში:

1. კათოლიკე ეპისტოლენში ვკითხულობთ: „... თქვენა ხართ რჩეული მოდგმა, სამეფო სამღვდელოება, ...” (1 პეტრ. 2, 9).

2. პავლეს ეპისტოლედან ირკვევა, რომ ქრისტე ყველა მორწმუნის მღვდელმთავარი, მომავალი მეფეა და ჭეშმარიტი სამეფო სამღვდელოების საფუძველია:

---

[55] იხ. *ლოპუხინი ალ.*, II ტომი (გამომც. რედ. დეკ. *ზ. ძინძიბაძე*, მთრგმნ. *თ. მეტრეველი*), საგამომცემლო კომპიუტერული ცენტრი „დარასი“, 2000, 103.

[56] იხ. *ექრომაიშვილი ვ.*, ფილოსოფია (გადამუშავებული და შევსებული გამოცემა), გამომც. „კვარი“, თბ., (წელი არ არის მითითებული), 51.

[57] იხ. *ლობჟანიძე გ.*, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, ქუთაისი, 2000, 260.

[58] იხ. *თოდრია გ.*, დანაშაულობა ახალი აღთქმის მიხედვით, „სამი ჯვრის“ მოძღვრება, ჟურნალი „ალმანახი”, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, № 14, 2000, 45.

[59] იხ. *ლოპუხინი ალ.*, II ტ., დასახ. ნაშრ. 100.

„ ... ტახტი შენი, ღმერთო, უკუნითი უკუნისამდე, და კვერთხი სიმართლისა ... .“ (ებრ. 1, 8-9); „... შენა ხარ მღვდელი უკუნისამდე, წესისამებრ მელქისედეკისა“ (ებრ. 5, 5-6).

3. მოციქულ იოანეს გამოცხადებაში ვკითხულობთ: „ვინც მეფეებად და თავისი ღმერთისა და მამის მღვდლებად გვაქცია...“ (გამ. 1, 6). იოანემ ზეცაში ღმერთის ტახტთან მრავალი სულიერი ქმნილება იხილა. ისინი კრავს „ახალ სიმღერას“ უმღეროდნენ: „... , ჩვენი **ღვთის სამეფოდ** და **მღვდლებად** გახადე ისინი და **მეფეები** იქნებიან, დედამიწის **მმართველები**“ (გამოცხ. 5, 8-10). მოგვიანებით ნანახ ხილვაში იოანე ამ მმართველების შესახებ ამბობს: „ისინი იქნებიან ღვთისა და ქრისტეს მღვდლები და მასთან ერთად იმეფებენ ათას წელს“ (გამოცხ. 20, 6). ქრისტესთან ერთად ისინი ქმნიან სამეფო სამღვდელოებას, რომელსაც მთელი კაცობრიობისთვის მოაქვს სარგებლობა.

პატრიარქალური მღვდლობის მსახურებისაგან განსხვავებით, რომელსაც განსაზღვრული კანონი არ გააჩნდა და ბუნებითი წესით მოქმედებდა, იერარქიაული სამღვდელოების საქმიანობა, ღმერთის მიერ მოცემული კანონის საფუძველზე მკაცრად იყო განსაზღვრული.[60] ღმერთის მიერ მღვდლობის იერარქიული წყობის დაწესება, გამოწვეული იყო იმით, რომ ცოდვის გამო ისრაელ ერს ღმერთთან პირადად საუბარი უკვე აღარ შეეძლო და საჭიროებდნენ შუამავალს. ღმერთმა თავისი აღთქმების დაცვა და თავისი ნაანდერძევის ქადაგება ლევიტელთა ტომს მიანდო, რომელსაც ეკუთვნოდენ მოსე, აარონი და საღმრთო ბრძანებების მკაცრი აღმსრულებლები (გამ. 28, 1).[61] სამღვდელოების მოვალეობაში ძირითადად შედიოდა: 1. რელიგიურ-ეკლესიური მოვალეობების აღსრულება; 2. უფლის კანონებითა და წესდებულებებით ერის განსწავლა; 3. სასამართლო და სამკურნალო საქმიანობა.[62]

სასამართლო მოვალეობები მოიცავდა ცოდვიანობის ფაქტის დადგენას, სასჯელის დადებას, შემცოდის განწმენდასა და პატიებას (ლევ. 4, 13-35; 5, 1-4; 5, 15-19; რიცხვ. 5, 13-31; 6, 10-11). ებრაელ ერში სასამართლოს გამართვა უხუცესებსაც (ტომთა მთავრებსაც) შეეძლოთ, მაგრამ ყველა ძნელსა და სადავო საკითხზე გადაწყვეტილებას მღვდლები იღებდნენ. სასამართლოზე ხალხის წინაშე კითხულობდნენ იმ საღმრთო ბრძანებებს, რომელთა დარღვევაშიც დამნაშავეს ბრალი ედებოდა.[63]

ძველი აღთქმის სამღვდელოების მოღვაწეობის ყველა მხარეს ერთი ამოცანა განსაზღვრავდა - ერის ხორციელი და სულიერი უწმინდურებისაგან განწმენდა და მისგან ღმერთისთვის სათნო ერის განმზადება.[64]

ბ. დანსონი აღნიშნავს, რომ ისრაელი გადარჩა გამოსვლაში იმისათვის, რომ გახდეს მღვდელთა სამეფო და წმიდა ერი, იმ დავალებით რომ „უფლის დიდების

---

[60] იხ. *სქემარქიმანდრიტი იოანე (მასლოვი)*, ლექციები სამოძღვრო ღვთისმეტყველებაში, მეორე გამოცემა (რედ. პროფ. *გ. კოპლატაძე*; მთრგმნ. *გრ. რუხაძე*), საპატრიარქოს გამომცემლობა, თბ., 2013, 57-58.

[61] იხ., იქვე, 58.

[62] იხ., იქვე, 61-62.

[63] *სქემარქიმანდრიტი იოანე (მასლოვი)*, დასახ. ნაშრ., 61-62.

[64] იხ., იქვე, 63.

ცოდნით აავსონ მთელი ქვეყანა“ (აბაკ. 2, 14). როგორც ესაია წინასწარმეტყველი ამბობს, ისრაელი არის „სინათლედ ხალხებისთვის“ (ეს. 42, 6; 60, 30) იმ თვალსაზრისით, რომ იგი არის უფლის მთაზე აღმართული სინათლის შუქურა, რათა უჩვენოს ხალხებს - გზა ხსნისა, გზა სიონისკენ: „... , რადგან სიონიდან გამოდის რჯული და იერუსალიმიდან - უფლის სიტყვა“ (მიქ. 4, 2). თუმცა, *ბ. დანსონი* იქვე შენიშნავს, რომ მეფეები ვერ შეძლებენ ისრაელი აქციონ „წმინდა ხალხად და მღვდელთა სამეფოდ“ და „სინათლედ ხალხებისთვის“.[65]

1.1.1.2.3. ისრაელი

ებრაელთა მეფის, როგორც სახელმწიფოს მმართველობის დაფუძნების ფორმალური ეტაპი აღწერილია წიგნში „პირველ მეფეთა“. სამუელთან მისულმა ისრაელის ხალხმა გამოხატა მეფის დასმის სურვილი (1 მეფ. 8, 5), რადგან სამუელის შვილები, რომლებიც ისრაელის მსაჯულებად იქნენ დადგენილი არ გაჰყვნენ მამის გზას და არღვევდნენ სამართალს (1 მეფ. 8, 1-4) და სჯეროდათ, რომ ერთმპყრობელი მეფის ძლიერი ხელი საკმარისი გარანტი იქნებოდა მრავალი, მეორეხარისხოვანი მმართველობის ბოროტმოქმედებათა ასალაგმავად.[66]

„პირველ მეფეთა“ წიგნში გადმოცემულია მეფის დასმის მოთხოვნასთან დაკავშირებული მოვლენები. ამ მოთხოვნით, ისრაელის ხალხმა ღმერთი უარყვეს, როგორც თავიანთი მეფე (1 მეფ. 8, 7-8). ისრაელის ხალხის მცდარი მოტივების მიუხედავად, როდესაც მოითხოვენ მეფის დასმას (1 მეფ. 8), ღმერთი თავის ხალხს უბოძებს პირველ მეფეს იმ აღთქმის აღსასრულებლად, რომელიც ღმერთმა მოსესთან დადო (რჯლ. 17).[67] ღმერთი მეფედ გამოარჩევს საულს, ბენიამინის ტომიდან, რომლიდანაც ისრაელის ხალხში იწყება მეფის ფორმალური მმართველობა.

ეპისკოპოს ნიკოდიმის მილაშის სიტყვებით: „უფალმა აკურთხა რა ისრაელის პირველი მეფის, საულის სახით სამეფო მსახურება, ამით მან აკურთხა ყოველგვარი სახელმწიფო ხელისუფლება, დამოუკიდებლად მმართველობის ფორმისა“.[68]

საული არ მართავს ისრაელის ხალხს ღმერთის სჯულის მიხედვით (1 მეფ. 13, 8-15) და საბოლოოდ, გადაყენებული იქნება მეფის ტახტიდან (1 მეფ. 15). სწორედ ამ დროს, დავითი, ზეთისცხებით დგინდება ისრაელის მეფედ (1 მეფ. 16). მის დროს მეფობა თავისი სისრულით წარმოჩინდება (2 მეფ. 2) და სრულდება იმით, რომ ღმერთი,

---

[65] *Dr. Ben C. Dunson*, The Kingdom of God in the Old Testament: From Abraham to Israel, 2015, მე-5 აბზაცი, იხ. <https://www.ligonier.org/blog/kingdom-god-old-testament-abraham-israel/>, (მოპოვების თარიღი: 01.02. 2015).

[66] იხ. *ლოპუხინი ალ.*, ბიბლიის განმარტებანი, IV ტომი (გამომც. რედ. დეკ. *ზ. ძინძიბაძე*; მთრგმნ. *თ. მეტრეველი*), საგამომცემლო კომპიუტერული ცენტრი „დარასი”, 2000, 159.

[67] *Dr. Ben C. Dunson*, The Kingdom of God in the Old Testament: From Abraham to Israel, 2015, მე-8 აბზაცი, იხ. <www.ligonier.org/blog/kingdom-god-old-testament-kingship-and-creation>, (მოპოვების თარიღი: 01.02. 2015).

[68] *დეკ. ვლადისლავ ციპინი*, საეკლესიო სამართალი, იხ.: საღვთისმეტყველო სამეცნიერო ალმანახი „ფერისცვალება“, გამომცემლობა „ანთიმოზ ივერიელი“, №1, თბ., 2010, 123.

ნათან წინასწარმეტყველის პირით, აღთქმას დაუდებს დავითს (2 მეფ. 7; ასევე იხ. ფსალმ. 89, 35), რომ ღმერთი დაიცავს სამეფო ხაზს მომავალში მეფე დავითიდან (2 მეფ. 7, 12-16), რომლის შტოდანაც მომავალში ქვეყანას მოევლინება ქრისტე (მათე 1, 6-17).[69]

ბიბლიის კომენტარებში ვკითხულობთ, რომ „ამ დროისთვის არსებული სახალხო მმართველობის ფორმა თეოკრატიის ხასიათს ატარებდა (ანუ ღვთივმმართველობისა) ამ სიტყვის სრული გაგებით. ზეცისა და ყველა ხალხების ღმერთი (თეოკრატია ფართო გაგებით) თავისი რჩეული ხალხებისთვის უფალი მიწიერ ხელმწიფესაც წარმოადგენდა.“[70]

დავითთან დადებული პირობა, რომ ღმერთი განამტკიცებს დავითის მეფობის ტახტს სამარადისოდ (2 მეფ. 7, 13) განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს წინასწარმეტყველებთან. ისრაელის ისტორია, წარმატებული მომენტების მიუხედავად, უმთავრესად აღწერს ისრაელის მეფეების წარუმატებლობას მართონ ქვეყანა ღმერთის იმ მოთხოვნების შესაბამისად, რომელიც მოცემულია რჯულის მე-17 თავში. მეფეები ვერ შეძლებენ ისრაელი აქციონ „*წმინდა ხალხად და მღვდელთა სამეფოდ*“ და „*სინათლედ ხალხებისთვის*“. ღმერთის აღთქმა, რომ ისრაელი იქნებოდა კურთხეული ხალხებს შორის (დაბ. 12, 1-3) ვერ განხორციელდა ძველ აღთქმაში. ღმერთის სამეფო თითქოსდა განადგურების პირასაა, იუდეის სამეფოს სახელგატეხილი დასასრულია (4 მეფ. 17, 6-23; 24, 15, 18-20, 2 ნეშტ. 36, 10-14), მაგრამ ღმერთი ამით არ ამთავრებს ურთიერთობას არც ისრაელთან და არც ისრაელის მეფეებთან. ძველ აღთქმაში ამ მომენტიდან მოვლენათა სამომავლო განვითარებას გვამცნობენ წინასწარმეტყველები.[71]

წინასწარმეტყველები გადმოგვცემენ, რომ ისრაელის სამეფოს ორად გაყოფისა და მეფეების გადასახლების მიუხედავად,[72] ღმერთი არ მიატოვებდა და არც მიუტოვებია თავისი განზრახვა, ეპატრონა მის ხალხზე და მსოფლიოზე, დავითის ხაზში მეფის გამოჩენით. მრავალი წინასწარმეტყველური პასაჟი ცხადჰყოფს, რომ ისრაელში მტკიცე და მართლმორწმუნე სამეფოს დაფუძნების ერთადერთი იმედი მდგომარეობს სამომავლო ღმერთის გამოსყიდვით საქმიანობაში. ადამიანის გული ძალიან გახრწნილია, რათა მიღწეულ იქნას მსოფლიოზე ღმერთის მიზანი დაცემული ისრაელისა და ცოდვებიანი მეფეებით. პერიოდული მართლმორწმუნეობის გამოცოცხლების მიუხედავად (როგორიც არის სოლომონის რეფორმები, იხ.: 4 მეფ. 4), საკმარისი არ არის უზრუნველყოს ღმერთის დომინანტობა ქვეყანაზე. ისრაელის

---

[69] ისრაელის ხალხში მეფეების შესახებ დამატებითი ინფორმაციისათვის იხ.: 1. <www.patheos.com/blogs/christiancrier/2015/10/10/a-list-of-kings-from-the-bible>; 2. <www.biblestudy.org/prophecy/israel-kings.html>, (მოპოვების თარიღი: 20.05.2015).

[70] *ლოპუხინი ალ.*, IV ტ., დასახ. ნაშრ., 159-160.

[71] *Dr. Ben C. Dunson*, The Kingdom of God in the Old Testament: From Abraham to Israel, 2015, იხ. <www.ligonier.org/blog/kingdom-god-old-testament-kingship-and-creation>, (მოპოვების თარიღი: 01.02. 2015).

[72] დაწვრილებითი ინფორმაციისთვის იხ. <www.patheos.com/blogs/christiancrier/2015/10/10/a-list-of-kings-from-the-bible/>, (მოპოვების თარიღი: 20.05.2015).

მიწიერი წარუმატებლობის მიუხედავად, ღმერთი არ მიატოვებს მის განზრახვას იბატონის მთელ ქვეყანაზე მის მიერ დანიშნული ადამიანი-მეფის მეშვეობით.[73]

ბ. დანსონი სვამს შეკითხვებს: „როგორ გამოავლენს ეს მეფობა თავის თავს? რა არის საჭირო იმისათვის, რომ ღმერთმა შეცვალოს ისრაელის წარუმატებლობა და აქციოს იგი სინათლედ, რომელიც განავრცობს მის მეფობას მთელს ქვეყანაზე?“ რასაც *ბ. დანსონი* იქვე პასუხობს, რომ პირველად, ღმერთი იწყებს ახალი გამოსვლით. ეს გამოსვლა, თუმცა, არ იქნება უბრალოდ ისრაელის მტრებისაგან თავის დახსნა, არამედ ღმერთი მოევლინება ხელმწიფედ, როგორც მწყემსი ახალ ქმნილებაში და განაახლებს თავის ბატონობას საკუთარ ხალხზე (ეს. 35, 1-4; 8-10).[74]

წინასწარმეტყველები, ღმერთის მიერ მისი ხალხის გამოხსნაზე საუბრობენ, როგორც ღმერთის სამეფოს აღორძინებაზე: „ ... აჰა, მოვა უფალი ღმერთი ძლიერებით და იხელმწიფებს მისი მკლავი, ...“ (ეს. 40, 9-11).

1.1.1.2.4 ისრაელის სამართალი

რჯული ყველაზე ვიწრო გაგებით იყო მართლმსაჯულების ადმინისტრირების საფუძველი, რომელიც ხორციელდებოდა ადგილობრივი უხუცესების მიერ ქალაქების კარიბჭეებთან. თუმცა, რთული საქმეები გადაეცემოდა საყდრისის ხელისუფალთ იერუსალიმში. მეფე, ასრულებდა სასამართლო ფუნქციებსაც და მისმა გადაწყვეტილებებმა შექმნა პრეცედენტები, რომლებმაც განაპირობეს ხუთწიგნეულში რამდენიმე კოდექსის გაერთიანება. ისტორიული ჩაწერები აღწერენ იმ მოვლენებს, რამაც ხელი შეუწყო ამ პროცესს: სამუელმა დაადგინა სამეფო პრივილეგიების წიგნი (1 მეფ. 8), რომელსაც მოჰყვა იერემიას (იერ. 36) აღთქმის წიგნი იოშიაჰუს მეფობისას (2 კგ. 23) და ეზრას მოწოდება (ეზრა 7: 10). [75]

ებრაული სამართლის კოდექსებში ორი სახის კანონები შეინიშნება: 1) კაზუისტური, პრეცედენტული, რომელებიც შეიცავენ ქმედების პირობით აღწერას და სასჯელს, და 2) აპოდიქტური, ანუ რეგულაციები, საღვთო ბრძანებების ფორმით (მაგ. ათი მცნება).[76]

აპოდიქტურად ფორმულირებული კანონები შეეხება, როგორც რელიგიურ, ასევე საერო ცხოვრების სფეროებს. თეოლოგი *ალბრეხტი* თვლიდა, რომ აპოდიქტური კანონები ისრაელისეულია თავისი წარმომავლობით, განსხვავებით „კაზუისტური“ ან პრეცედენტული სამართლისაგან, რომელიც საერთო მემკვიდრეობის ნაწილს წარმოადგენდა და რომელსაც იზიარებდნენ ქანაანელები და სხვა ახლო აღმოსავლური

---

[73] იხ. *Dr. Ben C. Dunson*, The Kingdom of God in the Old Testament: The Prophetic Hope, 2015, <www.ligonier.org/blog/kingdom-god-old-testament-kingship-and-creation>, (მოპოვების თარიღი: 01.02. 2015).
[74] იხ., იქვე.
[75] იხ. Oxford Dictionary of the Bible, (by *W. R. F. Browning*) Oxford University Press, 2003, 1156.
[76] იხ., იქვე, 1156.

ერები.[77] ათი მცნება კი, აყალიბებს ზოგად ეთიკურ პრინციპებს, მაშინ როცა პრეცედენტული სამართალი იყენებს ამ პრინციპებს კონკრეტულ შემთხვევებში.[78]

ძველ აღთქმაში გვხვდება შემდეგი სამი სამართლის კოდექსი: 1. აღთქმის წიგნი, იგივე აღთქმის კოდექსი; 2. რჯულის კოდექსი, და 3. სამღვდელო კოდექსი.

აღთქმის კოდექსი უძველესია (გამ. 20, 22-23, 33) და დაყოფილია შემდეგ თავებად: 1. პროლოგი; 2. ღმერთის თაყვანისცემის კანონები; 3. კანონები, რომლებიც შეეხება ადამიანებს; 4. საკუთრებასთან დაკავშირებული კანონები; 5. კანონები აღთქმის გაგრძელებაზე, და 6. ეპილოგი, გაფრთხილებებითა და შეპირებებით. კოდექსში ასევე გათვალისწინებულია ტალიონის კანონი (*Lex Talionis*) და სასჯელის შეცვლა ფულადი კომპენსაციითა და ჯარიმით.[79]

რჯულის კოდექსი (მეორე რჯულის 12-26-ე თავები) წარმოადგენს ისრაელის სამართლის რევიზიას და დაყოფილია შემდეგ თავებად: 1. კანონები და დადგენილებები, რომლებიც შეეხება მხოლოდ ქანაანელებს და იერუსალიმის ხრამში ღვთის თაყვანისცემას; 2. შაბათის დღესთან დაკავშირებული კანონები; 3. წინამძღოლების წესები; 4. სხვადასხვა სამოქალაქო, რიტუალური და ეთიკური კანონები, და 5. კურთხევებისა და წყევლის ეპილოგი.[80] რჯულის კოდექსი (მეორე რჯულის 12-16-ე თავები) ფართოდ არის იდენტიფიცირებული იერემიას დროს ტაძარში ნაპოვნ წიგნთან. იგი მოსეს მიერ სიტყვიერად გადაეცა ისრაელის ხალხს ვიდრე შევიდოდნენ აღთქმულ მიწაზე.[81]

მღვდელმსახურების კოდექსი, შეიცავს მთავარ ნაწილს და უწოდებენ სიწმინდის კოდექსს (ლევიანში, 17–26 თავები). იგი გვხვდება *გამოსვლის* სხვადასხვა ნაწილში, *ლევიანთა* ყველა ნაწილსა და *რიცხვნის* უმეტეს ნაწილში. კოდექსი ყურადღებას უთმობს რელიგიურ დღესასწაულებს, ინსტიტუციურ და რიტუალურ საქმიანობას. სიწმიდის კოდექსის კანონები ასახავს ბაბილონში გადასახლების გამოცდილების ინტერპეტაციას, რომელშიც ღმერთის თაყვანისცემის სიწმინდე ხაზგასმულია.[82]

გადასახლების შემდეგ, რჯული სულ უფრო მუშავდებოდა და ახლდებოდა იუდეის სხვადასხვა ჯგუფის მიერ, როგორც ამას თავად რჯულიც ითვალისწინებდა (მეორე რჯულის 15-22-ე თავები). ფარისეველთა ზეპირი კანონი, რომელიც საბოლოოდ თავმოყრილ იქნა მიშნაში, ახ. წ. დაახლოებით 200 წელს, წარმოადგენდა რჯულის

---

[77] იხ. The Anchor Bible Dictionary, (Editor in Chief, *David Noel Freedman*), published by Doubleday, New York, USA, 1992, 5197.

[78] იხ. Law and the Bible, (Edited by Robert F. Cochran Jr. and David Van Drunen), InterVarsity Press, Dorner Groove, Illinois, USA, 2013, 82.

[79] იხ. Oxford Dictionary of the Bible, (by *W. R. F. Browning*) Oxford University Press, 2003, 1156.

[80] იხ., იქვე.

[81] იხ., იქვე.

[82] იხ. Britannica, T. Editors of Encyclopaedia. "Hebraic law." *Encyclopedia Britannica*, July 20, 1998. https://www.britannica.com/topic/Hebraic-law, (მოპოვების თარიღი: 10, 2019).

დანამატის მხოლოდ ერთ სახეს. სიწმიდის კოდექსი, განმარტა *ფილონ ალექსანდრიელმა.* აღნიშნულია, რომ იესო არ მოევლინა, რათა გაეუქმებინა რჯული, არამედ, სინაის მთაზე ქადაგებისას რჯულს მისცა რადიკალური ინტერპრეტაცია. პავლე, როგორც ასეთი, არ გამოდიოდა იუდეური რჯულის წინააღმდეგ, არამედ იგი უარყოფდა იმ მოსაზრებას, რომ რჯულის დაცვა იყო ქრისტიანისთვის გადარჩენის საშუალება (გალ. 5, 4).[83]

1.1.1.3 სახელმწიფო და სამართალის კონცეპტი წარმართულ საზოგადოებაში

ძველი აღთქმის საღვთო ისტორია, წარმართ მეფეებსა და სამეფოებზე ცნობებს გვაწვდის ბაბილონის გოდოლის შენების პერიოდიდან, როდესაც ნოეს შთამომავლობა, თავ-თავისი მოდგმის მიხედვით გაიფანტება დედამიწის სხვადასხვა მხარეში (დაბ. 10, 32), დაივიწყებს ჭეშმარიტ ღმერთს, სარწმუნოებას და მათ შორის გავრცელდება ცრუ სარწმუნოება.[84]

პირველი ბიბლიური ცნობა, დედამიწაზე პოლიტიკური და სახელმწიფო ცხოვრების დასაწყისზე, გვხვდება „დაბადების“ წიგნშივე, ნებროთის სამეფოსთან დაკავშირებით (დაბ. 10, 10). ავტორიტეტულ მეცნიერთა უმრავლესობის აზრით, ბიბლიაში აქ ლაპარაკია „პირველ ქალდევურ კონფედერაციაზე“, ანუ ქალდეველთა ქალაქების პირველ კავშირზე, რომლებიც გაერთიანებულნი იყვნენ სახელგანთქმული ქუშეთელი ნებროთის ძალაუფლების ქვეშ, რომელიც, ძველ-ქალდევურ წარწერებში იხსენიება „არბა-ლიზუნის“ ტიტულით, ანუ ოთხი ენის ხელმწიფედ.[85] ცნობილი ინგლისელი ორიენტალისტის, *გეორგ სმიტის* აზრით, აქადი იყო მეფე სარგონის სამფლობელოს დედაქალაქი და მდებარეობდა ევფრატის სანაპიროზე, სიფვართან ახლოს, ბაბილონიდან ჩრდილოეთით. ამ ოთხი ქალაქისაგან, ყალიბდებოდა სახელმწიფოთა პირველი კავშირი, ანუ უძველესი ქალდევ-ბაბილონის სამეფო.[86] ამ ისტორიული ეპიზოდის ღრმა შინაარსზე საუბრობს *მღვდელმოწამე ილარიონი (ტროიცკი).* იგი მიიჩნევს, რომ „ბაბილონის მშენებლობაში სამოქალაქო და სახელმწიფოებრივი საზოგადოების საერთო ტიპი შეინიშნება. აქ გარეგნული იურიდიული ნორმებით არიან დაკავშირებულნი ანუ სამოქალაქო სამართლით ხელმძღვანელობდნენ“.[87]

---

[83] Oxford Dictionary of the Bible, (by W. R. F. Browning) Oxford University Press, 2003, 1156.

[84] 1. იხ. *დეკ. ნესტორ ყუბანეიშვილი,* ძველი აღთქმის საღვთო ისტორია, გამომც., „მეცნიერება“, თბ., 1990, 40; 2. წარმართული რელიგიებზე იხ.: *ადეიშვილი გ.,* ღმერთი: სამყაროს გონება, გამომც. „უნივერსალი“, თბ., 2008, 15-19; 3. იხ. *გოგებაშვილი ი.,* საღმრთო ისტორია, გამომც. „მთაწმინდა“, თბ., 2016, 19-20.

[85] იხ. *ლოპუხინი ალ.,* ბიბლიის განმარტებანი, I ტომი (გამომც. რედ. დეკ. *ზ. ძინძიბაძე,* მთრგმნ. *თ. მეტრეველი*), საგამომცემლო კომპიუტერული ცენტრი „დარასი“, 2000, 139.

[86] იხ., იქვე, 140.

[87] Без Церкви Нет Спасения. Св.Мч. Иларион Троицки, Сретенский монастырь, 2001, 58-59, წიგნიდან: *დეკ. კონსტანტინე ჯინჭარაძე,* ჭეშმარიტი სარწმუნოება (საქართველოს საპატრიარქო რადიო „ივერიის“ ეთერში გადაცემული ქადაგებების მიხედვით; რედ. *დ. თ. მორგოშია*), თბ., 2015, 131.

დაბადების მეათე თავის მე-11-12-ე მუხლების განმარტებიდან ირკვევა, რომ სემიტებმა, რომლებიც უკმაყოფილონი იყვნენ ნებროთისა და ქუშიტების დესპოტური მართვით, არჩიეს გაცლოდნენ და გადასულიყვნენ ჩრდილოეთისკენ და შეექმნათ იქ თავიანთი სამეფო. აღნიშნულია, რომ აშური აგებს თავის სამეფოს ახალ ცენტრს ჩრდილოეთის - ქალაქ ნინევეს, რომელიც შემდგომ უმძლავრესი ასირიული მონარქიის უდიდეს დედაქალაქად იქცა (იოან. III, 3 და IV, 11).[88]

ბიბლიაში მრავლად გვხვდება ცნობა კერპთმსახური მეფეების შესახებ. მაგალითად, დაბადების მე-14 თავში გვხვდება ცნობა შინყარის, ელასარის, ელამის, გოიების, სოდომის ადმას, ცებოიმის, ბედაყის (ცოღარის) მეფეებზე (იხ. დაბ. 14, 1-3). დაბადების 36-ე თავში კი, საუბარია მეფეებზე, რომლებიც მეფობდნენ ედომის ქვეყანაში, ვიდრე ისრაელის მოდგმას მეფეები ეყოლებოდათ (დაბ. 36, 31-43), ხოლო დაბადებისა და გამოსვლის წიგნებში, საუბარია ეგვიპტის ფარაონებზეც.

ზოგადად, ძველი აღთქმის ტექსტში სულ მოხსენიებულია 14 ფარაონი, რომელთაგან მხოლოდ სამზეა საკმარისი ინფორმაცია მათი გაანალიზებისთვის. კერძოდ, ცნობები, რომელიც შეეხება აბრაამის, იოსების და მოსეს ფარაონებთან ურთიერთობას.[89]

გარდა ამისა, ძველი აღთქმის სხვა წიგნებშიც მოიპოვება მრავალი ცნობა ისეთ კეპთაყვანისმცემელ სამეფოებზე თუ იმპერიებზეც, როგორიც არის ბაბილონი,[90] ეგვიპტე,[91] სირია,[92] სპარსეთ-მიდია[93] საბერძნეთი[94] და რომი[95]. წყაროების ანალიზით

---

[88] იხ. *ლოპუხინი ალ.*, I ტ., დასახ. ნაშრ., 141.

[89] დაწვრილებითი იხილეთ: *Steve Van Nattan*, Kings of The Bible: What They Teach Us, Chapter - Other Heathen Kings, Blessed Quitness Journal, <www.blessedquietness.com/journal/housechu/kings.htm>, (მოპოვების თარიღი: 20.05.2016).

[90] ბაბილონის წარმოშობა და სახელწოდება დაბ. 10, 8-10; 11, 8, 9; მდებარეობა საქ. 7, 2; მართავდნენ მეფეები 4. მეფ. 20, 12; დან. 5, 1; ბაბილონი – მთავარი ოლქი დან. 3, 1; ბაბილონი დედაქალაქი დაბ. 11, 4, 9; ბაბილონი განავრცო მეფე ნაბუქოდონოსორმა დან. 4, 30; მოსახლეობა იყო კერპთაყვანისმცემელი იერ. 50, 38.

[91] ჩამოთვლილია მიცრამის შთამომავლება (დაბ. 10, 6, 13-14); საზღვრები (ეზეკ. 29, 10); მდინარე ნილოსით იწყება (დაბ. 41, 1-3; გამ. 1, 22); რელიგია კერპთაყვანისმცემლობა (გამ. 12, 12; რიცხ. 33, 4; ეს. 19, 1); მის მეფეებს ფარაონები ეწოდებოდათ (დაბ. 12, 14-15; 40, 1-2; გამ 1, 8, 22); კერპების განადგურება (იერ. 43, 12-13; 46, 25).

[92] წარმოშობა (დაბ. 10, 8-10); ევფრატის გაღმა მდებარეობდა (ეს. 7, 20); მართავდნენ მეფეები (4 მეფ. 15, 19, 29); რელიგია კერპთაყვანისმცემლობა (4. მეფ. 19, 37).

[93] იხილეთ: მდებარეობა ინდოეთიდან ეთიოპიამდე ესთ. 1, 1, 3; მოსახლეობა დაბ. 10, 22; ნაბუქოდოროსორის სიზმრისეული კერპის ვერხლის ნაწილი დან. 2, 32, 39; დათვი 7, 5; ორქიანი ერკემალი დან. 8, 3, 20.მართავდნენ მეფეები (1. ეზრ. 1,1; 4, 6-7; 6, 1, 14; 7,1,12; დან 5, 31; 11, 2).

[94] საბერძნეთის სამეფოზე წინასწარმეტყველება მოცემულია დანიელ წინასწარმეტყველის წიგნის 2-ე, 8-ე და 10-ე თავებში. მე-11 თავი კი სპეციალურად ეხება საბერძნეთის სამეფოს, იხილეთ ვებ-გვერდი: „Got Questions“, სტატია, „What is Significance of the Greek Empire in Biblical History“, იხ. <www.gotquestions.org/Greek-empire.html>, (მოპოვების თარიღი: 01.02. 2015).

ირკვევა, რომ ძველ აღთქმაში 59 წარმართული ქვეყანა[96] და 35-ზე მეტი მეფე არის მოხსენიებული.[97]

რაც შეეხება ზემოთ მოყვანილ წარმართული სახელმწიფოების სამართალს, ბიბლიის ტექსტიდან ირკვევა, რომ იმდროინდელ წარმართულ სახელმწიფოებში მოქმედებდა, როგორც დაუწერელი, ასევე წერილობითი სამართალი. მაგალითად, ფილისტიმელთა მეფე აბიმელექი გამოსცემს ბრძანებას, რათა ისააკსა და მის ცოლს ხელი არ ახლონ (დაბ. 26, 11). ეგვიპტის მეფე გასცემს ბრძანებას, რომლის მიხედვითაც, ებრაელების ახალშობილი ვაჟიშვილნი წყალში უნდა ჩაეყარათ (გამ. 1, 17). ცნობები გვხვდება მიდიელთა სამეფოში დადგენილებაზე, ბრძანებზე, სიგელზე (დან. 6, 8, 9) და სხვა.

საინტერესოა ღმერთისადმი ისრაელის ხალხის მოთხოვნა ფორმალური მეფის დადგენასთან დაკავშირებით: „...დაგვიდგინე ახლა მეფე, რომ სხვა ხალხების წესისამებრ განგვსჯიდეს. ..., ჩვენც ისეთები უნდა ვიყოთ, როგორც სხვა ხალხები არიან. ჩვენი მეფე განგვსჯის ჩვენ, ... “ (1 მეფ. 8, 5, 19-20).

წერილობითი სამართლის შესახებ პირდაპირი დათქმაა „ესთერის“ წიგნში. ირკვევა, რომ „..., სამეფო ბრძანება, ჩაიწეროს სპარსელთა და მიდიელთა რჯულში,“ ... (ესთ. 1, 19); „...ყველაფერი ისე დაიწერა, როგორც ჰამანმა უბრძანა მეფის სატრაპებს,“ ... . „მეფე ახაშვეროშის სახელით დაიწერა და სამეფო ბეჭდით დაიბეჭდა (ესთ. 3, 12)“; „დაწერილი კანონის პირი, ...“ (ესთ. 4, 8); „წერილის პირი უნდა გაეცათ, როგორც კანონი ....“ (ესთ. 8, 13); „დაადგინეს და დაუწესეს იუდაელებმა თავიანთ თავს, ..., დაწერილისამებრ“ (ესთ. 9, 27).

თუმცა, გაცილებით საინტერესო და ინფორმაციულია, ის აურაცხელი სამეცნიერო ლიტერატურა და კვლევები, რომლებიც შეეხება ძველი აღთქმის წარმართ სახელმწიფოთა სამართალს. განსაკუთრებით საყურადღებოა ბაბილონის იმპერიის სამართალთან დაკავშირებული კვლევები. მაგალითად, ბაზალტის სტელაზე ამოტვიფრული ბაბილონის მეფის, ხამურაბის სამართლის კოდექსი. „ხამურაბი“-ს სახელის ეტიმოლოგიურ კვლევაზე დაყრდნობით, პროფესორები *ედ. შრაიდერი* და *ფ. ჰომმელი* თვლიან, რომ მეფე ხამურაბი იყო ძველ-აღთქმაში მოხსენიებული მეფე ამრაფელი (დაბ. 14, 1).[98]

---

[95] რომის იმპერიის შესახებ ცნობა, დანიელ წინასწარმეტყველის წიგნში ნაბუქოდონოსორის სიზმარში გვხვდება (დან. 2, 33, 40-43; 7, 7-8, 19-25). რომის იმპერიის შესახებ კი, საუბარი ძირითადად გვხვდება ახალ აღთქმაში.

[96] იხილეთ ვებ-გვერდი: „Bible Hystory“, სტატია, „Nations Mentioned in the Old Testament“, <www.bible-history.com/old-testament/nations.html>, (მოპოვების თარიღი: 01.04.2016).

[97] იხილეთ ვებ-გვერდი: „Calvary Independent Baptist Church“, სტატია, „Biblical Kings and Queens - 1 Timothy 1-7“ (Jun 7, 2015, Lessons on Bible Trivia), <www.idahobaptist.com/biblical-kings-and-queens-i-timothy-117/>, (მოპოვების თარიღი: 01.04.2016).

[98] იხ. The International Standard Bible Encyclopedia, Vol. 1 (by *Orr, James, M.A.*, and *D.D.* General Editor), USA, 1915, 126.

მართალია, ჩვენამდე მოღწეულ იურიდიულ დოკუმენტებს შორის ხამურაბის კანონები ყველაზე მნიშვნელოვანი წერილობითი დოკუმენტია, მაგრამ ყველაზე ძველი იგი მაინც არ არის. 1947 წელს აღმოჩენილი იქნა სამართლის კოდექსი,[99] რომელიც მეფე ლიპით-იშთარს, ხამურაბზე 150 წლით ადრე გამოუცია და ამოკვეთილია სამწახნაგოვან თიხის ფირფიტაზე. მისი დამწერლობა ლურსმულია, მაგრამ წარწერის ენა შუმერულია და არა სემიტური, და შეიცავს პროლოგს, ეპილოგს და კანონების ჩამონათვალს, რომელთაგან მხოლოდ 37 კანონის ტექსტი მეტნაკლებად იკითხება. ლიპით-იშთარსაც დიდხანს არ შერჩენია მსოფლიოში პირველი კანონმდებლის სახელი. 1948 წელს, მკვლევარმა *ტაჰარ ბაქირმა* აღმოაჩინა ორი ფირფიტა, რომელზეც ხამურაბის კოდექსის მსგავსად წარწერები შესრულებულია ბაბილონურ ენაზე და შედგება პროლოგისა და კანონთა ჩამონათვალისაგან. წარწერაში იკითხება მეფე ბილალამას სახელი, რომელსაც ლიპიტ-იშთარზე სავარაუდოდ 70 წლით ადრე უნდა ეცხოვრა.[100]

1952 წელს, აღმოჩენილი იქნა შუმერთა[101] მეფის, ურ-ნამუს (ძვ. წ. 2112-2095) სამართლის კოდექსი, რომელიც მეფობდა მეფე ხამურაბამდე 300 წლით ადრე. იგი იყო კარგად ცნობილი ურის[102] მესამე დინასტიის დამაარსებელი და თარიღდება ძვ. წ. 2050 წლით. აღნიშნული სტელები, შუმერულ ენაზე წერილობითი სახით შესრულებული იმ ასობით სტელებიდან ერთ-ერთთაგანია, რომელიც სტამბულის ანტიკური აღმოსავლეთის ქვეყნების მუზეუმში ინახება.[103]

პირველი წერილობითი სამართლის ძეგლი კი, თარიღდება ძვ. წ. 2420 წლით და უკავშირდება ლაგაშის ურუკარგინს. არქეოლოგების მიერ აღმოჩენილია ასევე კერძო სამართლის აქტები - ხელშეკრულებები, შეთანხმებები, ანდერძები, თამასუქები, ხელწერილები. იმ დროის ქალაქის მმართველის (*Ensi*) ან მისი წარმომადგენლის (*Mashkim*) უფლებამოსილებაში შედიოდა სასამართლოზე ზედამხედველობა. საქმეები განიხილებოდა კოლეგიალურად, სამი მოსამართლის (*Di-kud*) მიერ, რომლებიც აფასებდნენ მტკიცებულებებს, მოწმეთა ჩვენებებსა და წერილობით დოკუმენტებს. ურთიერთგამომრიცხავ ჩვენებათა შემთხვევაში საკითხი წყდებოდა ფიცის დადებით.

---

[99] *Kramer S.N.*, The Sumerians: Their History Culture, and Character, USA, 1963, 336-340.

[100] იხ. *Kramer S.N.*, History Begins at Sumer, University of Pennsylvania Press, USA, 1956, 51-52.

[101] მრავალი მეცნიერი მიუთითებს, რომ შინყარში (დაბ. 10, 10; 11, 2) იგულისხმება შუმერი: 1. იხ. Thorkild Jacobsen, *Primitive Democracy in Ancient Mesopotamia*, Journal, *Near Eastern Studies*, Vol. 2, No. 3, Jul., 1943, 159-172; 2. იხილეთ ვებ-გვერდი „Bible Questions Answered“, სტატია „Who were the Sumerians?“, <www.gotquestions.org/Sumerians.html; 3. იხილეთ ვებ-გვერდი „Bible Gateway”, სტატია „Sumer“, <www.biblegateway.com/resources/encyclopedia-of-the-bible/Sumer>, (მოპოვების თარიღი: 01.04.2016).

[102] „ური“ არის ჰარანის სამშობლო (დაბ. 11, 28), ქვეყანა საიდანაც თერახი და აბრაამი გავიდნენ ქანაანის ქვეყანაში (დაბ. 11, 31). ური ძველი აღთქმის დაბადების თავში იწოდება როგორც „ქალდეველთა ური“, ხოლო ახალი აღთქმის მოციქულთა საქმენში, ლუკა მახარობელი მოიაზრებს მას შუამდინარეთში (საქ. 7. 2-4) იხ.: ვებ-გვერდი „Bible Hub“, სიტყვა „Ur“, <www.biblehub.com/topical/u/ur.htm>, (მოპოვების თარიღი: 01.04.2016).

[103] იხ. *Kramer S.N.*, History Begins at Sumer, University of Pennsylvania Press, USA, 1956, 53.

მოსამართლეთა გადაწყვეტილებებს სავალდებულო ხასიათი ჰქონდა, თუმცა მისი გასაჩივრება შეიძლებოდა ახალი მტკიცებულების საფუძველზე.[104]

სამართლის ძეგლებთან დაკავშირებული მეცნიერული კველევები, ამტკიცებს იმას, რომ ძველი აღთქმის წარმართულ სახელმწიფოებში ფართოდ იყო გავრცელებული, როგორც დაუწერელი, ასევე დაწერილი სამართალის პრაქტიკირება.

1.1.1.4 მელქისედეკი - ქვეყნის ხელისუფალი

სახელმწიფოს საკითხის გაანალიზებისას, ბიბლიის კომენტარებში და ზოგადად, რელიგიურ-თეოლოგიურ ლიტერატურაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მელქისედეკის პიროვნებას.[105] სალემის მეფისა და უზენაესი ღმერთის მღვდლის მელქისედეკის პიროვნების განსაკუთრებულობა გამოიხატება იმაში, რომ იგი არაფორმალურ მეფე აბრაამზე ისე მაღლა დგას, რომ იგი აკურთხებს აბრაამს, ხოლო ეს უკანასკნელი ნადავლის მეათედს უწილადებს მას (დაბ. 14, 18-20). შევნიშვანვთ, რომ ღმერთის თვალში აბრაამი ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული მეფეა, რასაც მოწმობს შემდეგი ორი ფაქტი, კერძოდ:

1. თავდაპირველად აბრაამს ერქვა აბრამი, ხოლო მის ცოლს სარაი. მოგვიანებით, ღმერთმა აბრამს უწოდა, - აბრაამი, რაც „მრავალი ერის მამას“ ნიშნავს, ხოლო მის ცოლს სარაის, - სარა, რაც „დიდგვაროვან ქალბატონს“ ნიშნავს (დაბ. 17, 5, 15);

2. აბრაამი ღმერთთან სიახლოვის გამო ღირსი შეიქმნა წოდებულიყო - ღმერთის მეგობარი (ეს. 41, 8; იაკ. 2, 23), რაც სხვა მამათავრებთან ღმერთის ასეთი ჯილდო არ მეორდება. აბრაამის ასეთი მაღალი მეფური მდგომარეობის მიუხედავად, პავლე მოციქული აბრაამთან მიმართებაში, მელქისედეკის სიდიადეს შემდეგნაირად გადმოსცემს: „მაშ, იხილეთ, რაოდენ დიდია ის, ვისაც მამამთავარმა აბრაამმა თავისი ნადავლის მეათედი უწილადა.“ (ებრ. 7, 4).

მელქისედეკის კურთხევის ფაქტში ნიშანდობლივია კურთხევის შინაარსი (ღვთიური მადლი, რომელიც ებოძა აბრაამს და ამისთვის უფლისადმი აღვლენილი სამადლობელი, დაბ. 14, 18-29). კერძოდ, მელქისედეკის კურთხევა, არის საღვთო ნების და სჯულის განხორციელების დასტური აბრაამის ქმედებაზე (მეფეების შემუსვრა, ძმისწულის ტყვეობიდან დახსნა და მიტაცებული ნადავლის ხელში ჩაგდება). ამ აზრს ამყარებს ბიბლიის კომენტარებში გაკეთებული შენიშვნაც, რომ აბრაამის პატარა ჯარის

---

[104] იხილეთ ვებ-გვერდი „Bible Gateway“, სიტყვა „Sumer, 4, c. Law“, იხ. <www.biblegateway.com/resources/encyclopedia-of-the-bible/Sumer>, (მოპოვების თარიღი: 01.04.2016).

[105] მაგალითად, იხილეთ: 1. *Christian Sh.*, Types and Shadows: Prophetic Pictures to Wholeness in Christ, printed in the USA, 2006; 2. *Jones M. K.*, Toward a Christology of Christ the High Priest, printed in Roma, Italy, 2006; 3. *Fred L. Horton Jr.*, The Melchizedek Tradition: A Critical Examination of the Sources to the fifth Century A.D. and in the Epistleto the Hebrews, Cambridge University Press, 1976; 4. *Nattan S.V.*, Kings of The Bible: What They Teach Us, Chapter - Other Heathen Kings, Blessed Quitness Journal, <www.blessedquietness.com/journal/housechu/kings.htm>, (მოპოვების თარიღი: 20.05.2016).

გამარჯვება ქედორლაღომერის უზარმაზარ ჯართან (დაბ. 14, 9-17), უფრო თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ აბრაამს ღმერთის ძალა უდგას შემწედ (ფსალმ. 32, 16-18).[106]

მელქისედეკის საიდუმლო მსახურებაში, მის განსაკუთრებულ წოდებასა და მეფური სიდიადით სავსე მღვდელთმსახურებაში სრულად და თვალნათლივ არის გამოხატული პარალელი მელქისედეკსა და ქრისტეს შორის, რაც სწავლების სახით მთელი მისი სისადავით აქვს გადმოცემული პავლე მოციქულს (ებრ. 7).[107]

მელქისედეკსა და ქრისტეს შორის პარალელები ძირითად ეფუძნება შემდეგ მტკიცებებს:

1. მათი მეფობა და მღვდლობა ღმერთის მოწოდებით არის გამოწვეული;[108]

2. წარმოშობილნი არიან არასამღვდელო ტომიდან, არ ჰყოლიათ თავისი მსგავსი წინამორბედი მღვდელმთავარი და არ აქვს დასაბამი და დასასრული;[109]

3. მელქისედეკის მიერ პურისა და ღვინის გამოტანა მოიაზრებს ახალაღთქმისეულ ევქარისტიის საიდუმლოებას;[110]

4. ტერმინების ეტიმოლოგიური კვლევა ადასტურებს, რომ „მელქისედეკის სალიმისა და იერუსალიმის ერთიდაიგივეობა, უდავო ფაქტს წარმოადგენს“. იერუსალიმი მოიხსენიება „იერუ-სალიმი“-ს ფორმით, რაც ნიშნავს - „ქალაქი სალიმი“-ს.[111] სალემის მეფე ნიშნავს მშვიდობის მეფეს. სიტყვა *შალომი* ებრაულად ნიშნავს მშვიდობას. სიტყვა *სალემი* კი, ეფუძნება *შალომს,* რაც ნიშნავს მთლიანობას და სამართლიანობას - მშვიდობასთან მიმართებაში.[112] პავლე მოციქულის მიხედვით, სახელი მელქისედეკი განიმარტება, როგორც „*სიმართლის მეფე*“, შემდეგ კი - „*მეფე სალემისა*“, ანუ „*მშვიდობის მეფე*“ (ებრ. 7, 2). ამგვარად, სალემი და ისრაელი არის ერთი და იგივე ქალაქი, რომლის მეფე ძველ აღთქმაში არის მელქისედეკი, ხოლო ახალ აღთქმაში ქრისტე.

5. წმიდა მამათა სწავლებით, მელქისედეკი მოასწავებდა ქრისტეს. სიტყვა მელქისედეკი ნიშნავს - „მეფე სიმართლისა“, იესო ქრისტეც არის მეუფე სიმართლისა (ფსალმ. 9, 9); ღირსება მელქისედეკისა სალიმის, ანუ მშვიდობის მეფისა მოასწავებს ქრისტეს – მთავარს მშვიდობისა (ესაია 9, 6). დაბადებაში არ არიან მოხსენიებულნი მელქისედეკის მშობლები, მისი შობის და სიკვდილის დრო; თანახმად წმ. პავლე მოციქულის განმარტებისა ეს იმიტომ არის, რომ მელქისედეკ მეფის სახით

---

[106] *ლოპუხინი ალ.*, I ტ., დასახ. ნაშრ., 173.

[107] იხ., იქვე, 174-175.

[108] იხ. 1. *ლოპუხინი ალ.*, I ტ., დასახ. ნაშრ., 177-179; 2. პავლეს ეპიტოლე - ებრაელთა მიმართ, მეშვიდე თავი.

[109] ფსალმ. 109 (110), 4; ებრ. 5, 10; 6, 20; 7, 3; 14-17.

[110] იხ. *ლოპუხინი ალ.*, I ტ., დასახ. ნაშრ., 176.

[111] 1. იხ. *Christian Sh.*, Types and Shadows: Prophetic Pictures to Wholeness in Christ, Printed in the USA, 2006, 84-85; 2. იხ. *ლოპუხინი ალ.*, I ტ., დასახ. ნაშრ., 175-176.

[112] იხ. *Christian Sh.*, Types and Shadows: Prophetic Pictures to Wholeness in Christ, Printed in the USA, 2006, 84.

წარმოდგნილია ქრისტე, რომელიც ღვთაებრივის ბუნებით არ ეკუთვნის არც ერთ ერს; გარდა ამისა, მელქისედეკის სახეში შეერთება სამეუფო და სამღვდელო ღირსებათა მოასწავებდა იესო ქრისტეს - საუკუნო მეუფეს, რომლისა სუფევისა არა არს დასასრულ და საუკუნო მღვდელთ მთავარს, რომელმაც ერთ გზის შესწირა თავი თვისი (ებრ. 7, 27) და საუკუნო შუამდგომელია ჩვენთვის წინაშე ღვთისა.[113]

ბიბლიის კომენტარების მიხედვით, სალემის მეფე მელქისედეკი სრულიად განსაკუთრებული პიროვნებაა. იმ ვითარებამ, რომ მოსე არავითარ ცნობას არ იძლევა მის შესახებ, ხოლო ფსალმუნების ავტორი და მოციქული პავლე მიგვანიშნებს მის საიდუმლო კავშირზე თავად უფალ იესო ქრისტესთან (ფსალმ. 76, 2, 4; ებრ. 6, 20; 7, 1-3, 11, 19) მრავალი სხვადასხვა აზრი დაბადა მელქისედეკის პიროვნებაზე და მის მსახურებაზე.[114] ურთიერთგამომრიცხავი არგუმენტების მიუხედავად, სარწმუნოდ ითვლება ის აზრი, რომ მელქისედეკი არის ძველი აღთქმაში ქრისტეს პირველსახე, რომლის პიროვნებაში გაერთიანებულია „მეფისა და მღვდლის“ მსახურება.[115]

სწორედ ამ გარემოებებმა განაპირობა, სახელმწიფოსა და სამართლის საკითხის კვლევისას ცალკე საკითხად გამოყოფილიყო მელქისედეკის პიროვნება, რადგან მელქისედეკი თავისი მდგომარეობით აღემატება არათუ პირველქმნილ მეფე ადამს, შემდეგ ნოეს და პირველქმნილი ადამიანის შთამომავალთა მეფეებს, იგი ძველ აღთქმაში მიიჩნევა, როგორც ქრისტეს პირველსახე, ანუ ზეცისა და ქვეყნის მეფე (ფსალმ. 76, 2, 4; ებრ. 6, 20; 7, 1-3, 11, 19).

1.1.1.5 შეჯამება

პირველქმნილ ადამიანთა საზოგადოებაში, სახელმწიფოსა და სამართალს აქვს ყველასათვის საერთო ტრანსცენდენტული ბუნება. არსებობს ერთგვარი სახელმწიფოს არაფორმალური მმართველობა, რომლის სამართალს წარმოადგენს დაუწერელი საღვთო რჯული, სამართალი. რეალურად კი, ღმერთი არის ყველას კანონმდებელი, აღმასრულებელი და მსაჯული. ბაბილონის გოდოლის შენების პერიოდიდან, სახელმწიფოსა და სამართლის საერთო ტრანსცენდენტული ბუნება განიცდის სახეცვლილებას. კერპთაყვანისმცემლობის გაჩენიდან ხალხებში ყალიბდება სახელმწიფოს ფორმალური მმართველობა, რაც გამოიხატება ცრუ ღმერთების აღიარებასა და მათ მსახურებაში. ამასთან, სახელმწიფოსა და სამართლის თეორიაში დაფიქსირებულ მიდგომას, თითქოს „სახელმწიფო საზოგადოებრივი პროგრესის

[113] იხ. სახელმძღვანელო ძველი და ახალი აღთქმის შესასწავლად, (შედგ. *ა. პ-სის* მიერ), გამოცემა „მწყემსი“-ს რედაქცია, ქუთაისი, 1909, 50-51.
[114] იხ. *ლოპუხინი ალ.*, I ტ., დასახ. ნაშრ., 174-175.
[115] იხ., იქვე, 177.

შედეგია,“[116] ქრისტიანული მოძღვრების მიხედვით, ვერ იქნება გაზიარებული, რადგან იგი (სახელმწიფო) საზოგადოების რეგრესის, სულიერი დაცემის შედეგია, როგორც ამას *წმ. იოანე ოქროპირი* ამბობს, „ხელისუფლების დაწესება ადამიანის გარყვნის შედეგია.“[117] ადამიანური ცივილიზაცია, რომელიც დღემდე გრძელდება, როგორც ირკვევა, შექმნილია სულიერად გადაგვარებული კაენის შთამომავლობის მიერ.[118]

ამგვარად, სახელმწიფო და სამართალი თეოკრატიულ საწყისებზე რჩება იმ განსხვავებით, რომ ებრაელი ხალხი აღიარებს და ემსახურება ერთადერთ, სამყაროს შემქნელ, ჭეშმარიტ ღმერთს, ხოლო კერპთაყვანისმცემელი ხალხი, ცრუ ღმერთებს.

გარდა ამისა, კვლევა შესაძლებლობას იძლევა, სახელმწიფოსა და სამართლის კონცეფცია, პირობითად დახასიათდეს არაფორმალური და ფორმალური თვალსაზრისით.

1. სახელმწიფოს არაფორმალური მმართველობაში მოიაზრება:

ა. *ღმერთის ხატად შექმნილი ადამიანი* (დაბ. 1, 27), ანუ პირველი არაფორმალური მეფე, რომელსაც მიეცა უფლობა მიწეირ სამყაროზე (დაბ. 1. 28-30; 2, 16-17).

ბ. *არაფორმალური მეფეები* (მსაჯულნი, წინამძღოლები, უხუცესები, პატრიარქები, მამამთავრები), რომლებიც მოწოდებულნი არიან აღასრულონ ჭეშმარიტი ღმერთის ნება, აღთქმა და მცნებები;

გ. *მღვდელთა სამეფო ისრაელის ხალხში,* - საუბარია, როგორც ძველ (გამ. 19. 5-6), ასევე ახალ აღთქმაშიც (რჯლ. 26, 16-19; გამოცხ. 1, 6; 20:6). მისი არსი მდგომარეობდა იმაში, რომ ისრაელის ხალხს უნდა მიეღო მეფური, გაბატონებული მდგომარეობა სხვა ხალხებს შორის (რჯლ. 26, 16-19), რომ უნდა გამხდარიყვნენ „წმინდა ხალხი“, განწმენდილნი საღვთო სჯულის ცოდვებისაგან (ლევ. 11, 44-45; რჯლ. 14, 2), რათა აევსოთ მთელი ქვეყანა უფლის დიდების ცოდნით (აბაკ. 2, 14).

დ. *მელქისედეკი,* - იგი ძველ აღთქმაში მიიჩნევა, როგორც ქრისტეს პირველსახე, ზეცისა და ქვეყნის მეფე (ფსალმ. 76, 2, 4; ებრ. 6, 20; 7, 1-3, 11, 19).

2. სახელმწიფოს ფორმალურ მმართველობაში მოიაზრება:

ა. *წარმართული სახელმწიფოები,* - მათი წარმოშობა სათავეს იღებს ბაბილონის გოდოლის შენების პერიოდიდან და შეეხება, ქალდეევ-ბაბილონის, სირიის, ეგვიპტის, საბერძნეთის, სპარსეთ-მიდიისა და რომის სამეფობსა და იმპერიებს;

---

[116] *მეტრეველი ვ.*, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, *სამართალმცოდნეობა* (რედ. *რ. შენგელია*), გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2003, 25.

[117] 1. *წმ. იოანე ოქროპირი*, ჰომილიები, II ტომი, შესაქმის განმარტება, მეორე ნაწილი (რედ. *თ. გოგოჩაშვილი*), გამომც. „ალილო“, თბ., 2015, 309; 2. ამგვარად, პროგრესი, ყოველთვის სათნოებისკენ, ღმერთისკენ სვლას გულისხმობს და არა პირიქით.

[118] დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ წინამდებარე დისერტაციის ქვე-პარაგრაფი: 2.1.3.2 ადამიანის ყოფა პირველი ცოდვის შემდეგ.

ბ. *ისრაელის სახელმწიფო*, - სათავეს იღებს საულის გამეფებით (1 მეფ. 10, 1) და მეფობის უფლებების (1 მეფ. 10, 25) დადგენით, რა დროსაც ღმერთი დებს აღთქმას, რომ ისრაელის მეფის, დავითის შტოდან მომავალში მოავლენს ქრისტეს.

3. სახელმწიფოს არაფორმალური მმართველობის ყველა ზემოთჩამოთვლილ შემთხვევაში და ისრაელის ფორმალური სახელმწიფოში, მოქმედებს საღვთო სამართალი, რომლის წყაროს წარმოადგენს ჭეშმარიტი ღმერთი, ხოლო წარმართი სახელმწიფოების საღვთო სამართალის წყაროა ცრუ ღმერთები. გარდა ამისა, სახელმწიფოს მმართველობის ორივე ფორმაში, საღვთო სამართალთან ერთად, მოქმედებს „ხალხის“ დაუწერელი სამართალი - ტრადიციების, ჩვეულებებისა და ადათების სახით (გამ. 18, 16; 1 მეფ. 8, 5, 19-20).[119]

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ იურისპრუდენციაში, სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის შესახებ თეორიებს შორის, თეოლოგიური თეორია ყველაზე ადრეული თეორიაა, რომელიც აღმოცენდა მსოფლიოს შესახებ პირველსაწყისი რელიგიურ-მითოლოგიური წარმოდგენებიდან და, რამდენადაც მსოფლიო შექმნა ღმერთმა, ამიტომ, სახელმწიფო და სამართალიც ღვთაებრივი წარმოშობისაა.[120] აღნიშნულ დებულებაში, მიზანშეწონილია აქცენტი გაკეთდეს იმ გარემოებაზე, რომ სახელმწიფოსა და სამართალის წარმოშობა უკავშირდება ჭეშმარიტ, სამყაროს შემოქმედ და არა, ცრუ ღმერთს, რადგან:

1. ღმერთი არის ზეცისა და მიწიერი ხალხების ხელმწიფე, რადგან: მან შექმნა ცა და მიწა (დაბ. 1, 1), მას ეკუთვნის მთელი ქვეყანა (გამ. 19, 5), მისი ტახტი უკუნითი უკუნისამდეა და სიმართლის კვერთხია მისი მეუფებისა (ფსალმ. 44 (45), 7), იგი არის დიდი ღმერთი და მეფე - ყველა ღვთაებაზე აღმატებული (ფსალმ. 94 (95), 3), მისით მეფობენ მეფენი, მთავრობენ მთავარნი, დიდებულნი, ქვეყნის ყველა მსაჯული და მისით აწესებენ სამართალს (იგავ. 8, 15-16), მისი არის სიბრძნე და ძალა, რომელიც ცვლის დროსა და ჟამს, ამბოხებს და აღაზევებს მეფეებს (დან. 2, 20-21).

2. ღმერთის მიერ ისრაელის ხალხში ფორმალური სახით მეფის ინსტიტუტის დაწესებით, ღმერთი აკურთხებს ყოველგვარ სახელმწიფო ხელისუფლებას, დამოუკიდებლად მმართველობის ფორმისა (*ნ. მილაში*).

„ადამიანური კანონების მისამართავად იმ მიზნისკენ, რომელიც წინასწარდასახულია ღვთის განგებით, ღმერთმა სახელმწიფო ხელისუფლებას, ისევე როგორც ოჯახის პირველ თავს, უბოძა ძალა ღმერთის სახელით წარმართოს ადამიანები კეთილ გზაზე. ძველი აღქმიდან სამი უმაღლესი მსახურებაა ცნობილი: სამღვდელთმთავრო, საწინასწარმეტყველო და სამეფო. უფალმა აკურთხა რა ისრაელის

---

[119] დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ წინამდებარე დისერტაციის ქვე-პარაგრაფი: 1.2.2.3 ნორმატიული ტერმინოლოგია - ტრადიციები, ჩვეულებები და ადათები.

[120] იხ. ქართული სამართლის საფუძვლები (ავტორთა კოლექტივი, რედ. *რ. შენგელია*, რეც. *ზ. წულაია*), თბ., 2000, 23.

პირველი მეფის, საულის სახით სამეფო მსახურება, ამით მან აკურთხა ყოველგვარი სახელმწიფო ხელისუფლება, დამოუკიდებლად მმართველობის ფორმისა".[121]

დაბოლოს, სახელმწიფოსა და სამართლის ღვთიურ ონტოლოგიაზე დაყრდნობით, შესაძლებლობა გვაძლევა ჩვენს მიერ დასმულ შეკითხვას გავცეთ პასუხი, რაც მდგომარეობს იმაში, რომ - **სახელმწიფოს მიერ დადგენილი სამართალის ნორმის დარღვევა არის ცოდვა**. თუმცა, ასეთი ფორმულირება თვისებრივად წინააღმდეგობრივად გამოიყურება, რადგან გამოდის, რომ ისრაელისა და წარმართული, ანუ ჭეშმარიტი ღმერთის და ცრუ ღმერთების მაღიარებელი და მსახური სახელმწიფოების მიერ დაწესებული სამართლის ნორმების დარღვევაც არის ცოდვა.

იმის გამო, რომ ახალი აღთქმა ყველაზე კარგად წარმოაჩენს მართლმადიდებლური მოძღვრების პოზიციას ცოდვის ბუნებაზე წარმართული სახელმწიფოს სამართლის ნორმის დარღვევასთან მიმართებაში, საკითხი უფრო დეტალურად გაანალიზდება მომდევნო პარაგრაფში.

1.1.2 სახელმწიფოსა და სამართალის კონცეპტი ახალ აღთქმაში

ახალი აღთქმა ყველაზე მეტ ყურადღებას უთმობს რომის წარმართულ იმპერიას, რადგან მოვლენათა ეპიცენტრი რომის იმპერიაში ხდება. იესო ქრისტეს, ზეცისა და მიწის მეფის დაბადება, მოღვაწეობა, ჯვარცმა, მკვდრეთით აღდგომა და ქრისტიანობის გავრცელება მსოფლიოში, რომის იმპერიის ფარგლებში ხორციელდება.[122]

იმდროინდელი რომის იმპერიის აბსოლუტური მმართველი იყო იმპერატორი. ადგილობრივი ტერიტორიების უმაღლეს მმართველებს წარმოადგენდნენ მეფეები, რომლებიც სენატის მიერ ინიშნებოდნენ და პასუხისმგებელნი იყვნენ იმპერატორის წინაშე. პროვინციებს კი, ჰყავდათ მმართველები (პროკურატორები), რომლებიც ინიშნებოდნენ იმპერატორის მიერ და პასუხისმგებელნი იყვნენ უშუალოდ მის წინაშე. საგადასახადო საქმიანობის გარდა, პროკურატორს გააჩნდა პირის გასამართლების უფლებამოსილება, როგორც ეს რომის იმპერიაში შემავალ, იუდეის პროვინციის მეხუთე წარმართ პროკურატორ პილატეს ჰქონდა. იუდეასა და სამარიის პროკურატორის სასამართლო რეზიდენცია, კესარიასში მდებარეობდა.[123] სინედრიონის წევრებმა იესო მიჰგვარეს პილატეს იმ ბრალდებით, რომ თითქოს იესო მიწიერ მეფედ ასაღებდა თავს, რაც რომის იმპერატორის ძალაუფლების საფრთხის შემცველი იყო.[124]

---

[121] *დეკ. ვლადისლავ ციპინი*, საეკლესიო სამართალი, საღვთისმეტყველო სამეცნიერო ალმანახი „ფერისცვალება", გამომცემლობა „ანთიმოზ ივერიელი", №1, თბ., 2010, 123.

[122] იხ. *Jensen I.L.*, Jensen's Survey of New Testament, USA, 1981, 56.

[123] იხ., იქვე, 56-59.

[124] იხ. ვებ-გვერდი „Ministry Server", სტატია „Political Setting of the New Testament, Lecture 3", (by the Division of Student Ministry of the Baptist General Convention of Texas, N. Washington Dallas, Texas), <www.ministryserver.com/dsmtext/nttext03.htm>, (მოპოვების თარიღი: 01.08.2014).

სწორედ ამ კონტექსტში, საკვლევ საკითხზე, ყველაზე კარგად პასუხს იძლევა მათესა და იოანეს სახარება, კათოლიკესა და პავლეს ეპისტოლენი, რაც მომდევნო პარაგრაფში იქნება განხილული.

1.1.2.1 რომის იმპერიის სამართალისადმი ქრისტიანული დამოკიდებულება

ვ. ციპინის თანახმად, იესო ქრისტე, ცისა და ქვეყნის მპყრობელი, თავის მიწიერ ცხოვრებაში ამქვეყნიურ წესრიგს დაექვემდებარა, დაემორჩილა სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლებსაც. თავის ჯვარმცმელ, იერუსალიმში რომის პროკურატორს უფალმა უთხრა „არ გექნებოდა არავითარი ხელმწიფება ჩემზე, მაღლიდან რომ არ მოგცემოდა“ (იოანე, 19, 11). *ვ. ციპინი* ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ აღნიშნული სიტყვებით უფალმა აღნიშნა ყოველგვარი მიწიერი ხელისუფლების ზეციური წყარო.[125]

ფარისევლების გამოსაცდელ შეკითხვაზე, შეიძლებოდა თუ არა კეისრისთვის ხარკის გადახდა, იესო პასუხობს: „მიაგეთ კეისარს კეისრისა, ხოლო ღმერთს ღმერთისა“ (მათე, 22, 21).[126]

მათეს სახარების განმარტებით: 1. ქრისტე შეაგონებს მათ, რომ, როგორც საყოფაცხოვრებო ურთიერთობაში და გარეგნულ საქმეებში მეფეს უნდა დაემორჩილნონ, ისე შინაგანსა და სულიერში, - ღმერთს; 2. ვინაიდან ორი ნაწილისგან, ხორცისა და სულისგან შევდგებით, ამიტომ ხორცს, როგორც ერთგვარ კეისარს საკვები და ტანსაცმელი უნდა მივაწოდოთ, ხოლო ჩვენში ღვთის მსგავს ნაწილს, სულს, თავისი - მისთვის შესაფერისი მივცეთ.[127]

გარდა ამისა, უფალმა ამ პასუხით, გამოაჩინა კავშირი ორ მცნებას შორის. კერძოდ, მოვალეობა კეისრისადმი და ღმერთისადმი, პირველი მცნების არასრულყოფილება უკანასკნელის გარეშე. არ არის ძნელი იმის დანახვა, რომ მეორე ნახევარი ამ მცნებისა „*მიეცით ღმერთს ღმერთსა*“ უფრო ფართოა, რამდენადაც ხელმწიფება ღვთისა უმეტესია და დიდი, ვიდრე ხელმწიფეები კეისრისა.[128]

განავრცობს რა ქრისტეს სწავლებას სახელმწიფო ხელისუფლებასთან სწორი დამოკიდებულების შესახებ, *ვ. ციპინი* იშველიებს მოციქულების პეტრესა და პავლეს წერილებს, საიდანაც ირკვევა, რომ ყოველი ხელმწიფება ღვთის მიერ არის დადგენილი

---

[125] იხ. *დეკ. ვლადისლავ ციპინი*, საეკლესიო სამართალი, იხ.: საღვთისმეტყველო სამეცნიერო ალმანახი „ფერისცვალება“, გამომც., „ანთიმოზ ივერიელი“, №1, თბ., 2010, 123-124.

[126] იხ., იქვე, 124.

[127] იხ. *ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი*, მათეს სახარების განმარტება (რედაქტორ-გამომცემელი *ნ. ბულია*; მთრგმნ. *ვ. მურჯიკნელი*), გამომც. „ალილო“, თბ., 2012, 295.

[128] იხ. მათეს სახარების განმარტება (წმიდა მამათა სწავლების მიხედვით), *მიეცით კეისარს კეისრისა და ღმერთს ღმრთისა* (მასალების შემკრები, მთარგმნელი და გამმართველი წილკანის ეპისკოპოსი ზოსიმე (შიოლაშვილი), მეშვიდე აბზაცი, იხ.: <www.orthodoxy.ge/tserili/zosime/22_15-22.htm>, (მოპოვების თარიღი: 01.08.2014).

(რომ. 13, 1) და ამის გამო, ადამიანი, ღმრთის გულისათვის უნდა დაემორჩილოს კაცთა ყოველგვარ ხელმწიფებას, „... *რადგან ისე ინება ღმერთმა*“. (1. პეტრ. 2, 13-15).[129] მოციქულები ქრისტიანებს ასწავლიდნენ დამორჩილებოდნენ ხელისუფლებას, მიუხედავად იმისა, თუ რა დამოკიდებულება ჰქონდათ თვით ხელისუფლებას ეკლესიასთან.[130]

როდესაც პავლე მოციქულმა აღნიშნული წერილი მიწერა რომაელებს, მაშინ რომის იმპერატორი იყო ნერონი. შესაძლოა ყველაზე ბოროტი ყველა რომაელ იმპერატორთა შორის. მიუხედავად ამისა, პავლე მოციქულმა აღიარა, რომის მთავრობის წესებისადმი მორჩილება.[131] წმიდა *იუსტინე*, რომაელთა მიწერილ წერილზე (რომ. 13, 16) დაყრდნობით განმარტავს, რომ „ფასეულობათა იერარქია და წესრიგის იერარქიაც ღვთისმიერია, ამიტომ ხელისუფლებას უნდა ვემორჩილებოდეთ, ვითარცა ამქვეყნად ღვთივმონიჭებული წესრიგის მარეგულირებელს და მცველს“.[132]

ამგვარად, ღმერთი არ გვათავისუფლებს ამქვეყნიური მეუფის ვალდებულებისაგან. ამის მაგალითს წარმოადგენს თავად ქრისტეს საქციელი, რომელმაც მორჩილებით დაუქვემდებარა საკუთარი თავი სახელმწიფო სამართლს.[133]

თუმცა, ასეთი მიდგომა, აპრიორი არ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფოს სამართალი ყოველთვის ღვთის ნებას გამოხატავს და, რომ მას ბრმად უნდა დავემორჩილოთ.

წმიდა *იუსტინე* განმარტავს, რომ „როდესაც ხელისუფლება საღვთო სიკეთის მდევნელი ხდება, ყოვლადსიკეთის - უფალ იესო ქრისტესი და მისი ეკლესიისა, მაშინ ასეთი ხელისუფლების არც მორჩილება და არც ყურისგდება არ შეიძლება. ასეთ ხელისუფლებას ქრისტიანი უნდა ებრძოდეს, - წმიდა, სახარებისეული საშუალებით“.[134]

სამართლისა და რელიგიის ექსპერტი, ამერიკელი იურისტი *ჰაროლდ ბერმანი* შენიშნავს, რომ კანონები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ქრისტიანულ რწმენას, სავალდებულო არ არის სინდისისთვის.[135] მსგავსი მიდგომა ფიქსირდება იუდეველთა ისტორიაშიც. მაგალითად, ბაალის თაყვანისცემისადმი წინააღმდეგობის გაწევა, დანიელის ისტორია, როდესაც არ ემორჩილება მეფე დარიუსს და სხვა.[136]

---

[129] იხ. *დეკ. ვლადისლავ ციპინი*, საეკლესიო სამართალი, ციტირებულია: საღვთისმეტყველო სამეცნიერო ალმანახი „ფერისცვალება“, გამომც. „ანთიმოზ ივერიელი“, №1, თბ., 2010, 124.

[130] იხ., იქვე, 124.

[131] იხილეთ ვებ-გვერდი „Got Question“, სტატია „Do Christians have to obey the laws of the land?“-ის მეორე პარაგრაფი, <www.gotquestions.org/laws-land.html>, (მოპოვების თარიღი: 01.06.2014).

[132] *Преподобный Иустин (Попович)*, Собрание творений, Том 1, (ред. А. И. Сидорова, перевод с сербского Сергея Фонова), М., 2004, 68.

[133] ახალი აღთქმის მუხლები: მათე 22, 21; იოანე 19, 11; ეპისტ. 1. პეტრესი, 2, 13-16; ეპისტ. რომაელთა მიმართ 13, 1-7; ეპისტოლ. კოლასელთა მიმართ, 1, 16; ეპისტ. 1 ტიმოთეს მიმართ, 2, 2.

[134] *Преподобный Иустин (Попович)*, Собрание творений, Том 1 (ред. А. И. Сидорова, перевод с сербского Сергея Фонова), М., 2004, 68-69.

[135] იხ. *Berman H.J.*, The Interaction of Law and Religion, New York, 1974, 52.

[136] იხ., იქვე, 52.

მღვდელმთავარი ლუკა ვიონო-იასენეცკი განმარტავს, რომ „ადამიანს არ ეგების შურისძიება პირადი წყენა-შეურაცხყოფებისთვის, მაგრამ ის განრიდებული არ უნდა იყოს მაშინ, როდესაც ბოროტებას სჩადიან და ფეხქვეშ თელავენ იმას, რასაც სხვებისთვის წმინდაა. ქრისტიანის სულიერი მზერის წინაშე ყოველთვის დგას ქრისტეს ხატება, რომელმაც საბლის შოლტი გააკეთა და ტაძრის შემბილწველი ვაჭრები გამოყარა. ასეთ მორალს, ცხადია პასიურს ვერ ვუწოდებთ."[137]

წმ. ილია მართლის შეხედულებით, მართალი (ღვთაებრივი) სამართალი აღაგზნებს ადამიანებს უსამართლობის წინააღმდეგ შურისძიების გრძნობით და ის, ვინც სიმართლის გასამარჯვებლად ბოროტების წინააღმდეგ იბრძვის მართალ (ღვთაებრივ) სამართალს ახორციელებს.[138]

ეკლესიური სწავლებით, როდესაც ეკლესია და მისი წევრები ღვთის ნების საწინააღმდეგო სახელმწიფო კანონს წააწყდებიან, სადაც ირღვევა სარწმუნოებრივი და ზნეობრივი კანონები, სადაც სულს საფრთხე ემუქრება, ამ შემთხვევაში ყველას მართებს მორჩილება უფლისა: „მორჩილება ჯერ არს ღმრთისა უფროს, ვიდრე კაცთა" (საქმე 5. 29).[139]

თუმცა ამ წესში გასათვალისწინებელია ერთი ნიუანსი. სინედრიონში *წმ. პეტრესა* და *მოციქულების* პასუხი „მორჩილება ჯერ არს ღმრთისა უფროს, ვიდრე კაცთა" მართალია, ერთმნიშვნელოვნად ნიშნავს, რომ თუკი სახელმწიფოს სამართალი არ ეწინააღმდეგება ღმერთის სამართალს, ქრისტიანები ვალდებულნი არიან დაემორჩილონ ქვეყნის სამართალს და პირიქით, თუკი სახელმწოფოს სამართალი ეწინააღმდეგება ღვთის მცნებებს, ქრისტიანი არ ემორჩილება ქვეყნის სამართალს, მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი, ქრისტიანი გარკვეულწილად მაინც „ემორჩილება" ხელისუფლებას. აღნიშნულს ადასტურებს ისიც, რომ *წმ. პეტრემ* და *წმ. იოანემ*, არათუ გააპროტესტეს თავიანთი გაროზგვა, არამედ პირიქით, სიამოვნებით მიიღეს იგი, როგორც ღვთისადმი მორჩილება.[140]

„ხოლო ისინი გამოვიდნენ სინედრიონიდან და უხაროდათ, რომ იესოს სახელისათვის შეურაცხყოფის ღირსნი შეიქნენ. ტაძარსა თუ სახლებში ყოველდღე დაუცხრომლად ასწავლიდნენ და ახარებდნენ იესო ქრისტეს" (საქ. 5. 40-42).

წმიდა ბასილი დიდის ცხოვრებიდან ირკვევა, რომ იმპერატორი ვალენტი მართლმადიდებელ ეპისკოპოსებს დევნიდა, ასახლებდა და სასტიკი მეთოდებით

---

[137] *მღვდელმთავარი ლუკა (ვიონო-იასენეცკი)*, მეცნიერება და რელიგია, სული სამშვინველი და სხეული (გამოცემის ხელმძღვანელი, *დეკ. ი. ნასიძე*, მთარგმნელ-რედაქტორი, *ა. მინდიაშვილი*), თბ., 2003, 52.

[138] იხ. *ი. ჭავჭავაძე*, თხზ. სრ. კრებული, ტ. 2, გვ. 113-114 ციტირებულია წიგნიდან: *აბაშმაძე ვ.*, ილია ჭავჭავაძე - სახელმწიფოსა და სამართლის პრობლემები, გამომც. „განათლება", თბ., 1987, 304.

[139] *დეკ. კონსტანტინე ჯინჭარაძე*, ჭეშმარიტი სარწმუნოება (საქართველოს საპატრიარქო რადიო „ივერიის" ეთერში გადაცემული ქადაგებების მიხედვით; რედ. *დ. თ. მორგოშია*), თბ., 2015, 165.

[140] იხ. „Do Christians have to obey the laws of the land?",<www.gotquestions.org/laws-land.html>, (მოპოვების თარიღი: 01.06.2014).

ავრცელებდა არიანობას. ამავე მიზნით ჩავიდა ის კაბადოკიაში და წმიდა ბასილთან გაგზავნა პრეფექტი მოდესტი, რომელიც ემუქრებოდა მას ქონების ჩამორთმევით, განდევნით, წამებით და სიკვდილით დასჯითაც კი, რაზედაც წმიდანმა ასე უპასუხა:

> „...სიკვდილი წყალობაა ჩემთვის: ის მიმაახლებს უფალთან, რომლისთვისაც ვცოცხლობ და ვიღწვი, და რომლისკენაც დიდი ხანია ვისწრაფვი. ჩვენ უწყინარები და ყოველგვარი ხელისუფლების ყველაზე მორჩილი მსახურები ვართ, მაგრამ, როცა საქმე უფალს ეხება და გაკადნიერდებიან, აღსდგებიან მის წინააღმდეგ, ჩვენ ყველაფერზე მაღლა ვდგებით და მხოლოდ ღმერთს ვემორჩილებით. მაშინ ცეცხლი, მახვილი, გააფთრებული მხეცები და საწამებელი იარაღები ჩვენთვის ნეტარებაა და ამით ვერ შეგვაშინებენ."[141]

ზოგადად, ქრისტიანისათვის დევნილობა ამა სოფლისაგან ყოველთვის იყო ეკლესიისათვის ბუნებრივი მდგომარეობა. *პავლე მოციქულის* სიტყვისამებრ: „ამისათვის სათნო მიჩნს უძლურებათა შინა, გინებითა, ჭირთა, დევნილებათა და იწროებათა ქრისტესთვის, რამეთუ რაჟამს მოუძლურდე, მაშინ განვძლიერდები" (2. კორ. 12. 10).[142]

თ. ბოჭორაძე აღნიშნავს, რომ „ბიბლიიდან ნათლად ჩანს, რომ არც ერთი წინასწარმეტყველი, ნათელმხილველი, ღმერთშემოსილი, ჭეშმარიტი მორწმუნე და საეკლესიო პირი თავიანთ სიცოცხლეში არ იქნებიან თავიანთ სამშობლოში მიღებული. ეს ხომ მათი ხვედრია."[143]

წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი შენიშნავს, რომ „ხშირად მართალნიც მიეცემიან უკეთურ ადამიანთა ხელთ, არა უკეთურთა განსადიდებლად, არამედ მართალთა გამოსაცდელად".[144]

წმ. იოანე ოქროპირის სწავლებით, „ადამიანი სიხარულით უნდა მიილტვოდეს იმ განსაცდელისკენ, რომელიც მას ცათა მოქალაქეობის ღირსს ხდის. ეს განსაცდელი კი გარედან მოსული განსაცდელია, რომელზეც წმინდა მოციქული იაკობი ბრძანებს: „ყველაფერი სიხარულად შერაცხეთ, ჩემო ძმანო, როცა სხვადასხვა განსაცდელში ვარდებით" (იაკობი 1, 2), რამეთუ განსაცდელი ესე გამომახურვებელ და განმწმედელ არს სულისა. სულის განწმენდა კი, დაუსრულებლად გრძელდება ქრისტიანის ცხოვრებაში. ამიტომ, განსაცდელი არა ერთხელ, არამედ მთელი ცხოვრების მანძილზე

---

[141] *დეკ. ზაქარია მაჩიტაძე*, წმინდანთა ცხოვრება, წიგნი პირველი, გამომც. „ბონდო მაცაბერიძე", თბ., 2003, 10-11.

[142] *დეკ. კონსტანტინე ჯინჭარაძე*, ჭეშმარიტი სარწმუნოება (საქართველოს საპატრიარქო რადიო „ივერიის" ეთერში გადაცემული ქადაგებების მიხედვით; რედ. *დ. თ. მორგოშია*), თბ., 2015, 173.

[143] *ჯინორია მ.*, თქვენი სიცოცხლე ჩემი სიცოცხლეა ცხოვრება, სწავლანი და მოგონებანი ბერი გაბრიელისა (რედ. *ზ. ტყეშელაშვილი*), თბ., 2009, 405.

[144] სულიერი მდელო, (შემდგ.: *ნ. თარაშვილმა, ხ. რაქვიაშვილმა, თ. ასათიანმა*; რედ. *თ. გოგოჩაშვილი*), გამომც. შპს „მეგობრობა", თბ., 2014, 660.

უნდა დაითმინოს ადამიანმა, ვინაიდან ბრძანებს მოციქული „რომელმან დაითმინოს სრულიად, იგი ცხონდესო".[145] ბიბლიაში ვკითხულობთ:

„ნუ გეშინია ნურაფრისა, რისი დათმენაც მოგიწევს. აჰა, ეშმაკი აპირებს ზოგი თქვენგანი გამოსაცდელად ჩააგდოს საპყრობილეში; და გექნებათ ურვა ათი დღე. სიკვდილამდე ერთგული იყავი და მოგცემ შენ სიცოცხლის გვირგვინს" (გამოცხ. 2, 10).

წმ. იოანე დამასკელის სწავლებიდან ირკვევა, რომ „ზოგჯერ იმას, რაც ბოროტებაა და სიმძიმილია ჩვენს გრძნობასთან მიმართებაში, ანუ შეჭირვებანი და მოსაწევარნი, როგორც სატკივარნი, მოჩვენებით არიან ბოროტებანი, ჭეშმარიტად კი - სიკეთენი არიან, რადგან მოქცევისა და ხსნის მიმნიჭებელნი ხდებიან გონიერთათვის."[146]

ხელისუფლების მორჩილებასთან დაკავშირებით კი, წმ. *იოანე ოქროპირი* განმარტავს, რომ პირველმა ცოდვამ შვა მონობის სამი სახე, რომელთაგან ყველაზე მძიმე არის მთავრებისა და ხელმწიფეთა მორჩილება და იშველიებს *პავლე მოციქულის* ეპისტოლეს: „ღმერთმა, როდესაც ჩვენი უყურადღებობა ნახა, ჩვენი ბუნება მიაბარა მმართველებს, როგორც მასწავლებლებსა და წინამძღვრებს, რათა ჩვენი დაუდევრობა მათ გამოესწორებინათ, რაც იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლების დაწესება ადამიანის გარყვნის შედეგია" (რომ 13, 3-4).[147]

იოანე ოქროპირის სწავლებით, წინამძღოლი გვჭირდება, ისე როგორც სნეულების წამლობა, როგორც სასჯელი - დანაშაულისათვის. ხოლო, სათნოებებით შემკულებს, ამგვარი წინამძღოლი არ სჭირდებათ და უთითებს პავლე მოციქულის სიტყვებს: „*გნებავს თუ, - არა გეშინოდის ხელმწიფებისაგან? კეთილსა იქმოდე და მოიღო ქებაი მისგან* ... . კანონი მთავრებზე მაღლა დგას, ხოლო სიმართლით მცხოვრებს არც სჭირდება კანონი, რადგან „მართალსა შჯულ არა უც" (1 ტიმ. 1,9)", და დასძენს, რომ „თუკი კანონი მას ვერ ეღობება წინ, მით უმეტეს - მთავარი".[148]

1.1.2.2 ქრისტე - ზეცისა და ქვეყნის მეუფე

სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვა „მეუფე"-ს მათეს სახარების მიხედვით განმარტავს, როგორც: „*მეუფე - დიდი მეფე, ყოველთა მეფეთა უზეშთაესი ...*". „ქართული ოთხთავის სიმფონია ლექსიკონის" მიხედვით კი, სიტყვა „მეუფე" განმარტებულია, როგორც „მეფე" და ძირითადად იგი მაცხოვარს ნიშნავს.[149]

---

[145] *ნაზარაშვილი თ.*, განსაცდელი, იხ.: საზოგადოებრივ რელიგიური ინტერნეტ ჟურნალი „ამბიონი", 2012, იხ.: <http://www.ambioni.ge/gansacdeli>, (17.05.2015).

[146] *იოანე დამასკელი*, დასახ, ნაშრ., 271.

[147] *წმინდა იოანე ოქროპირი*, ჰომილიები, II ტომი, შესაქმის განმარტება, მეორე ნაწილი (რედ. *თ. გოგოჩაშვილი*), გამომც. „ალილო", თბ., 2015, 309.

[148] იხ., იქვე, 310.

[149] იხ. *გაბულდანი ნ.*, ქრისტიანული ტერმინების სემანტიკური ცვლის ზოგი ტენდენცია ქართულსა და სხვა ქართველურ ენებში, (სადისერტაციო ნაშრომი), თსუ, თბ., 2002, 30.

დოგმატურ ღვთისმეტყველებაში, შემოქმედი და მეუფე ცისა და ქვეყნისა - ძე ღვთისა, არის მარადიული მეფე ღვთაებრიობით, არის მეფე ღმერთკაცობრიობითაც. იგი მეფედ მიიჩნეოდა მის მოვლენამდე (მათე, 2, 2), ასეთი იყო დედამიწაზე მსახურების დროს, ჯვარზე აღსრულებამდე (მათე 27, 11, 37, 42) და ასეთად დარჩა აღდგომის შემდგომ განდიდებულიც (მათე 28, 18).[150]

ქრისტეზე, როგორც მეფეზე იუწყებოდნენ წინასწარმეტყველნი. კერძოდ, ესაია წინასწარმეტყველთან ვკითხულობთ: „... მოგვეცა ძე და უფლობა იყო მის ბეჭებზე, ეწოდა სახელად საკვირველი მრჩეველი, ღმერთი ძლიერი, მარადისობის მამა, მშვიდობის მთავარი; ხელმწიფების განსადიდებლად და უბოლოო მშვიდობისთვის დავითის ტახტზე და მის სამეფოში, მის განსამტკიცებლად და გასაძლიერებლად სამართალში და სიმართლეში აწ და მარადის...“ (ეს, 9, 5-6).[151]

ფსალმუნში ვკითხულობთ, „მე ვაკურთხე მეფე ჩემი სიონზე - ჩემს წმიდა მთაზე“ (ფსალმ. 2, 6). სიონის მთაში იგულისხმება მთელი იუდეა. ე.ი. ქრისტე ამბობს, რომ ის დადგენილია სიონის მთაზე, ანუ იერუსალიმში, მეფედ, რათა სახარებისეული მცნებები აუწყოს ხალხს. მეათე მუხლი, გვამცნობს „და აწ, მეფენო, გულისხმა-ყავთ და განისწავლენით ყოველნი მსაჯულნი ქუეყანისანი” (ფსალმ. 2, 10). სიტყვა „აწ“, შეიცავს დასკვნითი ნაწილის მნიშვნელობას. თითქოს ნათქვამია: მაშ ასე, რომაელთა და სხვა ხალხთა ძლიერნო მეფენო, და თქვენ, ქვეყნების მსაჯულნო, როგორ უბედურებას გადაეყარნენ ისინი, რომლებმაც უგუნურად უარყვეს ქრისტე, და, რადგანაც უფალმა სამკვიდრებელად გამოგარჩიათ. თქვენ ყველანი განისწავლებით, განეშორებით პირვანდელ უგუნურებას, განიბრძნობით ხსნის სასოებაში, იხელმძღვანელებთ რა წმიდა წერილის გამოცდილებით.[152]

იოანეს სახარების განმარტებაში ვკითხულობთ, რომ სიტყვებით *„ჩემი მეუფება არ არის ამქვეყნიური“* (იოან. 18, 36): 1. უფალი თავის თავს უწოდებს მეფეს;[153] 2. მიწიერი მეფობა სუსტია და მისი ძალა გამოხატულია (გამოიხატება) მსახურებით, ხოლო ზეციური მეფობა კი თავისი თავით ძლიერია და არავის დახმარებას არ საჭიროებს.[154] იგივეს ადასტურებს მათეს სახარება: *„ცათა სასუფეველი მსგავსია მეფისა...“* (მათე, 22, 2); 3. ღმერთი აბსოლუტურად მართავს ზეციურ სამეფოს[155] და არა მიწიერს, რასაც

---

[150] იხ. *პროტოპრესვეტერი მიხეილ პომაზანსკი*, (2012), დასახ. ნაშრ., 143.

[151] იხ., იქვე.

[152] იხ. *მღვდელი მიქაელ გალდავა*, მეორე ფსალმუნი, ფსალმუნი დავითისი, ზედა წარუწერელი ებრაელთა შორის,<www.orthodoxy.ge/tserili/fsalm/fsalm2.htm>, (მოპოვების თარიღი:17.05.2015).

[153] იხ. *პროტოპრესვეტერი მიხეილ პომაზანსკი*, (2012), დასახ. ნაშრ., 144.

[154] იხ. *ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი*, იოანეს სახარების განმარტება, გამომც. „ალილო“, თბ., 2012, 357.

[155] ცნობა ზეციურ სამეფოს შესახებ ახალ აღთქმაში გვხვდება 146 ჯერ, იხ: მათე 3,2; 4,17,23; 5,3,10,19-20; 6,10,33; 7,21; 8,11-12; 9,35; 10,7; 11,11-12; 12,25-26,28; 13,11,19,24,31,33,38,41,43-45,47,52; 16,19,28; 18,1,3-4,23; 19,12,14,23-24; 20,1,21,31,43; 22,2; 23,13; 24,7,14; 25,1,34; 26,29; მარკ. 1,15; 3,24; 4,11,26,30; 6,23; 9,1,47; 10,14-15,23-25; 11,11; 12,34; 13,8; 14,25; 15,43; 1,33; 4,43; ლუკა 1,33; 4,43; 6,20; 7,28; 8,1,10; 9,2,11,27,60,62; 10,9,11; 11,2,17-18,20,31-32; 13,18,20,28-29; 14,15; 16,16; 17,20-21; 18,16-17,24-25,29; 19,11; 21,10,31; 22,16; 22,18,29-30;

ადასტურებს „მამაო ჩვენოს“ ლოცვა (მათე 6, 9-18), რომელშიც ქრისტე მოციქულებს ეუბნება, მიმართონ, რომ მამის სამეფომ დაიმკვიდროს ამქვეყნად და, რომ მისი ნება აღსრულდეს ქვეყანაზე, ისევე როგორც ზეცაშია. გარდა ამისა, ქრისტემ მიანიშნა პილატეს, როდესაც ეუბნება, რომ მისი ხელმწიფება არ არის ამქვეყნიური (იოანე 18, 36).[156]

აღდგომის შემდეგ კი, ქრისტე მოწაფეებს დიდებით მოევლინა და ამცნო: „*მომეცა მე მთელი ხელმწიფება ცაზედაც და მიწაზედაც*“ (მათე 28, 18). *მიტრ. ფილარეტი* განმარტავს, რომ ქრისტეს „...მეფობა არ შემოიფრგლება მხოლოდ ზეცით, არამედ ვრცელდება მთელ დედამიწაზეც, განსკუთრებით იმისთვის, რათა მასზე მყოფი მორწმუნე ადამიანები ქვეყნიური, არასრული, მოკვდავი ცხოვრებიდან გადაიყვანოს ზეციურ ცხოვრებაში, სრულში, უკვდავში, ზეციური სასუფევლის ნეტარებაში. როგორც ღმერთს, ქრისტეს გააჩნია მარადიული შეუზღუდავი უფლება ყოველივეზე, რაც მისგანაა შექმნილი; ახლა კი, თავისი აღდგომით, მან მიიღო ეს უფლება თავისი ადამიანურობითაც, როგორც ქვეყნიერების გამომხსნელმა.“[157]

ნეტარი თეოფილაქტეს თანახმად, ქრისტეს, როგორც ღმერთსა და შემოქმედს, ყოველთვის და ყოველივეზე ჰქონდა ხელმწიფება, მაგრამ ადამიანების მხრიდან ნებაყოფლობითი მორჩილება არ ჰქონდა. აღდგომის შემდეგ კი, ქრისტე ნებაყოფლობითსაც მიიღებს და ყველა დაემორჩილება, რადგან მისი ჯვრით სიკვდილმა უკვე არსებულ ძალაუფლებას სძლია.[158]

დოგმატურ ღვთისმეტყველებაში ვკითხულობთ, „მაცხოვრის, როგორც მეფის მსახურება აღდგომამდე გამოიხატებოდა: ა) მის მიერ აღსრულებულ სასწაულებსა და ბუნებაზე მბრძანებლობაში; ბ) ჯოჯოხეთის ძალებზე ბატონობაში; გ) სიკვდილზე მბრძანებლობაში. ხოლო ამაღლების შემდეგ, ქრისტე არის მთავარი ცის, ქვეყნისა და ჯოჯოხეთის მკვიდრთა. ქრისტეს, როგორც მეფის მთელი ძალაუფლება გამოჩნდა მაშინ, როდესაც იგი შთახდა ჯოჯოხეთს, წარტყვევნა იგი, დაამსხვრია მისი ბორკილები, აღდგა

23,42,51; იოანე 3,3,5; 18,36; საქ. 1,3,6; 8,12; 14,22; 19,8; 20,25; 28,23,31; იაკ. 2,25; 2 პეტრ. 1,11; რომ. 14,17; 1 კორ. 4,20; 6,9-10; 15,24,50; გალატ. 5,21; ეფეს. 2,2; 5,5; კოლას. 1,12-13; 4,11; 1 თეს. 2,12; 2 თეს. 1,5; 2 ტიმ. 4,1,18; ებრ. 1,8; 12,28; გამ. 1,6,9; 5,10; 11,15; 12,10; 16,10; 17, 12, იხ.: <www.orthodoxy.ge/tserili/akhali_agtqma/sarchevi.htm>, (მოპოვების თარიღი: 20.05.2016).

[156] იხილეთ ვებ-გვერდი „Never Thirsty”, სტატია „How Many Kingdoms are there in the Bible?”, <www.neverthirsty.org/bible-qa/qa-archives/question/how-many-kingdoms-are-there-in-the-bible>, (მოპოვების თარიღი: 20.05.2016).

[157] უფლის გამოცხადება გალილეის მთაზე (მათე 28, 16-20), იხ.: მათეს სახარების განმარტება წმიდა მამათა სწავლების მიხედვით (წილკნელი ეპისკოპოსი *ზოსიმე (შიოშვილი)* - მასალების შემკრები, მთარგმნელი და გამმართველი),<www.orthodoxy.ge/tserili/zosime/28_16-20.htm>, (მოპოვების თარიღი: 21.05.2016).

[158] იხ. *ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი,* მათეს სახარების განმარტება (რედაქტორ-გამომცემელი *ნ. ბულია*; მთრგმნ. *ვ. მურჯიკნელი*), გამომც. „ალილო“, თბ., 2012, 394-395.

მკვდრეთით და სიკვდილზე გაიმარჯვა, ბოლოს კი ამაღლდა და განაღო ცათა სასუფეველი ყველასთვის, ვინც იგი იწამა."[159]

იოანეს გამოცხადებაში ღრუბლებით მომავალი ქრისტე მოიხსენიება, როგორც მიწიერ მეფეთა მთავარი (გამოცხ. 1, 5), უფლებათა უფალი და მეუფეთა მეუფე (გამოცხ. 17, 14), რომლის დიდება და ძალმოსილება უკუნითი უკუნისამდეა, რომელიც არის, იყო და იქნება, ყოვლისმპყრობელი (გამოცხ. 1, 6-8).

საკითხში უკეთ გარკვევის მიზნით, მიზანშეწონილია, ასევე გაანალიზდეს ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთმიმართების საკითხი.

ვ. ბურკაძის მიხედვით: „ღვთაებრივ და ადამიანურ დასაბამთა შეურევნელი და განუყოფელი შეერთება იესო ქრისტეში განსაზღვრავს სამღვდელოებისა და სახელმწიფოს ურთიერთმიმართების მართებულ ნორმას. სახელმწიფო არის ადამიანის შეგნებული და მიზანსწრაფული საქმიანობის ნაყოფი და არ არსებობს ცხოვრების ისეთი სფერო, რომელშიც ადამიანი თავისუფალი იქნებოდა ღმერთისაგან."[160] *გაკურაძე* იქვე დასძენს: „ღმერთის სამეფო - ცათა სასუფეველი - უნდა იქცეს მიზნად, ხოლო კაცობრივი მეფობა, სამეფო - საშუალებად: ისინი უნდა შეერთდნენ, როგორც სული და სხეულია შეერთებული ადამიანში. მართლმადიდებელი ეკლესიის სამართალი ასე გამოხატავს ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთმიმართებას: ადამიანთათვის ღმერთის სახარებით ბოძებული სიკეთეებია მღვდლობა და მეფობა, რომელთაგან პირველი ზრუნავს საღმრთო საქმეებზე, მეორე კი კაცობრივ საქმეებს წარმართავს, ხოლო ორივე, გამომდინარენი ერთი და იმავე წყაროდან, ადამიანის დამამშვენებელნი არიან. ამ ორი მსახურების აღსასრულებლად დადგენილია საეკლესიო და სამეფო იერარქია, ორივე - მოწყობილი ზეციური იერარქიის მსგავსად".[161]

ვ. ციპინი კი, მიჯნავს რა ეკლესიას სახელმწიფოსაგან, განმარტავს, რომ: „ეკლესია დაარსებულია ღმერთის იესო ქრისტეს მიერ, ხოლო სახელმწიფო ხელისუფლების ღვთის დადგენილება კი გამეშვეობითებულია ისტორიული პროცესით, რომელიც აღესრულება შემოქმედი და განმგებელი ღმერთის ნებით, რომ ეკლესიის მიზანია ადამიანის მარადიული ხსნა, ხოლო სახელმწიფოსი, მათ მიწიერ კეთილდღეობაში გამოიხატება".[162] *ვ. ციპინის* მიხედვით, მართლმადიდებლური ეკლესია უცვლელად დგას ხელისუფლების ისეთ აღქმაზე, რომლის თანახმადაც, ყოველი ხელისუფლება ქრისტიანობის სამსახურში უნდა იყოს, რადგან: „მასში შეიქმნა ყოველი, მიწიერიც და ზეციერიც; ხილული თუ უხილავი, საყდარნი თუ უფლებანი, მთავრობანი თუ

---

[159] *პროტოპრესვეტერი მიხეილ პომაზანსკი*, (2012), დასახ. ნაშრ., 144.

[160] *ვასილ ბ.*, მონარქიული მმართველობის პერსპექტივა აპუსტასირებულ მსოფლიოში, ციტირებულია: *მართლმადიდებლობა და თანამედროვეობა*, კრებული მესამე, (გამომც. *ვ. სიხარულიძე*, შემდგ. *ზ. ქუთათელაძე*, მთ. რედ. *ვ. ბურკაძე*), თბ., 2012, 86.

[161] იხ., იქვე, 87.

[162] იხ.*დეკ. ვლადისლავ ციპინი*, საეკლესიო სამართალი, საღვთისმეტყველო სამეცნიერო ალმანახი „*ფერისცვალება*", გამომცემლობა „ანთიმოზ ივერიელი", №1, თბ., 2010, 124-125.

ხელმწიფებანი - ყველაფერი მის მიერ და მისთვის შეიქმნა“ (ეპისტოლ. კოლასელთა მიმართ, 1, 16). ეკლესია არა მხოლოდ განუწესებს თავის შვილებს სახელმწიფო ხელისუფლებისადმი მორჩილებას, მიუხედავად მათი წარმომადგენლების შეხედულებებისა და რწმენის აღმსარებლობისა, არამედ ლოცულობს კიდეც მისთვის, „რათა მშვიდად და უშფოთველად ვიცხოვროთ მთელი ღვთისმოსაობითა და სიწმიდით“ (ეპისტ. 1 ტიმოთეს მიმართ, 2, 2).[163]

1.1.2.3 ქრისტეს სამართალი

მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიის მოძღვრების საფუძვლებში ვკითხულობთ, რომ ძველი აღთქმის რჯული არის მკაცრი სიმართლის კანონი, ხოლო ქრისტეს ახალი აღთქმის რჯული ღვთაებრივი სიყვარულისა და მადლის კანონია, რომლითაც, და მხოლოდ მისით, გვენიჭება ძალა ღმერთის რჯულის აღსასრულებლად და სრულყოფილებასთან მისაახლოებლად.[164]

პავლე მოციქული რომაელთა მიმართ ეპისტოლენის განმარტებებში ვკითხულობთ, რომ მოსეს წმინდა რჯულის პირობებში ადამიანის ცოდვიანობა არამცთუ შემცირდა, პირიქით, კიდევ უფრო გაიზარდა. რის გამოც, საჭირო გახდა განსაკუთრებული მადლმოსილი საშუალება ადამიანთა გამოხსნისთვის მხოლოდშობილი ძე ღვთისას გამომსყიდველი ღვაწლის მეშვეობით.[165]

> *„რაკი ხორცისგან დაუძლურებულმა რჯულმა მეტი ვერ შესძლო, ღმერთმა მოავლინა თავისი ძე ცოდვილი ხორცის მსგავსებით და ცოდვისვე გამო, რათა მსჯავრი დაედო ხორციელი ცოდვისთვის“* (რომ. 8, 3).

იოანეს სახარებაში ვკითხულობთ: *„რჯული მოსეს მიერ მოგვეცა, ხოლო მადლი და ჭეშმარიტება იესო ქრისტეს მიერ იქმნა“* (იოან. 1, 17). ძველ აღთქმაში, როდესაც უფალმა მოსეს მთაზე ათი მცნება მისცა, ღმერთი უხილავი იყო, მხოლოდ მისი ხმა ისმოდა. ხოლო ახალ აღთქმაში მოგვეცა „მადლის“ მცნება გალილეის ერთ-ერთი მთის ძირას, უფალი ხილული იყო, როგორც კაცი - ღმერთკაცი, როგორც ერთადერთი მოძღვარი და კანონმდებელი. ქრისტე-მაცხოვარმა მოგვცა სახარების სრულყოფილი მცნებები, რომლებიც ცნობილია, როგორც „უფლის ქადაგება მთაზე“. ეს ქადაგება იწოდება, როგორც ქრისტიანობის მცნებათა კოდექსი. ამ ქადაგებით შეივსო მოსეს სჯული და გამჟღავნდა სახარების სრულყოფილი მცნებები.[166]

---

[163] იხ., იქვე, 124.

[164] იხ. მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიის მოძღვრების საფუძვლები, (შემდგ. *დ. შოვნაძე, ნ. ჩაჩიბაია*), თბ., 2103, 165.

[165] *მთავარეპისკოპოსი ამბერკი (ტაუშევი)*, სახელმძღვანელო წმინდა წერილის ახალი აღთქმის წიგნების შესასწავლად, წმინდა პავლე მოციქულის ეპისტოლენი (მთრგმნ.: *ე. ეკალაძე* და *ვ. ჩხიკვაძე*), „ფერისცვალების“ ბიბლიოთეკა, თბ., 2010, 33.

[166] იხ. *ბერძენიშვილი ლ.*, ქრისტეს გზა, ლიტურგია და კატეხიზმო, წიგნი 4, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2011, 224.

ძველ აღთქმაში ადამიანის ზნეობრივი აღზრდისათვის საჭირო იყო გარეგნული კანონები, მაგრამ ახალი აღთქმის პოზიციებიდან, საკმარისი არ არის ღვთის სახელის მოწოდება. უნდა აღმოიფხვრას არა მხოლოდ ცოდვილი საქმეები, არამედ ცოდვილი აზრებიც. ამიტომ, ქრისტე მოუწოდებს შინაგანი სიწმინდისკენ, სულიერ სამყაროზე და პირად სრულყოფაზე.[167]

მთის ქადაგება, ნეტარების მცნებები - სწორედ ისაა, რასაც ადამიანის სული ეძიებს. ნეტარების მცნებები - მოწოდებაა, და არა იძულება, ძალდატანება. მათში მითითებულია უმჯობესი გზები საუკუნო ნეტარების მისაღებად და უმთავრესი ქრისტიანული სათნოებები.[168] ნეტარების მცნებები - ეს კიბეა ზნეობრივი სრულყოფისათვის, რომელიც იწყება უმარტივესით და მთავრდება ურთულესით. თუ პირველ მცნებას შეასრულებს ადამიანი, მაშინ შეუძლია მეორეზე გადასვლა, რომელიც უფრო ძნელია.[169]

მართალია, ქრისტემ დაადგინა მცნებები,[170] მაგრამ იგი მოევლინა კაცობრიობას არა რჯულის გასაუქმებლად, არამედ აღსასრულებლად (მათ. 5, 17), ანუ დასახმარებლად, რათა ეს რჯული სრულყოფილად გატარებულიყო ცხოვრებაში (მათ. 5, 21-48) და ამით რჯული სრულყოფილი გახადა. რაში გამოიხატება ეს სრულყოფილება? ამის ნათელსაყოფად გავიხსენოთ მოსეს სჯულის საყოველთაოდ ცნობილი მცნებანი - არა კაც კლა, არა იპარო, არა იმრუშო. ადამიანის მკვლელობისთვის, ქურდობისთვის თუ სიძვა-მრუშობისთვის, მოსე აწესებს სიკვდილით დასჯას. ქრისტეს სჯულით, მკვლელობად, ქურდობად თუ მრუშობად მიიჩნევა არა მხოლოდ სიცოცხლის წართმევა სხვა ადამიანისთვის, სხვისი ნივთის მიტაცება და მამაკაცისა და დედაკაცის უჯერო, უქორწინებელი, ბილწი შეერთება, არამედ მკვლელობაა გულში დამარხული სიძულვილიც სხვა ადამიანებისადმი, ქურდობაა გადამალვაც საკუთარი ქონებისა, რათა თავიდან აიცილონ გადასახადისა თუ ვალის გადახდა. დაბოლოს, სიძვა მრუშობაა, როცა ადამიანი თუნდაც გულში გაივლებს ბილწ სურვილს და უშვერი, ავხორცი მზერით შეხედავს ვინმეს.[171] უფრო კონკრეტულად კი, „მრუშობს ქალთან გულში, ვინც თანახმაა

---

[167] იხ. *გლუხოვი ი.ა.*, მართლმადიდებლური კატეხიზმო, სანკტ პეტერბურგი, 2010, 344-345.

[168] თავმდაბლობა, მორჩილება, სინანული, სიმშვიდე, სიმართლის წყურვილი, გულმოწყალება, გულის სიწმინდე, მშვიდობის მყოფელობა, ჭეშმარიტებისათვის დევნულების, ტანჯვის დათმენა და მოწამეობა სარწმუნოებისათვის, იხ. მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიის მოძღვრების საფუძვლები, (შემდგ. *დ. შოვნაძე, ნ. ჩაჩიბაია*), თბ., 2103, 166.

[169] იხ. *გლუხოვი ი.ა.*, მართლმადიდებლური კატეხიზმო (იღუმენია ტაისიას სახელობის საზოგადოება), სანკტ პეტერბურგი, 2010, 348.

[170] მაგ.: 5, 22-24, 27-48; 6, 1-4, 6-8, 16-25; 31-34; 7, 1-24; 16, 24; 18, 8-10, 15-17, 21-22; 19, 16-19; 20, 25-28; 22, 34-40; 22, 25.

[171] იხ. *ბურკაძე ვ.*, დანაშაული და სასჯელი ქრისტიანული სწავლების მიხედვით, ციტირებულია წიგნიდან: *სანუგეშო*, (რედ. *დეკ. გ. თევდორაშვილი*), თბ., 2016, 68.

საქმეზე, მაგრამ ამაში ხელს უშლის ან ადგილი, ან დრო, ან შიში სამოქალაქო კანონებისა" (*ათანასე დიდი*).[172]

წმ. იოანე ოქროპირის მიხედვით, ქრისტეს მცნებები კი არ აუქმებდა ადრინდელ სჯულს, არამედ აღამაღლებდა და ავსებდა მას. მაგალითად, მცნება *არა კაც კლა* არ უქმდება მცნებით *არ განრისხდე*, პირიქით, ეს უკანასკნელი ემსახურება პირველის დასრულებასა და განმტკიცებას. იგივე უნდა ითქვას ყველა სხვა მცნებაზეც.[173]

აღნიშნული მცნებები, იგივე ცხრა ნეტარება (მათ. 5, 3-12), რომელიც მაცხოვარმა მთაზე ქადაგების დროს წარმოთქვა, ახალი აღთქმის ჭეშმარიტი სჯულია, რომელიც აღარასოდეს შეიცვლება. უფლის სახარებისეული ნეტარებები ავსებენ მოსე წინასწარმეტყველისათვის ქორების მთაზე მოცემულ ღვთიურ კანონებს, რადგან თუ ათი მცნება ცოდვების ჩადენისგან გვიცავდა, ცხრა ნეტარების ზნეობრივი კოდექსი გვასწავლის, როგორ მივაღწიოთ სიწმინდესა და სრულქმნილებას სიყვარულის, კაცთმოყვარების უმაღლესი იდეალების დაცვის შედეგად, რის გარეშეც წარმოუდგენელია ზეციური სასუფევლის დამკვიდრება. ეს კი ოდენ თავმდაბლობის, მორჩილებისა და უფლის მცნებებისადმი ჩვენი გულისყურის მიპყრობის შედეგად მიიღწევა. ათი მცნება ხორციელ და სამშვინველის სიკეთეს ასახავს, ცხრა ნეტარება - სულიერ სიკეთეს.[174]

დოგმატურ ღვთისმეტყველებაში ვკითხულობთ, რომ მოციქულები ქადაგებებსა და წერილებში იუწყებიან, რომ ქრისტემ „ცოდვანი ჩვენნი წარხოცა", რომ „იგი არს მომტევებელი ცოდვათა ჩვენთაი..." (1 იოანე, 2, 2), რომელმაც „შეგვარიგა ღმერთთან" და რომ იგი არის ერთადერთი „სჯულმდებელი" (შდრ. ებრ. 8, 6).[175]

ამასთან, საყურადღებოა მეცნიერ-ფიზიკოსის, *გ. ასათიანის* მოსაზრება, რომლის მიხედვით, „ათ მცნებაზე, ცხრა ნეტარებასა და შვიდ საიდუმლოზე კარგ თეორიას დედამიწაზე ვერანაირი იურისპრუდენციის კორიფე ვერ შექმნის".[176]

როგორც ირკვევა, ძველ აღთქმაში მოსეს სჯულით ადამიანები ძალით იყვნენ დადგენილნი ღმერთის რწმენაში, მის მცნება დაცვა-აღსრულებაში, ხოლო ახალ აღთქმაში, ქრისტეს სჯულით ღმერთის რწმენაში დამკვიდრება ნებაყოფლობითია.

---

[172] სახარების განმარტება, წიგნი II, (შემდგ. *ბ. ი. გლადკოვი*; მთრგმნ.: *რ. ქებურია, ი. ქებურია* და *ქ. ჯანიაშვილი*) თბ., 2016, 59.

[173] იხ. *წმინდა იოანე ოქროპირი*, ჰომილიები, ტომი V, წმიდა მათე მახარებლის სახარების განმარტება, პირველი ნაწილი (რედ. თინათინ გოგოჩაშვილი), გამომც. „ალილო", თბ., 2016, 193.

[174] იხ. *მოურავი თ.*, კაცს დამოუკიდებლადაც შეუძლია ათი მცნების აღსრულება, მაგრამ არ ძალუძს დამოუკიდებლად აღასრულოს ცხრა ნეტარება, (ინტერვიუ ჩამოართვა *ა. სინაურიძემ*), ინტერნეტ-ჟურნალი „კარიბჭე" (მოპოვების თარიღი: 21.06.2012), <http://karibche.ambebi.ge>, (მოპოვების თარიღი: 21.07.2020).

[175] იხ. *პროტოპრესვეტერი მიხეილ პომაზანსკი*, (2012), დასახ. ნაშრ., 130.

[176] იხ. TV4-ის ტელე-გადაცემა „ღია ეთერი", სტუმრად საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი, ზურაბ ჯაფარიძე და ფიზიკოსი, *გ. ასათიანი* (დრო: 35:35 - 35:48), <https://www.youtube.com/watch?v=k7fdyxAM1SM>, (მოპოვების თარიღი: 07.07.2020).

ამიტომაც ამბობს მოციქული პავლე, რომ: „... *კაცი რჯულის საქმეთაგან როდი გამართლდება, არამედ იესო ქრისტეს რწმენით, ჩვენც ვირწმუნეთ იესო ქრისტე, რათა ქრისტე იესოს რწმენით გავმართლდეთ და არა რჯულის საქმით, რადგანაც რჯულის საქმით ვერ გამართლდება ვერცერთი ხორციელი.*“ (გალატ. 2, 16).[177]

დაბოლოს, აუცილებელია ისიც აღინიშნოს, რომ „*რჯულის დასასრული ქრისტეა ყოველი მორწმუნის გასამართლებლად*“ (რომ. 10, 4), ხოლო ქრისტეს სახარება განკუთვნილია ყველა ხალხისთვის და მთელი ქვეყნისთვის (მათ. 28, 18-20; მარკ. 16, 15-16). ქრისტე ისწრაფოდა დედამიწაზე დაეფუძნებინა ღვთის სამეფო, რომლის გავლაც აუცილებელია ზეციურ სამეფოში შესასვლელად. ღვთის სამეფო არის ხალხის საზოგადოება, რომელთა შინაგანი სამყარო იმართება ღვთის ნებით, როგორც მარადიული და უცვლელი კანონით. აი, საბოლოო მიზანი, რისკენაც უნდა ისწრაფოდეს კაცობრიობა.[178]

1.1.2.4 შეჯამება

ახალი აღთქმა კიდევ, უფრო თვალნათლივ დაგვანახებს სახელმწიფოს ღვთივდაწესებულ ბუნებას და მის მიერ შექმნილი სამართლის ნორმებისადმი მორჩილების ვალდებულებას. იმის გათვალისწინებით, რომ ყოველი სული უზენაეს ხელმწიფებას უნდა დაემორჩილოს, რომ ყოველი ხელმწიფება ღვთის დადგენილია (რომ. 13, 1), რადგან მასში შეიქმნა მთავრობანი თუ ხელმწიფებანი (კოლ. 1, 16), რომ ყველაფერი ღვთისაგან არის (1 კორ. 11, 12) და, რომ ზეციური მეუფე არ გვათავისუფლებს ამქვეყნიური მეუფის ვალდებულებისაგან, მაშინაც კი, თუ ასეთი ხელისუფალნი გამოსცემენ უსამართლო ნორმებს, რადგან თავად ცნობს მათ და თავად გვავალებს მათ შესრულებას,[179] შესაძლებელია გაკეთდეს დასკვნა, რომ:

მართლმადიდებლური ქრისტიანული სწავლებით, სახელმწიფოს მიერ დადგენილი (პოზიტიური) სამართლის ნორმის დარღვევა, - უსამართლო ნორმის გარდა, - არის ცოდვა და კონცეპტუალურად მნიშვნელობა არა აქვს, თუ რომელ კატეგორიას განეკუთვნება ნორმა, ღვთიურს, თუ „არაღვთიურს“, დაუწერელს, თუ წერილობითს, და ვინ განსაზღვრავს მას ადამიანი, საზოგადოება თუ ხელისუფლება.

უსამართლო ნორმასთან მიმართებაში, ქრისტიანს მოეთხოვება „დაუმორჩილებლობა“ და ასეთი სახელმწიფო სამართლისადმი „მორჩილებაც“, რაც მდგომარეობს შემდეგში:

---

[177] *ბურკაძე ვ.*, დანაშაული და სასჯელი ქრისტიანული სწავლების მიხედვით, იხ.: *სანუგეშო*, (რედ. დეკ. *გიორგი თევდორაშვილი*), თბ., 2016, 69.

[178] იხ. სახარების განმარტება, წიგნი II, (შემდგ. *ბ. ი. გლადკოვი*; მთარგმნ.: *რ. ქებურია, ი. ქებურია* და *ქ. ჯანიაშვილი*), თბ., 2016, 23.

[179] მათე 22, 21; იოანე 19, 11; ეპისტ. 1. პეტრესი, 2, 13-16; ეპისტ. რომაელთა მიმართ 13, 1-7; ეპისტოლ. კოლასელთა მიმართ, 1, 16; ეპისტ. 1 ტიმოთეს მიმართ, 2, 2.

1. ქრისტიანი, სახელმწიფოს უსამართლო ნორმას უნდა ებრძოდეს **სახარებისეული საშუალებით** (წმ. *იუსტინე პოპვიჩი*), რაც არის საღვთო მცნების დაცვა. შესაბამისად, სახელმწიფოს უსამართლო ნორმისადმი დაუმორჩილებლობა, ობიექტურად იქნება ცოდვა, და პირიქით, დამორჩილება ჩაითვლება ცოდვად.

2. ქრისტიანი **უნდა დაემორჩილოს** სახელმწიფოს უსამართლო პოზიტიური სამართლის ნორმას, როგორც ღვთისგან მოვლენილ „გარე განსაცდელს" (*წმ. იოანე ოქროპირი*), რადგან ხშირად მართალნიც მიეცემიან უკეთურ ადამიანთა ხელთ, გამოსაცდელად (*წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი*). ღვთისაგან მოვლენილი განსაცდელისადმი დაუმორჩილებლობა არის ცოდვა, რასაც ადასტურებს ქრისტეს სიტყვები პილატეს მიმართ: *„არ გექნებოდა არავითარი ხელმწიფება ჩემზე, მაღლიდან რომ არ მოგცემოდა"* (იოანე, 19, 11).

ამგვარად, უსამართლო ნორმისადმი „დაუმორჩილება" გულისხმობს არსობრივ დაუმორჩილებას და შეიძლება გამოიხატებოდეს, როგორც აქტიურ, ასევე პასიურ მოქმედებაში. სახელმწიფოს სამართლისადმი „მორჩილება" კი, გარეგნული „მორჩილებაა" და გამოიხატება პასიურ მოქმედებაში, რადგან ქრისტიანი ემორჩილება არა უსამართლო ნორმას, არამედ ღმერთის მცნებას, რომ უნდა დაექვემდებაროს გარე განსაცდელს.

ნორმის ღვთიური წარმომავლობის იდენტიფიცირებაზე დაყრდნობით, შესაძლებელია ცოდვა დახასიათდეს ვიწრო და ფართო გაგებით:

1. *ცოდვის ვიწრო გაგება* მოიცავს კონკრეტული ნორმის დარღვევას. იურიდიული ტერმინოლოგიით თუ ვიტყვით, ეს არის კონკრეტული დანაშაული, ისევე როგორც სამართალდარღვევა, დელიქტი, დევიანტური ქცევა თუ სხვა.

2. *ცოდვის ფართო გაგება* მოიცავს ყველა სახის ნორმის დარღვევას, ერთობლიობაში. კრიმინოლოგიური ტერმინოლოგიით ასეთი მდგომარეობა შეიძლება შევადაროთ დანაშაულობას და ანომიას (უნორმატიულობას).

3. ცოდვის ვიწრო და ფართო გაგებას შორის არსებობს კორელაცია. კონკრეტულ დანაშაულს აქვს უნარი წარმოშვას დანაშაულობა, როგორც მოვლენა, როგორც ეს პირველი ცოდვის შედეგმა დაგვანახა, როდესაც გამოიწვია მთლიანი კაცობრიობის ცოდვიანობა: „ვინაიდან როგორც ერთი კაცის მიერ შემოვიდა ცოდვა ამ ქვეყნად, ცოდვის მიერ კი - სიკვდილი, ისე სიკვდილიც გადავიდა ყველა კაცში, რადგანაც ყველამ სცოდა." (რომ. 5,12).

ცოდვის ვიწრო და ფართო გაგების დიფერენცირების საფუძველზე, კეთდება შუალედური ხასიათის დასკვნა, - დანაშაული და დანაშაულობაც ცოდვის გამოვლინების ფორმებია. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მაინც კვლევა ატარებდა ზედაპირულ ხასიათს, რადგან ნორმატიული ანალიზი ძირითადად წარმოებდა მართლმადიდებლური მოძღვრების ჭრილში. ობიექტურობა კი მოითხოვს, რომ საკითხი გამოკვლეულ იქნას უფრო სიღრმისეულად და მასშტაბურად.

მიზანშეწონილია, გაანალიზდეს ბიბლიის სამართლებრივი ასპექტები. ასეთი მიდგომა, უფრო სხვა კუთხით წარმოაჩენს წინამდებარე დისერტაციაში გაკეთებული დასკვნების მართებულობას და, ასევე შესაძლებელს გახდის: ა) დანაშაულისა და დანაშაულობის, როგორც ცოდვის გამოვლინების მასშტაბისა და ხარისხის გამოვლენას; ბ) ბიბლიური და პოზიტიური სამართლის ელემენტების კორელაციისა და თავსებადობის ასპექტების განსაზღვრას, რაც შემდგომში გაამარტივებს, გ) დანაშაულისა და დანაშაულობის ტრანსცენდენტული ბუნების იდენტიფიცირებას სისხლის სამართალსა და კრიმინოლოგიაში; დ) გაკეთდეს საბოლოო დასკვნა დანაშაულისა და დანაშაულობის ცოდვის ბუნებასთან დაკავშირებით.

გარდა ამისა, აღნიშნული საკითხის კვლევა წარმოაჩენს, თუ რამდენად შესაძლებელია მართლმადიდებლური მოძღვრების გამოყენება სამართალშემოქმედებასა და სამართალგამოყენებაში. აღნიშნული საკითხის აქტუალობას განაპირობებს ისიც, რომ სწორედ სამართალშემოქმედება (*process of making laws*) წარმოადგენს კრიმინოლოგიის საგნის ერთ-ერთ საკვანძო მიმართულებას (*ე. საზერლენდი, დ. კრესი*).[180]

1.2 ბიბლიის სამართლებრივი ბუნება

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, თითქოს ბიბლია არ არის „კანონებისა და წესების კრბული" (*ბ. ატლი*),[181] რომ „მაცხოვრისა და მისი მოციქულების მცნებანი არ შეადგენს კანონთა კოდექსს" (*ვ. ციპინის*),[182] რომ ბიბლიური სამოქალაქო კანონები განსხვავდება თანამედროვე იურისპრუდენციის „პოზიტიური სამართლისაგან", რომელიც ცდილობს კანონები გამოსცეს დეტალებში, რომ ბიბლიური კანონები არ არის საკმარისად ყოვლისმომცველი იმისათვის, რომ ჩაითვალოს "სამართლის კოდექსად" (*ბეიკერის ევანგელისტური ლექსიკონი*)[183] და ასე შემდეგ.

ვფიქრობთ, რომ პოზიტიურ სამართალზე აპელირება კარგავს საერთოდ აქტუალობას, რაგდან როგორც უკვე ითქვა სახელმწიფო და სამართალი საღვთო ბუნებისაა. რაც შეეხება საკითხს, რამდენად მართებულია ბიბლიის სამართლებრივ ბუნებაზე საუბარი, ამას თავად კვლევა დაგვანახებს.

---

[180] იხ. *Sutherland E.*, *Cressey D.*, Criminology, 10th edt., Printed by Lippincott Company, USA, 1978, 3.

[181] *Атли Б.*, Учебник по Толкованию Библии, (Перевод с английского: *А.Д. Шадов*), Техас, США, 2009, 31.

[182] *დეკ. ვლადისლავ ციპინი*, საეკლესიო სამართალი, (მართლმადიდებლური კანონიკა; რუსულიდან თარგმნა *გ. ანდრიაძემ*), თბ., 2002, 18.

[183] Baker's Evangelical Dictionary of Biblical Theology (edited by *Walter A. Elwell*), published by Bakers Book, Division of Baker Book House Company, Grand Rapids, Michigan, USA, 1996, იხილეთ ტერმინი „Law"-ს მეორე აბზაცი, <https://www.biblestudytools.com/dictionaries/bakers-evangelical-dictionary/law.html>. (მოპოვების თარიღი: 08.09.2019).

1.2.1 სიტყვა „ბიბლია“ და მისი ნორმატიული კონოტაციები

წმიდა წიგნში, სიტყვა „ბიბლია“ (ბერძ. *biblía* „წიგნები”, „წიგნთა კრებული”) არსად გვხვდება. პირველად ეს ტერმინი ქრისტეს შემდეგ III საუკუნეში გამოიყენა ფ*სევ-დოკლემენტემ, კლემენტე ალექსანდრიელმა* და *ორიგენემ,*[184] ხოლო დაამკვიდრეს IV საუკუნის დიდმა მამებმა *იოანე ოქროპირმა* და *ეპიფანე კვიპრელმა.*[185] ბიბლია შედგება ძველი და ახალი აღთქმის წიგნებისაგან და პრაქტიკული მოსაზრებიდან გამომდინარე დაყოფილია თავებისა და მუხლებისაგან.[186]

„ბიბლია“ პოლისემიური სიტყვაა და მისი ერთ-ერთი კონოტაცია მართლაც სამართლებრივ-ნორმატიულ შინაარს ატარებს და იწოდება, როგორც „კანონი“ და „კოდექსი“, მაგალითად:

ც. ქურციკიძის წიგნში „ქართული ბიბლია“, ბიბლია მოიხსენიება, როგორც „კანონი”.[187] *მ. პომაზანსკის* წიგნში „დოგმატურ ღვთისმეტყველებაში”[188] და *ნ. პაპუაშვილის* „მსოფლიო რელიგიები საქართველოში“,[189] ბიბლია მოიხსენიება, როგორც „კანონი“ და „კოდექსი“. საერთაშორისო სტანდარტული ბიბლიის ენციკლოპედია, განმარტავს, რომ „სიტყვა „canon“ (ქართ. „კანონი“), დღევანდელ პრაქტიკაში აღნიშნავს საღვთო სულისკვეთებით შედგენილ წიგნთა კრებულს და შესაბამისად, არის ავტორიტეტული, ნორმატიული, წმინდა და სავალდებულო“.[190]

მღვდელმთავარი ლუკა ვიონო-იასენეცკი, ბიბლიას კოდექსაც უწოდებს. მისი განმარტებით, „ბიბლია შედგება ორი მორალური კოდექსისაგან. ორივე კოდექსი - ძველი და ახალი აღთქმა - არა მარტო შინაარსით, არამედ ფორმითაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ძველი კოდექსი მოწოდებათა ფორმითაა მოცემული და ახალ კოდექსთან შედარებით შედარებით მარტივი იყო. პირველი გარეგან, ხოლო მეორე კოდექსი შინაგანი კანონების შესრულებას მოითხოვს.“[191]

პ. პეტროზილოს მიერ შედგენილ „ქრისტიანობის ლექსიკონში“ ვკითხულობთ, რომ: „*... ბიბლიის წიგნები დაყოფილია „თავებად“, ეს უკანასკნელნი კი „მუხლებად.....*“ ამგვარად, მივიღეთ წიგნები, რომელთაც ჯერ იუდეველნი, შემდეგ კი ქრისტიანები „წმიდა“ ანუ ნორმატიულ, კანონიკურ წიგნებად აღიარებენ.“[192]

---

[184] იხ. ქრისტიანობის ლექსიკონი (შემდგ. *პ. პეტროზილო,* იტალიურიდან თარგმნა *მ. სააკაშვილმა*; რედ. *მ. ღაღანიძე)*, სულხან-საბა ორბელიანის სასწ. უნივერსიტეტი, ქრისტიანული თეოლოგიისა და კულტურის ცენტრი, თბ., 2011, 40.

[185] იხ. *პაპუაშვილი ნ.*, მსოფლიო რელიგიები საქართველოში, თბ., 2002, 24.

[186] იხ. *პეტროზილო პ.*, დასახ. ნაშრ., 40.

[187] იხ. *ქურციკიძე ც.*, ქართული ბიბლია, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თბ., 2010, 70.

[188] იხ. *პროტოპრისვეტერი მიხეილ პომაზანსკი*, (2012), დასახ. ნაშრ., 9.

[189] იხ. *პაპუაშვილი ნ.*, მსოფლიო რელიგიები საქართველოში, თბ., 2002, 24.

[190] The International Standard Bible Encyclopedia (by *Orr, James, M.A.*, and *D.D.* General Editor), Vol. I, Chicago, 1915, 592.

[191] *მღვდელმთავარი ლუკა (ვიონო-იასენეცკი)*, დასახ. ნაშრ., 51.

[192] *პეტროზილო პ.*, დასახ. ნაშრ., 40.

გარდა ამისა, ბიბლიის ერთიან ნორმატიულ ბუნებაზე მსჯელობის შესაძლებლობას ასევე იძლევა სიტყვა „აღთქმა“, რომელიც ღმერთსა და ადამიანს შორის დადებულ შეთანხმებას და ხელშეკრულებას ნიშნავს.[193]

ნ. პაპუაშვილის წიგნში ვკითხულობთ, რომ:

„„ძველი აღთქმა“, გულისხმობს იმ დაპირებას, იმ კავშირს, იმ ხელშეკრულებას და იმ ანდერძს, რომელიც ქრისტეს შობამდე აღუთქვა ღმერთმა ადამიანს. ფაქტობრივად, ესაა ხელშეკრულება ორ სუბიექტს - ღმერთსა და ადამიანს - შორის. ისტორიის კონკრეტულ ჟამს ღმერთი განკაცდა ქრისტე იესოში, რომელმაც აღთქმა განაახლა და მისი შინაარსი სრულყო. მკაფიოდ უნდა ითქვას, რომ ორივე აღთქმა არსებით ერთი და იგივეა. აქ საქმე ერთი მთელის სხვადასხვა საფეხურებთან გვაქვს. ადამიანისა და ღვთის ურთიერთობის ისტორია სხვა არაფერია, თუ არა აღთქმის შინაარსის ეტაპობრივად გაცხადება და დაზუსტება, ამ შინაარსის გაღრმავება.”[194]

პ. პეტროზილოს მიერ შედგენილ „ქრისტიანობის ლექსიკონში“ ვკითხულობთ, რომ იურიდიულ ინსტიტუტთან ანალოგიით, ტერმინი „აღთქმა“ ხაზს უსვამს ღმრთის ინიციატივას და ნიჭს, უბოძოს საკუთარი თავი ადამიანს. ამ მიზნით დებს აღთქმას ისრაელთან, ხოლო იესო ქრისტეს მეშვეობით კი, ის თითოეულ ადამიანს მიეცემა. ამიტომაც, ძველი და ახალი აღთქმის ხსენებისას ძველსა და ახალ შეთანხმებაზეა საუბარი. აღთქმის წიგნები ერთობლივად ბიბლიას შეადგენს.[195]

ამგვარად, ლინგვისტური თვალსაზრისით, ბიბლია, რომელიც ასევე არის კანონი, კოდექსი და ზეპირი და წერილობითი ფორმით დადებული ხელშეკრულობა, შესაძლებლობას იძლევა, რომ ბიბლია ჩავთვალოს ნორმატიულ დოკუმენტად.

1.2.2 ნორმატიული ასპექტები

1.2.2.1 ნორმათა კლასიფიკაციის საკითხისთვის

ბიბლიური ნორმების კლასიფიკაციაზე არსებობს ვრცელი მასალა.[196] მათი დეტალური გაანალიზება წინამდებარე კვლევის ფარგლებში არა თუ მიზანშეუწონელი, არამედ შეუძლებელიცაა. ამიტომ, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, და ზოგადი წარმოდგენის შესაქმნელად, განხილული იქნება მხოლოდ ის წყაროები, რომლებიც კარგად აღწერენ ბიბლიურ ნორმათა სისტემის მთლიანობას, დალაგებულს თემატურად და თანმიმდევრულად:

1) საეკლესიო სამართლის პროფესორი *ვ. ციპინი* გვთავაზობს ძველი აღთქმის ბიბლიური ნორმების კლასიფიკაციას სამართლის დარგების მიხედვით, შემდეგი

---

[193] იხილეთ წინამდებარე დისერტაციის ქვე-პარაგრაფი: 1.2.2.3.2 აღთქმა, ფიცი, ანდერძი.

[194] *ნუგზარ პაპუაშვილი,* მსოფლიო რელიგიები საქართველოში, თბ., 2002, 24.

[195] *პეტროზილო პ.,* დასახ. ნაშრ., 40.

[196] იხილეთ წინამდებარე დისერტაციის ქვე-პარაგრაფები: 1.2.2.4 ისრაელის სამართალი და 1.2.2 სახელმწიფო და სამართალის კონცეპტი წარმართულ საზოგადოებაში.

თანმიმდევრობით: პოლიტიკური, სამხედრო, საგადასახადო სამართალი, საერთო თანაცხოვრების, სისხლის, საოჯახო-საქორწინო და სამოქალაქო სამართალი.[197]

სისხლის სამართლის მაგალითზე უნდა აღინიშნოს, რომ ფუძემდებლურ პრინციპად დასახელებულია ტალიონის პრინციპი (გამ. 21, 24-25), რომელიც გამომდინარეობს სამართლიანობის იდეიდან. სასჯელები დაყოფილია სამ სახეობად: 1. სიკვდილით დასჯა, 2. გარეზგვა და სხეულის სხვადასხვაგვარი დაზიანებები, და 3. ფულადი ჯარიმები. თითოეული სასჯელი განხილულია მუხლობრივად. ასევე გაანალიზებულია სისხლის სამართლის საქმეების სამართალწარმოების პროცესუალური ნორმები, სასამართლოს პროცესის ჩატარების, განაჩენისა და კონკრეტული დანაშაულის საკითხებიც.[198]

2) ბიბლეისტი *ა. პ. ლოპუხინი* სკრუპულოზურად აანალიზებს მოსეს კანონმდებლობას შემდეგნაირად:

ნაწილი 1. საოჯახო ურთიერთობების კანონები: ოჯახის მნიშვნელობა სახელმწიფოში - I. ბავშვთა უფლებები და ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებული კანონები; ძმებისა და დების სამართლებრივი ურთიერთობები და უფლება მემკვიდრეობაზე; II. ქორწინების არსი; კანონები მეუღლეთა ურთიართობაზე და ასე შემდეგ. ჯამში, კანონები შედგება ცხრა თავისაგან.

ნაწილი 2. სოციალურ-ეკონომიკური კანონები: თავი 1. მიწა და საკუთრება - მოიცავს 4 პარაგრაფს; თავი 2. მემკვიდრეობის შესახებ კანონები - მოიცავს 1 პარაგრაფს; თავი 3. კანონები ვალის შესახებ - მოიცავს 1 პარაგრაფს; თავი 4. მონობასთან დაკავშირებული კანონები - მოიცავს 4 პარაგრაფს.

ნაწილი 3. კანონები სახელმწიფოს შესახებ: თავი 1. სახელმწიფო და საზოგადოება - მოიცავს 4 პარაგრაფს; და თავი 2. სახელმწიფო მმართველობა - მოიცავს 4 პარაგრაფს.[199]

3) *ჯონათან ბურნსაიდი* აკეთებს ახლო აღმოსავლური ანტიკური ქვეყნებისა და მოსეს სამართალის შედარებით ანალიზს და გამოყოფს მათთვის დამახასიათებელ შვიდ საერთო თავისებურებას, კერძოდ:

1. ორივე მათგანი შეიცავს სოციალურ ნორმებს, რომლებიც არეგულირებენ ისეთ საკითხებს, როგორიც არის, მაგალითად, ორსულობის მოშლა, ცემა (გამ. 21, 22-25), გაუპატიურება (რჯლ. 22, 23-27), ოჯახური კონფლიქტი (რჯლ. 22, 13-21) და სხვ.; 2. ნორმები წარმოდგენილია სამართლებრივი „კაზუისტიკური“ ფორმით (თუ ... [+შედეგი]) და ბიბლიიდან უთითებს აღთქმის კოდექსს (გამ. 22, 1 - 22, 16); 3. ორივე

---

[197] დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ: Православная Энциклопедия (Под редакции Патриарха Московского и всея Руси Кирилла) электронная версия, 2010, 66-73, <http://www.pravenc.ru/text/158294.html>, (მოპოვების თარიღი: 08.09.2019).

[198] დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ, იქვე.

[199] დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ: *Лопухин А.П.*, Законодательство Моисея. Суд над Иисусом Христом, Вавилонский царь правды Аммураби (под редакцией и с предисловием *В.А. Томсинова*), „Зерцало“, М., 2014, 25-210.

სამართალის კანონთა კრებულს ახლავს პროლოგი (მაგ.: გამ. 19, 3-6 და რჯლ. 1-4 თავები); 4. მათ არ გააჩნიათ აბსტრაქტული კონცეფციები ან იურიდიული განსაზღვრებები და იყენებენ ეგრეთ წოდებულ „ქეისებს“, რომლის მაგალითები ბიბლიაში მოცემულია აღთქმის კოდექსში; 5. მათი სამართალი არ არის ყოვლისმომცველი; 6. მათთვის ღმერთია უზენაესი კანონმდებელი (გამოსვლის წიგნის 20, 18 მუხლები აღწერს, თუ როგორ უწესებს ისრაელის ღმერთი მოსეს „თორას“); 7. ერის წინამძღოლები პასუხისმგებელნი არიან სამართლის გავრცელებასა და აღსრულებაში (იხ. გამოსვლის წიგნის მე-17 თავი).[200]

4) *უორენ* და *ჯოის ფენელები* კი, ბიბლიურ ნორმებს აჯგუფებენ სამართლის დარგების მიხედვით, შემდეგნაირად: სისხლის, საკუთრების, მემკვიდრეობითი, სახელშეკრულებო, საოჯახო, საგადასახადო, სამხედრო, შრომის, ჰუმანური, სამოქალაქო, რელიგიური, მოქალაქეობის, სახელისუფლებო შტოების, სასამართლო პროცედურებისა და სოციალური უსაფრთხოების შესახებ.[201]

მაგალითად, სისხლის სამართალში, ნორმები წარმოდგენილია დანაშაულთა სახეობითი ნიშნით: დანაშაულები საზოგადოების წინააღმდეგ, კერძო საკუთრების წინააღმდეგ და ასე შემდეგ. დანაშაულის თითოეულ სახეობას მოსდევს კონკრეტულ დანაშაულთა ჩამონათვალი, შესაბამისი მუხლების მითითებით, რომლებიც ითვალისწინებენ, როგორც ქმედების დისპოზიციას, ასევე სანქციას, მაგალითად:

დანაშაულები საზოგადოების წინააღმდეგ:

1. განზრახ მკვლელობა (*Murder*)
   - ძვ. აღთქმა=დაბ. 9, 5-6; გამ. 20, 13; 21, 12, 14; ლევ. 24, 17, 21; რიცხვ. 35, 16-21, 30-33;
   - ახ. აღთქმა=მათე 5, 21-22; 26, 52; 1. პეტრ. 4, 15; გამოცხ. 13, 10;
     - დაქირავებული მკვლელობა
       - ძვ. აღთქმა=რჯლ. 27, 25; ეზრ. 22, 12.
2. სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით (*Manslaughter*)
   - ძვ. აღთქმა=21, 13-14; რიცხვ. 35, 6, 22-28; რჯლ. 19, 4-6; იესო 20, 1-6;
3. თავდასხმა (*Assault*)
   - ძვ. აღთქმა=ლევ. 24, 19-20; რჯლ. 27, 24;
   - ახ. აღთქმა=მათე 5, 38-39;
4. ადამიანის გადაცება (*Kidnapping*)
   - ძვ. აღთქმა=გამ. 21, 16; რჯლ. 24, 7.

---

[200] დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ: *Burnside J.*, God, Justice, and Society Aspects of Law and Legality in the Bible, Published by Oxford Unniversity Press, Oxford, 2011, 5.

[201] დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: „Bible Law Index, of the Laws, Statutes, and Judgments of God“, (as Compiled from the Holy Scriptures (KJV), by *Warren* and *Joyce Fennell*), <https://famguardian.org/Subjects/LawAndGovt/ChurchVState/BibleLawIndex/bl_index.htm>, (მოპოვების თარიღი: 08.09.2019).

ურრენ და ჯოის ფენელები იქვე შენიშნავენ, რომ მათ მიერ წარმოდგენილი სისტემა შორს არის სრულყოფილებისაგან.[202]

5) *ესტონის ბიბლიის ლექსიკონი*, ბიბლიის სამართალთან დაკავშირებით ახდენს სამართლის დარგების კლასიფიკაციას შემდეგი თანმიმდევრობით:

ა. ბუნებითი სამართალი (*Law of Nature*) - ღმერთის ნება ადამიანურ ქცევასთან მიმართებაში; მისი აღმოჩენა შესაძლებელია ბუნებრივი ნათელით (რომ. 1, 20; 2, 14, 15); ყველასთვის სავალდებულოა ყველა დროში და გამოიხატება ისეთი ტერმინით, როგორიც არის „სინდისი".

ბ. საღვთისმსახურო სამართალი (*Ceremonial Law*): ძველ აღთქმაში ადგენს მღვდელთმსახურებისა და სარიტუალო ნორმებს. აღნიშნული სამართალი სავალდებულო იყო მხოლოდ ქრისტემდე, (ებრაელები 7: 9, 11; 10: 1; ეფესელთა 2:16), რომელიც არა თუ გაუქმდა, არამედ სრულყოფილი იქნა სახარებით;

გ. სამოსამართლო სამართალი (*Judicial Law*): წარმართავდა ებრაელი ერის სამოქალაქო პოლიტიკას;

დ. მორალური სამართალი (*Moral Law*): შეეხება ღმერთის ნებას, თუ როგორ უნდა იქცეოდეს ადმიანი. იგი გაცხადებული იქნა სინას მთაზე, სავალდებულოა ყველასთვის, არის სრულყოფილი (ფსალმ. 19, 7), მარადიული (მათე 5, 17, 18), წმიდა (რომ. 7, 12), სასარგებლო, სულიერი და ვრცელია (ფსალმ. 119, 96);

ე. პოზიტიური კანონები (*Positive Laws*): წესები, რომლებიც ეფუძნება მხოლოდ ღმერთის ნებას. ისინი მართალია, რადგან ღმერთი ბრძანებს მათ;

ვ. მორალური პოზიტიური კანონები (*Moral Positive Laws*): ისინი დადგენილია ღმერთის მიერ, რადგან ისინი მართალია.[203]

6) *საერთაშორისო სტანდარტული ბიბლიის ენციკლოპედია*, ბიბლიურ სამართალს წარმოგვიდგენს შემდეგნაირად:

ძველი აღთქმის სამართალი: 1. მორალური სამართალი, - ნორმები მოცემულია მოსეს ხუთწიგნეულში; 2. საღმდელლთმსახურო სამართალი, - აღწერს სარიტუალო წესებს და 3. სამოქალაქო, ან პოლიტიკური სამართალი, რომლის ნორმები შეეხება ხალხს, ქვეყნისა და პოლიტიკურ ცხოვრებას.[204]

ახალი აღთქმის სამართალი: I. სამართალი ქრისტეს სწავლებაში - სინას მთაზე ქადაგება მოიცავს შემდეგ საკითხებს: ა. კანონის ძალაუფლება; ბ. სამართალი იესო ქრისტეს ცხოვრებასთან მიმართებაში: გ. სამართალი იესო ქრისტეს გარდაცვალებასთან მიმართებაში; II. სამართალი მოციქულთა საქმეებში: ა. სტეფანეს ჩვენება; ბ. პეტრე და

---

[202] დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: „Bible Law Index, of the Laws, Statutes, and Judgments of God", <ttps://famguardian.org/Subjects/LawAndGovt/ChurchVState/BibleLawIndex/11.htm>, (08.09.2019).

[203] იხ. Easton Bible Dictionary, *a Dictionary of Bible Terms* (by *M.G. Easton*), USA, 1997, 713-714.

[204] დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ: International Standard Bible Encyclopedia Vol. III (by *Orr, James, M.A.*, and *D.D.* General Editor), Chicago, the Howard-Severance, USA, 1915, 1844; 1855-1857.

პავლეს საქმეები; გ. მითითება რომაულ სამართალზე, და III. სამართალი ეპისტოლეებში: ა. რომაელთა მიმართ; ბ. გალატელთა მიმართ; გ. პავლეს სხვა ეპისტოლეები; დ. ებრაელთა მიმართ; ე. იაკობის ეპისტოლე; პეტრესა და იოანეს ეპისტოლენი.[205]

1.2.2.2 ნორმათა სტრუქტურული და სემანტიკური თავისებურებანი

სტრუქტურულ თავისებურებებთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ისინი ძირითადად მოცემულია ნებართვის, აკრძალვის და მოთხოვნის (სავალდებულო) სახით, კერძოდ:

ნებადამრთველ ნორმებს მიეკუთვნება დაბადების წიგნის ის მუხლები, რომლებშიც აღწერილია ღმერთის მიერ, ჯერ ადამისა და ევასთვის, ხოლო შემდეგ ნოესა და მისი შვილებისთვის უფლების მიცემა, რომ ინაყოფიერონ, გამრავლდნენ და აავსონ ქვეყანა:

„აკურთხა ღმერთმა ისინი და უთხრა: ინაყოფიერეთ და იმრავლეთ, აავსეთ დედამიწა... .“ (დაბ. 1, 28-29). „აკურთხა ღმერთმა ნოე და მისი შვილები და უთხრა: ინაყოფიერეთ, იმრავლეთ და აავსეთ ქვეყანა. ... , ისე გაძლევთ ყველაფერს. ... . ინაყოფიერეთ და იმრავლეთ, მოეფინეთ ქვეყანას და გამრავლდით მასზე.“ (დაბ. 9, 1).

ახალი აღთქმიდან *ნებადამრთველი* ნორმებია, მაგალითად, ქრისტეს მცნებები:

„ ... ვინც შემოგკრას მარჯვენა ყვრიმალში, მეორეც მიუშვირე მას. და თუ ვინმეს სურს გიჩივლოს და წაგართვას შენი პერანგი, მიეცი მას მოსასხამიც. ანდა თუ ვინმე გაიძულებს ერთი მილის მანძილზე გამომყევიო, ორზე გაჰყევი მას. მთხოვნელს მიეცი და სესხების მსურველს ზურგს ნუ შეაქცევ“ (მათ. 5, 40-42); „მოუხმო თავის თორმეტ მოწაფეს, და მისცა მათ ხელმწიფება უწმინდურ სულთა განდევნისა და ყოველგვარი სენისა თუ ყოველგვარი უძლურების განკურნებისა“ (მათ. 10. 1); „მოუხმო თორმეტს, წყვილ-წყვილად დაუწყო წარგზავნა, და მისცა მათ უწმინდურ სულთა დათრგუნვის ძალა. ... .“ (მკ. 6, 7-13); „მოუხმო თავის თორმეტ მოწაფეს და მისცა მათ ყველა ეშმაკის დათრგუნვისა და სალმობათა განკურნვის ხელმწიფება და ძალა“ (ლკ. 9, 1-6).

ძველი აღთქმიდან *მომთხოვნელ (სავალდებულო)* ნორმებს მიეკუთვნება მაგალითად, გამოცხადების მე-12 თავში ისრაელის ხალხისთვის პასექთან დაკავშირებული წესები (გამ. 12, 3-20).

„ასე უთხარით ისრაელის მთელს საზოგადოებას: ამ თვის მეათე დღეს მამის სახლზე თითოეულმა თითო კრავი ან თიკანი დაიგულოს. ერთი

[205] იხ., იქვე, 1844-1852.

კრავი ან თიკანი სახლზე. თუ კრავის შესაჭმელად მცირეა სახლი, შეუამხანაგდნენ ერთმანეთს კარის მეზობლები და სულადობის მიხედვით აიყვანონ კრავი. ... .“ (გამ. 12, 3-20); „უნდა იდღესასწაულონ ეს ღამე ისრაელიანებმა თაობიდან თაობაში. უთხრა უფალმა მოსეს და აარონს: ასეთია პასექის წესი: უცხოთესლმა არ უნდა ჭამოს იგი. ვერცხლით ნაყიდმა ყოველმა ყმამ, თუ წინდაცვეთილია, ჭამოს. ხიზანმა და ქირისკაცმა არ უნდა ჭამოს. ... .“ (გამ. 12, 42-49).

ახალი აღთქმიდან კი, *მომთხოვნი (სავალდებულო)* ნორმებია მაგალითად იოანე ნათლისმცემლის მოწოდება:

„და ამბობდა: მოინანიეთ, ვინაიდან მოახლოვდა ცათა სასუფეველი“ (მათ. 3, 2); „მაშ, იყავით სრულქმნილნი, როგორც სრულქმნილია თქვენი ზეციერი მამა“ (მათ. 5, 48); „...ეძებეთ უპირველესად უფლის სასუფეველი და სიმართლე მისი, და ყოველივე ეს მოგეცემათ თქვენ“ (მათ. 6, 33).

ამკრძალავ ნორმებს მიეკუთვნება, მაგალითად, ღმერთის პირველი გაფრთხილება, რომლითაც ადამსა და ევას ეკრძალებოდათ კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხის ნაყოფის ჭამა:

„გააფრთხილა უფალმა ღმერთმა ადამი, უთხრა: ყველა ხის ნაყოფი გეჭმევა ამ ბაღში. მხოლოდ კეთილის და ბოროტის შეცნობის ხის ნაყოფი არ შეჭამო, რადგან როგორც კი შეჭამ, მოკვდებით“ (დაბ. 2, 16-17).

ასევე, ღმერთის მიერ ნოესა და მისი შვილებისთვის დაწესებული ნორმა, რომელიც კრძალავს ადამიანის სიცოცხლის ხელყოფას:

„მე კი თქვენს სისხლს თქვენი სიცოცხლის წილ მოვიკითხავ, ყოველ მხეცს მოვკითხავ, ადამიანს მოვკითხავ, თქვენ მოგკითხავთ ერთმანეთის სიცოცხლეს“ (იხ. დაბ. 9, 5).

ახალი აღთქმიდან *ამკრძალავი* ნორმებია, მაგალითად, ქრისტეს მცნებები:

„ვინც მოჰკლავს სამართალში უნდა მიეცეს.“ (მათ. 5, 21); „ვინც უმიზეზოდ ურისხდება თავის ძმას, სამართალში უნდა მიეცეს, ...“ (მათ. 5, 22).

ამკრძალავი ნორმების უმეტესობა იმპერატიულ, აპოდიქტურ ხასიათს ატარებენ, რადგან წარმოადგენენ აბსოლუტური ხასიათის ნორმებს და მათი დარღვევა დაუშვებელია ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე. სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, ასეთი ნორმები კონცეპტუალურად *jus cogens*-ის ნორმებია.

დაუწერელი ნორმებიდან, ამის კლასიკური მაგალითი კი არის, ღმერთის პირველი გაფრთხილება: „ ... *არ შეჭამო, რადგან როგორც კი შეჭამ, მოკვდებით*“ (დაბ. 2, 16-17), ხოლო წერილობითი ნორმებიდან, ათი მცნება: „*არ გაიჩინოთ ჩემს გარდა სხვა ღმერთები; არ გაიკეთო კერპები...*; *არ სცე თაყვანი მათ...*; *არ დაიფიცო ფუჭად უფლის სახელი...; არა კლა; არა იმრუშო, არა იქურდო* და ა.შ.“ (გამ. 20, 1-17).

იმპერატიულ, აპოდიქტური ხასიათის ნორმებს შეიძლება მივაკუთვნოთ ასევე დანაშაულის გამოსყიდვის წესი *„ეს არის დანაშაულის გამოსასყიდის წესი; ეს წმიდათა წმიდაა“* (ლევ. 7, 1) და სხვა მუხლებიც, რომლებიც აღწერილია გამოსვლისა და მეორე რჯულის წიგნებში, კერძოდ: გამ. 22, 20; 22, 23. 6, 10-11, 19; 23; რჯლ. 12, 2-3; 14, 3, 12-19.

ბიბლიის ნორმების თავისებურება იმაშიც მდგომარეობს, რომ მათი უმეტესობა კაზუისტიკურია. მაგალითად, ძველ აღთქმიდან შეიძლება დასახელდეს გამოსვლის 22-ე თავის მუხლები, ხოლო ახალი აღთქმიდან მათეს 5-ე თავის 17-48-ე მუხლები.

თუმცა, ბიბლიაში ასევე გვხდება დეფინიციური შინაარსის მქონე ნორმებიც, მაგალითად: *„... , ცოდვა არის ურჯულოება“* (1 იოან. 3, 4).

რაც შეეხება სემანტიკურ თავისებურებს უნდა ითქვას, რომ ნორმები გადმოცემულია პირველ, მეორე და მესამე პირში, მაგალითად:

პირველ პირში ფორმულირებული ნორმებია, როდესაც ღმერთი მოსეს ეუბნება:

> „მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი,... (გამ. 20, 2); მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი, შურისმგებელი ღმერთი, რომელიც მამათა ცოდვას შვილებს მოვკითხავ, ჩემს მოძულეებს, მესამე და მეოთხე თაობაში“ (გამ. 20, 5).

მეორე პირში ფორმულირებული ნორმებია, ღმერთის მიერ ადამისთვის დაწესებული პირველი გაფრთხილება:

> „ყველა ხის ნაყოფი გეჭმევა ამ ბაღში, მხოლოდ კეთილის და ბოროტის შეცნობის ხის ნაყოფი არ შეჭამო“ (დაბ. 2, 16-17).

მეორე პირში ფორმულირებულ ნორმას წარმოადგენს ასევე, როდესაც ღმერთი ევას ეუბნება:

> „სატანჯველს გაგიმრავლებ და გაგიძნელებ ორსულობას, ტანჯვით შობ შვილებს. ქმრისკენ გექნება ლტოლვა, ის კი იბატონებს შენზე. ადამს უთხრა: რაკი შენს დედაკაცს დაუჯერე და შეჭამე ხის ნაყოფი, რომლის ჭამა აკრძალული მქონდა შენთვის, მიწა დაიწყევლოს შენს გამო: ტანჯვით მიიღებდე მისგან საზრდოს მთელი სიცოცხლე (დაბ. 3, 16-17).

მესამე პირში ფორმულირებულ ნორმებს კი წარმოადგენს შემდეგი მუხლები:

> „ვინც უფლის გარდა სხვა ღმერთებს სწირავს მსხვერპლს, უნდა მოიკვეთოს“ (გამ. 22, 19); „თუ ვინმე უწმიდურობაში შეჭამს უფლის სამადლობელ მსხვერპლის ხორცს, უნდა მოიკვეთოს თავისი ხალხიდან“ (ლევ. 7, 20).

ზოგადად ლევიანნის თავში მოცემული წესების უმეტესობა მესამე პირში ფორმულირებული ნორმებია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, ნორმის სტრუქრული და სემანტიკური თავისებურებები გაანალიზდეს ღმერთის პირველი ნორმის (გაფრთხილების) მაგალითზე, რადგან ყველა დაუწერელი თუ დაწერილი საღვთო ნორმა, ტელეოლოგიურად ღმერთის გაფრთხილების ერთგვარი რეპლიკაციაა.

პირველ რიგში, ღმერთის გაფრთხილებაში გამოვყოფთ **სამართლის ნორმის სტრუქტურისათვის** დამახასიათებელ ისეთი ელემენტებს, როგორებიც არის დისპოზიცია და სანქცია.

როგორც უკვე აღინიშნა, დათქმა „*კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხის ნაყოფი არ ჭამო*“ (დაბ. 2, 16), გამოხატავს კონკრეტულ ჯერარსულ ქცევის წესს, ჰიპოთეზას („თუ“). ხოლო, დათქმა „*რადგან როგორც კი შეჭამ მოკვდები*“ (დაბ. 2, 17) არის პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი დისპოზიცია („მაშინ“), სასჯელით. რომ დავაკონკრეტოთ:

დისპოზიციად უნდა მივიჩნიოთ „*ყველა ხის ნაყოფი გეჭმევა ამ ბაღში; მხოლოდ კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხის ნაყოფი არ ჭამო*“, რადგან იგი აღწერს ნორმის შინაარსის განმსაზღვრელ ქცევის წესს.

სანქციად, ანუ სასჯელად, - „*მოკვდინება*“, რადგან მიუთითებს, თუ რა შედეგი მოჰყვება ნორმის შეუსრულებლობას, მის დისპოზიციაში აღნიშნული მოთხოვნის დარღვევას. დაბადების წიგნის მესამე თავის მე-16-17-ე მუხლებიდან ისიც ირკვევა, რომ სასჯელად, მოკვდინებასთან ერთად, უნდა მივიჩნიოთ „*ტანჯვაც*” (დაბ. 3, 16-17). იმის გამო, რომ სანქცია ზუსტად განსაზღვრავს ზემოქმედების იმ ზომას, რომელიც გამოყენებული იქნებოდა ნორმის დარღვევის შემთხვევაში, შესაძლებელია ითქვას ისიც, რომ სახეზეა **აბსოლუტურად განსაზღვრული სანქცია.**

გარდა ამისა, ღმერთის პირველ გაფრთხილებაში „*კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხის ნაყოფი არ ჭამო*“ მოთხოვნა:

1. მოცემულია ზუსტად და კონკრეტულად, რომლის მიხედვით, ადამს უფლება არ ჰქონდა თავისი შეხედულებისამებრ შეეცვალა ან გაეფართოებინა იგი. შესაბამისად, ღმერთის მიერ დაწესებული პირველი გაფრთხილება უნდა განვიხილოთ, როგორც **იმპერატიული ნორმა.**

2. იმპლიციტურად და ექსპლიციტურად ადასტურებს იმასაც, რომ ნორმის დისპოზიცია არის **ამკრძალავი ხასიათის,** რადგან მოთხოვნა ფორმულირებულია მოქმედების პირდაპირი აკრძალვის, მისი შესრულების დაუშვებლობის სახით, - „*არ ჭამო*“. ამკრძალავი ბუნება ასევე დასტურდება დაბადების წიგნის მომდევნო მუხლებშიც, როდესაც თავად ღმერთი ადამს ეუბნება აკრძალვის შესახებ: „*იმ ხის ნაყოფი ხომ არ გიჭამია, მე რომ აგიკრძალე?*“ (დაბ., 3, 11), და „*...ხის ნაყოფი, რომლის ჭამა აკრძალული მქონდა შენთვის...*“ (დაბ., 3, 17).

3. ადამისთვის სავალდებულოა შესასრულებლად ყოველგვარი წინასწარი პირობის გარეშე. ეს კი, ნიშნავს, რომ ღმერთის პირველი გაფრთხილება, ასევე უნდა განვიხილოთ, როგორც **უპირობო ნორმა.**

4. მიმართულია კონკრეტულად განსაზღვრული პირისადმი „*გააფრთხილა უფალმა ღმერთმა ადამი...*“ (დაბ., 2, 16). ამდენად, გაფრთხილება უნდა განვიხილოთ, როგორც ინდივიდუალური ნორმის დაწესება. თუმცა, დაბადების თავის მომდევნო მუხ-

ლში ვკითხულობთ, რომ გაფრთხილება ვრცელდება ევაზეც (დაბ. 3, 1-3). მომდევნო მუხლებიდან ირკვევა ისიც, რომ გაფრთხილების სასჯელი ვრცელდება ადამისა და ევას მოდგმაზეც (დაბ. 3, 17).[206] შესაბამისად, ღმერთის პირველი გაფრთხილება უნდა მივიჩნიოთ, როგორც **ინდივიდუალური,** ასევე **საყოველთაო ხასიათის ნორმის** დაწესება.

5. გულისხმობს არა ნორმის შესრულებას ან გამოყენებას, არამედ მის დაცვას. სამართლის ნორმის აღსრულების თვალსაზრისით, ნორმის დაცვა უნდა ჩაითვალოს ყველაზე მარტივ ფორმად და მინიმალურ მოთხოვნად, რადგან ნორმის დაცვა ნიშნავს ნორმით დადგენილი აკრძალვის დარღვევისაგან თავის შეკავებას, ანუ მოქმედებისაგან თავის შეკავებას „*არ ჭამო*“, ხოლო ნორმის შესრულება და გამოყენება გულისხმობს აქტიურ მოქმედებას.

1.2.2.3 ნორმატიული ტერმინოლოგია

ცოდვის სამართლებრივ ბუნებაში გარკვევის მიზნით, მიზანშეწონილია, ბიბლიაში არსებული დაუწერელი (*Lex non scripta*) და წერილობითი (*Lex scripta*) აქტებით განსაზღვრული ქცევის წესის შემცველი ტერმინების იდენტიფიცირება და მათი ნორმატიული ასპექტების წარმოჩენა.[207]

ზემოთ განხილულ საკითხებთან დაკავშირებით ბიბლიიდან ციტირებული მუხლებიდანაც ირკვევა, რომ ბიბლია შეიცავს ისეთ ნორმატიულ ლინგვისტურ ერთეულებს, როგორიც არის: გაფრთხილება, სინდისი, აღთქმა, ანდერძი, ბრძანება, მცნება, რჯული, სჯულდება, წესი, სამართალი, კანონი, დადგენილება, ბრძანება, სიგელი და განაჩენი.

ბუნებრივია, აღნიშნული ტერმინების ჩამონათვალი არ არის სრული და სხვა მრავალი ნორმატიული ხასიათის ტერმინიც გვხვდება ბიბლიაში, რაზეც ქვემოთ იქნება საუბარი.

იმის გათვალისწინებით, რომ ცოდვა რჯულის დარღვევაა (იხ.: იაკ. 2, 9; 1 იოან. 3, 4; რომ. 5, 13), საწყის ეტაპზე კვლევას დაექვემდებარება ტერმინი „რჯული“, ხოლო შემდეგ მისი სინონიმური ტერმინები.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ტერმინის „სიტყვასიტყვითი თარგმანისა“ და „დინამიური ექვივალენტის“ პრინციპის გათვალისწინებით, ასევე გამოყენებული იქნება ინგლისურენოვანი ბიბლიის ტექსტები.

---

[206] „სატანჯველს გაგიმრავლებ და გაგიძნელებ ორსულობას, ტანჯვით შობ შვილებს, ქმრისკენ გექნება ლტოლვა, ის კი იბატონებს შენზე. რაკი შენს დედაკაცს დაუჯერე და შეჭამე ხის ნაყოფი, რომლის ჭამა აკრძალული მქონდა შენთვის, მიწა დაიწყევლოს შენს გამო; ტანჯვით მიიღებდე მისგან საზრდოს მთელი სიცოცხლე“ (დაბ. 3, 16, 17).

[207] საყურადღებოა, რომ გამოჩენილი ქართველი იურისტი *ივანე სურგულაძე* დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ბიბლიის ქართულ თარგმანს ქართული სამართლის ზოგიერთი ტერმინის შინაარსის დასადგენად, იხ. *სურგულაძე ივ.*, ქართული სამართლის ისტორიის ნარკვევები I, გამომც. „პირველი სტამბა“, თბ., 2000, 15.

1.2.2.3.1 რჯული და მისი სინონიმური ცნებები

სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით, „შჯული, სჯული, რჯული, რჩული ყოველივე და იგივე ერთ არიან; ესენი, ყველაკა ერთისა სახელივე არს... რჯული არის ის ნაბრძანები, ანუ ნამცნები (კანონია, წესია), რაც აუცილებლად უნდა აღსრულდეს - ეს აღსასრულებელი წესია.“[208]

თეოლოგიური ლექსიკონებიდან ირკვევა, რომ „რჯული“ იწოდება, როგორც „ნომოკანონი”[209] და „კანონი“ (ებრ. „თორა“),[210] რაც გულისხმობს ბიბლიის პირველ ხუთი წიგნს.[211] იგი ასევე ცნობილია „მოსეს რჯულის“ სახელწოდებითაც (იოანეს სახარება 1, 17).

ბ. გოეცეს მიერ შედგენილ ბიბლიის ლექსიკონში „რჯული“ განიმარტება, როგორც მცნებებისა და წესების ერთობლიობა, რომელიც ღმერთმა თავის ერს განუსაზღვრა.[212]

რონალდ დე ვაუქსის მიხედვით, „რჯულში“, იგივე კანონში იგულისხმება: 1. დეკალოგი (გამ. 20, 2-17; რჯლ. 5, 6-21); 2. აღთქმის კოდექსი (გამ. 20, 22-23; 33); 3. მეორე რჯული - რჯლ. 12-26; 4. სიწმიდის კანონი - ლევ. 17-26, და 5. სამღვდლო კოდექსი - ლევ. 1-7, 11-16.[213]

ბიბლიის ენციკლოპედია, გვთავაზობს ტერმინ „რჯულის“ სინონიმთა უფრო ვრცელ სპექტრს, კერძოდ:

1. *Micwah* „*Command*“ (მცნება) - სამართალთან მიმართებაში იგი წარმოადგენს სასჯელს და ეკისრება ადამიანებს, როგორც ღვთის ნების გამოვლინება და ამდენად, იგი უნდა იყოს დაცული;

2. *Edhah* „*Witness*“, „*Testimony*“ (აღთქმა), - აღნიშნავს ღმერთის სამართალს და შეეხება ღმერთის თავის ხალხთან ურთიერთობის პრინციპებს. შესაბამისად, აღთქმის კიდობანი იწოდება, როგორც „მოწმობის კიდობანი“ (გამ. 25, 22), რადგან იგი შეიცავს „აღთქმას“ (გამ. 25, 16), ე. ი. სამართლის ფიქალებს, რომლებზეც აღთქმა იყო დადებული. აღნიშნული ტერმინები ზოგადი ხასიათისაა და შეეხება ზოგადად „თორას“ (*torah*);

3. *Mishpatim* „*Judgements*“ (სასამართლო გადაწყვეტილება, განაჩენი, მსჯავრი, მსჯავრის დადება) - მხოლობით რიცხვში ზოგჯერ აღნიშნავს მსჯავრს აბსტრაქტული მნიშვნელობით (დაბ. 18, 19; რჯლ. 32, 4). ზოგჯერ, მსჯავრის დადების აქტს (რჯლ. 16,

---

[208] ქრისტიანობა ჩვენს ცხოვრებაში: წარსული აწმყო, მომავალი, (II საერთაშირისო სიმპოზიუმი), ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი, თბ., 2005, 140.

[209] 1. იხ. *Графский В. Г.*, Пятикнижие Моисея В Истории Права И Правоведения, Философия Права Пятикнижия (Под ред. *А.А. Гусейнова* и *Е.Б. Рашковского*), Изд. „ЛУМ“, М., 2012. 32; 2. იხილეთ სიტყვა „Nomocanon“, <www.newadvent.org/cathen/11094a.htm>, (მოპოვების თარიღი: 01.02.2015).

[210] იხილეთ: სიტყვა „Torah“ (ქართულად „თორა“): 1. Concise Dictionary of Theology (by Gerald O'Collins, SJ & Edwaurd G Farrugia, SJ), Third Edition, USA, 2013, 304; 2. ელექტრონული ენციკლოპედიური ლექსიკონი:<www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=1705>, (მოპოვების თარიღი: 01.02.2015).

[211] იხ. Easton Bible Dictionary, a *Dictionary of Bible Terms* (by *M.G. Easton*), USA, 1997, 169.

[212] იხ. ბიბლიის ლექსიკონი (შემდგ. *ბ. გოეცე*), თბ., 2006, 379.

[213] იხ. *Vaux R.*, Ancient Israel, its Life and Institutions (transl., by *John McHugh*), USA, 1997, 143-144.

18, 19; 17, 19; 24, 17). მრავლობით რიცხვში კი, მუდმივად გამოიყენება სტატუტებთან მიმართებაში, ცალკეული სახის ნორმების გამოსახატად, კერძოდ ისეთი ნორმებისა, რომლებიც, თუმცა საღვთო სასჯელის წყალობით აყალიბებენ თორას (კანონის) ნაწილს, მაგრამ ორიენტირებულნი არიან განსახილველად წარდგენილ საქმეებზე, მოსამართლეთა გადაწყვეტილებებზე;

4. *Chuqqim* „*Statutes*" (სტატუტები) - სიტყვასიტყვით ითარგმნება, როგორც დაბეჭდილი „წესდებები" და ნიშნავს კანონებს, რომელსაც აწესებს რჯულმდებელი. „სასამართლოს გადაწყვეტილებები" *(judgments)* და „წესდებები" *(statutes)* ერთობლიობაში აყალიბებენ ერთიან სამართალს *(ლევ. 18, 4; რჯლ 4,1-8. ბიბლიის King James-ის ვერსია).* ამრიგად, არსებობს განსხვავება ჩვეულებით და სტატუტურ სამართალს შორის;

5. *Piqqudhim* „*Precepts*" (ქცევის წეს(ებ)ი, კანონები, პრინციპები, დარიგებანი) - აღნიშნული ტერმინი, გვხვდება მხოლოდ ფსალმუნებში. როგორც ჩანს, იგი აღნიშნავს წესებს ან დარიგებებს რათა, განხილული იქნას სარჩელი სხვადასხვა გარემოებებზე. ტერმინი შეიძლება ასევე ნიშნავდეს, როგორც მოქმედ თორას (რჯულს) წესებს, ასევე სხვა სამართლის წესების გამოყენებას, რომელიც მოიპოვება, მაგ., წინასწარმეტყველთა და „ბრძენ კაცთა" ნაწერებში.[214]

გარდა ამისა, ირკვევა, რომ „რჯული" არის, როგორც კონკრეტული წესი, ასევე წესების ერთობლიობა, გამოხატული ისეთი ლინგვისტური ერთეულებით და სინონიმური ცნებებით, როგორიც არის „კანონ(ებ)ი", „სამართალი", „ანდერძი", „მცნება/მცნებები", „გადაწყვეტილება", „წეს(ებ)ი", „აღთქმა", „პრინცი(ებ)ი" და „დარიგებანი".

ბუნებრივია, ტერმინ „რჯულთან" დაკავშირებით კვლევა ამით ვერ დასრულდება, რადგან თავად „მოსეს რჯულის" სახელწოდებით ცნობილ ბიბლიის პირველი ხუთ წიგნშიც კი, რომელიც სახელმწიფოს არაფორმალური და ფორმალური მმართველობის ჩამოყალიბების კვალდაკვალ აღწერს დაუწერელი და დაწერილი ნორმების განვითარებას, გვხვდება სხვა მრავალი წესის შემცველი ტერმინი და ცნება. რადგან, ბიბლიის მუხლებში ყველა ნორმატიული ხასიათის ტერმინის გამოვლენა და ცალ-ცალკე დახასიათება ძალიან შორს წაგვიყვანს, შევეცდებით შინაარსით ახლო მდგომი ტერმინები დავაჯგუფოთ და ისე გავაანალიზოთ მათი საერთო ნორმატიული თავისებურებები.

[214] ob. International Standard Bible Encyclopedia, Vol. III (by *Orr, James, M.A.*, and *D.D.* General Editor), Chicago, the Howard-Severance, USA, 1915, 1852.

1.2.2.3.2 აღთქმა, ფიცი, ანდერძი

„აღთქმა“ წარმოადგენს ერთგვარ ხელშეკრულებას, შეთანხმებას ორ მხარეს შორის, რომელიც ორივე მხარისგან დადებული შეთანხმების შესრულებას მოითხოვს. ღმერთი პირობას იძლევა, ხოლო ადამიანს ევალება არ გააკეთოს ისეთი რამ, რომელიც აღთქმის დარღვევის საბაბი გახდება.[215] მაგალითად, ღმერთი ეუბნება მოსეს: „ამიერიდან თუ შეისმენთ ჩემს სიტყვას და დაიცავთ ჩემს აღთქმას, ჩემს საკუთრებად გამოგარჩევთ ყველა ხალხისგან, რადგან ჩემია მთელი ქვეყანა” (გამ. 19, 5). ისრაელის ხალხი კი, თავის მხრივ, ამ აღთქმის შესრულებას ჰპირდება მოსეს: „ერთხმად მიუგო ერმა და უთხრა: ყველაფერს შევასრულებთ, რაც ბრძანა უფალმა. წაუღო მოსემ უფალს ხალხის ნათქვამი” (გამ. 19, 8). ამის შემდეგ მოსე გამოუცხადებს ღმერთის სიტყვებს ისრაელის ხალხს: „აიღო აღთქმის წიგნი და წაუკითხა ხალხს. თქვა ხალხმა: ყველაფერს აღვასრულებთ და შევისმენთ, რაც უბრძანებია უფალს“ (გამ. 24, 7).

გარდა ამისა, ღმერთი ისააკს ეუბნება, რომ აღასრულებს იმ „ფიცს“, რომელიც მამამის, აბრაამს დაუდო (დაბ. 26, 3). „ფიცი“, ამ შემთხვევაში არის „აღთქმა“ იმისა, რომ ღმერთი გაამრავლებს აბრაამის შთამომავლობას (დაბ. 26, 3-4). ღმერთი მოსეს ეუბნება, რომ მიიყვანს ისრაელის ხალხს იმ ქვეყანაში, რომელიც „ფიცით“ აღუთქვა აბრაამს, ისაკს და იაკობს (გამ. 6, 8). მოსე კი, თავის მხრივ, ისრაელის ერს ეუბნება უფალის მიერ ისრაელის მამა-პაპისთვის ფიცით დადებულ აღთქმაზე (რჯლ. 8, 18; 10, 11).

სიტყვა „ანდერძი“, ასევე აღწერს აბრაამთან დადებულ ღმერთის იმ „აღთქმას“, რომელიც სიტყვა „ფიცით“ არის ნახსენები. მაგალითად, ღმერთი ისააკს ეუბნება: „იმის გამო, რომ დამიჯერა აბრაამმა და ასრულებდა ჩემს ნაანდერძევს...“ (დაბ. 26, 5).

ამგვარად, „აღთქმა“, „ფიცი“ და „ანდერძი“, ხასიათდებიან საერთო ნორმატიული ნიშნით. შევნიშნავთ იმასაც, რომ სამივე ტერმინი შეიძლება დახასიათდეს მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი ნორმატიული ასპექტებით და სხვა ნორმატიული ხასიათის ტერმინებთან მიმართებაშიც, მაგალითად:

აღთქმა ასევე არის: ა) საჯარო; ბ) კერძო; გ) საზეიმო; დ) მარტივი; ე) ნივთიერი; ვ) შერეული; ზ) დროებითი და თ) მუდმივი.[216]

ფიცი გამოხატავს ცილობის დასასრულსაც: „ხალხი უმეტესს იფიცავს და ფიცია მათი ყოველი ცილობის დასასრული. ამიტომ, ღმერთმა, რომელსაც სურდა აღთქმის მემკვიდრეთათვის ეჩვენებინა თავისი ნების გარდუვალობა, შუამდგომლობისთვის მიმართა ფიცს“ (ებრ. 6, 16-17).

ანდერძი ზოგჯერ გათანაბრებულია ბრძანებასთან, მცნებასთან, წესთან, სამართალთან და სჯულთან: „იმის გამო, რომ დამიჯერა აბრაამმა და აღასრულებდა

---

[215] იხ.: 1. *გვასალია გ.*, დასახ. ნაშრ., 173; 2. ინგლისურად სიტყვა „აღთქმა“ ითარგმნება, როგორც „testament“ და „covenant“, რაც ნიშნავს ორ მხარეს შორის შეთანხმებას, ხელშეკრულებას იხ. *Barkett D.*, An Introduction to the New Testament, Cambridge University Press, UK, 2002, 11.

[216] იხ. *პეტროზილო პ.*, დასახ. ნაშრ., 29-30.

ჩემს ნაანდერძევს, ჩემს ბრძანებებს, ჩემს მცნებებს, ჩემს სჯულდებებს" (დაბ. 26, 5).[217] ანდერძი, შეიძლება იყოს არა მხოლოდ კონკრეტულ ნორმატიულ ქცევის ტერმინის გამოხატველი, არამედ ნორმათა ისეთი ერთობლიობისა, როგორიც არის დეკალოგი (ათი მცნება). ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, სხვადასხვა ლინგვისტური ერთეულებითაც მოიხსენიება და ასე შემდეგ.

1.2.2.3.3 მცნება

სიტყვა „მცნება" გაანალიზდება მხოლოდ დეკალოგის ანუ ათი მცნების საფუძველზე. უნდა აღინიშნოს, რომ ისრაელის ხალხისადმი მიცემული „რჯულის" საფუძველი არის ათი მცნება,[218] რომელიც ბიბლიაში მოიხსენიება სხვადასხვა ლინგვისტური ერთეულებით, მაგალითად:

უკვე აღინიშნა, რომ ძველი აღთქმის, „მეორე რჯულში", ათი მცნება მოიხსენიება, როგორც „ანდერძი", „მცნებები", „წესები", „სამართალი", „რჯული" და „აღთქმა":

„ნურაფერს შემატებთ ჩემს ნაანდერძევს თქვენდამი და ნურც მოაკლებთ, არამედ დაიცავით უფლის, თქვენი ღმერთის მცნებები, რომელთაც გიცხადებთ მე." (რჯლ. 4, 2);

„რომელი დიდთ ერია, რომელსაც ჰქონდეს ასეთი წესები და სწორი სამართალი, როგორც მთელი ეს რჯული, დღეს რომ გაძლევთ" (რჯლ. 4, 8),

„გამოგიცხადათ თავისი აღთქმა, რომლის შესრულება გიბრძანათ. ათი მცნება დაგიწერათ ორ ფიქალზე" (რჯლ. 4, 13).

„ლევიანის" წიგნში, ათი მცნება ნახსენებია, როგორც „წესები", „სამართალი" და „რჯული":

„აჰა, წესები, სამართალი და რჯული, რომელიც დადო უფალმა თავისსა და ისრაელიანთა შორის სინაის მთაზე, მოსეს ხელით" (ლევ. 26, 46).

ესაია წინასწარმეტყველთან კი, აღნიშნული ათი მცნება, არის „რჯული", „კანონი" და „აღთქმა":

„წაიბილწა მისა მის მკვიდრთა ქვეშ, რადგან გადაუდგნენ რჯულს, დაარღვიეს კანონი, გატეხეს საუკუნო აღთქმა" (ეს. 24, 5).

ახალ აღთქმაში, კერძოდ, „ლუკას სახარებაში", ათი მცნება მოიხსენიება, როგორც „რჯული":

„...უნდა აღსრულდეს ყველაფერი, რაც დაწერილია ჩემზე მოსეს რჯულში..." (ლუკ. 24, 44).

---

[217] დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ წინამდებარე დისერტაციის ქვე-პარაგრაფი: 1.2.2.3.4 ბრძანება, განაჩენი, დადგენილება და სიგელი:

[218] იხ. ბიბლიის ლექსიკონი (შემდგ. *ბ. გოეცე*), თბ., 2006, 379.

1.2.2.3.4 ბრძანება, განაჩენი, დადგენილება და სიგელი:

„ესთერის“ წიგნის პირველი თავის მუხლებში „ბრძანება“, „განაჩენი“[219] და „დადგენილება“ ერთ კონკრეტულ რეგულაციას შეეხება. კერძოდ, მეფე ახაშვეროში გამოსცემს სამეფო ბრძანებას, რომელიც შეეხება დედოფლისთვის მეფესთან შესლვის აკრძალვას და დედოფლობის სხვისთვის გადაცემას.

> „თუ მეფე ინებებს, გაიცეს მისგან სამეფო ბრძანება, ..., რომ აღარ შევიდეს ვაშთი მეფე ახაშვეროშის წინაშე. ხოლო მისი დედოფლობა მეფემ სხვას მისცეს, მასზე უკეთესს.“ (ესთ. 1, 19, 21).

მომდევნო თავში, აღნიშნული ბრძანება მოიხსენიება, როგორც „განაჩენი“:

> „ამ ამბის შემდეგ, როცა დაუცხრა მეფე ახაშეროშს რისხვა, გაიხსენა მან შავთი, მისი საქციელი და მასზე გამოტანილი განაჩენი” (ესთ. 2, 1).

ამის შემდგომ, განაჩენში ნახსენები დედოფლობის სხვისთვის გადაცემის აღსრულება, წარმოჩინდება, როგორც „ბრძანება“ და „დადგენილება“:

> „როცა გამოაცხადეს მეფის ბრძანება და დადგენილება და თავი მოუყარეს უამრავ ყმაწვილ ქალს შუშანში, სატახტოში...“ (ესთ. 2, 8).

ამგვარად, ესთერში „ბრძანება“, „განაჩენი“ და „დადგენილება“ ერთ კონკრეტულ ნორმატიულ საკითხს შეეხება და ურთიერთმონაცვლეობით გამოიყენებიან.

ანალოგიურ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე დანიელ წინასწარმეტყველთან, როცა „დადგენილება“, „ბრძანება“ და „სიგელი“ ერთ რეგულაციას აღწერს და წარმოგვიდგებიან ტოლმნიშვნელოვან ლინგვისტურ ერთეულებად. მაგალითად, „დადგენილების“ აღსრულებისთვის საჭირო ხდება „ბრძანების“ გაცემა:

> „..., რათა დადგენილ იქნას სამეფო დადგენილება და გაიცეს ბრძანება, რომ ყველა, ვინც კი ....“ (დან. 6, 8).

მომდევნო მუხლებში, აღნიშნული „დადგენილება“ მოიხსენიება, როგორც „სიგელი“ და „ბრძანება“:

> „ახლა კი, მეფეო, დაამტკიცე ეს დადგენილება და ხელი მოაწერე სიგელს, რომ ...“ (დან. 6, 9); „ამიტომ დაწერა მეფე დარიოსმა სიგელი და ბრძანება“ (დან. 6, 10); „როდესაც შეიტყო დანიელმა, რომ ასეთი სიგელი დაიწერა...“ (დან. 6, 10); „მერე მივიდნენ და მეფეს მოახსენეს მეფის ბრძანების თაობაზე...“ (დან. 6. 13); „...მეფეო, დანიელი, იუდეველი ტყვე, არც შენ გაქცევს ყურადღებას და არც შენს მიერ დაწერილ ბრძანებას...“ (დან. 6, 14).

---

[219] განაჩენი, როგორც სასამართლოს გადაწყვეტილება, მსჯავრი, რჯულის ერთ-ერთ ექვივალენტური ცნებაა. იხილეთ წინამდებარე დისერტაციის ქვე-პარაგრაფი: 1.2.2.3.1 რჯული და მისი სინონიმური ცნებები. გარდა ამისა, იხილეთ ბიბლიის შემდეგი მუხლები: ლევ. 24, 12; რჯლ. 17, 9; 3 მეფ. 3, 28; ეზრ. 9, 4.

ამის შემდეგ, მე-16 მუხლიდან ირკვევა, რომ „ბრძანებასა“ და „დადგენილებასთან“ დაკავშირებით, მოქმედებს საერთო წესი „..., რომ მიდიელთა და სპარსელთა კანონით, მეფის ყოველი ბრძანება და დადგენილება უცვალებელი უნდა იყოს“ (დან. 6, 16).

ამგვარად, ზემოთწარმოდგენილ მუხლებში „ბრძანება“, „განაჩენი“, „დადგენილება“ და „სიგელი“ ტოლმნიშვნელოვანი ნორმატიული ხასიათის ტერმინებია.

1.2.2.3.4 ტრადიცია, ჩვეულება (ადათი)

ბიბლიის ტექსტიდან ირკვევა, რომ წერილობითი სამართლის შემოღებამდე არსებობს ტრადიციები, ჩვეულებები (ადათები). ისინი საღვთო სამართალთან ერთობლიობაში, თავდაპირველად ქმნიან დაუწერელ, ხოლო შემდეგ წერილობითი სამართალის ერთიან სისტემას.

სიტყვა „ტრადიცია“, ბიბლიის თანამედროვე ქართულ ენაზე თარგმნილ ტექსტში არ გვხვდება.[220] თუმცა, ინგლისურენოვან ბიბლიაში, სიტყვა „tradition“ (ქართ. ტრადიცია), ძველ აღთქმაში გვეხდება ორჯერ (2 ნეშტ. 35, 25; ესთ. 9, 27),[221] ხოლო ახალ აღთქმაში 13-ჯერ (მთ. 15, 2-3, 6; მრკ. 7, 3, 5; 8-9, 13; 1 კორ. 11, 2; გალ. 1, 14; კოლ. 2, 8; 2 თეს. 2, 15; 3, 6).[222] თანამედროვე ქართულ ენაზე თარგმნილი ბიბლია, სიტყვა „tradition“-ის მაგივრად იყენებს ისეთი სიტყვებს, როგორიც არის: „წესი“ (2 ნეშტ. 35, 25; ესთ. 9, 27), „ჩვეულება“ (მთ. 15, 2-3, 6), „გადმოცემები“ (მრკ. 7, 3, 5; 8-9, 13; 1 კორ. 11, 2; გალ. 1, 14; კოლ. 2, 8; 2 თეს. 2, 15) და „მოძღვრება“ (2 თეს. 3, 6).[223]

კანონიკური სამართლის პროფესორი *პ. ბუმისისთვის*, „გადმოცემა“ და „ტრადიცია“ სინონიმებია.[224] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით კი, „ტრადიცია“ (ლათ. *tradition*) ისტორიულად ჩამოყალიბებული და თაობიდან თაობაზე გადაცემული ადათები, წესები, ყოფა-ქცევის ნორმებია.[225] *პავლე მოციქულისთვის* კი, ტრადიცია არის დოქტრინა.[226]

---

[220] იხ. ბიბლია (საქართველოს საპატრიარქოს მიერ 2009 წელს გამოცემული „ბიბლიის” ტექსტის მიხედვით), გამომც., „პალიტრა L”, თბ., 2013.

[221] იხ.: 1. „მაგ.: New International Version და New Living Translation (2 Chr. 35, 25), <www.biblehub.com/2_chronicles/35-25.htm>; 2. მაგ.: New Living Translation და God's Word@translation, (Esth. 9, 27), <www.biblehub.com/2_chronicles/35-25.htm>, (მოპოვების თარიღი: 01.02.2015).

[222] იხილეთ ბიბლიის New International Version, New Living Translation და English Standard Version, ვებ-გბერდი: <www.biblehub.com/2_chronicles/35-25.htm>, (მოპოვების თარიღი: 01.02.2015).

[223] იხ. ბიბლია, (საქართველოს საპატრიარქოს მიერ 2009 წელს გამოცემული „ბიბლიის“ ტექსტის მიხედვით), გამომც., „პალიტრა L“, თბ., 2013.

[224] იხ. *ბუმისი პ. ი.*, კანონიკური სამართალი (მეორე გადამუშავებული გამოცემა; ბერძნულიდან თარგმნა *ი. გარაყანიძემ*), ათენი-თბ., 2010, 11.

[225] იხ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული (მთ. რედ. *არნ. ჩიქობავა*, რედ. *მ. ჭაბაშვილი*), თბ., 1986, 421.

[226] იხ. The Cambridge Dictionary of Christian Theology (by *Ian A. McFarland*, *David A. S. Fergusson*, *Karen Kilby*, *Iain R. Torrance*), Cambridge University Press, UK, 2011, 510.

თეოლოგიაში სიტყვა „ტრადიცია“ განიმარტება, როგორც: ა) (ებრაელებში) კანონებისა და მოძღვრებათა ერთობლიობა, ან ცალკეული კანონი ან მოძღვრება, რომელიც გადმოცემულია მოსეს მიერ და თავდაპირველად გადაეცემოდა ზეპირად თაობიდან თაობას; ბ) (ქრისტიანებს შორის) მოძღვრებათა ერთობლიობა, ან ერთ-ერთი მოძღვრებათაგანი, რომლებიც გადმოცემულია ქრისტესა და მისი მოციქულების მიერ, რომელიც თავდაპირველად არ გადმოიცემოდა წერილობით ფორმით; გ) (მუსლიმებში) „Habith“ ჩვეულება, ადათი, წესი.[227]

წყაროების ანალიზით ირკვევა, რომ ებრაულ თეოლოგიაში, „ტრადიცია“ ნიშნავს უხუცესების ზეპირ მოძღვრებას, რომელიც ძველი აღთქმის წერილობითი მოძღვრების მსგავსად დიდ პატივისცემას იმსახურებს და თანაბარი ავტორიტეტით სარგებლობს რჯულისა და ქმედების საკითხებთან მიმართებაში. არსებობს სამი სახის ზეპირი მოძღვრება: ა) წერილობითი რჯულის გარდა, მოსეს ზოგიერთი ზეპირსიტყვიერი რჯული, რომელსაც განსაზღვრავს დიდი რჯულმდებელი; ბ) მოსამართლეთა გადაწყვეტილებები, რომლებიც პრეცედენტებად ჩამოყალიბდნენ სასამართლო საქმეებზე; გ) დიდი მოძღვრების (რაბინების) განმარტებები, რომლებმაც ძველი აღთქმის წერილის მსგავსი პატივისცემა დაიმსახურა.[228]

სიტყვა „ჩვეულება“ (ადათი), ბევრჯერ გვხვდება თანამედროვე ქართულ ენაზე თარგმნილ ბიბლიაში.[229]

თანამედროვე ქართული ბიბლიის ტექსტში მოხსენიებული სიტყვა „ჩვეულება“, ინგლისურენოვანი ბიბლიის ტექსტებში მოცემულია ისეთი სიტყვებით, როგორიც არის „Custom“ და „Practice“. მაგალითისთვის იხილეთ ძველი აღთქმის, დაბადების წიგნის, 29-ე თავის 26-ე მუხლი.[230]

---

[227] იხილეთ სიტყვა „Tradition“-ის 6-ე პუნქტი, იხ. <www.dictionary.com/browse/tradition>, (მოპოვების თარიღი: 01.02.2015).

[228] იხილეთ სიტყვა „Tradition” შემდეგ წყაროებში: 1. The International Standard Bible Encyclopedia (by *Orr, James, M.A.*, and *D.D.* General Editor); Printed by The Lakeside Press, Cornel University Library, Chicago, Illionois, USA, 1915, 3004, 2. *Packard F. A.*, The Union Bible Dictionary, 2nd Edition, (Prepared for the American Sunday-School Union, and revised by the committee of publication) Philadelphia, USA, 1838, 620.

[229] მაგალითად: დაბადების თავში საუბარია ძველ ისრაელში არსებულ უფროსი ქალიშვილის მითხოვების (დაბ. 29, 26) და თანამეინახეობის წეს-ჩვეულებებზე (დაბ. 43. 32-34). „მეფეთას“ წიგნებში საუბარია წარმართ სახელმწიფოებში არსებულ ჩვეულებებზე (2 მეფ. 7, 14; 4 მეფ. 17, 8; 4 მეფ. 17, 26-27; 4 მეფ. 17, 34; 4 მეფ. 17, 40). მათეს სახარების მე-15 თავში კი, საუბარია ტრაპეზობასთან (მთ. 15, 2-3), შვილის მიერ მშობლების პატივისცემასა და ღმერთის შესაწირზე (მთ. 15, 6) და სხვა. იოანეს სახარებაში საუბარია პასექობისას ერთი კაცის გათავისუფლების ჩვეულებაზე (იოანე 18, 39), ხოლო „მოციქულთა საქმენში“ საუბარია იუდეველთა ჩვეულებაზე (საქ. 26, 3) და ა.შ.

[230] იხილეთ ბიბლიის შემდეგი ვერსიები: New International Version, New Living Translation, American King James Version, ინტერნეტ გვერდზე “Bible Hub”, <https://biblehub.com>, (მოპოვების თარიღი: 01.02.2015).

ჩვეულებას მნიშვნელობა აქვს ნორმათა შინაარსის განსაზღვრისათვის და აქსიომატიურია ისიც, რომ სამართალი ყველგან იწყება ჩვეულებით.[231] *გ. ნადარეიშვილი* აღნიშნავს, რომ ჩვეულება, სამართლის პირველყოფილი ფორმაა, წინარესამართალია.[232] აღნიშნულ დებულებას იზიარებს ცნობილი სოციოლოგი და კრიმინოლოგი, *ე. დიურკჰეიმიც*, რომლის აზრით „ჩვეულება სამართლის საფუძველია".[233] საყურადღებოა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, ჩვეულებების გამოყენებას არეგულირებს მე-2 მუხლის მე-4 პუნქტით.

ცნობილია, რომ „ჩვეულება" და „ადათი" სინონიმებია, რადგან „ადათი" მამა-პაპათაგან დამკვიდრებული ჩვეულება, ზნე-ჩვეულებაა.[234] „ადათი" თანამედროვე ქართულ ენაზე თარგმნილ ბიბლიაში მხოლოდ ერთხელ გვხვდება „...*კაცნო, ძმანო, არც ხალხის მიმართ შემიცოდავს და არც მამაპაპეული ადათის წინაშე...*" (საქ. 28, 17), ხოლო „ბიბლიის ახალი ქვეყნიერების თარგმანის" გამოცემაში 143 ჯერ.[235] ინგლისურენოვან ბიბლიის ტექსტებში, იქ სადაც თანამედროვე ქართული ბიბლიის ტექსტში გვხვდება სიტყვა „ადათი", გამოყენებულია სიტყვა „custom" რაც ქართულად ითარგმნება, როგორც ჩვეულება. მაგალითისთვის იხილეთ ახლი აღთქმის „საქმენი"-ს 28-ე თავის მე-17-ე მუხლი.[236]

კანონიკური სამართლის პროფესორი *ჰ. ბუმისი* შენიშნავს, რომ ადათები (იგივე ჩვეულება) წარმოადგენს დაუწერელ სამართლს, ორგანიზებულს და საზოგადოებისთვის დადგენილ განაწესებს,[237] რომელიც განიხილებოდა, როგორც უზენაესისაგან ბოძებული, ნამდვილი, სამართლიანი წესები და ამიტომ, ხშირად მას „სამართალს", „სიმართლეს" უწოდებენ.[238]

გარდა ამისა, ბიბლიის ქართული ტექსტების შედარებითი ანალიზით დგინდება შემდეგი:

---

[231] იხ. *Bryce J.*, Studies in History and Jurisprudence*,* 640 (1901), cited by *David J. Bedermen*, Religion and Sources of International Law in Antiquity*.,* form, *Mark W. Janis*, *Carolyn Maree Evans* (Eds.), Religion and International Law, Martinus Nijhoff Publishers, Netherelands, 1999, 2.

[232] იხ. *ნადარეიშვილი გ.*, მორალი, როგორც ძველი ქართული სამართლის საფუძველი, ჟურნალი „მაცნე", სამართლის სერია, №1, 1998, 98.

[233] იხ. Readings from Emile Durkheim, (ed. *Kenneth Thompson*; tr. by *Margaret A Thompson*), New York, USA, 1985, 14.

[234] 1. იხ. *ძიძიგური შ.*, ალექსანდრე ნეიმანი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, მე-3 გამოცემა, გამომც. „განათლება", თბ., 1998, 559; 2. იხ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული (მთ. რედ. *არნ. ჩიქობავა*, რედ. *მ. ჭაბაშვილი*), თბ., 1986, 16.

[235] იხილეთ სიტყვა „ადათი", ვებ-გვერდზე: <www.wol.jw.org/ka/wol/h/r20/lp-ge>, (მოპოვების თარიღი: 01.02.2015).

[236] იხელეთ ბიბლიის შემდეგი ვერსიები: New International Version, New Living Translation, American King James Version, ინტერნეტ გვერდზე: „Bible Hub", <https://biblehub.com>, (მოპოვების თარიღი: 01.02.2015).

[237] იხ. *ბუმისი ჰ. ი.*, კანონიკური სამართალი (მეორე გადამუშავებული გამოცემა; ბერძნულიდან თარგმნა *ი. გარაყანიძემ*), ათენი-თბ., 2010, 10.

[238] იხ. *ლობჟანიძე გ.*, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, ქუთაისი, 2000, 242.

1. თანამედროვე ქართულ ენაზე თარგმნილ ბიბლიაში, იქ სადაც გვხვდება სიტყვა „გადმოცემა“ (ანუ ტრადიცია), ბიბლიის ახალი ქვეყნიერების თარგმანი, იყენებს სიტყვა „ადათს“.[239]

2. თანამედროვე ქართულ ენაზე თარგმნილი ბიბლია, მათეს სახარების მე-15 თავში აღწერილ „წეს-ჩვეულებებს“, მარკოზის სახარებაში მოიხსენიებს, როგორც „გადმოცემებს“ (მრკ. 7, 3),[240] ხოლო ბიბლიის ახალი ქვეყნიერების თარგმანი, როგორც „ადათ-წესებს“.[241]

3. *წმ. გიორგი მთაწმინდელის* რედაქციით გამოცემული ბიბლია კი, სიტყვა „ადათის“ ნაცვლად, ზოგჯერ იყენებს სიტყვა „სჯულს“.[242]

ამგვარად ირკვევა, რომ სინონიმური ცნებები „ტრადიცია“ და „ჩვეულება“ („ადათი“) ურთიერთმონაცვლეობითი გამოყენება ბიბლიის სხვადასხვა გამოცემებში, არეგულირებენ სოციალურ ურთიერთობებს, წარმოადგენენ დაუწერელ და წერილობით ნორმათა ნაწილს, და თანაბარი ავტორიტეტით სარგებლობენ რჯულის საკითხებთან მიმართებაში.

დაბოლოს, აუცილებელია ითქვას მათ ტრანსცენდენტულ ბუნებაზეც, რადგან ისინი ძველ აღთქმაში დგინდებოდა უხუცესების მიერ, ხოლო ქრისტიანებს შორის, ქრისტესა და მისი მოციქულების მიერ.[243]

ირკვევა, რომ ტრადიცია და ჩვეულება (ადათი), თუ იგი სიკეთეა და სულს არ ვნებს, არ არის ცოდვა. ქრისტემ კანაში ქორწილში მიწვევის მიღებით დაამტკიცა, რომ ცხოვრებისეული სიამოვნებით სარგებლობა თავისთავად ცოდვას არ წარმოადგენს, თუ ამას სულისთვის მავნე შედეგები არ მოაქვს.[244]

---

[239] მაგალითისთვის შეადარეთ მარკოზის სახარების მე-7 თავის, მე-3, 5, 8, 9 და 13 მუხლები, 1. იხ. თანამედროვე ქართულ ენაზე თარგმნილი ბიბლია (საქართველოს საპატრიარქოს მიერ 2009 წელს გამოცემული „ბიბლიის“ ტექსტის მიხედვით), გამომც., „პალიტრა L“, თბ., 2013; 2. იხ. ბიბლია (ახალი ქვეყნიერების თარგმანი), ნიუ-იორკი, აშშ., 2006, 1330.

[240] *„რადგან ფარისეველნი და, საერთოდ, იუდეველნი ისე არ ჭამენ პურს, თუ საგულდაგულოდ არ დაიბანეს ხელი, წინაპართა გადმოცემისამებრ“* (მრკ. 7, 3).

[241] იხ. ბიბლია (ახალი ქვეყნიერების თარგმანი), ბრუკლინი, ნიუ-იორკი, აშშ. 2006, 1330.

[242] 1. იხ. ახალი აღთქმა თანამედროვე ქართულ ენაზე: *„...კაცნო, ძმანო, არც ხალხის მიმართ შემიცოდავს და არც მამაპაპეული ადათის წინაშე,...“* (საქ. 28, 17), <www.orthodoxy.ge/tserili/akhali_agtqma/saqme-28.htm>, (მოპოვების თარიღი: 01.02.2015); 2. იხ. ახალი აღთქმა წმ. გიორგი მთაწმინდელის რედაქციით: *„...კაცნო ძმანო, მე არაჲ ბოროტი ვქმენ ერისა მის თანა გინა სჯულისა მამულისა,...“* (საქ. 28, 17), <www.orthodoxy.ge/tserili/mtatsmindeli/akhali_agtqma.htm>, (მოპოვების თარიღი: 01.02.2015).

[243] ბიბლიაში უამრავი მუხლია, რომელიც პირდაპირ ამტკიცებს ხალხის მიერ შექმნილ იმ წესებს ტრადიციებს, ჩვეულებეს და ადათებს, რომლებიც ეწინააღმდეგება ღვთის მცნებებს. მაგ.: მათ. 7, 8; 15, 3, 6. ამის გამო, ტრადიციების ტრანსცენდენტულობაზე როდესაც ვსაუბრობთ, იგულისხმება მხოლოდ ის წესები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება ღვთის ნებას და მცნებებს.

[244] იხ. სახარების განმარტება, წიგნი II, (შემდგ. *ბ. ი. გლადკოვი*; მთრგმნ. *რ. ქებურია, ი. ქებურია* და *ქ. ჯანიაშვილი*) თბ., 2016, 39.

ჯ. ბარნსიადი შენიშნავს, რომ ჩვეულებითი სამართალი პრაქტიკირდებოდა ისრაელის პატრიარქებისა (აბრაამი, ისააკი და იაკობი) და მათი შთამომავლების მიერ,[245] ხოლო, ღმრთაებრივი კანონის საწინააღმდეგო არცერთ ჩვეულებას არა აქვს კანონის ძალა.[246]

გ. ნადარეიშვილის მიხედვით ზნე-ჩვეულება, წეს-ჩვეულება, ჩვეულება, ჯერი, რიგი, წესი, სჯული სინონუმებია და გამოხატავდნენ წინარე - სამართლის ცნებას, რომელიც არ იყო გამიჯნული რელიგიისგან.[247]

შესაბამისად, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ღმერთი საუბრობდა და ადგენდა რჯულს პატრიარქების პირით, და რომ, მათი (პატრიარქების) მოღვაწეობა თეოკრატიულ ხასიათის იყო, მაშინ ცხადია, რომ ისრაელის ტრადიციული, ჩვეულებითი და ადათობრივი სამართალი, ასევე ტრანსცენდენტული ბუნებისაა.

1.2.2.3.5 სინდისი, გონება, გული

ბიბლიაში მოცემულია მრავალი ტერმინი, რომელიც, მართალია, არ მიეკუთვნება წმინდა ნორმატიულ სფეროს, მაგრამ მოიაზრებს ნორმატიულ ასპექტსაც, მაგალითად, „სინდისი“, „გონება“ და „გული“. ისინი ადამიანის შინაგან, ბუნებრივ და დაუწერელ რჯულს, კანონს და მცნებასაც გულისმობენ.

საყურადღებოა, რომ „*აკ. შანიძემ* მიაქცია პირველად ყურადღება, რომ სინდისის ცნების გამოსახატავად გამოიყენებოდა „გონება“: „სიქადული ესე არს წამება გონებისა ჩუენისა“ (2 კორ. 11,12), „ვმსახურებ წმიდა გონებითა“ (2 ტიმ. 13), „გონება გაქვდინ კეთილი“ (პეტრ. 3, 16), „თანამოწმებითა ჩემდა გონებისა ჩემისაითა“ (რომ. 8, 1). დასახელებულ მაგალითებში მართლაც გონება სინდისის მნიშვნელობითაა ნახსენები და ნიშნავს ადამიანის სამართლიანი განსჯის უნარს.“[248]

იოანე დამასკელი ამბობს, რომ „ჩემი გონების რჯული ანუ სინდისი შეტკბობილია ღვთის რჯულთან ანუ მცნებასთან ... .“[249]

სიტყვების „სინდისი“, „გონება“ და „გული“-ს ტოლმნიშვნელობაზე, ასევე საუბარია ბიბლიის შემდეგ მუხლებშიც:

---

[245] იხ. *Burnside J.*, God, Justice and Society, (Aspects of law and legality in the Bible), Oxford, UK, 2011, Introduction, XXV, 25.

[246] იხ. *პეტროზილო პ.*, დასახ. ნაშრ., 385.

[247] იხ. *გიორგი ნადარეიშვილი*, მორალი, როგორც ძველი ქართული სამართლის საფუძველი, ჟურნალი „მაცნე“, სამართლის სერია, №1, 1998, 98.

[248] *აკაკი შანიძე*, ცოტა რამ ქართული ენის ისტორიიდან (ნასესხები სინდისის შესახებ), ლიტერატურა და ხელოვნება, №23, 12, VI, 1949, ციტირებულია სადისერტაციო ნაშრომიდან: *დოგორჯგინიძე ნ.*, ფსალმუნთა გამოკრებული თარგმანება და ძველი ქართული ლინგვისტური აზროვნების საკითხები (სადისერტაციო ნაშრომი), თბ., 1998, 135.

[249] *იოანე დამასკელი*, დასახ, ნაშრ., 276.

„...ჩემს რჯულს მათ გონებაში, და მათ გულებზე დავაწერ მას..., ... ჩავდებ ჩემს რჯულს მათ გულებში და მათ გონებაში ჩავწერ.“ (ებრ. 8, 10; 10, 16).[250]

დაბოლოს, აუცილებელია აღინიშნოს, რომ „არც გული, არც გონება და არც სინდისია ადამიანის მსაჯული, ეს ღმერთია, რომელიც ადამიანს ესაუბრება.“[251]

1.2.2.3.6 სიტყვა

წმინდა არანორმატიული ხასიათის ტერმინთა ჩამონათვალს აუცილებელია ასევე დაემატოს ტერმინი „სიტყვა“, რადგან: 1) „სიტყვა“ ზოგჯერ წარმოგვიდგება ისეთი ნორმატიული ხასიათის ტერმინების სინონიმურ ცნებად, როგორც არის „კანონი“,[252] „აღთქმა“,[253] „განაჩენი“,[254] „წესი“, „ანდერძი“, „სამართალი“ და „მცნება“ [255] და, რაც ყველაზე მთავარია 2) „სიტყვა“ არის თავად ღმერთი, ქრისტე,[256] მეფე,[257] მეფეთა მეფე და უფალთა უფალი.[258] ღმერთის ყოველი სიტყვა კი, არის წესი;[259] 3) ღმერთით, ანუ „სიტყვით“ დგინდება, როგორც ყველა პირველი ბუნების კანონი, ასევე პირველქმნილი

---

[250] დამატებით იხილეთ: „*რჯული მისი ღმერთისა მის გულშია, ... ; ..., ღმერთო, და რჯული შენი ჩემს გულშია*“ (ფსალმ. 36, 31; 39, 9); „... და ხორცის გულს მივცემ, რათა ჩემს წესებზე იარონ, ჩემი რჯული დაიცვან და შეასრულონ... .“ (ეზეკ 19-20); „ჩემს სულს ჩაგიდგამთ შიგნით და ისეთებს გაგხდით, რომ ჩემს წესებზე იაროთ და ჩემი სამართალი აღასრულოთ“ (ეზეკ. 36, 27);“ ... წიაღში ჩავუდებ მათ ჩემს რჯულს და გულზე დავაწერ...“ (ეირ. 31, 32).

[251] *გაქრაძე შ.*, სინდისის ფენომენი ძველბერძნულ ლიტერატურაში, (დისერტაცია), აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი., 2014, 12.

[252] იხ.: 1. „*უთხრა უფალმა მოსეს: ჩაიწერე ეს სიტყვები, რადგან ამ სიტყვებით გიდებთ აღთქმას შენ და ისრაელს. ... დაწერა ფიქალებზე აღთქმის სიტყვები, ათი სიტყვა.*“ (გამ. 34, 27-28); 2. „აღთქმის სიტყვები“, იგივე „ათი სიტყვა” ნიშნავს ათ მცნებას, ანუ კანონს, იხ.: ა. პ. ლოპუხინ, *ბიბლიის განმარტებანი* II, (გამომც. რედ. დეკ. ზაქარია ძინძიბაძე; მთრგმნ. *თინათინ მეტრეველი*), საგამომცემლო კომპიუტერული ცენტრი „დარასი“, 2000, 103.

[253] „*ამიერიდან თუ შეისმენთ ჩემს სიტყვას და დაიცავთ ჩემს აღთქმას, ...* “ (გამ. 19. 5).

[254] „*განაჩენი, სიტყვა უფლისა ისრაელისადმი მალაქიას პირით*“ (მალ. 1.1).

[255] „ *... უფლისა ირწმუნე დღეს, რომ შენი ღმერთია იგი, რომ ივლი მის გზაზე, დაიცავ მის წესებს, ანდერძებს და სამართალს, გაიგონებ მის სიტყვას. უფალმა გაღიარა დღეს თავის რჩეულ ერად, როგორც უთქვამს შენთვის, რომ იცავდე მის მცნებებს, ...*” (რჯლ. 26, 16-19).

[256] „*დასაბამიდან იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან და ღმერთი იყო სიტყვა*“ (იოან. 1,1), „*სიტყვა ხორცად იქცა და დაემკვიდრა ჩვენს შორის, მადლითა და ჭეშმარიტებით სავსე. და ვიხილეთ დიდება მისი, დიდება მხოლოდშობილისა მამის მიერ*”, (იოან. 1, 14).

[257] „თვალები ცეცხლის ალს მიუგავდა, მრავალი გვირგვინი ედგა თავზე და ზედ ეწერა სახელი, რომელიც არავინ იცის მის გარდა. სისხლით ნაღები სამოსით იყო მოსილი, და სახელი მისი - ღვთისა სიტყვა“ (გამ. 19, 12-13).

[258] „*წმიდად და უბიწოდ დაიმარხე მცნება ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მოსვლამდე, რომელსაც თავის დროს მოგვივლენს ერთადერთი ნეტარი მბრძანებელი, მეუფეთა მეუფე და უფლებათა უფალი*”, (1 ტიმ. 6, 14-15).

[259] 1. „*იმის სანაცვლოდ, რომ შეისმინა აბრაამმა, შენმა მამამ, ჩემი ხმისა, და დაიცვა ჩემი მცნებები და ჩემი ბრძანებები და ჩემი სამართალი და ჩემი სჯული*“ (დაბ. 26, 5); 2. „*მოვლენ უამრავი ხალხები და იტყვიან: წამო, ავიდეთ უფლის მთაზე და იაკობის ღვთის ტაძარში, რომ გვასწავლოს თავისი გზები და ვიაროთ მისი ბილიკებით, რადგან სიონიდან გამოდის რჯული და იერუსალიმიდან - უფლის სიტყვა*“ (მიქ. 4, 2).

ადამიანებისთვის დაწესებული დაუწერელი და დაწერილი ნორმათა ერთობლიობა, გამოხატული ისეთ ტერმინოლოგიური ერთეულებით, როგორიც არის: „კურთხევა“, „დალოცვა“, „გაფრთხილება“, „სინდისი“, „რჯული“ და ა.შ.

დაბოლოს, „სიტყვა“-ში ნორმატიული ასპექტის იდენტიფიცირება, თავის მხრივ, გვკარნახობს, ნორმატიული ასპექტით ასევე განვიხილოთ, „ბიბლია“, რადგან „წმინდა წერილი არის ღვთის სიტყვა“[260] და ერთიანობაში წარმოადგენს ნორმატიულ აქტს.[261]

1.2.2.3.7 შეჯამება

ბიბლია შეიცავს მრავალ ტერმინს და ცნებას, რომლებიც ნორმატიულად არეგულირებენ სოციალურ ურთიერთობებს, შეადგენენ დაუწერელ და წერილობით ნორმათა სისტემას, დადგენილს ვერბალური, არავერბალური, გარეგანი თუ შინაგანი ფორმით.

კონკრეტული წესი, შეიძლება გამოიხატებოდეს, როგორც ერთი, ასევე რამდენიმე ტერმინოლოგიური ერთეულით, მაგალითად: „კურთხევა“ და „დალოცვა“; „აღთქმა“, „ფიცი“ „ანდერძი“ და „ბრძანება“; „მცნება“, „წესი“, „სამართალი“ და „სჯული“.

ზოგიერთი მათგანი, წმინდა რელიგიური ხასიათისაა და კანონიკურ სამართალში გამოიყენება, მაგალითად, „კურთხევა“ და „რჯული“. ისეთი ტერმინები კი, როგორიც არის „ფიცი“, „ანდერძი“, „წესი“, „სამართალი“, "დადგენილება“ გამოიყენება, როგორც კანონიკურ, ასევე პოზიტიურ სამართლშიც.

ზოგიერთი ლექსიკური ერთეული, უფრო წერილობით რჯულს, პოზიტიური სამართლის სფეროს მიეკუთვნება, მაგალითად: „ბრძანება“, „ანდერძი“ და ა.შ., ხოლო „სინდისი“, „გული“ და „გონება“, ისეთი ერთეულებია, რომლებიც შინაგან რჯულსაც გამოხატავენ.

ტერმინი „სიტყვა“, სალიტერატურო მნიშვნელობასთან ერთად, არის მეტა-ნორმატიული ხასიათის ტერმინიც. იმის გარდა, რომ „სიტყვა“ არის წესი, და ხშირად გამოიყენება სხვადასხვა კონკრეტული წესის გამომხატველი ტერმინების („კანონი“, „აღთქმა“, „წესი“, „სამართალი“ და ასე შემდეგ) მაგივრად, მასში ასევე იგულისმება თავად ღმერთი, მეფე, მეფეთა მეფე, რომელიც „სიტყვით“ ადგენს, როგორც შინაგან, ანუ დაუწერელ, ასევე ხილულ, ანუ დაწერილ სამართალს.

1.2.2.4 საღმრთო ნორმათა დაწესების ასპექტები

1.2.2.4.1 მამა ღმერთი, ძე ღმერთი და სულიწმიდა

ყოვლადწმიდა სამების დოგმატი ქრისტიანობის ძირითადი დოგმატია, რომელიც თავის თავში აერთიანებს ორ ძირითად ჭეშმარიტებას: 1. ღმერთი ერთარსია, მაგრამ

[260] იხ. *იღუმენი დიონისე გვიმრაძე,* ნანდვილვე აღდგა უფალი (რედ. *თ. მამაცაშვილი*), დმანისი, 2012, 185.
[261] იხილეთ წინამდებარე დისერტაციის პარაგრაფი: 1.2.3 ბიბლია, როგორც სამართლის წყარო.

სამპიროვანი; 2. ჰიპოსტასებს პირადი თვისებები აქვთ: მამა უშობელია, ძე - მამისაგან შობილი, სულიწმიდა - მამისაგან გამომავალი.[262] მამა ღმერთი ძისა და სულისაგან განუყოფლად სამყაროს შემოქმედი და მისი მარადიული განმგებელია.[263] ის ფაქტი, რომ მამა, ძე და სულიწმიდა, ერთარსება და განუყოფელი სამებაა[264] და სამივეს ნება ერთმანეთს ემთხვევა (*წმ. მამა გაბრიელი*),[265] ნიშნავს იმას, რომ ბიბლიაში, იქ სადაც საუბარია ცალკე მამა ღმერთის, ძე ღმერთის, თუ სულიწმიდის მიერ ნორმების დაწესებაზე, იგულისხმება საღვთო ნორმების დაწესება. მაგალითისთვის, მოკლედ განვიხილოთ თითოეული ჰიპოსტასის მიერ დაუწერელი თუ წერილობითი ნორმების დაწესების პასაჟები.

მამა ღმერთი ადამს და ევას უწესებს ნორმებს, რომ ინაყოფიეროს, გამრავლდეს და ა.შ. (დაბ. 1. 28-30), აძლევს გაფრთხილებას (დაბ. 2, 16-17) და უნერგავს სინდისს. პირველი ცოდვის შემდეგ, მამა ღმერთი ასევე მათ განუსაზღვრავს ახალ ნორმებს (დაბ. 3, 16-19, 21, 22-23), ნოესთან დებს აღთქმას (დაბ. 7, 6), უწესებს კონკრეტულ ნორმებს კაცობრიობისა და ცოცხალ არსებათა გადასარჩენად (დაბ. 6, 13-22; 7, 1-4; 8, 15-17), აძლევს უფლებას ინაყოფიეროს, გამრავლდეს და ა.შ. (დაბ. 9, 1-7).

ნორმების დაწესება, ასევე კარგად არის აღწერილი იუდეის შტოს მამამთავრებთან. მაგალითად, ღმერთი დებს აღთქმას, ანდერძს, იძლევა ბრძანებებს, განსაზღვრავს მცნებებს და სჯულდებებს აბრაამთან, ისააკთან, იაკობთან (დაბ, 12, 2-3; დაბ. 26, 3-6; დაბ. 35, 9-12; გამ. 6, 8). მამა ღმერთის მიერ დაუწერელი და წერილობითი ნორმების დაწესების ყველაზე კლასიკურ ნიმუშად უნდა ჩაითვალოს, სინას მთაზე, მოსესთვის დადგენილი ათი მცნება (გამ. 20, 1-17; გამ. 24, 4, 7; 34, 1-35). საყურადღებოა ასევე, „გამოსვლის“ 21-35-ე თავები, „მეორე რჯულის“ 1-2, 4-5 და 11-21-ე თავებში აღწერილი მამა ღმერთის მიერ დაწესებული ნორმები, რომლებიც შეეხება ღვთისმსახურებას, მსხვეპლის შეწირვას, დღესასწაულებს და სამოქალაქო ცხოვრების სხვადასხვა სფეროებს.

ძე ღმერთი, ქრისტე არის მეფეთა მეფე და უფალთა უფალი (1 ტიმ. 6, 14-15), რომელიც უკვე ხილულად აღასრულებს მამა ღმერთის მიერ დაწესებულ ძველი აღთქმის რჯულს (მათ. 5, 17)[266] და მამა ღმერთის ნებას გადმოსცემს სულიწმინდის ძალით, მაგ.: *„...მამამ, რომელმაც მომავლინა, მომცა მე მცნება, რა ვთქვა, ან რა*

---

[262] იხ. *პროტოპრისვეტერი მიხეილ პომაზანსკი*, (2012), დასახ. ნაშრ., 39.

[263] იხ., იქვე, 53.

[264] იხ. მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიის მოძღვრების საფუძვლები, (შემდგ. *დ. შოვნაძე, ნ. ჩაჩიბაია*), თბ., 2103, 86.

[265] იხ. *ჯინორია მ.*, თქვენი სიცოცხლე ჩემი სიცოცხლეა (განახლებული და შევსებული გამოცემა), თბ., 2013, 104.

[266] ასევე იხილეთ: მათ. 5, 21-22; 27-28.

ვილაპარაკო. ....“ (ინ. 12, 49-50); „*უფლის სულია ჩემზე, ...*“ (ლუკ. 4:18); „ ... *სულით წმიდით მისცა მცნებანი მოციქულებს, რომლებიც ამოირჩია*“ (საქ. 1, 2).[267]

ახალი ნორმების დაწესების ეპიზოდები კი, აღწერილია, მაგალითად, მათეს სახარებაში, რაზეც უკვე იყო საუბარი.[268] დაბოლოს, როგორც აღინიშნა, რჯულის დასასრული ქრისტეა (რომ. 10, 4), რომელიც განკუთვნილია ყველა ხალხისთვის და მთელი ქვეყნისთვის (მათ. 28, 18-20; მარკ. 16, 15-16).

სულიწმიდა გვამცნობს ღვთის კანონებს და დადგენილებებს (გამ. 24, 3, 12; რჯლ. 4, 13-14; 6, 1; 10, 13; 17, 19; 31, 11-14; იესო. 8, 34; ნეემ. 9, 14; ზაქ. 1, 6) და აცხადებს ღვთის საიდუმლოებებს (1 კორ. 2, 10-12; ეფ. 3, 4-5).

წმ. მაქსიმე აღმსარებელი კაცობრიობასთან სულიწმიდის კავშირის შესახებ განმარტავს, სულიწმიდის სამგვარ გამოვლინებაზე. მეორე გამოვლინებაზე აღნიშნავს, რომ „სულიწმიდის გამოვლინება სახეზეა იმათ შორის, რომლებსაც რჯული აქვთ, რომლებიც რჯულს არიან შედგომილნი. შესაბამისად, სულიწმიდის მეორეგვარი გამოვლინება არის, ერთი მხრივ, რჯულმდებლობითი და მცნებათდამცველობითი, ანუ მამხილებლობითი მცნებათა დარღვევისათვის, მეორე მხრივ კი, - ქრისტესეულ საიდუმლოთა წინასწარმაუწყებლობითი და ქრისტესეულ საიდუმლოთა გამასხივოსნებლობითი.“[269]

1.2.2.4.2 საღვთო ნორმების დაწესება ანგელოზის მიერ

სიტყვა „ანგელოზი“ ზეციურ ძალთა საერთო სახელია.[270] იგი ნიშნავს „მაუწყებელს“ (ბერძნ. ἄγγελος) და ამ სიტყვით განისაზღვრება კაცობრიობის მიმართ მათი მსახურების შინაარსი.[271] ანგელოზები გვევლინებიან, როგორც ღვთის ნების მაუწყებელნი, რომლებიც წარმართავენ ადამიანებს და მათ გადარჩენას ემსახურებიან.[272] ანგელოზებს განწმენდილობა აქვთ სულიწმინდისაგან და წინასწარმეტყველებენ საღვთო მადლის მიერ. ისინი მზად არიან საღვთო ნების აღსასრულებლად და ბუნებისეული სისწრაფით მყისვე აღმოჩნდებიან ყველგან, სადაც კი საღვთო ნიშანი უბოძებს მათ.[273]

---

[267] ასევე იხილეთ: ინ. 5, 19, 30; 6, 38; 8, 28-29.

[268] მაგ.: მათე: 5, 22-24, 27-48; 6, 1-4, 6-8, 16-25; 31-34; 7, 1-24; 16, 24; 18, 8-10, 15-17, 21-22; 19, 16-19; 20, 25-28; 22, 34-40; 22, 25.

[269] *წმ. მაქსიმე აღმსარებელი*, სულიწმიდის სამგვარი გამოვლინების შესახებ კაცობრიობაში, სამეცნიერო საღვთისმეტყველო შრომები, II, თბილისის სასულიერო აკადემია, თბ., 2004, 77.

[270] იხ. მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიის მოძღვრების საფუძვლები, (შემდგ. *დ. შოვნაძე, ნ. ჩაჩიბაია*), თბ., 2103, 20.

[271] 1. იხ. საქართველოს იმედი, წიგნი 3, „ანგელოზები“, (შემდგ. *კ. კენკიშვილი, ს. თავაძე*), გამომც. „პალიტრა L“, თბ., 2012, 6; 2. იხ. *პროტოპრისვეტერი მიხეილ პომაზანსკი*, (2012), დასახ. ნაშრ., 67.

[272] იხ. *პროტოპრისვეტერი მიხეილ პომაზანსკი*, (2012), დასახ. ნაშრ., 74.

[273] იხ. *იოანე დამასკელი*, დასახ, ნაშრ., 73.

ღირსი იოანე დამასკელი გვასწავლის, რომ როდესაც „ანგელოზები ღვთის ნებით ეცხადებიან ღირსეულ ადამიანებს, ჩნდებიან არა ნამდვილი სახით, არამედ იმგვარად გარდასახულნი, რომ მათი დანახვა შეძლონ ხორციელმა არსებებმა[274] და ისე ელაპარაკება ადამიანს, თითქოსდა თავად ღმერთი ლაპარაკობდეს.“[275]

ანგელოზების სამყაროს და საქმიანობას, ყველაზე კარგად აღწერს *დიონისე არეოპაგელი* წიგნში „ზეციური იერარქიის შესახებ“. ირკვევა, რომ ანგელოზთა სამყარო შედგება სამ წოდებად, თითოეულში კი სამი დასია.[276] ანგელოზთა თითოეული დასი ღმერთის დავალებას ასრულებს ადამიანის სასიკეთოდ, მაგალითად:

საყდარნის მეშვეობით უპირატესად ვლინდება ღმრთის მართლმსაჯულება, რომელიც შეეწევა ქვეყნიურ მსაჯულებს, მეფეებს, მბრძანებლებს და მმართველებს სამართლიანი მსჯავრის აღსრულებაში;

უფლებანი შეეწევიან ღვთისაგან დადგენილ მიწიერ ხელისუფალთ ბრძნულ მართვა-გამგეობაში. ისინი ადამიანებს ჩააგონებენ თავის ვნებებზე, ცოდვებზე, ჩვევებზე, შეზღუდოს ხორცი და გასაქანი მისცეს სულს;

მთავრობანი მთავრობენ მთელ ხალხზე, ქალაქებზე, სამეფოებსა და ადამიანთა საზოგადოებაზე. მთავრობებს მათზე მინდობილი ხალხები მიჰყავთ უზენაესი კეთილი მიზნებისკენ, რომლებსაც მიუთითებს და წინასწარ დაუსახავს თავად უფალი. ისინი ადამიანებს, განსაკუთრებით კი მეფეებს და სხვა მბრძანებელთ, ჩააგონებენ ფიქრებს და განზრახვებს, რომლებიც ეხება ხალხთა კეთილდღეობას; შეაგონებენ, რომ სამსახურებრივი მოვალეობანი პირადი განდიდებისა და გამორჩენის მიზნით კი არა, უფლის სადიდებლად და მოყვასთა სასარგებლოდ აღასრულონ.[277]

---

[274] იხ. მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიის მოძღვრების საფუძვლები, (შემდგ. *დ. შოვნაძე, ნ. ჩაჩიბაია*), თბ., 2103, 19.

[275] „*გამოეცხადა უფლის ანგელოზი ცეცხლის ალად შუაგულ მაყვლოვანში.... და დაუძახა ღმერთმა შუაგულ მაყვლოვანიდან: მოსე! მოსე! მიუგო: აქა ვარ. ... .*“ (შდრ. გამ. 3, 2-7).

[276] პირველ წოდებაში: სერაფიმნი, ქერუბიმნი, საყდარნი; მეორეში: უფლებანი, ძალნი, ხელმწიფებანი და მესამეში: მთავრობანი, მთავარანგელოზნი და ანგელოზნი. აღნიშნული სამთა ერთობა კი გამოხატულებაა წმიდა სამებისა, სამიპოსტასიანი ღვთაების საიდუმლოსი, იხ.: 1. *კამკამიძე ი.*, მართლმადიდებლური ეკლესიის სწავლება ზეციურ ძალთა შესახებ, (რედ. *ზ. ქუთათელაძე*), თბ., 2004, 16; 2. საქართველოს იმედი, წიგნი 3, „ანგელოზები“ (შემდგ. *კ. კენკიშვილი, ს. თავაძე*), გამომც. „პალიტრა L“, თბ., 2012, 14; 3. მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიის მოძღვრების საფუძვლები (შემდგ. *დ. შოვნაძე, ნ. ჩაჩიბაია*), თბ., 2103, 18.

[277] ანგელოზების შესახებ დამატებით ინფორმაცია იხ.: 1. მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიის მოძღვრების საფუძვლები, (შემდგ. *დ. შოვნაძე, ნ. ჩაჩიბაია*), თბ., 2103, 19; 2. *კამკამიძე ი.*, მართლმადიდებლური ეკლესიის სწავლება ზეციურ ძალთა შესახებ, (რედ. *ზ. ქუთათელაძე*), თბ., 2004, 18-27.

წმინდა წერილში ზემოთჩამოთვლილი ცხრავე დასი გვხვდება.[278] ჩვენთვის, ყველაზე საინტერესო ასპექტია ის, რომ ღმერთი ანგელოზების მეშვეობით ადამიანებს უწესებს ასევე ღვთის რჯულს და აღასრულებს სასჯელებს, მაგალითად:

> „კი მაგრამ, რაღაა რჯული? ის მოცემულ ... და გადმოცემულ იქნა ანგელოზთა მიერ, შუამავლის ხელით“. (გალ. 3, 19); „...სინას მთაზე მასთან მოსაუბრე ანგელოზსა და ჩვენს მამებთან ერთად...“ (საქ. 7, 38); „თქვენ, რომელთაც მიიღეთ რჯული ანგელოზთა ბრძანებით...“ (საქ. 7, 53); „შევიდა ორი ანგელოზი სოდომში ... .; უთხრეს იმ კაცებმა ლოტს: უნდა გავანადგუროთ ეს ადგილი, ..., მოგვავლინა უფალმა მის გასანადგურებლად.“ (დაბ. 19, 1-14); „გაიწოდა ხელი ანგელოზმა იერუსალიმისკენ მის შესამუსვრელად, მაგრამ უფალმა აკმარა უბედურება და უთხრა ხალხის შემმუსვრელ ანგელოზს: კმარა! ახლა უკან წაიღე ხელი. ორნა იებუსეველის კალოსთან იდგა უფლის ანგელოზი“ (2 მეფ. 14, 16).

გარდა ამისა, ანგელოზი ეჩვენა ღირს პახუმი დიდს და გამოუცხადა მას სამონასტრო ცხოვრების წესდება.[279] ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ანგელოზები ადამიანებს ღვთის ბრძანებით ეცხადებოდნენ, და თუ ხილული სახით იყვნენ და ადამინის ენით ლაპარაკებოდნენ, ამაში მოქმედებდა მათი წარმგზავნელი ღმერთის ყოვლისშემძლე ძალა, და არა ანგელოზების ძალა ან ძალაუფლება.[280]

1.2.2.4.3 საღვთო ნორმების დაწესება ადამიანის მიერ

1. *სინდისი-ადამიანის შინაგანი ნორმა*: როგორც აღინიშნა, სინდისი არის ღმერთის მიერ პირველქმნილ ადამიანების გულებში გამოსახული პირველი საღვთო შინაგანი რჯული, რომელსაც ყველა ადამიანი მშობლებისაგან ვღებულობთ.[281] მასზე საუბარია, როგორც ძველ,[282] ასევე ახალ აღთქმაში.[283]

წმ. ნიკოდიმოს მთაწმინდელი, სინდისს ღმერთისაგან ადამიანისთვის მიცემულ ბუნებრივ კანონს,[284] ხოლო *წმ. გაბრიელ ბერი* პატარა ღმერთს უწოდებს.[285] ბიბლიაში

---

[278] ქერუბიმნი: დაბ 3; ფსალმ. 70 და 98; იეზ. 1 და 10; სერაფიმები: ეს. 6; ძალნი: ეფეს. 1; რომ. 8; საყდარნი, მთავრობანი, ხელმწიფებანი, უფლებანი: კოლ. 1. ეფეს. 1 და 3; მთავარანგელოზები: 1. თეს. 4 და იუდა – მე-9 მუხლი; ანგელოზები: 1 პეტრე – 3 და რომ. 8 და სხვა, იხ. საქართველოს იმედი, წიგნი 3, „ანგელოზები“, (შემდგ. *კ. კენკიშვილი, ს. თავაძე*), გამომც. „პალიტრა L“, თბ., 2012, 15.

[279] იხ. *კამკამიძე ი.*, მართლმადიდებლური ეკლესიის სწავლება ზეციურ ძალთა შესახებ, (რედ. *ზ. ქუთათელაძე*), თბ., 2004, 52.

[280] იხ.სახარების განმარტება, წიგნი I, (შემდგნ. *ბ. ი. გლადკოვი*; მთრგმნ. *რ. ქებურია, ი. ქებურია* და *ქ. ჯანიაშვილი*) თბ., 2016, 128.

[281] იხილეთ წინამდებარე დისერტაციის ქვე-პარაგრაფი: 1.1.1.1 სახელმწიფო და სამართალი პირველქმნილ ადამიანთა საზოგადოებაში.

[282] იხ.: 1 მეფ. 24. 5; 25. 31; 2 მეფ. 24. 10.

[283] იობ. 27. 6; საქ. 23. 1; 24. 16; რომ. 2. 15; 9. 1; 13. 5; 1. კორ. 4. 4; 8. 10; 10. 25, 27, 28, 29; 2. კორ. 1. 12; 1. ტიმ. 1. 15, 19; 3. 9; 2. ტიმ. 1. 3; ებრ. 13. 18; 1. პეტრ. 3. 16, 21.

[284] იხ.*წმ. ნიკოდიმოს მთაწმინდელი*, დასახ. ნაშრ., 158.

ვკითხულობთ, რომ ღმერთი ყველაშია დავანებული (ეფ. 4,6). „გულში შემოსული უფალი გვასწავლის დოგმებს, კანონებს გვიწერს გულში, სადაც აღიბეჭდება მცნებები“ - აღნიშნავს *მიტრ. ვლახოსი.*[286]

სინდისს ადარებენ სამსჯავროს, რომელშიც ჩვეულებრივ კანონები ინახება, განიმარტება მათი წესები, განისჯება ადამიანთა საქციელი, ჯილდოვდება სიკეთე და ისჯება ბოროტება. ამ თანხვედრაში მხოლოდ ისაა განსხვავება, რომ სინდისი ერთია და თავად აწარმოებს ყველა მოქმედებას, რომლებიც ჩვეულებრივ, სასამართლოში მრავალ კერძო აღმასრულებელთა შორისაა დაყოფილი: იგია კანონმდებელიც, მოსამართლეც, მსაჯულიცა და აღმასრულებელიც.[287]

წმ. ალექსი ბერი, სინდისს უწოდებს უწმინდესს სასამართლოს, ჭეშმარიტ მსაჯულს, და ნათელ მოძღვარს, რომელიც კაცის ერთგული და ძვირფასი მოყვარეა, რომელსაც არ შეუძლია დაითმინოს კაცის ბოროტება და დევნის ამ უკანასკნელს.[288]

წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის მიხედვით, სინდისი ჭეშმარიტად შინაური სასამართლოა. დამნაშავეს შეუძლია, ზოგჯერ ადამიანთა სამსჯავრო აიცილოს, მაგრამ იგი ვერასოდეს გაექცევა სინდისის სასამართლოს.[289]

კანონიკური სამართლის სპეციალისტი *პ. ბუმისი* აღნიშნავს, რომ ბუნებითი სჯული (სამართალი) თანდაყოლილია ყოველი ადამიანისათვის, კრებულია (სიმრავლეა) ზნეობრივი დადგენილებებისა, რომლებიც ლოგიკური სინდისისაგან (შეგნებისაგან) მომდინარეობენ და წინ უსწრებს ყველა სხვა სამართალს.[290]

წმ. ილია მართალი, სინდისს სამართლებრივ-მორალურ კატეგორიად განიხილავს,[291] ხოლო თეოლოგი *თ. ბუაძე* განმარტავს, რომ ადამიანი სინდისის და გონების კარნახით თვითონაც უწესებს თავის თავს კანონებს, რადგან იგი ავტონომიური არსებაა.[292]

საყურადღებოა, რომ სამართლის თეორიაში, ადამიანის სინდისი დახასიათებულია, როგორც უმაღლესი მორალური ინსტანცია, რომელიც, ისევე როგორც

---

[285] იხ. *მშვენიერაძე დ.*, ღირსი მამა გაბრიელი აღმსარებელი-სალოსი, ორი განზომილება (რედ. *ლ. სიხარულიძე*), თბ., 2012, 213.

[286] *მიტრ. იეროთეოს ვლახოსი*, მართლმადიდებლური ფსიქოთერაპია, (მეორე გამოცემა, თარგმნა *ე. დუღაშვილმა*; რედ. მღვდელი *ზ. ცხოვრებაძე*), გამომც., „ახალი ივერიონი”, თბ., 2010, 170.

[287] იხ. სულიერი მდელო (შემდგ. *ნ. თარაშვილი, ხ. რაქვიაშვილი, თ. ასათიანი*; რედ. *თ. გოგოჩაშვილი*), გამომც. შპს „მეგობრობა“ თბ., 2014, 823-824.

[288] იხ. ღვთიური სიბრძნის მართლმადიდებლური ენციკლოპედია, (შემდგ. *გ.გ. კალანდაძე*), თბ., 2007, 386.

[289] იხ., იქვე, 387.

[290] იხ. *ბუმისი პ. ი.*, კანონიკური სამართალი (მეორე გადამუშავებული გამოცემა; ბერძნულიდან თარგმნა *ი. გარაყანიძემ*), ათენი-თბ., 2010, 10.

[291] იხ. *აბაშმაძე ვ.*, ილია ჭავჭავაძე - სახელმწიფოსა და სამართლის პრობლემები, გამომც. „განათლება“, თბ., 1987, 262.

[292] იხ. *ბუაძე თ.*, ადამიანის ადგილი სამყაროში, *რელიგიურ-საგანმანათლებლო ჟურნალი*, „გული გონიერი”, №12, თბ., 2015, 9.

სამართალი, ნორმატიული ჯერარსული წესრიგია, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია არა მარტო გარეგნული ქცევა, არამედ ამ ქცევის განმსაზღვრელი მოტივებიც.[293]

დაბოლოს, ალბათ უპრიანია აღინიშნოს, რომ განკითხვის დღეს წარმართები განიკითხებიან მათი სინდისის (რომ. 2, 14, 15), იუდეველები მოსეს (რომ. 2, 12), ხოლო ქრისტიანები სახარების რჯულით (იოან. 12, 48; იაკ. 2, 12; რომ. 2, 16).[294] სინდისით განკითხვაში არ იგულისხმება, რომ ცხონდებიან, არამედ იმას, რომ ვერავინ გაექცევა ღვთის სამართალს.[295]

ამგვარად, სინდისი ყველა ადამიანის დაუწერელი საღვთო, იგივე ბუნებითი რჯულია. იგი ადამიანს შინაგანად კარნახობს ქცევის მართებულობაზე და ამავდროულად, ამხელს ჩადენილ ცოდვაში. ამიტომაც არის, რომ სახარება გვეუბნება: „*იყავ კეთილად მცნობელი წინამოსაჯულისა მის შენისა*“ (მათ. 5. 25). ცოდვა და მისი ნორმატიული ასპექტი კი, უწინარეს ყოვლისა გულისხმობს ჯერ, შინაგანი სჯულის, ანუ „სინდისის სამართლის“, ხოლო შემდეგ გარეგანი, დაწერილი საღვთო სჯულის დარღვევას. შინაგანი სჯულის დარღვევა უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ სინდისი, ადამიანის ბუნებითი სჯული, წინ უსწრებს ყველა სხვა სამართალს.

2. *სულიწმინდა და ადამიანი*: ქრისტიანული მოძღვრება, სულიწმიდის მატარებელ ადამიანებს უწოდებს წმიდანებს.[296] *არქ. გ. ბასილაძის* სწავლებიდან ირკვევა, რომ წმიდანთა სისტემა - ეს სულიერი სახელმწიფოა, თავისი იერარქიით, თავისი ჯარით, სადაც ყველას თავისი დანიშნულება და ადგილი აქვს, და რომელსაც ებრძვის ბოროტის სულიერი სახელმწიფოს სისტემა. ყველა ქრისტიანს კი, ევალება გახდეს ამ კეთილი სახელმწიფოს მოქალაქე და გააძლიეროს ეს სახელმწიფო.[297] წმიდანები ღმერთამდე გაღწევით, წმიდანთა სისტემის წევრები ხდებიან და იქ ყველას თავისი დავალება და ამოცანა აქვს, მოქმედებენ რა მსოფლიოს გადასარჩენად.[298]

მართლმადიდებლური საფუძვლებიდან ირკვევა, რომ წმინდანებს, ამქვეყნად გაცხადებული მოღვაწეობისა და სათნოებების მიხედვით, სხვადასხვა სახელწოდებები ენიჭებათ, მაგალითად: პატრიარქნი, მამამთავარნი, წინასწარმეტყველნი, მოციქულნი, მოციქულთანასწორნი, წმ. მღვდელმთავარნი (ეპისკოპოსნი), წმინდა მოწამენი, აღმსარებელნი, წმ. უვერცხლო მკურნალნი, ღირსნი მამანი და დედანი, ნეტარნი, წმ. მართალნი, სალოსნი,[299] ღმერთშემოსილი მამები, ღვთისმოსავნი[300] და ა.შ.

---

[293] იხ. *ხუბუა გ.*, სამართლის თეორია, თბ., 2015, 79-80, (პ. 203, 204).

[294] იხ. ბიბლიის ლექსიკონი (შემდგ. *ბ. გოეცე*), თბ., 2006, 385.

[295] იხ. *დეკ. კონსტანტინე ჯინჭარაძე*, ჭეშმარიტი სარწმუნოება (საქართველოს საპატრიარქო რადიო „ივერიის“ ეთერში გადაცემული ქადაგებების მიხედვით; რედ. *დ.თ. მორგოშია*), თბ., 2015, 81.

[296] იხ. მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიის მოძღვრების საფუძვლები, (შემდგ. *დ. შოვნაძე, ნ. ჩაჩიბაია*), თბ., 2013, 75.

[297] იხ. *ჩაგუნავა ა., ვეკუა ი.*, თავნი და ბოლონი იტყვიან გიორგი (რედ. *მ. ფარცვანია*), თბ. 2009, 111.

[298] იხ., იქვე, 113.

[299] იხ. მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიის მოძღვრების საფუძვლები, (შემდგ. *დ. შოვნაძე, ნ. ჩაჩიბაია*), თბ., 2103, 77.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სახელი „ქრისტე“ ნიშნავს ცხებულს. ქრისტეებს კი უწოდებდნენ ძველ აღთქმაში მათ, ვისაც მსახურებად დადგენის დროს სცხებდნენ მირონს: მეფეებს, მღვდელმთავრებს და წინასწარმეტყველებს; მირონის ცხებით ეძლეოდათ განსაკუთრებული ნიჭი სულიწმიდისა.[301]

ახლა კი, ძალიან მოკლედ განვიხილოთ, ადამიანში სულიწმიდის ძალით და ადამიანის მიერ საღვთო ნორმების დაწესების რამდენიმე ეპიზოდი მეფეების, წინასწარმეტყველებისა და მოციქულებისა და საეკლესიო მამების მაგალითზე.

ა. პირველ არაფორმალურ მეფე ადამს, თავის თავში ღმერთის სული ჰქონდა შეძენილი,[302] რომელიც ეწევა ერთგვარ ნორმაშემოქმედებით საქმიანობას, როდესაც უფლის ნებით სახელებს არქმევს ღმერთის მიერ მიგვრილ ყოველ სულდგმულს (დაბ. 1, 19) და მის ცოლს (დაბ. 2. 23; 3. 20).

იგივე შეიძლება ითქვას სხვა არაფორმალურ მეფეებზეც. იგულისხმება მსაჯული, მამამთავარი, უხუცესი, პატრიარქი. ისინი იყვნენ ღვთისაგან გამორჩეულნი, ღვთის ნების გამცხადებელნი, რომლებიც ხალხში ზნეობრივი კანონების დაცვისათვის იღწვოდნენ და იცავდნენ ჭეშმარიტ სარწმუნოებას,[303] არჩევდნენ სადავო საქმეებს, სჯიდნენ დამნაშავეს, მართალს იფარავდნენ და ა.შ.[304]

არაფორმალური მეფის მიერ საღვთო ნორმის დაწესების კლასიკურ მაგალითად კი, უნდა ჩავთვალოთ, *წმ. იოანე ოქროპირის* სიტყვებით თუ ვიტყვით, „*სულიწმიდით შთაგონებული ნეტარი მოსეს*“[305] საქმიანობა: „როცა რაიმე საქმე გაუჩნდებათ, ჩემთან მოდიან და მეც განვსჯი მათ სამართალს, ვუცხადებ ღვთის წესებსა და რჯულს“ (გამ. 18. 16).

არაფორმალური მეფეები, ასევე წინასწარმეტყველებადაც იწოდებოდნენ.[306] გარდა ამისა, მსაჯულებიც იწოდებიან ღვთისაგან გამორჩეული წინასწარმეტყველებად.

---

[300] იხ. *ბერძენიშვილი ლ.*, ქრისტეს გზა, ძველი აღთქმა, წიგნი 2, თბ, 2005, 105.

[301] იხ. საქართველოს იმედი, წიგნი 1 (შემდგ. *კ. კენკიშვილი, ს. თავაძე*), გამომც. „პალიტრა L„ თბ., 2012, 59.

[302] იხ. მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიის მოძღვრების საფუძვლები (შემდგ. *დ. შოვნაძე, ნ. ჩაჩიბაია*), თბ., 2103, 40.

[303] იხ., იქვე, 77.

[304] იხილეთ წინამდებარე დისერტაციის ქვე-პარაგრაფი: 1.1.1.2.1. ძევლი ისრაელი.

[305] *წმინდა იოანე ოქროპირი*, ჰომილიები, II ტომი, შესაქმის განმარტება, მეორე ნაწილი (რედ. *თ. გოგოჩაშვილი*), გამომც. „ალილო“, თბ., 2015, 6.

[306] მაგალითად, არაფორმალურ მეფე აბრაამზე, როგორც წინასწარმეტყველზე ვკითხულობთ დაბადების წიგნში (დაბ. 20, 7). სხვა წყაროებში კი აბელზე, ენუქზე, ნოეზე, აბრაამზე, ისააკზე, იაკობსა და მოსეზე ვკითხულობთ, რომ სულიწმიდის მადლი ანათლებდა ყველა მართალსა და წინასწარმეტყველს, იხ.: 1. საქართველოს იმედი, წიგნი 1 (შემდგ. *კ. კენკიშვილი, ს. თავაძე*), გამომც. „პალიტრა L“, თბ., 2012, 122; 2. *პროტოპრისვეტერი მიხეილ პომაზანსკი*, (2012), დასახ. ნაშრ., 177.

როგორც ითქვა, ისინი ხალხს უცხადებდნენ ღვთის ნებას და საჭიროების შემთხვევაში სასამართლო, პოლიტიკურ და სამხედრო ფუნქციასაც ტვირთულობდნენ.[307]

მეფის ფორმალურ მმართველობასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ ისრაელის ხალხში ღმერთი ირჩევს (რჯლ. 17, 15; 1 ნეშტ. 28, 4-6), დაადგენს (რომ. 13, 1) და სცხებს მეფეებს (1 მეფ. 16, 12; 2 მეფ. 12, 7). მეფეები, ღვთის ნებით დგინდებიან მეფეებად, მისი ნების გამტარებლები არიან (1. მეფ. 12, 13; დან. 2, 21) და იცავენ უფლის, ღმერთის რჯულს (რჯლ. 17, 19-20),[308] მათი სიტყვა კი, კანონი (ეკლ. 8, 3) და ხელმწიფებაა (ეკლ. 8, 4).

ბ. წინასწარმეტყველები ძველი აღთქმის ჟამს მიეკუთვნებიან და ცხოვრობდნენ იესო ქრისტეს შობამდე, გადასცემდნენ ხალხს უფლის ნებას, ასწავლიდნენ ღვთის სჯულს.[309]

ძველი აღთქმის წინასწარმეტყველთა დიდი ნაწილი, როგორებიც იყვნენ ელია და ელისე, თავიანთ მსახურებისას იფარგლებოდნენ ზეპირი, სიტყვიერი ქადაგებებით. მხოლოდ 16-მა წინასწარმეტყველმა დატოვა წიგნი.[310] ახალ აღთქმაში კი, მხოლოდ ერთი საწინასწარმეტყველო წიგნია, - იოანეს გამოცხადება. უფლის მართლმსაჯულება წინასწარმეტყველებს, სიმართლის სადარაჯოზე დაადგენდა, რათა ემხილებინათ მანკიერება და უკანონობა.[311]

ისრაელის სამეფოში, წინასწარმეტყველების ამოცანა იყო თეოკრატიის (საღვთო ხელმწიფება) მხარდაჭერა. ისინი ხელმძღვანელობდნენ მეფეებისთვის ღვთის ნების უწყებით.[312]

საწინასწარმეტყველო წიგნიდან ვგებულობთ, რომ „წინასწარმეტყველი, ღვთის სიტყვებს (ინფორმაციას) გარდაქმნის „თარგმნის" ხალხისათვის გასაგებ ენაზე და ეს სიტყვები უნდა იყოს საზოგადოების (ისრაელის) სამოქმედო გეგმა გარკვეულ პოლიტიკურ-სოციალურ გარემოში და, რა თქმა უნდა, - მომავალშიც."[313]

---

[307] იხ. *ქშუტაშვილი ა.*, ეკლესია და მონარქია: თეოლოგიური ანალიზი, გამოქვეყნებულია ჟურნალში „ფილოსოფიურ-თეოლოგიური მიმომხილველი", ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2011, № I, 125.

[308] მეორე მეფეთა-ს წიგნში ვკითხულობთ დავით მეფსალმუნის სიტყვებს: „*... უფლის სული მეტყველებს ჩემით და ენაზე მაქვს მისი სიტყვა*" (2 მეფ. 23, 3); სოლომონს კი უანდერძებს: „*აღუსრულე ვალი უფალს, შენს ღმერთს: იარე მის გზაზე, დაიცავი მისი წესები, მისი მცნებანი, მისი სამართალი, მისი მოწმობანი, როგორც სწერია მოსეს რჯულში, რომ ხელი მოგემართოს ყველაფერში, რასაც გააკეთებ, და ყველგან, საითკენაც პირს მიაბრუნებ*" (3 მეფ. 2, 3); ისრაელის ხალხში ფორმალური მეფის ინსტიტუტის საინტერესო ასპექტს წარმოადგენს ის, რომ მეფე დავითის შემდეგ, მეფობა გახდება მემკვიდრეობითი (2 მეფ. 7, 12-16. ფსალმ. 88, 36-38) და მეფე კურთხეულია ღმერთის მიერ (4 მეფ. 11, 12; 2 ნშტ. 23, 11; ფსალმ. 88, 21).

[309] იხ. *ბერძენიშვილი ლ.*, ქრისტეს გზა, ძველი აღთქმა, წიგნი 2, თბ, 2005, 125.

[310] დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. ძველი აღთქმის საწინასწარმეტყველო წიგნთა განმარტებები, (შემდგნ. *აკ. მეგრელიშვილი*), თბ., 2011, 8.

[311] იხ., იქვე, 5.

[312] იხ., იქვე, 6.

[313] იქვე, 26-27.

გ. *წმ. იოანე ოქროპირის* ჰომილიებში ვკითხულობთ, რომ ქრისტემ თავისი მცნებები თორმეტი მოციქულის სულებში სულიწმიდით ჩაწერა.[314]

წყაროების ანალიზით ირკვევა, რომ „მოციქულები, წინასწარმეტყველების მსგავსად, ღმერთის სახელით და ღმერთისაგან ლაპარაკობდნენ, თითქოსდა თავად ღმერთი ლაპარაკობდა (2 კორ. 2, 17, 2 კორ. 5, 20). სულიწმიდის წყალობით, მოციქულები ღირსნი გახდნენ ექადაგათ, ღვთის სიტყვა გაევრცელებინათ, გადაეცათ ღვთის მადლი.“[315] „სახარების საქადაგებლად ისინი თავდაპირველად გაიგზავნენ ჯერ იუდეველებთან, ხოლო შემდგომ ყველა სხვა ხალხებთან (მათ. 10, 1, 7).“[316] მოციქულებს, ასევე მიეცათ ხელმწიფება საეკლესიო დადგენილებების დასადგენად (საქ. 15, 23-29).[317] მოციქულებმა ქრისტეს კურთხევით, წმიდა სამების სახელითა და რჯულის ქადაგებით მსოფლიოს მრავალ კუთხეში დააარსეს ეკლესები, დაადგინეს ეპისკოპოსები, ღვთისმსახურები და შექმნეს საეკლესიო სამართლის პირველი ძეგლები.[318] როდესაც მოციქულებს დასჭირდათ, მიემართათ უზენაესი ავტორიტეტული ხმისა და სამსჯავროსთვის, ისინი შეიკრიბნენ იერუსალიმში და ამ კრების დადგენილებანი მთელი ეკლესიისთვის სავალდებულოდ აღიარეს (საქ. 15; 16, 4). ეს იქცა, მაგალითად, იმისა, რომ ეკლესიის უმნიშვნელოვანესი საკითხები ყოველთვის ეკლესიის კრებას უნდა გადაეწყვიტა.[319]

ეკლესიის უზენაესი სახელისუფლო ორგანო და ავტორიტეტი კი არის ეპისკოპოსთა კრება: ადგილობრივ ეკლესიაში იგი ადგილობრივი ეპისკოპოსებისაგან დგება, ხოლო მსოფლიო საეკლესიო კრებებში მთელი ეკლესიის ეპისკოპოსები მონაწილეობენ.[320]

მსოფლიოს საეკლესიო კრების მამებს ენიჭებოდა სულიწმიდის მადლი, რათა მათ სწორად ჩამოეყალიბებინათ ქრისტიანული ჭეშმარიტებები.[321] მსოფლიო საეკლესიო კრება, არის ერთადერთი უმაღლესი ავტორიტეტის მქონე ორგანო მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიისა სარწმუნოებრივ და საეკლესიო-საკანონმდებლო საკითხებში, რადგან მასზე დადგენილი კანონები შეგონებულნი არიან ღმერთის მიერ

---

[314] იხ. *წმინდა იოანე ოქროპირი*, ჰომილიები, III ტომი (რედ. *თ. გოგოჩაშვილი*), გამომც. „ალილო“, თბ., 2015, 63.

[315] *ბერძენიშვილი ლ.*, ქრისტეს გზა, ლიტურგია და კატეხიზმო, წიგნი 4, გამომც. „მერიდიანი“, თბ, 2011, 207.

[316] ბიბლიის ლექსიკონი (შემდგ. *ბ. გოეცე*), თბ., 2006, 295.

[317] იხ., იქვე, 386.

[318] იხ. მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიის მოძღვრების საფუძვლები, (შემდგ. *დ. შოვნაძე, ნ. ჩაჩიბაია*), თბ., 2103, 338.

[319] იხ. *პროტოპრისვეტერი მიხეილ პომაზანსკი*, (2012), დასახ. ნაშრ., 174.

[320] იხ., იქვე, 174.

[321] იხ. *ლაზარე ბერძენიშვილი*, ქრისტეს გზა, ლიტურგია და კატეხიზმო, წიგნი 4, გამომც. „მერიდიანი“, თბ, 2011, 207-208.

და გამოხატავენ ღვთის ნებას.[322] „ეკლესიის წმიდა მამათა ნაწერებს მივმართავთ, როგორც სახელმძღვანელოს, რათა გავერკვეთ სარწმუნოების საკითხებში, სწორად გავიგოთ წმიდა წერილი და დავიცვათ ნამდვილი საეკლესიო გადმოცემა ცრუ სწავლებათაგან.“[323] სარწმუნოების შესახებ წმიდა მამათა განმარტებებმა: ა) დააზუსტეს ქრისტიანული სწავლების ჭეშმარიტებათა განსაზღვრებანი და შექმნეს ერთიანი დოგმატური ენა, და ბ) დამაჯერებლად დაასაბუთეს ეს ჭეშმარიტებანი და მათი დამადასტურებელი მტკიცებულებანი ერთიანი ძალით შეავსეს.[324]

1.2.2.4.4 შეჯამება

როგორც ირკვევა, საღვთო ნორმების დაწესება ხდება სხვადასხვა ფორმითა და საშუალებებით.[325] ღმერთი საღვთო ნორმებს აწესებს უფლის ანგელოზების და ადამიანის მეშვეობითაც, წმინდანების მეშვეობით, იქნება ეს მეფე, მამათავარი, წინასწარმეტყველი, ბერი თუ სხვა.

თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ პირველმა ცოდვამ ადამიანი აქცია ცოდვილ არსებად და ცოდვისკენაც მიდრიკა. შესაბამისად, ადამიანის არა ყოველი სიტყვა უნდა ჩაითვალოს საღვთო ნორმად, არამედ ის, რომელიც შეესაბამება ღვთის ნებას და ღვთის მიერ დადგენილ დაუწერელ და დაწერილ რჯულს და მცნებებს.

ბიბლიიდან ირკვევა, რომ ღმერთი მხოლოდ იმ პირობით შეეწეოდა მეფეებს, თუ ისინი ღვთის სათნოდ იცხოვრებდნენ და წარმართავდნენ ქვეყანას. მეფე უნდა „სიწმინდით და სიმართლით განაგებდეს სოფელს და წრფელი სულით სჯიდეს სამართალს!“ (იგავ. 9, 1-4), ხოლო, როდესაც არ მისდევდნენ მეფეები ღვთის ნებას, ღმერთი მათ სჯიდა და შეაგონებდა სხვადასხვა გზებით. გავიხსენოთ საულის ურჩობა ღვთისადმი და ისრაელის მეფე დავითის შეცოდება. ღმერთი მათ სამუელ და ნათან წინასწარმეტყველთა პირით შეაგონებდა თავიანთ შეცოდებებსა და სამომავლო საქმიანობას.

ღმერთი წინასწარმეტყველებს დაადგენდა, რათა დაეცვათ საღვთო რჯული (4 მეფ. 17, 13; იერ. 44, 4; ლუკ. 5, 10; 2 პეტრ. 1, 21). საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო, პოლიტიკურ და სამხედრო ფუნქციასაც ტვირთულობდნენ. მათი ამოცანა იყო საღვთო ხელმწიფების მხარდაჭერა.

---

[322] იხ. მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიის მოძღვრების საფუძვლები, (შემდგ. *დ. შოვნაძე, ნ. ჩაჩიბაია*), თბ., 2103, 362.

[323] *პროტოპრისვეტერი მიხეილ პომაზანსკი*, (2012), დასახ. ნაშრ., 18.

[324] იხ., იქვე, 18.

[325] ღმერთი ადამიანებს ესაუბრება ცხადში, ხილვაში და სიზმარში (რიცხ. 12, 6-9). სიზმარ-ცხადშიც (დან. 8, 1), საპყრობილესა თუ თავისუფლების ჟამს (იერ. 33, 1), ტრაპეზის დროს (3 მეფ. 13-20), განმარტოებისას (იერ. 28, 11-12), ჩვეულებრივ გამვლელთა შორის (ეზეკ. 8, 1), მინდორში (ეზეკ. 37, 1), სახლში (იერმ. 18, 1). ეს იმის გამო, რომ სულიწმიდა არის მოლაპარაკე ხმა (რიცხ. 7, 89; ეს. 6, 8; ეს. 30, 21; მათ. 10, 20; საქ. 10, 13, 15, 19; 11, 7; ებრ. 3, 7-11; გამოცხ. 1, 10), რომელსაც სადაც უნდა იქ ქრის, არ იცი საიდან გესმის, მოდის და მიდის (იოან. 3, 8), საუბრობს ადამიანებთან და მკვიდრობს ადამიანებში (იოან. 14, 17).

მოციქულები კი, ღმერთის სახელით ქადაგებდნენ (2 კორ. 2, 17). მათ დაადგინეს საეკლესიო დადგენილებები, შექმნეს საეკლესიო სამართლის პირველი ძეგლები და სხვ.

რაც შეეხება ეკლესიის წმიდა მამათა ნაწერებს, მათ მივმართავთ, როგორც სახელმძღვანელოს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ, როგორც იესო ქრისტე, რომელიც არა მარტო სიტყვიერად, არამედ თავისი ქცევითა და მოქმედებით პრაქტიკულ მაგალითებს იძლეოდა ქრისტიანული ნორმებით ცხოვრებისა,[326] ასევე სულიწმიდით აღძრული ადამიანის ღვაწლი, (რჯულის დადგენა, გავრცელება, ქრისტეს მიმბაძველობა, ქადაგება, დამოძღვრა, რჯულის განმარტება, და ა.შ.), ასევე მოიაზრებს საღვთო ნორმატიულ ასპექტებსაც, - ნორმის დაწესებას, განმარტებას და ზოგადად ნორმაშემოქმედებით საქმიანობასაც.

1.2.3 ბიბლია, როგორც სამართლის წყარო

საეკლესიო სამართლის დოქტორი *ვ. ციპინი* აღნიშნავს, რომ „მოციქულთა კანონების, აგრეთვე კრებათა და მამათა კანონების წყარო არის წმინდა წერილი და გადმოცემა. წმინდა წერილის მრავალი ადგილი თითქმის სიტყვა-სიტყვითაა გამეორებული კანონებში."[327] გარდა ამისა, „წმინდა მოციქულთა გონების ღმერთის სულისმიერი განათლება საშუალებას გვაძლევს, აგრეთვე წმინდა გადმოცემის ნაწილად ვაღიაროთ ის რჩევებიც კი, რომელნიც მათ პირად თვალსაზრისს გამოხატავენ. და ამ რჩევებს ეკლესია განიხილავს, როგორც ღმრთაებრივი სამართლის მითითებებს."[328]

საერთაშორისო სტანდარტული ბიბლიის ენციკლოპედიაში ვკითხულობთ, რომ „წმინდა წერილი არის მოსამართლე, უფრო ზუსტად კი, უზენაესი და უცდომელი მოსამართლის ხმა, სულიწმიდა და ნორმა, რომელიც ქვემდგომმა მოსამართლემ უნდა გამოიყენოს სადავო შეხედულებების გადასაწყვეტად, და მხოლოდ ამის მიხედვით უნდა გამოიტანოს განაჩენი."[329]

ზოგადად უნდა ითქვას, რომ არსებობს ვრცელი ლიტერატურა, რომელიც ბიბლიას განიხილავს საერო სამართლის წყაროდ.[330] მათ შორის საყურადღებოა ის

---

[326] იხ. *ხუბუა გულ.*, ქრისტიანული მორალი და პიროვნების ფორმირება, გამომც. „სამშობლო", თბ., 1997, 39.

[327] *დეკ. ვლადისლავ ციპინი*, საეკლესიო სამართალი (მართლმადიდებლური კანონიკა; რუსულიდან თარგმნა *გ. ანდრიაძემ*), თბ., 2002, 18.

[328] იხ., იქვე.

[329] The International Standard Bible Encyclopedia (by *Orr, James, M.A.*, and *D.D.* General Editor), Vol. I, Chicago, 1915, 339.

[330] იხ.: 1. *Bartholomew C.*, How Has the Bible Been Used Ethically? Editors: *Craig Bartholomew*, *Jonathan Chaplin*, *Robert Song* & *Al Wolters*, A Royal Priesthood? The Use of Bible Ethically and Politically, A Dialogue with Oliver O'Donovan, Vol., 3, USA, 2002, 12; 2. *Audi R.*, and *Wolterstorff N.*, Religion in the Public Square (the place of Religious Convictions in Political Debate), USA, 1997; 3. *Eberle Chr.J.*, Religious Conviction in Liberal Politics, UK, 2002; 4. *Greenawalt K.*, Private Consciences and Public Reasons, New York, 1995; 5. *Neuhaus R.J.*, The Naked

შრომები, რომლებიც ბიბლიას დიდწილად განიხილავენ აშშ-ისა[331] და ინგლისის[332] სამართლის წყაროდ. ამის ერთ-ერთი ნათელი დადასტურებაა, აშშ-ის სასამართლოს გადაწყვეტილებებში ბიბლიის მუხლების ციტირება.[333]

წმ. თომა აქვინელი იხილავს რა პოზიტიური სამართალისა და ბიბლიის ურთიერთმიმართების საკითხს აღნიშნავს, რომ „ადამიანთა გონებას, მისი არასრულყოფილების გამო, არ შეუძლია თავად მივიდეს ერთ აზრამდე თუ რა არის სამართლიანობა. ამის დახმარებაში მოწოდებულია ქრისტიანების თვალში ისეთი ავტორიტეტული სახელმძღვანელო, როგორიც არის ბიბლია."[334]

როგორც ირკვევა, ბიბლია წარმოადგენს საერო სამართლის წყაროსაც. თუმცა, ჩნდება ლოგიკური კითხვა: ბიბლია, ხომ ნორმატიულად არ არეგულირებს თანამედროვე ყოფის კონკრეტულ ურთიერთობებს? ამის გამო, რამდენად გამართლებულია ბიბლიის ასეთ შემთხვევებში გამოყენება და მისი სამართლის წყაროდ მიჩნევა?

ქრისტიანული სწავლება პასუხობს, რომ როდესაც არ არსებობს ზუსტი ინსტრუქციები, მაშინ პრინციპები გვაძლევენ იმ სტანდარტებს, რომლის მიხედვითაც ჩვენ უნდა მოვიქცეთ.[335] მაგალითად, ბიბლია პირდაპირ არ საუბრობს ნარკოტიკების მოხმარებაზე, მაგრამ წმინდა წერილში მოცემულ პრინციპებზე დაყრდნობით ვიცით, რომ ასეთი ქმედება ცოდვაა, რადგან ადამიანის სხეული სულიწმიდის ტაძარია, და რომ

Public Square: Religion and Democracy in America, (2d ed.), USA, 1986; 6. *Perry M.J.*, Under God?: Religious Faith And Liberal Democracy, USA, 2003; 7. *Rawls J.*, Political Liberalism, New York, 1993, at al., see: *Brewbaker W.S.*, The Bible as a Law Book: Thomas Aquinas on the Juridical Uses of Scripture, 12 Rutgers Journal of Law & Religion, Volume 12, Part 1, 2010, 80, (8,9), <https://scholarship.law.ua.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1059&context=fac_articles>, (მოპოვების თარიღი: 02.07.2020).

[331] იხ.: 1. „The Bible and Government. Biblical Principles: Basis for America's Laws", <www.faithfacts.org/christ-and-the-culture/the-bible-and-government>; 2. „Christianity and Law", <www.allaboutworldview.org/christianity-and-law.htm>; 3. University of Wisconsin-Medison, „Sources of Law: 1. The Bible", <www.ssc.wisc.edu/~rkeyser/?page_id=540>; 4. *Wooten A.*, America, Christianity and the Forgotten Link, USA, 2013, <www.managementbooks.me/browse/america-christianity-and-the-forgotten-link/>; 5. *Barton D.*, God in the Constitution, <www.wilsonncteaparty.wordpress.com/2012/05/16/god-in-the-constitution/>, (მოპოვების თარიღი: 01.02.2016).

[332] იხ. *Burnside J.*, God, Justice, and Society Aspects of Law and Legality in the Bible, Published by Oxford Unniversity Press, Oxford, 2011, xxv-xxvi, 26-27.

[333] იხ. *Zgonjanin, Sanja*, Quoting the Bible: The Use of Religious References in Judicial Decision-Making. New York City Law Review, Vol. 9, No. 31, 2005, Available at SSRN: <https://ssrn.com/abstract=952690>, (მოპოვების თარიღი: 04.018.2021).

[334] История Политических и Правовых Учений (Авторский коллектив: *В. Г. Графский*, *Н. М. Золотухина*, *Л. С. Мамут*, *В. С. Нерсесянц*), М., 2000, 113.

[335] იხ. *What is Christian Ethics*-ის მეორე პარაგრაფი, <www.gotquestions.org/Christian-ethics.html>, (მოპოვების თარიღი: 07.07.2016).

ღმერთი უნდა ვადიდოთ სხეულით.[336] იმის ცოდნა, თუ რა ზიანი მოაქვს ნარკოტიკს ჩვენი სხეულისთვის - ჩვენ ვიცით, რომ მისი გამოყენებით ვაზიანებთ სულიწმიდის ტაძარს.[337]

არქ. გ. ბასილაძე განმარტავს, არ არსებობს კითხვა, რომელიც გაუჩნდეს ადამიანს და რომლის პასუხიც არ ჰქონდეს ღმერთს.[338]

ანალოგიურად მსჯელობს *გ. ხუბუა*: „ადამიანის გონებას არ მოუვა ისეთი კითხვა, რომლის ამომწურავი პასუხი არ იყოს საღვთო წიგნში, რაც ცხადყოფს იმას, რომ ღმერთმა ადამიანი უზრუნველყო არა მარტო შემეცნებისა და შეფასების უნარით, არამედ, ამასთანავე ხელთ მისცა აზროვნებისა და საქმიანობის, ქცევისა და მოქმედების ზუსტი ინსტრუქციები, რომ უშეცდომოდ, ბედნიერად და ღირსეულად იცხოვროს."[339]

ყველაფერს, რომ თავი დავანებით, პოზიტიური სამართალიც იზიარებს ქრისტიანული მოძღვრების ასეთ მიდგომას. მაგალითად, სამოსამართლო სამართალში ვკითხულობთ, რომ „წერილობითი სამართალი ვერასოდეს ვერ შეძლებს მოგვცეს ყველა ცხოვრებისეული კონკრეტული შემთხვევების გადაწყვეტა."[340]

ამგვარად, ქრისტიანული მოძღვრებით, კონკრეტული ნორმის არარსებობის შემთხვევაშიც, ბიბლია გვთავაზობს „სამართლის ანალოგიას". თუმცა, აქვე ჩნდება კითხვა: პრაქტიკულად შესაძლებელია თუ არა პოზიტიურ სამართალში ბიბლიური ნორმების გამოყენება მათი ტრანსცენდენტული ბუნებიდან გამომდინარე?

მართლმადიდებლური მოძღვრებით, ამ კითხვაზე პასუხი ერთმნიშვნელოვნად დადებითია, რადგან სახელმწიფო და სამართალი ღმერთის მიერ არის დადგენილი (რომ. 13, 1; კოლ. 1, 16; 1 კორ. 11, 12). რაც შეეხება პოზიტიური სამართალს, როგორც ზემოთ აღინიშნა, ბიბლია განიხილება საერო სამართლის წყაროდაც, რომ ასევე არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილებებში ბიბლიის მუხლების ციტირების შემთხვევებიც. თუმცა, კარგად, რომ დავრწმუნდეთ ამ საკითხის პრაქტიკულ შესაძლებლობაში, უპრიანია გამოვიკვლიოთ თავად პოზიტიური სამართლის ტრანსცენდენტული ბუნება. ამ მიდგომით დადგინდება პოზიტიური და საღვთო სამართალის თავსებადობის, ანუ პოზიტიურ სამართალში ბიბლიური ნორმების გამოყენების შესაძლებლობა.

---

[336] „ნუთუ არ იცით, რომ თქვენი სხეული ტაძარია თქვენში დამკვიდრებული სული წმიდისა, რომელიც გაქვთ ღვთისაგან, და რომ არ ეკუთვნით თქვენსავე თავს? რადგანაც სასყიდლითა ხართ ნაყიდნი. მაშ, ადიდეთ ღმერთი თქვენი სხეულით და თქვენი სულით, რომელნიც არიან ღვთისა" (1 კორ. 6, 19-20).

[337] იხ. *What is Christian Ethics*, იხილეთ მეოთხე პარაგრაფი, <www.gotquestions.org/Christian-ethics.html>, (მოპოვების თარიღი: 07.07.2016).

[338] იხ. *ჩაგუნავა ა., ვეკუა ი.*, დასახ. ნაშრ., 223.

[339] *ხუბუა გულ.*, ქრისტიანული მორალი და პიროვნების ფორმირება, გამომც. „სამშობლო", თბ., 1997, 31.

[340] *გოგიაშვილი გ.*, სამოსამართლო სამართალი, გამომც. „იურისტების სამყარო", თბ., 2014, 28.

1.2.4 საღვთო და პოზიტიურის სამართლის თავსებადობის საკითხისთვის

1.2.4.1 ტრანსცენდენტული ასპექტები სამართლის თეორიებსა და სკოლებში

თეოლოგიურ თეორიის თანახმად, სამართალი ღვთიური წარმოშობისაა და წარმოადგენს ღვთის ნების გამოხატულებას, გონების უმაღლეს გამოვლინებას.[341] გარდა ამისა, თეოლოგიური თეორიის მიხედვით:

ა. ღვთაებრივი სამართალი, მართალი სამართალია, რომელიც არის საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენების შეფასების არა როგორც რელიგიურ-მისტიკური მასშატაბი, არამედ არსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილების უარყოფითი მხარეების მხილებისა და მათი კაცთმოყვარეობისა და ჰუმანიზმის პოზიციებიდან კრიტიკის იარაღიც (*ი. ჭავჭავაძე*);[342]

ბ. სამართლის თეოლოგიური თეორია არ უარყოფს სამართალში ბუნებითი და ადამიანური (ჰუმანური) საწყისების არსებობას.[343]

ბუნებითი სამართლის თეორიაზე[344] უნდა აღინიშნოს, რომ:

ა. ბუნებითი სამართლის დოქტრინით ღმერთის ნება ბუნების იდენტურია, რადგან ითვლება, რომ ბუნება ღმერთის შექმნილია, ხოლო ბუნების კანონები ღმერთის ნების გამოვლინებაა;[345]

ბ. ბუნებითი სამართლის თეორიაში, სამართლი წარმოადგენს მარადიულ და უცვლელ იდეებს, რომელიც გამომდინარეობს თვით ადამიანის ბუნებიდან, ან ღვთის განგებიდან. იგი მაღლა დგას პოზიტიურ სამართალზე და ეს უკანასკნელი, მისგან უნდა ხელმძღვანელობდეს.[346]

სამართლის ისტორიული სკოლა წარმოიშვა ბუნებითი სამართლის სკოლის დოქტრინაზე დაყრდნობით[347] და ენათესავება ბუნებითი სამართლის თეორიას.[348] აღნიშნული სკოლის მიხედვით, სამართალი გამომდინარეობს „ეროვნული“, „ხალხური“ ცნობიერებიდან და მჭიდრო კავშირშია რელიგიურ შეხედულებებთან. მაგალითად, *გ. პუხტა* ამტკიცებს, რომ „სამართალი ღმერთისგანაა ბოძებული, რომელმაც სხვადასხვა ერის ბუნებაში სამართლის შექმნის ძალა ჩადო“.[349]

---

[341] დამატებით იხილეთ წინამდებარე დისერტაციის ქვე-პარაგრაფი: 1.1.1.1 სახელმწიფო და სამართალი პირველქმნის ადამიანთა საზოგადოებაში.

[342] იხ.*ჭავჭავაძე ი.*, თხზ. სრ. კრებული, ტ. 2, გვ. 105, ციტირებულია წიგნიდან: *აბაშმაძე ვ.*, ილია ჭავჭავაძე - სახელმწიფოსა და სამართლის პრობლემები, გამომც. „განათლება“, თბ., 1987, 303.

[343] იხ. *ლობჟანიძე გ.*, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, ქუთაისი, 2000, 265.

[344] დამატებით იხილეთ წინამდებარე დისერტაციის ქვე-პარაგრაფი: 2.1.1.1.1 სახელმწიფო და სამართალი პირველქმნის ადამიანთა საზოგადოებაში.

[345] იხ. *Kelsen H.*, General Theory of Law and State (20th Century Legal Philosophy Series, Vol 1; tr. by Anders Wedberg), Harvard University Press, USA, 1949, 8.

[346] იხ. *ლობჟანიძე გ.*, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, ქუთაისი, 2000, 277.

[347] იხ. *თეზელიშვილი ს.*, სახელმწოფოსა და სამართლის თეორია (ენციკლოპედიური მასალა), გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2008, 229.

[348] იხ. *ვაჩეიშვილი ალ.*, სამართლის ზოგადი თეორია, გამომც. „სამართალი“, თბ., 2010, 37.

[349] *ლობჟანიძე გ.*, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, ქუთაისი, 2000, 272.

სამართლის ფსიქოლოგიური თეორია სამართლის სამართალწარმოქმნის მიზეზს ხედავს ადამიანთა ფსიქიკაში, „იმპერატიულ-ატრიბუტულ სამართლებრივ განცდებში“. სამართლის წარმოშობის საფუძვლად კონკრეტულ ფსიქიკურ რეალობას მიიჩნევს და ადამიანის სამართლებრივ ემოციებს აღიარებს.[350] ფსიქიკა კი ტრანსცენდენტულია.[351] ფსიქიკურ და განცდების სამართლებრივ ბუნებას კარგად აღწერენ *ჰ. კრებე* და *გ. ნანეიშვილი*, რომელსაც სამართლის დეფინიციაში განვიხილავთ.[352]

სამართლის მოქმედების თეორიისა და რეალისტური სკოლისთვის სამართლის თეორიის ცენტრი არის იურიდიული პრაქტიკა, სასამართლო გადაწყვეტილებები. აღნიშნული სკოლის წარმომადგენლები თვლიან, სამართალი მხოლოდ მოსამართლეების და ადმინისტრატორების საქმიანობაა (*ფრენკელი და ლეველინი*).[353] მოსამართლე ქმნის სამართალს, ის ადგენს უფლებასა და მოვალეობას (*ჰოლმსი*).[354] მოსამართლეები კი, პრეცედენტებს და დოქტრინებს ქმნიან მეტა-იურიდიული ხასიათის პრინციპებზე დაყრდნობით, სამართლის ანალოგიის საფუძველზე.[355] ამასთან, თუ კანონის ნორმა არ შეესაბამება საყოველთაოდ აღიარებულ მორალურ წარმოდგენებს, იგი ჩვეულებრივ იგნორირებულია მოსამართლეებისა და სამართლის შემფარდებელი სხვა ორგანოების მიერ.[356]

სამართლის სოციოლოგიური მიმართულება ამტკიცებს, რომ ადამიანები უნდა დაემორჩილონ ყველასათვის სავალდებულო ნორმას (*რ. პაუნდი*),[357] რომ სოციალური სოლოდარობის წესები შეადგენენ ობიექტურ სამართალს, რომელიც არ ექვემდებარება სახელმწიფოს, მაგრამ იმორჩილებს სახელმწიფოს (*ლ. დიუგი*).[358] სოციალურ სამართალთან დაკავშირებით, *ი. ჭავჭავაძე* შენიშნავს, რომ მორალი, ზნე-ჩვეულებანი, ადათ-წესები და ა.შ. ყველა ზემოაღნიშნული სოციალური მოვლენის შინაარსს

---

[350] იხ., იქვე, 272.

[351] იხილეთ წნამდებარე დისერტაციის პარაგრაფი: 3.3.2 ვნების შესახებ პოზიტიური მეცნიერების მიდგომები.

[352] იხილეთ წინამდებარე დისერტაციის ქვე-პარაგრაფი: 1.2.4.2 ტრანსცენდენტული ასპექტები სამართლის დეფინიციაში.

[353] იხ. *ლობჟანიძე გ.*, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, ქუთაისი, 2000, 277.

[354] იხ., იქვე, 275.

[355] იხ.: ძირითადი ნორმა და სასამართლო დოქტრინები დისერტაციაში: 1.2.4.3 საღვთო და პოზიტიურ სამართლში მორალის კონცეპტი.

[356] 1. იხ. *ხუბუა გ.*, სამართლის თეორია, თბ., 2015, 81 (პ. 208); 2. ბუნებითი სამართალის საკითხზე, იხილეთ წინამდებარე დისერტაციის ქვე-პარაგრაფი: 1.2.4.1 ტრანსცენდენტული ასპექტები სამართლის თეორიებსა და სკოლებში.

[357] იხ. *თეზელიშვილი ს.*, სახელმწოფოსა და სამართლის თეორია (ენციკლოპედიური მასალა), გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2008, 233.

[358] იხ., იქვე.

წარმოადგენს, რომელიც ახდენს ადამიანთა საზოგადოებრივი ურთიერთობის რეგულირებას.[359]

მატერიალისტური და კლასობრივი-ეკონომიკური თეორიებში მითითებულია, რომ სამართალი არ შეიძლება უფრო მაღლა იდგეს ვიდრე კულტურული წყობა,[360] რომ ზნეობრივი, რელიგიური და სხვა ფაქტორები მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს საზოგადოების ეკონომიკური განვითარების მიმართულებებს.[361]

საერთო ნებისა და ინტერესთა დაცვის თეორიებს რაც შეეხება, საერთო ნების თეორია სამართალს ახასიათებს, როგორც საერთო ნების გამოხატულებას, ხოლო ინტერესთა დაცვის თეორია, როგორც ინტერესთა დაცვას (*იერინგი*). ნება და ინტერესი კი, ინდივიდუალური სულის მოვლენებია, რომლებიც არსებობენ ინდივიდის ფსიქიკაში და ეკუთვნიან სოციალურ ფსიქოლოგიას.[362]

სამართლის, როგორც საერთო ნების ცნებას ვხვდებით ჰეგელის ფილოსოფიაშიც, რომლის თანახმადაც, სამართლის განვითარება მოთავსებულია ობიექტური სულის ფარგლებში. სამართალი ვითარდება დიალექტიკურად: პირველი მისი მომენტი ფორმალური სამართალია, რომელიც შეიცავს სამოქალაქო და სისხლის სამართალს. მეორე საფეხურია მორალი, რომელიც წარმოადგენს მოვალეობას, და მესამე საფეხურია ზნეობა.[363]

კურნიკოვის თეორია, რომელიც აგებულია ინტერესის ცნების საფუძველზე, სამართალს ახასიათებს, როგორც ეთიკური ნორმების ერთობლიობას. აღნიშნულია, რომ იურიდიულ ნორმებს, აქვთ ეთიკური ნორმების ყველა ნიშანდობლივი თვისებანი და სამართალი განსაზღვრავს ინტერესების განხორციელების ფარგლებს.[364]

თავისუფლების თეორიამ დასაბუთება ჰპოვა კანტის მოძღვრებაში, რომლის მთავარ მომენტს წარმოადგენს მოვალეობის ცნება. მისი შემადგენელი არის კატეგორიული იმპერატივი, ზნეობრივი ნორმა, რომელიც იძლევა ადამიანის მოქმედების საყოველთაო ფორმას. ადამიანის მოქმედებას მხოლოდ მაშინ აქვს ზნეობრივი ხასიათი, როდესაც მისი მოტივი მოვალეობაა. იმპერატივების წყაროს კი, წარმოადგენს მეტაფიზიკური „მე“.[365]

---

[359] იხ. *ჭავჭავაძე ი.*, თხზ. სრ. კრებული, ტ. 8, გვ. 234, ციტირებულია წიგნიდან: *აბაშმაძე ვ.*, ილია ჭავჭავაძე - სახელმწიფოსა და სამართლის პრობლემები, გამომც. „განათლება“, თბ., 1987, 277.

[360] იხ. *თეზელიშვილი ს.*, სახელმწოფოსა და სამართლის თეორია (ენციკლოპედიური მასალა), გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2008, 240.

[361] იხ., იქვე 241;

[362] იხ. *ვაჩეიშვილი ალ.*, სამართლის ზოგადი თეორია, გამომცემლობა „სამართალი“, თბ., 2010, 44-45, 80, 78, 79.

[363] იხ., იქვე, 45-46.

[364] იხ., იქვე, 80-81.

[365] იხ., იქვე, 52, 95.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ კანტის დასაბუთება აგებულია არა მხოლოდ ტრანსცენდენტულ კატეგორიებზე (ზნეობა, მოტივი და მეტაფიზიკური მე), არამედ თავად კატეგორიული იმერატივია ბიბლიური პრინციპი.[366]

იძულების თეორიას ვხედავთ თომაზიუსის სამართლის მოძღვრებაში. მე-18 საუკუნის დასაწყისში. თომაზიუსმა, მართალია, დაამყარა დუალიზმი ზნეობასა და სამართალს შორის,[367] მაგრამ იგი განიხილება, როგორც ბუნებითი სამართლის მოძღვრების გავლენის შედეგი (*იელინეკი*).[368]

ზემოაღნიშნულის ანალიზის მიუხედავად, არსებობს დებულება, რომლის მიხედვითაც, „ყველა პოზიტივისტური სამართლის თეორიის საერთო თეზა ამბობს, რომ არ არსებობს აუცილებელი ურთიერთკავშირი სამართალსა და მორალს შორის".[369] ამის გამო, ცალკე იქნება გამოკვლეული პოზიტიური სამართლის თეორია.

1.2.4.2 ნორმატივისტული პოზიტიური სამართლის თეორია

1.2.4.2.1 სამართლის პრინციპები

იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ სამართლის სისტემა მოიცავს, როგორც პოზიტიურ ნორმებს, ასევე საყოველთაო მნიშვნელობის მქონე სამართლის პრინციპებს.[370] პოზიტიური სამართალის საფუძველი[371] და კანონმდებლობის საწყისი აზრი კი, სამართლის პრინციპია.[372] სამართლის ფილოსოფია შეგვაგონებს, რომ სამართლის პრინციპები, ნებისმიერ სამართლებრივ აქტზე აღმატებულია, ისინი ცნობილია, როგორც ბუნების კანონი, ან გონის კანონი.[373] უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ახალი ნორმის ჩამოყალიბება, ჩვეულებრივ, სამართლის პრინციპის საფუძველზე

---

[366] 1. ბიბლია „როგორც თქვენ გსურთ გექცეოდნენ კაცნი, თქვენც ასევე მოექეცით მათ..." (მათე 7, 12); 2. კატეგორიული იმპერატივი „ადამიანი, და საზოგადოდ, ყოველი გონიერი არსება *არსებობს* როგორც მიზანი თავისთავად, *არა მხოლოდ როგორც საშუალება*, რომ ამა თუ იმ ნებამ თავისი სურვილისამებრ შეიძლება გამოიყენოს, არამედ იგი ყველა მის ქმედებაში, - როგორც თავის თავზე, ისე სხვა გონიერ არსებებზე მიმართულში, ყოველთვის უნდა განიხილებოდეს *აგრეთვე როგორც მიზანი*", იხ., *კანტი ი.*, ზნეობის მეტაფიზიკის დაფუძნება (მთრგმნ. *ლამარა რამიშვილი*, რედ. *ნოდარ ნათაძე*), გამომც. Garpe diem, თბ., 2013, 179.

[367] იხ. *ვაჩეიშვილი ალ.*, სამართლის ზოგადი თეორია, გამომცემლობა „სამართალი", თბ., 2010, 57.

[368] იხ., იქვე, 69.

[369] *დრაიერი რ.*, სამართლის ცნება, (თარგმნ. *ლ. ჭანტურია*), იხ.: გივი ინწკირველის 70 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული (რედ. *ლ. ჭანტურია*), გამომც., შპს „ნორმა", თბ., 1996, 31.

[370] იხ. *ხუბუა გ.*, სამართლის თეორია, თბ., 2015, 207 (პ. 576).

[371] პრინციპი, არის სახლმძღვანელო იდეები, რომლებიც განსაზღვრავენ სამართლის არსს, გამოხატავენ სამართლის ღირებულებებს, ვრცელდება ყველა სუბიექტზე, და ან პირდაპირ კანონშია ჩამოყალიბებული, ან კანონის საერთო მნიშვნელობიდან გამომდინარეობს, იხ. *ლობჟანიძე გ.*, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, ქუთაისი, 2000, 244.

[372] იხ. *ლობჟანიძე გ.*, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, ქუთაისი, 2000, 403.

[373] იხ.: 1. *Radbruch G.*, Five Minutes of Legal Phylosophy *(*tr. *by Bonnie Litschewski Paulson And Stanley L. Paulson), Oxford Journal of Legal Studies*, Vol. 26, No. 1 (2006), 14; 2. *Altman A.*, Arguing about Law: An Introduction to Legal Philosophy (2nd ed.), USA, 2001, 51.

ხდება.[374] *გ. რადბრუხი* აღნიშნავს, რომ სამართლის პრინციპები, სამართლებრივ აქტებზე წონადია.“[375]

რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, სწორედ სამართლის პრინციპები ხასიათდებიან წმინდა არანორმატიული ხასიათით[376] და აქვთ ბიბლიური წარმომავლობა. ამის ნათელი მაგალითია სამართლის ისეთი ფუძემდებლური პრინციპები, როგორიც არის:

ა) კანონიერების პრინციპი;[377]

ბ) თანასწორობის პრინციპი, რომელიც დასაბამს იღებს ღმერთის წინაშე ადამიანის თანასწორობის ქრისტიანული იდეიდან;[378] „*აღარ არის იუდეველი, აღარც ბერძენი, აღარც მონა და აღარც თავისუფალი, აღარც მამრი და აღარც მდედრი, რადგან ყველანი ერთი ხართ ქრისტე იესოში*“ (გალ. 3, 28);

გ) პირადი პასუხისმგებლობის პრინციპი (რჯლ. 24, 16);

დ) ჰუმანიზმის პრინციპი (მათ. 22, 39);

ე) პასუხისმგებლობის გარდაუვალობის პრინციპი (დაბ. 2, 16, 17);

ვ) კანონის უზენაესობის პრინციპი („კანონი მთავრებზე მაღლა დგას“ (*წმინდა იოანე ოქროპირი*)[379] და ა.შ.

ამასთან, სამართლებრივ აქტებში, ბიბლიური წარმოშობის სხვა პრინციპების ჩამონათვალი, კარგად არის აღწერილი კვლევაში „*ბიბლია და მთავრობა, ბიბლიური პრინციპები: საფუძველი ამერიკის კანონებისთვის*“.[380]

დაბოლოს, ორიოდე სიტყვით უნდა ითქვას ათ მცნებაზეც. იგი არა მხოლოდ კონკრეტული მცნებების, ნორმების ან კანონების ჩამონათვალია, არამედ „იგი აყალიბებს გადარჩენის მთავარ პრინციპებს“.[381]

აღნიშნულ საკითხზე საყურადღებოა *გ. რადბრუხის* შემდეგი სიტყვები: „იგივე პრინციპებმა სარწმუნოების ენაზე ბიბლიაში ორი მიმართულებით ჰპოვეს ასახვა: ერთის მიხედვით, ადამიანები უნდა ემორჩილებოდნენ ხელისუფალთ, რომლებიც მათზე მაღლა დგანან, ხოლო, მეორე მხრივ, ბიბლიაშივეა დაწერილი, რომ ღმერთს უნდა

---

[374] იხ. *ხუბუა გ.*, სამართლის თეორია, თბ., 2004, 165 (პ. 486).

[375] *რადბრუხი გ.*, სამართლის ფილოსოფიის ხუთი წუთი, (მთრგმნ. *დ. გეგენავა*), ჟურნ. „სარჩევი“, № 1-2 (3-4), თბ. 2012, 239.

[376] იხ. *ხუბუა გ.*, სამართლის თეორია, თბ., 2015, 212 (პ. 590).

[377] იხილეთ წინამდებარე დისერტაციის ქვე-თავი: 1.1 ცოდვის, დანაშაულისა და დანაშაულობის ნორმატიული ბუნება.

[378] იხ. *ხუბუა გ.*, *სამართლის თეორია*, თბ., 2015, 94 (პ. 244).

[379] იხ. *წმინდა იოანე ოქროპირი*, ჰომილიები, II ტომი, შესაქმის განმარტება, მეორე ნაწილი (რედ. *თ. გოგოჩაშვილი*), გამომც. „ალილო“, თბ., 2015, 309-310.

[380] სამართლებრივ აქტებში ბიბლიურ პრიციპებზე დამატებით ასევე იხილეთ: „The Bible and Government. Biblical Principles: Basis for America's Laws”, <www.faithfacts.org/christ-and-the-culture/the-bible-and-government>, (მოპოვების თარიღი: 01.02.2016).

[381] *მიქელაშვილი მ.*, ბიბლია, ეკონომიკური კატეგორიები, გამომც. „სიტყვა“, თბ., 2013, 9.

ვმორჩილებდეთ უფრო მეტად, ვიდრე ადამიანებს და ეს არამხოლოდ შესასრულებლად სავალდებულო, არამედ სამართლებრივი პრინციპია. ამ ორ დებულებას შორის კონფლიქტი არ შეიძლება გადაწყდეს მესამე დებულების მოხმობით: „მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: მიეცით კეისრისაჲ კეისარსა და ღმრთისაჲ ღმერთსა.“[382]

1.2.4.2.2 ადამიანის უფლებები

პრინციპების ტრანსცენდენტულობის საკითხი ასევე მჭიდრო კავშირშია ადამიანის უფლებებთან, რადგან:

1. ადამიანის უფლებების კონცეფცია გამომდინარეობს ბუნებითი კონცეფციის დოქტრინიდან;[383]

2. ადამიანის ძირითადი უფლებები წარმოადგენს არა განსაზღვრულ წესს, არამედ პრინციპს.[384]

ადამიანის უფლებების პრინციპებში საუბარია, რომ ადამიანის უფლებები, უნივერსალური, გაუსხვისებელი, განუყოფელი, თანაზიარი და ურთიერთდაკავშირებულია, და მხარდაჭერილნი არიან კანონით.[385]

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კონსტიტუცია, აღიარებს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ იმ უფლებებსა და თავისუფლებებს, რომლებიც კონსტიტუციაში არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობს კონსტიტუციის პრინციპებიდან.[386]

1.2.4.2.3 კანონისა და სამართლის ანალოგია

პოზიტიურ სამართალში პრინციპების საკითხი, ასევე დაკავშირებულია კანონისა და სამართლის ანალოგიის გამოყენებასთან. ცნობილია, რომ კანონმდებლობაში ხარვეზების აღმოჩენისას, პოზიტიური სამართალი ითვალისწინებს კანონისა და სამართლის ანალოგიის გამოყენებას, რა დროსაც, საკითხი წყდება სამართლის მთელი სისტემისა და კანონმდებლობის ზოგადი პრინციპების საერთო სულისკვეთების საფუძველზე.[387]

---

[382] *რადბრუხი გ.*, სამართლის ფილოსოფიის ხუთი წუთი, (მთრგმნ. *დ. გეგენავა*), ჟურნ. „სარჩევი“, № 1-2 (3-4), თბ. 2012, 240.

[383] იხ. ადამიანის უფლებათა ლექსიკონი (შემდგ.: *ფ. საყვარელიძემ*, რედ.: *ა. ჭაბაშვილი*) თბ., 1999, 128.

[384] იხ. Alexy, R., Theorie Der Grundrechte, 1986, S. 146, ციტირებულია წიგნიდან: *ხუბუა გ.*, სამართლის თეორია, თბ., 2015, 211 (პ. 588).

[385] იხ.: Human Rights Principles, <https://www.unfpa.org/resources/human-rights-principles>, (მოპოვების თარიღი: 08.09.2019).

[386] იხ.: საქართველოს კონსტიტუციის 4-ე მუხლის, 2-ე პუნქტი.

[387] იხ. *ლობჟანიძე გ.*, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, ქუთაისი, 2000, 403.

სამართლის ანალოგიის შემთხვევაში, პრინციპები ასრულებენ უშუალოდ მოწესრიგების ფუნქციებს, და სამართალშეფარდებითი გადაწყვეტილებების ერთადერთ ნორმატიულ-სამართლებრივ საფუძვლად გამოდის.[388]

უპრიანია შევნიშნოთ, რომ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზის შევსების წესი განსხვავებულია სხვადასხვა ნაციონალურ სამართლებრივ სისტემებში, მაგალითად:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილით, სასამართლოს არა აქვს უფლება უარი თქვას სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელებაზე იმ შემთხვევაშიც, თუ სამართლის ნორმა არ არსებობს, ან ბუნდოვანია.[389] ხოლო, სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-5 მუხლის მეორე პუნქტში ვკითხულობთ: „თუ კანონის ანალოგიის გამოყენება შეუძლებელია, ურთიერთობა უნდა მოწესრიგდეს სამართლის ზოგადი პრინციპების საფუძველზე, ... (სამართლის ანალოგია).“[390]

შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსის თანახმად, საკანონმდებლო ხარვეზისას, მოსამართლემ უნდა გაითვალისწინოს კანონით მოწესრიგებული მსგავსი ურთიერთობები და, ასევე, მსგავსი კანონები. თუ ესეც არ იქნება საკმარისი, მაშინ საკითხი უნდა გადაწყდეს ბუნებითი სამართლის პრინციპების საფუძველზე.[391]

ალჟირის სამოქალაქო კოდექსის პირველი მუხლში კი, ვკითხულობთ: „შესაბამისი კანონის არარსებობის შემთხვევაში, სასამართლო საქმეს განიხილავს მუსლიმური სამართლის პრინციპების შესაბამისად, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში - თანახმად ჩვეულებისა”.[392]

დაბოლოს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 32-ე (*მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებები*) და 38-ე (*ბრალის გამომრიცხველი გარემოებები*) მუხლების გამოყენება, უშვებს ანალოგიას პიროვნების სასარგებლოდ, რაც თავისი არსით მეტა-იურიდიულ სიბრტყეზე გადასვლას ნიშნავს, რადგან აღნიშნული მუხლები ზეკანონური ნორმებია.

ამგვარად, კანონისა და სამართლის ანალოგიით, მოსამართლეებს შესაძლებლობა ეძლევათ პოზიტიური სამართლის ნორმით დაურეგულირებელი საქმე გადაწყვიტონ მეტა-იურიდიული კატეგორიებით.

---

[388] იხ.: 1. *ლობჟანიძე გ.*, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, ქუთაისი, 2000, 403; 2. *თეზელიშვილი ს.*, სახელმწოფოსა და სამართლის თეორია (ენციკლოპედიური მასალა), გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2008, 344.

[389] იხ. *ხუბუა გ.*, სამართლის თეორია, თბ., 2015, 216 (პ. 599).

[390] იხილეთ საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-5-ე მუხლი „კანონისა და სამართლის ანალოგია“, <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=103>, (მოპოვების თარიღი: 08.09.2019).

[391] იხ. *ხუბუა გ.*, სამართლის თეორია, თბ., 2015, 216 (პ. 599).

[392] *სავანელი ბ.*, სამართლის თეორია, გამომც. „საქართველო“, თბ., 1993, 34.

1.2.4.2.4 სასამართლო დოქტრინა

აუცილებელია ორიოდე სიტყვა ვთქვათ სამოსამართლო დოქტრინებზეც. პოზიტიური სამართალი აღიარებს სამოსამართლო დოქტრინებს - იურიდიული ხასიათის სამეცნიერო თეორიულ დებულებებს, პრინციპებს და მოძღვრებებს, რომლებსაც სასამართლო იყენებს გადაწყვეტილების მიღების საფუძვლად.[393]

ცნობილია, რომ სამართლის განვითარებისთვის, სამართლებრივი დოქტრინები უმთავრესია.[394] გარდა ამისა, როგორც სამართლის განვითარებისათვის და მისი კომუნიკაციური ლეგიტიმაციისთვის, სამართლებრივი დოქტრინები ურთიერთმოქმედებენ საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებასთან.[395]

სასამართლოს გადაწყვეტილებები კი, როგორც ცნობილია სამართლის წყაროა და სავალდებულო ძალა აქვს ქვემდგომი სასამართლოსთვის საქმის გადაწყვეტისას.[396]

1.2.4.2.5 ბუნებითი სამართალი

იმის გათვალისწინებით, რომ სამართლის პრინციპი: 1. ბუნების კანონია, 2. ადამიანის უფლებების კონცეფცია გამომდინარეობს ბუნებითი კონცეფციის დოქტრინიდან, ხოლო 3. საკანონმდებლო ხარვეზისას მოსამართლემ საკითხი უნდა გადაწყვიტოს ბუნებითი სამართლის პრინციპების საფუძველზე, აუცილებელია მოკლედ განვიხილოთ პოზიტიურ სამართალში აღიარებული ბუნებითი სამართლის ასპექტებიც.

ბუნებითი სამართლის მოძღვრების მიხედვით არსებობს სამართლის ნორმები, რომლებიც არავის მიერაა დადგენილი, მაგრამ მისი მოთხოვნები, რადგანაც ისინი ადამიანის ბუნებიდან გამომდინარეობს, ყველა ეპოქაში და ყველა ქვეყანაში მოქმედებს. ეს ნორმები შეესაბამაბიან ადამიანთა ბუნებიდან გამომდინარე მარადიულ სამართლიანობას.[397]

წმ. ილია მართლის მიხედვით, ბუნებითი სამართლის უნივერსალური ხასიათი, იმით უნდა აიხსნას, რომ ადამიანი ყველგან ადამიანია, მისთვის დამახასიათებელი თავისებურებებით, განურჩველად იმისა რა ეროვნებისა და რასის წარმომადგენელია: ბუნება ადამიანისა, სემიტია თუ არიელი, ზანგია თუ თეთრი, დიდ-თავა თუ წვრილ-

---

[393] იხ. *გორგოშაძე მ.*, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია (სქემები და განმარტებები), გამომც. „ბათუმის უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2002, 68.

[394] იხ. *Hoecke M.V.*, Law as Communication, (European Academy of Legal Theory Monograph Series), „Hart“ Publishing, Oxford-Portland Oregon, USA, 2002, 178.

[395] იხ., იქვე, 179.

[396] იხ. *გორგოშაძე მ.*, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია (სქემები და განმარტებები), გამომც. „ბათუმის უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2002, 68.

[397] იხ. *აბაშმაძე ვ.*, ილია ჭავჭავაძე - სახელმწიფოსა და სამართლის პრობლემები, გამომც. „განათლება“, თბ., 1987, 291.

თავა, ყველგან ერთი და იგივეა“.[398] ბუნებითი სამართალი, თვით ადამიანთა ბუნებაზეა დამოკიდებული, მისგან გამომდინარეობს და რადგანაც ადამიანთა ბუნება ყველგან ერთი და იგივეა, ცხადია ბუნებითი სამართალი უნივერსალური ხასიათისაა „ხალხთა ცხოვრებაში არის ბევრი ზოგადი კანონები, რომლებიც ყველგან ართნაირად მოქმედებენ“.[399]

აქვე გვინდა დავაფიქსიროთ *ვ. მეტრეველის* დასკვნა, რომ „ილია ჭავჭავაძის თვალსაზრისი დანაშაულის არსის შესახებ პროგრესულია, რადგან იგი ესადაგება ბუნებითი სამართლის მოძღვრებას .... .“[400]

ანალოგიურად უდგება საკითხს *ალ. ვაჩეიშვილიც.* მისი აზრით, „ბუნებითი სამართალი უზენაესი, საყოველთაო, მარადიული პრინციპების ერთობაა, რომელიც დამოუკიდებლად არსებობს და დადებითი სამართლის შეფასების კრიტერიუმს წარმოადგენს.“[401]

ბლექსთოუნის ინგლისის სამართლის კომენტარებში, ვკითხულობთ, რომ „ბუნებითი და გამოცხადების კანონებზეა დამოკიდებული ყველა ადამიანური კანონი“.[402] ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბუნებითი სამართალი არის პოზიტიური სამართლის მაკონტროლებელი, რომ ყოველგვარი ჭეშმარიტი იურისპრუდენცია უნდა იყოს ბუნებით-სამართლებრივი „*quod jus positivum ad jus natural reducatur et cum ipso concordat*“.[403]

1.2.4.2.6 საგანთა ბუნება

ბუნებით სამართალის არსში გარკვევის მიზნით აუცილებელია შევეხოთ ასევე საგანთა ბუნების (*natura rei*) საკითხსაც, რადგან სათანადო ადგილი აქვს დათმობილი სამართლის თეორიაში.

სამართლის თეორიიდან ცნობილია, რომ სამართალი არ არსებობს სოციალური სინამდვილის სხვა მოვლენებისაგან იზოლირებულად და მოქმედებს მათთან მჭიდრო კავშირში. იურიდიულად მოსაწესრეგებელი ურთიერთობის განვითარების კანონზომიერებები, შეიძლება ეფუძნებოდეს: 1) ბუნების, ან 2) სოციალურ კანონს. შესაბამისად, საგანთა ბუნება უნდა გავითვალისწინოთ, როგორც სამართალშემოქმედების, ასევე სამართლის შეფარდების პროცესში. ნორმის განმარტება

---

[398] *ჭავჭავაძე ი.*, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 93, წიგნიდან: *ვახტანგ აბაშმაძე,* ილია ჭავჭავაძე - სახელმწიფოსა და სამართლის პრობლემები, გამომც. „განათლება“, თბ., 1987, 293.

[399] იხ., იქვე, 293-294.

[400] *მეტრეველი ვ.*, ილია ჭავჭავაძის თვალსაზრისი დანაშაულზე, (გივი ინწკირველის 70 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული; რედ. ლ. ჭანტურია), გამომც., შპს „ნორმა“, თბ., 1996, 206.

[401] *ვაჩეიშვილი ალ.*, სამართლის ზოგადი თეორია, გამომცემლობა „სამართალი“, თბ., 2010, 32.

[402] The Sovereignty of the Law (eds. Gareth Jones) Selections from Blackstone's Commentaries on the Laws of England-Palgrave Macmillan UK, 1973, 30.

[403] იხ. *გოგიაშვილი გ.*, სამოსამართლო სამართალი, გამომც. „იურისტების სამყარო“, თბ., 2014, 28.

კი, არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ბუნებისა და სოციალური სინამდვილის კანონზომიერებებს. გარდა ამისა, საგანთა ბუნება უნდა გავითვალისწინოთ ანალოგიის შემთხვევაშიც. ხოლო, საკანონმდებლო ხარვეზის შევსება არ შეიძლება მოხდეს საგანთა ბუნების საწინააღმდეგოდ.[404]

საგანთა ბუნების კლასიკური მაგალითია ინცესტი. სამოქალაქო კანონმდებლობა კრძალავს დაქორწინებას პირდაპირი აღმავალი და დაღმავალი შტოს ნათესავებს შორის. ახლო ნათესავებს შორის ქორწინების აკრძალვა ეფუძნება სწორედ საგანთა ბუნებას, რამდენადაც ასეთი ქორწინების შედეგად მნიშვნელოვნად იზრდება პათალოგიური შთამომავლობის რისკი.[405]

1.2.4.2.7 სინდისი და მორალი

პოზიტიურ სამართალში აღიარებულ ბუნებითი სამართლის საკითხს უკავშირდება ისეთი ტრანსცენდენტული კატეგორიებიც, როგორიც არის სინდისი და მორალი, რაზეც ძალიან მოკლედ შევჩერდებით.[406]

უკვე აღინიშნა, რომ მართლმადიდებლური მოძღვრებით, სინდისი ადამიანის ბუნებაში ჩაბეჭდილი სჯული (*წმ. კასიანე რომაელი, წმ. აბა სერენი, წმ. ნიკოდიმოს მთაწმინდელი*), იგივე საღვთო შინაგანი სჯული და ღვთის პირველი კანონია (ბერი პაისი).[407]

სამართლის თეორიიდან კი ირკვევა, რომ: მორალს ხშირად განმარტავენ, როგორც „შინაგან ვალდებულებას“, რომელსაც სინდისი განსაზღვრავს;[408] მორალის ნორმები ადამიანის სინდისისკენაა მიმართული;[409] სამართლის ნორმა ადგენს და იცავს მხოლოდ „ზნეობის მინიმუმს“[410] და ეთიკურ მინიმუმს (ელინეკი).[411] *ჰეგელისთვის* კი, „კანონები ძალაში მყოფ ზნეობად წარმოგვიდგებიან“.[412]

---

[404] იხ. *ხუბუა გ.*, სამართლის თეორია, თბ., 2015, 224 (პ. 625).

[405] იხ., იქვე, 224 (პ. 628).

[406] სინდისისა და მორალის საკითხზე დამატებით იხილეთ წინამდებარე დისერტაციის შემდეგი ქვეთავი და ქვე-პარაგრაფები: 1.2.1 სახელმწიფო და სამართალი პირველქმნილ ადამიანთა საზოგადოებაში; 2.1.1.3.1 სინდისი, როგორც ადამიანის შინაგანი ნორმა, და 2.4.3.1.4 მორალის/სინდისის ცნების გაგებისთვის.

[407] იხილეთ წინამდებარე დისერტაციის პარაგრაფი: 1.2.1 სახელმწიფო და სამართალი პირველქმნილ ადამიანთა საზოგადოებაში.

[408] იხ. *ხუბუა გ.*, სამართლის თეორია, თბ., 2015, 76 (პ. 194).

[409] იხ., იქვე, 76 (პ. 194).

[410] იხ., იქვე, 62 (პ. 172).

[411] იხ., იქვე, 80 (პ. 205).

[412] *ჰეგელი გ.ვ.ფ.*, გონის ფილოსოფია, (რედ.: *ნ. ჭავჭავაძე, თ. ბუაჩიძე, გ. ცინცაძე*, თარგმანი გერმანულიდან *ნ. ნათაძის*), ფილოსოფიურ მეცნიერებათა აცადემია, გამომც. „მეცნიერება“, თბ., 1984, 308 (პ. 538).

ცნობილია, რომ იურისტები ურყევად იყენებენ კანონებში დაუწერელი მორალური ხასიათის პრინციპებს,[413] რადგან სამართლის პოლიტიკა აანალიზებს ისეთ არაიურიდიულ მასშტაბს, როგორიც არის მორალი,[414] მაგალითად: სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-5 მუხლის მეორე პუნქტში ვკითხულობთ: „თუ კანონის ანალოგიის გამოყენება შეუძლებელია, ურთიერთობა უნდა მოწესრიგდეს, აგრეთვე ... და ზნეობის მოთხოვნების შესაბამისად,“[415] ხოლო სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლით, გარიგება, რომელიც ეწინააღმდეგება ზნეობის ნორმებს, ბათილია.[416]

ამასთან, ზნეობრივი კატეგორიების გამოყენების გარეშე შეუძლებელია ობიექტურად და სამართლიანად გადაწყდეს საქმე ხულიგნობის, ცილისწამების, მშობლის უფლების ჩამორთმევის, ბავშვთა ბედის და ა.შ. შესახებ.[417]

კრიმინოლოგი *ტ. ბიორგო* შენიშნავს, რომ ნორმატიული პრევენციის ბარიერის შექმნის ძლიერი მხარეები ისაა, რომ ისინი ადამიანის სინდისშია გამჯდარი. სწორედ სინდისია ის შემაკავებელი იარაღი, რაც უმეტესი ქურდობის პრევენციას ახდენს.[418]

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ისეთი მორალური კანონები, როგორიც არის ბიბლიური ათი მცნება, საფუძვლად დაედო ყოველგვარ მორალს და იქცნენ საერთოდ, ადამიანური ქცევის ნორმებად, შეიძინენ ზოგადსაკაცობრიო და სამართლებრივი მნიშვნელობა.[419] მაგალითად, *გ. ნაჭყებია* აღნიშნავს, რომ ვიდრე სახელმწიფო ქმედობას დანაშაულად გამოაცხადებს, ეს ქმედობა უკვე აკრძალულია ზნეობრივი ნორმებით, მაგალითად „არა იქურდო“ და „არა კაც-ჰკლა“ უკვე აკრძალუალია ათ მცნებაში.[420]

ამიტომაც ხაზგასმულია სამართლის თეორიაში, რომ სახელმწიფო და საზოგადოება ვერ იარსებებს მორალის გარეშე,[421] რომ ზნეობრიობისა და მორალის შემეცნება საფუძვლად უდევს ნებისმიერ ქვეყანაში დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოს აშენების პროცესს.[422]

---

[413] იხ. *დევიდი რ.*, თანამედროვე ძირითადი სამართლებრივი სისტემები, (მთრგმნ. *თ. ნინიძე*), თბ., 1993, 137.

[414] იხ. *ხუბუა გ.*, სამართლის თეორია, თბ., 2015, 29 (პ. 52).

[415] იხ. საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-5-ე მუხლი „კანონისა და სამართლის ანალოგია“, <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=103>, (მოპოვების თარიღი: 08.09.2019).

[416] იხ. *ხუბუა გ.*, *სამართლის თეორია*, თბ., 2015, 69-70 (პ. 177).

[417] იხ. სამოსამართლო ეთიკა, (რედ. *ნ. დ. ერიაშვილი*), თბ., 2016, 54.

[418] იხ. *ბიორგო ტ.*, დანაშაულის პრევენცია, ყოვლისმომცველი მიდგომა (რედ. *გ. გიორგაძე, მ. შალიკაშვილი*; მთრგმნ. *უ. ბახტაძე*), პირველი ქართული გამოცემა ქართულ-ნორვეგიული კანონის უზენაესობის ასოციაცია, თბ., 2016, 74.

[419] იხილეთ წინამდებარე დისერტაციის ქვე-პარაგრაფი: 1.1.1.2.1. ძევლი ისრაელი.

[420] იხ. *ნაჭყებია გ.*, სისხლის სამართლის საგანი (რედ. *ზ. წულაია*), „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, თბ., 1997, 104.

[421] იხ. *ხუბუა გ.*, სამართლის თეორია, თბ., 2015, 77 (პ. 196).

[422] იხ. სამოსამართლო ეთიკა, (რედ. *ნ. დ. ერიაშვილი*), თბ., 2016, 5.

1.2.4.2.8 უსამართლო ნორმა

პოზიტიურ სამართალში ბუნებითი სამართლის გამოყენების აქტუალობა დაკავშირებულია უსამართლო ნორმის საკითხთანაც.

საქმე ისაა, რომ უსამართლო ნორმის გამოვლენის შემთხვევაში პოზიტიური სამართალი, მის ნამდვილობას ზომავს მეტა-იურიდიული კატეგორიით, კერძოდ კი, ბუნებითი სამართლით. მაგალითად, თუკი დადგინდება, რომ უსამართლო ნორმა სამართლის პრინციპებთან კონფლიქტშია, მაშინ კანონის ნამდვილობა უნდა ჩაითვალოს გაუქმებულად. ასეთი პრინციპები ცნობილია, როგორც ბუნების კანონი.[423]

გარდა ამისა, როგორც ცნობილია, პრინციპებთან შეუსაბამო კანონის გამოყენების შემთხვევაში, გადაწყვეტილება უსამართლო იქნება და დაირღვევა სამართლის მთლიანობა.[424] უსამართლო კანონები და ინსტიტუტები კი, მიუხედავად მათი ეფექტურობისა და კარგად ორგანიზებულობისა, უნდა შეიცვალოს ან გაუქმდეს (*ჯ. როულზი*).[425]

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-3 ნაწილში წერია, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა შესაძლოა არ დაიწყოს ან შეწყდეს, თუ ის ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებს.

როგორც ვიცით, მართლმადიდებლური მოძღვრებით უსამართლო ნორმის გარდა, სახელმწიფოს მიერ დადგენილი (პოზიტიური) სამართლის ნორმის დარღვევაც არის ცოდვა და კონცეპტუალურად მნიშვნელობა არა აქვს, თუ რომელ კატეგორიას განეკუთვნება ნორმა.[426]

საყურადღებოა, რომ პოზიტიური სამართლის თეორია და პრაქტიკაც კონცეპტუალურად იზიარებს უსამართლო ნორმისადმი დაუმორჩილებლობის შესახებ ქრისტიანულ დოქტრინას, როდესაც მხედველობაში გვაქვს:

ა. სამართლებრივი მაქსიმა *Lex iniusta non est lex*, რომ „*უსამართლო კანონი საერთოდ არ ითვლება კანონად*“;

ბ. სამართლის ფილოსოფიური სწავლება, რომ შეიძლება არსებობდეს ისეთი უსამართლო კანონები, სოციალურად ისეთი საზიანო, რომ მათი ნამდვილობა,

---

[423] იხ. 1. *Radbruch G.*, Five Minutes of Legal Phylosophy, (tr., by Bonnie Litschewski Paulson And Stanley L. Paulson), Oxford Journal of Legal Studies, Vol. 26, No. 1 (2006), 14; 2. *Altman A.*, Arguing about Law: An Introduction to Legal Philosophy, (2nd ed.), USA, 2001, 51.

[424] იხ. *უექსი, რ.*, სამართლის ფილოსოფია ძალიან მოკლე შესავალი (მთარგ. *მ. ბაბუხადია*, რედ. *ი. ბაჩიაშვილი*), თბილისი, 2012, 63, ციტირებულია: *მამუკაშვილი ნ.*, ნორმის განსაზღვრულობის პირინციპის სამართლებრივი ასპექტები, ჟურნალი „სამართლის მეთოდები“ №3, სულხან-საბა ორბელიანის დავით ბატონიშვილის სამართლის უნივერსიტეტი, 2019, 64.

[425] იხ. Rawls J., A Theory of Justice (revised edition), Belknap Press of Harvard University, USA, 1999, 3.

[426] იხილეთ წინამდებარე დისერაცია: 1.1.2.4 შეჯამება.

სამართლებრივი სტატუსი უნდა იქნეს უარყოფილი.[427] სამართლის ფილოსოფიის ეს არგუმენტი მრავალი ვარიაციითაა ცნობილი, მაგალითად, როგორც ტირანიისა და *lex corupta*-ს არგუმენტი.[428] ამის გამო, არსებობს სამართლის პრინციპები, რომლებიც ნებისმიერ სამართლებრივ აქტზე აღმატებულია, რათა ამ პრინციპებთან კონფლიქტში მყოფი კანონის ნამდვილობა ჩაითვალოს გაუქმებულად. ასეთი პრინციპები ცნობილია, როგორც ბუნების კანონი, ან გონის კანონი.[429]

გ. ბუნებითი სამართალის მოძღვრებაზე დაფუძნებული აშშ-ის დამოუკიდებლობის დეკლარაცია, რომელშიც ვკითხულობთ, რომ მოქალაქეებს აქვთ უფლება, შეცვალონ ან გააუქმონ ისეთი მთავრობა, რომელიც არღვევს ღმერთის მიერ მინიჭებულ უფლებებს.[430]

ბუნებითი სამართლის თეორიამ ფუნდამენტური შემუშავება ჰპოვა *ლოკის*, *რუსოს*, *მონტესკიეს*, *გოლბახის*, *რადიშჩევისა* და სხვა მოაზროვნეების ნაშრომებში. მათში გადმოცემულმა იდეებმა განმტკიცება ჰპოვეს აშშ-ს დამოუკიდებლობის დეკლარაციაში (1776 წ.), საფრანგეთის მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების დეკლარაციაში (1789 წ.) და სხვა სახელმწიფო აქტებში.[431]

დ. მრავალი სამეცნიერო კვლევა და სასამართლო პრაქტიკა, რითაც მტკიცდება ბუნებითი სამართლის უპირატესობა პოზიტიურ სამართალზე. მაგალითისთვის საკმარისია გავიხსენოთ „*The Grudge Informer Case*"-ის სახელით ცნობილი საქმე. სასამართლო განაჩენს ასაბუთებს იმით, რომ ინფორმატორის შესახებ კანონები (*Informer Statutes*) „*ეწინააღმდეგებოდნენ წმინდა სინდისსა და ყველა წესიერი ადამიანის სამართლიანობის გრძნობას*". სამართლის პოზიტივიზმის გამოჩენილი ფუძემდებელი, სამართლის ფილოსოფოსი, ინგლისელი *ჰერბერტ ჰარტი* აღიარებს, რომ სასამართლოს აღნიშნული დასაბუთება შემდგომში მრავალ საქმეზე იქნა გამოყენებული და, რომ

---

[427] იხ.: 1. *Radbruch G.*, Five Minutes of Legal Phylosophy, (tr., by *Bonnie Litschewski Paulson* and *Stanley L. Paulson*), Oxford Journal of Legal Studies, Vol. 26, No. 1 (2006), 14; 2. *Altman A.*, Arguing about Law: An Introduction to Legal Philosophy, (2nd ed.), USA, 2001, 51.

[428] იხ. *დრაიერი რ.*, სამართლის ცნება, (მთრგმნ. *ლ. ჭანტურია*), *გივი ინწკირველის 70 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული* (რედ. *ლ. ჭანტურია*), გამომც., შპს „ნორმა", თბ., 1996, 34.

[429] იხ.: 1. *Radbruch G.*, Five Minutes of Legal Phylosophy, (tr., by Bonnie Litschewski Paulson And Stanley L. Paulson), Oxford Journal of Legal Studies, Vol. 26, No. 1 (2006), 14; 2. *Altman A.*, Arguing about Law: An Introduction to Legal Philosophy, (2nd ed.), USA, 2001, 51.

[430] იხ.: აშშ-ს დამოუკიდებლობის დეკლარაციის პრეამბულის პირველი გვერდი, „The Declaration of Independence, (Congress 1776, 4 July)", <www.americainclass.org/sources/makingrevolution/rebellion/text8/decindep.pdf>, (მოპოვების თარიღი: 01.02.2015).

[431] იხ. *თეზელიშვილი ს.*, სახელმწოფოსა და სამართლის თეორია (ენციკლოპედიური მასალა), გამომც. „მერიდიანი", თბ., 2008, 229.

აღნიშნულმა საქმეებმა „*მოახდინეს ბუნებითი სამართლის დოქტრინის ტრიუმფირება და სამართლის პოზიტივიზმის დამხობის სიგნალირება*“;[432]

ე. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, არაკონსტიტუციური ნორმა შეიძლება გასაჩივრდეს და გაუქმდეს საკონსტიტუციო სასამართლოში,[433] და ა.შ.

აქვე აღვნიშნავთ, რომ „ბოროტებისადმი დაუმორჩილებლობა ქრისტიანული ეთიკისა და პრაქსისის საფუძველთა საფუძველია. სიმართლისათვის დევნა სახარების პირველი ნეტარებაა. ის, ვინც არ იბრძვის სიმართლისათვის და არ არის დევნილი, არც ქრისტიანია“ (*ზ. გამსახურდია*).[434]

ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა, ასევე *პროფ. გ. ხუბუას* შეხედულებაც, რომლის მიხედვითაც: „ღვთის წინაშე პასუხისმგებლობა მუდმივად შეგვახსენებს ტოტალიტარული სახელმწიფოს მიერ ადამიანობისა და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ „უღმერთო დანაშაულებს“. ღვთის წინაშე პასუხისმგებლობა, ამავდროულად, აფუძნებს დაუმორჩილებლობისა და წინააღმდეგობის უფლებასაც. ადამიანებს აქვთ უფლება დაუპირისპირდნენ არაადამიანურ, არაჰუმანურ და ტოტალურად უსამართლო სახელმწიფო რეჟიმებს. ღვთისადმი აპელირება აყალიბებს ავტარკიული და ტოტალიტარული რეჟიმებისაგან დაცვის ერთგვარ გარანტიას.“[435]

აღსანიშნავია, რომ სამართლის სისტემა ზოგადად სამართლიანია, მაგრამ არა ყველა შემთხვევაში,[436] რადგან „ამორალური ქცევა სამართალმა შეიძლება არ აკრძალოს იურიდიული სანქციით. სამართალი ნეიტრალურია მორალური ღირებულებების მიმართ“.[437]

მნიშვნელოვანია ისიც, რომ სამართალმა უნდა გაითვალისწინოს მორალის განსაზღვრული ელემენტარული მოთხოვნები, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, სამართალი ვერ პოვებს საზოგადოებრივ აღიარებას.[438] სახელმწიფოს მიერ ყველა ფორმალური წესით მიღებული ნორმა შეიძლება იყოს უსამართლო. კაცობრიობის

---

[432] იხ. *Dyzenhaus D.*, The Grudge Informer Case Revisited, chapter „Hart And The Grudge Informer Case“, Journal *New York University Law Review*, New York, 2008, Vol. 83, №4, 1003-1004, <www.nyulawreview.org/sites/default/files/pdf/NYULawReview-83-4-Dyzenhaus.pdf>, (მოპოვების თარიღი: 01.02.2015).

[433] საქართველოში, არაკონსტიტუციური ნორმის გასაჩივრების სამართლებრივი საფუძველია: საქართველოს კონსტიტუციის 31-ე და მე-60 მუხლები; საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონის მე-19, 31-ე და 39-ე მუხლები.

[434] აირჩიე ქართველო ერო! ზვიად გამსახურდიას გამონათქვამები (შემდგენელი: *ი. ჯაჯანიძე*), გამომც. „ძმობა გრაალის მცველნი“, თბ., 2000, 7.

[435] *ხუბუა გ.*, ღმერთის იდეა კონსტიტუციაში (15:25, 06-02-2016), იხ.: ელ-ჟურნალი: „*iPN" ინტერპრესნიუსი*, ვებ-გვერდი: <https://www.interpressnews.ge/ka/article/365109-gmertis-idea-konstituciashi/>, (მოპოვების თარიღი: 20.02.2018).

[436] იხ. *ხუბუა გ.*, სამარათლის თეორია, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2015, 83 (ბ. 211).

[437] *ხუბუა გ.*, სამართლის თეორია, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2004, 63 (ბ. 173).

[438] იხ., იქვე.

ისტორია „კანონიერი უსამართლობის“ ბევრ მაგალითს იცნობს,[439] რომლის შესახებ მოიპოვება მრავალი ცნობა, როგორც ბიბლიაში, ასევე წმიდანთა ცხოვრებაში.[440]

1.2.4.2.9 შეჯამება

როგორც ირკვევა, სამართლის ყველა თეორიასა თუ სკოლაში ფიგურირებს მეტა-იურიდიული ელემენტი. კონცეპტუალური განსხვავებების გამო, ისინი პირობითად შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად, თეორიები, რომლებიც: 1. თავისი არსით აბსოლუტურად ტრანსცენდენტულია, და 2. არაპირდაპირ ავლენენ თავის ტრანსცენდენტულობას. პირველი ჯგუფის თეორიებში ბუნებრივია გაერთიანდება თეოლოგიური, ბუნებითი და ფსიქოლოგიური თეორიები, ხოლო მეორე ჯგუფში ყველა სხვა დანარჩენი.

პოზიტიურ სამართალში ტრანსცენდენტული ბუნების საკითხები ბუნებრივია ამით არ სრულდება. შეიძლებოდა მაგალითად განგვეხილა ისეთი საკითხებიც, როგორიც არის: „ძირითადი ნორმის კონცეფცია“, „ჩვეულება (ადათი)“, „ნორმის ახსნა-განმარტება“, „ყოველგვარ გონივრულ ეჭვს მიღმა განაჩენის გამოტანა“ და სხვა ინსტიტუტები.

მაგალითად, ძირითად ნორმის ტრანსცენდენტული ასპექტი ვლინდება ნორმატივიზმის ფუძემდებელის *ჰ. კელზენის* კონცეფციაშიც. კერძოდ, *კელზენი* სამართლის ნორმათა იერარქიის მწვერვალზე მოიაზრებს ძირითად ნორმას (*Grund Norm*), რომელიც არ შეიძლება გამოყვანილი იქნეს სხვა ნორმებიდან, რადგან ის არის ჯერარსული უმაღლესი წერტილი, საიდანაც გამომდინარეობს ყველა სხვა ნორმა. ძირითადი ნორმის თავისებურება, ყველა ნორმისაგან განსხვავებით ისაა, რომ იგი არ იქმნება სამართლებრივი პროცედურების მეშვეობით, ის არის *a priori*, როგორც მუდმივი სამართლის იდეა.[441]

რაც შეეხება ჩვეულებას (ადათს), მისი ტრანსცენდენტულობა იმაშია, რომ პოზიტიური სამართალის ფართო გაგება მოიაზრებს საზოგადოებაში მოქმედ ყველა ნორმას, მათ შორის ჩვეულებითი (ადათობრივი) სამართალის ნორმასაც.[442] ჩვეულება (ადათი) სამართლის წყაროს როლს ასრულებს, ხოლო სამართალი კი, ჩვეულებას (ადათს) სამართლებრივი რეგულირებისთვის იყენებს „თუ ისინი არ ეწინააღმდეგებიან ზნეობის ნორმებს...“ (სამოქალაქო კოდექსის მე-2 მუხლის, მე-4 ნაწილი).[443] თავის მხრივ,

---

[439] იხ., იქვე, 66 (პ. 181).

[440] იხილეთ წინამდებარე დისერტაციის ქვე-პარაგრაფი: 1.1.2.1 რომის იმპერია და მისი სამართალისადმი ქრისტიანული დამოკიდებულება.

[441] იხ. *სავანელი ბ.*, სამართლის თეორია, გამომც. „საქართველო“, თბ., 1993, 56.

[442] იხ. *ხუბუა გ.*, სამართლის თეორია, თბ., 2015, 42 (პ. 88).

[443] იხ. *ლობჟანიძე გ.*, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, ქუთაისი, 2000, 309-310.

ზნეობა, ანუ მორალი, როგორც ითქვა, მეტა-იურიდიული კატეგორიაა, რომლის ქვაკუთხედი არის სინდისი, იგივე საღვთო შინაგანი, ბუნებითი სჯული.

განხილული საკითხების მიმოხილვა მართალია, საკმარისია იმ დასკვნის გამოსატანად, რომ პოზიტიური სამართალიც თავისი არსით ტრანსცენდენტულია, მაგრამ საბოლოოდ, რომ დავრწმუნდეთ აღნიშნული დებულების ვალიდურობაში, მიზანშეწონილია სამართლის დეფინიციაში ტრენსცენდენტული ელემენტების იდენტიფიცირება.

1.2.4.2 ტრანსცენდენტული ასპექტები სამართლის დეფინიციაში

სამართლის დეფინიციაში ტრანსცენდენტული ელემენტების იდენტიფიცირებამდე, სამართლის თეორიიდან წარმოდგენილი იქნება რამდენიმე პოსტულატი, კერძოდ:

1. „მეცნიერების არც ერთ დარგს, მათ შორის, ზუსტ მეცნიერებებსაც ყველა კითხვაზე პასუხი არ გააჩნია, და ბევრი სადავო საკითხია იურისპრუდენციაშიც.“[444]

2. „იურისპრუდენცია, 2500 წელზე მეტია, რაც უშედეგოდ ცდილობს ჩამოაყალიბოს სამართლის ცნება, რადგან სამართალი იცვლება დროსთან და გარემოსთან ერთად. შესაბამისად, ცვალებადია სამართლის ცნება და მისი შინაარსიც.“[445]

3. სამართლის ცნების შესახებ არსებული შეხედულებები, ორგვარია:

ა. შეხედულებები, ღირებულებებით ასპექტებზე: ამ შემთხვევაში სამართალი შესასრულებლად სავალდებულოა იმიტომ, რომ ადგენს საზოგადოდ „კარგ“ და „მისაღებ“ ქცევის წესს; სამართალი გამომდინარეობს ბუნებითი ან გონითი კანონიდან; სამართალი თანაბრად ზღუდავს თითოეულის თავისუფლებას;[446]

ბ. შეხედულებები, სამართლის ფორმალურ ნიშნებზე: ამ შემთხვევაში, იურიდიულ მოთხოვნათა სავალდებულობას განსაზღვრავს ფორმა და არა ნორმის შინაარსი. შესაბამისად, იურიდიული ხასიათისაა სახელმწიფო ხელისუფლების ყველა მოთხოვნა, რომელიც მიღებულია სათანადო წესების დაცვით (მიუხედავად მისი შინაარსისა).[447]

4. სამართლის ფორმალური და შინაარსობრივი ასპექტების გათვალისწინებით, გამოყოფენ პოზიტიურ და ბუნებით-სამართლებრივ ცნებებს. ბუნებითი სამართალი (*ius naturale*) ჯერ კიდევ ანტიკური პერიოდიდან განიხილებოდა, როგორც „კარგი“ და „ცუდი“ ქცევის შეფასების მასშტაბი. პოზიტიური სამართალი (*ius positivum*) კი,

---

[444] *ხუბუა გ.*, სამართლის თეორია, თბ., 2015, 32 (პ. 57).

[445] Ruther, B Rechtstheorie, S. 35, ციტირებულია წიგნიდან: *ხუბუა გ.*, სამართლის თეორია, თბ., 2015, 41 (პ. 83).

[446] იხ. *ხუბუა გ.*, სამართლის თეორია, თბ., 2015, 41 (პ. 86).

[447] იხ., იქვე, 42 (პ. 87).

განმარტებულია, როგორც სოციალური ნორმების ერთობლიობა, რომელიც აწესრიგებს ადამიანთა ქცევას საზოგადოებაში.[448]

5. ვიწრო გაგებით, პოზიტიური სამართალი მოიცავს სახელმწიფოს მიერ დადგენილ სამართალს, ხოლო ფართო გაგებით, მოიცავს საზოგადოებაში მოქმედ ყველა ნორმას (ჩვეულებითი სამართალის ნორმასაც).[449]

ობიექტურობა მოითხოვს, რომ სამართლის დეფინირებისას გამოყენებულ იქნას, არა რომელიმე კონკრეტული თეორია, არამედ, ის მიდგომა, რომელსაც ინტეგრაციული იურისპრუდენცია გვთავაზობს. რატომ ინტეგრირებული იურისპრუდენცია? საქმე ისაა, რომ იგი „ორიენტირებულია გამოასწოროს თანამედროვე იურისპრუდენციის ყველაზე სერიოზული შეცდომა: ჩახლართული დაყოფა ღირებულებების, ფაქტებისა და იდეებისა (ფორმებისა).“[450]

მიულერის მიხედვით, ინტეგრაციული იურისპრუდენციის თანახმად, ნებისმიერი ფილოსოფიის ყველაზე სანდო საზომია „ადეკვატურობა”, რომლის მზომელობითი კრიტერიუმებია:

1) შემოსაზღვრულობა - იგი აგებული უნდა იყოს მარტივ, მყარ იდეებზე, რომელიც დასაბუთებადი იქნება ინტელექტუალურად;

2) ყოვლისმომცველობა - იგი ითვალისწინებს სამართლებრივი პრობლემის ყველა არსებით ასპექტს, რამდენადაც ეს შესაძლებელია;

3) თანმიმდევრულობა - პრობლემის გადაწყვეტის დროს დაცული დოქტრინები და მიღებული შედეგები, არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს იმას, რაც შენარჩუნებულია სხვა ადგილას - არა მხოლოდ მკაცრი ფორმალური გაგებით, არამედ ზოგადად უნდა შეესაბამებოდეს იურისპრუდენციას.[451]

აღნიშნული კრიტერიუმების შემოწმებით დგინდება, რომ ბუნებითი სამართლის ფილოსოფია შეცდომას უშვებს ღირებულების, ფაქტისგან დაშორებაში. ამერიკული სამართლებრივი რეალისტური ფილოსოფია კი, შეცდომას უშვებს ფაქტის გაზვიადებაში, ღირებულების ხელოვნურ გამორიცხვასთან მიმართებაში. სამართლებრივი პოზიტივიზმის შეცდომა ისაა, რომ იგი ყველაზე არათანმიმდევრულია, იმის გამო, რომ იგი არის ანტი-ემპირიული და არ გააჩნია ეთიკური ღირებულებები. ეს ახალი ფილოსოფია კი, წარმოადგენს „პლურალიზმს“,

---

[448] იხ. *ხუბუა გ.*, სამართლის თეორია, თბ., 2015, 42 (ბ. 88).

[449] იხ., იქვე.

[450] იხ. *Mueller, G.O.W.*, (1959) “Criminal Theory: An Appraisal of Jerome Hall’s Studies in Jurisprudence and Criminal Theory“, იხილეთ: *Indiana Law Journal*: Vol. 34: Iss. 2, Article 2. გვერდი 207, ვებ-გვერდი: <https://www.repository.law.indiana.edu/cgi/viewcontent.cgi?article=2941&context=ilj>, (მოპოვების თარიღი: 08.09.2019).

[451] იხ., იქვე.

რომელიც „დაჟინებით მოითხოვს არსებითი იდეების, ფაქტებისა და შეფასებების ჩართვას, ადეკვატურობის კრიტერიმებთან მიმართებაში."[452]

ჯ. ჰოლმა, რომელმაც შეიმუშავა ტერმინი „ინტეგრაციული იურისპრუდენცია" და თითოეული სკოლის მიერ შემუშავებულ სამართლის დეფინიციას პატივისცემით ეკიდება, მოგვცა სამართლის უფრო ფართო განსაზღვრება ვიდრე აღნიშნული სამივე სკოლისა, ერთად აღებული. იგი სამართალს განმარტავს, როგორც სოციალური მოქმედების სახეობას, პროცესს, რომელშიც ნორმები, ღირებულებები და ფაქტები ერთმანეთს ერწყმიან და აქტუალიზდებიან.[453]

მ. უგრეხელიძე უპირატესობას ანიჭებს ინტერგირებული იურისპრუდენციის კონცეფციას და განმარტავს, რომ „ბუნებასა და საზოგადოებაში არ არის ყველაფერი დაპირისპირებული. მეზობელ ცნებებში და დისციპლინებში შეიძლება აღმოვაჩინოთ საერთო ელემენტები. *უგრეხელიძის* აზრით, მიუღებელია სამართლის ცალმხრივი, წმინდა ნორმატივისტული გაგება და აუცილებელია სამართლის დეფინიციაში შეწყნარებული იქნას, ასევე არა წმინდა ნორმატიული ხასიათის ელემენტებიც, რადგან შეუძლებელია სამართალში არ ვცნოთ სასამართლო პრეცედენტები და სამოსამართლო დოქტრინები. *მ. უგრეხელიძეს* დასძენს, რომ „სამართალი არის ლოგიკურად მოწესრიგებული სისტემა, სადაც ცნებები, იდეები, კონცეპტები და დოქტრინები ერთმანეთს უკავშირდება არა უწესრიგოდ, არამედ გარკვეული წესით".[454] დაბოლოს, *მ. უგრეხელიძის* აზრით, სამართალი ასევე სამართლიანობასაც ნიშნავს: „სამართალი მხოლოდ ის არ არის რაც მხოლოდ კანონში წერია. სამართალი იმას ნიშნავს, რაც სამართლიანი და სწორია".[455]

რალფ დრაიერისთვის, პოზიტიური სამართლის ცნების ელემენტს წარმოადგენს სამართლის ნამდვილობა.[456] რაც შეეხება *გ. რადბრუხს*, მისთვის „სამართალი სამართლიანობისაკენ სწრაფვაა".[457] თავად სამართლიანობის კრიტერიუმებს, *რადბრუხი*

---

[452] იხ., იქვე.

[453] იხ. *Harold J. Berman*, Toward an Integrative Jurisprudence: Politics, Morality, History, 76 Cal. L. Rev. 779 (1988), 782, <http://scholarship.law.berkeley.edu/californialawreview/vol76/iss4/1>, (მოპოვების თარიღი: 10.09.2019).

[454] იხ. *უგრეხელიძე მ.*, საჯარო ლექცია თემაზე: სამართალი და მართლმსაჯულება, (წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, საქართველოს საპატრიარქოს ტელე-გადაცემა „ღია აუდიტორია", დრო: 43:15-45:28, თარიღი 26.07.2015), <https://www.youtube.com/watch?v=X0Bog8XnnZ0>, (მოპოვების თარიღი: 08.09.2019).

[455] *უგრეხელიძე მ.*, სამართლის უზენაესობა და არა კანონის უზენაესობა, გაზეთი „კვირის პალიტრა", №29 (781), 20-22 ივლისი 2009, 30.

[456] იხ. *დრაიერი რ.*, სამართლის ცნება, (მთრგმნ. *ლ ჭანტურია*), გივი ინწკირველის 70 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული (რედ. *ლ. ჭანტურია*), გამომც., შპს „ნორმა", თბ., 1996, 34.

[457] *რადბრუხი გ.*, სამართლის ფილოსოფიის ხუთი წუთი (მთრგმნ. *დ. გეგენავა*), ჟურნ., „სარჩევი", № 1-2 (3-4), თბ., 2012, 239.

იღებს ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა ტრადიციიდან, უწინარეს ყოვლისა, თანასწორობის პრინციპიდან.[458]

შევნიშნავთ, რომ *ილია ჭავჭავაძეს* სამართალი ფართო გაგებით ესმის, რომელშიც თავისთავად სამართლის ინტეგრირებული მოდელია აღწერილი, მხოლოდ იმ უპირატესობით, რომ მასში პირდაპირ მითითებულია საღვთო სამართალი:

> „სამართალი მარტო ის კი არ არის, რაც სახელმწიფოს მიერაა დადგენილი, არამედ სახელმწიფოს მიერ დადგენილ პოზიტიურ, დადებით სამართალთან ანუ კანონთან ერთად, სამართალს განეკუთვნება ბუნებითი სამართალი, მართალი (ღვთაებრივი სამართალი) და ჩვეულებითი სამართალი. სამართლის ეს სახეები, კერძოდ, პოზიტიური, ბუნებითი, მართალი და ჩვეულებითი სამართალი, წარმოდგენას გვაძლევს განსაკუთრებული სახის სოციალურ მოვლენებზე, რომელსაც საერთო სამართალი ეწოდება.“[459]

ი. ჭავჭავაძეს, ჭეშამრიტებად მიაჩნია *ჰ. მენის* მოსაზრება იმის შესახებ, რომ რჯულიერება, სამართალი, კანონები და მოთხოვნები „დადგენილ არიან ქვეყნიერებაზედ იმიტომ კი არა, რომ ეს ნებავდა ადამიანს, არამედ იმიტომ, რომ მაგას ითხოვდა ეკონომიკური საჭიროება, ერთის მხრივ, და, მეორეს მხრივ, სიმართლე, წარმომდგარი ზნეობითის და სარწმუნოების გრძნობისაგან”.[460]

სამართალის დეფინიციის ტრანსცენდენტულობის კიდევ ერთი ასპექტი, რომელიც ჩვენს ყურადღებას იპყრობს, წარმოდგენილია *ჰ. კრაგესა* და *გ. ნანეიშვილის* ნააზრევში.

ჰოლანდიელი იურისტის, *ჰ. კრაგეს* მიხედვით, „სამართლის გრძნობა ადამიანური მიდრეკილებაა, რომელიც იწვევს გარკვეულ რეაქციას ადამიანთა ყოფაქცევაში, ხოლო ამ რეაქციით წარმოშობილი ნორმები სამართლის ნორმებია.“[461]

ცნობილი ქართველი იურისტის, *გ. ნანეიშვილის* შეხედულებით, არსებობს სამართლის მხოლოდ ერთი წყარო, სახელდობრ, ადამიანში მოძრავი სამართლის გრძნობა, ცნობიერება, რომელსაც თავისი ადგილი აქვს განკუთვნილი ადამიანთა ცნობიერების სამყაროში, მსგავსად სხვა ღირებულებათა დამდგენელი მიდრეკილებისა. აქ ყოველგვარ სამართალს აქვს თავისი საფუძველი, დაკანონებულ, ადათობრივ და დაუწერელ სამართალსაც.[462]

---

[458] იხ. *დრაიერი რ.*, სამართლის ცნება, (მთარგმნ. *ლადო ჭანტურია*), *გივი ინწკირველის 70 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული* (რედ. ლ. ჭანტურია), გამომც., შპს „ნორმა“, თბ., 1996, 35.

[459] *ჭავჭავაძე ი.*, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ 135, წიგნიდან: *აბაშმაძე ვ.*, ილია ჭავჭავაძე - სახელმწიფოსა და სამართლის პრობლემები, გამომც. „განათლება“, თბ., 1987, 300.

[460] იხ., იქვე, 224.

[461] Krabe, Die modern Staatsidee, გვ., 46, ციტირებულია წიგნიდან: *ნანეიშვილი გ.*, სამართლის ნამდვილობა და ცდა ნორმატიული დასაბუთებისა (მდივანი *ირ. სურგულაძე*), თბ., 1929, 128.

[462] იხ. *ნანეიშვილი გ.*, დასახ. ნაშრ., 129.

ნანეიშვილის აზრით, საზოგადოდ კანონი, რომელიც ამ საფუძველს არ ემყარება, არ არის სამართალი, ის უვარგისია, როგორც არ უნდა ემორჩილებოდნენ მას - ნებით თუ იძულებით. სამართლის გრძნობა, ცნობიერება, ბუნებისაგან ადამიანის ფსიქიკაშია ჩანერგილი და ფსიქოლოგიური ფაქტია, რომელიც განსაკუთრებული ბუნებისაა, ისევე როგორც ზნეობრივი ცნობიერება.[463]

დაბოლოს, სამართლის გაგების თანამედროვე ტენდენციასთან დაკავშირებით *მ. ჰოეკე* განმარტავს, რომ არაოფიციალური სამართლის მრავალი ფორმა, ანუ სამართალი, რომელიც არ იქმნება და არც პირდაპირ არის აღიარებული სახელმწიფოს მიერ, როგორც ასეთი, არ იწოდება „სამართლად" ზოგადად, სამართლებრივ და არასამართლებრივ საუბარში. თუმცა, დღესდღეობით მეტი და მეტი სამართლის თეორიტიკოსი აღიარებს მას, როგორც რეალურ „სამართალს".[464]

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ძნელი არ უნდა იყოს სამართალის დეფინიციაშიც ტრანსცენდენტული ბუნების აღმოჩენა, რადგან:

ა. „კანონი სულიერია, და მოითხოვს ფარული აზრების, სურვილების და გულის მიდრეკილებების ცოდნას,"[465] რაც სამართალში ბიბლიური სწავლების რეპლიკაციაა, რადგან როგორც *პავლე მოციქული* ამბობს „რჯული სულიერია" (რომ. 7, 14);

ბ. სამართლის გრძნობა, რომელიც ადამიანის ფსიქიკაშია ჩანერგილი, სხვა არაფერია თუ არა საღვთო შინაგანი რჯული, იგივე სინდისი, რომელიც განსაკუთრებული ბუნებისაა, ისევე, როგორც ზნეობრივი ცნობიერება;[466]

გ. სამართალი და სამართლიანობა ტრანსცენდენტულია, რადგან თავად ღმერთია სამართალი და მისი ყველა გზა სამართლიანია (იხ.: რჯლ. 32, 4; ფსალმ. 11, 7; 32, 5; 114, 5; ეს. 61, 8);

დ. იდეა, მორალი, სიდისი, პრინციპი, გრძნობა, სამართლიანობა, ღირებულება და ა.შ. ტრანსცენდენტული ბუნების ნაწილებია.[467]

სამართლში ტრანსცენდენტული საფუძვლების დადგენის შემდეგ, კონცეპტუალურ დონეზე იმის მტკიცება, რომ საღვთო და პოზიტიური სამართალი თავსებადია, და შესაბამისად, ბიბლიური ნორმების პრაქტიცირება პოზიტიურ სამართალში, სამართალშემოქმედებაში და მართლმსაჯულებაში დასაშვებია, ლოგიკურია, მით უფრო, თუკი ბიბლიას ვაღიარებთ პოზიტიური სამართალის წყაროდ. მაგრამ არის კი, სინამდვილეში საღვთო და პოზიტიური სამართალი თავსებადი?

აღნიშნული საკითხის დაყენება განპირობებულია იმით, რომ სამართლის თეორიაში, ისეთი ტრანსცენდენტული კატეგორია, როგორიც არის მორალი ყოველთვის

---

[463] იხ., იქვე, 129.

[464] იხ. *Hoecke M.V.*, Law as Communication, (European Academy of Legal Theory Monograph Series), „Hart" Publishing, Oxford-Portland Oregon, USA, 14.

[465] Short Comments on Every Chapter of the Holy Bible, (the Religious Tract Society), London, 1839, 86.

[466] იხ. *ნანეიშვილი გ.*, დასახ. ნაშრ., 129.

[467] იხ. *ხუბუა გ.*, სამართლის თეორია, თბ., 2015, 113 (ჰ. 296).

არ შეესაბამება ქრისტიანულ მოძღვრებას, მიუხედავად იმისა, რომ ათი მცნება საფუძვლად დაედო ყოველგვარ მორალს და შეიძინენ ზოგადსაკაცობრიო და სამართლებრივი მნიშვნელობა.

1.2.4.3 საღვთო და პოზიტიურ სამართლში მორალის კონცეპტი

სამართალის თეორიაში მორალი კულტურაზე, რელიგიაზე ან ფილოსოფიურ მსოფლმხედველობაზე დაფუძნებული ადამიანთა ქცევის წესების სისტემაა. მას ხშირად განმარტავენ, როგორც „შინაგან ვალდებულებას“, რომელსაც სინდისი განსაზღვრავს და არეგულირებს ადამიანთა ქცევას.[468] ადამიანთა ქცევის წესები იყოფა ორ ჯგუფად: 1. ქცევის ინდივიდუალური წესები (რომელსაც ინდივიდი ავტონომიურად, ე.ი. საკუთარი ნებით განსაზღვრავს) და 2. სოციალური ნორმები (რომელსაც სოციალური გარემო სავალდებულოდ ადგენს). ამ კლასიფიკაციის საფუძველზე ერთმანეთისაგან განასხვავებენ ინდივიდუალურ და კონვენციურ მორალს.[469]

კონვენციური მორალი, ეფუძნება საზოგადოების მნიშვნელოვანი უმრავლესობის წარმოდგენებს და ბევრად განსაზღვრავს ინდივიდუალური მორალის შინაარს.[470] ადამიანთა უმრავლესობა კონვენციური მორალის გავლენით ცდილობს დაიცვას საზოგადოებაში მიღებული ქცევის წესები, ხოლო საზოგადოებრივი მორალი დიდ გავლენას ახდენს სახელმწიფო ხელისუფლებაზე.[471] გარდა ამისა, საზოგადოების მორალი დროის შესაბამისად იცვლება.[472] ამითაც აიხსნება ის ფაქტი, რომ „თუკი ბუნებითი სამართლის პოზიციიდან, უსამართლო კანონი არ არის კანონი, პოზიტივისტური სამართლის თვალსაზრისით, კანონი შეიძლება იყოს მოქმედი მაშინაც კი, თუ იგი არღვევს მორალს.“[473]

ამგვარად, პოზიტიური სამართლისთვის განმსაზღვრელია საზოგადოების მნიშვნელოვანი უმრავლესობის წარმოდგენები, მაშინ როდესაც ქრისტეს რჯულის მორალი,[474] ყოველთვის სინდისისმიერია, ადამიანის შინაგანი, ბუნებითი, საღვთო კანონია, და შესაბამისად, მარადიულია. სხვაგვარად რომ ითქვას, ქრისტიანული მორალისთვის განმსაზღვრელია ღმერთი და მისი ნება.

სწორედ ამის გამო, ქრისტიანული სამართალი, ყოველთვის უცდომელი, უცვლელი და მარადიულია, რაც ვერ ითქმება პოზიტიურ სამართალზე, კონვენციურ და

---

[468] იხ., იქვე, 76-77 (პ. 193-195).
[469] იხ., იქვე, 77 (პ. 195).
[470] იხ., იქვე, (პ. 167).
[471] იხ., იქვე.
[472] იხ., იქვე, (პ. 168).
[473] *Burnside J.*, God, Justice, and Society, Aspects of Law and Legality in the Bible, Oxford University Press, Oxford, 2010, 68.
[474] იხ. *ხუბუა გულ.*, ქრისტიანული მორალი და პიროვნების ფორმირება, გამომც. „სამშობლო“, თბ., 1997, 19.

ინდივიდუალურ მორალზე, რადგან, იგი ეფუძნება საზოგადოების მნიშვნელოვანი უმრავლესობის წარმოდგენებს, რომელიც იცვლება დროთა განმავლობაში.

საზოგადოების უმრავლესობის აზრი, ვერ გამოდგება პოზიტიური სამართლისა და მორალის ჭეშმარიტების კრიტერიუმად. ამას ადასტურებს წარღვნის წინა პერიოდში პირველქმინლი საზოგადების გადაგვარების ფაქტიც.[475]

აღნიშნულ საკითხზე, მიზანშეწონილია გაანალიზდეს საქართველოს უახლოეს წარსულში მომხდარი ყველასათვის ცნობილი ფაქტი, კერძოდ:

წმ. აღმსარებელმა და სალოსმა, მამა გაბრიელმა, ღვთისა და მოყვასის სიყვარულით (მათ. 22, 37-39) აღვსილმა, ქრისტეს მსგავსად, კაცობრიობის გადასარჩენად, გადადგა საკუთარი თავის მსხვერპლად შეწირვის ნაბიჯი და კომუნისტური პარტიის აღლუმზე, 1965 წლის 1 მაისს, ცეცხლი წაუკიდა ვ. ლენინის პორტრეტს, რითაც აღასრულა სახარებისეული მცნება: „*ამისთვისა ხართ ხმობილნი, ვინაიდან ქრისტეც ჩვენთვის ევნო და დაგიტოვათ მაგალითი, რათა მისდიოთ მის კვალს*“ (1 პეტრე 2, 21).

ბერი გაბრიელი გაასამართლეს სისხლის სამართლის კოდექსის 71-ე მუხლის 1 ნაწილით, რაც ანტისაბჭოთა პროპაგანდას ითვალისწინებდა და იმავე წლის 12 მაისს თბილისის №1 იზოლატორში შეასახლეს.[476]

აღნიშნული ფაქტის შესაფასებლად საყურადღებოა ცნობილი ფრანგი სოციოლოგისა და კრიმინოლოგის, *ე. დიურკჰეიმის* დასკვნა, სოკრატეს გასამართლებასთან დაკავშირებით, რაც შემდეგში მდგომარეობს:

> „ათენის სამართლის მიხედვით, სოკრატე დამნაშავე იყო და მისი გასამართლება იყო სრულიად სამართლიანი (იგულისხმება „ლეგიტიმური“ - შენიშვნა ჩვენია). თუმცა, მისი დანაშაული - რომელიც მდგომარეობდა აზრის განსხვავებულობაში - იყო სასარგებლო, არა მხოლოდ კაცობრიობისთვის, არამედ მისი ქვეყნისთვისაც. იგი ამზადებდა ახალ ზნეობასა და რწმენას ... .“[477]

მართალია, *სოკრატესა* და *წმ. მამა გაბრიელის* ღვაწლი განსხვავებულია, მაგრამ კონცეპტუალურად მსგავსია.

წმ. ბერი გაბრიელის ქმედება ემსახურებოდა საზოგადოების გამოფხიზლებას, რასაც კარგად მიესადაგება *გულ. ხუბუას* სიტყვები: „ცოდვილი ადამიანი არ შეიძლება იდეალური იყოს მისივე მსგავსისთვის და მით უმეტეს ანტიქრისტე -

---

[475] იხილეთ წინამდებარე დისერტაციის ქვე-პარაგრაფები: 1.1.1.1 სახელმწიფო და სამართალი პირველქმნილ ადამიანთა საზოგადოებაში; 1.1.2.1 რომის იმპერია და მისი სამართალისადმი ქრისტიანული დამოკიდებულება.

[476] იხ. *ჯინორია მ.*, თქვენი სიცოცხლე ჩემი სიცოცხლეა, გამომც. „პერგამენტი“, თბ., 2019, 58.

[477] *Durkheim E.*, The Rules of Sociological Method, (translated by *W.D. Halls*), the Free Press, London, 1982, 102.

ქრისტიანისთვის“.[478] წმიდანის კანონსაწინააღმდეგო ქმედება მოასწავებდა ხალხში ქრისტე ღმერთის რწმენის დაბრუნებას და ამით, ადამიანთა სულების გადარჩენას. ეს კი, სასარგებლო იყო არა მხოლოდ საქართველოში მცხოვრები ადამიანებისთვის, არამედ ზოგადად კაცობრიობისთვის.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ *წმ. ილია მართალი* ამართლებს ისეთ „დანაშაულს“, რომელიც ობიექტური გარემოებებით არის განპირობებული და არ გამომდინარეობს პიროვნების უზნეო საქციელიდან. მისი სიტყვებია:

> „თუ ქმედება პიროვნების ბოროტი თვისებებიდან არ იღებს სათავეს, არამედ ობიექტურმა პირობებმა განსაზღვრეს, იგი ბოროტებად ანუ დანაშაულად არ ჩაითვლება და არც უნდა დაისაჯოს, რადგან არ წარმოადგენს დანაშაულს.“[479]

როგორც ვხედავთ, აქსიოლოგიური თვალსაზრისით, ყველაზე კეთილშობილური საქციელი (ადამიანთა სულების გადარჩენა), სახელმწიფო (პოზიტიური) სამართლით კვალიფიცირდება უმძიმეს დანაშაულად. ასეთ ტრაგიკომიკურ რეალობას საკმაოდ კარგად მიესადაგება ქართველი კრიმინოლოგის, *გ. თოდრიას* შემდეგი სიტყვები:

> „პარადოქსია, მაგრამ ახალი აღთქმის წარმოდგენები ადამიანების უძველესი წარმოდგენებია, რომლებიც არსის კატეგორიებით სარგებლობენ. ამიტომ თეოლოგიური ხედვა უფრო რეალურია, ხოლო იურიდიული - ვიწრო, პრაქტიკული, არარეალური. თუმცა რიგი ადამიანების შეგნებაში თეოლოგიური სამყარო საიქიოდ აისახება, ხოლო სახელმწიფოსა და სამართლის - სააქაოდ. ასწლეულების განმავლობაში ამგვარი „ყირამალა“ ხედვის ავტორი იყო და ჯერაც არის სახელმწიფო, რომლის მსახურთათვის საზოგადოება სახელმწიფო განაწესების გარეშე არის ჰადესის სამეფო. ადამიანები ჯერაც ამ იდეის ტყვეობაში არიან, რომელსაც ვხედავთ სახელმწიფო პრაქტიკაში.“[480]

აღნიშულ საკითხზე განსაკუთრებით საინტერესოა ზოგადად სალოსების ცხოვრება, რომლის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო თავად *წმ. აღმსარებელი და სალოსი მამა გაბრიელი.*

ტერმინი „სალოსი“ (*salos*) ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს „შეშლილს“, „შერყეულს“, „სულელს“. ეს მოღვაწეობის განსაკუთრებული ფორმაა. სალოსები

---

[478] *ხუბუა გულ.*, ქრისტიანული მორალი და პიროვნების ფორმირება, გამომც. „სამშობლო“, თბ., 1997, 89.

[479] *მეტრეველი ვ.*, ილია ჭავჭავაძის თვალსაზრისი დანაშაულზე, (გივი ინწკირველის 70 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული; რედ. *ლ. ჭანტურია*), გამომც., შპს „ნორმა“, თბ., 1996, 205.

[480] 1. *თოდრია გ.*, კრიმინოლოგია საქართველოში, ციტირებულია წიგნიდან: კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემა (მთ. რედ. *გ. ღლონტი*), თბ., 2003, 190; 2. *თოდრია გ.*, დანაშაულობა ახალი აღთქმის მიხედვით „სამი ჯვრის“ მოძღვრება, ჟურნალი „ალმანახი”, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, № 14, თბ., 2000, 46.

ამხელდნენ ამა ცხოვრების ბოროტებას, როგორც სიტყვით, ისე მოქმედებით - ეს სახელი მათ ეწოდათ ბიბლიიდან *„ჩუენ სულელ ქრისტესთვის...“* (1 კორ. 4, 10).[481]

სალოსნი ანუ ქრისტესთვის სულელნი - არიან წმინდანნი, რომელნიც გარეგანი გონებაშეშლილობის მიღმა ფარავდნენ ამა სოფლისაგან დიდ ღვაწლსა და ღვთისაგან მომადლებულ ნიჭს.[482]

სალოსობის შესახებ სწავლებანი გადმოცემული აქვს პავლე მოციქულს ეპისტოლეში კორინთელის მიმართ (1 კორ. 1, 18, 20-21, 23, 25; 3, 19; 4, 10).[483]

სალოსებთან დაკავშირებით ირკვევა, რომ „სალოსები, ღვთისადმი მგზნებარე სიყვარულით აგზნებულნი, ნებით განუდგნენ არა მარტო ამქვეყნიურ კეთილდღეობასა და სიკეთეს, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა უპირატესობას, ყველაზე ახლობელ და სისხლით ნათესავებს, არამედ მთელი თავიანთი შინაგანი თვითშეგნებით უარი თქვეს ამქყვეყნიურთა შორის ადამიანის ყველაზე არსებით განმასხვავებელ - ჩვეულებრივი გონების გამოყენებაზე.“[484] „გონების განდგომით, რომელსაც ხილულ სამყაროში ვერაფერი შეედრება, ადამიანი კარგავს ყველაფერს, რაც მის ჭეშმარიტ დიდებას, ჭეშმარიტ ღირებულებას შეადგენს და ჯანსაღი გონებით, მიიღოს სულელის სახე, უდიდესი მსხვერპლია.“[485]

წმ. პავლე მოციქულის ტერმინოლოგიით, სალოსი შინაგანად წმინდად და ღვთივსათნოდ ცხოვრობს, გარეგნულად კი, საზოგადოებაში არსებული ქცევისა და ურთიერთობის ყველანაირ ნორმას უგულებელყოფს. ისინი ხალხისაგან ვერანაირ კეთილგანწყობას, თანაგრძნობას, პატივისცემას, დაფასებას ვერ იღებენ და უკიდურეს ცოდვილებადაც კი მიიჩნევიან. ეს იმის გამო ხდება, რომ მათი ღვაწლი, წმინდა და ღვთის სათნო ცხოვრება დაფარულია გარშემომყოფთათვის.[486]

სალოსები, ძველ წინასწარმეტყველთა მსგავსად, არ ერიდებოდნენ პირში ეთქვათ ამა ქვეყნის ძლიერთათვის მწარე სიმართლე. ეპყრათ რა მომავლის წინასწარმეტყველების ნიჭი.[487] სალოსი ლაპარაკობს სიმართლეს პატარა დაფიქრების გარეშე ან უკან მოუხედავად, მისი უდიდებულესობა თვითმპყრობელი მეფის მიმართაც კი. სალოსი საპირისპირო წესრიგით უცხადებს გამოწვევას ჩვენ დაცემულ სამყაროს

---

[481] მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიის მოძღვრების საფუძვლები, (შემდგ. *დ. შოვნაძე, ნ. ჩაჩიბაია*), თბ., 2013, 80.

[482] იხ., იქვე.

[483] იხ. *ლეონტიოს ნიკოპოლელი,* ცხოვრებაი და განგებაი ამბა სვიმეონისი რომელსაც ეწოდა ღმრთისათვის სულელ, (გამომცემელი *გ. ბარდაძე*, მთრგმნ. *ზვ. დევდარიანი*), თბ., 2014, 4.

[484] *ნიკოლაიშვილი ო.*, ღვთისათვის სულელნი, სალოსი მამების ცხოვრება და მოღვაწეობა, სალოსური ღვაწლის განმარტება, თბ., 2004, 8.

[485] იხ., იქვე, 12.

[486] იხ. *ნავროზაშვილი თ.*, „ვინ არიან სალოსები?“, საზოგადოებრივ რელიგიური ინტერნეტ ჟურნალი „ამბიონი“, 2009, <www.ambioni.ge/vin-arian-salosebi>, (მოპოვების თარიღი: 17.07.2015).

[487] იხ. *ლეონტიოს ნიკოპოლელი,* ცხოვრებაი და განგებაი ამბა სვიმეონისი რომელსაც ეწოდა ღმრთისათვის სულელ, (გამომცემელი *გ. ბარდაძე*, მთრგმნ. *ზვ. დევდარიანი*), თბ., 2014, 8-9.

„ჯანსაღ აზროვნებას“ და „ზნეობრივ გრძნობებს“. ისინი ხელმძღვანელობენ არა ამქვეყნიური კანონებით, არამედ ღვთის ხმით, რომელიც მის გულში ისმის.[488]

არქ. მამა გიორგი ბასილაძის სწავლებიდან ვგებულობთ:

> „სალოსები, იგივე წმიდანები, **მოქმედებენ ადამიანების გადასარჩენად ადამიანური კანონების დარღვევით**. ადამიანთა სულების გადასარჩენად წმიდანები არღვევდნენ წესებს, ნორმებს და კანონებს ხილულად, სინამდვილეში ისინი არაფერს არ არღვევდნენ, ეს ცოდვილებს ეჩვენებათ ასე, რადგან ისინი ხედავდნენ მხოლოდ ხილულ „ცუდ საქციელს“, მაგრამ ვერ ხედავდნენ თუ რა სულის სასარგებლო უხილავი ქმედება იმალებოდა ამ საქციელის მიღმა. **ის რაც მორწმუნეთათვის კანონია, წმიდანისთვის კანონი არაა! წმიდანები „კანონგარეშენი“ არიან. მორწმუნე თავისი გადასახედიდან იყურება. მისი გონება ვერ წვდება. წმიდანი სულ სხვა საფეხურზეა და მისთვის სულ სხვა კანონების დაცვაა სავალდებულო!..**“[489]

ქრისტიანობის ისტორიაში, ხშირია შემთხვევები, როდესაც სალოსები არღვევენ სახელმწიფოს მიერ დადგენილ უსამართლო ნორმებს, რისთვისაც ისინი იდევნებოდნენ.[490]

ამგვარად, მომავალში, რომ აღარ განმეორდეს, კაცობრიობისთვის სიკეთის მომტანი, მაგრამ უმრავლესობის მორალით მიჩნეული „კანონსაწინააღმდეგო“ ქმედებების დანაშაულად შერაცხვა და წმიდა ადამიათა დასჯა, სულ მცირე აუცილებელია:

1. მარტირთა და წმიდანთა დევნის საქმეების მეცნიერული გამოკვლევა და სამართლებრივი ხარვეზების გამოვლენა, და

2. სამართლის ღირებულებათა და სისხლის სამართლის პოლიტიკის სრულყოფა. მით უფრო, რომ სამართლის თეორია აღიარებს, რომ სახელმწიფოს მიერ ყველა ფორმალური წესით მიღებული ნორმა შეიძლება იყოს უსამართლო, რომ კაცობრიობის ისტორია „კანონიერი უსამართლობის“ ბევრ მაგალითს იცნობს.[491]

იურიდისპრუდენცია ასევე აღიარებს იმასაც, რომ ყველა არაგონივრული ქცევა არ შეიძლება განვიხილოთ როგორც უსამართლო, რადგან ყველა არამიზანშეწონილი ნორმა

---

[488] იხ., იქვე, 57- 58.

[489] *ჩაგუნავა ა., ვეკუა ი.*, დასახ. ნაშრ., 129.

[490] დაწვრილებითი ინფორმაციისთვის იხ.: 1. *ჯინორია მ.*, თქვენი სიცოცხლე ჩემი სიცოცხლეა (განახლებული და შევსებული გამოცემა), თბ., 2013; 2. *ბარდაძე გ.*, ნეტარი სვიმეონ სალოსის ცხოვრება, (რუსულიდან მასალები თარგმნა *ზვ. დევდარიანმა*), თბ., 2014; 3. *ნიკოლაიშვილი ო*, ნიესიმე სალოსი, თბ., 2004; 4. *ნიკოლაიშვილი ო.*, ღვთისთვის სულელნი, სალოსი მამების ცხოვრება და მოღვაწეობა, სალოსური ღვაწლის განმარტება, თბ., 2004.

[491] იხ. *ხუბუა გ.*, სამარათლის თეორია, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2004, 66, (პ. 181).

არ არის უსამართლო.[492] ასევე, სამართლიანი (ანუ კანონიერი) შეიძლება უზნეო იყოს, ხოლო ზნეობრივი - უსამართლო (ანუ უკანონო).[493]

აქვე გავიხსენებთ *წმ. ილია მართლის* მოსაზრებას: „სიმართლე, როგორც წესი, უმრავლესობის აზრია, მაგრამ ძალადობის თავიდან ასაცილებლად, კანონმდებელმა უმრავლესობის აზრი კრიტიკულად უნდა შეაფასოს. ზოგჯერ მართალი და ჭეშმარიტია არა უმრავლესობის, არამედ უმცირესობის აზრი. ამიტომ კანონის დადგენისას ხანდახან ხმები კი არ უნდა დაითვალოს, არამედ უნდა აიწონოს.“[494]

უმრავლესობის აზრის გამორიცხვა და სიმძიმის ტვირთის გადატანა „აწონვაზე“ ნიშნავს იმას, რომ პოზიტიური სამართლის (მორალის/სინდისის) ჭეშმარიტების კრიტერიუმად აღიარებული უნდა იქნას ღმერთის ნება და მისი სამართალი, რადგან:

1. კაცის სულთა ამწონი უფალია (იგავ. 16, 2); 2. ღმერთის სამართალი უცდომელი, უცვლელი და მარადიულია; 3. ათი მცნება საფუძვლად დაედო ყოველგვარ მორალს, შეიძინა ზოგადსაკაცობრიო და სამართლებრივი მნიშვნელობა; 4. ბუნებითი სამართალი თანდაყოლილია ყოველი ადამიანისათვის, კრებულია ზნეობრივი დადგენილებებისა, რომლებიც სინდისისაგან მომდინარეობენ და წინ უსწრებს ყველა სხვა სამართალს.[495]

დაბოლოს, საღვთო სამართალის ჭეშმარიტების კრიტერიუმის მართებულობას, ასევე ადასტურებს *გულ. ხუბუას* შემდეგი სიტყვები: „სწორედ ის მორალი, რომელიც მოწყვეტილია ქრისტეს რჯულის მორალს კატასტროფამდე მიჰყავს კაცობრიობა“.[496]

შესაბამისად, სამართლის თეორიაში აღიარებული დებულება, რომ „ნებისმიერი სამართალსაწინააღმდეგო[497] ქცევა, ასევე წარმოადგენს ამორალურ საქციელსაც“,[498] ყოველთვის არ გულისხმობს ცოდვას და ამორალურ საქციელს ქრისტიანული მოძღვრების თვალსაზრისით, რაც ყველაზე კარგად უსამართლო ნორმისა[499] და სალოსების შესახებ სწავლებამაც დაგვანახა.

პოზიტიური სამართლი რომ არ არის ორიენტირებული საღვთო მორალზე, ამაზე მეტყველებს სამართლის თეორიაში არსებული შემდეგი პოსტულატებიც:

1. სამართალში „ზნეობის მინიმუმის“ გათვალისწინება ნაკარნახევია არა სამართლის მორალიზების მიზნით, არამედ იმიტომ, რომ სამართალმა მოიპოვოს

---

[492] იხ. *ხუბუა გ.*, სამარათლის თეორია, თბ., 2015, 89, (პ. 227).

[493] იხ. *ერქომაიშვილი ვ.*, ფილოსოფია, თბ., (წელი არ არის მითითებული), 258.

[494] *ჭავჭავაძე ი.*, თხზ. სრ. კრებული, ტ. 3, გვ. 473, წიგნიდან: *აბაშმაძე ვ.*, ილია ჭავჭავაძე - სახელმწიფოსა და სამართლის პრობლემები, გამომც. „განათლება“, თბ., 1987, 247.

[495] იხ. *ბუმისი ჰ. ი.*, კანონიკური სამართალი (მეორე გადამუშავებული გამოცემა; ბერძნულიდან თარგმნა *ი. გარაყანიძემ*), ათენი-თბ., 2010, 10.

[496] *ხუბუა გულ.*, ქრისტიანული მორალი და პიროვნების ფორმირება, გამომც. „სამშობლო“, თბ., 1997, 19.

[497] შენიშვნა: უმჯობესია ავტორს „სამართალსაწინააღმდეგო“-ს მაგივრად გემოეყენებინა ტერმინი „მართლსაწინაღმდეგო“.

[498] სამოსამართლო ეთიკა, (რედ. *ნ. დ. ერიაშვილი*), თბ., 2016, 54.

[499] იხილეთ წინამდებარე დისერაციის პარაგრაფი: 1.1.2.1 რომის იმპერიის სამართალისადმი ქრისტიანული დამოკიდებულება, 1.1.2.4 შეჯამება.

საზოგადოებრივი აღიარება: „სამართალმა უნდა გაითვალისწინოს მორალის განსაზღვრული ელემენტარული მოთხოვნები (წინააღმდეგ შემთხვევაში, სამართალი ვერ პოვებს საზოგადოებრივ აღიარებას)";[500]

2. სამართლის სისტემა ზოგადად სამართლიანია, მაგრამ არა ყველა შემთხვევაში;[501]

3. სამართალი ნეიტრალურია მორალური ღირებულებების მიმართ;[502]

4. სახელმწიფოს მიერ ყველა ფორმალური წესით მიღებული ნორმა შეიძლება იყოს უსამართლო;[503]

5. ეთიკურ კატეგორიათა სამართლის დარგში გადატანა დაუშვებელია. ზნეობის პოსტულატებს ადგილი არ უნდა ჰქონდეს სამართლის სფეროში, რადგან, სამართლებრივი ურთიერთობანი, ზნეობრივისაგან განსხვავებით, ემორჩილებიან მხოლოდ მიზეზობრიობის კანონს (*ე. ფოიერბახი*),[504] და სხვა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ძნელია იმის მტკიცება, რომ საღვთო და პოზიტიურ სამართალში, სინდისსა და მორალს ბოლომდე აქვთ შინაარსობრივი თანხვედრა. აქედან გამომდინარე, პოზიტიური სამართალის მორალი, ყოველთვის ვერ ჩაითვლება ჭეშმარიტების დადგენის კრიტერიუმად. ჭეშმარიტების კრიტერიუმი შეიძლება იყოს მხოლოდ ის, რაც უცდომელი, უცვლელი და მარადიულია. ასეთი კი შეიძლება იყოს საღვთო, ქრისტიანული, იგივე მართალი ანუ ბუნებითი სამართლი და არა ცოდვილი ადამიანის ინტელექტის პროდუქტი.

შესაბამისად, სამოსამართლო ეთიკის წიგნში გაკეთებული დასკვნა, - „კანონმდებლობის ეფექტურობა იქნება შეუდარებლად მაღალი დონის, თუ მისი მითითებები დაემყარება ზოგადსაკაცობრიო მორალურ პრინციპებს",[505] - ბოლომდე რომ იქნას გაზიარებული, სიტყვა „ზოგადსაკაცობრიომ" უნდა შეიძინოს უცდომელობის, უცვლელობისა და მარადიულობის შინაარსი.

აღნიშნულ მოცემულობას მივყავართ შემდეგ კითხვამდე: შეუძლია თუ არა ადამიანს დაადგინოს ღვთის ნება, რადგან როგორც *ვ. ერქომაიშვილი* აღნიშნავს, სინდისი სუბიექტური განცდაა, რომელიც სხვებს არ შეუძლია უშუალოდ წვდეს და გაიგოს, სინდისის ქეჯნის წვდომის საიმედო და ერთმნიშვნელოვანი კრიტერიუმი, არ არსებობს.[506] გარდა ამისა, *ტ. ბიორგო* უთითებს „ხშირი ქურდობა სინდისზე იმდენად

---

[500] *ხუბუა გ.*, სამართლის თეორია, თბ., 2004, გვ. 63.

[501] იხ. *ხუბუა გ.*, სამართლის თეორია, გამომც. „მერიდიანი", თბ., 2015, 83, (პ. 211).

[502] იხ. *ხუბუა გ.*, სამართლის თეორია, გამომც. „მერიდიანი", თბ., 2004, 63.

[503] იხ., იქვე, 66, (პ. 181).

[504] იხ. *ვაჩეიშვილი ალ.*, სასჯელი და სოციალური დაცვის ღონისძიებანი, თსუ-ს გამომცემლობა, თბ., 1960, 42.

[505] სამოსამართლო ეთიკა, (რედ. *ნ. დ. ერიაშვილი*), თბ., 2016, 59.

[506] იხ. *ერქომაიშვილი ვ.*, *ადამიანი, თავისუფლება, იდეოლოგია*, თბ., 2002, 188.

დიდ გავლენას ახდენს, რომ ადამიანები საერთოდ არაფერს გრძნობენ."[507] უფრო მეტიც, თავად წმინდა წერილი გვეუბნება, რომ სინდისი პიროვნულია, თანაც ზოგიერთის სინდისი გასასტიკებული და წაბილწულია (ფსალმ. 9, 25; 1 ტიმ. 4,2; ტიტ. 1, 15; 3, 11).

აღნიშნულ საკითხში გარკვევა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც იგი დაგვანახებს, რეალისტურია თუ არა საღვთო სამართალის ჰარმონიზაცია პოზიტიურ სამართლში, სამართალშემოქმედებასა თუ მართლმსაჯულებაში.

1.2.4.4 პოზიტიურ სამართალში ღვთის ნების დადგენის საკითხისთვის

წმ. ნიკოდიმოს მთაწმინდელის სწავლებით, არსებობს მრავალნაირი სინდისი: სუფთა, ცბიერი და ვნებით წაბილწული. *წმიდა მამა* აღნიშნავს, რომ „თუ არ გაანალიზდება სწორად და კარგად, ვერ გვასწავლის მართებულ მოქმედებას", და იქვე დასძენს, რომ „ნუ დაუჯერებ ყოველთვის შენ სინდისს, იფიქრე მისი კარნახი წმინდა წერილის მცნებებს ეთანხმება თუ არა, განუცხადე სულიერ მოძღვარს და რჩევა ჰკითხე, რომ არ შეცდე."[508] *წმიდა მამის* განმარტებით, როდესაც ადამიანის გონება ვნებებით არ არის დაბინდული, თავისუფალი და სუფთაა, გონებას შეუძლია ჭეშმარიტების შეცნობა. ადამიანმა თავი უნდა დაიცვას ვნებიანი სიყვარულისაგან და საგნის მეტისმეტი სიძულვილისაგან, სანამ კარგად არ შეისწავლის გონების სინათლითა და საღმრთო წერილის სიტყვის თანახმად, მადლისა და ლოცვის სინათლით, სულიერი მოძღვრის რჩევით.[509]

ირკვევა, რომ „ღვთის ნების ენერგიის შეგრძნებისას გონება ნათდება და ცხადდება უფლის ნება გულით გაწმენდილთათვის, ხილვით და ღმრთივსულიერი სიტყვით. განწმენდილ გულში უფლის მადლი ამოქმედდება: ეს მადლი ვლინდება სიცოცხლის სიხარულში, გამოუთქმელ სიხარულში, სულიერ აღტაცებაში, მდუმარებაში, გულისმიერ ცრემლში, ღვთიურ სიყვარულში და სხვა ღმრთივსათნო გრძნობებში, რაც მხოლოდ უფლის ნებით იბადება. ამ გრძნობებით გვანიშნებს ღმერთი, რომ ჩვენი ქმედება მისი ნებაა. მანამდე კი ვალდებულნი ვართ უფლის წინაშე მხურვალე და წმინდა ლოცვა აღვავლინოთ ერთხელ, ორჯერ და მრავალჯერ."[510]

დეკ. კონსტანტინე ჯინჭარაძე აღნიშნავს, რომ სინდისზე საქმის მინდობა მაშინ ღირს, როცა ღმერთი მართავს სინდისს და მასზედაა დამოკიდებული ადამიანის ცხონება ან წარწყმედა.[511]

ქრისტიანული ეთიკა გვეუბნება, რომ „ქრისტიანებს შეუძლიათ განსაზღვრონ ნებისმიერი სიტუაციისათვის ეთიკური კურსი წმინდა წერილში მოცემული

---

[507] *გიორგო ტ.*, დასახ. ნაშრ., 75.
[508] *წმ. ნიკოდიმოს მთაწმინდელი,* დასახ. ნაშრ., 160.
[509] იხ., იქვე, 93, სქ. 24.
[510] *წმ. ნიკოდიმოს მთაწმინდელი,* დასახ. ნაშრ., 29, სქოლიო 1.
[511] იხ. *დეკ. კონსტანტინე ჯინჭარაძე,* ჭეშმარიტი თავისუფლება (რედ. *თ. მორგოშია*), თბ., 2013, 165.

პრინციპებით. ზოგიერთ შემთხვევაში ეს მარტივია, მსგავსად ქრისტიანების ცხოვრების წესებისა, რომლებსაც პირველ კორინთელთა მესამე თავში ვხვდებით, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში დაგვჭირდება მეტი კვლევა-ძიება. ამის ყველაზე საუკეთესო საშუალება არის ღვთის სიტყვაზე ლოცვა. სულიწმიდა დაისადგურებს ყველა მორწმუნეში და ღმერთი გვასწავლის, თუ როგორ ვიცხოვროთ."[512] ბიბლიის მუხლების მიხედვით:

> „...ნუგეშისმცემელი, სული წმიდა, რომელსაც მამა მოავლენს ჩემი სახელით, გასწავლით და მოგაგონებთ ყველაფერს, რაც მე გითხარით" (იოანე 14, 26). „თუმცა ცხება, რომელიც მისგან მიიღეთ, კვლავაც თქვენშია, და არ გჭირდებათ, რომ ვინმემ გასწავლოთ, რადგანაც ცხება, ჭეშმარიტი და არა ყალბი, თვითონვე გასწავლით ყველაფერს, ამიტომ რასაც გასწავლით, მასშივე დარჩით." (1 იოან. 2, 27).

ირკვევა, რომ „როდესაც ჩვენ ვკითხულობთ წმინდა წერილს, სულიწმიდა წაგვიძღვება და გვასწავლის. იგი დაგვანახებს პრინციპებს, რომლებიც ჩვენ გვჭირდება, რათა სწორად მოვიქცეთ ნებისმიერ სიტუაციაში."[513]

წმ. ღირსი მამა გაბრიელის სწავლებიდან ვგებულობთ: „იმისთვის, რომ დავადგინოთ ღვთის ნება, ამისთვის შეიძლება კითხოთ ბრძენს, გამოცდილ მღვდელსა და წმინდანს. თუ ამის საშუალება არ არის, მაშინ შენს გულს უნდა ჰკითხო. რასაც დაგაჯერებს, ის იქნება ღვთის ნება. მხოლოდ, გულის დაჯერება არ უნდა აგვერიოს გულისთქმებსა და სურვილებში."[514] *წმ. მამა* განმარტავს, რომ „როდესაც გული დაგაჯერებს - ის არის ღვთის ნება. როცა წმინდანები სთხოვდნენ უფალს, უფალი აჩვენებდა თავის ნებას, ხოლო ღვთის განგებას ვერავინ ჩასწვდება".[515]

წმ. ღირსი მამა გაბრიელი ბრძანებს, რომ ღვთის „დაშვებაა, როცა უფალი გვაძლევს თავისუფლებას და როგორც ბოროტები, ასევე ადამიანები, რასაც გვინდა, იმას ვაკეთებთ. როცა უფლის ნება შემოდის, ბოროტნი და ადამიანები გაშეშებულნი ვართ. ამ შემთხვევაში, უფალს რაც სურს, იმას აკეთებს. უფლის ნება ყოველთვის კარგია. უფლის ნება იყო სოდომი და გომორი რომ დაანგრია. უფალს უნდოდა ცოდვები აღმოეფხვრა. ღვთის განგებულება მართავს ყველაფერს. ხან ნებას შემოუშვებს, ხან დაშვებას. ღვთის განგებულებით ხდება ყველაფერი. როდესაც რაიმე საკითხს ვერ წყვეტ, არ შეგიძლია და არ იცი, როგორ მოიქცე, ღვთის განგებულებას უნდა მიენდო და აღარ იფიქრო მასზე. დაე იყოს ნება შენი უფალო! წარსულში, როდესაც რაიმე საკითხს ვერ გადაწყვეტდნენ, ყოველთვის ასე იქცეოდნენ."[516]

---

[512] იხილეთ ვებ-გვერდი "Got Questions", ინტერნეტ სტატია, - „What is Christian Ethics"-ის მეხუთე აბზაცი, <www.gotquestions.org/Christian-ethics.html>, (მოპოვების თარიღი: 07.07.2016).

[513] იხ., იქვე.

[514] *ნიკოლაიშვილი ო.*, (შემდგენელ-გამომცემელი) *წმიდა მამა გაბრიელის სწავლებანი*, თბ, 2013, 82.

[515] *ჯინორია მ.*, (2019), დასახ. ნაშრ., 86.

[516] *ჯინორია მ.*, (2009), დასახ. ნაშრ., 111-112.

არქ. გ. ბასილაძის სწავლებიდან ირკვევა, რომ: „როცა არ იცი როგორ მოიქცე, ასეთ დროს უპირველესი დახმარება არის ლოცვა. სთხოვე ღმერთს გაგინათლოს გონება და მოგცეს სულის გრძნობა, რომ კეთილი და სწორი ნაბიჯი გადადგა. მერე დაეკითხე მღვდელს და თუ ვერ ახერხებ, მაშინ მშობლებს"; „ჭეშმარიტი მოძღვარი სულით სასუფეველშია, რადგან ღმერთია მასში"; „საჭიროა ცოცხალი წმინდანების ძებნა; წმინდანები სულით სხვა განზომილებაში არიან. მათ ვნებები ძლეული აქვთ, ის იცნობს და განიცდის ღმერთს რეალურად; წმინდა ბერისაგან ღმერთის ნება უშუალოდ ცხადდება."[517]

გარდა ამისა, „ღვთიური განათლების" ასპექტზე მიანიშნებს თავად კრიმინოლოგიის კლასიკური სკოლის ფუძემდებელი *ჩეზარე ბეკარია*, როდესაც ამბობს: „ცოდვის სიმძიმე დამოკიდებულია გულის მიუწვდომელ ბოროტებაზე, რომლის სიღრმის გაგების უნარი, სპეციალური ღვთიური გამოცხადების გარეშე, არ შეუძლიათ სასრულ არსებებს."[518]

ანალოგიურ აზრს ავითარებს, კრიმინოლოგიის კლასიკური სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი *ანსელმ ფოიერბახიც*, როდესაც საუბრობს მორალური სამაგიეროს მიზღვაში, ბრალსა და სასჯელს შორის პროპორციულობის გამორკვევის პრობლემაზე. მისი აზრით, ამ პროპორციულობის დადგენა შეუძლებელია ადამიანის შეზღუდული გონების მეშვეობით.[519]

როგორც ირკვევა, სამართლებრივ საკითხებში ღვთის ნების დადგენა ობიექტურად შესაძლებელია, თუ ადამიანი ხელმძღვანელობს წმინდა წერილის პრინციპებით,[520] თუ მოიხვეჭს სულიწმიდის მადლს, ან მიმართავს წმინდანს.[521] თავად ის საკითხი, რომ პოზიტიური სამართალი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საღვთო პრინციპებს, ნებას და მოძღვრებას, არაერთხელ აღინიშნა დისერტაციაში და მრავალი იურისტიც უჭერს მხარს.[522]

---

[517] *ჩაგუნავა ა., ვეკუა ი.*, დასახ. ნაშრ., 60, 75, 116, 120, 149, 177.

[518] *Cesare Beccaria*, On Crimes and Punishments and Other Writings, Cambridge University Press, 1995, 23.

[519] იხ. *ვაჩეიშვილი ალ.*, სასჯელი და სოციალური დაცვის ღონისძიებანი, თსუ-ს გამომცემლობა, თბ., 1960, 39.

[520] სამართლში ბიბლიური პრინციპებია: კანონიერების, თანასწორობის, ჰუმანიზმის, კანონის უზენაესობის, პირადი პასუხისმგებლობის, პასუხისმგებლობის გარდაუვალობის პრინციპი; ათი მცნება, აყალიბებს პრინციპებს, რომელიც საფუძვლად დაედო ყოველგვარ მორალს, შეიძინეს ზოგადსაკაცობრიო და სამართლებრივი მნიშვნელობა, იხილეთ წინადმებარე დისერტაციის ქვე-პარაგრაფი: 1.2.4.1 ტრანსცენდენტული ასპექტები სამართლის თეორიებსა და სკოლებში.

[521] ქრისტიანული მოძღვრება, სულიწმიდის მატარებელ ადამიანებს უწოდებს წმინდანებს, რომლებსაც ამქვეყნად გაცხადებული მოღვაწეობისა და სათნოებების მიხედვით, სხვადასხვა სახელწოდებები ენიჭებათ: პატრიარქნი, მამამთავარნი, წინასწარმეტყველნი, მოციქულნი, ნეტარნი, მართალნი, სალოსნი და ა.შ., იხილეთ წინამდებარე დისერტაციის ქვე-პარაგრაფი: 1.2.2.4.3 საღვთო ნორმების დაწესევა ადამიანის მიერ.

[522] იხილეთ წინამდებარე დისერტაციის ქვე-პარაგრაფი: 1.2.4.2 ტრანსცენდენტული ასპექტები სამართლის დეფინიციაში.

იურისტებს შორის საინტერესოა, ცნობილი ამერიკელი იურისტის *ჰ. ბერმანის* მოსაზრებები. იგი თვლის, რომ „სამართლის დასავლური ტრადიციის რევოლუციური შინაარსის შეცნობა შეუძლებელია მისი რელიგიური განზომილების კვლევის გარეშე, რადგან გუშინწინდელი მეტაფორები გუშინდელის ანალოგიებია, და დღევანდელი დღის ცნებებია. ასე მაგალითად, მე-11 საუკუნის სამართლებრივი მეტაფორები, მე-12 საუკუნის სამართლებრივ ანალოგიებად და მე-13 საუკუნის სამართლებრივ ცნებებად გადაიქცა. სამართლებრივი მეტაფორები, რომლებიც საფუძვლად უდევს სამართლებრივ ანალოგიებსა და ცნებებს, უპირატესად რელიგიური ხასიათისა იყო.“[523]

ბერმანის აზრით, „დასავლური სამართლებრივი სისტემების ძირითადი ინსტიტუტების, ცნებებისა და ფასეულობების ფესვები რელიგიურ წესებშია, ლიტურგიულ ნორმებსა და დოქტრინებშია საძებარი, რომლებიც ასახავდა ახლებურ შეხედულებებს სიკვდილის, ცოდვის, სასჯელის, მიტევების, ხსნის, ღვთაებრივის ადამიანურთან და რწმენის - გონებრივთან მიმართების შესახებ. მომდევნო საუკუნეებში, ეს რელიგიური შეხედულებები და წარმოდგენები გაქრა. თუმცა, მათ საფუძველზე ჩამოყალიბებული სამართლებრივი ინსტიტუტები, ცნებები და ღირებულებები ცოცხლობს და ხშირ შემთხვევაში, საერთოდ არ არის შეცვლილი.“[524]

ამის საილუსტრაციოდ კი, *ჰ. ბერმანს* მაგალითის სახით მოჰყავს ერთი კონკრეტული ნორმა, რომელსაც უკვე დაკარგული აქვს კავშირი თეოლოგიურ საწყისთან:

> „როდესაც, შერაცხადი ადამიანი ჩაიდენს მკვლელობას და მას სიკვდილს მიუსჯიან, მაგრამ სასჯელის აღსრულებამდე ჭკუიდან შეიშლება, სასჯელის აღსრულება უნდა გადაიდოს მის გამოჯანმრთელებამდე. ასეთია კანონი დასავლურ და ბევრ არადასავლურ ქვეყანაში. რატომ? ისტორიულად სწორი პასუხი დასავლეთში ასეთია: თუ შეურაცხად ადამიანს სიკვდილით სჯიან, იგი მოკლებულია ცოდვების თავისუფლად აღიარებასა და ზიარების შესაძლებლობას. მას გარდაცვალებამდე გამოჯანმრთელების შესაძლებლობა უნდა მიეცეს, რომ მისი სული ჯოჯოხეთის გეენისთვის არ იქნეს განწირული სამუდამოდ, უნდა მიეცეს შესაძლებლობა მოინანიოს თავისი ცოდვები, გამოისყიდოს განსაწმენდელში, ან უკანასკნელ სამსჯავროზე, რათა შევიდეს ცათა სასუფეველში. მაგრამ, თუკი არ არის ამის შესახებ რწმენა, მაშინ რა მნიშვნელობა აქვს ადამიანსთვის სიცოცხლის შენარჩუნებას მის გამოჯანმრთელებამდე და ამის შემდგომ სიკვდილით დასჯას?”

---

[523] *Berman H.J.*, Law and Revolution, the Formation of the Western Legal Tradition, „Harvard University Press“, USA, 1983, 165.

[524] იქვე.

ჰ. ბერმანის განმარტებით, მოყვანილი მაგალითი, ნათლად დაგვანახებს, რომ „დასავლეთის ქვეყნებისა და იმ ქვეყნების სამართლებრივი სისტემებიც, რომლებიც დასავლურ გავლენას განიცდის, წარმოადგენს იმ რელიგიური შეხედულებების დანაშრევს, რომლებიც თავდაპირველად ლიტურგიულ წესებსა და ეკლესიის სწავლებაში ჰპოვებდა გამოხატულებას, ხოლო მოგვიანებით - სამართლის ინსტიტუტებში, ცნებებსა და ფასეულობებში გადაინაცვლა."[525]

1.2.5 შეჯამება

მართლმადიდებლური მოძღვრების თანახმად, ბიბლია შექმნილია არა ცოდვილი ადამიანის ან სახელმწიფოს მიერ, არამედ ღმერთის მიერ. შესაბამისად, ონტოლოგიური და აქსიოლოგიური თვალსაზრისით, ბიბლია პოზიტიურ სამართალს არა თუ აღემატება, არამედ, ყველა სხვა სიკეთესთან ერთად, ყოველგვარი სამართლის საფუძველი და წყაროა, რადგან: ბიბლია არის ღვთივსულიერი და სარგო სასწავლად, სამხილებლად, გამოსასწორებლად და სიმართლის შესაგონებლად" (2 ტიმ. 3, 16); აქვს ავტორიტეტული, ნორმატიული, წმინდა და სავალდებულო ხასიათი[526] და განკუთვნილია ყველა ადამიანისთვის (იხ.: იოანე 1, 12; 3, 16; 4, 42; 1 ტიმ. 2, 4; 4, 10; ტიტ. 2, 11; 2 პეტრე 3, 9; 1 იოანესი 2, 2; 4, 10, 14).

შესაბამისად, ბიბლიის დაყვანა ცოდვილი ადამიანის ან სახელმწიფოს ფორმალურ შემოქმედებამდე, მართლაც რომ მკრეხელობა იქნებოდა. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ მეცნიერების ისეთ დარგს, როგორიც არის იურისპრუდენცია, უნდა აბრკოლებდეს ბიბლიის ნორმატიულ დოკუმენტად და სამართლის წყაროდ აღიარება, მით უფრო რომ:

1. პოზიტიურ სამართალს აქვს მკაცრად გამოკვეთილი ტრანსცენდენტული ბუნება პრინციპების, ადამიანის ბუნებითი უფლებების, სამოსამართლო დოქტრინების, მორალისა და ა.შ. სახით.

2. პოზიტიურ სამართალში წამოჭრილ ნებისმიერ საკითხზე საღვთო ნების დადგენა ობიექტურად შესაძლებელია, შესაბამისად,

3. პოზიტიური სამართალი თავსებადია საღვთო სამართალთან არა მარტო იმის გამო, რომ ბუნებით ტრანსცენდენტულია, არამედ იმ თვალსაზრისითაც, რომ პოზიტიური სამართალი დიდწილად დაფუძნებულია ბიბლიურ პრინციპებზე;

---

[525] იქვე.

[526] იხ.: 1. The International Standard Bible Encyclopedia (by *Orr, James, M.A.*, and *D.D.* General Editor), Vol. I, Chicago, 1915, 592; 2. იხილეთ სიტყვა „კანონი", <www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=16&t=2419>, (მოპოვების თარიღი: 01.02.2015).

4. იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებულია მოსაზრება, რომლის თანახმადაც, „სამართლის წყაროდ აღიარებულია ნორმაშემცველი აქტი - დოკუმენტი".[527] დაბოლოს,

5. ბიბლიას, არაერთი მეცნიერ-მკვლევარი მიიჩნევს ნორმატიულ დოკუმენტად, სამართლის წყაროდ, რაც დისერტაციაში არაერთხელ აღინიშნა.

დისერტაციის მიზნებიდან გამომდინარე, მეცნიერ-მკვლევართა ბიბლიის ნორმატიულობაზე მრავალი მოსაზრებებიდან მაგალითის სახით ზოგიერთი მათგანი იქნება წარმოდგენილი:

ჰ. კელზენის შეხედულებით, აბსოლუტური ნორმა, არის ძირითადი ნორმა (*grund norm*), ანუ თავად ღმერთი, რადგან: ღმერთი, არის მარადიული სამართალი, რომლიდანაც გამომდინარეობს, ყველა დანარჩენი - ბუნებითი, პოზიტიური და საღვთო სამართალი (*თ. აქვინელი*);[528]

ფლეტჩერის აზრით, „ნორმათა კონფლიქტი შეუძლებელია გადაწყდეს თუკი არ იარსებებს ერთი აბსოლუტური ნორმა, რომლის მიმართ ყველა დანარჩენი ნორმა უნდა იყოს რელატიური".[529]

გრეგ ბენსენი, თავის წიგნში ცალკე განიხილავს ისეთ საკითხებს, როგორიც არის: „ღმერთის სიტყვა არის ჩვენი ნორმა" და „ბიბლია, არის დღევანდელი სტანდარტი".[530]

ჯოზეფ მერფის მიხედვით, „ღმერთი - ეს აგრეთვე კანონიცაა, რადგან სამყარო აგებულია კანონისა და წესრიგის პრინციპებზე,[531] ღმერთი რჩება ღმერთად და სამყაროს კანონები მარადიული და ურღვევია."[532]

რობერტ სპრაულისი განმარტავს, რომ „ბიბლია - ნორმატიული წიგნია. „ეკლესიამ განსაზღვრა, რომ ბიბლია არის - „ნორმის ნორმა, რომელიც არ ექვემდებარება ნორმებს". ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ სხვა ეტალონები ჩვენი ცხოვრების შესაფასებლად, მიუხედავად ამისა, ფუძემდებლური ნორმები ნაკარნახევი უნდა იყოს ბიბლიიდან. ბიბლია არა უბრალოდ „პირველია თანასწორებს შორის" - მას არ ჰყავს ანალოგი სხვა ეტალონებს შორის. ქრისტე განთქმულია, როგორც მბრძანებელი მბრძანებელთა შორის

---

[527] *ნოზაძე ი.*, პოზიტიური სამართლის წყაროები, (ზოგადთეორიული ასპექტები), ავტორეფერატი, (სამეცნ. ხელმძღვ. *გ. ინწკირველი*), თსუ, თბ., 2005, 13.

[528] შეად.: *Аквинский Ф.*, Учение Фомы Аквинского о Государстве и Праве, История Политических и Правовых Учений, <www.bibliotekar.ru/istoria-politicheskih-i-pravovyh-ucheniy-2/15.htm>, (მოპოვების თარიღი: 01.02.2016).

[529] *Geisler N.L.*, Christian Ethics: Contemporary Issues and Options, USA, 2010, 49.

[530] *Bahnsen G.L.*, By This Standard, the Authority of God's Law Today, (published by Institute for Christian Economics, Texas), USA, 1991, 13-28.

[531] იხ. *მერფი ჯ.*, ტელეფსიქიკა, (რედ. *თ. თურმანიძე*; მთარგმნელები: *ნ. თურმანიძე, მ. თურმანიძე*), გამომც. „პეგა", თბ., 2015, 75, 82.

[532] იხ., იქვე, 91.

და მეფეთა მეფე, და ამის გამო ვემორჩილებით მას, მის სიტყვას, როგორც ნორმათა ნორმას, ჭეშმარიტების ეტალონს.“[533]

ამგვარად, ერთი მხრივ, სრულიად გასაგებია თუ რატომ არის მოხმობილი ღმერთი მსოფლიოს ქვეყნების უზენაეს კანონში, კონსტიტუციაში და რატომ დებენ ფიცს ღმერთის წინაშე ქვეყნის პირველი პირები (თუნდაც აღნიშნული რიტუალი არჩევითია და სიმბოლურ ხასიათს ატარებდეს ზოგიერთისთვის), მაგრამ, მეორე, მხრივ, გაუგებარია, რატომ „არიდებს თავს“ პოზიტიური სამართალი აღიაროს ბიბლია, როგორც ნორმატიული დოკუმენტი და სამართლის წყარო.

1.3 დანაშაული და დანაშაულობა, როგორც ცოდვის გამოვლინების ფორმები

1.3.1 დანაშაული, როგორც ცოდვის გამოვლინების ფორმა

1.3.1.1 ცოდვისა და დანაშაულის ლინგვისტური და კონცეპტუალური ასპექტები

არსებობს ცოდვის მრავალი განმარტება. მაგალითად, *ს. ჩანის* მიხედვით, ცოდვა არის არის: 1. მიზანს აცდენა. იმ მიზანისა, რომელიც ღმერთმა სამართლიან სტანდარტად დაადგინა. ანუ, ცოდვა აღნიშნავს ისეთი მორალური არჩევანის გაკეთებას, რომელიც ეწინააღმდეგება ღმერთს; 2. უსამართლობა, რომელიც გულისხმობს ადამიანებისთვის თავიანთი უფლების არმიცემას ან მათზე უსამართლო მოპყრობას; 3. ამბოხება, რაც ნიშნავს ნებაყოფლობით დაუმორჩილებლობას; 4. გულისთქმა (1 იოანეს 2, 16; 1 პეტრ. 4, 2-3); 5. ბოროტება (მათე 22, 18; მარკ. 7, 23).[534] ცოდვა განმარტება ასევე, როგორც ღვთის ნების, მისი მცნებებისა და ადამიანის სინდისში ჩაწერილი ზნეობრივი კანონების დარღვევა, რასაც ასევე ბოროტებსაც უწოდებენ.[535] ბუნებრივია, სხვა მრავალი განმარტების მოხმობაც შეიძლება, თუმცა, როგორც *ვ. პანენბერგი* შენიშნავს, „ცოდვაზე საუბარი მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს აზრიანი, თუკი საქმე ეხება ქცევას, რომელიც დანაშაულს მიეკუთვნება.“[536]

ამდენად, საინტერესოა, თავისი არსით, რამდენად იდენტური კონცეპტებია ცოდვა და დანაშაული, და, რამდენად მართებულია სიტყვა „ცოდვის“ მაგივრად „დანაშაულის“ გამოყენება, და პირიქით. აღნიშნულ საკითხის გაანალიზება ასევე შესაძლებლობას იძლევა: ა) დადგინდეს, არის თუ არა „დანაშაული“ ტრანსცენდენტული, თუ წმინდა ნორმატიული კონცეპტი, და ბ) უკეთ წარმოჩინდეს ტერმინ „დანაშაულის“ ეტიმოლოგიური ასპექტი.

---

[533] Новая Женевская Учебная Библия (რედ.: *Е. В. Аликова*, *В. И. Власенко*, *Л. В. Дорофеева*, და სხვები), США, 1998, V.

[534] იხ. *ჩანი ს.*, ადამიანი და ცოდვა (დამოუკიდებლად შესასწავლი სახელმძღვანელო), მეორე გამოცემა, თბ., 2006104-106.

[535] იხ. *პროტოპრისვეტერი მიხეილ პომაზანსკი*, (2012), დასახ. ნაშრ., 97.

[536] *პანენბერგი ვ.*, ცოდვა და პირველცოდვა (გერმანულიდან თარგმნა *ვ. რცხილაძემ*), თბ., 2014, 72.

სიტყვა „დანაშაული“ და მისგან ნაწარმოები სიტყვები, უხვად გვხვდება ბიბლიის, როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ თარგმანებში. მაგალითად, თანამედროვე ბიბლიის ქართულ თარგმანებში, აღნიშნული ტერმინები წარმოდგენილია შემდეგნაირად: 2015 წლის ახალ გადამუშავებულ ვერსიაში გვხვდება 280 ჯერ; 2013 წლის (საქართველოს საპატრიარქოს მიერ 2009 წელს გამოცემული „ბიბლიის“ ტექსტის მიხედვით) მომზადებულ ვერსიაში 212 ჯერ, 2013 წლის, საქართველოს ბიბლიური საზოგადოების გამოცემაში 222 ჯერ, ხოლო 2001 წლის საქართველოს ბიბლიური საზოგადოების გამოცემულ, სტოკჰოლმის ვერსიაში 236 ჯერ.[537] ლათინურიდან ინგლისურად თარგმნილ *Douay-Rheims*-ის ბიბლიის ვერსიაში[538] კი, სიტყვა „crime“ (*დანაშაული*) და მისგან ნაწარმოები სიტვები, გვხვდება 41-ჯერ, ძველ აღქმაში 36-ჯერ, ხოლო ახალ აღქმაში 5-ჯერ.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, საკმარისია გაანალიზდეს ბიბლიის ქართული თარგმანის ერთ-ერთი ვერსიაც. მაგალითად, თანამედროვე ქართულ ენაზე თარგმნილ ბიბლიის ტექსტში, სიტყვა „დანაშაული“ გვხვდება 212 ჯერ, ძველ აღქმაში კი, 207 ჯერ[539], ხოლო ახალ აღქმაში 5-ჯერ[540]. აღნიშნულ მუხლებში, სიტყვები „ცოდვა“ და „დანაშაული“ ერთი და იმავე მუხლში გვხვდება 28-ჯერ.[541]

ახლა კი კონკრეტულად განვიხილოთ რამდენიმე მუხლი:

---

[537] აღნიშნული ბიბლიის ტექსტები ელექტრონულად ატვირთულია მითითებულ ინტერნეტში და დათვლილი ტერმინების რაოდენობის გადამოწმება შესაძლებელია ვებ-გვერდის საძიებო გრაფაში, სიტყვა „დანაშაულ“-ის მოძიებით, იხ.:<http://holybible.ge/georgian>, (მოპოვების თარიღი: 03.10. 2019).

[538] იხ. The Holy Bible (Translated from the Latin Vulgate; Douay-Rheims Version 1609, 1582), ვებ-გვერდი: <http://triggs.djvu.org/djvu-editions.com/BIBLES/DRV/Download.pdf>, (მოპოვების თარიღი: 03.08.2014).

[539] იხ.: დაბ. 44, 10; 50, 17 (2-ჯერ); გამ. 22, 8; 23, 7; 34, 7, 9 (4-ჯერ); ლევ. 4, 3; 5, 7, 15, 17, 19; 6, 6-7, 17; 7, 1-2, 5, 7, 37; 14, 12-14, 17, 21, 24, 25, 28; 17, 16; 19, 20-22 (27-ჯერ); რიცხ. 5, 6-8, 31; 6, 12; 14, 18-19, 34; 18, 1, 9 (13-ჯერ); რჯლ. 19, 15; 22, 26; 24, 16; 25, 2 (4-ჯერ); იესო 22, 17, 20; 24, 19 (3-ჯერ); 1 მეფ. 6, 3, 4, 8, 17; 25, 24, 28 (9-ჯერ); 2 მეფ. 4, 11; 14, 9; 19, 20 (3-ჯერ); 3 მეფ. 8, 47, 50 (1-ჯერ); 4 მეფ. 12. 17; 14, 6 (2-ჯერ); 2 ნეშტ. 24, 18; 25, 4; 28, 10, 13; 33, 23 (7-ჯერ); 1 ეზრ. 9, 2, 4, 6, 7, 13; 10, 6, 10 (7-ჯერ); ივდ. 5, 21 (1-ჯერ); იობ. 4, 7; 7, 21; 8, 4; 10, 2, 6, 14; 13, 23; 14, 17; 20, 27; 27, 17; 31, 11, 28, 33; 34, 6, 37; 35, 6 (16-ჯერ); ფსალმ. 9, 29; 14, 5; 31, 1, 5; 35, 3; 50, 3, 5; 58, 4, 5; 63, 5; 64, 4; 67, 22; 68, 6; 84, 3; 88, 33; 89, 8; 100, 3; 102, 12 (18-ჯერ); იგავ. 1, 11; 14, 9; 17, 9; 29, 16, 22; 30, 10 (6-ჯერ); სიბრძ. 2, 12 (1-ჯერ); ზირ. 10, 7 (1-ჯერ); ეს. 5, 18; 13, 11; 22, 14; 27, 9; 30, 13; 33, 24; 40, 2; 43, 24; 44, 22; 50, 1; 58, 1; 59, 12 (13-ჯერ); იერ. 2, 3, 13, 19, 34; 3, 13, 22; 14, 20; 16, 10, 17, 18; 18, 23; 25, 12; 30, 14, 15; 31. 29, 33; 32. 18; 33. 8; 36, 3, 31 (21-ჯერ); გოდ. 4, 22 (1-ჯერ); ეზეკ. 7, 23; 14, 10; 16, 49; 18, 17-20; 21, 28, 29, 30, 34; 22, 4; 24, 23; 28, 18; 29, 16; 33, 10; 36, 31, 33; 37, 23; 39, 23, 26; 40, 39; 42, 13; 44, 10, 29; 46, 20 (29-ჯერ); დან. 1, 10; 6, 5 (2-ჯერ); ოს. 5, 15; 12, 9; 13, 1 (3-ჯერ); ამოს. 1. 3, 6, 9, 11, 13; 2. 1, 4, 6; 3. 2; 5. 12 (10-ჯერ); მიქ. 3. 8; 6. 7 (2-ჯერ); 1 მაკ. 7. 25; 13. 39 (2-ჯერ); 2 მაკ. 4. 36 (1-ჯერ); 3 მაკ. 3. 9; 6.27; 7.7 (3-ჯერ); 4 მაკ. 2.19; 11.3 (2-ჯერ), <www.orthodoxy.ge/tsmidatserili.htm>, (მოპოვების თარიღი: 31.08.2014).

[540] იხ.: ლკ. 23, 14 (1-ჯერ); საქ. 18, 14; 23, 29; 25, 5 (3-ჯერ); 9, 15 (1-ჯერ), <www.orthodoxy.ge/tsmidatserili.htm>, (31.08.2014).

[541] იხ.: დაბ. 50, 17; გამ. 34, 9; რიცხ. 14, 18; 18, 9; რჯლ. 19, 15; იესო 24, 19; 3 მეფ. 8, 50; 4 მეფ. 12, 17; 2 ნეშტ. 28, 13; იობ. 10, 6; იობ. 13, 23; იობ. 34, 37; ფსალმ. 31, 1; ფსალმ. 31, 5; 50, 5; 58, 4; 64, 4; 84, 3; 88, 33; ეს. 43, 24; 44, 22; იერ. 18, 23; 30, 14; ეზეკ. 21, 29; 33, 10; 40, 39; 44, 29; მიქ. 3, 8, <www.orthodoxy.ge/tsmidatserili.htm>, (31.08.2014).

„ასე უთხარით იოსებს: გევედრები, შეუნდე ცოდვა და დანაშაული ძმებს, თუმცა ბოროტად მოგექცნენ.” (დაბ. 50, 17).

მოცემულ მუხლში, „ცოდვა“ და „დანაშაული“ შეეხება ერთ კონკრეტულ ფაქტს, კერძოდ, ძმების მიერ საკუთარი ძმის, იოსების გაყიდვას.

ამგვარად, ბიბლიაში „ცოდვა“ და „დანაშაული“ თავისი არსით ტოლმნიშვნელოვანი ცნებები და ლინგვისტური ერთეულებია, რადგან გამოიყენება ერთი და იმავე ფაქტის გამოსახატად.

უფრო მეტიც, ზოგიერთ მუხლში, უფლის წინაშე ჩადენილი ღვთის მცნების დარღვევის გამოსახატად გამოიყენება არა სიტყვა „ცოდვა“, არამედ მხოლოდ „დანაშაული“. მაგალითად, „ლევიანში“ ვკითხულობთ:

„ეს არის დანაშაულის გამოსასყიდი, რა დანაშაულიც უფლის წინაშე ჩაიდინა” (ლევ. 5, 19); *„გამოითხოვს მისთვის შენდობას მღვდელი უფლისაგან და მიეტევება მას ყოველი დანაშაული, რაც კი ჩადენილი აქვს“* (ლევ. 6, 17).

თუმცა, მავანმა შეიძლება გვითხრას, თუკი *ალ. ლოპუხინის* ბიბლიის კომენტარებიდან ირკვევა, რომ „დანაშაულის გამოსასყიდი მსხვერპლი მეტად ახლოსაა ცოდვის გამოსასყიდ მსხვერპლთან“,[542] განა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ცოდვასა და დანაშაულს შორის მაინც არსებობს განსხვავება? ირკვევა, რომ ლევიანის მე-14 თავის მე-13 მუხლში, სადაც ხსენებულ ცოდვისა და დანაშაულის გამოსასყიდზეა საუბარი, *ალ. ლოპუხინი* მათ ერთმანეთისაგან არ განასხვავებს.[543] აღნიშნული მიდგომა მართებულია, რადგან ბიბლიიდანვე ირკვევა *„ერთი წესი აქვს ცოდვის გამოსასყიდს და დანაშაულის გამოსასყიდს.”* (ლევ. 7, 7).

გარდა ამისა, საყურადღებოა ისიც, რომ ქართული სამართლის ძეგლებშიც, „ცოდვა“ დანაშაულის აღმნიშვნელი ტერმინია, მაგალითად:

გ. ნადარეიშვილი აღნიშნავს, რომ: „საერთოდ დანაშაული განიხილებოდა, როგორც შეცოდება ღმერთის წინაშე; კანონიკური სამართლის მიხედვით, მკვლელობა მარტო იმ მოტივით როდი ითვლებოდა სასტიკად აკრძალულ მოქმედებად, რომ იგი სახელმწიფო მშვიდობის ძალადობით დარღვევაა, არამედ იმისთვისაც, რომ ის დანაშაულია, ცოდვაა ღმერთის წინაშე”[544] და იქვე დასძენს, რომ *„თ. აქვინელის* მიხედვით, დანაშაული ღვთაებრივი წესრიგის დარღვევაა დედამიწაზე და ეკლესიის მოთხოვნილებათა დარღვევასაც წარმოადგენს.“[545]

---

[542] *ლოპუხინი ალ.*, II ტ., დასახ. ნაშრ., 237.

[543] იხ., იქვე, 272-273.

[544] *ნადარეიშვილი გ.*, სასჯელის მიზნები და ამოცანები საეკლესიო სამართლის მიხედვით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ეკონომიკისა და სამართლის სერია, № 3, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1983, 104-105.

[545] იხ., იქვე, 105.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რადგან ბიბლიაში ღვთის მცნების დარღვევა ამ ორი ლიგვისტური ერთეულით გამოიხატება, „ცოდვა“ და „დანაშაული“ ტოლმნიშვნელოვანი ცნებებია. ეს ნიშნავს იმას, რომ დანაშაული ტრანსცენდენტული აქტი. ასეთი დასკვნა, საღვთო და პოზიტიური სამართლის დეფინიციიდანაც გამომდინარეობს, რადგან „რჯული სულიერია“ (რომ. 7, 14). თუკი სამართალი სულიერი, ტრანსცენდენტულია, სამართლის ნორმის ხელყოფა, შეუძლებელია არ იყოს ტრანსცენდენტული.

მართალია, ცოდვა და დანაშაული ტოლმნიშვნელოვანი ცნებებია ბიბლიაში, მაგრამ საინტერესოა, როგორი განვითარება ჰპოვა დანაშაულის ბიბლიურმა ცნებამ პოზიტიურ სამართალში. არის კი, დანაშალის სამართლებრივი ცნება ცოდვის გამოვლინების ერთ-ერთი ფორმა?

ცოდვის დანაშაულისა და დანაშაულობის ნორმატიულმა ანალიზმა გამოავლინა, რომ ისინი ტოლმნიშვნელოვანი ცნებებია. ანალოგიური დასკვნა შეიძლება გაკეთდეს სამართლის ტრანსცენდენტული ბუნებიდან თუ ვიმსჯელებთ. მიუხედავად ამისა, საკითხი მაინც მოითხოვს ამ კუთხით დამატებით კვლევას.

1.3.1.2 ცოდვის კონცეფცია სისხლის სამართალში

როგორც დღემდე არ არსებობს პოზიტიურ მეცნიერებაში სამართლის რაობაზე ერთიანი აზრი, ასევე არ არსებობს ერთიანი აზრი დანაშაულის რაობაზეც.

მაგალითად, არსებობს დანაშაულის სამართლებრივი (*ჯ. მიქაელი; მ. ადლერი*), სოციოლოგიური (*ტ. სელინი*; *ჯ. უოლდი*), რადიკალური (*უ. ჩამბლისი*), ზემიოლოგიური (*ე. საზერლენდი*) და სხვადასხვა კონცეფციები და თეორიები.[546] მათ შორის, ყველაზე გავრცელებულია სამართლებრივი კონცეფცია, რომელიც დანაშაულებრივ ქმედებას, ძირითადად ორ ჯგუფად ყოფს: 1. ქმედებები, რომლებიც ბოროტია თავისთავად (*malum in se*), და 2. ქმედებები, რომლებიც დანაშაულია აკრძალვის ძალით (*malum in prohibitum*).[547]

1.3.1.2.1 *Malum in se*-ს ქმედებები და ცოდვა

ფლეტჩერის აზრით, სისხლის სამართლის წესების უმეტესობას აქვს მორალური და თეოლოგიური ფესვები. ის დანაშაულები, რომლებიც მორალური და თეოლოგიური

---

[546] იხ. 1. *Treadwell J.*, Criminology the Essentials, second edition, SAGE Publications Ltd, London, UK, 2013, 10-15; 2. Encyclopedia of Criminology, (eds. *Richad A. Wright*, *J. Mitchell*), published by Taylor & Francis Books, Inc., New York, USA, 2005, 273.

[547] იხ.: 1. *Watts R., Bessant J., Hil R.*, International Criminology a Critical Introduction, Routledge, Taylor and Francis Group, New York, USA, 2008, 14; 2. *Fletcher G.*., Basic Concepts of Criminal Law, Oxford University Press, Oxford, 1998, 77-78; 3. *Fletcher G.P., Sheppard S.*, American Law, Oxford University Press, 2005, 526; 2. Encyclopedia of Criminology, (eds. *Richad A. Wright*, *J. Mitchell*), published by Taylor & Francis Books, Inc., New York, USA, 2005, 274.

დარღვევებია, წარმოადგენს *malum in se*-ეს, ანუ „სამართალდარღვევას თავისთავად“. სისხლის სამართლის ეს ძირითადი სამართალდარღვევები, დარღვევებია არა მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი აკრძალულია, არამედ იმიტომ, რომ ისინი თავისთავად ბოროტებაა, მიუხედავად იმისა, კანონმდებელმა აღიარა თუ არა იგი.[548]

ინგლისელი ფილოსოფოსი *თომას ჰობსი* აღნიშნავდა, რომ არსებობს ქმედებები, რომლებიც კანონის გარეშეც, თავისთავად ანუ თავისი ბუნებით არის დანაშაულები. ასეთ დანაშაულებს იგი მიაკუთვნებდა, მაგალითად, სამშობლოს ღალატს, მკვლელობას, ძარცვას, ქურდობას და სხვა.[549]

კრიმინოლოგები, *უილსონი* და *ჰარენსტეინი* ავითარებენ აზრს, რომ „ზოგიერთი ქმედება ბუნებრივად ცუდი და ბოროტია. მაგალითად, მკვლელობა, ინცესტი, გაუპატიურება, ქურდობა და ძარცვა, ბოროტებაა ბუნებრივად და უნივერსალურია. მსგავსი დანაშაულები დაგმობილია ყველა საზოგადოებაში და ყველა ისტორიულ პერიოდში, ანტიკურ ტრადიციებში, მორალური სენტიმენტებით და ფორმალური სამართლით.[550] ხალხმა ინსტიქტურად იცის, რომ *malum in se*-ს დანაშაულები ბოროტებაა. საზოგადოების კონსენსუსი ამბობს, რომ ასეთი ქმედებები უნდა იყოს აკრძალული, რადგან ამორალურია.“[551]

ბიბლიაში, მორალური კანონების კლასიკურ მაგალითს, წარმოადგენს ათი მცნება, რომელიც საფუძვლად დაედო ყოველგვარ მორალს, იქცნენ საერთოდ ადამიანური ქცევის ნორმებად, შეიძინეს ზოგადსაკაცობრიო[552] და სამართლებრივი მნიშვნელობა.[553] მაგალითად, არა კაც კლა, არა იქურდო და ასე შემდეგ (იხ. გამ. 20, 1-17), ყველა ქვეყნის პოზიტიურ სამართალში აღიარებულია დანაშაულად.

ამგვარად, თუკი ვთანმხდებით იმაში, რომ *malum in se*-ს ქმედება თავისი არსით არის ბოროტება, ამორალური და აქვს თეოლოგიური საფუძვლები, მაშინ იგი შეესაბამება ცოდვის კონცეფციას და შესაბამისად, ასეთი დანაშაული ცოდვის გამოვლინების ერთ-ერთი ფორმაა.

1.3.1.2.2 *Malum in Prohibitum*-ის ქმედებები და ცოდვა

ქმედებები, რომლებიც დანაშაულია *malum in prohibitum*-ის, ანუ აკრძალვის ძალით,[554] ისინი დღესდღეობით, სისხლის სამართლის კანონის ნორმათა უდიდეს

---

[548] იხ. *Fletcher G.P.*, Basic Concepts of Criminal Law, Oxford University Press, Oxford, 1998, 77-78.

[549] იხ. *Dyzenhaus D.*, *Poole Th.*, Hobbes and the Law, Cambridge University Press, Cambridge, 2012, 64, 100.

[550] იხ. *Watts R., Bessant J., Hil R.*, International Criminology a Critical Introduction, Routledge, Taylor and Francis Group, New York, USA, 2008, 14.

[551] *Briggs S., Friedman J.*, Criminology, While Publishing Inc. 2009, 24.

[552] იხ. *ექრომაიშვილი ვ.*, დასახ. ნაშრ., 51.

[553] იხ. *ლობჟანიძე გ.*, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, ქუთაისი, 2000, 260.

[554] იხ. *Fletcher G. P.*, Basic Concepts of Criminal Law, Oxford University Press, Oxford, 1998, 77.

პროცენტს შეადგენენ.[555] ცოდვისა და *malum in prohibitum*-ის დანაშაულის საკითხზე, საინტერესო ნიუანს წარმოადგენს სამართალის თეორიაში არსებული დიქოტომიური დამოკიდებულება, რომელიც გამორიცხავს და მხარს უჭერს სამართალში მორალის არსებობას, მაგალითად:

1. პოზიტიური სამართლის თვალსაზრისით, კანონი შეიძლება ჩაითვალოს ნამდვილად მაშინაც კი, თუ იგი ეწინააღმდეგება მორალს.[556] როგორც უკვე აღინიშნა „სამართლიანი (ანუ კანონიერი) შეიძლება უზნეო იყოს,“[557] „სამართალი ნეიტრალურია მორალური ღირებულებების მიმართ",[558] „სამართალს განსაზღვრავს ხელისუფლება და არა ჭეშმარიტება“ (*თ. ჰობსი*)[559] და „სისხლის სამართალი ყოველთვის არ გამოხატავს საზოგადოების ღირებულებებს“ (*ჯ. უოლდის*).[560] სამართალსა და მორალს შორის რომ არ არის გამორიცხული განსხვავება და შეუთანხმებლობა ცნობილი ფაქტია. ამის თვალსაჩინო მაგალითია „სიკვდილის დოქტრინის“ საქმე[561] და ა.შ.

ამგვარად, *malum in prohibitum*-ის დანაშაული თავისი არსით ყოველთვის ვერ იქნება ცოდვა, რადგან ცოდვისთვის მორალის ხელყოფის ელემენტი ყოველთვის აუცილებელია. როგორც ცნობილია, უსამართლო და ამორალური პოზიტიური სამართლის (მათ შორის სისხლის სამართლის) ნორმის დარღვევა, მართლმადიდებლური მოძღვრებით, არ ითვლება ცოდვად. შესაბამისად, ამ შემთხვევაში, *ჰობსის* ცნობილი ფორმულა, რომ „ყველა დანაშაული არის ცოდვა“[562] კარგავს ვალიდურობას.

2. სამართლის ნორმა ადგენს „ზნეობის მინიმუმს“[563] და იცავს „ეთიკურ მინიმუმს" (*ელინეკი*).[564] სამოსამართლო ეთიკაში აღნიშნულია, რომ „ნებისმიერი სამართალსაწინააღმდეგო[565] ქცევა, ასევე წარმოადგენს ამორალურ საქციელს.[566] სამართლის თეორიაში, „თუკი, კანონი არ შეესაბამება საყოველთაოდ აღიარებულ

---

[555] იხ. *Briggs S., Friedman J.*, Criminology, While Publishing Inc. 2009, 23.

[556] იხ. *Burnside J.*, God, Justice, and Society, Aspects of Law and Legality in the Bible, Oxford University Press, Oxford, 2010, 68.

[557] *ერქომაიშვილი ვ.*, ფილოსოფია (გადამუშავებული და შევსებული გამოცემა), გამომც. „კვარი“, თბ., (წეილი არ არის მითითებული), 258.

[558] *ხუბუა გ.*, სამართლის თეორია, გამომც. "მერიდიანი", თბ., 2004, 63 (პ. 173).

[559] 1. Pluralism and Law: State, Nation, Community, Civil Society, Volume 2, (ed. Arend Soetemen), Proceedings of the 20th World Congress, Amsterdam 2001, 10; 2. *ხუბუა გ.*, სამართლის თეორია, თბ., 2015, 65 (პ. 160); 3. *ხუბუა გ.*, სამართლის თეორია, თბ., 2004, 51 (პ. 134).

[560] *Treadwell J.*, Criminology the Essentials, second edition, SAGE Publications Ltd, London, UK, 2013, 12.

[561] იხ. სამოსამართლო ეთიკა, (რედ. *ნ. დ. ერიაშვილი*), თბ., 2016, 58.

[562] *Hobbes Th.*, Leviathan, (editor: *J. C. A. Gaskin*), Oxford University Press, NY, 1998, 193.

[563] *ხუბუა გ.*, სამართლის თეორია, თბ., 2015, 62 (პ. 172).

[564] იხ., იქვე, 80 (პ. 205).

[565] შენიშვნა: უმჯობესია ავტორს „სამართალსაწინააღმდეგო“-ს მაგივრად გემოეყენებინა ტერმინი „მართლსაწინაღმდეგო“.

[566] იხ. სამოსამართლო ეთიკა (რედ. *ნ. დ. ერიაშვილი*), თბ., 2016, 54.

მორალურ წარმოდგენებს, იგი ჩვეულებრივ, იგნორირებულია მოსამართლეებისა და სამართლის შემფარდებელი სხვა ორგანოების მიერ“[567] და ა.შ.

აღნიშნული პოზიციის მიხედვით კი, ყველა *malum in prohibitum*-ის ქმედება ფორმალურად შეიცავს მორალის ელემენტს. ასეთ შემთხვევაში, ბუნებრივია, *malum in prohibitum*-ის დანაშაული პირობითად შეიძლება ჩაითვალოს ცოდვის გამოვლინების ფორმად და *ჰობსის* ფორმულაც „ყველა დანაშაული არის ცოდვა“ შეიძლება გაზიარებული იქნას კონცეპტუალურად. თუ რატომ პირობითად და არა უპირობოდ, ეს საკითხი ქვემოთ გაანალიზდება. მანამდე, აუცილებელია გაირკვეს, რა ტრანსცენდენტული ასპექტებით ხასითდებს თავად დანაშაულის საკანონმდებლო ცნება.

1.3.1.3 ტრანსცენდენტული ასპექტები დანაშაულის საკანონმდებლო ცნებაში

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლში ვკითხულობთ, რომ დანაშაული არის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება.

ქმედების შემადგენლობა, ისევე როგორც მართლწინააღმდეგობა და ბრალი, დანაშაულის ერთ-ერთი ელემენტია და შედგება ორი ნაწილისაგან, ქმედების ობიექტური და ქმედების სუბიექტური შემადგენლობისაგან.[568]

გ. კოპაძე, ცოდვის ცნების საკითხთან დაკავშირებით, აღნიშნავს, რომ ცოდვა უნდა განვიხილოთ ობიექტურ და სუბიექტურ ჭრილში, რომ ცოდვა უნდა შედგებოდეს ორი კომპონენტისაგან (ორი მდგენელისაგან) - სუბიექტური ცოდვისაგან და ობიექტური ცოდვისაგან.[569]

ის დებულება, რომ მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება აუცილებლად სისხლის სამართლის კოდექსით უნდა იყოს გათვალისწინებული, რათა ქმედება დანაშაულად დაკვალიფიცირდეს, კანონიერების პრინციპის საკანონმდებლო გამოხატულებაა. ფორმალურად, იგივე შეიძლება ითქვას ცოდვაზეც.

გარდა ამისა, ცოდვის ჩადენა ხდება, როგორც მოქმედებით ასევე უმოქმედობით. მოქმედებით ცოდვის ჩადენის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს პირველი ცოდვა. რაც შეეხება უმოქმედობას, იაკობის ეპისტოლეში ვკითხულობთ, რომ „ვისაც სიკეთის ქმნა შეუძლია, მაგრამ არა იქმს, სცოდავს“ (იკ. 4, 17).

რობერტსი აღნიშნავს, „ბიბლიური აქცენტი არ არის მხოლოდ არასწორი მოქმედების ცოდვილობაზე, არამედ სიკეთის შეუსრულებლობის მძიმე ბოროტებაზე.“[570]

---

[567] *ხუბუა გ.*, სამართლის თეორია, თბ., 2015, 81 (ჰ. 209).

[568] იხ. *ტურავა მ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, (მეცხრე გამოცემა), გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2013, 83.

[569] იხ. *გ. კოპაძე*, ცოდვის ცნება და ათი მცნება, თბ., 2006, 6.

[570] *Roberts R. O.*, Repentance, the First Word of the Gospel, published by Crossway Books, USA, 2002, 143.

მართლწინააღმდეგობა, ბიბლიური პრინციპია (დაბ. 2, 16; რომ. 3, 15; 5, 13).[571] „მართლწინააღმდეგობის ადგილი პოზიტიური სისხლის სამართლის მიღმაა, ხოლო ბუნებით სამართალს, აქვს მართლწესრიგის განმსაზღვრელი უმაღლესი ღირებულების როლი და მნიშვნელობა“ (*უ. ბახტაძე*).[572]

გარდა ამისა, საქართველოს სისხლის სამართლის კანონის მიხედვით, „მართლწინააღმდეგობა არის, არა ზოგადად სამართლებრივი იმპერატივების დარღვევა“ (*ლ. კუტალია*),[573] ან „ვიწროდ გაგებული სისხლისსამართლებრივი მართლწინააღმდეგობა, არამედ, პირის მიერ ჩადენილი ქმედების წინააღმდეგობა კულტურის ნორმებისადმი“ (*მ. ტურავა*).[574] აღსანიშნავია, რომ კულტურა, თავისი უპირველესი მნიშვნელობით, ნიშნავს სულის დამუშავებას და სრულყოფას (*ციცერონი*),[575] რომელსაც აქვს ზნეობრივი შინაარსი (*კანტი*).[576] რელიგია კი, კულტურის არსებითი ნაწილია (*ჯ. ბიდლი*).[577] ამასთან, კანონების შემუშავება დამოკიდებულია ფართო კულტურული გარემოს მახასიათებლებზე, ხოლო კონკრეტული დანაშაულები ეფუძნება მორალს.[578]

დაბოლოს, აუცილებელია აღინიშნოს ისიც, რომ ისეთ მეტა-იურიდიული კატეგორიას, როგორიც არის განზრახვა, მართლწინააღმდეგობის შეგნება, აქცევს ბოროტ განზრახვად.[579]

ამგვარად, მართლწინააღმდეგობა, თავისი არსით, მეტა-იურიდიული კატეგორიაა, რადგან იგი ბიბლიური პრინციპის გამოხატულებაა და მის ცენტრალურ ელემენტს წარმოადგენს სულიერი (კულტურული), მორალური ნორმების დარღვევა.

---

571 დაწვრილებით იხილეთ წინამდებარე დისერტაციის ქვე-თავი: 1.1 ცოდვის, დანაშაულისა და დანაშაულობის ნორმატიული ბუნება.

572 *ბახტაძე უ.*, კრიმინალიზაციის პროცესის კრიმინოლოგიური ანალიზი (სადისერტაციო ნაშრომი), თსუ, თბ., 2019, 218.

573 *ტურავა მ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, (მეცხრე გამოცემა), გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2013, 5.

574 იქვე, 56.

575 Введение в Культурологию, М., 1995, 132, ციტირებულია სტატიიდან: *წულაია დ.*, დანაშაულობის აღმოფხვრაში კულტურის ფენომენის შესახებ. სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალური პრობლემები, (საიუბილეო კრებული, მიძღვნილი თსუ იურიდიული ფაკულტეტის 80 წლისთავისადმი), თსუ გამომცემლობა, თბ., 2003, 404.

576 იხ. *ჯულიყანიშვილი ა.*, კულტუროლოგია, ფონდი ღია საზოგადოება, გამომც. „უნივერსალი“, თბ., 2001, 131.

577 იხ. *ჩხარტიშვილი ლ.*, ეშმაკი საბოლოოდ ჯერ არ დაუფლებია ჩვენს სამყაროს, იხ.: მართლმადიდებლური ჟურნალი „კარიბჭე“, №2, (323), 26 იანვარი - 8 თებერვალი, 2017, 47.

578 იხ. *Durrant R.*, Evolutionary Theory and the Classification of Crime, 2020, 7, სტატიის ნომერი: 101449 ელ-ჟურნალი “A Review Journal”, Aggression and Violent Behavior (Editor-in-Chief: Vincent van Hasselt), Elsevier Ltd, <https://www.journals.elsevier.com/aggression-and-violent-behavior>, (მოპოვების თარიღი: 01.07.2020).

579 იხ. *დვალიძე ი., თუმანიშვილი გ., გვენეტაძე ნ.*, კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა სისხლის სამართალში, თბ., 2015, 200.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, მართლწინააღმდეგობის ნიშნით, *malum in prohibitum*-ის დანაშაულიც, ასევე ამორალური, ანუ ბოროტი ქმედებაა.[580]

ბრალის გარეშე არ არსებობს დანაშაული.[581] ბრალზე ლაპარაკი, შეუძლებელია მეტა-იურიდიული ელემენტის გარეშე, რაც კარგად აქვს გამოკვლეული *ლ. კუტალიას*.[582] კლასიკური სისტემით, ყველა სუბიექტურ-სულიერი ელემენტი განიხილება ბრალის შემადგენელ ნაწილად.[583] მაგალითად, *ჯ. ჰოლის* მიხედვით, „სამართლებრივი მანდატი ითვალისწინებს ბრალეული განზრახვის (*mens rea*) დადგენას პირის დანაშაულში მხილებისათვის. სიტყვა განზრახვა (*rea*) კი, შეიცავს მეტა-იურიდიულ ღირებულებას და მას სამართლებრივ სტანდარტად აქცევს.“[584] უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გერმანელი ფსიქოლოგი *ვ. ვუნდტი* „ნებელობას“ ზებუნებრივ საწყისად თვლის.[585] ნორმატივიზმის ფუძემდებლის *ჰ. კელზენისთვის*, „ნება“ მეტაიურიდიული მოვლენაა,[586] ხოლო, *ბ. სავანელის* აზრით, თავისუფალი ნება, ისევე როგორც ადამიანის ყველა სხვა თვისება, მეტაიურიდიული მოვლენაა.[587]

რაც შეეხება მართლწინააღმდეგობის შეგნებას, რომელიც ასევე განზრახვის ელემენტია, იგი ბრალის ეტაპზე დგინდება და აქ განზრახვა უკვე ბოროტ განზრახვად (*dolus malus*) გადაიქცევა.[588]

ცნობილია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, ბრალი წარმოადგენს წმინდა ნორმატიულ კატეგორიას *გასაკიცხაობის* სახით.[589] ნორმატიულობას რაც შეეხება, იგი არაერთგზის აღინიშნა დისერტაციაში, როგორც ცოდვის, დანაშაულის და დანაშაულობის საერთო ნიშანზე.[590] ერთ-ერთი მოსაზრებით, გაკიცხვაც, როგორც სოციალ-ეთიკური და მორალური კატეგორია ეფუძნება ფსიქიკურ

---

[580] იხ. სამართლის ტრანსცენდენტულ ბუნებაზე იხილეთ წინამდებარე დისერტაციის ქვე-პარაგრაფები: 2.1.7.2 სამართალი და მისი ტრანსცენდენტული ბუნება და 2.1.7.2.1.9 ნორმატივისტული სამართლის თეორია.

[581] იხ. ქართული სამართლის საფუძვლები (რედ. *რ. შენგელია*, რეც. *ზ. წულაია*), თბ., 2000, 357.

[582] ბრალის თეორიზე დეტალური ინფორმაციისთვის იხ.: *კუტალია ლ-გ.*, ბრალი სისხლის სამართალში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ. 2000.

[583] იხ. *ტურავა მ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, (მეცხრე გამოცემა), გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2013, 61.

[584] *Mueller, G.O.W.*, (1959) „Criminal Theory: An Appraisal of Jerome Hall's Studies in Jurisprudence and Criminal Theory“, *Indiana Law Journal*: Vol. 34: Iss. 2, (Article 2), 208, იხ.:<http://www.repository.law.indiana.edu/ilj/vol34/iss2/2>, (მოპოვების თარიღი: 08.09.2019).

[585] იხ. *იმედაძე ი.*, ფსიქოლოგიის ისტორია, გამომც. „მწიგნობარი“, თბ., 2008, 204.

[586] იხ. *სავანელი ბ.*, სამართლის თეორია, გამომც. „საქართველო“, თბ., 1993, 61.

[587] იხ., იქვე, 61.

[588] იხ. *ტურავა მ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, (მეცხრე გამოცემა), გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2013, 398.

[589] იხ., იქვე, 65.

[590] იხილეთ წინამდებარე დისერტაციის ქვე-თავი: 1.1. ცოდვის, დანაშაულისა და დანაშაულობის ნორმატიული ბუნება.

დამოკიდებულებას,[591] მოტივს და შეფასებს.[592] საყურადღებოა, რომ თავად ბრალს, *თ. წერეთელი* განიხილავს, როგორც „(სოციალურ-) ეთიკურად, ზნეობრივად ან ზნეობრივ-პოლიტიკურად გასაკიცხ ფსიქიკურ დამოკიდებულებას.“[593]

დაბოლოს, *მ. უგრეხელიძე*, როდესაც აანალიზებს ექსისტენციალიზმისა და სამართლის საკითხს, აღნიშნავს, რომ ექსისტენციალური ხასიათის ფილოსოფიურ ტრაქტატებში ბრალი მიუთითებს „ცოდვაში ჩავარდნილ“ ადამიანს, რაც იურისტთა საფუძვლიან ინტერესს იწვევს.[594] *მ. უგრეხელიძე*, მიდის იმ დასკვნამდე, რომ „ბრალის ცნების ახსნა თითქმის შეუძლებელი იქნებოდა რომ არ არსებობდეს თეოლოგიური ახსნა.[595] დანიელი ფილოსოფოსი *სიერონ კერკეგორი* სწორედ ამ ბრალზე საუბრობს, როდესაც მიუთითებს, რომ ბრალი უპირველესად რელიგიური, მეტაფიზიკური ცნებაა და შემდეგ ეთიკური.[596] დაბოლოს, *გ. ნაჭყებია*, აღნიშნავს, რომ „ბრალი, როგორც გაკიცხვის ობიექტი გაკიცხვამდე უნდა არსებობდეს“ (*გ. ნაჭყებია*).[597]

1.3.1.4 შეჯამება

კვლევით ირკვევა, რომ ბიბლიაში „ცოდვა“ და „დანაშაული“ სინონიმური ცნებები და ტერმინებია. ამდენად, დანაშაული ტრანსცენდენტული აქტია. აღნიშნული დებულება ლოგიკურია, რადგან თუკი „რჯული სულიერია“, მისი დარღვევა შეუძლებელია არ იყოს ტრანსცენდენტული. როგორც ზემოთ აღინიშნა, ცოდვა და მისი ნორმატიული ასპექტი, უწინარეს ყოვლისა, გულისხმობს ჯერ, შინაგანი სჯულის, ანუ „სინდისის სამართლის“, ხოლო შემდეგ გარეგანი, დაწერილი საღვთო სჯულის დარღვევას. შინაგანი სჯულის დარღვევა, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ სინდისი, ადამიანის ბუნებითი სჯული, წინ უსწრებს ყველა სხვა სამართალს. როგორც ვიცით, სამართლის თეორიაში, ადამიანის სინდისი წარმოადგენს უმაღლესი მორალური ინსტანცის, რომელიც, სამართალის მსგავსად, ნორმატიული ჯერარსული წესრიგია,

---

[591] იხ. *ტყეშელიაძე გ.*, ბრალი შეფასებითი ცნებაა, *საიუბილეო კრებული* მიძღვნილი თსუ იურიდიული ფაკულტეტის 80 წლისთავისადმი *სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალური პრობლემები*, თსუ გამომცემლობა, თბ., 2003, 326.

[592] დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ: *დვალიძე ი.,* მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციასა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე (სადისერტაციო ნაშრომი), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2008.

[593] *კუტალია ლ-გ.*, ბრალი სისხლის სამართალში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ. 2000, 802.

[594] იხ. *უგრეხელიძე მ.*, ექსისტენციალიზმი და სამართალი, ქართული უნივერსიტეტის შრომები, ტ. 1, გამომც. „ქართული უნივერსიტეტი“, თბ., 2015, 211.

[595] იხ., იქვე.

[596] იხ. *Кьеркегор Ц.*, Болезнь к Цмерти, в книге Страх и Трепет, М., 1993, 128, იხ.: *რამიშვილი ვ.*, ადამიანი და ხვედრი (დროის მეტაფიზიკა), თსუ-ს გამომცემლობა, 2002, 229.

[597] *ნაჭყებია გ.*, სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა და დანაშაულის ცნება, ლექციების კურსი (რედ. *ნ. თოდუა*), თბ., 2002, 140.

რომლისთვისაც მნიშვნელოვანია არა მარტო გარეგნული ქცევა, არამედ ამ ქცევის განმსაზღვრელი მოტივებიც.

რაც შეეხება სისხლის სამართალში დანაშაულის ცოდვის კონცეპტს, *malum in se*-ის ყველა ქმედება თავისი არსით ამორალური, ბოროტი და უნივერსალურია, და შეესაბამება ცოდვის თეოლოგიურ კონცეფციას. ამიტომ, *malum in se*-ის დანაშაული ცოდვის გამოვლინებაა. *malum in prohibitum*-ის ქმედებები, მიუხედავად იმისა, რომ პოზიტიურ სამართალში არსებობს არაერთგვაროვანი პოზიცია მორალთან დაკავშირებით, ფორმალურად მაინც შეიძლება ჩაითვალოს ცოდვის გამოვლინების ფორმად. ეს აიხსნება იმით, რომ სისხლის სამართალის ნორმა ფორმალურად ყოველთვის ითვალისწინებს მორალის ნიშანს, რაც კარგად გამოჩნდა დანაშაულის საკანონმდებლო ცნების ანალიზითაც მიუხედავად იმისა, რომ სამართლის თეორიაში გავრცელებული აზრის თანახმად, შეიძლება კანონი არ ითვალისწინებდეს მორალს, ანუ კანონი შეიძლება იყოს უსამართლოც. ასეთ კანონდარღვევას, ანუ „დანაშაულს" მართლმადიდებლობა, ბუნებრივია არ რაცხავს ცოდვად.

ზოგადად, დებულება, რომ დანაშაული ხელყოფს მორალს სიახლეს არ წარმოადგენს ფილოსოფიაში, იურისპრუდენციასა და კრიმინოლოგიაში, რაც არაერთხელ აღინიშნა. მაგალითად, *ი. კანტისთვის* დანაშაული ზნეობრივი კანონის დარღვევაა.[598] იგივეს ამტკიცებს სიტუაციური ქმედების თეორია *Situational Action Theory*.[599] *რ. დურანტსი*, რომელიც იკვლევს დანაშაულთა კლასიფიკაციის პრობლემას, შენიშნავს, რომ დანაშაულის კონცეფცია დაკავშირებულია მორალთან.[600] კრიმინოლოგები *ჰ. უისტრომისა* და *ა. ბოტომის* მტკიცებით, მორალს ცენტრალური ადგილი უკავია კრიმინოლოგიურ თეორიებსა და კვლევებში, რომ ყველა კრიმინოლოგი დაინტერესებული უნდა იყოს მორალით[601] და ა.შ. ამ პოზიციიდან გამომდინარეობს, რომ *malum in prohibitum*-ის დანაშაულებიც შეესაბამება ცოდვის კონცეფციას და ყველა დანაშაული სისხლის სამართალში უნდა ჩაითვალოს ცოდვის გამოვლინების ფორმად. მაგრამ, აღნიშნულ ფორმულირებას დასკვნის სახე მიეცემოდა, რომ არა ერთი გარემოება. კერძოდ, მართლმადიდებლური ქრისტიანული მორალი ყოველთვის არ არის პოზიტიური სამართლის მორალის იდენტური.

---

[598] იხ. *ვაჩეიშვილი ალ.*, სასჯელი და სოციალური დაცვის ღონისძიებანი, თსუ-ს გამომცემლობა, თბ., 1960, 29.

[599] იხ. *Wikström P-O.H.* and *Sampson R.J.*, The Explanation of Crime, Context, Mechanisms and Development, Cambridge University Press, UK, 2006, 94-95.

[600] იხ. *Durrant R.*, Evolutionary Theory and the Classification of Crime, 2020, 7, ელ-ჟურნალი „A Review Journal", Aggression and Violent Behavior (Editor-in-Chief: Vincent van Hasselt), Elsevier Ltd, <https://doi.org/10.1016/j.avb.2020.101449>, (მოპოვების თარიღი: 01.07.2020).

[601] იხ. *Wikström, P-O. H.*, Explaining Crime as Moral Action, იხ. Handbook of the Sociology of Morality (eds.: *Steven Hitlin*, *Stephen Vaisey*), Springer, Verlag, New York, 2010, 211.

როგორც ცნობილია, ქრისტიანული მორალი, საღვთო კანონია, უცვლელი, მარადიული და უცდომელია. პოზიტიურ სამართალში აღიარებული „კონვენციური მორალი“ კი, ეფუძნება საზოგადოების მნიშვნელოვანი უმრავლესობის წარმოდგენებს, რომელიც ბევრად განსაზღვრავს „ინდივიდუალური მორალის“ შინაარსს და ცვალებადია დროის შესაბამისად. მაგალითად, *ვებრი*, *სიმელი*, *დიურკჰეიმი* და *მარსი* მორალს სოციალურ ფენომენად განიხილავდნენ.[602] *ჯ. უოლდის* შეხედულებით კი, სისხლის სამართალი ყოველთვის არ გამოხატავს საზოგადოების ღირებულებებს[603] და ა.შ. რაც შეეხება იმას, თუ რატომ უნდა იყოს გაზიარებული ქრისტიანული მორალი სამართალში, ამაზე დისერტაციაში უკვე აღინიშნა.[604]

აქედან გამომდინარე, სისხლის სამართლის დანაშაულის ცოდვის გამოვლინების ფორმად შეიძლება საუბარი პირობითად. დანაშაული უპირობოდ, რომ ჩაითვალოს ცოდვის გამოვლინების ფორმად, მაშინ სისხლის სამართლის ნორმა უნდა შეესაბამებოდეს ქრისტიანულ მორალს, სჯულს, მცნებას, პრინციპს, კონცეპტს და ა.შ.

რ. ფრანკმა დაასკვნა, რომ „სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ყოველი ქმედება აუცილებლობით ემთხვევა რელიგიისა და ზნეობის პრინციპებს“.[605] *ფრანკის* სულისკვეთება სრულად იქნებოდა გაზიარებული, თუმცა, პოზიტიურ სამართალში ასევე არსებობს განსვავებული რეალობებიც. საკმარისია გავიხსენოთ, რომ: „ზნეობის მინიმუმის გათვალისწინება ნაკარნახევია არა სამართლის მორალიზების მიზნით, არამედ იმიტომ, რომ სამართალმა მოიპოვოს საზოგადოებრივი აღიარება.”[606] ამდენად, მიზანშეწონილია გადაიდგას ნებიჯები, რათა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ყოველი ქმედება აუცილებლობით დაემთხვეს რელიგიისა ან/და ზნეობის პრინციპებს.

დაბოლოს, საყურადღებოა *რ. ფრანკის* საპირისპირო პოზიცია, რომელსაც აფიქსირებს *დეკ. ა. მენი*, თითქოს „სისხლის სამართალი არ ცნობს ცოდვას..., რომ ცოდვა ადამიანის დაუმორჩილებლობაა შემოქმედის იმ ნებისადმი, რომელიც ან სახარებით გაგვეცხადა, ან საეკლესიო ცნებებით, ან ჩვენი საკუთარი სინდისით.“[607] ბუნებრივია, ასეთი განმარტება ბოლომდე ვერ იქნება გაზიარებული. საკმარისია, ბიბლიური სწავლების გახსენებაც, რომ სახელმწიფო და სამართლი ღმერთის დადგენილია, ასევე სულიწმიდის მადლით შემოსილი მეფეების მიერ დაწესებული სამართალი, ან *malum in*

---

[602] იხ. *Powell Crh.,* Four Concepts of Morality, *Handbook of the Sociology of Morality* (eds.: *Steven Hitlin*, *Stephen Vaisey*), Springer, Verlag, New York, 2010, 35.

[603] იხ. *Treadwell J.*, Criminology the Essentials, second edition, SAGE Publications Ltd, London, UK, 2013, 12.

[604] იხილეთ წინამდებარე დისერტაციის ქვე-პარაგრაფები: 1.1.2.1 რომის იმპერიის სამართალისადმი ქრისტიანული დამოკიდებულება, და 1.2.4.3 საღვთო და პოზიტიურ სამართლში მორალის კონცეპტი.

[605] *Frank R.*, Kommentar Uber das Grobherzolich Hessische StGB, I Teil, S. 550, ციტირებულია სტატიიდან: *კუტალია ლ-გ.*, ნორმის უცოდინარობა სისხლის სამართალში (ნორმის ცოდნის ვალდებულების ცნება), ჟურნალი მართლმსაჯულების მაცნე, №1-2, თბ., 1999, 35.

[606] *ხუბუა გ.*, სამართლის თეორია, თბ., 2004, გვ. 63.

[607] იხ. *დეკ. ალექსანდრე მენი* შეკითხვები და პასუხები, გამომც., „კავკასიური სახლი“, თბ, 2017, 101-102.

se-ის ქმედებების თეოლოგიური კონცეფცია, ათი მორალური მცნების ზოგადსაკაცობრიო ბუნება და ზოგადად, ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევა, რომლითაც ირკვევა, რომ დანაშაული არის ცოდვის გამოვლინების ერთ-ერთი ფორმა.

1.3.2 დანაშაულობა, როგორც ცოდვის გამოვლინების ფორმა

1.3.2.1 ცოდვისა და დანაშაულობის კონცეფციები

დანაშაულის მსგავსად, დანაშაულობის შესახებაც უამრავი განსაზღვრება არსებობს სამეცნიერო ლიტერატურაში. მათში ასახულია ავტორთა ფილოსოფიური, სოციოლოგიური სკოლებისა და მიმართულებების, სამართლებრივი და რელიგიური შეხედულებები.[608] მიუხედავად ამისა, ყველა დეფინიციაში დანაშაულობა ხასიათდება, როგორც სოციალური, სამართლებრივი და მასობრივი მოვლენა.[609] ცოდვის პერსპექტივიდან, დანაშაულობის ცნების აღნიშნული ნიშნების გაანალიზება ადვილია, რადგან ცოდვა ყოველგვარი ნეგატიური მოვლენის აღმნიშვნელი ცნებაა და, მათ შორის, დანაშაულობის. ამის გამო, აუცილებელია, რომ ცოდვასთან მიმართებაში კონცეპტუალურად გაანალიზდეს დანაშაულობის კრიმინოლოგიური ცნების თითოეული ზემოთ მოყვანილი სამი ელემენტი.

თუმცა, ვიდრე მოხდება აღნიშნული სამი ასპექტის გამოკვლევა, სასურველია გაანალიზდეს ცოდვისა და დანაშაულობის ლინგვისტური ასპექტები.

ბიბლიაში ვკითხულობთ: „..., რადგან თვითრჯულია ეს ხალხი. შეგვინდე დანაშაული და შეცოდება ...” (გამ. 34, 9).

აღნიშნულ მუხლში სიტყვა „შეცოდება“ და „დანაშაული“ უკავშირდება არა ერთ ქმედებას, არამედ მასობრივ მოვლენას, ისრაელის ცოდვას, რაც გამოიხატება ღვთის რჯულის დავიწყებაში, ანუ ცოდვიანობაში. მსგავსი შინაარსის მუხლები ბიბლიაში ძალიან ბევრია და მათი დეტალური ანალიზი არ წარმოადგენს აუცილებლობას.

ამგვარად, ირკვევა, რომ „ცოდვა“ და „დანაშაულობა“ თავისი არსით ტოლმნიშვნელოვანი ცნებები და ლინგვისტური ერთეულებია, რადგან გამოიყენება ერთი და იმავე მოვლენის გამოსახატად.

ამასთან საინტერესოა, რომ ტერმინ „ცოდვას“ *ი. ჭავჭავაძე* დანაშაულობის აღმნიშვნელ ტერმინადაც მიიჩნევს. მისი სიტყვებია „სათნოების minimum-ზედ, ამ ხაზზედ დგომა ყველასათვის სავალდებულოა. ხოლო შესაძლოა ამ ხაზს ძირსაც

---

[608] იხ. Криминология (ред. *В.Н. Кудрявцева*, *В.Е. Эминов*), Изд. „Юристъ“, М., 1997, 19.

[609] იხ.: 1. *კრიმინოლოგია*, (რედ. *გ. ა. ავანესოვი, ნ. დ. ერიაშვილი*), მეოთხე გამოცემა, თბ., 2007, 241; 2. *წულაია ზ.*, დასახ. ნაშრ., 48-49; 3. *კრიმინოლოგია* (სამეცნ. რედ. *გ. ღლონტი*), თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, თბ., 2008, 41-54.

დასძილდეს და ზე ასცილდეს კიდეც. დამცილებელი სცოდავს საზოგადოებას და ისჯება საზოგადოებისაგანვე, რადგანაც ამ შემთხვევაში დაცილება დანაშაულობაა“[610]

აქვე ხაზი უნდა გაესვას ქართული კრიმინოლოგიისთვის უმნიშვნელოვანეს ლინგვისტიკურ და კონცეპტუალურ სიახლეს. კერძოდ, ტერმინი „დანაშაულობა“ *ი. ჭავჭავაძემდე* არც ერთ ქართულ წყაროში არ ფიქსირდება. ამდენად, *წმ. ილია მართლის*, „დანაშაულობის“, როგორც კონცეფციისა და ტერმინის ნეოლოგიზმის ავტორად გამოცხადება, მართებულია. ტერმინ „დანაშაულობის“ ეტიმოლოგიისა და კონცეფციის ცოდნა უმნიშვნელოვანესია, როგორც ქართული კრიმინოლოგიის ისტორიისთვის, ასევე დანაშაულობის ცნებისა და სხვა კრიმინოლოგიური საკითხების მეცნიერულად სწორი გააზრებისთვის.

ცოდვისა და დანაშაულობის ურთიერთმიმართბის საკითხის განხილვისას, აუცილებლად მიგვაჩნია, მოკლედ გაანალიზდეს ცოდვისა და დანაშაულობის ნორმატიული ასპექტიც. როგორც აღინიშნა ნორმატიული ნიშანი ცოდვისა და დანაშაულობის საერთო ნიშანია. გარდა ამისა, ცოდვა ფართო გაგებით ასოცირდება დანაშაულობის ისეთ კრიმინოლოგიურ კონცეპტთან, როგორიც არის ანომია.[611] მაგალითად, *რ. ვილანდის* მიხედვით, ცოდვის კარგად ცნობილ განსაზღვრებას წარმოადგენს „ურჯულოება“. ორიგინალში სიტყვა ურჯულოებას შეესატყვისება ბერძნული სიტყვა *ანომია*, რომელიც აღნიშნავს საღმრთო კანონებთან მტრობის მდგომარეობას და არა უბრალო ქმედებას.[612]

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ნორმატიული ნიშანი მიეკუთვნება დანაშაულობის, როგორც ლეგალისტურ, ასევე სოციოლოგიურ კონცეპტსაც. კერძოდ, დანაშაულობის არსის განზოგადებისთვის, იურისტებისთვის დანაშაულობის ათვლის წერტილი არის სამართლის ნორმა, ხოლო სოციოლოგებისთვის ანომია, ანუ უნორმატიულობა. ამდენად, ნორმატიულობის ნიშნით, დანაშაულობა უპირობოდ წარმოადგენს ცოდვის გამოვლინების ერთ-ერთ ფორმას.

---

[610] *ჭავჭავაძე ი.*, თხზულებათა სრული კრებული, ტომი IV, ერი და ისტორია, წერილები სახალხო განათლების საკითხებზე (რედ. *პ. ინგოროყვა*), საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, თბ., 224-225.

[611] იხ.: 1. წინამდებარე დისერტაციის პირველი თავის ქვე-პუნქტი 1.1.2.4 შეჯამება; 2. *კოდუა ე.*, სოციოლოგია, ნაკვეთი 2 (რედ. *ნ. ბერძენიშვილი*), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1998, 220.

[612] 1. იხ. *Wieland R.*, The Golden Chain, Is there a Broken Link? *Some Insights into the Humanity of Christ*, Delton, USA, 1999, 48, <http://www.4eange.com/anglais/LIV/KOR/PDF/ENG/WIE/The%20Golden%20Chain.pdf>, (მოპოვების თარიღი: 10.10.2020); 2. თუმცა, ბიბლიის ქართული ვერსიის მიხედვით „ყველა ვინც სჩადის ცოდვას, ურჯულოებასაც სჩადის; და ცოდვა არის ურჯულოება“ (იოანე 1. 3:4).

1.3.2.2 ცოდვის კონცეპტი დანაშაულობის კრიმინოლოგიურ ცნებაში

1.3.2.2.1 ცოდვა, როგორც სოციალური მოვლენა

დანაშაულობის სოციალურ მოვლენაში იგულისხმება ის, რომ დანაშაულობა არის სოციალური ქცევის ფორმა, რომელიც დამახასიათებელია ყველა საზოგადოებისთვის და ხელყოფს საზოგადოების წევრების ინტერესებს. გარდა ამისა, სოციალური საშიშროება დანაშაულის თვისებაა.[613] დანაშაულობა სოციალურია თავისი წარმოშობით, შინაარსით და ა.შ.[614]

ცოდვის სოციალურ ბუნებაზე უნდა ითქვას, რომ ღმერთის მიერ, პირველქმნილი ადამიანებისთვის უფლებების მინიჭებით (დაბ. 1. 22), ადამიანის ცხოვრება იძენს უდიდეს სოციალურ მნიშვნელობას. მოსეს კანონები სოციალურად იყო ორიენტირებული, რომლის ჯეროვნად შესრულებას სოციალურად სამართლიანი საზოგადოების ფორმირება უნდა უზრუნველეყო.[615]

ს. ჩანი ცალკე საკითხად აანალიზებს ცოდვის სოციალურ განზომილებას და ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მთელი სამყარო „ბოროტებაში ძევს“ (1 იოანეს 5:19), რომ ქვეყნიერებაზე არსებობს ბოროტი სისტემა,[616] რასაც არისტოტელეც ამტკიცებდა, „სახელმწიფო წარმოადგენს აუცილებელ ბოროტებას“,[617] რადგან „ის, ვინც მოითხოვს ბატონობდეს ადამიანი, მას თავის მოთხოვნაში შემოაქვს ცხოველური საწყისი“.[618]

ცოდვის სოციალურ ბუნებაზე განმარტებას აკეთებს *მიტრ. ი ვლახოსი.* იგი აღნიშნავს, რომ „ცოდვები ადამიანს არ წყვეტენ მხოლოდ ღმერთისაგან, არამედ იმ ადამიანებისაგან, რომლებიც ღმერთის მცნებებს იცავენ და ქრისტეს სხეულის ნაწილები არიან.“[619]

თეოლოგიურ ენციკლოპედიურ ლექსიკონში აღნიშნულია, რომ ბიბლიის დაბადების წიგნის მე-6 თავი კარგად აღწერს წარღვნამდელ სოციუმს, რომელიც, ნოეს ოჯახის გარდა, არ ემორჩილება საღვთო სამართალს და განიცდის სრულ გადაგვარებას და ცოდვაში იძირება: „დაინახა უფალმა ღმერთმა, რომ იმატა ადამიანთა უკეთურებამ ამქვეყნად, რომ უკეთური იყო მუდამჟამს მათი ყოველი გულისთქმა (დაბ. 6, 5); წაირყვნა

---

[613] იხ. *ნაჭყებია გ.*, (2002), დასახ. ნაშრ., 20.

[614] იხ.: 1. *წულაია ზ.*, დასახ. ნაშრ., 48-49; 2. Криминология в Схемах, (сост., *Владимир Водопянов*), М., 2005, 17.

[615] იხ. *მიქელაშვილი მ.*, ბიბლია, ეკონომიკური კატეგორიები, თბ., 2013, 16.

[616] იხ. *ჩანი ს.*, დასახ. ნაშრ., 158-159.

[617] *ფორჩხიძე ბ.*, სამართლისა და სამართლიანობის ურთიერთმიმართების პრობლემა, ფილოსოფიური ძიებანი (მთ. რედ. *ი. კალანდია*), საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემია, კრებული № 23, გამომც. „უნივერსალი“, თბ., 2019, 340.

[618] *სავანელი ბ.*, სამართლის თეორია, გამომც. „საქართველო“, თბ., 1993, 118.

[619] *მიტრ. ი. ვლახოსი*, სულიერი მედიცინის მეცნიერება (თარგმნა *ეკა დუღაშვილმა* და *ლევან ბუკიამ*, რედ. დეკ. *მაქსიმე ჭანტურია*), გამომც., „ახალი ივერიონი“, თბ., 2017, 162.

ქვეყანა ღვთის წინაშე და აივსო ქვეყანა უსამართლობით; ... გაერყვნა ყოველ ხორციელს თავისი ზნე ამ ქვეყანაზე" (დაბ. 6, 11-12).[620]

ბიბლიაში ცოდვის სოციალური ხასიათი კარგად არის აღწერილი ესაია წინასწარმეტყველთანაც: „ვაი, ბრალეულო ხალხო, ცოდვით დამძიმებულო ერო, ბოროტეულთა მოდგმავ, წარწყმედილო შვილებო! მიტოვებული ჰყავთ უფალი, დაგმობილი ჰყავთ ისრაელის წმიდა, ზურგი შეუქცევიათ!" (ეს. 1, 4).[621]

გარდა ამისა, ცოდვა რომ საზოგადოების ყველა ფენას მოიცავს, ასევე კარგად არის გადმოცემული იერემია წინასწარმეტყველთან:

„რადგან პატარიდან დიდამდე ყველა მომხვეჭელია: წინასწარმეტყველიდან მღვდლამდე ყველა ყალბისმქმნელი" (იერ. 6, 13).

საზოგადოების სტრატებად დაყოფის ყველაზე კლასიკურ მაგალითად უნდა ჩაითვალოს ბაბილონის გოდოლის შენების ეპიზოდი. ბიბლია გვაუწყებს, რომ წარღვნის შემდგომ, მთელი ქვეყანა ერთპირი იყო და ერთ ენაზე მეტყველებდა. ღვთის სადიდებლად ხალხი გადაწყვეტს ქალაქის აშენებას, რის გამოც, ღმერთი გაფანტავს მათ დედამიწის ზურგზე (დაბ. 11, 1-10) და წარმოიშვებიან „ერნი, ტომნი და ენანი" (დან. 3, 4, 7).

ს. ჩანის აზრით, ცოდვას სჩადის სოციალური კლასი, ბიზნესკორპორაცია, ერი. გარდა ამისა, ცოდვას საფუძვლად უდევს საზოგადოების მოწყობა და სხვა.[622]

დაბოლოს, *მღვდელმთავარი ლუკა ვიონო-იასენეცკის* განმარტებით, „სახარება გვასწავლის, რომ თავად ადამიანში, ადამიანის ძალასა და სურვილებშია ცოდვის ძირი. მაგრამ, იმდენად, რამდენადაც საზოგადოება შედგება ადამიანებისაგან, ამიტომ ცოდვა ადამიანის გულის საზღვრებს გარეთ გადის და იგი საზოგადეობას და საზოგადოებრივ ცხოვრებას ტბორავს. გარემო სწორედ იმის გამო ცოდვიანდება, რომ ასეთად მას სწორედ ადამიანები ხდიან."[623]

1.3.2.2.2 ცოდვა, როგორც სამართლებრივი მოვლენა

დანაშაულობა სამართლებრივი მოვლენაა იმის გამო, რომ დანაშაულობის წრე განსაზღვრულია პოზიტიური სამართლით, რომელიც ყველაზე მეტად მჟღავნდება სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. დანაშაულობის სამართლებრივი ელემენტი განასხვავებს დანაშაულობას ისეთივე სოციალური მოვლენისაგან, როგორიცაა ამორალური გამოვლინებანი, ხოლო მართლწინააღმდეგობის ხარისხი განასხვავებს მას

[620] Теологический Энцеклопедический Словарь (ред. *Уолтер Элвелл*), ассоциация „Дыховное Возрождение", М., 2003, 337.
[621] იხ., იქვე.
[622] იხ. *ჩანი ს.*, დასახ. ნაშრ., 163.
[623] *მღვდელმთავარი ლუკა (ვიონო-იასენეცკი)*, დასახ. ნაშრ., 50.

ისეთი სამართალდარღვევისაგან, როგორიც არის: ადმინისტრაციული, დისციპლინური და სამოქალაქო სამართლებრივი.[624]

დებულება, რომ ცოდვა პოზიტიური სამართლის ნორმების დარღვევაა, ეფუძნება ბიბლიურ სწავლებას, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფო ღმერთის მიერ დადგენილი ინსტიტუტია, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოს მიერ დადგენილი სამართლის დარღვევა, და მათ შორის სისხლის სამართლის კანონის დარღვევა, ითვლება ცოდვად.

ე. დიურკჰემის თანახმად, თუკი, სისხლის სამართალი თავდაპირველად იყო რელიგიური სამართალი, ჩვენ შეიძლება ვიყოთ დარწმუნებული იმაში, რომ ინტერესი, რომელსაც იგი ემსახურებოდა იყო სოციალური. ღმერთების შეურაცხყოფა კი, საზოგადოების შეურაცხყოფაა.[625]

დაბოლოს, ცოდვის ვიწრო გაგებაში აღინიშნა, რომ კონკრეტული ნორმის დარღვევა, ცოდვის ფართო გაგების საფუძველია. აღნიშნული დებულება ეფუძნება პრინციპს, რომლის თანახმად, ერთ ცოდვას შეუძლია გამოიწვიოს კაცობრიობის ცოდვიანობა (დაბ. 3, 16-17), რადგან:

> „ვინც ერთში შესცოდა ყველაფერში შესცოდა“ (იაკ. 2, 10); „თაობიდან თაობას გადაეცემა ადამის ცოდვა და ცოდვის გამო - სიკვდილი“ (რომ. 5, 12); „ერთის შეცოდებით მრავალნი მოკვდებიან“ (5, 15); „ერთის შეცოდებისაგან ყველა კაცის თავზე მოიწია სასჯელი“ (რომ. 5, 18); „ერთი კაცის ურჩობით მრავალი გახდა ცოდვილი“ (რომ. 5, 19).

ბიბლიის აღნიშნული პრინციპი პოზიტიურ სამართალშიც ჰპოვებს თავის განვითარებას. მაგალითად, *გ. ნაჭყებია* შენიშნავს, რომ „თუ ქმედება ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის ნორმებს, მაშინ ის ეწინააღმდეგება სამართლის სხვა დარგის ნორმებსაც, რადგან დანაშაული არის უკიდურესი სამართალდარღვევა.“[626]

1.3.2.2.3 ცოდვა, როგორც მასობრივი მოვლენა

დანაშაულობის მასობრივი ნიშანი მოიაზრებს, არა მხოლოდ დანაშაულთა ჯამს, არამედ გარკვეული ტერიტორიისა და კონკრეტული დროისათვის დამახასიათებელ ორგანულად შენაჯამებ ერთობლიობას.[627]

ცოდვის მასობრივ ასპექტზე, ნაწილობრივ აღინიშნა დისერტაციაში, როდესაც გამოკვლეული იქნა ცოდვის, დანაშაულისა და დანაშაულობის ნორმატიული ბუნება.[628]

---

[624] იხ. 1. *წულაია ზ.*, დასახ. ნაშრ., 49; 2. კრიმინოლოგია (სამეცნ. რედ. *გ. ღლონტი*), თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, თბ., 2008, 46.

[625] იხ. *Durkheim E.*, Division of Labour in Society, (translated by W.D. Halls), the Free Press, London, 1984, 49-50.

[626] *ნაჭყებია გ.*, (1998), დასახ. ნაშრ., 101.

[627] იხ. კრიმინოლოგია, (რედ. *გ. ა. ავანესოვი, ნ. დ. ერიაშვილი*), მეოთხე გამოცემა, თბ., 2007, 240-241.

[628] იხილეთ წინამდებარე დისერტაციის ქვე-თავი: 1.1 ცოდვის, დანაშაულისა და დანაშაულობის ნორმატიული ბუნება.

მთავარია აღინიშნოს, რომ პირველმა ცოდვამ ადამიანი აქცია ცოდვილად და მომაკვდავ არსებად (დაბ. 3. 19), რის გამოც ცოდვამ, შეიძინა მასობრივი ხასიათი, რადგან ცოდვა მემკვიდრეობითი გახდა.

გარდა ამისა, ცოდვის მასობრივ მოვლენაზე საუბარია ბიბლიის პირველივე წიგნის სხვა თავებშიც, მაგალითად:

„...იმატა ადამიანთა უკეთურებამ ამქვეყნად...“ (დაბ. 6, 5); „წაირყვნა ქვეყანა ღვთის წინაშე და აივსო ქვეყანა უსამართლობით“ (დაბ. 6, 11).

ბიბლიაში ცოდვის მასობრივი ხასიათი კარგად არის აღწერილი წარღვნასთან დაკავშირებით:

„უთხარა ღმერთმა ნოეს: მოაწია ყოველი ხორციელის აღსასრულმა ჩემს წინაშე, რადგან აივსო ქვეყანა მათი უსამართლობით; და აჰა უნდა გავწყვიტო ისინი მთელი ქვეყნითურთ“ (დაბ. 6, 13).

ცოდვის მასობრივი ხასიათის კლასიკურ მაგალითს, ასევე წარმოადგნეს სოდომისა და გომორას მოქალაქეთა გადაგვარება „თქვა უფალმა: გახშირდა სამდურავი სოდომსა და გომორზე, მეტისმეტად დაუმძიმდათ ცოდვები“ (დაბ. 18, 20).

გარდა ამისა, ცოდვის მასობრივ მოვლენაზე საუბარია ბიბლიის სხვა მუხლებშიც. მაგალითად:

„უთხრა უფალმა მოსეს: ძირს ჩადი, რადგან გაირყვნა შენი ხალხი, რომელიც ეგვიპტიდან გამოიყვანე“ (გამ. 32, 7);

„ადექი და სწრაფად წადი აქედან, რადგან გაირყვნა შენი ხალხი, რომელიც ეგვიპტიდან გამოიყვანე“ (რჯ. 9, 12).[629]

ს. ჩანი, რომელიც ცოდვის გავრცელებულობისა და ინტენსიურობის საკითხს იკვლევს შენიშნავს, რომ ცოდვა, მოიცავს დედამიწას, რადგან იგი მოქმედებს ჩვენი ცხოვრების ყოველ ასპექტზე.[630]

ამგვარად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ დანაშაულობა, როგორც ცოდვის გამოვლინების ერთ-ერთი ფორმა, შეიცავს სოციალური, სამართლებრივი და მასობრივი მოვლენისათვის დამახასიათებელ ნიშნებს.

1.3.2.2.4 ცოდვის სხვა კრიმინოლოგიური ასპექტები

დანაშაულობის ცნების ზემოთმოყვანილი ნიშნების გარდა, კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში საუბარია იმაზეც, რომ დანაშაულობა წარმოადგენს ისტორიულად ცვალებად,[631] სტრატიფიკაციულ (ფენები, კლასები) მოვლენას,[632] დაკავშირებულს

[629] იხილეთ: რჯლ. 9, 12; ფსალმ. 13, 1-3; 5, 9; 52, 1-3; 139, 3; ეკლ. 7, 20.
[630] იხ. *ჩანი ს.*, დასახ. ნაშრ., 138-139.
[631] იხ. *წულაია ზ.*, დასახ. ნაშრ., 47-48.
[632] იხ., იქვე, 193.

წარსულთან, აწმყოსთან, მომავალთან,[633] რომელიც ხასიათდება რაოდენობრივი და თვისებრივი მაჩვენებლებით[634] და ა.შ.

უნდა ითქვას, რომ დანაშაულობის ყველა ამ ნიშანს ცოდვის კონცეპტი ისედაც მოიაზრებს, და პირდაპირ თუ ირიბად გათვალისწინებულია სოციალურ, სამართლებრივ ან მასობრივ ნიშნებშიც, მაგალითად:

ა) ცოდვა ისტორიულად ცვალებადია, იმის გამო, რომ იგი კაცობრიობის ისტორიის კონკრეტულ მომენტში დაიწყო, როდესაც ევამ და ადამმა შესცოდეს. მას შემდგომ, კაცობრიობის ისტორიის ყველა პერიოდში ცოდვა ვლინდება სხვადასხვა ფორმით;

ბ) ცოდვა სტრატიფიკაციული მოვლენაა,[635] რომელიც სათავეს იღებს პირველქმნილ ადამიანთა საზოგადოებაში. *რ. ჩხეიძე* აღნიშნავს, რომ მორწმუნე და ურწმუნო ადამიანების არსებობა ცნობილია დასაბამიდან, რომელიც გამოჩნდა აბელისა და კაენის ისტორიაში და შემდგომ ისტორიულ პროცესებში გაყოფის ტენდეცია სულ უფრო ნათლად გამოიკვეთა.[636]

აღნიშნული დაყოფა სათავეს იღებს არა კაენის მიერ აბელის მოკვლის მომენტიდან (დაბ. 4, 1-2), არამედ პირველი ცოდვიდან, რასაც მოჰყვა ზოგადად ცოდვების გამრავლება. პირველი ცოდვის შედეგად, ადამიანებში ბუნებრივად წარმოიშვა ღმერთთან დაპირისპირებული პირველი სოციალური სტრატა. შემდგომში კი, როდესაც გაღრმავდა ურჯულოება ადამიანთა მოდგმაში, ჩამოყალიბდა სხვადასხვა ცრუ ღმერთების მაღიარებელი და ურთიერთდაპირისპირებული სოციალური სტრატები.

გ) ცოდვა ბუნებრივად დაკავშირებულია წარსულთან, აწმყოსთან და მომავალთან, რადგან იგი ისტორიულად ცვალებადი მოვლენაა და განპირობებულია ადამიანის ცოდვილი ბუნებით;

დ) ცოდვის დახასიათება რაოდენობრივი და თვისებრივი მაჩვენებლების კუთხით დაკავშირებულია, ცოდვის ყველა ზემოთხსენებულ ელემენტთან, რადგან ცოდვა ისტორიულად სათავეს იღებს პირველი ცოდვიდან, რომელიც შემდგომ რაოდენობრივად და თვისებრივად იცვლება კაცობრიობის ისტორიის ყველა ეტაპზე. რაოდენობრივი და თვისებრივი მაჩვენებლები, ცოდვის მასობრივი ნიშნის ელემენტია და იძლევა მისი, როგორც მასობრივი მოვლენის დახასიათების შესაძლებლობასაც.

---

[633] იხ. კრიმინოლოგია, (რედ. *გ. ა. ავანესოვი, ნ. დ. ერიაშვილი*), მეოთხე გამოცემა, თბ., 2007, 241-242.

[634] იხ. *წულაია ზ.*, დასახ. ნაშრ., 49.

[635] იხ., იქვე, 193.

[636] იხ. *ჩხეიძე რ*, აბელი-ხატი და მსგავსი ღვთისა პირველი მცდელობა და მსგავსების მოკვდინებისა, თავი მეორე, იხ.: მართლმადიდებლური ჟურნალი „კარიბჭე“, №6 (196), თბ., 15-28 მარტი 2012, 46.

დაბოლოს, კრიმინოლოგიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ რაოდენობრივის თვისებრივში გადაზრდის დიალექტიკის კანონი, დანაშაულობას ხდის დამოუკიდებელ მოვლენად.[637]

აღსანიშნავია, რომ დანაშაულობას მოვლენად ხდის არა იმდენად დიალექტიკის აღნიშნული კანონი, არამედ თავად ცოდვის ბუნება. მართებულად შენიშნავს *ს. ჩანი*, რომ „ყოველი ცოდვა მოდის ერთი და იგივე ცოდვილი ბუნებისაგან".[638] ცოდვის ბუნების ამ კანონზომიერებას უნარი აქვს რაოდენობრივად ერთი კონკრეტული ცოდვიდან წარმოშვას მოვლენა, რადგან „ცოდვას აქვს მარადიული შედეგი" (*ს. ჩანი*).[639] ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია, პირველი ცოდვა. მართალია, იგი განხორციელდა ერთი ქმედებით, მაგრამ შვა ზოგადსაკაცობრიო ნეგატიური მოვლენა. ასეთ მოვლენას შეიძლება ეწოდოს დანაშაულობა, რაც სინონიმურია ცოდვის ფართო გაგებისა.[640]

1.3.2.3 შეჯამება

როგორც ირკვევა, ლიგვისტური თვალსაზრისით ცოდვა და დანაშაულობაც სინონიმური ცნებები და ტერმინებია. კვლევამ ისიც გამოავლინა, რომ ცოდვის კონცეფცია მოიცავს დანაშაულობის ცნების ყველა ნიშანს.

დანაშაულისა და დანაშაულობის ურთიერთკორელაციასა და ევოლუციაში შეიძლება გამოვყოთ სულ მცირე შემდეგი საკითხები:

1) კაცობრიობის ისტორიის კონკრეტულ ეტაპზე, სოციალურ-სამართლებრივი ნორმის ხელყოფით (ღმერთის გაფრთხილება), ადამიანის მიერ ჩადენილი იქნა ერთი კონკრეტული დანაშაული (პირველი ცოდვა);

2) აღნიშნულმა დანაშაულმა, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, დროსა და სივრცეში, შეიძინა მასობრივი ხასიათი, დანაშაული გამრავლდა რაოდენობრივად და თვისებრივად;

3) აღნიშნულმა დანაშაულმა წარმოშვა მოვლენა „დანაშაულობა", რომელიც გადაიქცა ზოგადსაკაციბრიო პრობლემად;

4) კაცობრიობის გადასარჩენად, დანაშაულობის თავიდან ასაცილებლად ღმერთი იყენებს ნორმატიულ ინსტრუმენტს, აწესებს სოციალურ, მორალურ და სამართლებრივ ნორმებს.

იმის გათვალისწინებით, რომ ცოდვა ისტორიულად ცვალებადი, სოციალურ-სამართლებრივი და მასობრივი მოვლენაა, რომელიც ხასიათდება რაოდენობრივი და თვისებრივი მაჩვენებლებით, შესაძლებელია გაკეთდეს დასკვნა, რომ დანაშაულობა (და

---

[637] იხ. Криминология (ред. *С.М Иншакова*, *А. В. Симоненко.*, 3-е издание), Изд. „Юнити", М., 2010, 21.

[638] *ჩანი ს.*, დასახ. ნაშრ., 111.

[639] იხ., იქვე, 113.

[640] დანაშაულობის მოვლენის ტრანსცენდენტულ ბუნებაზე საუბარია დისერტაციის, დანაშაულობის მიზეზების თავში.

არა ცალკეული სამართალდარღვევა და დანაშაული ყოველთვის) არის ცოდვის გამოვლინების ერთ-ერთი ფორმა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცოდვის მსგავსად, დანაშაულიც და დანაშაულობა არის ტრანსცენდენტული აქტი და მოვლენაც, რადგან ერთი კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედებით ყოველთვის ირღვევა ერთიანი ნორმატიული წესრიგი.

II თავი. დამნაშავის კონცეფცია

კრიმინოლოგიაში დამნაშავის პიროვნების შესწავლას ცენტრალური ადგილი. ძირითადად ეს გამოწვეულია იმით, რომ დამნაშავის პიროვნების შესწავლის გარეშე სრულიად შეუძლებელია გამოკვლეულ იქნას დანაშაულობა,[641] მისი წარმომშობი მიზეზები, ხელშემწყობი პირობები, ინდივიდუალური დანაშაულებრივი ქცევის მექანიზმი[642] და დანაშაულებრივ ქმედებათა პროგნოზირების საკითხი.[643] გარდა ამისა, დამნაშავის პიროვნების შესწავლა, მჭიდროდ არის დაკავშირებული კრიმინოლოგიის საგანში შემავალ, თითქმის ყველა სხვა საკითხთან, იქნება ეს დანაშაულის მსხვერპლი, პრევენცია, დამნაშავის რესოციალიზაცია თუ სხვა. გარდა ამისა, რომ დამნაშავის პიროვნების ცნება კრიმინოლოგიურია და არა სისხლისსამართლებრივი, ხოლო ტერმინი „დამნაშავე“ ფაქტობრივია და არა იურიდიული.[644]

აღსანიშნავია ისიც, რომ ადამიანის ბუნების კვლევა ყოველთვის ცენტრალური საკითხი იყო კაცობრიობის აზროვნების ისტორიაში და მიიჩნევა, რომ მომავალშიც ასე დარჩება. ადამიანის ბუნების შესწავლის აუცილებლობაზე საუბრობს მრავალი მოაზროვნე და მეცნიერი, მაგალითად:

პლატონის შეხედულებით, „დანაშაულის მიზეზების გარკვევა შეუძლებელია ადამიანის ბუნების შესწავლის გარეშე“.[645]

ა. ფოიერბახის სიტყვებია: „სისხლისსამართლებრივი მოძღვრების ჭეშმარიტი ხასიათისა და შინაარსის ასახსნელად მხედველობაში უნდა მივიღოთ ძირითადი აზრი იმის შესახებ, რომ სამართალმა ადამიანი უნდა შეისწავლოს, როგორც ემპირიული მოვლენა, როგორც „ბ უ ნ ე ბ ი თ ი ა რ ს ე ბ ა“ (Naturwesen) აღჭურვილი გარკვეული გრძნობებით, მიდრეკილებებით და სურვილებით.“[646]

წმ. ილია მართალი დამნაშავის პიროვნების საკითხის შესწავლას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის გასაზომად.[647]

ფსიქიატრ-კრიმინოლოგის, *გ. შენგელაიას* აზრით, „პოზიტიურ კრიმინოლოგიაში მიიჩნევა, რომ საზოგადოებისათვის საფრთხეს წარმოადგენს არა ბოროტმოქმედება,

---

641 იხ. *Gilling J.L.*, Criminology and Penology Vol. 1, USA, 1929, 17.

642 იხ. *წულაია ზ.*, დასახ. ნაშრ., 77.

643 იხ. *ჭოლოშვილი რ.*, დანაშაულებრივ ქმედებათა პროგნოზირების საკითხები, გივი ინწკირველის 70 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული (რედ. *ლ. ჭანტურია*), გამომც., შპს „ნორმა“, თბ., 1996, 198, 200.

644 იხ. *ნაჭყებია გ.*, (1998), დასახ. ნაშრ., 65.

645 *აბაშმაძე ვ.*, ნარკვევები პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან II (მონათმფლობელური ეპოქა; ანტიკური სამყაროს ქვეყნები), გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1977, 260.

646 *ვაჩეიშვილი ალ.*, სასჯელი და სოციალური დაცვის ღონისძიებანი, თსუ-ს გამომცემლობა, თბ., 1960, 42.

647 იხ. *ჭავჭავაძე ი.*, თხზულებანი ათ ტომად პ. ინგოროყვას რედაქციით, ტ. 6, გვ 234-235, ციტირებულია წიგნიდან: *მეტრეველი ვ.*, ილია ჭავჭავაძის თვალსაზრისი დანაშაულზე, (გივი ინწკირველის 70 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული; რედ. *ლ. ჭანტურია*), გამომც., შპს „ნორმა“, თბ., 1996, 203.

არამედ თვით ბოროტმოქმედი სუბიექტი, რომელიც არის მატარებელი ყოველგვარი უარყოფითი თვისებებისა და ამის გამო, აუცილებელია ბოროტმოქმედი ადამიანის შესწავლა“[648] და ა.შ.

დაბოლოს, აღნიშნულ საკითხზე საყურადღებოა შვეიცარიელი ფსიქიატრისა და ფსიქოთერაპევტის, *კარლ იუნგის* მეცნიერული პოზიცია. *იუნგმა*, რომელმაც საკუთარი პროფესიული საქმიანობა მთლიანად ადამიანის ფსიქიკური მოვლენების შესწავლას მიუძღვნა, ცხოვრების უკანასკნელ წლებში დარწმუნებით განაცხადა, რომ ადამიანის ცნობიერებაში არსებობს ცოდვისა და ბოროტების ცნებები, რომ ისინი ჩვენი ბუნების ნაწილებია, და რომელთა არსებობა თავისთავად გარდაუვალს ხდის მხსნელის ცნების არსებობას.[649] მისი სიტყვებია:

> „ჩვენ უფრო ღრმად უნდა ჩავწვდეთ ადამიანის ბუნებას, რადგან ერთადერთი რეალური საფრთხე, რომელიც დღესდღეობით გვემუქრება, - თავად ადამიანია. იგი უდიდეს საშიშროებას უქმნის საკუთარ თავსაც და სხვებსაც; ჩვენ კი, მართლაცდა გულსაკლავ მდგომარეობაში ვართ და ვერც კი ვაცნობიერებთ ამ ფაქტს. ჩვენ, არაფერი ვიცით ადამიანის შესახებ. ის, რაც ადამიანის შესახებ ცნობილია ჩვენთვის, - მხოლოდ წვეთია ზღვაში. ჩვენი ფსიქიკა სერიოზულ შესწავლას საჭიროებს, რადგან თავად ჩვენვე ვართ ყოველივე ბოროტების სათავე.”[650]

საკვლევი თემიდან გამომდინარე, დამნაშავის შესახებ მართლმადიდებლური მოძღვრების საკითხი თავდაპირველად მოითხოვს გაანალიზდეს საკუთრივ ადამიანის აგებულება. შემდეგ ქრონოლოგიურად იქნება გამოკვლეული ადამიანის ბუნება პირველი ცოდვის ჩადენამდე და მის შემდეგ. დიქოტომიური ანალიზი, ადამიანის თავდაპირველი ბუნებაში მომხდარი ცვლილებების წარმოჩენა და მათი შედარება, შესაძლებლობას იძლევა ადამიანის ბუნებაში არსებული დადებითი და უარყოფითი მხარეების გამოვლენას, რაც დამნაშავის პიროვნების მეცნიერული გააზრებისთვის მნიშვნელოვანია.

---

[648] *შენგელაია გ.*, სისხლის სამართლის უფლება, ბოროტმოქმედობა და ბოროტმოქმედთა პიროვნების შესწავლის საკითხი, თანამედროვე მედიცინა №9, თბ., 1927, 452.

[649] იხ. *ფრიმანი ჯ.*, ინტერვიუ კარლ გუსტავ იუნგთან (ინგლისურიდან თარგმნა *ი. ელუაშვილმა*), ჟურნალი „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე“, ფილოსოფიისა და ფსიქოლოიგიის სერია, №2, თბ., გამომც. „მეცნიერება“, 1991, 110.

[650] იხ., იქვე.

2.1 ქრისტიანული ანთროპოლოგია

2.1.1 ადამიანის აგებულება

ქრისტიანობა ადამიანში გამოყოფს სულს, სამშვინველსა და სხეულს.[651] წმინდა მოციქული პავლე ამბობს: „..., რათა თქვენი სული, თქვენი სამშვინველი და თქვენი სხეული უმწიკვლოდ იქნეს დაცული ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მოსვლისთვის“ (1 თეს. 5, 23).

სხეული: ღმერთმა ადამიანი შექმნა მიწის მტვრისგან, რომელშიც შთაბერა სიცოცხლის სული (დაბ. 2, 7). მაგრამ, რატომ შექმნა ღმერთმა ადამიანი მიწისაგან? ქრისტიანული მოძღვრება პასუხობს, რომ ადამიანს არ დაევიწყებინა თავისი არარაობა ღვთის წინაშე და მუდამ ხსომებოდა, რომ მისთვის ყველაზე ძვირფასი საბოძვარი ღვთისგან იყო სულიერი ღირსება. მიწის მტვრისაგან თავის წარმოშობის გახსენებას უნდა დაეცვა იგი ამპარტავნებისაგან, რაც გახდა მიზეზი ნათლითშემოსილი ანგელოზის დაცემისა.[652]

თუმცა, ადამიანმა არასწორი არჩევანი გააკეთა და ცოდვა ჩაიდინა. ღმერთმა პირველ ადამიანს მისი ცოდვით დაცემის შემდეგ უთხრა „მიწა ხარ და მიწადვე მიიქცევი“ (შეს. 3, 19). ამგვარად, მიწისაგან შექმნილი ადამიანის სხეული მიწას ეკუთვნის.

მართალია, სხეულებრივი მოთხოვნილებანი მრავალგვარია, მაგრამ მთლიანობაში ისინი ორ ძირითად ინსტინქტის დაკმაყოფილებადე დაიყვანება: 1) თვითშენარჩუნების, და 2) გვარის გაგრძელების ინსტიქტამდე.[653]

გარე სამყაროსთან კავშირისთვის, ადამიანის სხეული გრძნობის ხუთი ორგანოთია აღჭურვილი: თვალით - ხედვისთვის, ცხვირით - ყნოსვისთვის, ენით - გემოთშეგრძნებისთვის, ყურით - სმენისთვის, და ხელ-ფეხთა და მთლიანად სხეულით - შეხების შეგრძნებისთვის. ამ გრძნობების გარეშე ადამიანი ყოვლად უმწეო იქნებოდა ამქვეყნად. ადამიანის სხეულის მთელი ეს აპარატი ძალზე რთულია და ბრძნულად არის მოწყობილი, მაგრამ თავად სხეული მხოლოდ მკვდარი, უმოძრაო მანქანა იქნებოდა, მას რომ სამშვინველი არ განაცხოველებდეს.[654]

სულში ქრისტიანობა, განარჩევს მის უმაღლეს ნაწილს - საკუთრივ სულს და უმდაბლესს - სამშვინველს. განვიხილოთ ჯერ სამშვინველი.

სამშვინველი (ბერძ. *psykhi*, ლათ. *anima*): სამშვინველი ადამიანს ღმერთისაგან მოეცა, როგორც განმაცხოველებელი საწყისი იმისათვის, რომ სხეულს მართავდეს.

---

[651] იხ. *ეპისკოპოსი ალექსანდრე*, მართლმადიდებლური კატეხიზმო, მეოთხე გამოცემა, (მთრგმნ. *გ. კუპლატაძე, გ. ტონია*), საქართველოს საპატრიარქოს გამოცემლობა, თბ., 2011, 21.

[652] იხ. მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიის მოძღვრების საფუძვლები, (შემდგ. *დ. შოვნაძე, ნ. ჩაჩიბაია*), დაიბეჭდა შპს „ფავორიტი პრინტში“, თბ., 2013, 39.

[653] იხ., იქვე, 42-43.

[654] იხ., იქვე.

სხვაგვარად, სამშვინველი არის სიცოცხლისეული ძალა. მეცნიერები მას სწორედ ასეც უწოდებენ: ვიტალისტური (სიცოცხლისეული) ძალა.[655]

წმ. მამა გაბრიელის განმარტებით, სამშვინველი სულია, რომლითაც ვსუნთქავთ და შედგება სამი ნაწილისაგან: აზრი, გრძნობა და სურვილი. აზრი ტვინშია ჩადებული, გრძნობა - გულში და სურვილი მთლიანად სხეულში. როდესაც რაიმე სურვილი გვეუფლება, მთლიანი სხული აღიძვრება.[656]

მართლმადიდებლური მოძღვრების მიხედვით, სამშვინველი ცხოველებსაც აქვთ, მაგრამ, იგი სხეულთან ერთად ღმერთის ბრძანებით მიწის მიერ იქნა აღმოცენებული (შეს. 1, 20-21) და მხოლოდ ადამიანის შესახებ არის ნათქვამი, რომ მისი სხეულის შემდეგ მიწის მტვრისგან უფალმა „...შთაბერა პირსა მისსა სული სიცოცხლისა, და იქმნა კაცი სულად ცხოველისა“ (შეს. 2, 7). ეს „სული სიცოცხლისა“ არის კიდეც ადამიანში უმაღლესი დასაბამი, ანუ მისი სული, რომლითაც იგი უსაზღვროდ აღემატება ყველა სხვა ცოცხალ არსებას. ამიტომ, ადამიანის სამშვინველი შეუდარებლად აღემატება ცხოველთა სამშვინველს, სწორედ თავისი შერწყმის გამო უკვდავ სულთან, რომელიც ღვთისგანაა. ადამიანის სამშვინველი ერთგვარი შემაკავშირებელი რგოლია ადამიანის სხეულსა და სულს შორის, წარმოადგენს რა ერთგვარ ხიდს სხეულისაგან სულისაკენ.[657] „სამშვინველის ყველა მოქმედება, მოძრაობა იმდენად მრავალფეროვანი და რთულია, ისეა გადახლართული ერთმანეთთან, იმდენად ელვისებურად ცვალებადნი და ხშირად ძნელად შესამჩნევნიც კი, რომ მათი მარჯვე გარჩევისთვის მიღებულია ამ ძალების დაყოფა სამ სახეობად: აზრებად, გრძნობებად და სურვილებად. სამშვინველის ამ მოძრაობებს მეცნიერებაში „ფსიქოლოგია“ შეისწავლის.“[658]

სული (ბერძ. *pnevma*, ლათ. *spiritus*): მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიის მოძღვრების საფუძვლებში აღნიშნულია, რომ „ადამიანის სული, ხშირად გამოდის სამშვინველისა და მსაჯულის როლში და ყველაფერს თავის შეფასებას აძლევს განსაკუთრებული, უმაღლესი თვალსაზრისით. *წმ. თეოფანე დაყუდებული* ამბობს: „სულმა, როგორც ღმერთისაგან გამოსულმა ძალამ უწყის ღმერთი, იგი ეძიებს ღმერთს და მხოლოდ მასში ჰპოვებს მოსვენებას. სული თავის სრულ დამოკიდებულებას გრძნობს ღმერთისაგან და მას შეგნებული აქვს, რომ მოვალეა ყველანაირად სათნო-ეყოს მას, იცხოვროს მხოლოდ მისთვის და მისით, მის მიერ“. ეს არის სწორედ ის, რის შესახებაც ჯერ კიდევ *ნეტარი ავგუსტინე* ამბობდა: „შენ, ღმერთო, შენდამი მისწრაფებით შეგვქმენი ჩვენ, და ჩვენი გულიც მოუსვენარია, სანამ შენში არ მოისვენებს“.[659]

---

[655] იხ., იქვე.

[656] იხ. ბერის დიადემა, წიგნი 1, (რედ. *ლ. სიხარულიძე*), სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტერი, თბ., 2005, 112.

[657] იხ. მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიის მოძღვრების საფუძვლები, (შემდგ. *დ. შოვნაძე, ნ. ჩაჩიბაია*), დაიბეჭდა შპს „ფავორიტი პრინტში“, თბ., 2013, 43.

[658] იქვე, 43-44.

[659] იხ., იქვე, 44.

ირკვევა, რომ სული ადამიანის არსებაში სამი სახით ვლინდება: 1) ღმერთის მოშიშებით; 2) სინდისის მოქმედებით და 3) ღმერთის წყურვილით. სული და სხეული მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი ერთმანეთთან. სხეული გარეგანი გრძნობების ორგანოთა მეშვეობით ამა თუ იმ შთაბეჭდილებებს გადასცემს სულს. სული კი, ამისდა მიხედვით, წარმართავს სხეულის მოქმედებას, ხელმძღვანელობს მის საქმიანობას. სულის ასეთი კავშირის გამო სხეულთან, ამ სიცოცხლეს ხშირად უწოდებენ ზოგად ტერმინს, - „სულიერ-სხეულებრივ სიცოცხლეს“.[660]

2.1.2 ადამიანის ბუნება პირველ ცოდვამდე

2.1.2.1 ადამიანში ღვთის ხატება და მსგავსება

როგორც უკვე აღინიშნა, ღმერთმა ადამიანი შექმნა თავის ხატად და მსგავსად (დაბ. 1, 26-27), მიწის მტვრისაგან, რომელშიც შთაბერა სული სიცოცხლისა (დაბ. 2, 7). შესაბამისად, ადამიანი ეკუთვნის ორ სამყაროს: სხეულით - ხილულ, ნივთიერ, მიწიერ სამყაროს, ხოლო სულით, - უხილავს, სულიერს, ზეციურს.[661]

ი. დამასკელის სწავლებით, ღვთის ხატი, უწინარეს ყოვლისა, სულში უნდა იქნას დანახული, რადგან ღმერთი უნივთო, უსპეტაკესი სულია. ღვთის ხატების ტარების დასტური კი, არის ადამიანის სულის თვისებები: უკვდავება, თავისუფალი ნება, გონება, წმინდა, უანგარო სიყვარულის ნიჭი.[662]

დოგმატურ ღვთისმეტყველებაში აღნიშნულია, რომ ადამიანის ღვთის ხატებით, ღმერთმა გამოკვეთა ადამიანის განსაკუთრებული დანიშნულება:

1. ღვთის განდიდება: უერთგულოს ღმერთთან არსებულ კავშირს, შეიცნოს და განადიდოს შემოქმედი, სულით ისწრაფვოდეს, ხარობდეს მასთან ერთობით და მასში ცხოვრობდეს (ზირ. 17, 7, 8);

2. ვიდოდეს სრულყოფისაკენ, გაუფრთხილდეს ღვთის მსგავსებას - ააღორძინოს და განაძლიეროს იგი. კეთილ საქმეთა აღსრულებით განავითაროს და სრულქმნას ზნეობრივი ძალები; მოიპოვოს ჭეშმარიტი სიკეთე - ღმერთთან ნეტარება;[663]

---

[660] იხ., იქვე, 45.

[661] იხ. მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიის მოძღვრების საფუძვლები, (შემდგ. *დ. შოვნაძე, ნ. ჩაჩიბაია*), დაიბეჭდა შპს „ფავორიტი პრინტში“, თბ., 2013, 40.

[662] 1. ა) ადამიანის სული უკვდავია არა ბუნებითად, არამედ საღვთო მადლით; ბ) ღმერთმა ადამიანს მიანიჭა თავისუფალი ნება და მისცა გარკვეულ ფარგლებში თავისუფლად მოქმედების უნარი; გ) ადამიანურ გონებას ძალუძს ამაღლდეს ღმერთისკენ. გონება ადამიანურ ნებას გააზრებულსა და ჭეშმარიტად თავისუფალს ხდის. ადამიანს შეუძლია აირჩიოს თავისი უმაღლესი ღირსებისთვის საკადრისი და არა ის, რისკენაც ქვენა ბუნება მოუხმობს; დ) საღვთო სულის შთაბრევით სულის მიმღები ადამიანიც მიისწრაფვის მონათესავე უმაღლესი საწყისისაკენ, - ღმერთისაკენ, ეძებს და ნატრობს მასთან ერთობას, იხ. *პროტოპრისვეტერი მიხეილ პომაზანსკი*, (2012), დასახ. ნაშრ., 86; 2. იხ. მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიის მოძღვრების საფუძვლები, (შემდგ. *დ. შოვნაძე, ნ. ჩაჩიბაია*), დაიბეჭდა შპს„ფავორიტი პრინტში”, თბ., 2013, 38.

[663] იხ. *პროტოპრისვეტერი მიხეილ პომაზანსკი*, (2012), დასახ. ნაშრ., 88.

3. იყოს მეფე - დაიტიოს თავისთავში ყოველი ხილული ქმნილების არსებობის მიზანი და როგორც შუამავალმა, შეძლოს ყოველთვის ღმერთთან შეერთება. ამით შეინარჩუნოს მიწიერ ქმნილებათა მთელი ჯაჭვის მწყობრი კავშირი და წესრიგი.[664]

ღვთის მსგავსება, წმინდა მამების მიხედვით, ნიშნავს ადამიანის ზნეობრივ სრულყოფას, მასში სათნოებათა, სიწმინდისა და სულიწმინდის ნიჭთა დამკვიდრებას. ღვთის ხატი ჩვენ უფლისაგან გვეძლევა შექმნისთანავე, ხოლო მსგავსება ჩვენ თავად უნდა შევიძინოთ. გახდე „მსგავსი", დამოკიდებულია ჩვენს ნებაზე და სათანადო მოღვაწეობით შესაძლებელი ხდება ამის მიღწევა.[665]

წმ. მამა გაბრიელი განმარტავს, რომ „ღმერთმა თავის ხატად შექმნა ადამი, რომელიც უნდა მიმსგავსებულიყო მას."[666]

წმ. გრიგოლ ნოსელის მიხედვით, „ხატება მოგვცა, ხოლო მსგავსება დაწყებული დატოვა, რათა შენ შენი თავის სრულყოფით ღვთისაგან სამაგიერო ჯილდოს ღირსი გახდე."[667]

დაბოლოს, მართლმადიდებლური კატეხიზმოში აღნიშნულია, რომ „ადამიანის ღმრთის ხატად და მსგავსად შექმნის ჭეშმარიტება უფრო სრულად მას შემდეგ შეიცნობა, რაც ღმრთის ხატი მთელი თავისი სიწმინდით ღმერთკაცში, უფალ იესო ქრისტეში გამობრწყინდა. უფალი მოვიდა, რათა ადამიანისთვის სიყვარულის საფუძველზე ერთობა მიეძღვნა მსგავსად სამების პირთა ერთობისა. ამიტომაც, ადამიანთა სიმრავლეში (კაცობრიობაში) ღმრთის ხატად უნდა ჩავთვალოთ ყოველთა მისწრაფება ერთობისაკენ. ბუნებით ერთნაირად (ერთარსად) შექმნილ ადამიანებს, ღმრთის შემწეობით ღმრთისადმი სულ უფრო მეტად მიმსგავსებით უნდა სრულექმნათ თავიანთი ერთობა, მაგრამ ცოდვამ განაშორა ისინი ერთმანეთისაგან."[668]

2.1.2.2 ადამიანის ყოფა პირველ ცოდვამდე

მართლმადიდებლური მოძღვრებით, ღმერთმა, ადამი და ევა დაასახლა მიწიერ სამოთხეში, ედემის ბაღში (შეს. 2, 8, 10-14). მათი ცხოვრება სამოთხეში აღსავსე იყო სიხარულით: სინდისი მათ სუფთა ჰქონდათ, გონება ნათელი, გული კი - წმინდა. ღმერთი მოყვარული მამასავით ზრუნავდა მათზე. მათ არც სნეულებების და არც სიკვდილის შიში ჰქონდათ, არც შესამოსელი ესაჭიროებოდათ, რადგან საღვთო ნათლით იყვნენ შემოსილნი. ყოველივეში მათ შეძლება და დაკმაყოფილება ჰქონდათ, მათი

---

[664] იხ. *Митр. Макарий*, Православное Догматическое Богословие, Т. 1. с. 430-431., *პროტოპრისვეტერი მიხეილ პომაზანსკი*, (2012), დასახ. ნაშრ., 88.

[665] იხ. *პროტოპრისვეტერი მიხეილ პომაზანსკი*, (2012), დასახ. ნაშრ., 87.

[666] *ჯინორია მ.*, (2019), დასახ. ნაშრ., 162.

[667] მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიის მოძღვრების საფუძვლები, (შემდგ. *დ. შოვნაძე, ნ. ჩაჩიბაია*), დაიბეჭდა შპს „ფავორიტი პრინტში", თბ., 2013, 38.

[668] *ეპისკოპოსი ალექსანდრე,* მართლმადიდებლური კატეხიზმო, მეოთხე გამოცემა, (მთრგმნ. *გ. კუპლატაძე*, გიორგი ტონია), საქართველოს საპატრიარქოს გამოცემლობა, თბ., 2011, 20.

საზრდო სამოთხის ხეთა ნაყოფი იყო. ადამისა და ევას უმაღლესი ნეტარება კი, ლოცვაში მდგომარეობდა, ანუ შემოქმედ ღმერთთან ხშირ საუბარში.[669]

ღირსი მამა მაკარი ეგვიპტელი ამბობს: „ადამი ღმერთის მეგობარი იყო, სიწმინდეში ჰგიებდა, თავის ზრახვებზე - ფიქრებსა და აზრებზე მეუფებდა და ნეტარი იყო. ადამს თავის თავში ღმერთის სული ჰქონდა შეძენილი: მასში დამკვიდრებული სიტყვა ყოველივე იყო მისთვის - ცოდნაც, შეგრძნებაც, მემკვიდრეობაც და მოძღვრებაც".[670]

იოანე დამასკელის მიხედვით, ღმერთმა ადამიანი შექმნა „უბოროტო, წრფელი, სათნო, უჭირველი, უზრუნველი, ყველა სათნოებებით გაბრწყინებული და ყველა სიკეთით დამშვენებული, როგორც რამ მეორე ქვეყნიერება, მცირე დიდში, სხვა ანგელოზი, თაყვანისმცემელი, შეზავებული, ხილული შესაქმის განმჭვრეტი, გონებისეულის მესაიდუმლე."[671]

წმ. მამა გაბრიელი განმარტავს, რომ ღმერთი შემოქმედია და არ უნდოდა ძალით ყვარებოდათ თავიანთი შემოქმედი. ამიტომ, მან თავისუფლება მიანიჭა ადამიანებს. ღმერთმა მათ სამოთხეში ხე - სიცოცხლისას გარდა, დაურგო ხე - კეთილისა და ბოროტების გარჩევისა, რადგან ესწავლებინა სიყვარული.[672] ამ მცნებით ადამიანებს შეეძლოთ თავიანთი სიყვარული და ყურადღება გამოევლინათ ღმერთისადმი და მისი ნებისადმი. ადამმა და ევამ სიხარულით მიიღეს ეს მცნება და სამოთხეშიც სიყვარული და თანხმობა სუფევდა.[673] სიყვარულში, რომ განმტკიცდებოდა ადამი, შემდეგ ღმერთი ამ ხის ნაყოფსაც მისცემდა და აღარ შეცოდავდა, მსგავსად წმინდა ანგელოზებისა, რომლებმაც იცოდნენ კეთილი და ბოროტი. ადამი კი, სიყვარულს მოაკლდა, მორჩილება დაარღვია და მარხვა გატეხა.[674]

ღირსი მამის *იოანე დამასკელის* განმარტებით, „საღვთო მცნება მოცემულ იქნა, როგორც რაღაც გამოცდა და შემოწმება, ვარჯიში ადამიანის მორჩილებისათვის. ანუ ადამიანს ეძლევა არჩევანის უფლება კეთილსა და ბოროტს შორის, თუმცა ღმერთი იმთავითვე კარნახობს მას, თუ როგორი უნდა იყოს მისი არჩევანი, აფრთხილებს რა ურჩობის - ცოდვის დაცემის შედეგების გამო." [675]

წმ. იოანე დამასკელი ადამიანის შესახებ ასე საუბრობს: „ღმერთმა ადამიანი შექმნა ბუნებით უცოდველი და ნებელობით თავისუფალი ... . ანუ, ადამიანი უფლებამოსილი

---

[669] იხ. მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიის მოძღვრების საფუძვლები, (შემდგ. *დ. შოვნაძე, ნ. ჩაჩიბაია*), დაიბეჭდა შპს„ფავორიტი პრინტში", თბ., 2013, 46.

[670] იხ., იქვე, 40.

[671] *იოანე დამასკელი*, დასახ, ნაშრ., 103.

[672] იხ. *ჯინორია მ.*, (2019), დასახ. ნაშრ., 162.

[673] იხ. მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიის მოძღვრების საფუძვლები, (შემდგ. *დ. შოვნაძე, ნ. ჩაჩიბაია*), დაიბეჭდა შპს „ფავორიტი პრინტში", თბ., 2013, 46-47.

[674] იხ. *ჯინორია მ.*, (2019), დასახ. ნაშრ., 162.

[675] მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიის მოძღვრების საფუძვლები, (შემდგ. *დ. შოვნაძე, ნ. ჩაჩიბაია*), დაიბეჭდა შპს „ფავორიტი პრინტში", თბ., 2013, 46-47.

იყო, როგორც სიკეთეში დარჩენისა და წარმატებისა საღვთო მადლის თანამოქმედებით, ასევე კეთილისგან უკუმიქცევისაც და ბოროტებაში ყოფნისა, რასაც უშვებდა ღმერთი [ადამიანის] თვითუფლებრივობის გამო, რადგან არ არის სათნოება ის, რაც იძულებით კეთდება.“[676]

2.1.3 ადამიანის ბუნება პირველი ცოდვის შემდეგ

2.1.3.1 ადამიანში ღვთის ხატება და მსგავსება

თანახმად ღმერთის ჩანაფიქრისა, ადამიანს ელოდა მარადიული სიცოცხლე (სიბრძ. 1, 13), რადგან ღმერთმა ადამიანი უხრწნელად შექმნა და თავისი მარადიულობის ხატად დაბადა იგი (სიბრძ. 2, 23).

წმ. იოანე სინელი ასე გადმოგვცემს ადამიანის ბუნებას პირველი ცოდვის დაცემამდე და მის შემდეგ: „თავდაპირველად ღმერთმა ჩვენი ბუნება უვნებელი და უბიწო შექმნა. მოგვცა ფიქრის უნარი სიკეთესა და სათნოებების მოსაფიქრებლად. ასევე მოგვცა გულისწყრომის უნარი ეშმაკებისა და ვნებების მიმართ მრისხანების გამოსაჩენად. მოგვცა სურვილის უნარიც ჩვენი სურვილისა და წადიერების ცათა სასუფევლისკენ წარსამართავად. მაგრამ ჩვენ ყოველი უნარი ცოდვისკენ წარვმართეთ და მოვიპოვეთ ბიწიერების სურვილი, ძმების მიმართ გულისწყრომა, მოვიფიქრეთ უკეთურება. ჩვენი ბუნებისთვის დამახასიათებელი სიკეთე ბოროტებით შევცვალეთ და ვნება ბუნებად ვიქციეთ.“[677]

ნეტარი ავგუსტინეს სწავლებით, „ადამიანის სხეულს არ გააჩნია „სიკვდილის შეუძლებლობა“, მაგრამ ჰქონდა „შესაძლებლობა არ მომკვდარიყო“, რომელიც დაკარგა“.[678]

შესაქმის აღმწერელი გვაუწყებს, რომ სამოთხეში ცხოვრების ხის ნაყოფის ჭამით მიიღწეოდა „შესაძლებლობა არ მომკვდარიყვნენ“, რაც პირველმა ადამიანებმა დაკარგეს სამოთხიდან განდევნის გამო.[679] ცოდვით დაცემამდე ადამიანის სული ღია იყო და ღვთიური მადლით საზრდოობდა, სხეული კი - „მიმადლებული სულით“. დაცემის შემდეგ კი, სული მოსწყდა უფალს, სიცოცხლის ჭეშმარიტ წყაროს.[680] „როცა პირველმა ადამიანებმა შესცოდეს, ადამიანი მოაკლდა ღვთაებრივ ნათელს, მათი გონება დაბნელდა, სინდისმა ქენჯნა დაუწყო და მათ დაკარგეს სულიერი სიმშვიდე.

---

[676] *იოანე დამასკელი*, დასახ, ნაშრ., 104.

[677] *წმინდა იოანე სინელი*, კლემაქსი ანუ კიბე, საეკლესიო ბიბლიოთეკა II, (რედ. *ნ. ხურცილავა*, მთრგმნ. *ტ. ცომაია*), მეორე გამოცემა, თბ., 2014, 18. სქ. 1.

[678] *პროტოპრესვეტერი მიხეილ პომაზანსკი*, (2012), დასახ. ნაშრ., 103.

[679] იხ., იქვე, 103.

[680] იხ. *მიტრ. იეროთეოს ვლახოსი*, მართლმადიდებლური ფსიქოტერაპია, (მეორე გამოცემა, მთრგმნ *ე. დუღაშვილმა*; რედ. მღვდელი *ზურაბ ცხოვრებაძე*), გამომც., „ახალი ივერიონი“, თბ., 2010, 261-262.

ყველაფერი ეს კი, იმის გამო მოხდა, რომ პირველმა ადამიანებმა ღმერთის ნების საწინააღმდეგოდ, ანუ ცოდვის მეშვეობით შეიცნეს სიკეთე და ბოროტება."[681]

ცოდვამ, სულსა და სხეულს შორის არსებული მყარი ჰარმონია დაარღვია, ისინი ერთმანეთს დაუპირისპირდა.[682] ცოდვაში შევიდნენ და ცოდვა სულში შეუშვეს,[683] რამაც გამოიწვია სულის გენის მუტაცია, რომელიც საფუძვლად დაედო უჯრედის გენის მუტაციასაც.[684] ბიბლიიდან და *წმ. მამა გაბრიელის, სალოსისა და აღმსარებლის* სწავლებიდან ვგებულობთ, რომ სისხლშია ცოდვები,[685] ისევე, როგორც სული (ლევ. 17, 11, 14).[686] *არქ. გ. ბასილაძე* აღნიშნავს, რომ „ვნების უკონტროლობა, შეუზღუდაობა ანადგურებს ადამიანს, სულიერად, ფსიქიკურად და გენეტიკურადაც".[687]

შედეგად, ადამიანში არაბუნებრივმა ელემენტებმა დაისადგურა. ადამიანში ჩაისახა ცბიერება, სიცრუე, ტყუილი, ამპარტავნება და ა.შ., რამაც დააზიანა ადამიანის გონება, გრძნობა და ნება.[688] გული უგუნურ მისწრაფებებსა და ვნებიან სურვილებს მიეცა.[689] მართლმადიდებლურ კატეხიზმოში აღნიშნულია, რომ „ჩვენი ბუნებრივი შობის კანონით მემკვიდრეობით გადმოგვეცემა ცოდვიანი ბუნება, როგორც ხორციელი, ასევე სულიერი."[690] „ცოდვაში ჩავარდნამ გააუკუღმართა სულიერი ძალები, დაასუსტა მისი ბუნებრივი ლტოლვა კეთილისკენ (*წმ. გრიგოლ სინაიტი*) და ადამიანის სული გახდა მიდრეკილი ბოროტისაკენ."[691]

ბიბლიიდან ირკვევა, რომ: „... როგორც ერთი კაცის მიერ შემოვიდა ცოდვა ამ ქვეყნად, ცოდვის მიერ კი - სიკვდილი, ისე სიკვდილიც გადავიდა ყველა კაცში, ..." (რომ. 5, 12); „...ბოროტისკენაა მიდრეკილი ადამიანის გულისთქმა მისი სიყრმიდანვე..." (დაბ. 8, 21).

ქრისტიანულ ფსიქოლოგიაში ვკითხულობთ, რომ ცოდვა დაეუფლა ადამიანის ქმედებებს, ანუ ცოდვა იქცა სინამდვილედ, ხოლო სიწმინდე მხოლოდ

---

[681] მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიის მოძღვრების საფუძვლები, (შემდგ. *დ. შოვნაძე, ნ. ჩაჩიბაია*), დაიბეჭდა შპს „ფავორიტი პრინტში", თბ., 2013, 48.

[682] იხ. *გლუხოვი ი.ა.*, მართლმადიდებლური კატეხიზმო, სანკტ პეტერბურგი, 2010, 54.

[683] იხ. მამათა სწავლანი, სულიერი ცხოვრების შესახებ, (შემდგ. *ვლ. წამალაშვილი*; რედ. *ნ. კვანტალიანი*), გამომც. „ბეთანია", თბ., 2015, 104.

[684] იხ. *კობალაძე მ.*, ადამიანი, როგორც ორი საწყისის სინერგია, იხ.: ქრისტიანობა და მედიცინა, (კონფერენციის მასალები 1999 წლის 14-15 დეკემბერი), გამომც. „ენგარდი", თბ., 1999, 29.

[685] იხ. *ჯინორია მ.*, (2009), დასახ. ნაშრ., 124.

[686] იხ., იქვე.

[687] *ჩაგუნავა ა., ვეკუა ი.*, დასახ. ნაშრ., 271.

[688] იხ. *გლუხოვი ი.ა.*, მართლმადიდებლური კატეხიზმო, სანკტ პეტერბურგი, 2010, 55.

[689] იხ. მამათა სწავლანი, სულიერი ცხოვრების შესახებ, (შემდგ. *ვლ. წამალაშვილი*; რედ. *ნ. კვანტალიანი*), გამომც. „ბეთანია", თბ., 2015, 105.

[690] *გლუხოვი ი.ა.*, მართლმადიდებლური კატეხიზმო, სანკტ პეტერბურგი, 2010, 155.

[691] იხ., იქვე, 155-156.

შესაძლებლობად.[692] ირკვევა ისიც, რომ პირველი ცოდვით გამოწვეულმა მადლის დაკარგვამ ადამიანის ბუნება დაავადა და ეს სნეულება შთამომავლობით გადადის. **პავლე მოციქულის სიტყვებს**: ***„ერთი კაცის ურჩობით მრავალი გახდა ცოდვილი“*** (რომ. 5, 18) მამები განმარტავენ არა იურიდიული, არამედ, სამედიცინო გაგებით. აქ იგულისხმება, რომ დაავადდა მთლიანად, ადამიანური ბუნება. როგორც *წმ. კირილე ალექსანდრიელი* განმარტავს, ადამში, კაცობრივი ბუნება დასნეულდა ხრწნილებით, მისი ურჩობის გამო და მასში შეიჭრნენ ცოდვიანი ვნებები.[693]

აქვე შეიძლება ითქვას ისიც, რომ თავად სიტყვა ვნება (πάθος), მომდინარეობს სიტყვიდან πάσχω (ვიტანჯები) და ნიშნავს შინაგან სნეულებას.[694]

ამგვარად, პირველი ცოდვის გამო, ჩვენ უკვე ცოდვილებად ვიშვებით და დაქვემდებარებულნი ვართ ცოდვის ყველა შედეგს: მწუხარებას, სნეულებასა და სიკვდილს.[695]

დოგმატურ ღვთისმეტყველებაში ვკითხულობთ, რომ „მცნების პირველი დარღვევისთანავე ადამიანში მყისიერად შევიდა ცოდვის საწყისი, „ცოდვის კანონი“. მან დააზიანა მისი ბუნება, სწრაფად დაიწყო ფესვების გადგმა და დამკვიდრება.“[696]

ძალზედ საყურადრებოა *პავლე მოციქულის* სწავლება ადამიანში ცოდვის არსებობის შესახებ და ცოდვის ზემოქმედებაზე ადამიანის გონებაზე.[697] *პავლე მოციქული* გალატელთა მიმართ ეპისტოლეში ასევე აღნიშნავს, რომ სული და ხორცი ურთიერთდაპირისპირებულ მდგომარეობაში იმყოფებიან.[698]

დოგმატური ღვთისმეტყველებაში ის ზიანი, რაც პირველი ცოდვით მიადგა ადამიანს აღწერილია შემდეგნაირად: „პირველი ცოდვის შემდეგ, ადამიანში გაბატონდა

---

[692] იხ. ქრისტიანული ფსიქოლოგია, ტომი II, (ლექციების კურსი, თემატურად შერჩეული, თარგმნილი და გადამუშავებული მიტროპოლიტ სტეფანეს მიერ) გამომც. „აღმსარებელი“, ცაგერი, 2019, 51.

[693] იხ. იქვე, 207-208.

[694] იხ. *მიტრ. იეროთეოს ვლახოსი*, მართლმადიდებლური ფსიქოთერაპია, (მეორე გამოცემა, მთრგმნ. *ე. დუღაშვილმა*; რედ. *მღვდელი ზ. ცხოვრებაძე*), გამომც. „ახალი ივერიონი“, თბ., 2010, 251.

[695] იხ. მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიის მოძღვრების საფუძვლები, (შემდგ. *დ. შოვნაძე, ნ. ჩაჩიბაია*), დაიბეჭდა შპს „ფავორიტი პრინტში“, თბ., 2013, 50.

[696] *პროტოპესვიტერი მიხეილ პომაზანსკი*, (2012), დასახ. ნაშრ., 102.

[697] „... ცოდვის ვნებები მოქმედებენ ჩვენს ასოებში, ...“ (რომ. 7, 5); „... იმას კი არ ვაკეთებ, რაც მსურს, არამედ იმას, რაც მძულს“ (რომ. 7, 15); „მე კი არ ვაკეთებ ამას, არამედ ცოდვა, რომელიც მკვიდრობს ჩემში; ... ვიცი, რომ ჩემს სხეულში არ არის კეთილი; არის ჩემში სიკეთის ნდომა, მაგრამ როგორ აღვასრულო სიკეთე, ამას კი ვეღარ ვპოულობ ჩემში; „მაგრამ ჩემს ასოებში სხვა რჯულსა ვხედავ, რომელიც ეურჩება ჩემი გონების რჯულს, და ცოდვის იმ რჯულის ტყვედ მაქცევს, რომელიც არის ჩემს ასოებში“ (რომ. 7, 23).

[698] „რადგან ხორცს სულის საპირისპიროდ სურს, სულს კი - ხორცის საპირისპიროდ; ისინი ერთმანეთს ეურჩებიან, რათა ვერ აღასრულოთ ის, რაცა გსურთ. ხორცის საქმენი აშკარაა: სიძვა, უწმინდურება, აღვირახსნილობა, კერპთმსახურება, ჯადოქრობა, მტრობა, შუღლი, შური, რისხვა, აშლილობა, მწვალებლობა, სიძულვილი, მკვლელობა, მემთვრალეობა, ღორმუცელობა და სხვა მისთანანი. წინასწარ გეტყვით, რომ ამის მოქმედნი ვერ დაიმკვიდრებენ ღვთის სასუფეველს. ხოლო სულის ნაყოფია: სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, დიდსულოვნება, სიტკბოება, სიკეთე, რწმენა, თვინიერება, თავშეკავება; ამათ წინააღმდეგ არ არის რჯული“ (გალ. 17-23).

ცოდვისადმი მიდრეკილებანი და იგი *„ცოდვის მონად“* აქცია (შდრ., რომ 6, 6). დაიბინდა ადამიანის გონება და გრძნობა. ამიტომ ადამიანის ზნეობრივმა თავისუფლებამ იწყო მიდრეკა ბოროტისაკენ. ადამიანთა მისწრაფებას, ეღვაწათ ცხოვრებაში, გულისთქმა და სიამაყე დაედო საფუძვლად. ხორციელი გულისთქმის დროს ხდება დამონება მდაბალი, ხორციელი სურვილებისადმი, სუსტდება სულის გავლენა სხეულზე; თვალთა გულისთქმა გულისხმობს ცრუ კერპებისა და მავნე ჩვევებისაკენ მიდრეკას, აჩენს ამსოფლიურ სიხარბეს, სიძუნწესა და შურს.“[699]

წმ. ტიხონ ზედაზნელი განმარტავს, რომ პირველქმნილი ცოდვის ბოროტებამ უკურნებელი სენი შეჰყარა ჩვენს სულს. „ადამიანი გახდა გონებით - ბრმა, ნებით - ურჩი, გულით - ღმრთისაგან განდგომილი. ამის შედეგად მას აღარ შეუძლია გარჩევა ბოროტისა და კეთილისა და ხშირად სიკეთის ნაცვლად, ბოროტებას ირჩევს, სათნოებას - მანკიერებას უწოდებს და პირიქით. უხარია ის, რაც მისთვის საზიანოა და ბოროტია, ხოლო წუხს იმაზე, რაც მისთვის სასარგებლოა.“[700]

„პირველი ცოდვა მოიაზრება, როგორც თავად მიდრეკილება ცოდვისკენ, რომელიც კაცთა მოდგმაში შემოვიდა და მის სულიერ სნეულებად იქცა. ცოდვისადმი მრავალი მიდრეკილება, თვით უმძიმესიც კი, სულიერი ხასიათის თვისებებს მიეკუთვნებიან. მაგალითად, სიამაყე, მოციქულის სიტყვებით, გულისთქმასთან ერთად მთელი სამყაროს ცოდვათა წყაროა (1 იოანე, 2, 15-16)“, აღნიშნულია მართლმადიდებლურ ღვთისმეტყველებაში.[701]

მართლმადიდებლური ანთროპოლოგია ამტკიცებს, რომ ღმერთისაგან განდგომის შედეგად, სული გამოეთიშა სამშვინველს. სულიერი ძალები, აგრეთვე განუდგნენ ერთმანეთს. გონება, გრძნობა და ნება - ხან უთანხმდებიან, ხან ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს.[702]

წმიდა მამათა სწავლებით, „ადამიანმა ღვთის ნების დაუმორჩილებლობით განდევნა თავისგან სული წმიდა და ახლა მასში ერთმანეთს ებრძვიან აზრი და სული, რომლებიც არ ემორჩილებიან გონებას, ებრძვიან მას, თვითონ გონება კი მუდმივ გაურკვევლობაში, სიბნელეში იმყოფება, რის შემდეგადაც იგი ვერ ხედავს ღმერთს და

---

[699] *პროტოპესვიტერი მიხეილ პომაზანსკი*, (2012), დასახ. ნაშრ., 102.

[700] ქრისტიანული ფსიქოლოგია, ტომი I, (ლექციების კურსი, თემატურად შერჩეული, თარგმნილი და გადამუშავებული მიტროპოლიტ სტეფანეს მიერ) გამომც. „აღმსარებელი“, ცაგერი, 2019, 206.

[701] იხ. *პროტოპრესვეტერი მიხეილ პომაზანსკი*, (2012), დასახ. ნაშრ., 108.

[702] იხ. ქრისტიანული ფსიქოლოგია, ტომი I, (ლექციების კურსი, თემატურად შერჩეული, თარგმნილი და გადამუშავებული *მიტროპოლიტ სტეფანეს* მიერ) გამომც. „აღმსარებელი“, ცაგერი, 2019, 207.

ღმერთისაკენ მიმავალ გზას.“[703] „ცოდვით დაცემის შემდეგ ადამიანში დღემდე იბრძვის სული და ხორცი, მადლი და ცოდვა.“[704]

წმ. მამა გაბრიელის სწავლებით, „ადრე ცოდვით დაცემამდე, სამშვინველიც და სხეულიც სულს ემორჩილებოდა. ცოდვით დაცემის შემდეგ კი, სულთან კავშირი გაწყდა და სამშვინველი სხეულს დაემორჩილა. სხეულს რაც უნდა იმას აკეთებინებს სამშვინველს, ოღონდ სამშვინველი გადააადგილებს სხეულს, სული კი, აგონიერებს.“[705]

წმ. იოანე დამასკელის განმარტებით, გონების სამეფო ადგილი - უაზრო ლტოლვამ დაიკავა, რომელმაც დაიწყო გონიერი სულის მართვა. ადამიანის გული, გაუთავებელი, სულის გამხრწნელი ვნებების, აუტანელი მორევით აღივსო. ცოდვის წესებით დაპყრობილმა და ბორკილდადებულმა სულმა, იოლად იწყო ცოდვისკენ მიდრეკა.[706]

ამგვარად, როგორც *წმ. იოანე დამასკელი* აღწერს „ადამიანის გრძნობებიც, აზრებიცა და სურვილებიც - ცოდვისკენ მიიდრიკა. სხვაგვარად რომ ითქვას, თუ ადრე საღმრთო მადლი ადამიანის შიგნით მკვიდრობდა, ხოლო ცდუნება - მის გარეთ იმყოფებოდა, დაცემის შემდეგ, ცდუნებამ, ადამიანის შეგნით დაიკავა ადგილი, ხოლო მადლი გარეთ განიდევნა. ცოდვის დაცემის შემდეგ, ბოროტის ქმნის შესაძლებლობა - გარდაიქმნა ჩვენში, თითქმის, ბოროტის ქმნის აუცილებლობად, ყოველ შემთხვევაში, უპირატესი ადგილი დაიკავა ბოროტებისაკენ ლტოლვამ, ცოდვიანმა ვნებამ.“[707]

გარდა ამისა, თეოლოგი *ს. ჩანი* შენიშნავს, რომ „პირველი ცოდვის შედეგად, სამოთხიდან გაძევებული ადამიანი უკვე აღარ ფლობდა იმ მეუფებრივ მდგომარეობას, რასაც ის სამოთხეში განიცდიდა. *წმ. იოანე ოქროპირის* მითითებით, ცოდვამ ადამიანი განძარცვა პატივისა და მეუფეობრიობისაგან. სანამ ჰქონდა კადნიერება უფლის წინაშე, მისი ეშინოდათ ცხოველებს, ხოლო შეცოდების შემდეგ, თვითონ შეეშინდა მხეცებისა“.[708]

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ცოდვამ, რომელმაც ცვლილება მოახდინა ადამიანში არსებულ ღმერთის ხატებაში,[709] გულისხმობს იმას, რომ „ადამიანის ხატებისა და მსგავსების დაცემის შემდეგ მოხდა მათი დამცრობა და არა წართმევა ღვთის მიერ. ცოდვამ დაამცრო და სრულქმნისკენ სავალი გზიდან გადაიყვანა

---

[703] წმიდა მამათა რჩევა-დარიგებანი №4, ბოროტ სულებთან ბრძოლის შესახებ (დაიბეჭდა ახალციხის ეპისკოპოსის თეოდორეს ლოცვა-კურთხევით), ახალციხე, 2001, 2.

[704] *ღლონტი დ*, ერთმა მუჭა ერმა ქრისტიანობა შევინახეთ, არ გავაქრეთ ამ პატარა ქვეყანაში (ინტერვიუ ჩამოართვა *ლ. ჩხარტიშვილმა*), იხ.: მართლმადიდებლური ჟურნალი „კარიბჭე“, №20, 5-18 ოქტომბერი 2017, 17.

[705] 1. *ჯინორია მ.*, (2019), დასახ. ნაშრ., 92; 2. ბერის დიადემა, წიგნი 1, (რედ. *ლ. სიხარულიძე*), სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტერი, თბ., 2005, 112.

[706] იხ. ქრისტიანული ფსიქოლოგია, ტომი I (ლექციების კურსი, თემატურად შერჩეული, თარგმნილი და გადამუშავებული *მიტროპოლიტ სტეფანეს* მიერ) გამომც. „აღმსარებელი“, ცაგერი, 2019, 209.

[707] იხ., იქვე.

[708] *გვასალია გ.*, დასახ. ნაშრ., 106.

[709] იხ. *ჩანი ს.*, დასახ. ნაშრ., 79.

პირველმშობელთათვის ღვთისგან მიცემული ხატება და მსგავსება. თუ ადამიანი ისწრაფვის ჭეშმარიტებისკენ, სიკეთისკენ, ის ღვთის მსგავსი ხდება. სხვა შემთხვევაში ის ემსგავსება ცხოველს და ბოროტ სულს, ეშმაკს.“[710] ამასთან დაკავშირებით, კატეხიზმოში ვკითხულობთ, რომ „ღმრთის ხატი, თუმც მინავლებული და გამქრქალებული, არ დაუკარგავს ადამიანს და მას დარჩა შესაძლებლობა ხსნისა, შესაძლებლობა იმ ცხოვრების თითქოსდა თავიდან დაწყებისა, რომლისთვისაც იგი სამოთხეში იყო მოწოდებული. ადამიანი დაეცა და შეიცვალა, თორემ ღმერთი და ღმერთის სიყვარული უცვლელია, და ღმერთიც მოდის თავისი დაცემული ქმნილების საშველად. ძველი აღთქმის წიგნები ღმერთის მიერ ხსნის დაპირების მუდმივ განახლებასა და მისი მომზადების ისტორიას შეიცავს.“[711]

2.1.3.2 ადამიანის ყოფა პირველი ცოდვის შემდეგ

ხუთწიგნეულის თარგმანებაში ვკითხულობთ, რომ „სიკეთისა და ბოროტის გარჩევის ნაყოფის მიღების შემდეგ, სიცოცხლის ხის ნაყოფის გემოსხილვით გაუკვდავებულ ადამში გაუკვდავდებოდა ცოდვაც. ამიტომაც, უფალმა ღმერთმა „განდევნა ადამი“ ედემის ბაღიდან, ხოლო სიცოცხლის ხეს დამცველებად ქერუბიმები და „ცეცხლოვანი მბრუნავი მახვილი დაუყენა“ (დაბ. 3, 24).“[712]

ირკვევა, რომ „ადამი და ევა ღვთის შექმნილნი არიან უშუალოდ. ისინი, როგორც წინაპარნი, ღვთის ხატს, სახეს ატარებენ. მათ მიერ შობილნი, ცხადია, ინარჩუნებენ პირველგამჩენის ხატს, მაგრამ მათზე არის დაღი პირველჩადენილი ცოდვისა. ცოდვის დამღამ პირველსავე თაობაში იჩინა თავი. ცოდვის სასჯელად შემოსული სიკვდილი აქ პირველად ადასტურებს თავის ძალას და ეს სასჯელი კვლავ ცოდვის სახეს იღებს: სიკვდილი მკვლელობის სახით პოულობს პირველ რეალიზაციას.”[713]

ამის შემდეგ, ბიბლია აღწერს, თუ როგორ იძირება კაცობრიობა მთლიანად, ცოდვასა და ბოროტებაში: „იმატა ადამიანთა უკეთურებამ ამქვეყნად, რომ უკეთური იყო მუდამჟამს მათი ყოველი გულისთქმა. წაირყვნა ქვეყანა ღვთის წინაშე და აივსო ქვეყანა უსამართლობით. გადმოხედა ღმერთმა ქვეყანას და, აჰა, წარყვნილიყო იგი, რადგან გაერყვნა ყოველ ხორციელს თავისი ზნე ამ ქვეყანაზე“ (დაბ. 6, 5, 11-12).

ბიბლიის ეგზეგეტიკა, კაენის მიერ აბელის შთამომავლობის ფონზე აღწერს, რომ კაენის მოდგმის სულიერ გადაგვარებას ჰქონდა უტილიტარული მიზეზი, რომელმაც შემდეგ შეაცდინა აბელის შთამომავლობაც.

---

[710] მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიის მოძღვრების საფუძვლები, (შემდგ. *დ. შოვნაძე, ნ. ჩაჩიბაია*), დაიბეჭდა შპს „ფავორიტი პრინტში“, თბ., 2013, 39.

[711] *ეპისკოპოსი ალექსანდრე,* მართლმადიდებლური კატეხიზმო, მეოთხე გამოცემა, (მთრგმნ. *გვ. კუპლატაძე, გ. ტონია*), საქართველოს საპატრიარქოს გამოცემლობა, თბ., 2011, 27.

[712] *კიკნაძე ზ.*, ხუთწიგნეულის თარგმანება (რედ. *მ. ღაღანიძე*), ქრისტიანული თეოლოგიისა და კულტურის ცენტრის გამოცემა, თბ., 2004, 30.

[713] იქვე.

ხუთწიგნეულის თარგმანებაში საუბარია, რომ „აბელის რელიგია ჭეშმარიტად უანგარო რელიგია იყო, ხოლო კაენის, უტილიტარული. კაენზე ნათქვამია, რომ მან ააშენა ქალაქი, აბელს კი ქალაქი არ აუშენებია, რადგან წმიდათა ქალაქი უზენაესი ქალაქია... .“[714] საყურადღებოა, რომ ნოდის ქვეყანაში კაენი იწყებს შემოზღუდული პირველი ქალაქის შენებას რათა იგი სხვამ არ მოკლას (*ნეტ. ავგუსტინე*).[715]

გარდა ამისა, ირკვევა, რომ თავად კაენის სახელი ასოცირდება მატერიალურთან, ხოლო აბელი სულიერთან. კერძოდ, ებრაული სიტყვა *კაინ* ნიშნავს „შუბს“. ამ ფონეტიკას მოაქვს მატერიალურობა, რადგან კაენი შუბივით ჩარჭობილია ნივთობრიობაში. აბელს კი, რომლის სახელი *ჰაბელ* (ჰაველ) „სუნთქვას“, „ქროლვას“ ნიშნავს, ეთერული არსებობა აქვს, ის არ არსებობს მატერიალურ სინამდვილეში, მისი მყოფობა, ნივთობრიობის საპირისპირო რეალობაშია საძიებელი.[716]

შესაქმის განმარტებაში ვკითხულობთ, რომ „კაცისმკვლელმა კაენმა თავის აგებულ ქალაქს თავისი ვაჟის, ენოქის სახელი დაარქვა, რომელიც ნიშნავს „აღზრდილს“. კაენის თაობა, კაენის სულით არის აღზრდილი, რომლის მოდგმაში ოდენ სულიერი რეგრესი ფიქსირდება, რასაც მოწმობს ამ მოდგმის ჩამონათვალის ბოლოში უაღრესად ქედმაღლური სიტყვები მორიგი კაცისმკვლელისა. კერძოდ, ენუქის შთამომავალთა სახელების ეტიმოლოგიური ანალიზით ირკვევა, რომ ენოქის ძე არის „ყირადი“ რაც ნიშნავს სულიერად დაბლა დასულს. ყირადის შვილი „მეხუაელი“ კი, ნიშნავს ღვთის დამვიწყებელს, ხოლო ამ უკანასკნელის შვილი „მეთუშაელი“ ნიშნავს სიკვდილის მთხოვნელს, მაძიებელს (თავისთვის ან სხვებისთვის). დაბოლოს, „ლემექი“, ითარგმნება, როგორც „სისუსტე“. სწორედ ლამექმა (არაღვთისდაშვებით) მრავალცოლიანობას დაუდო საფუძველი.“[717]

ხუთწიგნეულის თარგმანებიდან ირკვევა, რომ კაენისა და მისი შთამომავლობის საქმიანობა დაკავშირებულია შეძენასთან და მომხვეჭელობასთან.[718] *შესაქმის განმარტებაში* კი, აღნიშნულია, რომ „რადგან ლამექის ვაჟი იაბალი მეკარვეთა და მეჯოგეთა მამად იწოდება, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ წარმოიშვა მეურნეობის რაღაც, ახალი ფორმა, რომელიც განსხვავდება აბელის მწყემსობის საქმიანობისაგან. განმმარტებლები აღნიშნავენ, რადგან „მეჯოგე“, რაც ასევე ნიშნავს „შესყიდულს“, „ნასყიდს“, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ კაენის განვითარების ცივილიზაციას საფუძვლად ედო გამდიდრების პრინციპი, რომლის დროსაც საკუთრების დაგროვება თვითმიზანს წარმოადგენდა.“[719]

---

[714] იქვე, 35.
[715] იხ. *გვასალია გ.*, დასახ. ნაშრ., 132.
[716] იხ. *კიკნაძე ზ.*, დასახ. ნაშრ., 35.
[717] *გვასალია გ.*, დასახ. ნაშრ., 137.
[718] იხ. *კიკნაძე ზ.*, დასახ. ნაშრ., 35.
[719] *Щедровицкий Д.В.*, Введение в Ветхий Завет, в Восьми томах. Пятекнижие Моисеево т. Книга Бытия, Издание 4-е, исправленное, М., ОКЛИК, 2008, 74 და *Митрополит Филарет (Дроздов)*, Толкование на Книгу

წმ. ეფრემ ასური აღნიშნავს, რომ კაენის მოდგმა, სეითის მოდგმასთან შედარებით სულ უფრო მცირდებოდა. კაენის ცოდვის გამო, სეითის შთამომავლები თავიანთ ასულებს არ ათხოვებდნენ კაენის მოდგმის მამაკაცებზე და ამიტომ, კაენის მოდგმაში უკვე ლამექი ზრუნავს თავისი მოდგმის შენარჩუნებისთვის. აღნიშნული მოსაზრება იმით ვითარდება, რომ ლამექი, თავისი მოდგმისთვის სირცხვილის ჩამოსარეცხად, კლავს კაენსა და მის შვილს, რომელიც ძლიერ წააგავდა მამამისს. ამის შემდეგ ლამექი ეუბნება თავის ცოლებს, რომ შუძლიათ თავიანთი ქალიშვილები მორთონ სეითის მოდგმის მამაკაცებზე საქორწინოდ. ლამექის ცოლებიც რთავენ თავიანთ ასულებს სეითის მოდგმის მამაკაცებისთვის, იუბალი (მეჩანგეთა და მესვიტვირეთა მამა) მუსიკით ატკბობს,[720] სეითის ძენი კი, მიილტვიან მათკენ ისე, რომ ავიწყდებათ მათთვის მამის მიერ დატოვებული ანდერძი.[721]

ამგვარად, კაენის მეექვსე თაობაში, კერძოდ, ლამექში იბარტყებს კაენის ცოდვა, რაც კიდევ უფრო მძიმე სასჯელად დააწვება კაცთა მოდგმას. ეს არის კაცობრიობის ის სახე, რომელიც ჩვენს დღეებამდე გრძელდება. *ზ. კიკნაძე,* აღნიშნავს, რომ „ეს არის პირწმინდად ადამიანური ცივილიზაცია, სადაც არ ურევია ღვთის ხელი და არც მისი სახელის ხსენება ჩანს. ამ ცივილიზაციაზე არ იყო უფლის დასტური.“[722]

როგორც ირკვევა, წარღვნამდე კაენის ცივილიზაცია არასწორი მიმართულებით ვითარდება, რაც აბელის წილ შეძენილი მოდგმის (სეითის) ცივილიზაციას გადააგვარებს. შედეგად, ნოეს ოჯახის გარდა, ცოდვა ტოტალურად გაბატონდება დედამიწაზე, რის გამოც ღმერთი წარღვნას მოავლენს.

თუმცა, მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიის მოძღვრების საფუძვლებიდან ვიგებთ, რომ უმთავრესი იყო ის, რომ ადამიანებმა თავიანთი ცოდვიანობის გამო დაკარგეს უმახლობელესი და უშუალო ურთიერთობა ღმერთთან, რომელიც უკვე აღარ ეცხადებოდა ხოლმე მათ ხილული სახით, როგორც ეს სამოთხეში მათი ცხოვრებისას ხდებოდა, ანუ ადამიანთა ლოცვა არასრულყოფილი გახდა.[723]

Библия, Религиозно-философская серия, „Лепта-Пресс“, М., 2004, 168, ციტირებულია წიგნიდან: *გვასალია გ.*, დასახ. ნაშრ., 137-138, სქ. 101, და სქ. 102.

[720] გარდამოცემის თანახმად, კაენის მოდგმაში მუსიკა ადამიანის ქვენა გრძნობების გასაღვიძებლად გამოიყენებოდა, რომელიც კერპთაყვანისცემის თუ რიტუალური ორგიების დროს ჟღერდა, იხ.: *Щедровицкий Д.В.*, Введение в Ветхий Завет, в Восьми томах. Пятекнижие Моисеево т. Книга Бытия, Издание 4-е, исправленное, М., ОКЛИК, 2008, 75, ციტირებულია წიგნიდან: *გვასალია გ.*, დასახ. ნაშრ., 138.

[721] *წმ. ეფრემ ასური* აქ გულისხმობს იმ ანდერძს, რომელიც „განძთა ქვაბის“ აპოკრიფულ თხზულებაშია დაცული. ეს ანდერძი ადამის მიეწერება, რომელმაც სიკვდილის წინ სეითსა და მისგან წამოსულ მამათავრებს უანდერძა, არ წასულიყვნენ იმ მთიდან, სადაც ცხოვრობდნენ და არ შერეოდნენ კაენის გარყვნილ მოდგმას, იხილეთ, *გვასალია გ.*, დასახ. ნაშრ., 138, სქ., 115.

[722] *კიკნაძე ზ.*, დასახ. ნაშრ., 35.

[723] იხ. მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიის მოძღვრების საფუძვლები (შემდგ. *დ. შოვნაძე, ნ. ჩაჩიბაია*), დაიბეჭდა შპს „ფავორიტი პრინტში“, თბ., 2013, 61.

დაბოლოს, აუცილებელია ითქვას, რომ „ადამიანის ცოდვისთვის ღმერთმა უსაზღვრო მსხვერპლი სიყვარულით გაიღო, მისცა რა ადამიანს გამოსყიდვისა და ხსნისთვის თავისი ძე. დროებით მოაკლო რა ადამიანს უკვდავება, ღმერთმა თვითონ მიიღო სიკვდილი, რათა ადამიანისთვის მარადიული ცხოვრება მიენიჭებინა. მაგრამ ამ უდიდესი გულმოწყალების აქტის ქმნის დროსაც ღმერთი უნარჩუნებს ადამიანს თავისუფლებას - მიიღოს თუ არ მიიღოს ღმრთეებრივი სიყვარულის ეს უმაღლესი გამოხატულება, იგემოს თუ არა ნაყოფი ახლისა „ხისა ცხოვრებისა", რომელთანაც ღმერთი კვლავ უშვებს ადამიანს. ადამიანისთვის დაბრუნებული ეს ხე ცხოვრებისა არის ჯვარი უფლისა - ხე სამსხვერპლო სიყვარულისა."[724]

2.1.4 შეჯამება

როგორც ირკვევა, ღვთის ხატად და მსგავსად პირველქმნილი ადამიანების სინდისი, გონება და გული სუფთა იყო. ისინი სიყვარულით იყვნენ აღვსილნი, რადგან ღმერთის სული ჰქონდათ შეძენილი, არ ჰქონდათ სნეულებები და სიკვდილის შიში. ადამიანის უმაღლესი ნეტარება, ღმერთთან ხშირ ლოცვით საუბარში მდგომარეობდა.

ასეთ უცოდველ მდგომარეობაში მყოფ ადამიანს, მორჩილებითა და სათნო ცხოვრებით, სიკეთესა და ბოროტებას შორის თავისუფალი არჩევანით და ერთადერთი ამკრძალავი ნორმის დაცვით უნდა მიეღწია მაქსიმალურ განღმრთობას, რა მიზნითაც იგი შეიქმნა. თვითუფლებრიობის გამო, ადამიანს საკუთარი ნებით უნდა გამოეჩინა კანონმორჩილება ერთადერთი ამკრძალავი მცნებისადმი.

ცოდვამდე არსებობდა იერარქიული კავშირი სულს, სამშვინველსა და სხეულს შორის. საღმრთო მადლი ადამიანის შიგნით მკვიდრობდა, ხოლო ცდუნება მის გარეთ იმყოფებოდა. ცოდვით დაცემას მოჰყვა ადამიანში არსებული ჰარმონიის რღვევა. სულთან კავშირი გაწყდა და სამშვინველი სხეულს დაემორჩილა. ცდუნებამ, ადამიანის შიგნით დაიკავა ადგილი, ხოლო მადლი გარეთ განიდევნა. შედეგად, ადამიანში ჩაისახა ცბიერება, გული მიეცა უგუნურ მისწრაფებებსა და ვნებიან სურვილებს. დაზიანდა ადამიანის გონება, გრძნობა და ნებაც. ბოროტებისაკენ ლტოლვამ და ცოდვიანმა ვნებამ ბუნებრივი ადგილი დაიკავა ადამიანში. ცოდვის შედეგად, ადამიანის სულიერი და ხორციელი გენეტიკა იმდენად დაავადდა, რომ ადამიანი სხეულით, გახდა მომაკვდავი არსება.

ადამიანის პირველმა დევიანტურმა ქცევამ, გამოიწვია მისი სრულქმნისკენ სავალი გზიდან ჩამოცილება. პირველმა ცოდვამ ადამიანი აქცია ბუნებით ცოდვილ და ცოდვის ჩადენისაკენ მიდრეკილ არსებად. ბუნებრივი შობის კანონით, ცოდვა ასევე მემკვიდრეობითი გახდა, რომელიც გადაეცემა თაობიდან თაობას.

---

[724] *ეპისკოპოსი ალექსანდრე,* მართლმადიდებლური კატეხიზმო, მეოთხე გამოცემა, (მთრგმნ. *გვ. კუპლატაძე, გ. ტონია*), საქართველოს საპატრიარქოს გამოცემლობა, თბ., 2011, 28.

ადამიანის მდგომარეობის შეპირისპირება პირველ ცოდვამდე და პირველი ცოდვის შემდგომ, სქემატურად შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს:

№	ადამიანის ბუნება პირველ ცოდვამდე	ადამიანის ბუნება პირველი ცოდვის შემდეგ	შენიშვნა
1	ღვთის ხატი და მსგავსი არსება;	დაზიანებული ღვთის ხატება და მსგავსება;	ღმერთის სიყვარული უცვლელია ადამიანის მიმართ;
2	უკვდავი არსება;	სხეულით მოკვდავი არსება;	სულის გადარჩენა შესაძლებელია;
3	სულს ემორჩილება, სამშვინველი და სხეული;	დაპირისპირება სულსა და ხორცს შორის;	სხეულს (ვნებებს) დაემორჩილა სამშვინველი. სული აგონიერებს სამშვინველს;
4	სუფთა სინდისი, გონება, გული, გრძნობა და ნება;	დაზიანებული სინდისი, გონება, გული, გრძნობა და ნება;	ვნებებმა ადამიანის გონება დააბნელა, სინდისმა ქენჯნა დაუწყო; სულიერი სიმშვიდე დაიკარგა;
5	ღმერთისაკენ მიდრეკილი არსება.	ღმერთისა და ცოდვისკენ მიდრეკილი არსება.	ღმერთისაკენ სწრაფვით ადამიანი ღვთის მსგავსი ხდება, სხვა შემთხვევაში ემსგავსება ბოროტ სულს.

ზემოთმოყვანილი ასპექტების იდენტიფიცირება მხოლოდ კვლევის ერთი ნაწილია, რომელიც ზოგად წარმოდგენას გვიქმნის ადამიანის ცოდვილ ბუნებაზე. დამნაშავის პიროვნების კრიმინოლოგიური გააზრებისთვის, ასევე აუცილებელია ბიბლიური სწავლების იმ ნიუანსების გამოკვლევაც, რომელიც კიდევ უფრო კარგად წარმოაჩენს ადამიანის ბუნებაში არსებულ იმ კონტრასტს, რომელიც პირველ ცოდვას მოჰყვა შედეგად. შესაბამისად, კვლევა გაგრძელდება ადამიანის დუალისტური ბუნების ჭრილში.

2.2 ადამიანის დუალისტური ბუნება

2.2.1 ადამიანის ორპოლარული ბუნების ზოგადი დახასიათება

მართალია, პირველი ცოდვის შემდეგ ადამიანი მიიდრიკა ცოდვისაკენ, მაგრამ იგი კვლავაც იმყოფება განღმრთობისა და ცოდვის ჩადენის არჩევანის წინაშე. მას შეუძლია მიემსგავსოს ღმერთს ან ბოროტს, განიღმრთოს ან განმტკიცდეს ცოდვაში.

„ადამიანები იმყოფებიან ღმერთისა და ეშმაკის ერთდროული ზემოქმედების ველში“, აღნიშნავს *გ. კოპაძე.*[725]

წმინდა მამათა ლიტერატურაში აღნიშნულ საკითხზე არსებობს უამრავი სწავლება და განმარტება, მაგალითად:

წმინდა იოანე ოქროპირის ჰომილიებიდან ირკვევა, რომ ადამიანი არის არსება, რომელიც შეიძლება ანგელოზადაც იქცეს და მხეცადაც. ბიბლიის მუხლების მოშველიებით *წმინდა მამა* ზოგიერთს უწოდებს უფლის მოციქულს (მალ. 2,7; 3,1), ზოგიერთებს კი ექიდნეს ნაშობ გველებს (მათ. 12, 34). ირკვევა, რომ ადამიანი საკუთარი განწყობებიდან გამომდინარე, შეიძლება იყოს ყველაფერი, ანგელოზიც, ადამიანიც და ღვთის ძეც (ფსალმ. 81, 6). ზოგადად, კაცს ანგელოზად სათნოებები აქცევს, რომელიც ჩვენს ხელთაა და შეგვიძლია, ანგელოზები შევიქმნათ, თუ ბუნებით არა - ნებით მაინც.[726]

წმ. მამა გაბრიელის სწავლებით „მარხვით, ლოცვითა და ზიარებით დიდი ცოდვილნი - დიდი წმინდანნი გამხდარან“[727] და დასძენს, რომ „ბოროტება, ცოდვა შეიძულეთ, თვით ადამიანი კი გებრალებოდეთ და გიყვარდეთ. ღმერთმან უწყის, იქნებ ის ვინც ჩვენ დღეს გვძაგს, ხვალ ლოცვით, ცრემლით, მარხვითა და სინანულით განიწმინდოს და ანგელოზის მსგავსი გახდეს. ბევრი ყოფილა ასეთი ადამიანი.“[728]

შესაქმის განარტების თანახმად, კაენი ადამისა და ევას ბიოლოგიური, ფიზიკური შვილი იყო, ხოლო სულიერად ის სწორედ გველს ირჩევს მშობლად და წინამძღვრად. წმინდა წერილიდან ირკვევა, რომ არსებობენ „ძენი ნათლისანი“ და „ძენი ბნელისანი“ (მთ. 8, 38; 1 ინ. 3.10; 1 თეს. 5.5).[729] ამ ნიშნით, მთელი კაცობრიობა, მიუხედავად ნაციონალური, რელიგიური, სოციალური, რასობრივი თუ სხვა კუთვნილებისა, იყოფა ორ ნაწილად: კაენისა და აბელის მოდგმად.[730]

ადამიანის ბუნების ტრანსფორმაციას ძალიან კარგად აღწერს *ლეონარდო და ვინჩის* ნახატის „საიდუმლო სერობის“ შექმნის ისტორიაც.

როგორც ირკვევა, *მხატვარს* უნდა დაეხატა სიკეთე იესოს, ხოლო ბოროტება, იუდას სახით. ერთ დღეს, როდესაც *მხატვარი* მგალობელთა მომღერალთა გუნდის გალობას ესწრებოდა ტაძარში, ერთ-ერთ მომღერალში მან დაინახა ქრისტეს ნათელი, სრულყოფილი სახე. მომღერალის სახეში იკითხებოდა სიყვარული, სათნოება, მზრუნველობა, უცოდველობა, თანაგრძნობა და სიკეთე. გადაწყდა, რომ *ლეონარდო*, ამ მომღერალს, *პიეტრი ბანდინელის*, დახატავდა ქრისტეს პერსონაჟად. წლები გავიდა, მაგრამ ნახატი ჯერ კიდევ დაუსრულებელი იყო, რადგან *მხატვარს* ვერ ეპოვნა იუდას

---

[725] *კოპაძე გ.*, ცოდვის ცნება და ათი მცნება, თბ., 2006, 5.

[726] იხ. *წმინდა იოანე ოქროპირი*, ჰომილიები, III ტომი, (რედ. *თ. გოგოჩაშვილი*), გამომც. „ალილო“, თბ., 2015, 333-334.

[727] *ჯინორია მ.*, (2019), დასახ. ნაშრ., 133-134.

[728] იხ., იქვე, 156.

[729] იხ. *გვასალია გ.*, დასახ. ნაშრ., 128.

[730] იხ., იქვე, 127.

პროტოტიპი, რომელიც განასახიერებდა სასოწარკვეთას, ბოროტებას, სიხარბესა და ცოდვას. ათი წლის შემდეგ, მან ციხეში მიაგნო იმ მამაკაცს, რომელიც ზუსტად განასახიერებდა იუდას ტიპაჟს. *ლეონარდო* დღეების განმავლობაში დაუღალავად ხატავდა იუდას და უყურებდა, რომ ხატვის პროცესში პატიმრის სახე იძაბებოდა, სისხლისმსმელი თვალები ივსებოდა ზიზღით, როდესაც ტილოზე უყურებდა თუ როგორ ემსგავსებოდა ნახატი მის სახეს. ერთ დღეს, *ლეონარდომ* ისე შეიგრძნო პატიმრის მღელვარება, რომ შეაჩერა ხატვა და შეეკითხა თუ რაში იყო საქმე, რა აწუხებდა. პატიმარმა ხელები აიფარა სახეზე და აქვითინდა. კარგა ხნის შემდეგ მან თავი ასწია და შეეკითხა ლეონარდოს: „თქვენ მე ვერ მიცანით? რამდენიმე წლის წინ მე ვიყავი იესოს სახე თქვენი ნახატისთვის“.[731]

მოყვანილი ისტორია ნათელი ილუსტრაციაა იმისა, რომ ადამიანი შეიძლება შეიცვალოს და დაემსგავსოს, როგორც ღმერთს, ასევე იუდასაც.

მღვდელმთავარი ლუკა (ვიონო-იასენეცკი), აღნიშნავს, რომ „ადამიანი შეიძლება ეგოისტად რჩებოდეს ჭეშმარიტად სამოთხისეულ პირობებში, ხოლო თვით ყველაზე უსაშინლეს პირობებშიც კი, სულიერი სიმაღლის შენარჩუნებას ახერხებდეს.“[732]

წმ. იოანე ოქროპირი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ცოდნას ადამიანის ბუნების შესახებ. *წმიდა მამას* სწავლებით, ჩვენ „ხორციელი ადამიანთაგან უსხეულოდ გარდავიქმნებით, რომ საკუთარი ბუნების არცოდნით ადამიანი ვნებს საკუთარ თავს და პირიქით, ასეთ ცოდნას მოაქვს სამეფო სამოსელი, საცხოვრისი, ნაწილები და ყოველივე სამეფო.“[733]

ადამიანის ორპოლარულ ბუნებაზე რა თქმა უნდა, შეიძლება კიდევ მრავალი წმინდანის სწავლების მოშველიება და ბიბლიიდან შესაბამისი მუხლების ციტირებაც, მაგრამ ზემოთ მოყვენილი შეგონებებიც საკმარისია საკითხის არსში ზოგადი წარმოდგენის შესაქმნელად. რაც შეეხება მეცნიერების მოსაზრებებს, და ზოგადად, მეცნიერების პოზიციას აღნიშნულ საკითხზე, შეიძლება ითქვას, რომ იგი თითქმის იდენტურია. ამისთვის საკმარისია სულ რამდენიმე მოაზროვნის და მეცნიერის შეხედულების ციტირებაც, მაგალითად:

ძველი ბერძენი ფილოსოფოსის, *პითაგორას* სიტყვებია: „ჩვენ მიდრეკილნი ვართ სათნოებებისკენ და ბიწიერებისკენ, ისევე როგორც ჯანმერთელობისკენ და ავადმყოფობისკენ“.[734]

ჰაინროტის აზრით, „ადამიანი არის ნებაზე მიშვებული არსება, დაჯილდოებული მოქმედების თავისუფალი უნარით, რომელმაც შეიძლება წაიყვანოს იგი, როგორც

---

[731] იხ. The Last Supper, by Snopes Media Group Inc., 1995 - 2020, <https://www.snopes.com/fact-check/the-last-supper/>, (მოპოვების თარიღი: 25.05.2020).

[732] *მღვდელმთავარი ლუკა (ვიონო-იასენეცკი)*, დასახ. ნაშრ., 50.

[733] *წმინდა იოანე ოქროპირი*, ჰომილიები, III ტომი, (რედ. *თ. გოგოჩაშვილი*), გამომც. „ალილო“, თბ., 2015, 334.

[734] *იმედაძე ი.*, ფსიქოლოგიის ისტორია, გამომც. „მწიგნობარი“, თბ., 2008, 361.

თვითშენახვისაკენ, ისე თვითგანადგურებისაკენ. კეთილსა და ბოროტს შორის მოქცეულ ადამიანს უძნელდება არჩევანის გაკეთება და იტანჯება სინდისის ქეჯნით. ვინაიდან სული და სხეული ერთი არსის ორ ასპექტს წარმოადგენს, რომ სულიერი კონფლიქტი არ შეიძლება არ აისახოს სხეულზე."[735]

მ. ცუცქირიძის მოსაზრებით, „ადამიანს აქვს შესაძლებლობა აირჩიოს როგორ უნდა იმოქმედოს კონკრეტულ ვითარებაში, ოღონდ აუცილებლად უნდა იხელმძღვანელოს ადამიანის დანიშნულების შესაბამისი საყოველთაო ნორმით და იყოს თანამიმდევრული საკუთარ ქმედებაში. მისი აზრით, ადამიანის დანიშნულების შესაბამისი საყოველთაო ნორმის ნიმუშია, ქრისტიანული ღმერთი."[736]

სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის კლასიკური სკოლის მიხედვით, „ყოველ ადამიანს აქვს დამნაშევდ ქცევის შესაძლებლობა".[737]

კრიმინოლოგიის სახელმძღვანელოში აღნიშნულია, რომ: „მრავალრიცხოვანი კრიმინოლოგიური გამოკვლევები და პრაქტიკა მოწმობს, რომ იმ პირთა უმეტესობა, რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაული, ცოტა რამით თუ განსხვავდება შედარებით სამართალმორჩილი მოქალაქეებისაგან (შედარებით იმიტომ, რომ აბსოლუტურად სამართალმორჩილი ადამიანი არ არსებობს). თავისი ბიოლოგიური ბუნებით ყოველ ადამიანს შეუძლია ჩაიდინოს დანაშაული, მაგრამ ეს ხოციელდება თითოეული ადამიანის ფსიქიკის, ხასიათის, შეგნებისა და ტემპერამენტის თავისებურებებიდან გამოდინარე."[738]

ადამიანის ტრანსფორმაციის ობიექტურ შესაძლებლობას ასევე ამტკიცებს „დიფერენციალური კავშირის", „სტიგმატიზაცისა" და სხვა მრავალი კრიმინოლოგიური თეორია.

უფრო მეტი სიცხადისთვის, ადამიანის ორპალური ბუნების საკითხი გაანალიზდება ისეთი კონცეფციების ჭრილში, როგორიც არის „ნორმალური" და „პათოლოგიური", რადგან ისინი ასოცირდებიან კანონმორჩილისა და დამნაშავის ცნებებთან და ფართოდ გამოიყენებიან, როგორც ქრისტიანულ მოძღვრებაში, ასევე მეცნიერებაში.

---

[735] იხ., იქვე, 367.

[736] *ცუცქირიძე მ.,* ჭეშმარიტი სუბიექტის ძიებაში, ჟურნალი „ფილოსოფიური ძიებანი", №15, გამომც. „უნივერსალი", თბ., 2011, 386.

[737] *ბრეგვაძე ლ.,* დანაშაულის ახსნის თეორიები, ციტირებულია წიგნიდან: კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემა (მთ. რედ. *გ. ღლონტი*), თბ., 2003, 371.

[738] *წულაია ზ.,* დასახ. ნაშრ., 259.

2.2.2 ნორმალურისა და პათოლოგიურის მართლმადიდებლური მოძღვრება

2.2.2.1 ნორმალურის შესახებ მართლმადიდებლური მოძღვრება

მიტრ. იეროთეოს ვლახოსი განმარტავს, რომ „ყოველი განღმრთობილი ნორმალურ ადამიანს ნიშნავს, ვინაიდან მათი გონება [სწორად] ფუნქციონირებს - ლოცულობს. ამიტომ, ამგვარი ადამიანი ნორმალურად იწოდება.“[739]

რადგან, „ნორმალური ადამიანი“ და „განღმრთობილი“ სინონიმური ცნებებია, ხოლო ეს უკანასკნელი უფრო ხშირად გამოიყენება მართლმადიდებლურ დოგმატიკაში, ადამიანის ნორმალურ ბუნებას გავაანალიზებთ „განღმრთობილის“ ცნების ჭრილში.

ქრისტიანობის ლექსიკონში ვკითხულობთ, რომ „განღმრთობა (Divinizzazione) [ნაწარმოებია ზმნიდან divinizzare „გაღმერთება“] აღმოსავლურ თეოლოგიაში აღნიშნავს ადამიანის ზებუნებრივ აღზევებას, მაშასადამე, მის მონაწილეობას ღმრთაებრივ ბუნებაში, როგორც განკაცების შედეგს. ეს გამოხატულია ირენეოსის აქსიომაში: „ღმრთის ძე იქცა ადამიანის ძედ, რათა ადამიანი ღმრთის შვილად იქცეს“ (ერესთა წინააღმდეგ, III, 19,1)“.[740]

წიგნში „განღმრთობა“ ვკითხულობთ, რომ განღმრთობა ჩვენი ცხოვრების უმაღლესი, ის საბოლოო მიზანია, რომლისთვისაც ჩვენ ვართ შექმნილი, რომელიც მიიღწევა მხოლოდ მადლით, და არა ზნეობრივი სრულყოფით, მადლის გარეშე.[741] ამიტომაც, ღმერთი მოუწოდებს ადამიანს გახდეს ღმერთი მადლით.[742] „წმინდა წერილი ხშირად ხმარობს სიტყვას „ღმერთები“, არა მხოლოდ „ნეგატიურად, დემონების და კერპების აღსანიშნავად, არამედ „პოზიტიურადაც“, როგორც ანგელოზებისთვის, ასევე ადამიანებისთვისაც, რომლებიც ცხოვრობენ თანხმიერად თავის ღვთაებრივ დანიშნულებასთან, ხაზს უსვამს რა მათ მსგავსებას ღმერთთან: „უფალი ჩადგა საღვთო კრებულში, ღმერთებს შორის ჰქმნა სამართალი“ (ფსალმ. 81, 1).“[743]

მადლი ახდენს ადამიანის განღმრთობას, ხდის მას ყველაფერში, გარდა ბუნებისა, ღმრთის მსგავსს. ბუნებით ის რჩება ადამიანად, მადლით კი მინიჭებული აქვს ყველაფერი რაც გააჩნია ღმერთს. ამიტომ, წმინდა მამები ხმარობენ ადამიანთა მიმართებაში გამონათქვამს „ღმერთები მადლით“, და ამით ხაზს უსვამენ, რომ ღმერთად ბუნებით ყოველთვის რჩება მხოლოდ წმიდა სამება.[744]

---

[739] *მიტრ. იეროთეოს ვლახოსი*, ადამიანის სულის ენერგიების შესახებ, (*მამა იოანე რომანიდისის* აუდიო საუბრების მიხედვით), თბ., 2019, 19.

[740] *პეტროზილო პ.*, დასახ. ნაშრ., 52.

[741] იხ. *არქიმანდრიტი გიორგი*, განღმრთობა, როგორც ადამიანის ცხოვრების აზრი, თბ., 2015, 3.

[742] იხ., იქვე, 7.

[743] *არქიმანდრიტი გიორგი*, განღმრთობა, როგორც ადამიანის ცხოვრების აზრი, თბ., 2015, 54.

[744] იხ., იქვე, 55.

წმ. მამა გაბრიელის სწავლებით, ღვთის ხატად შექმნილი ადამი უნდა მიმსგავსებულიყო ღმერთს, უნდა გამხდარიყო ღმერთი მადლით, რომ განღმრთობილი არის მადლით ღმერთი.[745]

ანალოგიურ განმარტაბას აკეთებს *არქიმქნდრიტი რაფაელი*: „ღმერთი გვაძლევს არა მარტო თავისას, რაც თავისთავად აღემატება ადამიანის გონებას, არამედ თავის თავს, იგი ადამიანს ღმერთად ხდის მადლში“.[746]

როგორც ვხედავთ, „ნორმალური ადამიანის“, ანუ „განღმრთობილის“ კონცეფციაში განმსაზღვრელია მადლი (*ბერძ.* kharis, *ლათ.* gratia), რომელსაც ღმერთის ცხოველმყოფელი ძალა ეწოდება. ამ ცხოველმყოფელი ძალის დახმარებით, ხდება ღვთის ხატის მატარებელი ადამიანის სულიერი განვითარება და სრულყოფილება. „...მადლითა ხართ გამოჴსნილ სარწმუნოებისამიერ, და ესე არა თქუენგან, არამედ ღმრთისა ნიჭი არს“ (ეფ ეს. 2, 8), - ბრძანებს პავლე მოციქული.[747]

თუ როგორ და რა ჩვეული თანმიმდევრობით ხდება საღვთო მადლის მოქმედებით ადამიანის სულიერი აღორძინება და ზრდა, ამას გვამცნობს საღვთისმეტყველო და სასულიერო მეცნიერებათა განსაკუთრებული დარგები, რომელთაც ზნეობრივი ღვთისმეტყველება და ასკეტიკა ეწოდება.[748]

წმინდა მამათა სწავლებით, ღვთის მსგავსება, ნიშნავს ადამიანის ზნეობრივ სრულყოფას, მასში სათნოებათა, სიწმინდისა და სულიწმინდის ნიჭთა დამკვიდრებას. გახდე „ნორმალური“, განღმრთობილი, ღვთის „მსგავსი“, დამოკიდებულია ჩვენს ნებაზე და სათანადო მოღვაწეობით შესაძლებელი ხდება ამის მიღწევა.[749]

მოციქულთა ნაწერებში სულიწმიდის მოქმედებას ეწოდება „გარდამეტებული ძალა“, „ღმრთეების ძალი“ (შდრ. 2 პეტ. 1, 3), „სული ქრისტესი", მაგრამ ყველაზე ხშირად იგი აღინიშნება სიტყვით „მადლი“.[750]

წმიდა სილუანის სწავლებით, სულიწმიდის მადლი ყველა ადამიანს ამსგავსებს უფალს იესო ქრისტეს ჯერ კიდევ დედამიწაზე.[751]

იმის გამო, რომ სულიწმიდის მადლის საკითხი უკვე გამოკველულ იქნა დისერტაციაში,[752] მოკლედ იქნება გაანალიზებული „ნორმატიულობა“, რომელიც ასევე „ნორმალურის“ კონცეფციის ცენტრალური საკითხია.

---

[745] იხ. *ჯინორია მ.*, (2019), დასახ. ნაშრ., 162.

[746] ღვთიური სიბრძნის მართლმადიდებლური ენციკლოპედია, (შემდგ. *გ. კალანდაძე*), თბ., 2007, 226.

[747] იხ. მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიის მოძღვრების საფუძვლები, (შემდგ. *დ. შოვნაძე, ნ. ჩაჩიბაია*), დაიბეჭდა შპს „ფავორიტი პრინტში“, თბ., 2013, 371.

[748] იხ. *პროტოპრისვეტერი მიხეილ პომაზანსკი*, (2012), დასახ. ნაშრ., 152.

[749] იხ., იქვე, 87.

[750] იხ., იქვე, 177.

[751] იხ. ღვთიური სიბრძნის მართლმადიდებლური ენციკლოპედია, (შემდგ. *გ. კალანდაძე*), თბ., 2007, 224.

[752] დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ წინამდებარე დისერტაციის ქვე-პარაგრაფი: 1.2.2.4.3 საღვთო ნორმების დაწესება ადამიანის მიერ.

ცნობილია, რომ პირველქმნილ ადამიანს, თავისუფალი არჩევანითა და ერთადერთი საღვთო ნორმისადმი მორჩილებით (დაბ. 2, 16-17) უნდა უზრუნველეყო ღვთის ხატებისა და მსგავსების, ანუ ადამიანის „ნორმალურობის“, ანუ „განღმრთობის“ მაქსიმალური განვითარება: „სიცოცხლე და სიკვდილი დაგიდევი წინ, კურთხევა და წყევლა. აირჩიე სიცოცხლე, რომ იცოცხლოთ შენ და შენმა შთამომავლობამ“ (მეორე რჯული 30, 19).

ერთადერთი აკრძალული ნორმის დაღვევამ, მოახდინა ადამიანის ხატებისა და მსგავსების დამცრობა, ანუ ადამიანის განღმრთობისაკენ სავალი გზიდან გადახვევა. შესაბამისად, ადამიანის „ნორმალურობა“ შეუძლებელია ნორმის დარღვევის, ანუ ნორმატიულობის გარეშე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება შემდეგი:

ა) ისეთი ტერმინები, როგორიც არის „ნორმალური“ და „განღმრთობილი“ შინაარსობრივად ერთი და იმავე დატვირთვას ატარებენ;

ბ) ნორმალურია ადამიანი, რომელშიც სულიწმინდის მადლია დავანებული. მადლის წყალობით, ადამიანს გააჩნია სუფთა სინდისი, გონება (წმინდა აზრები) და გული;

გ) ნორმალურ ადამიანში მოიაზრება ის ვინც ცხოვრობს საღვთო ნებით, მცნებების, კანონებისა და ნორმებით დადგენილი წესების მიხედვით.

თუ ქრონოლოგიურად გაანალიზდება ბიბლიაში აღწერილი მოვლენები, „ნორმალური ადამიანი“ იყო, პირველქმნილი ადამიანი, განსაკუთრებით, ცოდვის ჩადენამდე, რადგან მათ ღმერთის სული ჰქონდა შეძენილი (*ღირსი მამა მაკარი*).[753] „ნორმალურ ადამიანებად“ იწოდებიან ასევე ძველი აღთქმის ყველა ის არაფორმალური და ფორმალური მეფე, მამათავარი, პატრიარქი, უხუცესი, მართალნი და გვიანდელი წინასწარმეტყველნი, რომლებიც ღვთის მადლით იყვნენ შემოსილნი;[754] ასევე წმინდანები, მოციქულები, საეკლესიო მამები, ბერები, სალოსები და ყველა ის ადამიანი, ვინც სულიწმიდის მადლი მოიხვეჭეს და გამოირჩეოდნენ საღვთო ნებისა და მცნებებისადმი მორჩილებით.

2.2.2.2 პათოლოგიურის შესახებ მართლმადიდებლური მოძღვრება

მიტრ. ი. ვლახოსი, წიგნში „მართლმადიდებლური ფსიქოთერაპია“ ვკითხულობთ, რომ ადამიანის სული უფლისკენ უნდა იყოს მიმართული, რადგან

[753] იხ. მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიის მოძღვრების საფუძვლები, (შემდგ. *დ. შოვნაძე, ნ. ჩაჩიბაია*), დაიბეჭდა შპს „ფავორიტი პრინტში“, თბ., 2013, 40.

[754] იხ. *პროტოპრისვეტერი მიხეილ პომაზანსკი*, (2012), დასახ. ნაშრ., 177.

ასეთია მისი ბუნებრივი მდგომარეობა.[755] ადამიანი ვნებებთან ერთად არ შეიქმნა.[756] ადამიანის ბუნებრივი მდგომარეობა სათნოებაა, ვნებები კი ბუნების საწინააღმდეგოა.[757]

პავლე მოციქულის მიხედვით, ადამიანმა ვნებებით ბუნებრივი წესი არაბუნებითით შეცვალეს (რომ. 1, 26).

არქ. რაფაელის სწავლებით „სიამაყე - არანორმალური მდგომარეობაა. ამაყი თავის სულს დემონურ იმპულსებს უღებს, ის საშინელ სულიერ „რადიაციულ ველში“ მოხვედრილი ადამიანია.“[758] როგორც ვიცით, სიამაყე ვნების ერთ-ერთი სახეა, რომელიც ადამიანში პირველი ცოდვის შედეგად ჩაისახა და გულისთქმასთან ერთად მთელი სამყაროს ცოდვათა წყაროა (1 იოანე, 2, 15-16).

ამგვარად, ადამიანის პათოლოგიურ ბუნებაში იგულისხმება, ცოდვით გამოწვეული „ნორმალურის“ საპირისპირო, „არანორმალური“ მდგომარეობა, რომელშიც განმსაზღვრელია ცოდვა და ვნება. ნებისმიერი ცოდვა და ვნება ადამიანს აშორებს სულიწმიდის მადლისაგან, აკარგვინებს ღვთის ხატებას და მსგავსებას, და მიდრეკს ცოდვისკენ (დანაშაულისკენ) და ხელს უშლის ადამიანს ზნეობრივ სრულყოფაში.

არქ. რაფაელი აღნიშნავს იმასაც, რომ „სიამაყის ერთ-ერთი გამოვლინება და მისკენ მიმავალი გზა - ეს ურჩობაა“.[759]

აღნიშნული დებულების ჭეშმარიტება მტკიცდება „ნორმალურის“ კონცეფციითაც, რადგან სიამაყე ნორმალურობის საწინააღმდეგოდ გადადგმული ქმედებაა. თუკი, „ნორმალურის“ კონცეფციის მოთხოვნა ნორმისადმი მორჩილებაა, მაშინ პათოლოგია (ნორმალურის საპირისპირო მდგომარეობა) დაკავშირებულია ურჩობასთან, ანუ საღვთო ნორმის დარღვევასთან. ამ შემთხვევაშიც, ადამიანის პათოლოგია, ნორმალურის საპირისპირო კონცეფციაა, რადგან ნორმის დარღვევამ (ურჩობამ) გამოიწვია ადამიანის პათოლოგიურ (არანორმალურ) მდგომარეობაში ჩაყენება, ადამიანის სულისა და სხეულის დაავადება ცოდვითა და ვნებით.

მართლმადიდებლურ კატეხიზმოში ვკითხულობთ, რომ პირველი ცოდვის შედეგად „თითოეული ადამიანი დაავადდა.“[760] ამგვარად, ადამიანის პათოლოგიური ბუნების კონცეფციაში, ცოდვას, ანუ დანაშაულს, ცენტრალური ადგილი უნდა მივაკუთვნოთ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მართლმადიდებლური მოძღვრებით ირკვევა, რომ:

---

[755] იხ. *მიტრ. იეროთეოს ვლახოსი*, მართლმადიდებლური ფსიქოთერაპია, (მეორე გამოცემა, თარგმნა *ე. დულაშვილმა*; რედ. *მღვდელი ზ. ცხოვრებაძე*), გამომც., „ახალი ივერიონი”, თბ., 2010, 253.
[756] იხ., იქვე, 254.
[757] იხ., იქვე, 255.
[758] ღვთიური სიბრძნის მართლმადიდებლური ენციკლოპედია (შემდგ. *გ. კალანდაძე*), თბ., 2007, 33.
[759] იხ., იქვე, 33.
[760] *გლუხოვი ი. ა.*, მართლმადიდებლური კატეხიზმო, სანკტ პეტერბურგი, 2010, 56.

ა) ისეთი ტერმინები, როგორიც არის „ცოდვილი“, „დამნაშავე“, „არანორმალური“, „პათოლოგი“, „ავადმყოფი“, გარკველწილად წარმოგვიდგებიან სინონიმებად;

ბ) პათოლოგიის კონცეფციაში, ადამიანში არსებული ცოდვა და ვნება ცენტრალური ცნებებია, რადგან ცოდვა და ვნება, მიდრეკს ადამიანის გონებას და გულს დანაშაულისკენ;

გ) ადამიანის პათოლოგიური ბუნების კონცეფციაში ნორმატიულობა, ცენტრალური ელემენტია. იგი მოიაზრებს ურჩობას, საღმრთო ნების, კანონებისა და მცნებების დარღვევას, რაც არის ცოდვა, დანაშაული და დანაშაულობა.

გარდა ამისა, „პათოლოგიურზე“ შეიძლება საუბარი ფართო და ვიწრო გაგებით. ფართო გაგებით პათოლოგია, მოიაზრებს ზოგადად ყველა ადამიანს, რადგან პირველი ცოდვის შედეგად, ყველა ადამიანი იბადება ცოდვილად. რაც შეეხება პათოლოგიას ვიწრო გაგებით, მასში მოიაზრება ისეთი ადამიანი, რომელშიც სულიწმიდის მადლი არ არის, არ აღასრულებს საღვთო ნებას, ნორმებს, მცნებებს და იმყოფება ცოდვებისა და ვნებების ტყვეობაში. *არქ. გ. ბასილაძე* აღნიშნავს, რომ „თუ ადამიანს მადლი არა აქვს იგი სულიერად მკვდარია“.[761]

გარდა ამისა, ბიბლიის ტექსტი შეიცავს უამრავ ცნობას, როდესაც პათოლოგია წარმოგვიდგება, როგორც მოვლენა, ასევე კონკრეტული ფაქტი. პათოლოგიურ მოვლენებთან გვაქვს საქმე, როდესაც ვსაუბრობთ, მაგალითად, კაენის მოდგმის, წარღვნამდელი, სოდომისა და გომორას საზოგადოების ზნეობრივ გადაგვარებაზე და ა.შ. ეს ის მოვლენებია, როდესაც ცოდვები და ვნებები ღებულობენ მასობრივ და საყოველთაო ხასიათს. რაც შეეხება პათოლოგიას, როგორც კონკრეტულ ფაქტს, ასეთია, მაგალითად, პირველი ცოდვა, ასევე კაენის მიერ აბელის პირველი მკვლელობა და ა.შ., ანუ ცალკეული ცოდვები და დანაშაულები.

2.2.3 ნორმალურისა და პათოლოგიურის მეცნიერული კონცეპტები

2.2.3.1 ნორმლურის შესახებ მეცნიერული კონცეფცია

ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ მეცნიერებაში ნორმალურის რაობაზე ერთიანი მიდგომა არ არსებობს. მაგალითად, ამერიკელი ფსიქოლოგი *ს. ბარტლეტი* აღნიშნავს, რომ ფსიქოლოგია და ფსიქიატრია წლების განმავლობაში ჩაძირული იყო ტერმინ „ნორმალურობის“ განმარტებათა დამაბნეველ სიმრავლეში.[762] ამის საილუსტრაციოდ *ბარტლეტი* აკეთებს „ნორმალურის“ შესახებ განმარტებათა ჩამონათვალს. ირკვევა, რომ ნორმალური, განიმარტება როგორც: 1. საშუალო სტატისტიკური (*ჰაკერი, 1945 და რედლიხი, 1952*); 2. მისადაგება, შეწყობა (*ვილე, 1940*); 3. ოპტიმალური ფუნქციონირება (*ფიზიკურ ჯანმრთელობასთან მიმართებაში, ჰაკერი, 1945*). 4. სოციალური

[761] იხ. *ჩაგუნავა ა., ვეკუა ი.*, დასახ. ნაშრ., 36.

[762] იხ. *Bartlett S. J.*, Normality Does Not Equal Mental Health, published by „Praeger“, California, USA, 2011, 10.

კომფორმიზმი (*რაიდერი*, 1950; სასი, 1970/1997; ბოლტონი 2008); 5. პიროვნების ინტეგრაცია (*ჰაკერი, 1945*); 6. ევოლუციის ეტაპის გამოხატულება (*მილონი, 1989; ვეიკფილდი, 1992*); 7. ნორმალურობა, განსაზღვრული სხვადასხვა ფაქტორების მიხედვით, რომლებიც სხვადასხვა კომბინაციებში მოიცავს ზემოხსენებულს, ჯანსაღ ფსიქიკურ მდგომარეობასთან ერთად; 9. სხვადასხვა უტოპიური იდეალები; 10. პრაგმატული განსხვავება ნორმალურ მდგომარეობასა და ფსიქიკურ დაავადებას შორის, რომელიც ექიმების მკურნალობით განისაზღვრება; 11. ინდივიდუალური ადამპტაციური ძალა; 12. პიროვნული მნიშვნელობის მთლიანობა და ა.შ. (*მაგ. ჯონსი, 1942; ოფერი და საგშინი, 1966/1974, 1984, 1989; გუკი, 1992; ვუდი და სხვები, 2007; ბოლტონი, 2008*).[763]

თავის მხრივ, *ს. გარტლეტი* შენიშნავს, რომ ყველაზე მარტივი ფორმით, ნორმალურად ითვლება ის, რაც კარგია, ხოლო არანორმალურად, ცუდი, და რომ ნორმალური ქცევა, ხშირად აღიარებულია, როგორც არანორმალურის საპირისირო ქცევა.[764] მსგავს აზრს გამოთქვამს *ზ. ფროიდიც*. მისი აზრით, პათოლოგიას შეუძლია ყურადღება მიგვაქცევინოს ნორმალური მიმართების სიდიდეზე.[765]

თუმცა, ზოგადად, ფსიქოლოგების აზრით, ნორმა მხოლოდ და მხოლოდ ისაა, რაც კაცობრიობის ისტორიის მოცემულ პერიოდში ადამიანთა უმრავლესობისთვისაა დამახასიათებელი.[766]

განმარტებათა სიმრავლეში, ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა „ნორმალურის“ ის კონცეფცია, რომელიც ეფუძნება „უმრავლესობასა“ და „საშუალო სტატისტიკურს“, რაც, თავის მხრივ, „კომფორმიზმსაც“ მოიაზრებს, რადგან მიჩნეულია, რომ სამართალი და მართლმსაჯულება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საზოგადოების უმრავლესობის ინტერესს და ნებას.

გარტლეტის შრომის მიხედვით, „უმრავლესობა, თავისი არსით წარმოადგენს ფსიქოლოგიურ ნორმას, რადგან ამის ქვეშ იგულისხმება ის, რასაც ეწოდება სტატისტიკურად საშუალო, და შესაბამისად, ნორმაა. ის ვინც ფსიქოლოგიური ნორმიდან გადადის, ითვლება ნორმიდან გადახრილი. უმრავლესობა ასეთ ადამიანს სტიგმას აკერებს და, როგორც წესი, ხდება საზოგადოებიდან გარიყული ან ფსიქიატრიული დაწესებულებების პატიმარი. შესაბამისად, უმრავლესობისთვის ის, ვინც ფსიქიკურად ჯანმრთელია, ნორმალურია.“[767]

---

[763] იხ., იქვე, 10.

[764] იხ., იქვე, შესავალი, xi.

[765] იხ. *ფროიდი ზ.*, ფსიქოანალიზი (გერმანულიდან თარგმნა *ვ. კაკაბაძემ*) გამომც. ფირმა „სიახლე“, თბ. 2016, 283.

[766] იხ. *მანია ა.*, რაზე გადის ზღვარი „ნორმალურ“ და „არანორმალურ“ ადამიანს შორის, სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი „ფენომენი“ (დირ. *გ. გობეჩია*; რედ. *მ. თუნგია*), №9, თბ., 2015, 11.

[767] *Bartlett S. J.*, Normality Does Not Equal Mental Health, published by „Praeger“, California, USA, 2011. 5.

საქმე ისაა, რომ „უმრავლესობისა და საშუალო სტატისტიკურზე“ დაფუძნებული ნორმალურის კონცეფცია თავის განვითარებას ჰპოვებს სამართალის ისეთ ცნებებში, როგორიც არის „გონიერი პირი, გონიერი ადამიანი, გონიერი დამკვირვებელი“ (*reasonable person, reasonable man, reasonable observer*), და „ობიექტური პირი“, და წარმოადგენენ სამართლებრივ სტანდარტს. მაგალითად:

კამპლინის საქმიდან *(R v Camplin)* ირკვევა, რომ „ზედსართავი „გონიერი“ იგივეა, რაც „ჩვეულებრივი“, „საშუალო“ ან „ნორმალური“, ხოლო, „გონიერი ადამიანი“ ნიშნავს არა გარკვეული ასაკის ზრდასრულ მამაკაცს, არამედ ნებისმიერი სქესის ჩვეულებრივ ადამიანს, რომელიც არ გამოირჩევა სიფიცხით ან სიმამაცით, არამედ ისეთია, რომელსაც გააჩნია თვითკონტროლის უნარი, რადგან ყველას აქვს უფლება იქონიოს იმის მოლოდინი, რომ თანამოქალაქეები მოიქცევიან საზოგადოებაში ისე, როგორც იგი მოიქცა იმ კონკრეტულ დღეს.[768]

ს. ლოის ნაშრომიდან ირკვევა, რომ გონიერი ადამიანის პოზიტივისტური კონცეფცია იგივეა, რაც ჩვეულებრივი ადამიანისა,[769] რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო არის საუკეთესო ინსტიტუტი გონივრულობის დასადგენად.[770]

იურიდიული ლექსიკონი, გონიერ პირს (*Reasonable person*) განმარტავს, როგორც ჰიპოთეტურ პირს და გამოიყენება, როგორც სამართლებრივი სტანდარტი, განსაკუთრებით იმის განსაზღვრისთვის, მოქმედებდა თუ არა პირი გაუფრთხილებლობით.[771]

„ობიექტური პირის“ ცნებას რაც შეეხება, უნდა აღინიშნოს, რომ მის შესახებ დათქმა მოცემულია მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 11 და 11^1 პუნქტებში და წარმოადგენს სამართლებრივ სტანდარტს პირის ბრალეულობის საკითხის გადასაწყვეტად.

აღნიშნულ საკითხი, ეხმიანება ზუსტად იმ საკითხს, რაც *საღვთო და პოზიტიურის სამართლის თავსებადობის საკითხის* კვლევამ გამოავლინა. კერძოდ, რამდენად გამოდგება სამართალშემოქმედებისა და სამართლებრივ სტანდარტად, „ნორმალურობის“ ის კონცეფცია, რომელიც ეფუძნება უმრავლესობასა და საშუალო სტატისტიკურს? პასუხი დამოკიდებულია მორალზე (ზნეობაზე).

დისერტაციაში არერთგზის აღინიშნა, რომ პოზიტიური სამართლისა და მორალის ჭეშმარიტების დამდგენ კრიტერიუმად საზოგადოების უმრავლესობის აზრი

---

[768] იხ. სისხლის სამართლის საქმე „*R v Camplin*, A.C. 705 (1978),“ გვ. 2, <https://www.bailii.org/uk/cases/UKHL/1978/2.html>, (მოპოვების თარიღი: 18.01.2020).

[769] *Lee C.*, Murder and the Reasonable Man, Passion and Fear in the Criminal Courtroom, New York University Press, USA, 2003, 243.

[770] იხ., იქვე, 244-245.

[771] იხ. ელექტრონულ განმარტებით იურიდიულ ლექსიკონში, მოიძიეთ „Reasonable Person“-ის განმარტება, <http://gil.mylaw.ge/ka/term/56875.html>, (მოპოვების თარიღი: 17.01.202).

ვერ გამოდგება,[772] რადგან „ის მორალი, რომელიც მოწყვეტილია ქრისტეს რჯულის მორალს კატასტროფამდე მიჰყავს კაცობრიობა.“[773]

მართალია, წინამდებარე დისერტაციაში არაერთ ადგილას აღინიშნა, თუ რა შემთხვევაში არ შეიძლება უმრავლესობის ჭეშმარიტების კრიტერიუმად მიჩნევა, თუმცა „ნორმალურის“ და „პათოლოგიის“ კონცეფციების გადმოსახედიდან, საინტერესოა თავად *ს. ბარტელის* დასკვნა უმრავლესობაზე, რადგან თამამად შეიძლება ითქვას, რომ *ბარტელი* გამოხატავს ზოგადად მეცნიერულ პოზიციას. *მეცნიერის* მტკიცებით: „უმრავლესობის ფსიქოლოგია, ფსიქოლოგიურ ნორმალურობასა და ავადმყოფობაზე წარმოადგენს ტრაგიკული ირონიის პარადიგმულ შემთხვევას, რადგან იგი ეფუძნება მათ ცენტრალურ და არაინტელექტუალურ სტანდარტს, რომელშიც ჩადებულია დესტრუქციული ემოციური და კოგნიტური მიდრეკილებები.“[774]

საყურადღებოა, რომ *ზ. ფროიდიც* ანალოგიურ აზრს ავითარებს, კერძოდ: „ბუნებისაგან ყველა ადამიანს აქვს ნაბოძვარი დესტრუქციული ანტისაზოგადოებრივი ტენდენციები და საზოგადოებაში ქცევისას უმეტეს მათგანში ამგვარი მისწრაფებები განსაზღვრულ როლს ასრულებენ.“[775]

გარდა ამისა, *ს. ბარტლეტი* და მისი გუნდის, ბიჰევიორიზმის საკითხების მკვლევარები, მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ „უმრავლესობა მიდის იმ გზით, რასაც ჰქვია თვითგანადგურება, რომელშიც შეუძლებელია რაიმე ოპტიმიზმი არსებობდეს. უმრავლესობის საკუთარი იდეალიზირებული კონცეფცია ფსიქიკურად ჯანმრთელის შესახებ, რომელიც დაფუძნებულია პათოლოგიით გაჯერებულ სტანდარტზე, არ იძლევა განვითარების არანაირ პერსპექტივას, თუკი მოსახლეობისთვის ფსიქიკურად ჯანმრთელის შესახებ სრულიად ახალი სტანდარტი არ გახდება ცხადი და დამაჯერებელი.“[776]

ს. ბარტლეტი აანალიზებს, *ჰანა არენდტის* „ბოროტების ბანალურიბის“ დოქტრინას, რომლითაც მტკიცდება, რომ ადამიანების უმეტესობა, რომლებიც ბოროტებას სჩადიან ზოგადად არიან ფსიქოლოგიურად ნორმალური ადამიანები და არა ფსიქოპათოლოგები.[777] აღნიშნულ დოქტრინას *მეცნიერი* ამტკიცებს ისეთი შრომებით, როგორიც არის: *„უბრალო ადამიანები: პოლიციის სარეზერვო ბატალიონი 101 და საბოლოო ხსნა პოლონეთში“* (ბრაუნინგი, 1992); *„ნაცისტური პიროვნების ძიება:*

---

[772] იხილეთ დისერაციიის პარაგრაფი: 1.2.4 საღვთო და პოზიტიურის სამართლის თავსებადობის საკითხისთვის.

[773] იხ. *ხუბუა გულ.*, ქრისტიანული მორალი და პიროვნების ფორმირება, გამომც. „სამშობლო“, თბ., 1997, 19.

[774] *Bartlett S. J.*, Normality Does Not Equal Mental Health, published by „Praeger“, California, USA, 2011. 5.

[775] *გოძიაშვილი ი.*, კრიმინოლოგია, გამომც. „პოლიგრაფისტი“, თბ., 1998, 48.

[776] *Bartlett S. J.*, Normality Does Not Equal Mental Health, published by „Praeger“, California, USA, 2011. 6.

[777] იხ., იქვე.

ნაცისტების ომის დამნაშავეების ფსიქოლოგიური გამოძიება“ (*ზილმერი* და სხვ., 1995).[778]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უმრავლესობისა და საშუალო სტატისტიკურის ცნებებზე აგებული „გონიერ თუ ობიექტურ პირზე“, ანუ „ნორმალურის“ მეცნიერული კონცეფცია ვერ გამოდგება სამართლებრივ სტანდარტად და შესაბამისად, სასამართლოს ამგვარი ვერდიქტიც ვერ იქნება ობიექტური. ამ დებულების მართებულობას, ყველაზე კარგად ადასტურებს *ო. ჯეი. სიმსონის* სასამართლო საქმეზე გამოტანილი ურთიერთგამომრიცხავი გადაწყვეტილებები.

ცნობილია, რომ სისხლის სამართლის საქმის განმხილველმა ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ *ო. ჯ. სიმსონი* ჯერ არაბრალეულად ცნო ყოფილი ცოლისა და ცოლის მეგობრის მკვლელობაში, ხოლო შემდგომ, სამოქალაქო სასამართლოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ, ცნო ბრალეულად.[779] ზოგადად, სასამართლოების მიერ ნორმატიული აქტების არაერთგვაროვანი ინტერპრეტაცია და ქმედებების განსხვავებული კვალიფიკაცია, არაერთხელ დაფიქსირებულა სასამართლო პრაქტიკაში.[780]

საყურადღებოა ისიც, რომ უმრავლესობასა და საშუალო სტატისტიკურზე დაფუძნებული „ნორმალურის“ კონცეფცია, კიდევ უფრო მეტ აქტუალობას იძენს კანონშემოქმედებით და მართლმსაჯულების სფეროში, რადგან კანონმდებლობა გამოხატავს უმრავლესობის ინტერესებს, ხოლო მართლმსაჯულება აღესრულება ერთიანი პოზიტიური სამართლის სისტემის სულისკვეთების, ნების ფარგლებში.

2.2.3.2 პათოლოგიის შესახებ მეცნიერული კონცეფციები

2.2.3.2.1 პათოლოგია მედიცინაში

პათოლოგია (ბერძ. pathos ავადმყოფობა და logos მოძღვრება), როგორც მედიცინის დარგი, სწავლობს ორგანიზმში მიმდინარე ავადმყოფურ პროცესებს,[781] ხოლო გადატანითი მნიშვნელობით, ნიშნავს ნორმისაგან ავადმყოფურ გადახრას, არანორმალურობას და სიმახინჯეს.[782] ამგვარად, ეტიოლოგიაში, პათოლოგია და არანორმალურობა სინონიმებია.[783]

---

[778] იხ., იქვე, 7.

[779] იხ. *Hayslett J.*, Anatomy of a Trial: Public Loss, Lessons Learned from The People *vs.* O. J. Simpson, by „The Curators of the University of Missouri“, USA, 2008, 204, 229, 236, 257, 261.

[780] იხ. *წულაია დ.,* წამების აკრძალვა საერთაშორისოსამართლებრივი ნორმების მიხედვით, იხ.: „სამართლის ჟურნალი“, № 2, თსუ-ს უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2014, 243-244.

[781] იხ. *გოგიჩაძე გ.*, სამედიცინო ტერმინოლოგიის ქართულ-ინგლისურ-რუსულ-ლათინური განმარტებითი ლექსიკონი (რედ.: *ნოდარ ჭიჭინაძე, ალექსანდრე ქორელი*), გამოც. „მერიდიან“, თბ. 2009, 496.

[782] იხ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული (მთ. რედ. *არნ. ჩიქობავა*, რედ. *მ. ჭაბაშვილი*), თბ., 1986, 362.

[783] იხ. *ხეჩუაშვილი ლ.*, პიროვნება, შესავალი პიროვნების ფსიქოლოგიაში I, თბ. 2013, 28.

აქედან გამომდინარე, კრიმინოლოგიაც, პათოლოგიისა და არანორმალურის შესახებ ცნებებს, როგორც ტოლმნიშვნელოვან ცნებებს იყენებს თავისი კვლევის მიზნებისთვის.[784]

ფრანგი პრაქტიკოსი ექიმ-ფსიქიატრი, *პროსპერ დესპაინი*, რომელმაც ხელი შეუწყო კრიმინოლოგიას ჩამოყალიბებულიყო, როგორც ფსიქოლოგიური, სოციოლოგიური და ანთროპოლოგიური მეცნიერება, აღნიშნავს, რომ „დამნაშავე გადაწყვეტს თავის მოქმედებას მხოლოდ მისი ყველაზე ძლიერი სურვილების შესაბამისად, სურვილები, რომლებიც გარყვნილი ინსტინქტების უნებლიე გამოვლინებებია და რომლითაც იგი იბადება“.[785]

კრიმინოლოგიურ შრომებში ვკითხულოთ, რომ მედიცინა მძიმე დანაშაულს მიიჩნევს ინდივიდის პათოლოგიურ მდგომარეობად[786] და ავადმყოფობად, რომელსაც ბუნებრივი მიზეზები აქვს.[787] ამასთან *ისაკ რეისი* „სიგიჟის სამედიცინო იურისპრუდენციის“ ტრაქტატში და *უილიამ მაიო*, მოითხოვდნენ საავადმყოფო-საპატიმროების შექმნას.[788] სწორედ ასეთი მიდგომების გამო, პოზიტივისტები მხარს უჭერდნენ დამნაშავეთა მკურნალობას და არა დასჯას.[789]

უნდა გავიხსენოთ სამედიცინო კრიმინოლოგიისა და დაბადებითი დამნაშავის ბიოლოგიური თეორიის ფუძემდებელი, იტალიელი ექიმ-ფსიქიატრი, *ჩ. ლომბროზიც.* როგორც ცნობილია, *ჩ. ლომბროზო* ამტკიცებდა, რომ დამნაშავე, რომელიც აშკარად ამჟღავნებს დანაშაულისაკენ მიდრეკილებას, არანორმალურობის ან პათოლოგიის შედეგია,[790] ხოლო დანაშაულის ჩადენა, „ცალკეულ ადამიანთა ბიოლოგიურ არსში ჩადებული პათოლოგიის შედეგი“.[791] *ლომბროზოს* მიაჩნდა, რომ „პათოლოგიური არსებები სასტიკი, პატივმოყვარე, ეშმაკი, იმპულსური, შურიანი და ა.შ. ხასიათის მქონე ხალხია“.[792] პოლიტიკურ დამნაშავეთა გენეზისთან დაკავშირებით, *ლომბროზო* ამბობს, რომ როდესაც „პათოლოგია, ავადმყოფური ლტოლვა ადამიანში იმარჯვებს, იგი წარმოშობს ძალადობრივი ხასიათის დანაშაულებს“.[793]

---

[784] იხ.: 1. *Walklate S.*, Criminology the Basics, Published by Routlege, New Your, USA, 2006, 199; 2. *Morrison W.*, Theoretical Criminology, From Modernity to Post-Modernism, Cavendish punlishing, UK, 1995, 10.

[785] *Rafter H. N.*, The Origins of Criminology a Reader, Routledge-Cavendish publishing, USA, 2009, 83.

[786] იხ.: *Ferri E.*, The Positive School of Criminology, (translated by Ernest Untermann), printed by Forgotten Books, Chicago, USA, 2012, 110.

[787] იხ.: *Lombroso C.*, Crime: Its Causes and remedies (translated by Henry P. Horton, M. A.), London, 1911, vii.

[788] იხ. *Scott P.*, Pioneers in Criminology XI-Henry Maudsley (1835-1918), ჟურნალი „Criminal Law, Criminology & Police Science“ (1955-1956), Vol. 46, 754, იხ.: <https://scholarlycommons.law.northwestern.edu/jclc/>, (მოპოვების თარიღი: 21.01.2021).

[789] იხ. *Concannon D.*, Neurocriminology, Forensic and Legal Applications, Public Policy Implications, CRC Press, London, UK, 2019, 7.

[790] იხ. *Lombroso C.*, Crime: Its Causes and remedies (translated by Henry P. Horton, M. A.), London, 1911, XIV.

[791] *გოძიაშვილი ი.*, დასახ. ნაშრ., 41.

[792] იქვე.

[793] იქვე, 41-42.

მართალია, *ლომბროზოს* თეორია „კონსტიტუციურად არასრულფასოვან“ დაბადებით დამნაშავეზე მეცხრამეტე საუკუნეში შემუშავდა და უგულებელყოფილი იქნა, მაგრამ როგორც ამერიკელი ფსიქოლოგი, *სტანტონ სემენაუ* აღნიშნავს, „ოცდამეერთე საუკუნეში, მეცნიერები უბრუნდებიან მის აზრს, რადგან კვლევის შედეგები მიუთითებს კრიმინალური ქცევის ბიოლოგიურ საფუძვლებზე“.[794]

ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ პოზიტივისტური კრიმინოლოგია ძალადობის სხვადასხვა ფორმების არსებობას ხსნის პიროვნების პათოლოგიური სტრუქტურებით, მათ შორის ისეთი თვისებებით, როგორიც არის დეპრესია, იმპულსურობა, აგრესია, არაკეთილსინდისიერება, პათოლოგიური სიცრუე, სინანულის არარსებობა, პიროვნების აშლილობა და ფსიქოპათოლოგია.[795]

ამგვარად, სამედიცინო კრიმინოლოგიაში საუბარი შეეხება ადამიანში არსებულ ვნებებს, ხოლო ისეთი ცნებები, როგორიც არის „პათოლოგია“, „არანორმალურობა“, „ავადმყოფობა“ და „დანაშაული“ წარმოდგენილია ტოლმნიშვნელოვან, სინონიმურ ცნებებად.

2.2.3.2.2 პათოლოგია ფსიქიატრიასა და ფსიქოლოგიაში

მართალია, ფსიქიატრია და ფსიქოლოგია სხვადასხვა დარგებია, მაგრამ ამ ორი დარგის პოზიციები ერთობლივად იქნება განხილული, რადგან ორივე იკვლევს ადამიანის სულიერ კატეგორიებს, ხოლო დანაშაულს ზოგიერთი ფსიქიატრი და ფსიქოლოგი განიხილავს, როგორც არანორმალურ ქცევას და მას ფსიქიატრიულ და ფსიქოლოგიურ ანალიზს უქვემდებარებენ, მაგალითად:

ინგლისელმა ფსიქიატრმა *ჯოზეფ პრიტჩარდმა* 1835 წელს, კრიმინალური ქცევის ასახსნელად, გამოიყენა ტერმინი „მორალური სიგიჟე“.[796]

ფსიქიატრი *ჰენრი მოდსლი* კი, ამტკიცებდა, რომ „დანაშაული არის განთავისუფლება პათოლოგიური ბრმებისთვის, რომელიც ხელს უშლის მათ გაგიჟებისგან.“[797]

მოდსლის მსგავსად, *ისააკ რეიც* თვლიდა, რომ პათოლოგიური მოთხოვნილებები, ზოგიერთს დანაშაულისკენ უბიძგებს.[798]

რაფაელო გაროფალოც, რომელიც *ლომბროზოს* ერთ-ერთი გამოჩენილი მიმდევარია, იხრება დამნაშავის ფსიქოპათოლოგიურის განსაზღვრებისკენ.[799]

---

[794] *Samenow S.*, Inside the Criminal Mind, published by „Bordway Books“, New York, USA, 2014, 20.
[795] იხ. *Seigel L.J.*, Criminology the Core, forth ed., Brinted by Wadsworth, USA, 2011, 255.
[796] იხ. *Lanier M.*, and *Henry S.*, The Essential Criminology, 2nd ed., published by „Western Press“, USA, 2004, 129.
[797] იქვე.
[798] იხ., იქვე.
[799] იხ. *გოძიაშვილი ი.*, დასახ. ნაშრ., 44.

ამერიკელი ფსიქოლოგი, ფსიქიატრი და კრიმინოლოგი, *ადრიან რეინი*, დანაშაულის ფსიქოლოგიის საკითხების კვლევების შედეგად დაასკვნის, რომ „დანაშაული წარმოადგენს იდეალური ფსიქიკური ჯანმრთელობისგან გადახრას“.[800]

ზოგადად, ტრადიციული ფსიქიატრიული შეხედულებაა, რომ სექსუალურ მოძალადეებს აქვთ ერთგვარი ფსიქოპათოლოგია (*ალისონი* და *ურაიტსმანი*).[801]

ფროიდის აზრით, „სადიზმი პათოლოგიაა, რა დროსაც აგრესიისა და დესტრუქციულობის ინსტინქტები გადაჭარბებულია“.[802]

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არსებობს ორი სახის პათოლოგია - ნორმალური ფუნქციების დისბალანსი, და განსაკუთრებული და მკაფიოდ განსაზღვრული ავადმყოფური პროცესები. პათოლოგიურ ინდივიდებს იგივე ნიშნები აქვთ, რაც ნორმალურებს, მაგრამ ისინი დამატებით ზოგიერთ ანომალურ, ანუ პათოლოგიურ ნიშნებსაც ავლენენ. ამასთან, ნორმალურ და პათოლოგიურ ნიშნებს შეიძლება ბევრი რამ ჰქონდეთ საერთო.[803]

იდეას, იმის შესახებ, რომ ცნობიერების ყველა შეცვლილი მდგომარეობა ნათესაური ბუნებისაა მისი გამომწვევი მიზეზების მიუხედავად, თავისთავად მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ ფსიქიკურ დაავადებასა და ჯანმრთელობას შორის არ არის პრინციპული განსხვავება.[804]

ამიტომაც, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ არსებობს ნორმალური და პათოლოგიური ძალადობა.[805] უფრო მეტიც, მკვლევარებისთვის, რომელიც აახლოვებენ ნორმალური ფსიქიკის შეცვლილ მდგომარეობას პათოლოგიურთან, ახდენდნენ გარკვეული მიმართების დამყარებას გენიალობასა და სიგიჟეს შორის.[806]

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გერმანულ ფსიქოპათოლოგიასა და ფსიქიატრიაში, ფსიქოლოგიურმა მიდგომამ მორალურ-რელიგიური მოძრაობის ხასიათი მიიღო, რომლის სულისჩამდგმელი იყო *იოჰან ქრისტიან ჰაინტრონი* (1773-1843). სულიერი დაავადება მას ცოდვის გამოვლენად მიაჩნდა, რომლის საუკეთესო

---

[800] *Raine A.*, The Psychopathology of Crime. Criminal Behavior as a Clinical Disorder, Academic Press inc., California, USA, 1993, 26.

[801] იხ. *Allison, J.A.* and *Wrightsman, L.S.*, Rape: The Misunderstood Crime, Newbury Park, CA, 1993, იხ.: Encyclopedia of Criminology, (eds. *Richad A. Wright, J. Mitchell*), published by Taylor & Francis Books, Inc., New York, USA, 2005, 1387.

[802] *Bartlett S.*J., The Pathology of Man, a Study of Human Evil, Charles C. Thomas Publisher, Illionois, USA, 2005, 76.

[803] იხ. *ხეჩუაშვილი ლ.*, პიროვნება, შესავალი პიროვნების ფსიქოლოგიაში I, თბ. 2013, 351.

[804] იხ. *იმედაძე ი.*, დასახ. ნაშრ., 365.

[805] იხ. Encyclopedia of Criminology, (eds. *Richad A. Wright*, *J. Mitchell*), published by Taylor & Francis Books, Inc., New York, USA, 2005, 1735.

[806] იხ. *იმედაძე ი.*, დასახ. ნაშრ., 366.

თერაპიად სუფთა სინდისს მიიჩნევდა.[807] ამასთან, ცნობილი ფაქტი, რომ *ზ. ფროიდის* და *კ. იუნგის* თეორიები ეფუძნება რელიგიურ ცოდნასაც.[808]

ფსიქოლოგიის ისტორიიდან ირკვევა, რომ *ჰაინტორმა* გამოყო ფსიქიკური მოვლენების სამი დონე: „1. პირველს შეადგენს ინსტიქტური ძალები და გრძნობები; 2. ეგო - ინტელექტის გამოყენებით მოქმედებს, რომელიც მხოლოდ საკუთარი თავით არის დაკავებული, და 3. „ზე ჩვენ", რომელიც უპირისპირდება საკუთარ თავზე მიმართულ ეგოს მისწრაფებებს. იგი გამოხატავს სინდისს ადამიანში და „ზე ჩვენ" ყველასთან ერთნაირად არ არის სათანადოდ განვითარებული. სინდისის ხმა ზოგგან ძლიერია, ზოგგან სუსტი. ის ეგოიზმისა და გონიერების მუდმივი კონფლიქტის გამოძახილია. ფსიქიკური ავადმყოფობის წყარო ეგოს სინდისთან კონფლიქტია".[809]

ჰაინროტის მოძღვრება იმითაც არის საყურადღებო, რომ მის შეხედულებებს თანამედროვე მეცნიერებაში დიდი გავლენა აქვს. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ მის მიერ შედგენილი ფსიქიკის დონეების დახასიათება დიდად წააგავს პიროვნების სტრუქტურის მოდელს (იდი, ეგო, სუპერ ეგო), რომელიც ერთი საუკუნის შემდეგ ჩამოაყალიბა *ფროიდმა.*[810] მაგალითად, *ზ. ფროიდი* ფსქიოანალიზში, „ფსიქიკური პიროვნების დანაწილების" საკითხის განხილვასას, შენიშნავს, რომ „ზე-მე" არის სინდისი,[811] მორალური აკრძალვებისა და ადამიანის მიერ დანაშაულის განცდა.[812]

ფსიქოლოგიის ისტორიიდან ასევე ვგებულობთ, რომ „*ჰაინროტის* იდეების ფსიქოანალიზთან კავშირსაც თავი რომ დავანებოთ, დღეს უკვე ეჭვს აღარ იწვევს, რომ სწორედ მან შემოიტანა მედიცინაში ის პრინციპები, რომლებიც ფსიქოსომატიკის არსებით მხარეს გამოხატავენ. *ჰაინროტის* ეკუთვნის ტერმინი *ფსიქოსომატიკა* და თვალსაზრისი ფსიქიკური ფაქტორების მნიშვნელობის შესახებ სხეულებრივი დარღვევების პათოგენეზში. მისი დამსახურებით, ფსიქოლოგიური აზროვნების ლოგიკამ მკვლევარები ფსიქოსომატიკამდე მიიყვანა, რომ ფსიქიკური ფაქტორები განაპირობებენ არა მხოლოდ სულიერ, არამედ სხეულებრივ პათოლოგიებსაც."[813]

ამგვარად, მეცნიერება მიიჩნევს, რომ ადამიანში გამოწვეული ნორმალური ფუნქციების დისბალანსი, ანუ პათოლოგია შეიძლება ნებისმიერ ადამიანში დაფიქსირდეს. აღნიშნული ფორმულა დასტურდება დისერტაციაში, ჩვენს მიერ ჩარტარებული ანალიზითაც ადამიანის ბიპოლარულ ბუნებასთან დაკავშირებით,[814]

---

[807] იხ., იქვე.
[808] იხ. *Argyle M.*, Psychology and Religion: An Introduction, „Routledge" Publishing, New York, USA, 2000, 77.
[809] *იმედაძე ი.*, დასახ. ნაშრ., 366.
[810] იხ., იქვე.
[811] იხ. *ფროიდი ზ.*, დასახ. ნაშრ., 284, 291.
[812] იხ. *გოგიჩაიშვილი თ.*, ზოგადი ფსიქოლოგიის კურსი (რედ. *გ. მჭედლიშვილი*), გამომც. „უნივერსალი", თბ. 2006, 161.
[813] *იმედაძე ი.*, დასახ. ნაშრ., 367.
[814] იხილეთ წინამდებარე დისერტაციის პარაგრაფი: 2.2.1 ადამიანის ორპოლარული ბუნების ზოგადი დახასიათება.

სადაც განხილულია, რომ ადამიანი მიდრეკილია სიწმინდისაკენ და დანაშაულისკენ. აღნიშნულ დებულებაში, საინტერესოა, - ტოვებს თუ არა უარყოფით კვალს დანაშაულის სახით გამოვლენილი პათოლოგია? თუ კი, მაშინ რაში გამოიხატება იგი, როგორია მისი გავლენა ადამიანის ფსიქო-სომატიკაზე, და როგორ შეიძლება მისი პროფილაქტიკა და თავიდან აცილება? აღნიშნული საკითხების ცოდნა ძალზედ მნიშვნელოვანია სულ მცირე დამნაშავის პიროვნებისა და დამნაშავის რესოციალიზაციის მეცნიერული გააზრებისთვის, რომლიც დისერტაციის ბოლო თავში იქნება გაანალიზებული.[815]

2.2.3.2.3 პათოლოგია სოციოლოგიაში

ნიშანდობლივია, რომ სოციოლოგ-კრიმინოლოგმა, *უილიამ თომასმა*, დახვეწა *ლომბროზოს* შრომა და მოახდინა ქალთა დანაშაულის რე-კონცეპტუალიზაცია, როგორც პათოლოგიისა, გამოწვეული სოციალური სიტუაციებით, და არა, როგორც ბიოლოგიურად დეტერმინირებული ფაქტი.[816]

ცნობილი ფრანგი სოციოლოგი, *ე. დიურკჰეიმი*, რომელიც კრიმინოლოგიაში ითვლება „ანომიის“ (უნარმატიულობის) თეორიის ფუძემდებლად, სოციოლოგიური მოვლენების ასახსნელად, იყენებს ბიოლოგიაში არსებულ კანონზომიერებებს, და ნორმალურისა და პათოლოგიურის კრიტერიუმით, აანალიზებს დანაშაულს.[817]

თუკი, *დიურკჰეიმამდე* მსჯელობა ეხებოდა ინდივიდთა დაავადებას, ინდივიდუალურ ანომიას, ანუ კანონისადმი დაუმორჩილებლობას, *დიურკჰეიმმა*, ეს ყველაფერი სოციალურ სფეროზე გადაიტანა. მისი ფორმულის მიხედვით, ანომია ეხება ადამიანის ქცევას და გამოხატავს ისეთ ვითარებას, როდესაც ადამიანი საზოგადოებაში მიღებულ ნორმებს არღვევს. თუ საზოგადოებაში დომინანტობს კანონის დარღვევები, მას ანომიურ, ანუ პათოლოგიურ საზოგადოებას უწოდებენ.[818] *დიურკჰეიმი* აღნიშნავს, რომ ნორმალურისა და პათოლოგიურის კრიტერიუმებით, უნდა გაანალიზდეს არა მხოლოდ ინდივიდუალური ორგანიზმები, არამედ საზოგადოებებიც, და იქვე დასძენს, რომ სოციალური პათოლოგია არ ნიშნავს ცალკეულ ინდივიდთა დაავადებას, იგი

---

[815] მოცემული საკითხზე ყურადღებას იპყრობს *ალექსანდრე გიორგიძის* სადისერტაციო ნაშრომი „შეზღუდული შერაცხადობა“ (სისხლისსამართლებრივ-კრიმინოლოგიური და ფსიქიატრიული ასპექტები), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ. 2008.

[816] იხ. Encyclopedia of Criminology, (eds. *Richad A. Wright*, *J. Mitchell*), published by Taylor & Francis Books, Inc., New York, USA, 2005, 560.

[817] იხ.: 1. *Durkheim E.*, Essays on Sociology and Philosophy (ed. by *Kurt H. Wolff*, *Harper Torchbooks*), New York, USA, 1964, 143; 2. *კოდუა ე.*, სოციოლოგია, ნაკვეთი 2 (რედ. *ნ. ბერძენიშვილი*), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1998, 210.

[818] იხ., იქვე.

საზოგადოების, როგორც ინდივიდთაგან დამოუკიდებელი მთელის ნორმათაგან გადახრაა, რასაც სოციალურ ანომიას უწოდებს.[819]

ნაშრომში, „სოციოლოგიური მეთოდების წესები“, *დიურკჰეიმი* წერს, რომ „დანაშაული არის ავადმყოფობა, ხოლო დასჯა მკურნალობა“.[820] მისი აზრით, „ფაქტი, რომლის პათოლოგიური ხასიათი უდავოა, არის დანაშაული, რასაც ყველა კრიმინოლოგი იზიარებს“.[821]

ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ ტერმინ „ანომიას“ (უნორმატიულობა), ზოგჯერ უწოდებენ სოციალურ პათოლოგიას, ან სოციალურ დეზორგანიზაციას.[822]

მაგალითად, სოციალურ პათოლოგიაზე საუბრობს *რობერტ ლ. ფარისი*. მან გააფართოვა სოციალური დეზორგანიზაციის კონცეფცია, რათა განემარტა „სოციალური პათოლოგიები“ და ზოგადად, სოციალური პრობლემები, მათ შორის, დანაშაული, თვითმკვლელობა, ფსიქიური დაავადება, ბრბოს ძალადობა და თვითმკვლელობა.[823]

დაბოლოს, სოციალური პათოლოგია ერთ-ერთი აქტუალური საკითხია კრიმინოლოგიაში, რომელსაც არაერთი კრიმინოლოგი იკვლევს. მაგალითად, სოციალური პათოლოგიის ინტერაქციონისტებს მიეკუთვნებიან: „1934 *გეორგ ჰერბერ მიდი* (გონება, თვითობა და საზოგადოება), 1938 *ფრენკ ტანენბაუმი* (დანაშაული და საზოგადოება), 1951 *ედვინ ლემერტი* (სოციალური პათოლოგია), 1961 *ერვინ გიფმანი* (თავშესაფარი), 1963 *ერვინგ გოფმანი* (სტიგმა), 1965 *ლესლი უინკისი* (დევიაცია, სოციალური პოლიტიკა, ქმედება და კვლევა) და 1963 *ჰოვარდ ბეკერი* (აუტსაიდერები: დევიანტთა სოციალოგიური სწავლება).“[824]

ამრიგად, პათოლოგიის შესახებ ბიოლოგიურმა კონცეფციამ თავისებური განვითარება ჰპოვა სოციოლოგიაში. ირკვევა, რომ განსხვავების მიუხედავად, სოციოლოგიაშიც, უნორმატიულობა (ანომია), დანაშაული, დანაშაულობა, პათოლოგია და ავადმყოფობა, სინონიმური ცნებებია.

2.2.3.2.4 პათოლოგია პოზიტიურ სამართალსა და კრიმინოლოგიაში

სამართალში, სიტყვა დამნაშავე, როგორც იურიდიული ტერმინი გამოიყენება მხოლოდ ფორმალურად, იმ ფაქტის გამოსახატად, რომ ადამიანმა დანაშაული

---

[819] იხ., იქვე.

[820] *Durkheim E.*, The Rules of Sociological Method, (translated by *W.D. Halls*), the Free Press, London, 1982, 102.

[821] იქვე, 97.

[822] იხ. *Carrabine E.*, *Cox P.*, *Lee M.*, *Plummer K.*, and *South N.*, Criminology a Sociological Introduction, (2nd Ed.), printed by Routledge, USA, 2009, 68.

[823] იხ. Encyclopedia of Criminology, (eds. *Richad A. Wright*, *J. Mitchell*), published by Taylor & Francis Books, Inc., New York, USA, 2005, 1546.

[824] *Lanier M.*, and *Henry S.*, The Essential Criminology, 2nd ed., published by „Western Press“, USA, 2004, 12.

ჩაიდინა.[825] უფრო ზუსტად, იმ ნორმის დარღვევა, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსით არის გათვალისწინებული (სსკ-ს მე-7 მუხლი).

ნორმატიული ასპექტიდან თუ ამოვალთ, დამნაშავე და პათოლოგი იდენტური ცნებებია, რადგან ნორმიდან გადახრა არა მხოლოდ დანაშაულის, დანაშაულობისა და ცოდვის საერთო ნიშანია, არამედ, პათოლოგიის ცნების ცენტრალური ნიშანიც არის.[826]

სამართლებრივისაგან განსხვავებით, კრიმინოლოგიაში „დამნაშავის" ცნება გულისხმობს იმას, რომ ადამიანში არსებობს განსაკუთრებული კრიმინალური მახასიათებლები, რაც, ასევე მოიაზრებს იდეას დაბადებით დამნაშავე ადამიანის შესახებ.[827]

უკვე აღინიშნა, რომ ადამიანის პათოლოგიურ ბუნებაში მოიაზრება ცოდვა და ვნება, რომელიც მიდრეკს ადამიანს დანაშაულისკენ. ანუ, ადამიანში ბუნებრივად არსებობს კრიმინალური მახასიათებლები. ხოლო, თავად ის ფაქტი, რომ ადამიანი ცოდვილად იბადება, სხვა არაფერია თუ არა დაბადებით „დამნაშავე ადამიანის" კონცეპტი. აღნიშნულ შემთხვევაშიც, „დამნაშავე", „ცოდვილი" და „პათოლოგი", იდენტურ ცნებებად წარმოგვიდგებიან.

როგორც ირკვევა, მართლმადიდებლური მოძღვრებით, ადამიანის პათოლოგიური კონცეფცია გარკვეულწილად თანხვედრაშია დამნაშავის იურიდიულ და კრიმინოლოგიურ გაგებასთან, რადგან სახეზე გვაქვს: 1. ნორმის დარღვევა (ფორმალური მხარე); 2. ადამიანში არსებული კრიმინალური მახასიათებლები (თვისებრივი მხარე), და 3. დაბადებით დამნაშავის იდეა (კონცეპტუალური მხარე).

ამასთან, დამნაშავის პათოლოგიური ბუნება კარგად ვლინდება, სისხლის სამართლის სასჯელის მიზანში და ზოგადად, სასჯელისაღსრულების პოლიტიკაშიც. მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართალში, რესოციალიზაცია სასჯელის ერთ-ერთი მიზანია (სსკ-ის 39 მუხლი), რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ისეთი ცნებებთან, როგორიც არის გამოსწორება, მკურნალობა და რეაბილიტაცია.[828]

ამდენად, რესოციალიზაციის ცნება დამნაშავის პათოლოგიური ასპექტსაც მოიცავს და მოითხოვს დამნაშაულით დაავადებილი სულის განკურნებას მონანიების გზით.[829]

---

[825] *ამინოვი ი.*, იურიდიული ფსიქოლოგია, მეორე გამოცემა (რედ *ნ. ერიაშვილი*), გამომც. „იუნიტი-დანა", თბ., 2008, 110.

[826] იხილეთ წინამდებარე დესერტაციის ქვე-პარაგრაფები: 2.2.2.2 პათოლოგიურის შესახებ მართლმადიდებლური მოძღვრება, და 2.2.3.2 პათოლოგიის შესახებ მეცნიერული კონცეფცია.

[827] იხ. *ამინოვი ი.*, დასახ. ნაშრ., 110.

[828] იხ. *შალიკაშვილი მ.*, *მიქანაძე გ.*, *ხასია მ.*, სასჯელაღსრულების სამართალი, გამომც. „იურისტების სამყარო", თბ., 2014, 77.

[829] დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ დიესრტაცია: 4.3 მონანიება, როგორც დამნაშავის გამოსწორების უმთავრესი ფაქტორი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამოდინარე, სისხლისა და სასჯელაღსრულების სამართალიც წარმოაჩენს დამნაშავისა და პათოლოგის საერთო ბუნებასაც.

2.2.4 შეჯამება

ადამიანის დუალისტური ბუნების ანალიზი ცხადყოფს, რომ თავად ადამიანშია მოცემული ის საწყისი უარყოფითი ძალები, რომლებიც მიმართავს მას ჩაიდინოს დანაშაული. მართლმადიდებლური სწავლებით ასეთი მდგომარეობა უკავშირდება პირველ ცოდვას, რომელმაც ადამიანში გამოიწვია ცოდვისა და ვნების შეღწევა სულსა და გენეტიკაში. ეს „არაბუნებრივი“ ელემენტები ადამიანს მუდმივად ამყოფებს სიკეთისა და ბოროტების გზაგასაყარზე, არჩევანის წინაშე. სიკეთის ქმნით, ადამიანი ემსგავსება ღმერთს, ხოლო ცოდვების ჩადენითა და ვნებების დაკმაყოფილებით, ადამიანი ემსგავსება ბოროტს. დებულება, რომ ადამიანი ყოველთვის იმყოფება სიკეთისა და ბოროტების არჩევანის წინაშე, უმეტესწილად გაზიარებულია დიდი მოაზროვნეების და მეცნიერების მიერ.

„ნორმალურისა“ და „პათოლოგიურის“ კონცეფციების ანალიზმა, კიდევ უფრო მკაფიოდ წარმოაჩინა დამნაშავის დუალისტური ბუნება. აღნიშნულ კონცეფციებს შორის, მრავალი საერთო შეხების წერტილების მიუხედავად, მართლმადიდებლურ სწავლებასა და მეცნიერულ მიდგომებს შორის განსხვავება მაინც არსებითია. მართლმადიდებლობისთვის ნორმალური ადამიანი ნიშნავს განღმრთობილ ადამიანს. ადამიანს, რომელსაც მოპოვებული აქვს სულიწმიდის მადლი. მეცნიერული მიდგომისთვის, ნორმალურის განმსაზღვრელი კი არის უმრავლესობა და მნიშვნელობა არა აქვს ვნებისა და ცოდვის არსებობას. თუმცა ირკვევა, რომ თავად მეცნიერება და სასამართლო პრაქტიკა ეჭვის ქვეშ აყენებს უმრავლესობაზე დაფუძნებულ „ნორმალურობის“ კონცეფციის სანდოობას. იგივე სიტუაციას ვაწყდებით პათოლოგიის კონცეფციის ანალიზის დროსაც.

მართლმადიდებლობაში, პათოლოგია ნორმალურის საპირისპირო კონცეფციაა, რომელიც სათავეს იღებს პირველი ცოდვიდან. პათოლოგია, გულისხმობს ნორმის დარღვევით გამოწვეულ ადამიანის სულიერ, მშვინვიერ და ფიზიკურ დაავადებას ცოდვითა და ვნებით, რაც ადამიანს დანაშაულისკენ მიდრეკს.

ფორმალურად, მეცნიერებისთვის პათოლოგი, ავადმყოფი და დამნაშავე სინონიმური ცნებებია. პათოლოგია ნორმის გადახრას და ადამიანის ბუნებაში არსებულ ფსიქო-სომატურ დარღვევას, დაავადებების არსებობას მოიაზრებს, რომელიც ასევე მიდრეკს ადამიანს დევიანტური ქცევისკენ.

ამ თვალსაზრისით, მართლმადიდებლობა და მეცნიერება აიგივებს დამნაშავეს და პათოლოგს. განსხვავება იმაშია, რომ მართლმადიდებლობა პათოლოგიურ მდგომარეობას უკავშირებს ადამიანის ცოდვილ ბუნებას, როდესაც ადამიანი იმყოფება

ვნებების ტყვეობაში და რომელიც მოკლებულია სულიწმინდის მადლს. სხვაგვარად თუ ვიტყვით, პათოლოგი (დამნაშავე) ნორმალურის (განღმრთობილის) ანტიპოდია.

ამ განსხვავების მიუხედავად, მეცნიერება და სასამართლო პრაქტიკაც აღიარებს იმას, რასაც მართლმადიდებლური მოძღვრება ქადაგებს. კერძოდ, რომ ცოდვილის (პათოლოგის) მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში შეცდომა კანონზომიერი მოვლენაა. აღნიშნული აქსიომა გამოხატულია ლათინურ გამოთქმაშიც, *errare humanum est*, რაც ნიშნავს „შეცდომა ადამიანის თანაარსია". სწორედ, ეს ნიუანსი, კიდევ ერთხელ დაგვანახებს მეცნიერებაში არსებულ იმ დილემას, რაც არაერთხელ იქნა აღნიშნული დისერტაციაში, რომ ცოდვილი, ვნებების ტყვეობაში მყოფი ადამიანი, ან საზოგადოების ცოდვილი უმრავლესობის აზრი ვერ გამოდგება ობიექტურობისა და სამართლიანობის კრიტერიუმად. საღვთო და პოზიტიური სამართლის თავსებადობის საკითხზე კვლევამ კარგად დაგვანახა, რომ ვერც კონვენციური და ვერც ინდივიდუალური მორალი ვერ გამოდგება ჭეშმარიტების საზომად, თუკი იგი მოკლებულია ქრისტეს რჯულის მორალს.

ნორმალურისა და პათოლოგიურის კონცეფციების ანალიზიც, თავისთავად აჩენს ლეგიტიმურ ეჭვს „გონიერი დამკვირვებლის", „საშუალო სტატისტიკურისა" თუ „უმრავლესობის" კრიტერიუმზე აგებულ, და მეცნიერებასა და პრაქტიკაში გამოყენებული, „ნორმალური ადამიანის" კონცეფციის ვალიდურობაზე და დღის წესრიგში აყენებს მისი მოდიფიცირების აუცილებლობას. ასეთ ვითარებაში, ბუნებრივად წინა პლანზე იწევს „ნორმალურის" შესახებ იმ კონცეფციის გამოყენება (რეცეფცია), რომელსაც გვთავაზობს მართლმადიდებლური ქრისტიანული დოქტრინა.

აღნიშნული ფორმულა სულაც არ არის უტოპიური, რადგან ადამიანს ობიექტურად აქვს უნარი და შესაძლებლობა გახდეს ნორმალური, თუკი მოიპოვებს სულიწმინდის მადლს. სულიწმიდის მადლით, ვნებებისგან გაწმენდილი ადამიანის გონება, იდეალურ ხარისხში უზრუნველყოფს ობიექტურობის დაცვას ნებისმიერ საკითხის გადაწყვეტის, მათ შორის, სამართალშემოქმედებისა და მისი აღასრულებას დროს. გარდა იმისა, რომ აღნიშნული იდეა რეალიზებადია, იგი ასევე არ წარმოადგენს დიდ სიახლეს მეცნიერებაში. მაგალითად, ჩვენს პათოსს იზიარებს *მისონიც*, რომელიც ამტკიცებს, რომ „გონიერი ადამიანი უნდა იყოს იდეალი".[830] სამოსამართლო ეთიკაც ფაქტობრივად ამ აზრს ავითარებს, როდესაც იურისპრუდენციას მიზნად უსახავს იდეალისკენ და მორალური სრულყოფისკენ სწრაფვას. „კანონმდებლობის ეფექტურობა იქნება შეუდარებლად მაღალი დონის, თუ მისი მითითებები დაემყარება ზოგადსაკაცობრიო მორალურ პრინციპებს", - ვკითხულობთ სამოსამართლო ეთიკაში.[831]

---

[830] *Lee C.*, Murder and the Reasonable Man, Passion and Fear in the Criminal Courtroom, New York University Press, USA, 2003, 242.

[831] იხ. სამოსამართლო ეთიკა (რედ. *ნ. დ. ერიაშვილი*), თბ., 2016, 59.

დისერტაციის წინა თავებშიც აღინიშნა, რომ: ათი მცნება საფუძვლად დაედო საერთოდ ყოველგვარ მორალს, რომ იქცა ადამიანური ქცევის ნორმებად და შეიძინა ზოგადსაკაცობრიო და სამართლებრივი მნიშვნელობა;[832] ქრისტიანულ რელიგიაში მტკიცებულებების სისტემების აგება დამყარებულია მთელი კაცობრიობის მასალაზე, რომელშიც ჩადებულია ზნეობრიობის კანონის (კანონზომიერების) წინარე ნიმუში, რომელსაც თანამედროვენი უწოდებენ საერთო საკაცობრიო ფასეულობებს (*გ. თოდრია*): დაბოლოს, იდეალი შეიძლება იყოს მხოლოდ ის, ვინც მოიპოვა სულიწმიდის მადლი, ვინც არის ნორმალური, ანუ განღმრთობილი.

ამდენად, ზოგადსაკაციბრიო მორალიც ვერ ჩაითვლება ობიექტურობის საზომად, თუკი იგი მოკლებულია ქრისტეს რჯულის მორალს.

2.3 დამნაშავის ვიქტიმოლოგიური ასპექტები

იმ ფონზე როდესაც, საუკუნეზე მეტია არსებობს მოსაზრება, რომ დამნაშავეები სოციოლოგიური, ფსიქოლოგიური ან ბიოლოგიური ფაქტორების მსხვერპლნი არიან,[833] როგორც ქართული, ასევე ინგლისურენოვანი კრიმინოლოგიის სახელმძღვანელოები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ დამნაშავის ვიქტიმოლოგიური ასპექტების კვლევას.[834]

ქართულ კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში აღნიშნული საკითხი გაშუქებულია მხოლოდ *მორის შალიკაშვილს* ვიქტიმოლოგიის სახელმძღვანელოში. *მ. შალიკაშვილი* „დამნაშავის, როგორც დაზარალებულის“ საკითხს აანალიზებს მხოლოდ სამი ასპექტით და საკმაოდ მოკრძალებულად.[835] ამასთან, *მ. შალიკაშვილი* პრობლემას საერთოდ არ იკვლევს ქრისტიანული თეოლოგიური კუთხით, მაშინ როდესაც, მარტო პირველი ცოდვის დოქტრინაც კი, დამნაშავის ვიქტიმოლოგიური საკითხების საკმაოდ ვრცლად დამუშავების შესაძლებლობას იძლევა.[836]

ამდენად, კვლევის ამოცანა, დამნაშავის ვიქტიმოლოგიური კუთხით სოციოლოგიური, ფსიქოლოგიური ან ბიოლოგიური ფაქტორების ანალიზი ვერ იქნება, არამედ ბიბლიური სწავლებიდან გამომდინარე, დამნაშავის, როგორც მსხვერპლის

---

[832] იხილეთ წინამდებარე დისერტაციის ქვე-პარაგრაფი: 1.2.4.2 ტრანსცენდენტული ასპექტები სამართლის დეფინიციაში.

[833] იხ. *Samenow S.*, Inside the Criminal Mind, published by „Bordway Books“, New York, USA, 2014, 20.

[834] მაგალითად: 1. 21st Century Criminology, a Reference Handbook (edit. by *J. Mitchel Miller*), Sage Publication, Inc., USA, 2009; 2. Applied Criminology (edited by *Brian Staut*, *Joe Yates* and *Brian Williams*), Sage publications, London, 2008; 3. Criminology the Basics (*Sandra Walklate*), Routlage Publishing, London, 2005; 4. Criminology, Explaining Crime and its Contents, (by *Brown, Stephen E.*) seventh edition, Anderson Publishing, USA, North Carolina, 2010, 136, და სხვა.

[835] 1. დამნაშავის ვიქტიმიზაცია საზოგადოების მიერ; 2. ციხის სუბკულტურის მსხვერპლი; 3. სახელმწიფო საგამოძიებო ორგანოების მსხვერპლი, იხ. *მ. შალიკაშვილი*, ვიქტიმოლოგია, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2011, 158-167.

[836] ზოგადად, უნდა აღინიშნოს, რომ ქრისტიანული თეოლოგიური კუთხით ვიქტიმოლოგიის საგანში შემავალი საკითხები შეიძლება გამოკვლეულ იქნას საკმაოდ ვრცლად.

ნიშნების იდენტიფიცირება და მათი ზოგადი დახასიათება, რათა უფრო სრულყოფილად აიხსნას დამნაშავის პიროვნების კომპლექსური ბუნება.

2.3.1 დამნაშავე, როგორც დაზარალებული

იმის გათვალისწინებით, რომ პირველი ცოდვა ზოგადად შეიცავს ცოდვის ყოველგვარი გამოვლინების ნიშან-თვისებას, საკმარისია საკითხი გაანალიზდეს კონცეპტუალურად, პირველი ცოდვის დოქტრინის მიხედვით.

დოგმატურ ღვთისმეტყველებაში საუბარია ცოდვით დაცემის ზნეობრივ და ფიზიკურ შედეგებზე. აღნიშნულია, რომ პირველმა ცოდვამ დააზიანა ადამიანის ბუნება, რადგან მასში მყისიერად შევიდა ცოდვის საწყისი, „ცოდვის კანონი“ და სწრაფად დაიწყო მასში ფესვების გადგმა და დამკვიდრება. ამის გამო, ადამიანი იწოდება „***ცოდვის მონად***“, რადგან დაიბინდა მისი გონება და გრძნობა. შედეგად ადამიანის ზნეობრივმა თავისუფლებამ ხშირად იწყო მიდრეკა ბოროტებისკენ და არა სიკეთისკენ.[837]

ადამიანის ბუნებაში შემოსული ცოდვის საწყისის შესახებ ალბათ ყველაზე კარგად მაინც პავლე მოციქული საუბრობს:

> „ხოლო თუ იმას ვაკეთებ, რაც არა მსურს, მე კი არ ვაკეთებ მას, არამედ ცოდვა, რომელიც მკვიდრობს ჩემში; და ვპოულობ ამ რჯულს კეთილის ქმნა მსურს, მაგრამ ბოროტი კი მიდევს გვერდით; მაგრამ ჩემს ასოებში სხვა რჯულსა ვხედავ, რომელიც ეურჩება ჩემი გონების რჯულს, და ცოდვის იმ რჯულის ტყვედ მაქცევს, რომელიც არის ჩემს ასოებში.“ (რომ 7, 20, 21, 23).

პირველი ცოდვით გამოწვეული ადამიანის დაზიანებში, იგულისხმება სნეულებანი, ჯაფა და სიკვდილი (რომ 5, 12), რომელიც მივიღეთ, როგორც ზნეობრივი დაცემის, ღმერთისგან გაუცხოებისა და მისგან ადამიანთა განდგომის ბუნებრივი შედეგი. ადამიანები დაემორჩილნენ სამყაროს ხრწნად საწყისებს, სადაც ლპობა და სიკვდილი მოქმედებს, რადგან განეშორნენ ცხოვრებისა და ყოველი ძალის მუდმივი განახლების წყაროს - ღმერთს.[838]

წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის (ქიქოძე) განმარტებით: „ადამიანი, რომელიც ცოდვას სჩადის, არა მხოლოდ თავის თავს იგდებს სნეულებასა და უბედურებაში, არამედ სენსა და განსაცდელს წინასწარ უმზადებს თავის შთამომავლობასაც, რადგან მისი ხორციელი, თუ სულიერი თვისებები შვილებსა და საერთოდ მომავალ თაობებზე გადადის“.[839]

---

[837] იხ. *პროტოპრისვეტერი მიხეილ პომაზანსკი*, (2012), დასახ. ნაშრ., 102.

[838] იხ., იქვე, 103.

[839] ღვთიური სიბრძნის მართლმადიდებლური ანბანი (შემდგ. *გ. კალანდაძე*), წიგნი 6, (ქ-ჯ), გამომც. „პალიტრა L“, თბ., 2020, 94.

წმ. იოანე ოქროპირი განმარტავს, რომ „ვინმეს თუ დაარტყი ან ტანსაცმელი შემოახიე, უფრო მეტად საკუთარი თავი დააზიანე. მას ზადი დააჩნდება სხეულზე ან სამოსზე, შენ კი სულზე. შენ სული დაიზიანე, გაიგმირე“.[840]

პირველი ცოდვის დოქტრინიდან ირკვევა, რომ ადამიანი საკუთარი ცოდვის მსხვერპლია, იმის გამო, რომ:

1. ღმერთთან დაშორების გამო, მოაკლდა საღვთო მადლს, რის შედეგადაც;

2. შეილახა ადამიანში არსებული ღმერთის ხატება და მსგავსება;

3. ადამიანი გახდა ცოდვილი, მოექცა ცოდვის ზემოქმედების ქვეშ და ბუნებით მიიდრიკა ცოდვისკენ;

4. ადამიანი სხეულით გახდა მომაკვდავი არსება;

5. ადამიანის ცოდვილობა და სხეულით მოკვდინება გახდა მემკვიდრეობითი.

პირველი ცოდვის შედეგებზე დაყრდნობით, დამნაშავის, როგორც მსხვერპლის ნიშნების დახასიათება შეიძლება კიდევ უფრო განივრცოს. მაგალითად, იმის გამო, რომ ადამიანი დაშორდა ღმერთს, იგი მოაკლდა სიყვარულს, თავისუფლებას და ყოველგვარ სხვა სიკეთეს, რადგან თავად ღმერთია სიყვარული, თავისუფლება და ყოველგვარი სიკეთის წყარო.[841]

დოგმატურ ღვთისმეტყველებაში აღნიშნულია, რომ ცოდვის საბოლოო, უკანასკნელი და ყველაზე მთავარი შედეგი იყო არა სნეულებანი და ფიზიკური სიკვდილი, არამედ სამოთხიდან განდევნა, რაც ღვთის სასუფევლის დაკარგვას ნიშნავდა.[842]

თუმცა, ვიქტიმირების თვალსაზრისით, ცოდვის ყველაზე დიდი საფრთხე ისაა, რომ მოუნანიებელი ცოდვა მოაკვდინებს ადამიანში არსებული უკვდავ თვისების მქონე სულს.[843]

იმ ფონზე, როდესაც დანაშაულის მსხვერპლის შემსწავლელი მეცნიერება, ვიქტიმოლოგია,[844] დამნაშავეს დაზარალებულად მიიჩნევს იმის გამო, რომ დანაშაულის ჩადენა დეტერმინირებულია ბიოლოგიური, ფსიქიკური და სოციალური ფაქტორებით,[845] ქრისტიანული თეოლოგიური მოძღვრება რეალურად გვთავაზობს არა

---

[840] *წმინდა იოანე ოქროპირი*, ჰომილიები, III ტომი (რედ. *თ. გოგოჩაშვილი*), გამომცემლობა „ალილო“, თბ., 2015, 167.

[841] იხ. *იოანე დამასკელი*, დასახ, ნაშრ., 274.

[842] იხ. *პროტოპრისვეტერი მიხეილ პომაზანსკი*, (2012), დასახ. ნაშრ., 104.

[843] იხ. *წმინდა იოანე ოქროპირი*, ჰომილიები, I ტომი, შესაქმის განმარტება, ნაწილი პირველი (რედ. *თინათინ გოგოჩაშვილი*), გამომც. „ალილო”, თბ., 2015, 332.

[844] იხ. Schneider, H, J., 1975. S 11, იხ. *მ. შალიკაშვილი*, ვიქტიმოლოგია, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2011, 13.

[845] **ბიოლოგიური ფაქტორები**: ატავიზმი (*ჩ. ლომბროზო*); ფიზიკურ და ფსიქიკურ ორგანიზმში არსებული მიკრობები (*ე. ფერი*); დანაშაულებრივი ინსტიქტები, რომლებიც მემკვიდრეობით ფორმირდება და თავისებურად დანაშაულებრივ მიდრეკილებებს უყალიბებს „ფსიქიკურ ორგანიზმს“ (რ. გაროფალო); ენდოკრინული და ქრომოსომული პათოლოგია, და ადამიანის ფიზიოლოგია; **ფსიქიკური ფაქტორები**: ა. ადამიანი ბავშობაში გადატანილი სტრესებისა და კომპლექსების მსხვერპლია. ასევე, ადამიანს აქვს

მხოლოდ „დამნაშავის, როგორც დაზარალებულის“, არამედ „ვიქტიმოლოგიის ცნების ვიწრო გაგების“ თვისებრივად ახლებური კონცეფციას.

გარდა ამისა, ვიქტიმოლოგიის ფართო გაგება მოიაზრებს მსხვერპლის ყოველგვარ სახეობის შესწავლას, იქნება ეს გამოწვეული ბუნებრივი კატასტროფით, ტექნოლოგიის, უბედური შემთხვევების თუ კოსმიური ენერგიით (*ბ. მენდელსონი*).[846]

პირველი ცოდვის დოქტრინაზე დაყრდნობით, თეოლოგიური მოძღვრება ამ შემთხვევაშიც, ვიქტიმოლოგიის ცნების ფართო გაგების თვისებრივად ახლებური და სრულყოფილი კონცეფციის ჩამოყალიბების შესაძლებლობას იძლევა, რადგან პირველმა გამოიწვია გარემო ბუნებისა და მასში არსებული ყველა ცოცხალი არსების ვიქტიმირებაც.

ბიბლიიდან ირკვევა, რომ „ცოდვის ჩადენამდე, სამოთხეში მცხოვრებ ცხოველებშიც კი, არ იყო მტრობა, მათგან არც ერთს არ ეშინოდა ადამიანებისა, და ყველანი სიყვარულით იყვნენ აღვსილნი მათ მიმართ, ემსახურებოდნენ მათ და არც ადამიანებს ეშინოდათ ცხოველების“.[847] პირველი ცოდვის შემდეგ, როგორც ამას მართლმადიდებლურ კატეხიზმოში ვკითხულობთ, „მოხდა გარემოსა და ბუნების დაზიანებაც. დაავადდა მცენარეთა და ცხოველთა სამყაროც. სამყარო დაემსგავსა საავადმყოფოს.“[848]

ამასთან, როგორც უკვე აღინიშნა, პირველი ცოდვით, ადამის სახით მთელმა კაცობრიობამ დაკარგა მისთვის მოსალოდნელი მომავალი ნეტარება. მარადიული ცხოვრების ხილვის სანაცვლოდ კაცობრიობამ სიკვდილი, მის უკან ჯოჯოხეთი, ბნელეთი და ღვთისაგან განრინება მიიღო.[849]

ამგვარად, მართლმადიდებლური მოძღვრებით ირკვევა, რომ მიწიერ სამყაროში მომხდარი ყოველგვარი დაზიანება და უბედურება, დაკავშირებულია ადამიანის პირველ ცოდვასთან, რადგან დაზარალდა და დაზიანდა, არა მხოლოდ ადამიანი,

---

ნაბოძევი დესტრუქციული ანტისაზოგადოებრივი ტენდენციები. მაგ., დებულება, რომლის მიხედვით, დამნაშავედ უკლებლივ ყველა ადამიანი იბადება, თუმცა მეტიწილი დამნაშავედ არ ყალიბდება (*ზ. ფროიდის* ფსიქოანალიტიკური თეორია); ბ. ადამიანი ანტისოციალური საქციელის ჩადენის დროს, იმპულსისა და გარემო ძალების ზემოქმედების მსხვერპლია (არაცნობიერი ფსიქიკურის კონცეფციები); **სოციალური ფაქტორები:** ა. დამნაშავე საზოგადოების სტრუქტურული წყობის მსხვერპლია (*ა. კეტლე* და *ე. დიურკჰეიმი*); ბ. წინააღმდეგობა მიზნებსა და მოწონებულ საშუალებებს შორის, რომელსაც პროპაგანდას უწევს საზოგადოება (*რ. მერტონი*); გ. სოციალური მიკრო გარემო, რომელშიც ადამიანს უწევს ურთიერთობა (*ე. საზერლენდი*); დ. საზოგადოების ფენებს შორის არსებული კონფლიქტები (სტრატიფიკაციის თეორია); ე. სასჯელმოხდილი პირის გარიყვა საზოგადოების მიერ (სტრატიფიკაციის თეორია); ვ. ცხოვრების სოციალურ-ეკონომიკური პირობები (*რ. ოუენი*).

[846] იხ.: 1. International Handbook of Victimology (edited by: *Shlomo Giora Shoham*, *Paul Knepper* and *Martin Kett*), CRC Press, London, 2010, 109, 113; 2. Schneider, H, J., 1975. S 11, *მ. შალიკაშვილი*, ვიქტიმოლოგია, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2011, 13.

[847] მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიის მოძღვრების საფუძვლები, (შემდგ. *დ. შოვნაძე, ნ. ჩაჩიბაია*), დაიბეჭდა შპს „ფავორიტი პრინტში“, თბ., 2013, 46.

[848] *გლუხოვი ი.ა.*, მართლმადიდებლური კატეხიზმო, სანკტ პეტერბურგი, 2010, 56.

[849] იხ. პროტოპრისვეტერი *მიხეილ პომაზანსკი*, (2012), დასახ. ნაშრ., 104.

არამედ, სრულიად გარემო ბუნება და მასში მცხოვრები ყველა ცოცხალი არსებაც (დაბ. 3, 17).

2.3.2 დამნაშავისა და მსხვერპლის კორელაცია

თუკი პირველი ცოდვის შედეგები ობიექტურად შეფასდება, პრობლემა შეიძლება სხვა რაკურსით იქნას დანახული და საკითხი, სრულიად რადიკალურადაც იქნას დაყენებული. კერძოდ, სისხლის სამართლის დანაშაულის მსხვერპლი უფროა დაზარალებული, თუ თავად დამნაშავე? საკითხის ასე დაყენება გამართლებულია, რადგან დამნაშავე არ არის მხოლოდ პოზიტიური სამართლის, არამედ საღვთო ნორმის დამრღვევი, რომელიც იწვევს ადამიანის შინაგანი ბუნების ცვლილებასაც.

დებულება, რომ დამნაშავე უნდა ჩაითვალოს უფრო დაზარალებულად ვიდრე თავად დანაშაულის მსხვერპლი, ეფუძნება შემდეგს:

1. დანაშაულის მოუნანიებლობის შემთხვევაში, პირი საფრთხის ქვეშ აყენებს უკვდავი თვისების მქონე სულს. სხვაგვარად თუ ვიტყვით, მოუნანიებელი დამნაშავე, იმყოფება საკუთარი თავის ვიქტიმირების უკიდურეს ზღვარზე;

2. დამნაშავის რეაბილიტაცია და რესოციალიზაცია, გარკვეულწილად, დამოკიდებულია დაზარალებულის მხრიდან დამნაშავის პატიებაზე და დანაშაულით მიყენებული ზიანის/ზარალის ანაზღაურებაზეც.[850]

3. დანაშაულის ჩადენით, პირს დამნაშავის სტიგმა მიჰყვება მთელი ცხოვრების მანძილზე, როგორც ამას კარგად აღწერს ადამისა და ევას, ხოლო შემდეგ კაენის ცოდვაც. გავიხსენოთ თუნდაც დავით მეფსალმუნეს სიტყვები: „ცოდვა ჩემი წინაშე ჩემსა არს მარადის“ (ფსალმ. 50, 5).

სტიგმატიზაციის თეორიის თანახმად, ნასამართლობის სტიგმის გამო, საზოგადოება, არ ღებულობს სასჯელმოხდილ პირს სრულფასოვან წევრად. ნასამართლობის სტიგმა პირს ხელს უშლის საზოგადოებაში ინტეგრაციას. როგორც ცნობილია, აღნიშნული ფაქტორი განაპირობებს დამღადასმული პირის დამნაშავეთა წრეში დაბრუნებას, რასაც საბოლოოდ მიჰყავს პირი დანაშაულის ჩადენამდე. ამგვარად, საზოგადოების არასწორი მიმღებლობა, ადამიანს აქცევს დანაშაულის მსხვერპლად.

4. დამნაშავემ შესაძლოა თავი აარიდოს პოზიტიური სამართლის სასჯელს, მაგრამ ვერასრდოს გაექცევა საღვთო სამართლის სასჯელს.

პოზიტიური სამართლის სასჯელი შეიძლება მოიხადოს დამნაშავემ, მაგრამ თუ პოზიტიური სამართალი არ არის საღვთო სამართალთან შესაბამისობაში, მაშინ დამნაშავე აუცილებლად დაისჯება საღვთო სამართლის სასჯელით. აღნიშნული

[850] დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ წინამდებარე დისერტაციის პარაგრაფი: 4.3.4 პენოლოგიაში მონანიების კონცეფციის რაცეფციის საკითხისთვის.

გარემოება, საღვთო სამართლის სასჯელის თვალსაზრისით, კიდევ უფრო ზრდის, როგორც დამნაშავის პასუხისმგებლობის, ასევე მის მსხვერპლად მიჩნევის ხარისხსაც.

ვიქტიმოლოგიური თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს ცოდვის საზიანო შედეგის საყოველთაო და მასობრივი ხასიათიც. ცნობილია, რომ პირველმა ცოდვამ დააზარალა მთლიანად კაცობრიობა, გარემო ბუნება და ცოცხალი არსებებიც. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ:

ა. ნებისმიერ ცოდვას აქვს უნარი გამოიწვიოს პირველი ცოდვის მსგავსი მასშტაბის ზიანი, რადგან ყველა ცოდვა პირველი ცოდვის თვისებების მატარებელია;

ბ. ბუნებრივი შობის კანონით, ცოდვიანი ბუნება მემკვიდრეობით გადაიცემა შთამომავლობას;[851]

გ. საღვთო სასჯელს, პოზიტიური სამართლის სასჯელთან შედარებითი, სულ სხვა დატვირთვა აქვს.[852]

დამნაშავის დაზარალებულობის ასპექტი, ასევე თვალსაჩინოა, როდესაც პიროვნება დამოკიდებული ხდება ვნებებზე, რაც შემდგომ თავში იქნება გამოკვლეული.

არნიშნული ასპექტების მოკლე ანალიზიც კი, კარგად წარმოაჩენს, თუ რამდენად აღემატება დაზარალებულობის ხარისხით დამნაშავე, როგორც ცოდვილი, სისხლის სამართლის დანაშაულის მსხვერპლს.

2.3.3 შეჯამება

დებულება, რომ დამნაშავე ასევე დაზარალებულია, ეჭვგარეშეა. თუ კრიმინოლოგიური თვალსაზრისით დამნაშავე ბიო-ფსიქო-სოციალური ფაქტორების მსხვერპლია, ქრისტიანული თეოლოგიის მიხედვით, ადამიანი თავად მისივე ცოდვის/დანაშაულის მსხვერპლია. უფრო მეტიც, პირველი ცოდვის დოქტრინის საფუძველზე შესაძლებელია დასკვნის გაკეთება, რომ დამნაშავე, პირველი რიგის დაზარალებულია და თავად დანაშაულის მსხვერპლზე მეტად ზარალდება. რატომ? იმის გამო, რომ ცოდვის მოუნანიებლობის შემთხვევაში ხდება ადამიანის უკვდავი თვისების მქონე სულის მოკვდინება.

ქრისტიანული თეოლოგია კრიმინოლოგიას სთავაზობს თვისებრივად ახლებურ კონცეფციას. თამამად შეიძლება ითქვას, რომ დამნაშავის დაზარალებულად მიჩნევის ბიბლიურ სწავლებას იზიარებს *ი. კანტიც*, როდესაც ამბობს: „იმ სიავეს, რასაც შენ მიაყენებ სხვას, თავის თავს აყენებ“. შეურაცხყოფის შემთხვევაში შეურაცხყოფ საკუთარ

---

[851] იხ. *გლუხოვი ი.ა.*, მართლმადიდებლური კატეხიზმო, სანკტ პეტერბურგი, 2010, 155-156.

[852] დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ წინამდებარე დისერტაციის პარაგრაფი: 4.3.1 მონანიების მართლმადიდებლური კონცეფცია.

თავს, ქურდობის, ფიზიკური ძალადობის, მკვლელობის შემთხვევაში მოქმედებს იგივე პრინციპი, რომელსაც კანტი ტალიონის პრინციპს უწოდებს (*jus talionis*).[853]

ფსიქიკური და ფსიქოლოგიური ფაქტორები შეიძლება ზოგიერთმა სულიერ ფაქტორებად მიიჩნიოს და ამით თეოლოგიურ მოძღვრებას გაუთანაბროს, მაგრამ ეს ნიუანსი ვერ იქნება გაზიარებული. მართალია, პიროვნების საკითხს მეცნიერების მრავალი დარგი სწავლობს თავიანთი პოზიციებიდან,[854] მაგრამ მეცნიერების არც ერთი დარგი, ადამიანს არ განიხილავს სულიერ არსებად იმ გაგებით, როგორც ამას ქრისტიანული მოძღვრება ქადაგებს. ის „ათეისტი"[855] მეცნიერებიც კი, ვინც ადამიანს მხოლოდ ფსიქოლოგიურ არსებებად მიიჩნევენ, უხერხულ მდგომარეობაში იგდებენ თავს, რადგან თუკი, ადამიანს სული არ აქვს, მაშინ ადამიანი უსულო, ანუ აპრიორი მკვდარი არსება ყოფილა. ამ ლოგიკურ დასკვნას ალბათ თავად „ათეისტები" არ გაიზიარებენ.

დამნაშავის პიროვნების თეოლოგიური კონცეფცია, განსხვავდება დამნაშავის პიროვნების მეცნიერული კონცეფციისაგან ტრანსცენდენტულობის ასპექტით, რომელიც სათავეს იღებს პირველი ცოდვიდან და აიხსნება ცოდვითა და ვნებებით დაზიანებული ადამიანის ბუნებით.

დანაშავის პიროვნების სრული სურათის შესაქმნელად, აუცილებელია დამნაშავის ვიქტიმოლოგიურ ასპექტებზე თეოლოგიური ცოდნის გათვალისწინება. ამ შემთხვევაშიც, მეცნიერული მიდგომისაგან განსხვავებით, თეოლოგია ყურადღებას ამახვილებს მსხვერპლის ტრანსცენდენულობაზე.

დაბოლოს, დამნაშავის პიროვნების სრულყოფილი ანალიზი შეუძლებელია დანაშაულისა და დანაშაულობის მიზეზების ანალიზის გარეშე. საქმე ისაა, რომ მართლმადიდებლური ქრისტიანული სწავლებით ცოდვის მიზეზები, უპირველეს ყოფლისა, დამნაშავის პიროვნებასთან არის დაკავშირებული, რაც დეტალურად მომდევნო თავში გაანალიზდება.

---

[853] იხ. *ვაჩეიშვილი ალ.*, სასჯელი და სოციალური დაცვის ღონისძიებანი, თსუ-ს გამომცემლობა, თბ., 1960, 29.

[854] კერძოდ: ანთროპოლოგია, ფსიქოლოგია, მედიცინა, იურისპრუდენცია და ასე შემდეგ, იხ.: *წულაია ზ.*, დასახ. ნაშრ., 77.

[855] „ათეიზმი" ბრჭყალებში ჩავსვით სპეციალურად. მიგვაჩნია, რომ შეუძლებელია ადამიანს არ სწამდეს ღმერთის არსებობის. შესაბამისად, „ათეისტში" ვგულისხმობთ იმ ადამიანს, ვისაც სწამს, მაგრამ ნებსით თუ უნებლიედ, ცნობიერად თუ ქვეცნობიერად ებრძვის ღმერთს, რადგან შეუძლებელია არარსებულს ებრძოდეს ადამიანი.

III თავი. დანაშაულ(ობ)ის დეტერმინანტები

3.1. პირველი ცოდვის მიზეზი

3.1.1 პირველი ცოდვის მიზეზი ტრანსცენდენტულ სამყაროში

მართლმადიდებლური სწავლებით, მამა ღმერთის პირველი თვისება არის ყოვლისმიზეზობა.[856] მაგრამ, ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ ცოდვის მიზეზი მამა ღმერთია. საღვთო წერილის მიხედვით, ცოდვის საწყისი ეშმაკიდან მოდის.[857] ბიბლიაში ვკითხულობთ, რომ: „*ცოდვის ჩამდენი ეშმაკისაგან არის, რადგანაც დასაბამიდან ეშმაკი სცოდავს*“ (1 იოანე, 3, 8).

პირველი ცოდვით დაცემა ზეცაში მოხდა, როდესაც ღვთის ნებას პირველად ერთ-ერთი მთავარანგელოზი შეეწინააღმდეგა. შესაბამისად, მასზე მოიწია ღვთის პირველი სასჯელიც.[858] სატანა, რომელიც არის დაუმორჩილებელ ანგელოზთა მთავარი (მათ. 25, 41; 2 კორ. 12, 7),[859] თავდაპირველად ისიც კეთილად შეიქმნა, რადგან ღმერთს არაფერი ბოროტი არ შეუქმნია.[860] იგი ცილს სწამებდა ღმერთს, ეწინააღმდეგებოდა ღმერთის ნებას, რის გამოც იგი გახდა ბნელი, ბოროტი სული - ეშმაკი. ამიტომაც, სიტყვა „ეშმაკი“ ბერძნულად *დიავოლოს* „ცილისმწამებელს“ ნიშნავს.[861] ის იყო სრულყოფილი ვიდრე არ ჩაიდინა უკანონობა, მოისურვა რა ღმერთის ადგილი (ეზეკ. 28, 2).[862]

ეშმაკს, როგორც ყველა გონიერ არსებას, ჰქონდა თავისუფლება, რომელიც სიკეთეში სრულყოფის მისაღწევად მიეცა, მაგრამ არ დარჩა ჭეშმარიტებაში და განუდგა ღმერთს, რასაც სხვა ანგელოზთა დაცემა მოჰყვა (იუდა 1, 6; შდრ. 2 პეტ. 2, 4).[863] იყვნენ რა იმავე ანგელოზთა ბუნების, ისინი ბოროტნი გახდნენ, რადგან არჩევანი ნებსით მიდრიკეს კეთილისგან ბოროტისაკენ.[864] ლუციფერმა შეძლო ბევრი სხვა ანგელოზის ცთუნება, რომლებიც ასევე გაამპარტავანდნენ და აღარ ემორჩილებოდნენ ღმერთის ნებას. ამიტომ ისინიც, ბოროტ სულებად - დემონებად იქცნენ.[865]

---

[856] იხ. *არქიმანდრიტი მაკარი აბესაძე*, ყოვლადწმინდა სამების საიდუმლო უპირველესად რწმენით აღიქმება (ინტერვიუ ჩამოართვა შორენა მერკვილაძემ), მართლმადიდებლური ჟურნალი „კარიბჭე“, №16 (77), 9-22 აგვისტო, თბ., 2007, 38.

[857] იხ. *პროტოპრისვეტერი მიხეილ პომაზანსკი*, (2012), დასახ. ნაშრ., 98.

[858] იხ. *მამა ზაქარია მარგალიტაძე* სასჯელი მწარე წამალია, რომელიც დაღუპვისგან გვიხსნის (ინტერვიუ ჩამოართვა *შორენა მერკვილაძემ*), მართლმადიდებლური ჟურნალი „კარიბჭე“, №6 (93), 20 მარტი - 02 აპრილი, თბ., 2008, 4.

[859] იხ. ბიბლიის ლექსიკონი (შემდგ. *მ. გოეცე*), თბ., 2006, 19.

[860] იხ. *ეპისკოპოსი ალექსანდრე*, მართლმადიდებლური კატეხიზმო, მეოთხე გამოცემა (მთრგმნ. *გვ. კუპლატაძე, გ. ტონია*), საქართველოს საპატრიარქოს გამოცემლობა, თბ., 2011, 24.

[861] იხ. მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიის მოძღვრების საფუძვლები, (შემდგ. *დ. შოვნაძე, ნ. ჩაჩიბაია*), დაიბეჭდა შპს „ფავორიტი პრინტში“, თბ., 2013, 25.

[862] იხ. *გლუხოვი ი.ა.*, მართლმადიდებლური კატეხიზმო, სანკტ პეტერბურგი, 2010, 141.

[863] იხ. *პროტოპრისვეტერი მიხეილ პომაზანსკი*, (2012), დასახ. ნაშრ., 98.

[864] იხ. *იოანე დამასკელი*, დასახ, ნაშრ., 75.

[865] იხ. მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიის მოძღვრების საფუძვლები, (შემდგ. *დ. შოვნაძე, ნ. ჩაჩიბაია*), დაიბეჭდა შპს „ფავორიტი პრინტში“, თბ., 2013, 26.

წმინდა წერილში, ბოროტ სულებზე საუბარი მრავალ ადგილას გვხვდება. მაგალითად, მათეს სახარების მე-8, მარკოზის სახარების მე-5 თავებში და პავლეს ეპისტოლეებში, - ეფესელებისა (ეფ. 6, 12), კოლასელთა (კოლ. 2, 15) და ტიმოთეს (1 ტიმ. 4, 1) მიმართ.[866] წმინდა წერილი ბოროტ სულებს, უწოდებს „უწმინდურ სულებს“ (იხ. მარკ. 5, 2; საქ. 19, 12), „დემონებს“, „ეშმაკის ანგელოზებს“ (იხ. მათ. 25, 41), „სატანის ანგელოზებს“ (იხ. გამოცხ. 12, 9). ხოლო მათ მთავარს, ეშმაკს იხსენიებს სახელებით: „მაცთური“ (იხ. 1 ტიმ. 4, 1), „სატანა“ - ებრ. სატან - „მოწინააღმდეგე“, „მტერი“ (იხ. 1 თეს. 2, 18; 2 კორ. 12, 7), „ბელზებული“, „ბაალი“, „ბელიარი“, „ლუციფერი“, იგივე „მთიები“ (რუს. „Денница“) - ნიშნავს „დილის (ცისკრის) ვარსკვლავს“ (იხ. ეს. 14, 12; 2 პეტრ. 1, 19) და სხვა.[867]

ბოროტი სულები ისე ძლიერად დაეცნენ და განმტკიცდნენ ბოროტებაში, რომ უკვე აღარ ძალუძთ სინანული და აღდგომა.[868] ბოროტი ანგელოზების საპირისპიროდ კი, ნათლის ანგელოზებს არ შეუძლიათ ბოროტების ჩადენა, რადგან მთლიანად სიკეთისკენ არიან მიდრეკილნი და მას ემსახურებიან.[869]

მართლმადიდებლური სწავლებიდან ირკვევა, რომ „ბოროტი ძალების წინააღმდეგ აღდგა მთავარანგელოზი მიქაელი სხვა ანგელოზებთან ერთად. ბოროტმა ძალამ ვერ გაუძლო ღმერთის ანგელოზებს და სატანა, თავის დემონებთან ერთად, გადმოგდებულ იქნა ზეციდან. ზოგიერთი განმმარტებელი ამ სიტყვებში ხედავს მითითებას მასზედ, რომ ლუციფერთან ერთად განვარდა ანგელოზთა დასის მესამედი“.[870]

„და ატყდა ბრძოლა ცაში: მიქაელი და მისი ანგელოზები ებრძოდნენ ურჩხულს, ურჩხული და მისი ანგელოზები კი ებრძოდნენ მათ. მაგრამ იმძლავრეს და აღარ აღმოჩნდა მათი ადგილი ცაში. და გადმოვარდა დიდი ურჩხული, დასაბამიერი გველი, რომელსაც ჰქვია ეშმაკი და სატანა, მთელი საწუთროს მაცდური; გადმოვარდა ქვეყნად და თან გადმოჰყვნენ მისი ანგელოზები“ (გად. 12, 7-9).

ამგვარად, სატანასა და მის ანგელოზებს აეკრძალათ ზეციურ ნათელ სავანეებში მკვიდრობა, „...ვხედავ ეშმაკსა, ვითარცა ელვასა, ზიცით გარდამოვრდომილსა“ (ლუკა 10, 18).[871]

---

[866] იხ. *იეროთეოს ვლახოსი*, სულიერი მედიცინის მეცნიერებაში, (მთრგმნ. *ე. დულაშვილმა* და *ლ. ბუკიამ*, რედ. *დეკ. მ. ჭანტურია*), გამომც., „ახალი ივერიონი“, თბ., 2017, 159.

[867] იხ. მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიის მოძღვრების საფუძვლები, (შემდგ. *დ. შოვნაძე, ნ. ჩაჩიბაია*), დაიბეჭდა შპს „ფავორიტი პრინტში”, თბ., 2013, 26.

[868] იხ., იქვე, 26.

[869] იხ. *ეპისკოპოსი ალექსანდრე*, მართლმადიდებლური კატეხიზმო, მეოთხე გამოცემა, (მთრგმნ. *გვ. კუპლატაძე, გ. ტონია*), საქართველოს საპატრიარქოს გამოცემლობა, თბ., 2011, 19.

[870] მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიის მოძღვრების საფუძვლები (შემდგ. *დ. შოვნაძე, ნ. ჩაჩიბაია*), თბ., 2103, 26.

[871] *პროტოპრისვეტერი მიხეილ პომაზანსკი*, (2012), დასახ. ნაშრ., 99.

„გადმოვარდა დიდი ურჩხული, დასაბამიერი გველი, რომელსაც ჰქვია ეშმაკი და სატანა, მთელი საწუთროს მაცდური; გადმოვარდა ქვეყნად და თან გადმოჰყვნენ მისი ანგელოზები“ (გამოცხ. 12, 9).

ამიტომ, ზეციური სამყაროდან გადმოგდებული ეშმაკი და მისი მსახურნი ცისქვეშეთში და დედამიწაზე ადამიანებს შორის მოქმედებენ....[872] ეშმაკის მუდმივი ადგილსამყოფელი კი, ჰაეროვანი სივრცეა და ძირითადი საქმიანობა ადამიანთა ცთუნება და შეშინებაა.[873]

წმ. პავლე მოციქული დაცემულ ანგელოზებს უწოდებს ცაში გაბატონებულ სულებს (ეფ. 6, 12), ხოლო მათ წინამძღვარს - ჰაერის მთავარს (ეფ. 2, 12). ირკვევა, რომ დაცემული ანგელოზების სიმრავლითაა მოცული ის გამჭვირვალე უკიდეგანო ჰაერი, რომელსაც ჩვენს თავზე ვხედავთ.[874]

ეპისკ. ე. ბრიანჩანინოვი საუბრობს, რომ „ის გამჭვირვალე უკიდეგანო ჰაერი, რომელსაც ჩვენს თავზე ვხედავთ, დაცემული ანგელოზების სიმრავლითაა მოცული, რომლებიც განუწყვეტლივ აშფოთებენ მთელ საზოგადოებებს ერთობლიობაში და ცალ-ცალკე თითოეულ ადამიანს.[875] *წმიდა მამა* იქვე აყალიბებს დანაშაულ(ობ)ის დეტერმინაციის პრინციპს, - „არ არსებობს ბოროტმოქმედება, არ არსებობს დანაშაული მათი მოთავისა და მონაწილეობის გარეშე. ისინი მიდრეკენ და ასწავლიან ადამიანს ცოდვას ყველა შესაძლო საშუალებით“, და იქვე იმოწმებს *პეტრე მოციქულის* სიტყვებს „*თქვენი მტერი ეშმაკი დაძრწის, ვითარცა ლომი მყვირალი და ეძებს, ვინ შთანთქას*“ (1 პეტ. 5, 8).[876]

მართლმადიდებლურ კატეხიზმოში ვკითხულობთ, რომ „მას, ვინც ბოროტება მოიგონა, მარტოობის სიცივე და სიცარიელე შურად ექცა. ცოცხალი არსებისთვის დამახასიათებელი სიყვარულისა და აღუხორცელი სურვილი მის თვითჩაკეტილ პიროვნებაში სიძულვილისა და ნგრევის ძალად იქცა. ყოფიერების სისრულეში ერთიანობის მიღწევის შეუძლებლობა გადაიქცა მისწრაფებად საყოველთაო განადგურების გზით იმავეს მიღწევისაკენ.“[877] ამიტომ, „ეშმაკი, რომელიც კაცობრიობის მტერია, შეიძულა რა ღმერთი, დღენიადაგ ებრძვის ადამიანს.“[878]

---

[872] იხ., იქვე, 99.

[873] იხ. მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიის მოძღვრების საფუძვლები (შემდგ. *დ. შოვნაძე, ნ. ჩაჩიბაია*), თბ., 2103, 27.

[874] იხ. *როუზი ს.*, ეს გზა მოელის ყოველი ქრისტიანის სულს, სერია: ქრისტიანული აზროვნება (შეკრიბა და თარგმნა *ვლ. ჩხიკვაძემ*), გამომც. „ალილო“, თბ., 2008, 8-9.

[875] იხ., იქვე.

[876] იხ., იქვე.

[877] *ეპისკოპოსი ალექსანდრე,* მართლმადიდებლური კატეხიზმო, მეოთხე გამოცემა (მთრგმნ. *გვ. კუპლატაძე, გ. ტონია*), საქართველოს საპატრიარქოს გამოცემლობა, თბ., 2011, 25.

[878] *მღვდელი ლევან ნავროზაშვილი,* მომაკვდინებელ ცოდვათა და სინანულის საიდუმლოებისათვის, საპატრიარრქოს სტამბა „პირველად იყო სიტყვა“, თბ., 2011, 18.

წმ. ანტონ დიდი ამბობს, რომ „დემონები ჩვენი მტრები არიან, ისინი არიან საშინელნი, მრავალმხრივნი და ცბიერნი.“[879]

წმიდა მამები აღნიშნავენ, რომ ბოროტების მიზეზი ღმერთი კი არა, თავად ის არსებანი არიან, რომლებმაც თავი აარიდეს საკუთარი ნების შეთანხმებას საღვთო ნებასთან.[880]

იოანე დამასკელის განმარტებით ნათელი ანგელოზი, როგორც მოაზროვნე, თვითუფლებრივად და ნებსით განუდგა ბუნებისეულ სათნოებას და ბოროტების წყვდიადში აღმოჩნდა, განშორებული ღვთისაგან, რომელიც არის მხოლოდ კეთილი და ნათლისმოქმედი, რადგან მისგან კეთილდება ყველა სიკეთე. ამიტომ რადგან განშორდა ანგელოზი ღმერთს თავისი განზრახულობით, ბოროტებაში აღმოჩნდა.[881] *წმიდა მამა* დასძენს, რომ „ბოროტება სხვა არაფერია, თუ არა სიკეთის ნაკლებობა და ბუნებისეულისაგან არაბუნებისეულისკენ გადახრა, რადგან არაფერია ბუნებით ბოროტი. ყოველივე, რაც შექმნა ღმერთმა, კარგია ძალიან იმგვარად, რაგვარადაც წარმოიქმნა, ხოლო თუ ნებით განუდგებიან ბუნებისეულს და წავლენ ბუნების გარეგანისკენ, ბოროტებაში იქნებიან.“[882]

წმ. ბერი გაბრიელი ბოროტებას განმარტავს შემდეგნაირად: „ბოროტება ღმერთს არ შეუქმნია, რადგან ბოროტებას არსი არ გააჩნია. ბოროტება არის სიკეთის ნაკლებობა. სატანა ადრე სინათლის მატარებელი იყო, სიკეთით შექმნილი, მაგრამ როცა მოაკლდა ამ სიკეთეს - გარდაისახა ბოროტად.”[883]

წმ. მამა ასევე განმარტავს, რომ „ღმერთი შემოქმედია და არ უნდოდა ძალით ყვარებოდათ თავიანთი შემოქმედი. ამიტომ მან თავისუფლება მიანიჭა ანგელოზებს და პირდაპირ ჰკითხა, უყვარდათ თუ არა თავისი გამჩენი და საშუალება მისცა - დარჩენილიყვნენ მასთან და უფრო სრულყოფილნი გამხდარიყვნენ“.[884]

მართლმადიდებლურ კატეხიზმოში, ბოროტება, ეს არასწორად გაგებული თავისუფლება და არასწორად წარმართული ნებაა. ის შეიძლება გამოვლინდეს რადგანაც არსებობს პიროვნება, რომელსაც იგი ეკუთვნის. ასეთი პიროვნება, პირველ რიგში ბოროტი სული, ანუ ეშმაკია.[885]

---

[879] *იეროთეოს ვლახოსი*, სულიერი მედიცინის მეცნიერებაში (მთრგმნ. *ე. დუღაშვილმა* და *ლ. ბუკიამ*, რედ. *დეკ. მ. ჭანტურია*), გამომც., „ახალი ივერიონი”, თბ., 2017, 157.

[880] იხ. *პროტოპრისვეტერი მიხეილ პომაზანსკი*, (2012), დასახ. ნაშრ., 97.

[881] იხ. *იოანე დამასკელი*, დასახ, ნაშრ., 274.

[882] იხ., იქვე.

[883] *ჯინორია მ.*, (2019), დასახ. ნაშრ., 130.

[884] იხ., იქვე, 162.

[885] იხ. *ეპისკოპოსი ალექსანდრე*, მართლმადიდებლური კატეხიზმო, მეოთხე გამოცემა (მთრგმნ. *გვ. კუპლატაძე, გ. ტონია*), საქართველოს საპატრიარქოს გამოცემლობა, თბ., 2011, 24.

ეშმაკი არ არის მკვდარი არსება, მას აქვს არსება (*წმ. გრიგოლ პალამა*). მან დაკარგა ცხოვრება, ღმერთი და მიიღო სიკვდილი. იგი არის არა მარტო მკვდარი სული, არამედ გადასცემს სიკვდილს, ვინც მას შეეხება.[886]

მაგრამ ისმის კითხვა: რამ გამოიწვია ცოდვით დაცემა ზეციურ სამყაროში?

საღვთო გამოცხადებიდან ირკვევა, რომ ამის მიზეზი იყო ამპარტავნება.[887] წმიდა მამების თქმით, მას თავისი თავი შეუყვარდა და ერთგვარად თვითდახშულ ცარიელ ჭურჭლად იქცა. `ამ პირველ ცოდვას ხან ამპარტავნებას, ხან თავკერძოებას, ახლა კი ეგოიზმსაც უწოდებენ. მისი არსი საკუთარი თავისკენ ანგარებიანი ყურადღების წარმართვაში მდგომარეობს, ანუ ეს საკუთარი თავისადმი ისეთი განსაკუთრებული ყურადღებაა, რომლის დროსაც საკუთარი „მე“ სამყაროს ცენტრად იქცევა. იგი საკუთარი თავის კერპი, ხოლო ყველა დანარჩენი, რასაც საკუთარი ფასი ეკარგება - მისი საამებელი საშუალება ხდება”.[888]

3.1.2 პირველი ცოდვის მიზეზი ხილულ სამყაროში

ადამიანთა მოდგმაში პირველი ცოდვის მიზეზთან დაკავშირებით, *წმ. იოანე იქროპირი* განმარტავს, რომ „დემონს შური ხრავდა, ქვეყნად ხორცშესხმულ ანგელოზს რომ ხედავდა და უდიდეს ცბიერებას მიმართავს, რათა ადამიანს ღვთის წყალობა დააკარგვინოს, უმადური გახადოს და ამით მოუშალოს ყველა ის სიკეთე, რაც მისთვის კაცთმოყვარე ღმერთს გაემეტა.“[889]

როგორც ანგელოზის, ასევე ადამიანის შემთხვევაშიც, საინტერესოა, თუ რა იყო თავად პირველი ადამიანის ცოდვის მიზეზი. თუმცა, მას შემდეგ, რაც ვიცით ანგელოზის ცოდვის მიზეზი, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს ამის გამოცნობა. მიუხედავად ამისა, მაინც უნდა გაანალიზდეს აღნიშნული საკითხი და ვუპასუხოთ ამ შეკითვასაც.

დაბადების წიგნის მესამე თავი მოგვითხრობს, რომ ეშმაკმა მიიღო გველის სახე და პირველ ადამიანთა შეცდენისა და ცოდვის დაცემის მიზეზი შეიქნა.[890] როდესაც უკეთური ძალა გველის მეშვეობით მიუახლოვდა მას და უთხრა: „*იქნებით, როგორც ღმერთები, კეთილისა და ბოროტის მცოდნეები, თუკი შეჭამთ*“ (შეს. 3, 5), ადამი ერწმუნა თავის გამრჩეველობას და არ გაიაზრა, რომ არ მართებდა მას ღვთის ნების გარეშე ამის გაკეთება.[891]

---

[886] იხ. *იეროთეოს ვლახოსი*, სულიერი მედიცინის მეცნიერებაში (მთრგმნ. *ე. დულაშვილმა* და *ლ. ბუკიამ*, რედ. *დეკ. მ. ჭანტურია*), გამომც., „ახალი ივერიონი“, თბ., 2017, 156.

[887] იხ. *პროტოპრისვეტერი მიხეილ პომაზანსკი*, (2012), დასახ. ნაშრ., 98.

[888] *ეპისკოპოსი ალექსანდრე*, მართლმადიდებლური კატეხიზმო, მეოთხე გამოცემა, (მთრგმნ. *გვ. კუპლატაძე, გ. ტონია*), საქართველოს საპატრიარქოს გამოცემლობა, თბ., 2011, 25.

[889] *წმინდა იოანე ოქროპირი*, ჰომილიები, I ტ., შესაქმის განმარტება, ნაწილი პირველი (რედ. *თ. გოგოჩაშვილი*), გამომც. „ალილო“, თბ., 2015, 145.

[890] იხ. *პროტოპრისვეტერი მ. პომაზანსკი*, (2012), დასახ. ნაშრ., 99.

[891] იხ. *იოანე დამასკელი*, დასახ, ნაშრ., 102.

ღირსი მამა იოანე კიბისაღმწერლის განმარტებით, „სადაც ცოდვის დაცემა მოხდა, იქ პირველად ამპარტავნება დამკვიდრდა. ამპარტავნების სასჯელი არის დაცემა, ხოლო მაწყინებელი - დემონია... მხოლოდ ამ ერთი ვნებისაგან, ეშმაკი ცათაგან გადმოვარდა“. [892]

ანალოგიურად განმარტავს *ღირსი მამა სვიმეონ ღვთისმეტყველიც*: „ლუციფერი, მის კვალად კი – ადამიც, ერთი ანგელოზი, მეორე კი ადამიანი, გამოვიდნენ თავიანთი ბუნებიდან და გაამპარტავნებულებმა თავიანთი მოქმედების წინაშე, თავად ისურვეს ღმერთები გამხდარიყვნენ.[893]

ცოდვის გამომგონებელს, დაცემულ ბოროტ ანგელოზს, სწორედ რომ ამპარტავნებით შეჰყავს ადამიანთა მთელი მოდგმა ამ დამღუპველ ცოდვაში. ამიტომაც, წმიდა მამები ამპარტავნებას „სატანის თესლს“ [894] და ეშმაკის სულს უწოდებენ.[895]

ს. ჩანის აზრით, ამაყი პიროვნება ყველაზე მეტად ჰგავს ეშმაკს. სიამაყე ცოდვის არსია, რომელშიც იგულისხმება საკუთარი თავის ღმერთის ადგილზე დასმა. ეს არის ღმერთის ნაცვლად საკუთარი თავის თაყვანისცემა.[896]

ამგვარად, ძველი დროის საეკლესიო მწერალთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ ადამიანიც ამპარტავნების გამო დაეცა. აქ მთავარია გვახსოვდეს, რომ ადამიანს ატყუებს ეშმაკი, რაც, ბუნებრივია, არ ამართლებს ევას და ადამს, რადგან მათ საკუთარი ნებით გადაწყვიტეს მცნების დარღვევა.

კატეხიზმოში ვკითხულობთ, რომ ადამიანის ცოდვით დაცემა, სახეა ყოველგვარი ადამიანური ცდუნებისა და დაცემისა, რომელზე დაკვირვებამაც დაგვანახა, რომ:

1. მხოლოდ ადამიანი არ არის დამნაშავე, რადგან მოტყუებული იქნა;

2. შეცდომილი ადამიანი ინარჩუნებს არჩევანის თავისუფლებას (ევა ყოყმანობს, კამათობს გველთან);

3. ცდუნება იწყება საცდუნებელის წარმოდგენით;

4. იგი დაშვებულია ღმერთის მიერ, რათა გამოსცადოს და განამტკიცოს ადამიანის თავისუფლება;

5. ვინც ღმრთის მიმართ სიყვარულით არ იქცევა, ცოდვაში ვარდება და თავისუფლებას კარგავს;

6. მოტყუება - ეს არის არასწორად გაგებული თავისუფლება, ცილისწამების დაჯერება. „ცილისწამება კი არის ის, რომ ღმრთეებრივი სიყვარულის ძახილი გაგებულია, როგორც ძალადობა. ღმერთი არ აყენებს თავის თავს უფროსის, ხოლო

---

[892] მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიის მოძღვრების საფუძვლები, (შემდგ. *დ. შოვნაძე, ნ. ჩაჩიბაია*), თბ., 2103, 51.

[893] იხ., იქვე, 51.

[894] იხ. *სქიიღუმენი საბა (ოსტაპენკო),* ამპარტავნების შესახებ, საქართველოს საპატრიარქო, თბ., 2003, 6.

[895] იხ. *მღვდელი ლ. ნავროზაშვილი,* მომაკვდინებელ ცოდვათა და სინანულის საიდუმლოებისათვის, საპატრიარქოს სტამბა „პირველად იყო სიტყვა“, თბ., 2011, 95.

[896] იხ. *ჩანი ს.*, დასახ. ნაშრ., 114.

ადამიანს ხელქვეითის მდგომარეობაში. ის მამაა და სურს, რომ ადამიანი იყოს მისი ძე და სიყვარულით მისდევდეს მას.“[897]

მიტრ. იეროთეოს ვლახოსის ნაშრომიდან ირკვევა, პირველი ადამიანების ცოდვა და დანაშაული იყო არა თავისთავად ცოდნის შეძენის მონდომება, არამედ სურვილი, მიეღოთ იგი კეთილი ცხოვრების გარეშე, არა ღვთის მცნებების აღსრულებით, პირიქით, ურჩობის ნიადაგზე.[898]

რადგან პირველ ცოდვას მოჰყვა ცოდვების გამრავლება, საინტერესოა თუ არა განვითარება ჰპოვა დანაშაულის პირველმა მიზეზმა სხვა დანაშაულებთან მიმართებაში. გამრავლდა თუ არა დანაშაულის მიზეზები ცოდვის გამრავლებასთან ერთად და რაში გამოიხატება იგი. ამისთვის კი, საჭიროა პირველ რიგში განვიხილოთ კაცობრიობის უხილავი მტრის ბრძოლის მეთოდები, როგორ ზემოქმედებს იგი ადამიანებზე.

3.1.3 კაცობრიობის უხილავი მტრის ბრძოლის მეთოდები

3.1.3.1 ადამიანთან უხილავი მტრის დაშვების უფლება

როგორც უკვე ითქვა, ეშმაკის ნების აღსრულებით და ცოდვის ჩადენით, პირველქმნილმა ადამიანმა სულსა და სხეულში შეუშვეს ცოდვა, სატანისტური ძალა და ადამიანი მიეცა ვნებიან სურვილებს.

ბერი პაისი განმარტავს, რომ „ღმერთმა თავისუფლება მისცა არა მარტო ადამიანებს, არამედ - ბოროტ სულებსაც, რამდენადაც ისინი ვერაფერს ავნებენ კაცის სულს, იმ შემთხვევის გარდა, როცა თვით კაცი მოისურვებს საკუთარი სულის ვნებას.“[899]

წმ. იოანე დამასკელის მიხედვით, „დაცემულ ანგელოზებს ღმერთისაგან ნება აქვთ მიცემული შეუტიონ ადამიანს, მაგრამ ვინმეს იძულება არ შეუძლიათ, რადგან ჩვენზეა დამოკიდებული, დავუთმობთ მათ შეტევას თუ არა.“[900] *წმიდა მამა* განმარტავს, რომ „ღმერთი უშვებდა, რომ ადამიანი დარჩენილიყო, როგორც სიკეთეში, ასევე ყოფილიყო ბოროტებაში, ადამიანის თვითუფლებრივობის გამო, რადგან არ არის სათნოება ის, რაც იძულებით კეთდება.“[901]

---

[897] *ეპისკოპოსი ალექსანდრე,* მართლმადიდებლური კატეხიზმო, მეოთხე გამოცემა (მთრგმნ. *გვ. კუპლატაძე, გ. ტონია*), საქართველოს საპატრიარქოს გამოცემლობა, თბ., 2011, 26.

[898] იხ. *პროტოპრისვეტერი მიხეილ პომაზანსკი,* (2012), დასახ. ნაშრ., 102.

[899] *მამა პაისი მთაწმინდელი,* ტკივილითა და სიყვარულით - თანამედროვე ადამიანის შესახებ (მოამზადა *თ. გოგოჩაშვილმა*), თბ., 2004, 49.

[900] *იოანე დამასკელი,* დასახ, ნაშრ., 76.

[901] იქვე, 104.

წმ. სვიმეონ ახალი ღმრთისმეტყველის მიხედვით, დაცემის დღიდან მოყოლებული, კაცი თავისუფალი მისადგომია ეშმაკისათვის. ეშმაკს აქვს ამის უფლება, რადგან ადამიანი თავისი ნებით დაემორჩილა მის ხელმწიფებას.[902]

მამა კირიონ მუშკუდიანი განმარტავს, რომ „ადამიანებს პირველმშობლებისგან მემკვიდრეობად გვერგო ცოდვისკენ მიდრეკილება. ცოდვისმქმნელობის გამო ბოროტმა სულმა მოიპოვა ძალაუფლება ადამიანზე. ადამიანის სხეული და გრძნობები არის ამქვეყნიური, მიწიერი ცხოვრებისა, მისი ბატონი კი ეშმაკია. აქედან გამომდინარე, ამ ძალაუფლების გამო ეშმაკს აქვს ამ გრძნობების შედეგად ადამიანის გონებაზე მოქმედების უფლება და საშუალებები.“[903]

დიადოხოს ფოტიკელის სწავლებით ირკვევა, რომ „ადამიანის გული ბოროტ აზრებს ეშმაკის ზემოქმედებით წარმოშობს, პირველი ცოდვის ხსოვნით.“[904]

ხოლო, თუ რა გზებით ებრძვის ეშმაკი ადამიანს, ეს თავად უფალმა იესო ქრისტემ გვიჩვენა, როდესაც ეშმაკმა უფალი გამოსცადა.

3.1.3.2 უხილავი ბრძოლა გონებაში

მათეს სახარების მე-4 თავიდან ირკვევა, რომ ეშმაკი ადამიანს ებრძვის მზაკვარი, ცრუ აზრებისა და განწყობილებების შექმნით.[905] როგორც უფალთან მივიდა ეშმაკი, ასევე მოდის იგი ყველა ადამიანთან და სთავაზობს ვნებაშერეულ აზრებს.[906]

წმ. იოანე სინალი აღნიშნავს, რომ ყველა ეშმაკი ცდილობს, ადამიანს თავდაპირველად გონება დაუბნელოს და გონების დაბნელების შემდგომ გააკეთებინოს ის, რაც სწადია,[907] ხოლო ბრძოლაა, როცა აზრი და ადამიანი ერთმანეთის პირისპირ იბრძვიან.[908]

ანალოგიურად განმარტავს *წმ. გაბრიელ აღმსარებელი და სალოსიც*, მისი სიტყვებია: „როცა ბოროტი ადამიანს დაეპატრონება, პირველად გონებას წაართმევს“.[909]

---

[902] იხ. *წმიდა ეპისკოპოსი ეგნატე (ბრიანჩანინოვი)*, სტატია „ხიბლისათვის“, იხ.: საქართველოს საპატრიარქოს ვებ-გვერდი www.orthodoxy.ge (საპატრიარქოს რადიო „ივერია“ 105.4), გვერდი 2, <http://www.orthodoxy.ge/tserilebi/brianchaninovi/khibli1.htm>, (მოპოვების თარიღი: 01.01.2019).

[903] *მერკვილაძე შ.,* რომელი იტყოდეს სიცრუესა, არა წარემართოს წინაშე თვალთა ჩემთა (ესაუბრა, ზესტაფონის წმინდა ნინოს სახელობის ტაძრის წინამძღვარი, მამა კირიონ მუშკუდიანი; სტატიის გამოქვეყნების თარიღი: 15.06.2007), ელ-ჟურნალი „კარიბჭე“, <http://karibche.ambebi.ge>, (მოპოვების თარიღი: 22.07.2008).

[904] *მიტრ. იეროთეოს ვლახოსი*, მართლმადიდებლური ფსიქოტერაპია, (მეორე გამოცემა, თარგმნა *ე. დუღაშვილმა*; რედ. *მღვდელი ზ. ცხოვრებაძე*), გამომც., „ახალი ივერიონი“, თბ., 2010, 227.

[905] იხ. *მღვდელი ლევან ნავროზაშვილი*, დასახ. ნაშრ., 17-18.

[906] იხ., იქვე, 19.

[907] იხ. *წმინდა იოანე სინელი*, კლემაქსი ანუ კიბე, საეკლესიო ბიბლიოთეკა II, (რედ. *ნ. ხურცილავა*, მთრგმნ. *ტ. ცომაია*), მეორე გამოცემა, თბ., 2014, 170, პუნქტი 110.

[908] იხ., იქვე, 166, პუნქტი 99.

[909] *ჯინორია მ.*, (2013), დასახ. ნაშრ., 87.

არქ. გ. ბასილაძე განმარტავს, რომ „ბოროტის აზრის მიღებით, ადამიანი საკუთარ არსებაში უშვებს ეშმაკს“,[910] „სიცოცხლე კი ბრძოლაა, ბრძოლა არა მარტო ხილულ მტრებთან, არამედ უხილავ ბოროტთანაც.”[911]

წმინდა მამები ამბობენ, რომ „სხვაა წვრილმანი აზრი, სხვაა - აზრთან გონებით გასაუბრება, სხვაა - თანხმობა, სხვაა - ტყვეობა, სხვა ბრძოლა და სხვა - რასაც ვნებას უწოდებენ. წვრილმანი აზრი არის უბრალო სიტყვა ან ახლად ხილული ხატება, რომელიც გულში აღწევს; გონებით გასაუბრება ისაა, როცა გონება ვნებიანად ან უვნებოდ უწყებს საუბარს გულში შეღწეულ ხატებას; თანხმობა ისაა, როცა სული უტკბება და იღებს ხატებას; ტყვეობა გულის უნებურად, ძალმომრეობით მიტაცებაა, ანუ ეს არის ჩვენი კეთილი ზნის გამრყვნელი შეჩერებული აზრი; ბრძოლა ისაა როცა აზრი და ადამიანი ერთმანეთის პირისპირ იბრძვიან, და ან მარცხდებიან, ან იმარჯვებენ; ვნებას იმას უწოდებენ, როცა აზრი ხანგრძლივადაა დაბუდებული სულში, ჩვეულებადაა ქცეული და გონება თავისით ილტვის მისკენ.“[912]

ბრძენი მამები იმასაც ამბობენ, რომ არსებობს აზრი, რომელიც ყველა ზემოხსენებულზე უფრო მეტად ნატიფია და შეუმჩნეველი. მას გონების ელვას უწოდებენ, რადგან „უსწრაფესად, დაყოვნების, სიტყვისა და ხატების გარეშე გაუცნობიერებლად ანახებს სულს ვნებას. ის იმდენად მყისიერი, უჟამო და მოუხელთებელი შეხსენებაა, რომ ზოგიერთები საერთოდ ვერც ამჩნევენ მას.“[913] ვისაც ამ აზრის სინატიფე შეუცნია, მას შეუძლია გვასწავლოს, თუ როგორ და რაგვარად აღიძვრება სულში ვნებიანი სიძვა ყოველგვარი გააზრების გარეშე მხოლოდ თვალის შევლებით, ხელის შეხებითა და ხმის მოსმენით.[914]

მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიის მოძღვრების საფუძვლებში, ვკითხულობთ, რომ დემონები ცდილობენ მზაკვრობითა და მოტყუებით აცდუნონ თითოეული ადამიანი, ჩააგონებენ რა მათ ბოროტ სურვილებს, რათა დაღუპონ.[915]

წმინდა მამათა გადმოცემით, არსებობს ბევრი დემონი და ყოველ მათგანს საკუთარი სწავლება, მოქმედების საშუალება და ენერგია აქვს. მათი მიზანია ვნებიანი გულისთქმებით ღმერთისაგან ადამიანის დაშორება და მისი საუკუნო სიკვდილი.[916]

---

[910] *ჩაგუნავა ა., ვეკუა ი.*, დასახ. ნაშრ., 273.

[911] იქვე, 278.

[912] *წმინდა იოანე სინელი*, კლემაქსი ანუ კიბე, *საეკლესიო ბიბლიოთეკა II* (რედ. *ნ. ხურცილავა*, მთრგმნ. *ტ. ცომაია*), მეორე გამოცემა, თბ., 2014, 166, პუნქტი 99.

[913] იხ., იქვე, 167, პუნქტი 100.

[914] იხ., იქვე, 167, პუნქტი 101.

[915] იხ. მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიის მოძღვრების საფუძვლები (შემდგ. *დ. შოვნაძე, ნ. ჩაჩიბაია*), თბ., 2103, 26.

[916] იხ.: 1. *იეროთეოს ვლახოსი*, სულიერი მედიცინის მეცნიერებაში (თარგმნა *ეკა დულაშვილმა* და *ლევან ბუკიამ*, რედ. *დეკ. მ. ჭანტურია*), გამომც. „ახალი ივერიონი“, თბ., 2017, 159; 2. ბოროტის ბრძოლის მეთოდებზე დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ: *მიტრ. იეროთეოს ვლახოსი*,

ეშმაკი ეტაპობრივად ებრძვის ადამიანს. იწყებს გულისთქმებით, აგრძელებს სურვილებით და ვნებებით და ამთავრებს ადამიანის სრული დამორჩილებით.[917]

აზრობრივ ბრძოლაზე განსაკუთრებით საინტერესოა *არქ. გ. ბასილაძის* სწავლება, რომელიც შეეხება ბოროტის მხრიდან ქალის მიერ მრუშობის ჩადენას:

> „პატიოსან ქალებსა და ქალიშვილებს ბოროტი, ბილწი აზრებით უტევს, რომ ქალი შინაგანად აირიოს, შეირყეს, გატყდეს, ან ცოდვისკენ მიიდრიკოს, ან გაურკვევლობასა და სასოწარკვეთილებაში ჩავარდეს. ბევრი არ უტყდება თავს, ცდილობს შეებრძოლოს, მაგრამ სამწუხაროდ არ იცის ჭეშმარიტი იარაღი. ბევრი ტყდება კიდეც, სულში ბზარი უჩნდება და გაორებულს, თანდათან იყოლიებს ცოდვის აზრი. ბოროტი „ხელოვანია“ „გამოჭერის“ საქმეში. ჯერ უკეთური და ბილწი აზრებით შეარყევს ადამიანს, მერე კი ჩასძახის: - „ხედავ, რა ჩაიდინე! დამალე! თუ გინდა, რომ საქმე არ გაგიფუჭდესო!“ თუ ეს მზაკვრული შეგონება ქალმა ყურად იღო (და ამას აკეთებს უმეტესობა), მერე მას მრჩევლად ბოროტი მოევლინება და ასწავლის ათასნაირ „გამოსავალს“. ბოროტთან ურთიერთობით ქალი გაცილებით უმძიმეს ცოდვას იდენს ვიდრე ბილწი აზრი, შეხედვა თუ გულისთქმა, რადგან ქალი ბოროტის აზრის მიღებით საკუთარ არსებაში უშვებს ეშმაკს, ეს კი წარმწყმედელია! როცა ბოროტი მოკალათდება ადამიანში, ის მერე ადამიანს ქრისტესკენ გახედვის საშუალებასაც არ მისცემს. მერე ბოროტი განაგებს ქალს, ხდება მისი მესაიდუმლე და მბრძანებელი. სულ უფრო და უფრო დასცემს მას თავის შინაგანში. ქალი გაორებული, სულ უფრო დაბნეული და გაოგნებული ხდება. გამოსვლას ისევ ეშმაკი ასწავლის, როგორ „მოაგვაროს“ სინდისთან, ქმართან და ღმერთთან. საბოლოოდ ქალი იქცევა ეშმაკის მატარებლად და მერე ქალს ეშმაკის უფრო ეშინია, ვიდრე ღმერთისა და გამორიცხულია, მან სულის მაცხოვნებელი აღსარება უთხრას მოძღვარს.“[918]

დეკ. დავით ციცქიშვილი კი, მრისხანების ვნების მაგალითზე დაყრდნობით, შემდგენაირად განმარტავს თუ როგორი თანმიმდევრობით წარიმართება აზრობრივი ბრძოლა:

> „მამა ანემპოდისტე აღწერს, თუ როგორ ცდილობს ბოროტი მრისხანების ვნებით გაახელოს ადამიანი - ეს პრაქტიკულად ჩვეულებრივი მოვლენაა და მსგავსი რამ ბევრს განუცდია ცხოვრებაში: „დემონი მშვიდად

მართლმადიდებლური ფსიქოტერაპია, (მეორე გამოცემა, თარგმნა *ე. დულაშვილმა*; რედ. *მღვდელი ზ. ცხოვრებაძე*), გამომც., „ახალი ივერიონი“, თბ., 2010, 140-148 და 173-183.

[917] იხ. *მიტრ. იეროთეოს ვლახოსი*, მართლმადიდებლური ფსიქოთერაპია, მეორე გამოცემა (მთრგმნ. *ე. დულაშვილმა*; რედ. *მღვდელი ზ. ცხოვრებაძე*), გამომც., „ახალი ივერიონი“, თბ., 2010, 173.

[918] *ჩაგუნავა ა., ვეკუა ი.*, დასახ. ნაშრ., 272-273.

მჯდომ კაცს პირველ აზრობრივ ისარს ესვრის, მაგალითად, ასეთს - „გუშინ კამათისას მოსაუბრემ შეურაცხმყოფელი სიტყვებით მოგმართა, რაზეც იმ მომენტში ვერ შეძელი სათანადო პასუხის გაცემა“. ადამიანი კრთება, რადგან დემონურმა ისარმა სამიზნეს მიაღწია. ამის შემდეგ იწყება აზრობრივი განვითარების მეორე ეტაპი. კაცი სკამიდან დგება და გონებაში შემდეგი აზრი გაულევებს: „მართლაცდა, იმ მომენტში ვერ მოვნახე საჭირო სიტყვები, რომ მეპასუხა, არადა შეიძლებოდა, ასე და ასე მიმეგო“. იწყება მესამე ეტაპი და დემონური ზემოქმედების ქვეშ მყოფი იწყებს მუშტების ქნევით ოთახში წინ და უკან სიარულს, გონებაში აზრები სწრაფად ენაცვლება ერთმანეთს. ბოროტი ახელებს მის წარმოსახვას და ელვისებურად შთააგონებს გესლიან სიტყვებს: „დიახ, საჭირო იყო, ასე გამეცა პასუხი. მინდა ვიცოდე რას მიპასუხებდა“. ასეთი აზრობრივი შთაგონებით აღძრულ ადამიანს მრისხანება უფრო და უფრო იპყრობს და იწყება დემონთა მხრიდან გონების დაპყრობის მეოთხე ეტაპი, რომელსაც დატყვევების სტადიას უწოდებენ - ბოლოს გაშმაგებული ადამიანი რევანშზე ოცნებას იწყებს, შურისძიების გეგმას აწყობს მეორე დღისთვის. აქ უკვე ნათლად ჩანს ცოდვილი ჩანაფიქრის განვითარების მეხუთე სტადია, რომელსაც ვნებას უწოდებენ.“[919]

უხილავი მტრის ბრძოლის მეთოდებზე საინტერესოა ასევე *ს. ჩანის* სწავლება. წიგნში „ადამიანი და ცოდვა“. *ჩანი* ერთმანეთისაგან განასხვავებს ეშმაკისა და ხორცის ცდუნებას და იქვე აღწერს, რომ ბრძოლა წარიმართება სამ ეტაპად.[920]

ჩანი განმარტავს, რომ ცდუნება ხშირად მოულოდნელად მოდის, ყოველგვარი წინასწარი ფიქრის გარეშე. ამ ეტაპზე შეიძლება ავიღოთ მდგომარეობის ორი მიმართულება:

1. ჩვენ შესაძლოა ვიგრძნოთ გარკვეული სიბრაზე, შიში, ან სიძულვილი ამ უეცარი აზრის მიმართ და მაშინვე უარვყოთ იგი;

2. ან შეიძლება ვიგრძნოთ გარკვეული კმაყოფილება ან ხიბლი და დავიწყოთ მასზე ფიქრი. თუ ავიღებთ პირველი მოქმედების მიმართულებას, ცდუნება იქვე დამთავრდება. ესე იგი დავძლიეთ ეს ცდუნება. მაგრამ თუ დავიწყებთ იმ ცდუნებაზე ფიქრს, ის გადავა მეორე სტადიაში და გახდება შინაგანი ცდუნება. ამრიგად, ეშმაკის გარეგანი ცდუნება გადაიქცევა ხორცის შინაგან ცდუნებად. მეორე სტადიაშიც ცდუნება ჯერ კიდევ არ არის ცოდვა. ამ სტადიაში ხდება ის, რომ ცოდვილი ბუნება იხიბლება ბოროტი აზრით, მაგრამ ჩვენში არსებული რაღაც სხვა - ჩვენი განახლებული ბუნება, სიცოცხლის სული - ამ დროს ეწინააღმდეგება მას. ამის შედეგად განვიცდით იმას, რასაც

---

[919] *დეკ. დავით ციცქიშვილი*, ფსიქოლოგიაში უპირველესი დამხმარე ღმერთია, ჟურნალი „სარკე“, №4-10, იანვარი, 2012, 27,

[920] იხ. *ჩანი ს.*, დასახ. ნაშრ., 200.

მოციქული პავლე გალატელთა 5, 17-ში გვიხსნის: „ვინაიდან ხორცს სულის საწინააღმდეგო სურს, სულს კი - ხორცის საწინააღმდეგო.“

3. ამის შედეგად შინაგან კონფლიქტს განვიცდით, როცა ჩვენი ერთი ნაწილი ბოროტ ფიქრებს ეუბნება „დიახ“, მეორე კი ეუბნება - „არა“. ეს კონფლიქტი შეიძლება გარკვეული დროის მანძილზე გაგრძელდეს. თუ საბოლოოდ ვიტყვით, დიახს, გამოდის, რომ დავმორჩილდით მას. სწორედ ეს დამორჩილება ცდუნებაზე არის ცოდვა. *ს. ჩანი* აღნიშნავს, რომ იაკობი ნათლად აღწერს ცდუნების მეორე სტადიიდან მესამეში გადასვლას: „არამედ ყოველი ცოდვა იცდება თავისი გულისთქმით, რომელიც წარიტაცებს და აცდუნებს მას. მერე გულისთქმა ჩასახავს და შობს ცოდვას. ჩადენილი ცოდვა კი შობს სიკვდილს“ (იაკობი 1, 14-15).[921]

1 ეტაპი:	**გარეგანი ცდუნება:** ეშმაკისგან მოდის ბოროტი აზრი
2 ეტაპი:	**შინაგანი ცდუნება:** ხორცი სიამოვნებით ღებულობს ბოროტ აზრს
3 ეტაპი:	**ცოდვა:** ნება ეთანხმება ანუ ემორჩილება ბოროტ აზრს

ს. ჩანის სქემატურად წარმოდგენილი ცდუნების სამი ეტაპი, ანუ სტადია.[922]

უხილავ მტერთან ბრძოლის საკითხზე არსებობს ვრცელი ლიტერატურა და მრავალი სწავლებაა. განსხვავებული მეთოდების და ინტერპრეტაციების მიუხედავად, საბოლოო ჯამში, ყველა თანხმდება იმაში, რომ ცოდვას, წინ უძღვის ცდუნება და ფსიქიკური აქტივობა. ბოროტის, ტრანსცენდენტული არსების მიზანია ადამიანის გონების დამორჩილება. წარმატების მისაღწევად იგი მრავალ ხერხს მიმართავს. მართალია, ცდუნების ავტორი არ არის ადამიანი, მაგრამ ადამიანი, რომელიც ნებით ღებულობს ბოროტის შემოთავაზებას, პასუხისმგებელია თავის ქმედებაზე. ცოდნას იმის შესახებ, თუ საიდან მომდინარეობს ცდუნება და როგორ ვითარდება იგი, უდიდესი აქსიოლოგიური მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ დანაშაულობის დეტერმინაციის, არამედ პრევენციის თვალსაზრისითაც, რადგან მეცნიერება ამტკიცებს, რომ აზრები პირველხარისხოვან გავლენას ახდენენ ჩვენს მდგომარეობასა და საქციელზე (ფსიქოლოგი *ა. იასირი*).[923]

3.1.3.3 უხილავი ბრძოლის სხვა მეთოდები

აღნიშნულ თემაზე საკმაოდ საინტერესო სწავლებებს ვაწყდებით *ე. ვლახოსის* წიგნში, „სულის მედიცინის მეცნიერება“. ტექსტის ანალიზი, იძლევა ცხრა მიდგომის იდენტიფიცირების შესაძლებლობას, რომელსაც ეშმაკი იყენებს ადამიანის წინააღმდეგ:

1. **გულისთქმები**: გულისთქმების დათესვით ადამიანში ხდება გონების დატყვევება. გულისთქმებში იგულისხმება უბრალო და შერეული აზრები, რაც ვნებებსა

[921] იხ. *ჩანი ს.*, დასახ. ნაშრ., 200-201.

[922] იხ. *ჩანი ს.*, დასახ. ნაშრ., 201.

[923] იხ. *მანია ა.*, როგორ ვმართოთ საკუთარი ფიქრები, სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი „ფენომენი“ (დირ. *გ. გობეჩია*; რედ. *მ. თუნგია*), №15, თბ., 2015, 33.

და საგნებს უკავშირდება. ვნებები გულში არსებობს, ამიტომ ეშმაკი მათი საშუალებებით მოქმედებს;

2. **შეგრძნებები და ყნოსვა**: არის შემთხვევა, როცა დემონები, „სხეულის ნაწილებით ეხებიან ძილში გარყვნილების ცოდვით“ (*წმ. მაქსიმე*). ამ ცოდვის შემოსვლით გონებაში ქალის სურვილი აღიძვრება;

3. **სხეულის ორგანოების აღგზნება**: მაგალითად, როცა მონაზონი მღვიძარებს და არ აძლევს ეშმაკს გონებაში შემოჭრის საშუალებას, მაშინ ბოროტი სული აღიზიანებს სხეულის ნაწილებს, რომ აღძრას სიამოვნების ვნება და დაატყვევოს გონება;

4. **მწუხარება და განსაცდელები**: ზოგიერთ სნეულებას სატანური წარმომავლობა აქვს, ამიტომ მისი განკურნება მხოლოდ წამლით შეუძლებელია, საჭიროა ეკლესიური მეთოდების გამოყენება;

5. **გარეგნული დაბრკოლებები**: როგორც ეშმაკი ებრძოდა უფალს ფარისეველთა საშუალებით, ასე მუდმივად ებრძვის ადამიანებს სხვა ადამიანთა საშუალებით და აღძრავს ჩვენს წინააღმდეგ მათ, „ვისაც არ ეშინია უფლისა“ (*წმ. მაქსიმე*);

6. **წარმოსახვა**: წარმოსახვა აქვთ მხოლოდ ადამიანებს და დემონებს. ამიტომ ფანტაზია სატანური მოქმედების კარგი წინამძღოლია. მუდმივად ოცნებებით მცხოვრები ადამიანი განიცდის დემონების ზეწოლას;

7. **გარეგანი გაღიზიანება**: ეშმაკი ცდილობს შეაშინოს ადამიანი ბრახუნით, ყვირილით და ა.შ. ხმაური არ არის გამოწვეული სხვადასხვა ბუნებრივი მოვლენით, არამედ დემონების ზემოქმედებაა. ეს ჩანს შიშისაგან, რასაც ეს ხმაური იწვევს (*წმ. ნიკიტა სტითატი*);

8. **პერსონალური გამოჩენა**: დემონები ემსგავსებიან ქალებს, მხეცებს, ჯარისკაცებს (*წმ. ანტონი დიდი*). ისინი გვევლინებიან ვნებების შესაბამისად. ეშმაკი ჩნდება ანგელოზების, წმინდანების, მონაზვნების სახითაც და ნათელსაც ატარებენ (2 კორ. 11, 14). ზოგჯერ დემონი ძილშიც და სიფხიზლეშიც ჩნდება ანგელოზის ან მოწამის სახით;

9. **ბოროტისაგან შეპყრობილი**: სახარებაში გვხვდება შეპყრობილები და მათი განკურნებაც. *წმ. გრიგოლ პალამას* თქმით, ეშმაკი იმორჩილებს ტვინს, სხეულის მწვერვალს, საიდანაც იმართება მთელი სხეული. ტვინის დაპყრობის შემდეგ იტანჯება ნერვები და სხეულის მოძრაობა მას ემორჩილება.[924]

საყურადღებო სწავლებას გვთავაზობს *მელეტიოს აღმსარებელი*, რომლის მიხედვითაც, დემონები ექვსი მხრიდან ებრძვიან ადამიანს, - წინიდან, უკნიდან, ზემოდან, ქვემოდან, მარჯვნიდან და მარცხნიდან: *წინიდან* ბრძოლაა, როცა ეშმაკი გულისთქმებით და სურვილებით გვიტევს, *უკნიდან* წარსულის მოგონებებით გვებრძვის; *ზემოდან* არის სათნოების მოპოვებისას საკუთარ ძალაზე მეტისმეტი

[924] იხ. *მიტრ. იეროთეოს ვლახოსი*, სულიერი მედიცინის მეცნიერებაში (მთრგმნ. *ე. დუღაშვილმა* და *ლ. ბუკიამ*, რედ. *დეკ. მ. ჭანტურია*), გამომც., „ახალი ივერიონი“, თბ., 2017, 166-173.

წარმოდგენა; *ქვემოდან* ნაკლებობა სათნოებისა (ამიტომ ამბობენ წმინდა მამები, რომ უკიდურესობა ბოროტისგანაა). *მარჯვნიდან* გვებრძვის ეშმაკი მაშინ, როცა სიკეთის მოჩვენებით ბოროტებაში გვაგდებს; *მარცხნიდან* კი, ბოროტების მიზეზის ჩვენებით ცოდვას ჩაგვადენინებს.[925]

წმიდა მამა იქვე განმარტავს, რომ ზოგადად, ყველა ცბიერი აზრი სულში იჭრება შინაგანი და გარეგანი ბრძოლის მეთოდით. შინაგანი ბრძოლით, ბოროტი წარმოსახვაში აღბეჭდავს რაიმე სურათს ან იდეას. გარეგანი მეთოდით კი ხუთი შეგრძნებით გვიტევს. ესენია ხილული საგნები, მოსასმენი, საყნოსი, ხელშესახები და გემოს გასასინჯი. ამ შინაგან და გარეგან გულისთქმათა მიზეზი სამია: პირველი - დემონები; მეორე - ვნებები, ანუ ჭრილობები, რაც ექვსივე მხრიდან მივიღეთ საგანთა სიძულვილით, სიყვარულით ან მათი ვნებიანი სურვილით; მესამე - ადამიანური ბუნების ხრწნადი მდგომარეობა.[926]

წმ. სინკლიტიკი გვასწავლის, რომ ეშმაკს როცა არ შეუძლია აამოძრაოს სული სიღატაკით, მაშინ უგზავნის სიმდიდრეს. თუ არ შეუძლია არაფრის გაკეთება, ლანძღვით და ცილისწამებით უგზავნის ხოტბას და დიდებას. როცა მარცხდება ჯანმრთელობით, ასნეულებს სხეულს. რისიც ეშინია ადამიანს, იმაშია განსაცდელი. როდესაც არ შეუძლია აცდუნოს ადამიანი სიამოვნებით, ცდილობს გამოუჩინოს უნებური ტკივილები მწუხარებით და, ამგვარად, მოქმედებს მრავალი სნეულებით, რომ აიძულოს ადამიანი, შეწყვიტოს ღვთის სიყვარული. ამით ვლინდება, რომ ეშმაკი ებრძვის მეთოდურად ადამიანს. ცდილობს იპოვოს სუსტი მხარე და მისკენ მიმართოს საბრძოლო ჟინი.[927]

რამი კი, ამტკიცებს, რომ: „ცდუნება შესაძლოა ჩვენში მოვიდეს შინაგანი გახრწნილების შედეგად, ან გრძნობითი აღქმის მეშვეობით, ან სხვა ადამიანებისაგან, ან კიდევ დემონისაგან."[928]

წმიდა ბერი პაისის სწავლებით, თუკი პიროვნება საკუთარ თავს მომაკვდინებელი ცოდვებით შებღალავს, მასში არაწმინდა სული ჩასახლდება, ხოლო თუ ის ცოდვები, რომლითაც იგი საკუთარ სულს აბინძურებს, მომაკვდინებელი არ არის, მაშინ იგი ბოროტი სულის ზემოქმედებას გარედან განიცდის."[929]

დაბოლოს, ირკვევა, რომ ეშმაკის მეთოდები ადამიანის ცხოვრების წესის შესაბამისია. იგი არ ებრძვის ყველას ერთი და იმავე მეთოდებით. განსხვავებულად ებრძვის დაქორწინებულს და დაუქორწინებელს, ისიხასტ მონაზონს და კინოვიაში

---

[925] იხ. *წმ. ნიკოდიმოს მთაწმინდელი*, დასახ. ნაშრ., 93, სქოლიო 63.

[926] იხ., იქვე.

[927] იხ. *მიტრ. იეროთეოს ვლახოსი*, მართლმადიდებლური ფსიქოტერაპია (მეორე გამოცემა, თარგმნა *ე. დუღაშვილმა*; რედ. *მღვდელი ზ. ცხოვრებაძე*), გამომც., „ახალი ივერიონი", თბ., 2010, 174-175.

[928] *ჩანი ს.*, დასახ. ნაშრ., 201.

[929] *მამა პაისი მთაწმინდელი*, ტკივილითა და სიყვარულით - თანამედროვე ადამიანის შესახებ (მოამზადა *თ. გოგოჩაშვილმა*), თბ., 2004, 38.

მცხოვრებს, სულიერ ცხოვრებაში დამწყებს და წარმატებულს.[930] გარდა ამისა, დღისით და ღამით განსხვავებული ბრძოლაა. ძილის დროს დემონები ცდილობენ სიზმრებით შერყვნან ადამიანის სული.[931]

3.1.4 შეჯამება

როგორც ირკვევა, პირველი ცოდვის ჩადენა ხდება ჯერ ტრანსცენდენტულ სამყაროში ანგელოზის, ხოლო შემდეგ, ხილულ სამყაროში, ადამიანის მიერ. უცოდველად შექმნილ ანგელოზსაც და ადამიანსაც მინიჭებული ჰქონდათ მოქმედების თავისუფლება. იმის გამო, რომ სათნოება იძულებით არ აღესრულება, ღმერთმა ანგელოზსა და ადამიანს მიანიჭა მოქმედების სრული თავისუფლება, გაძლიერებულიყვნენ სიკეთეში, გამხდარიყვნენ უფრო სრულყოფილი არსებანი. ნაცვლად ამისა, ამპარტავნების ვნებით შეპყრობილი ანგელოზი, მოინდომებს ღმერთის ადგილზე ყოფნას (ეზეკ. 28, 2). იგი საკუთარი ნებით ჩაიდენს უკანონობას, ღმერთს განეშორება და აღმოჩნდება ბოროტებაში. დაცემული ანგელოზი, კარგავს ღვთაებრივ ცხოვრებას, ღმერთს, ხოლო სასჯელად ღებულობს სიკვდილს და ზეციდან გადმოგდებას.

მსგავსი სიტუაცია მეორდება ხილულ სამყაროშიც. თუმცა, განსხვავება იმაშია, რომ ადამიანი ცდუნებული იქნა დაცემული ანგელოზის მიერ. უცოდველ ქმნილებებში ეჭვის შეტანით, ბოროტი ადამიანებში აღძრავს ამპარტავნების სურვილს „*იქნებით, როგორც ღმერთები, კეთილისა და ბოროტის მცოდნეები, თუკი შეჭამთ*“ (შეს. 3, 5). განმსჭვალულნი ამპარტავნების ვნებით, ჯერ ევა, ხოლო შემდეგ ადამი, საკუთარი ნებით ღებულობენ ბოროტის მაცდუნებელ წინადადებას და არღვევენ საღვთო ნორმას. ცოდვაში შესვლით, პირველქმნილი ადამიანები განეშორებიან ღმერთს და შეიძენენ ბოროტის ბუნებასაც, რომელიც ბუნებრივი შობის კანონით, გადაეცემა ადამიანის მოდგმას.

დაცემულ ანგელოზს ღმერთისაგან ნება ჰქონდა მიცემული პირველქმნილ ადამიანზე შეტევისა, მაგრამ არა იძულებისა. ეს დაშვება გამოწვეული იყო იმით, რომ ღმერთს სურდა ადამიანის გამოცდა, თავისუფლებაში განმტკიცება და ადამიანის განღმრთობა. მას შემდეგ, რაც ადამიანი თავისი ნებით დაემორჩილა ეშმაკის ხელმწიფებას, ეშმაკს უფლება რჩება თავისუფლად მიუდგეს ადამიანს.

რადგან ბოროტი ტრანსცენდენტული ბუნებისაა, ბრძოლაც ტრანსცენდენტულ სფეროში მიმდინარეობს. იარაღი, რომელსაც ყველაზე კარგად იყენებს ბოროტი ადამიანის წინააღმდეგ, არის პირველი ცოდვის შედეგად, თავად ადამიანში დამკვირდებული სულიერი და ხორციელი ვნებები. მათი საშუალებით ბოროტი

---

[930] იხ. *მიტრ. იეროთეოს ვლახოსი*, მართლმადიდებლური ფსიქოტერაპია, მეორე გამოცემა (მთრგმნ. *ე. დუღაშვილი*; რედ. *მღვდელი ზ. ცხოვრებაძე*), გამომც., „ახალი ივერიონი“, თბ., 2010, 175.
[931] იხ., იქვე, 176-177.

ცდილობს ადამიანი აცდუნოს ზუსტად ისე, როგორც ცდილობდა უფლის ცდუნებას. ბრძოლა, წარმართება მეთოდურად და ყველასთან განსხვავებულად. იგი ცდილობს ადამიანს მოუძებნოს ყველაზე სუსტი მხარე და მისკენ მიმართოს ძალისხმევა. ბრძოლის მეთოდები მრავალია და ძირითადად იგი იწყება გულისთქმებით, შემდეგ ვნებებით, რაც საბოლოოდ სრულდება ადამიანის გონების სრული დამორჩილებით.

ამგვარად, მართლმადიდებლური დოქტრინის მიხედვით, ცოდვის მიზეზობრიობაში, ფიგურირებს ორი მნიშვნელოვანი ასპექტი: 1. ტრანსცენდენტული არსების მიერ ადამიანის ცდუნება, და 2. ადამიანის თავისუფალი ნება, არჩევანის უფლება.

საყურადღებოა, რომ დანაშაულ(ობ)ის მიზეზობრიობაში, ფილოსოფოსები, იურისტები, განმანათლებლები, ასევე სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის კლასიკური სკოლა და დანაშაულის ლეგალისტური კონცეფციაც, ადამიანში არსებულ ვნებებსა და ადამიანთა ქმედებებში, აუცილებელ ელემენტებად განიხილავენ ადამიანის თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობას. აღნიშნული საკითხები ვრცლად იქნება გამოკვლეული ოდნავ ქვემოთ, მანადე კი, მიზანშეწონილია გაანალიზდეს თავად ვნების ფენომენი.

3.2 ვნებათა კლასიფიკაცია და მათი დახასიათება

3.2.1 ვნებათა კლასიფიკაცია

ვნება პოლისემიური სიტყვაა და მასში იგულისხმება დემონი,[932] ბოროტი სული,[933] ბოროტი აზრი,[934] ბოროტი გრძნობა,[935] მომაკვდინებელი ცოდვა[936] და სნეულება,[937] როგორც შინაგანი,[938] ასევე გონებისა[939] და სულის.[940]

---

[932] „ყველა ვნებას ჰყავს შესაბამისი დემონი“ (*ილია პრესვეტერი*), იხ. *მიტრ. იეროთეოს ვლახოსი*, მართლმადიდებლური ფსიქოტერაპია, მეორე გამოცემა (მთრგმნ. *ე. დულაშვილი*; რედ. *მღვდელი ზ. ცხოვრებაძე*), გამომც., „ახალი ივერიონი“, თბ., 2010, 225.

[933] იხ. *მიტრ. იეროთეოს ვლახოსი*, სულიერი მედიცინის მეცნიერება, (მთრგმნ. *ე. დულაშვილი, ლ. ბუკიამ*; რედ. *დეკ. მ. ჭანტურია*), გამომც., „ახალი ივერიონი“, თბ., 2017, 159.

[934] იხ. *მიტრ. იეროთეოს ვლახოსი*, მართლმადიდებლური ფსიქოტერაპია, მეორე გამოცემა (მთრგმნ. *ე. დულაშვილი*; რედ. *მღვდელი ზ. ცხოვრებაძე*), გამომც., „ახალი ივერიონი“, თბ., 2010, 228.

[935] იხ. *წმიდა მღვდელმთავარი გაბრიელი (ქიქოძე)*, ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები, თბ., 2012, 149, 155.

[936] იხ. *მღვდელი ლევან ნავროზაშვილი*, დასახ. ნაშრ., 19.

[937] იხ. *მიტრ. იეროთეოს ვლახოსი*, სულიერი მედიცინის მეცნიერება, (მთრგმნ. *ე. დულაშვილი, ლ. ბუკიამ*; რედ. *დეკ. მ. ჭანტურია*), გამომც., „ახალი ივერიონი“, თბ., 2017, 81.

[938] იხ. *მიტრ. იეროთეოს ვლახოსი*, მართლმადიდებლური ფსიქოტერაპია, მეორე გამოცემა (მთრგმნ. *ე. დულაშვილი*; რედ. *მღვდელი ზ. ცხოვრებაძე*), გამომც., „ახალი ივერიონი“, თბ., 2010, 251.

[939] იხ. *მღვდელი ლევან ნავროზაშვილი*, დასახ. ნაშრ., 29.

[940] იხ. მამათა სწავლანი, სულიერი ცხოვრების შესახებ (შემდგ. *ვლ. წამალაშვილი*; რედ. *ნ. კვანტალიანი*), გამომც., "ბეთანია", თბ., 2015, 99.

ბიბლიაში, ისევე როგორც, საეკლესიო ლიტერატურაში ვნებების შესახებ გვხვდება სხვადასხვა ნიშნის საფუძველზე აგებული კლასიფიკაციები. მაგალითად: 1. ვნებათა სახეების განსაზღვრა ვნების წყაროზე მითითებით; 2. ვნებათა რენდომილი (ყოველგვარი იერარქიულობის და წყაროზე მითითების გარეშე) ტიპიზაცია; 3. ვნებათა დიფერენცირება სულიერი და სხეულებრივი ვნებების მიხედვით; 4. ვნებების იდენტიფიცირება სხვადასხვა ნიშნით. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი.

1. ვნებათა სახეების განსაზღვრა ვნების წყაროზე მითითებით:

მათესა და მარკოზის სახარებიდან ირკვევა, რომ ვნებები კაცის გულიდან გამოვლენ, ბილწავენ ადამიანს და იქვეა გაკეთებული ვნებათა ჩამოთვალი: უკეთური ზრახვანი, კაცისკვლანი, მრუშობანი, სიძვანი, პარვანი, ცილისწამებანი, გმობანი (მათ. 15, 19-20); სიძვანი, ანგარებანი, უკეთურებანი, მზაკვრობანი, გარყვნილება, თვალის სიავე, გმობა, ქედმაღლობა, უგუნურება (მარკ. 7, 21-23).

მაქსიმე აღმსარებელი ფიქრობს, რომ თავმოყვარეობა არის უმთავრესი ვნება, რომლისგანაც იბადება სხვა დანარჩენი: ნაყროვანება, ვერცხლისმოყვარეობა და ცუდად მზვაობრობა (ამპარტავნება). ამათგან კი, ვნებების მთელი რიგი იშვება.[941] მისივე თქმით „ვნებათაგან ზოგი ხორციელია, ზოგი სულიერი. ხორციელი სხეულისაგან იღებს მიზეზს, სულიერნი კი გარე საგნებისგან“.[942]

მიტრ. ი. ვლახოსის წიგნში, „მართლმადიდებლური ფსიქოთერაპია“, მოცემულია *წმინდა თალასეს* სწავლება, რომელიც გამოყოფს სამ ძირითად მაცდუნებელ აზრს: 1. ნაყროვანება; 2. პატივმოყვარეობა და 3. ვერცხლისმოყვარეობა, რასაც მოსდევს სხვა ვნებიანი აზრები. ამ სამ აზრს, შეესაბამება სამი დიდი ვნება: 1. სიამოვნებისმოყვარეობა; 2. დიდებისმოყვარეობა და 3. ვერცხლისმოყვარეობა.[943]

2. ვნებათა რენდომილი ტიპიზაცია:

წმ. კასიანე რომაელი საუბრობს ვნების დემონებზე და გამოყოფს რვა სახეობას: თავშეუკავებლობა; გარყვნილება და ხორციელი სურვილი; ვერცხლისმოყვარეობა; მრისხანება; მწუხარება; გულგრილობა; ამაოება და ამპარტავნების სულები.[944]

წმინდა იოანე სინელის „კლემაქსში“ წარმოდგენილია ასევე რვა ვნება, შემდეგი თანმიმდევრობით: 1. ნაყროვანება; 2. სიძვა; 3. ვერცხლისმოყვარეობა; 4. მრისხანება; 5. მოწყენილობა; 6. მწუხარება; 7. პატივმოყვარეობა, და 8 ამპარტავნება.[945]

---

[941] იხ. *მიტრ. იეროთეოს ვლახოსი*, მართლმადიდებლური ფსიქოტერაპია, მეორე გამოცემა (მთრგმნ. *ე. დულაშვილი*; რედ. *მღვდელი ზ. ცხოვრებაძე*), გამომც., „ახალი ივერიონი“, თბ., 2010, 260-261.

[942] იხ., იქვე, 264.

[943] იხ., იქვე, 229.

[944] იხ. *მიტრ. იეროთეოს ვლახოსი*, სულიერი მედიცინის მეცნიერება, (მთრგმნ. *ე. დულაშვილი*, *ლ. ბუკიამ*; რედ. *დეკ. მ. ჭანტურია*), გამომც., „ახალი ივერიონი“, თბ., 2017, 160.

[945] იხ. *წმინდა იოანე სინელი*, კლემაქსი ანუ კიბე (თანამედროვე ქართულ ენაზე ტექსტი გამართა *ტ. ცომაიამ*; რედ. *ნათელა ხურცილავა*), მეორე გამოცემა, გამოც., „ახალი ივერიონი“, თბ., 2014, 189.

ანალოგიურ თანმიმდევრობას მაგრამ ოდნავ განსხვავებული ტერმინებით გვთავაზობს *ევაგრე პონტოელი*: 1. ნაყროვანება; 2. სიძვა; 3. ვერცხლისმოყვარეობა; 4. მწუხარება; 5. გულის-მწყრალობა; 6. ურვა; 7. ცუდად-მზუაობრობა; 8. ამპარტავნება.[946]

მღვდელი ლევან ნავროზაშვილის ნაშრომში მოცემულია ვნებათა რვა სახეობა, რომელთაც ეწოდება მომაკვდინებელი ცოდვები: 1. ნაყროვანება და გემოთმოყვარეობა; 2. პატივმოყვარეობა და დიდებისმოყვარეობა; 3. ანგარება და სახმართმოყვარეობა; 4. სიძვა და მრუშობა; 5. მრისხანება; 6. მოწყინება და მწუხარება; 7. სასოწარკვეთილება და უსუსურება; 8. ამპარტავნება.[947]

წმინდა იოანე სინელს მართებულად მიაჩნია ვნებების რვა ტიპად დაყოფა, „რადგან არ არსებობს ადამიანი, პატივმოყვარეობა რომ დაუძლევია, თავად კი ამპარტავნებას უძლევია“.[948] თუმცა, *გრიგოლ ღვთისმეტყველი* და სხვა მრავალი საეკლესიო მოღვაწე, ასახელებს შვიდ ვნებას, რადგან პატივმოყვარეობას და ამპარტავნებას ერთ ვნებად მიიჩნევენ.[949]

აბბა ამბროსი გვთავაზობს 10 სახეობას. მისი აზრით, ყოველი ვნება ცოდვიანი ზრახვებიდან იწყება[950] და თავის დარიგებებში აღწერს ათ ვნებას: 1. ამპარტავნება; 2. პატივმოყვარეობა; 3. ზესთმჩენობა; 4. თავის მოყვარეობა; 5. მრუშობა; 6. სასოწარკვეთილება; 7. ვერცხლისმოყვარეობა; 8. განკითხვა; 9. შური; 10. სულმოკლეობა; 11. მოუთმენლობა; 12. მაამებლობა და 13. გემოთმოყვარეობა.[951]

3. ვნებათა დიფერენცირება სულიერი და სხეულებრივი ვნებების მიხედვით:

გრიგოლ სინელი აჯამებს წმინდა მამების მოსაზრებებს სულიერი და ხორციელი ვნებების შესახებ და წერს, რომ: „ვნებებს სხვადასხვა სახელწოდებები აქვთ, მაგრამ იყოფიან სულიერად და ხორციელად. სულიერ ვნებებში ვარჩევთ მრისხანეს, სურვილიანს და გააზრებულს.... გამოვყოფთ გონებისა და შემეცნების ვნებებს. ისინი ურთიერთმოქმედებენ. ხორციელი ვნებები სურვილთან, სულიერი მრისხანესთან და გააზრებულთან, გააზრებული გონებრივთან, გონებრივი ხსოვნის ვნებებთან.“[952]

ანალოგიურად მსჯელობს *გრიგოლ პალამაც*, რომ თავმოყვარეობიდან იბადება სამი ძირითადი ვნება: დიდებისმოყვარეობა, ვერცხლისმოყვარეობა და

---

[946] იხ. ასკეტური ფორმულები (შემდგ. მორჩილი, *გრ. რუხაძე*), საპატრიარქოს გამოცემლობა, თბ., 2015, 18-19.

[947] იხ. *მღვდელი ლევან ნავროზაშვილი*, დასახ. ნაშრ., 19.

[948] *წმინდა იოანე სინელი*, კლემაქსი ანუ კიბე (თანამედროვე ქართულ ენაზე ტექსტი გამართა *ტ. ცომაიამ*, რედ. *ნ. ხურცილავა*), მეორე გამოცემა, გამოც., „ახალი ივერიონი“, თბ., 2014, 189.

[949] იხ., იქვე.

[950] იხ. *სქემარქიმანდრიტი იოანე (მასლოვი)*, ლექციები სამოძღვრო ღვთისმეტყველებაში, მეორე გამოცემა, (მთრგმნ. *გრ. რუხაძე*), გამომც., საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბ., 2013, 482.

[951] იხ., იქვე, 475-487.

[952] *მიტრ. იეროთეოს ვლახოსი*, მართლმადიდებლური ფსიქოტერაპია, მეორე გამოცემა (მთრგმნ. *ე. დუღაშვილი*; რედ. *მღვდელი ზ. ცხოვრებაძე*), გამომც., „ახალი ივერიონი“, თბ., 2010, 265-266.

სიამოვნებისმოყვარეობა, რომელთაგან წარმოიშობა ყველა სხვა, ადამიანის სულისა და სხეულის წამბილწავი ვნება.[953]

წმ. დიოდიხოს ფოტიკელი კი, გამოყოფს ორ დიდ სახეობას, არანივთიერ და ნივთიერი დემონებს. პირველი სახეობა ებრძვის სულს, ხოლო მეორე სხეულს და ცდილობენ ამით დაატყვევონ გონება.[954]

4. ვნებების იდენტიფიცირება სხვადასხვა ნიშნებით:

იოანე სინელი გამოარჩევს ერისკაცთა და მონაზონთა ვნებებს, მაგალითად „ერის კაცთა შორის ძირი ყოველთა ბოროტთა არს ვერცხლისმოყვარება; ხოლო მონაზონთა შორის ნაყროვანება. დასნეულებული ერისკაცები მრისხანების და ცილისწამების ვნებით არიან შეპყრობილნი, ხოლო მონაზვნები ნაყროვანების, სიძვის, მოწყინებისა და უმადლოების ვნება სტანჯავთ."[955]

წმ. ნიკოდიმოს მთაწმინდელი მიხედვით, ქრისტეს მხედრები ეცნობიან მრავალნაირ ცდუნებას, ცბიერების ხელოვნებას, რასაც მათ წინააღმდეგ მიმართავენ გონიერი მტრები წარმოსახვებით, სარწმუნოების დამცრობით და ოთხი ვნების შემოტევით: ურწმუნოებით, სასოწარკვეთილებით, ცუდადმზვაობრიობით და ამ ყოველივეს ნათელ ანგელოზად გადაქცევით.[956]

არსებობს სხვადასხვა სახის კლასიფიკაციებიც. მაგალითად, *იოანე დამასკელი* ასახელებს რვა ყოვლისმომცველ აზრს, რომელთაგან თითოეულს შეესაბამება ცალკეული ვნება. ეს აზრებია: ნაყროვანება, გარყვნილება (სიძვა), ვერცხლისმოყვარეობა, მრისხანება, მწუხარება, გულგრილობა, ცუდად მზვაობრობა და ამპარტავნება.[957]

წიგნში „სულიერი მედიცინის მეცნიერება“ ასევე ვკითხულობთ, რომ: „წმინდანები გვასწავლიან, რომ არსებობს იმდენი დემონი, რამდენი ვნებაცაა და კონკრეტული ვნებების მიხედვით ახასიათებენ მათ“.[958] გარდა ამისა, *ი. ვლახოსი* ასევე გვთავაზეობს ვნებათა სხვაგვარ დიფერენცირებასაც: „არის ვნებები, რომლებიც ნელ-ნელა ითრევს ადამიანს უფრო მძიმე ცოდვებისკენ და სხვა ვნებების მშობელია და არის ასევე უფრო მძიმე ხორციელი ვნებები.“[959]

---

[953] იხ. *მიტრ. იეროთეოს ვლახოსი*, მართლმადიდებლური ფსიქოტერაპია, მეორე გამოცემა (მთრგმნ. *ე. დუღაშვილი*; რედ. *მღვდელი ზ. ცხოვრებაძე*), გამომც., „ახალი ივერიონი“, თბ., 2010, 262.

[954] იხ. *მიტრ. იეროთეოს ვლახოსი*, სულიერი მედიცინის მეცნიერება, (მთრგმნ. *ე. დუღაშვილი, ლ. ბუკიამ*; რედ. *დეკ. მ. ჭანტურია*), გამომც., „ახალი ივერიონი“, თბ., 2017, 160-161.

[955] *მიტრ. იეროთეოს ვლახოსი*, მართლმადიდებლური ფსიქოტერაპია, მეორე გამოცემა (მთრგმნ. *ე. დუღაშვილი*; რედ. *მღვდელი ზ. ცხოვრებაძე*), გამომც., „ახალი ივერიონი“, თბ., 2010, 266-267.

[956] იხ. *წმ. ნიკოდიმოს მთაწმინდელი*, დასახ. ნაშრ., 6.

[957] იხ. *მიტრ. იეროთეოს ვლახოსი*, მართლმადიდებლური ფსიქოტერაპია, მეორე გამოცემა (მთრგმნ. *ე. დუღაშვილი*; რედ. *მღვდელი ზ. ცხოვრებაძე*), გამომც., „ახალი ივერიონი“, თბ., 2010, 263.

[958] *მიტრ. იეროთეოს ვლახოსი*, სულიერი მედიცინის მეცნიერება, (მთრგმნ. *ე. დუღაშვილი, ლ. ბუკიამ*; რედ. *დეკ. მ. ჭანტურია*), გამომც., „ახალი ივერიონი“, თბ., 2017, 160.

[959] იხ., იქვე, 162.

მიუხედავად იმისა, რომ ვნებათა კლასიფიკაცია აიგება სხვადასხვა ნიშნით, მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, რომ „ვნებების კლასიფიკაციებს შორის გადაულახავი საზღვარი არ არსებობს“ (*მიტრ. ი. ვლახოსი*).[960] აღნიშნული ასპექტი კი, დაგვანახებს, რომ ვნებათა კლასიფიკაციები მეცნიერული თვალსაზრისით, საბოლოო ჯამში, თანაბრად მნიშვნელოვანია.

3.2.2 ცალკეულ ვნებათა დახასიათება

იმის გამო, რომ არსებობს მრავალი ვნება და ყველას მათგანის გაანალიზება ობიექტურად შეუძლებელია, მიზანშეწონილია, გამოკვლეული იქნას შედარებით ყველაზე გავრცელებული ვნება.

ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა ის ძირითადი რვა ვნება, რომელიც მოცემულია წიგნში „მომაკვდინებელ ცოდვათა და სინანულის საიდუმლოებისთვის“.[961] აღნიშნული ვნებები, შედარებით ტიპურია ზემოთმოყვანილ კლასიფიკაციებშიც. პირველი სამი ვნება, - ნაყროვანებით, პატივმოყვარეობითა და ვერცხლისმოყვარეობა, ასევე მოცემულია *წმ. თალასესის* კლასიფიკაციაში, რასაც მოსდევს ის ვნებიანი აზრები, რითაც უნდოდა ეშმაკს ქრისტეს ცდუნება.[962]

ვნებები დახასიათდება ზოგად ჭრილში და იდენტიფიცირებული იქნება კრიმინოლოგიისთვის ზოგიერთი აქტუალური ასპექტი.

3.2.2.1 ნაყროვანება

ნაყროვანება ხორცის მოძღვარი და მამოძრავებელია, რომლითაც ადამიანის დაცემული ბუნება დროებით განსვენებას ეძლევა, რაც საკმარისია იმისთვის, რომ ყველანაირმა ვნებამ დაიდოს ბინა დროებით განსვენებულ და კმაყოფილ ადამიანში.[963] ნაყროვანება, თავისი „უწყინარი ბუნებით“, აძლიერებს ადამიანის დაცემულ ბუნებას.[964]

წმ. გაბრიელ ქიქოძე აღნიშნავს, რომ აღნიშნულ ვნებას ადამიანი პირუტყვის დონემდე დაჰყავს.[965] *წმ. იოანე სინელი* სწავლებით, ნაყროვანება მონაზვნებში არის ყველა ბოროტის წყარო.[966]

---

[960] *მიტრ. იეროთეოს ვლახოსი*, მართლმადიდებლური ფსიქოტერაპია, მეორე გამოცემა (მთრგმნ. *ე. დუღაშვილი*; რედ. *მღვდელი ზ. ცხოვრებაძე*), გამომც., „ახალი ივერიონი“, თბ., 2010, 266.

[961] *მღვდელი ლევან ნავროზაშვილი*, მომაკვდინებელ ცოდვათა და სინანულის საიდუმლოებისათვის, საპატრიარქოს სტამბა „პირველად იყო სიტყვა“, თბ., 2011.

[962] იხ. *მიტრ. იეროთეოს ვლახოსი*, მართლმადიდებლური ფსიქოტერაპია მეორე გამოცემა (მთრგმნ. *ე. დუღაშვილი*; რედ. *მღვდელი ზ. ცხოვრებაძე*), გამომც., „ახალი ივერიონი“, თბ., 2010, 229.

[963] იხ. *მღვდელი ლევან ნავროზაშვილი*, დასახ. ნაშრ., 20.

[964] იხ., იქვე, 26.

[965] იხ. *წმიდა მღვდელმთავარი გაბრიელი (ქიქოძე)*, ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები, თბ., 2012, 171.

[966] იხ. *როუზი ს.*, დასახ. ნაშრ., 57-58.

ნაყროვანების პირმშო არის: სიძვა, სისასტიკე, მძინარება, ბოროტი ზრახვები, სიბილწე, სიზარმაცე, მრავალსიტყვაობა, ქედმოუხრელობა, ურჩობა, უგრძნობლობა, გონის დატყვევება, ბაქიაობა, თავხედობა, ამა ქვეყნის სიყვარული, რასაც მოსდევს - შებილწული ლოცვა, აზრებით ფრენა, მოულოდნელი და უეცარი ბოროტი თავგადასავლები. მათ კი მოჰყვება სასოწარკვეთა - ყველაზე საძაგელი ვნებათა შორის.[967]

წმ. იოანე ოქროპირი ამბობს, რომ ვინც „სასატკბობას დაემონება მძიმე გზას ირჩევს“ და ბიბლიის მუხლებზე დაყრდნობით (1 ტიმ. 5, 6; იხ. ასევე: 2 რჯულ. 21, 15; რომ. 13, 14) განმარტავს, რომ განცხრომის მოყვარე ცოცხლადვე მკვდარია. *წმ. მამას*, ასევე მოჰყავს მაგალითები თუ რამდენი ადამიანი ჩააგდო განსაცდელში სასატკბილობამ, კერძოდ: 1. ნოემ ღვინო დალია, დათვრა და დაწვა შიშველი, რასაც შემდეგ რამდენიმე უბედურება მოჰყვა; 2. ესავამ თავშეუკავებულობის გამო გასცა თავისი პირმშოობა და ძმისმკვლელობა განიზრახა (დაბ. 25, 31-34) და სხვა.[968]

ამგვარად, ნაყროვანების კრიმინოლოგიური ინტერესი იმაში მდგომარეობს, რომ იგი ადამიანს ვნებს, როგორც სულიერად, ასევე ფიზიკურად. იგი, იწვევს ადამიანის გადაგვარებას, რასაც მოწმობს მისი შედეგები: სისასტიკე, ბოროტი ზრახვები, სიბილწე, ურჩობა, თავხედობა, და მათ შორის, ადამიანს მკვლელობაც.

დაბოლოს, ნაყროვანება, თავის მხრივ, აღძრავს სხვა ნეგატიურ ვნებებს ადამიანში, რაც მეტყველებს ნაყროვანების ვნების საშიშ და ლატენტურ ბუნებაზე.

3.2.2.2 პატივმოყვარეობა

პატივმოყვარეობა გონების დაავადებაა, რა დროსაც ადამიანი ეგოისტურად ეპყრობა საკუთარ თავს და ადამიანი მიჰყავს ისეთ პიროვნულ დეგრადაციამდე, რომელსაც ნორმალური ცხოვრება აღარ შეუძლია.[969] ეგოიზმი, როგორც ვიცით, ამპარტავნობის ერთ-ერთი ფორმაა და წარმოადგენს ცოდვის უპირველეს მიზეზს. მისი არსი საკუთარი „მე“ სამყაროს ცენტრად წარმოდგენაში მდგომარეობს, ხოლო ყველა დანარჩენი, მის საამებელ საშუალებად ხდება.[970] *აბბა ამბროსი* თვლის, რომ პატივმოყვარეობა ადამიანთაგან ქების მოპოვებას ცდილობს, რისთვისაც ხშირად თავს იმცირებს და მლიქვნელობს.[971] *წმ. გაბრიელ ქიქოძე* ამ ვნებას განიხილავს, როგორც ყველა სულიერი მდგომარეობისა და ვნების წყაროს, და როგორც განსაკუთრებულ

---

[967] იხ., იქვე, 56.

[968] იხ. *წმინდა მღვდელმთავარი იოანე ოქროპირი*, ჰომილიები, III ტ., (რედ. *თ. გოგოჩაშვილი*), გამომც., „ალილო“, თბ., 2015, 287-288.

[969] იხ. *მღვდელი ლევან ნავროზაშვილი*, დასახ. ნაშრ., 29.

[970] იხ. *ეპისკოპოსი ალექსანდრე*, მართლმადიდებლური კატეხიზმო, მეოთხე გამოცემა, (მთრგმნ. *გვ. კუპლატაძე, გ. ტონია*), საქართველოს საპატრიარქოს გამოცემლობა, თბ., 2011, 25.

[971] იხ. *სქემარქიმანდრიტი იოანე (მასლოვი)*, დასახ. ნაშრ., 476.

მიდრეკილებას, - ვიფიქროთ მხოლოდ საკუთარ სიმშვიდეზე, ხოლო სხვები შევწიროთ მსხვერპლად.[972]

პატივმოყვარეობა ადამიანს აკარგვინებს მორალურ სახეს, რადგან პატივმოყვარეს აქვს სხვისი განკითხვის სურვილი.[973] პატივმოყვარეს აქვს ამაო ლაპარაკის, სხვისი განსჯისა, დამცირების და შეურაცხყოფის სურვილი.[974] პატივმოყვარე მოკლებულია ადამიანურ გრძნობას და სხვებს აღიქვამს მხოლოდ საკუთარი პიროვნების იარაღად.[975] გარდა ამისა, პატივმოყვარე ადამიანს შეუძლია ადამიანის მკვლელობაც. მაგალითისთვის გავიხსენოთ *მარკ ჩეპმენის* ჩვენება, რომელმაც 40 წლის წინ მოკლა ჯონ ლენონი. მკვლელობის ერთადერთი მიზეზი, იყო ის, რომ მომღერალი იყო ძალიან ცნობილი. მკვლელი კი ეძებდა დიდებას, რაც გამომდინარეობდა ეგოიზმიდან.[976]

პატივმოყვარეობა, საზოგადოებრივი ცხოვრებისა და საერთო კეთილდღეობის კანონის საწინააღმდეგოა. ისტორია გვიჩვენებს, თუ როგორ სპობენ ქვეყნებს და ანადგურებენ ათასობით თავის მსგავს არსებას პატივმოყვაროებას აყოლილი ადამიანები.[977]

ეგოცენტრიზმის ფენომენს, კრიმინოლოგია ყურადღებას უთმობს საშიში მდგომარეობის თეორიაში. აღნიშნულია, რომ დანაშაული წარმოიშობა გარკვეული ფსიქოლოგიური მდგომარეობის საფუძველზე, რომელიც შეესაბამება შინაგან კრიზისს, რომელსაც ცვლის გულგრილობა, რასაც მოჰყვება ეგოცენტრიზმი, შემდეგ ლაბილურობა, რომელიც კვლავ შეიძლება იქცეს კრიზისად.[978] საყურადღებოა ისიც, რომ კვლევებით დგინდება, რომ უმეტესი მოძლადე არასრულწლოვანი, ოჯახში კონფლიქტურობს სწორედ თავისი ეგოიზმის გამო.[979]

---

[972] იხ. *წმიდა მღვდელმთავარი გაბრიელი (ქიქოძე)*, ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები, თბ., 2012, 173-174.

[973] იხ. *დეკ. მიქაელ გალდავა*, სულიერ ზნეობითი სწავლანი წმინდა იაკობ მოციქულის კათოლიკე ეპისტოლეში, თბ., 2018, 161.

[974] იხ. *მღვდელი ლევან ნავროზაშვილი*, დასახ. ნაშრ., 29.

[975] იხ. *წმიდა მღვდელმთავარი გაბრიელი (ქიქოძე)*, ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები, თბ., 2012, 173-174.

[976] მკვლელის სიტყვებია: „მე ძალიან, ძალიან, ძალიან, ძალიან ვეძიებდი დიდებას, ვიყავი ძალიან ეგოისტი. ... ეს იყო უაღრესად ეგოისტური საქციელი; სახელგატეხილობას და უსინდისობას მოაქვს დიდება. საქმე ისაა, რომ ის იყო ცნობილი, ძალიან ცნობილი. აი რატომ აღმოჩნდა იგი სიის თავში. მე სიკვდილით დასჯას ვიმსახურებ. ვფიქრობ, ამით ყველაფერია ნათქვამი. ვწუხვარ იმ ტკივილისთვის, რომელიც მის ცოლს მივაყენე. თუკი გამანთავისუფლეს, მსურს ხალხს ვესაუბრო ღმერთის შესახებ“, იხ. *Aaron Katersky*, Mark David Chapman, Man who killed John Lennon, said in Parole Hearing he Wanted 'Glory', (22 Sept. 2020), იხ.: ABC News Network-ის ვებ-გვერდი:<https://abcnews.go.com/Entertainment/mark-david-chapman-man-killed-john-lennon-parole/story?id=73149086>, (მოპოვების თარიღი: 15.11.2020).

[977] იხ. *წმიდა მღვდელმთავარი გაბრიელი (ქიქოძე)*, ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები, თბ., 2012, 173-174.

[978] იხ. *წულაია ზ.*, დასახ. ნაშრ., 191.

[979] იხ. *გაბრიჩიძე ნ.*, საოჯახო კონფლიქტის შედეგად ჩადენილი ძალადობითი დანაშაულობა, გამომც., „ინტელექტი“, თბ., 2004, 93, 101.

დაბოლოს, ეგოიზმის ვნება ცხადყოფს, რომ სოციალური ეკონომიკური და სხვა გარემო ფაქტორები მეორეხარისხოვანია დანაშაულობის მიზეზობრიობაში. საქმე იმაშია, რომ „ადამიანი შეიძლება ეგოისტად რჩებოდეს ჭეშმარიტად სამოთხისეულ პირობებში, ხოლო თვით ყველაზე უსაშინლეს პირობებშიც კი, სულიერი სიმაღლის შენარჩუნებას ახერხებდეს“.[980]

3.2.2.3 ვერცხლისმოყვარეობა

ვერცხლისმოყვარეობაში ითვლება მომხვეჭელობა, იგი ასევე მოიაზრებს სხვისი კუთვნილების დაპატრონებასაც, ქურდობას გამდიდრების მიზნით, დაკარგული ნივთების, ფულის, სიმდიდრის პოვნის შემთხვევაში მათ არგამოჩენას.[981] ვერცხლისმოყვარეობაში მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რომ „მარტო ის კი არ არის ვერცხლისმოყვარე, ვისაც ბევრი აქვს და არ უყოფს უქონელს, არამედ ისიც, ვისაც, თუმცა არ აქვს ზედმეტი, მაგრამ გაუმაძღრად უნდა იგი და მუდამ ამაზე ფიქრობს.“[982]

წმ. იოანე ოქროპირის მოძღვრებით, ვერცხლისმოყვარეობა არ არის ადამიანის ბუნებითი თვისება, იგი შემდგომშია შეძენილი და მისი მიზეზი ბოროტი გულისთქმა, ქედმაღლობა და მზვაობრიობაა. *წმიდა მამა* გვასწავლის, რომ ოქრო-ვერცხლი თავიდან არსად იყო „არამედ ამისა მიერ შემოვიდა ბოროტი ესე, რომელ თვითოეულთა მეორისა შურითა იწყო უმეტესისა მოგებაი და ესრეთ განეფინა სენი ესე“.[983]

ვერცხლისმოყვარეობა, ე.ი. მატერიალური სიმდიდრე, ნაყროვანებისა და პატივმოყვარეობის ვნების სულის ჩამდგმელია, რადგან ნაყროვანს ბევრი და კარგი საკვების ჭამა სურს, ხოლო პატივმოყვარეს, პატივში რომ იყოს, განსაკუთრებული ცხოვრების მოწყობა ესაჭიროება: კარგი სახლ-კარი, თანამედროვე ნივთები, რომლითაც თავს მოიწონებს, პრესტიჟული სამსახური, რომლითაც პატივის ზენიტში ასვლა არის შესაძლებელი. ეს ყოველივე კი, ვერცხლითა და ოქროთი მოიპოვება.[984] ვერცხლისმოყვაროება ადამიანის გულს ასასტიკებს და ამზაკვრებს, გონებას აბრმავებს, ადამიანის ნების თავისუფლებას ართმევს, რითაც ადამიანი ნებისყოფას კარგავს და ფაქტიურად ეშმაკის მონა ხდება.[985] ზოგიერთი, გამდიდრებისთვის აკრძალულ ხერხებსაც იყენებს, შურით იმსჭვალება მდიდრის მიმართ.[986]

---

[980] *მღვდელმთავარი ლუკა (ვიონო-იასენეცკი),* დასახ. ნაშრ., 50.

[981] იხ. *მღვდელი ლევან ნავროზაშვილი*, დასახ. ნაშრ., 37.

[982] სულიერი მდელო (შემდგ.: *ნ. თარაშვილმა, ხ. რაქვიაშვილმა, თ. ასათიანმა*; რედ. *თ. გოგოჩაშვილი*), გამომც. შპს "მეგობრობა“ თბ., 2014, 755.

[983] *წმინდა იოანე ოქროპირი*, ოქროს წყარო, თბ., 1095, 114, 118, ციტირებულია წიგნიდან: *დეკ. მიქაელ გალდავა*, დასახ. ნაშრ., 167-168.

[984] იხ. *მღვდელი ლევან ნავროზაშვილი*, დასახ. ნაშრ., 167.

[985] იხ., იქვე, 33.

[986] იხ. *წმიდა მღვდელმთავარი გაბრიელი (ქიქოძე),* ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები, თბ., 2012, 171.

ვერცხლისმოყვარეობა ბადებს სიძულვილს, ქურდობას, შურს, შფოთს, მტრობას, ცილისწამებას, უმოწყალებას და მკვლელობას.[987] ანგარებიანი ადამიანი არ ინდობს არც მამას, არც დედას, არც ძმებს, არც სხვებს (*ნეტარი ავგუსტინე*).[988]

მოციქული იუდა, ქრისტეს მტრად იმიტომ გახდა, რომ იყო ვერცხლისმოყვარე. ვერცხლისმოყვარეობამ მისი გული გახადა მზაკვარი და ისეთი სასტიკი, რომ გაიმეტა სასიკვდილოდ.[989] *წმ. იოანე ოქროპირი* შეგვაგონებს, რომ „თუკი ის, ვინც ქრისტეს გვერდით იმყოფებოდა და ასეთ უფსკრულში ჩავარდა იმის გამო, რომ არ იყო ამ ვნებისაგან თავისუფალი, მაშინ მით უმეტეს თქვენ, რომლებსაც არც კი გაგიგონიათ წმინდა წერილი და ყოველთვის ეკვრით აწმყოს, ადვილად შეიძლება ამ ვნებით იქნეთ დამორჩილებულნი“. *წმ, მოძღვარი* იქვე დასძენს, რომ „ვერცხლისმოყვარეობამ ასევე დაღუპა ანანია, გახრწნა იუდეველი მთავრები, რომლებიც იღებდნენ ძღვენს და ყაჩაღების თანამზრახველები ხდებოდნენ. ამ ვნებამ გააჩაღა ომები, ცრემლებითა და სისხლით მორწყა გზები და ქალაქები.“[990] ბიბლიიდან ირკვევა, რომ სიმდიდრე ამპარტავნების წყაროა (რჯლ. 8, 12) და ყოველგვარი ბოროტების ფესვია (1 ტიმ. 6, 10). *წმ. იოანე სინელი* შენიშნავს, რომ „ერისკაცებში ყველა ბოროტის წყარო ვერცხლისმოყვარეობაა“.[991]

ვერცხლისმოყვარეობის სპეციფიკა, როგორც *წმ. იოანე ოქროპირის* სწავლებიდან ირკვევა, იმაშია, რომ ამ ვნებით შეპყრობილი: 1. კერპის (ფულის) მსახურია, რომელსაც კერპის დაკარგვას სიკვდილი ურჩევნია;[992] 2. სიკვდილამდე ვერ აცნობიერებს მის მოწამლულ ნაკბენს და მხოლოდ აღსასრულის ჟამს გამოჩნდება ხოლმე მისი უკურნებელი წყლულება,[993] და 3. მარადის უკმაყოფილება, ნაკლულევანების მძაფრი განცდა და უმეტესის განუწყვეტელი სურვილი უჩნდება.[994]

აღნიშნული სპეციფიკა კარგად ჩანს გერმანელი მილიონერის, *ადოლფ მერკლეს* თვითმკვლელობის ფაქტშიც, რომელიც 2008 წლის გლობალური ფინანსური კრიზისის მსხვერპლი შეიქმნა. მისი თვითმკვლელობა უკავშირდება, ფოლკსვაგენის აქციებზე

---

[987] იხ. *წმ. იოანე სინელი*, ცოდვით დაცემანი და ბრძოლა მათ წინააღმდეგ (რედ. *დეკ. გ. ჯგუშია*, რუსულიდან თარგმნა *მ. ბუკიამ*), ზუგდიდი, 2002, 45.

[988] იხ. სულიერი მდელო (შემდგ.: *ნ. თარაშვილმა, ხ. რაქვიაშვილმა, თ. ასათიანმა*; რედ. *თ. გოგოჩაშვილი*), გამომც. შპს „მეგობრობა“ თბ., 2014, 750.

[989] იხ. *მღვდელი ლევან ნავროზაშვილი*, დასახ. ნაშრ., 34.

[990] *როუზი ს.*, დასახ. ნაშრ., 75.

[991] იქვე, 57-58.

[992] იხ. *წმინდა იოანე ოქროპირი*, ოქროს წყარო, თბ., 1095, 117, ციტირებულია წიგნიდან: *დეკ. მიქაელ გალდავა*, დასახ. ნაშრ., 167.

[993] იხ. *წმინდა იოანე ოქროპირი*, თარგმანებაი მათეს სახარებისაი, წიგნი I, (მთრგმნ. *წმ. ეფვთიმე მთაწმინდელი*), თბ., 1996, 161, ციტირებულია წიგნიდან: *დეკ. მიქაელ გალდავა*, დასახ. ნაშრ., 170.

[994] იხ. *წმინდა იოანე ოქროპირი*, თარგმანებაი მათეს სახარებისაი, წიგნი III, (მთრგმნ. *წმ. ეფვთიმე მთაწმინდელი*), თბ., 1998, 184, *დეკ. მიქაელ გალდავა*, დასახ. ნაშრ., 171.

არასწორად დადებული ფსონით უეცარი სიმდიდრის დაკარგვას.[995] *წმ. იოანე ოქროპირი* განმარტავს, რომ „ვერცხლისმოყვარე უმალ სიკვდილს არჩევს, ვიდრე თავის საფასეს რაიმე მოაკლოს“ და იქვე დასძენს, რომ „სინამდვილეში, ვერცხლისმოყვარე არათუ თავის ოქროს და ვერცხლს სცემს თაყვანს, არამედ ეშმაკს.“[996]

აღსანიშნავია, რომ კრიმინოლოგიაში დამნაშავეებს შორის ჰიპერბოლიზებული მატერიალური მოთხოვნილებების (ფულზე, ძვირფას მანქანაზე და სხვ.) შესწავლას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.[997] შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე კრიმინოლოგიაში ფულის ფაქტორი, დანაშაულის მიზეზებში ალბათ ყველაზე აქტუალურიცაა. ეს გასაკვირი არ უნდა იყოს, რადგან დღეს ადამიანებზე არაფერი ისე არ ბატონობს, როგორც ფული (თეოლოგი *ა. მინდიაშვილი*).[998] *წმ. ამბროსი მედიოლანელი* ამბობს: „ყველა ცოდვა ძველდება ადამიანებთან ერთად, მხოლოს ანგარება ახალგაზრდავდება ყოველდღიურად“.[999] *ს. როუზის* სიტყვებია: „ერისკაცებში ყველა ბოროტების წყარო ვერცხლისმოყვარეობაა.“[1000]

ვერცხლისმოყვარეობა იმდენად რყვნის ადამიანს, რომ აკარგვინებს ნებისყოფას, თავისუფალ ნებას, ადამიანის გონებას ამზაკვრებს და ასასტიკებს. ამ ვნებით შეპყრობილი ადამიანის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი ძალზედ მაღალია. ვერცხლისმოყვარეობის ვნება მამოძრავებელი ძალა შეიძლება იყოს, არა მხოლოდ სუიციდის, არამედ კლასიკური დანაშაულების, ქურდობის, ცილისწამების, მკვლელობის, კორუფციის, ყაჩაღობის და სხვა ანგარებითი დანაშაულებისა, და მათ შორის, ომების. დაბოლოს, ვერცხლისმოყვაროება პატივმოყვარეობისა და ამპარტავნების დაკმაყოფილების ერთ-ერთი საშუალებაა, როგორც *წმ. იოანე ოქროპირის* სწავლებიდან გამოჩნდა.

3.2.2.4 მრუშობა

მრუშობა ორი ადამიანის ხორციელი ურთიერთობაა, როცა ერთ-ერთი ან ორივე სხვაზეა დაქორწინებული და ღალატობს მას. არსებობს ამ ცოდვის მეორე სახეც - სიძვა, როცა არც ერთი მათგანი სხვასთან ქორწინებაში არ იმყოფება, მაგრამ არც ჯვარდაწერილები არიან, არ შეერთებულან ეკლესიის წმინდა საიდუმლოთი. ორივე

---

[995] იხ. *Marsh S.*, German billionaire commits suicide after VW losses, ინგლისის საინფორმაციო სააგენტო „Reuters“, <https://www.reuters.com/article/us-merckle-newsmaker-sb-idUSTRE5055O820090107>, (მოპოვების თარიღი: 07.07.2020).

[996] *წმინდა იოანე ოქროპირი*, ოქროს წყარო, თბ., 1095, 117, ციტირებულია წიგნიდან: *დეკ. მიქაელ გალდავა*, დასახ. ნაშრ., 167.

[997] იხ. *გოძიაშვილი ი.*, დასახ. ნაშრ., 115.

[998] იხ. *მინდიაშვილი ა.*, საუფლო დღესასწაულები (განმარტება), გამომც., „პაკო“, თბ., 1998, 87.

[999] სულიერი მდელო (შემდგ.: *ნ. თარაშვილმა, ხ. რაქვიაშვილმა, თ. ასათიანმა*; რედ. *თ. გოგოჩაშვილი*), გამომც. შპს „მეგობრობა“, თბ., 2014, 752.

[1000] *როუზი ს.*, დასახ. ნაშრ., 57.

ცოდვა მძიმეა, მაგრამ მრუშობას უფრო მეტად ამძიმებს ღალატი. არსებობს მრუშობის კიდევ ერთი სახე - მამათმავლობა და დედათმავლობა, რომელიც უზომო გახრწნილებაა და თავისი არსით ამაზრზენია.[1001]

უფალი ნათლად წარმოაჩენს, რომ მრუშობა არა მხოლოდ ხორციელად, არამედ გულისთქმითაც ხდება (მათე 5, 27, 28) და ეს პროცესი ადამიანის შინაგან სამყაროში მოქმედებს, რომელიც ფიზიკური თვალით, გარედან არ ჩანს.[1002] *წმ. იოანე სინელის* სწავლებით, ყოველგვარი ბილწი ზრახვა სიძვის ეშმაკისგან იშვება.[1003] განძღომის შემდეგ ნაყროვანების ეშმაკი მიდის და ადგილს უთმობს სიძვის ეშმაკს.[1004] სიძვის მოყვარეობის უკიდურესი გარეგანი გამოვლინება არის, როცა ადამიანს პირუტყვთა და უსულო საგნების მიმართაც ეუფლებათ ვნება.[1005]

სიძვის ვნება ნაყროვანების შვილია, რადგან თუ ნაყროვანებით არ დაკავდა ადამიანი, სიძვით არ დაეცემა. ეს ვნება პატივმოყვარეობასა და ანგარებასაც მოსდევს. სიძვა-მრუშობა ის ვნებაა, რომელიც განსაკუთრებულად ბილწავს ადამიანის სულს, ხორცს და მთლიანობაში ადამიანის პიროვნებას. სიძვა-მრუშობა ადამიანის ზნეობის დამამცირებელია, ხოლო ამ ცოდვით დაკავებულ ადამიანს უზნეოსა და უსინდისოს უწოდებენ.[1006]

მრუშობის მავნე შედეგებთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ იგი: 1. მთელი სხეულის ცოდვაა და აზიანებს ყველა ხორციელ თუ სულიერ გრძნობასა და ძალებს. იგი ადამიანში აბნელებს ღვთის ხატებასა და მსგავსებას;[1007] 2. ხშირად სხვადასხვა სენსაც იწვევს, რომელიც ცოდვის ჩამდენის შთამომავლობაზეც გადადის.[1008] 3. იწვევს ადამიანებთა ურთიერთობაში უწესრიგობას, ხოლო ხანდახან სასტიკ მტრობასაც.[1009] 4. იწვევს ადამიანის სრულ დეგრადაციას, რადგან „ყოველგვარ ხორციელ გრძნობებსა და სულიერ ძალებს ცვლის, არსებიდან არარსებად აქცევს და ჩვენში

[1001] იხ. *დეკ. გრიგოლ კუმელაშვილი*, ყოველგვარი ბილწების, უსჯულოების, ხრწნილების, დაცემის სათავე ღვთის მცნებათა დავიწყება და საკუთარი თავის უფალზე წინ დაყენებაა (ესაუბრა *გვ. გოგოლაძე*), იხ.: მართლმადიდებლური ჟურნალი „კარიბჭე“, №10, (71), თბ., 18-31 მაისი, 2007, 5.

[1002] იხ. *მღვდელი ლევან ნავროზაშვილი*, დასახ. ნაშრ., 50.

[1003] იხ. *წმ. იოანე სინელი*, კლემაქსი ანუ კიბე, საეკლესიო ბიბლიოთეკა II, (რედ. *ნ. ხურცილავა*, თარგმნ. *ტ. ცომაია*), მეორე გამოცემა, თბ., 2014, 171, სქოლიო 116.

[1004] იხ. *წმ. იოანე სინელი*, ცოდვით დაცემანი და ბრძოლა მათ წინააღმდეგ, (რედ. *დეკ. გ. ჯგუშია*; რუსულიდან თარგმნა *მ. ბუკიამ*), ზუგდიდი, 2002, 50.

[1005] იხ. *წმ. იოანე სინელი*, კლემაქსი ანუ კიბე, საეკლესიო ბიბლიოთეკა II, (რედ. *ნ. ხურცილავა*, მთრგმნ. *ტ. ცომაია*), მეორე გამოცემა, თბ., 2014, 305, სქოლიო 13.

[1006] იხ. *მღვდელი ლევან ნავროზაშვილი*, დასახ. ნაშრ., 48-49.

[1007] იხ. *როუზი ს.*, დასახ. ნაშრ., 110.

[1008] იხ. *ეპისკოპოსი ალექსანდრე*, მართლმადიდებლური კატეხიზმო, მეოთხე გამოცემა, (მთრგმნ.: *გვ. კუპლატაძე, გ. ტონია*), საქართველოს საპატრიარქოს გამოცემლობა, თბ., 2011, 102.

[1009] იხ., იქვე.

არსებულ ღვთის ხატებას ხრწნის“.[1010] 5. ღუპავს ადამიანის სულს; [1011] 6. ოჯახის დამანგრეველი და ერის გადამაშენებელია.[1012]

წმინდა წერილში საუბარია სოდომისა და გომორის დაცემაზე, რომელშიც შეუძლებელი გახდა ათი მართალისა და ქალწულის მოძებნა: „ბოროტნი იყვნენ სოდომელნი და დიდად სცოდავდნენ უფალს” (დაბ. 13, 13). ამის გამო, უფალმა ეს ქალაქები გაანადგურა.[1013] *ს. როუზი* აღნიშნავს, რო „ამ ურჯულოებამ ასურასტანელთა სამეფო, სპარსთა და მიდიელთა ტყვედ აქცია და სრულად აღმოფხვრა სახსენებელი არა მხოლოდ მეფისა და ძალაუფლების მქონეთა, არამედ მათი კაცობისა.“[1014] *ოსია წინასწარმეტყველთან* ვკითხულობთ, რომ მროშობის სულმა შეაცდინა ებრაელები და ღმერთს დაშორდნენ: „ბოზობის სულმა შეაცდინა ისინი და განუდგნენ თავიანთ ღმერთს“ (ოს. 4, 18), „ბოზობის სულია მათ წიაღში და უფალს ვერ ცნობენ“ (ოს. 5, 4).

ამ ვნების ფენომენს თავის დროზე იკვლევდა კრიმინოლოგიის ფუძემდებლად წოდებული, იტალიელი ფსიქიატრი *ჩ. ლომბროზო.* თავის წიგნში „დამნაშავე ქალები და მეძავეები“, *მეცნიერი* გამოთქვამს მოსაზრებას, რომ დამნაშავე ქალები გამოირჩევიან სირცხვილის გრძნობის ნაკლებობით და ვნებიანობით. მათთვის გარყვნილება ამა თუ იმ დანაშაულის ჩადენის საშუალებაა.[1015] *ლომბროზოს* მტკიცებით, ყველაზე ძლიერი ვნება, რომელსაც ხშირად ქალები დანაშაულამდე მიჰყავს, სასიყვარულო ვნებაა.[1016]

ამ ვნებაზე ასევე ვრცლად საუბრობენ დიდი მოაზროვნეები. მაგალითად, კლასიკური ხანის ბერძენი ფილოსოფოსი, *პლატონი*, თავის წიგნში აღნიშნავს, რომ: „სექსი აღძრავს უაღრესად ძლიერ ვნებებს, რომელთა გამკლავება მამაკაცებისთვის ძნელია და ისინი მიდრეკს მათ დანაშაულისკენ. მრუშობა და პედერასტია სოციალურად დამღუპველია, ისინი წარმოიშობა საბაზისო სურვილებიდან, მაშინ როდესაც ჩვენი ენერგიები და მისწრაფებები უფრო მაღალი მიზნებისკენ უნდა იყოს მიმართული.“[1017] *პლატონი* იქვე დასძენს, რომ „ამ ვნებამ მრავალი დაღუპა...; საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაზე ამ ვნების დამღუპველი შედეგი, ძალიან დიდია.“[1018]

მრუშობის საკითხს ცენტრალური ადგილი უკავია თანამედროვე კრიმინოლოგიაში, რადგან უმრავლეს ქვეყნებში პროსტიტუცია განიხილება, როგორც

[1010] *წმინდა იოანე სინელი*, კლემაქსი ანუ კიბე, საეკლესიო ბიბლიოთეკა II, (რედ. *ნ. ხურცილავა*, მთრგმნ. *ტ. ცომაია*), მეორე გამოცემა, თბ., 2014, 160, სქოლიო 6.

[1011] იხ. *მღვდელი ლევან ნავროზაშვილი*, დასახ. ნაშრ., 53.

[1012] იხ., იქვე.

[1013] იხ. *როუზი ს.*, დასახ. ნაშრ., 116.

[1014] იქვე, 119.

[1015] იხ. *ლომბროზო ჩ.*, დამნაშავე ქალები და მეძავეები, (მთრგმნ.: *ნ. თურმანიძე* და *მ. თურმანიძეები*), გამომც. „პეგა“, თბ., 2014, 159.

[1016] იხ., იქვე, 191.

[1017] *Plato*, The Laws (translated with an introduction by *Trevor J Saunders*), first printed by Hazell Watson and Viney Ltd, Great Britain, 1970, 332.

[1018] იქვე.

დევიაციის ფორმა და ბევრ ქვეყანაშიც მოქმედებს პროსტიტუციის წინააღმდეგ სისხლისა და სამოქალაქო სამართლის კანონები.[1019]

როგორც ვხედავთ, მრუშობის ვნების მიმართ კრიმინოლოგიური ინტერესი ძალზედ მაღალია. იგი ამორალურობის კლასიკური გამოვლინებაა, რომელიც იწვევს ადამიანის სრულ დემორალიზებას და აქცევს მას ანტისოციალურ პიროვნებად. მრუშობა მაღალი ლატენტურობით ხასიათდება, რადგან მისი ჩადენა გულისთქმითაც არის შესაძლებელი. ეს ვნება იწვევს მრავალ დანაშაულს და მისი ვიქტიმიზაციის მასშტაბიც ძალზედ დიდია.

3.2.2.5 მრისხანება

მრისხანება არის იდუმალი, გულში ჩახვეული სიძულვილის გახსენება, ანუ ბოროტმახსოვრობის გამოვლინება. იგი შეურაცხმყოფელისათვის ბოროტის მიგების სურვილია.[1020] მრისხანებას წინ უძღვის გულისწყრომა, ხოლო გულისწყრომას ავმეხსიერება.[1021] მრისხანების ცოდვაში, სხვა საკითხებთან ერთად, ითვლება: ცემა, გალანძღვა, სიტყვიერი შეურაცხჰყოფა, დამუქრება, სხვის მიმართ მაგინებლობა, მისი სიცოცხლის არაფრად ჩაგდება, ჩხუბი და ა.შ.[1022] *წმ. იოანე დამასკელის* მიხედვით, „ზოგჯერ მრისხანებაა შურისძიების სურვილი, რადგან როდესაც შეურაცხგვყოფენ ან მიგვაჩნია, რომ შეურაცხგვყვეს, ვმრისხანებთ და მაშინ ეს განცდა ხდება ნაზავი ნდომისა და რისხვისა“.[1023]

ღირსი იოანე სინელის სწავლებით, „მრისხანების მშობელი არის პატივმოყვარეობა, ვერცხლისმოყვაროება და ნაყროვანება, ხოლო მრისხანების შვილებია ბოროტისმახსოვრობა, სიძულვილი, მტრობა და თვითგამართლება“.[1024] გარდა ამისა, მრისხანების ცოდვის ნაშიერებია, - ვერაგობა, ეჭვიანობა, უნდობლობა, უზნეობა, ბოროტი განზრახვა, თავხედობა და მსგავსი მანკიერებები (*წმ. ბასილი დიდი*),[1025] ხოლო *წმინდა ეფრემ ასურისა* და *აბა დოროთეს* მიხედვით, - ამპარტავნება.[1026]

მრისხანების მავნე შედეგებთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ: მრისხანების ვნება ადამიანის მკვლელია. იგი სიძულვილს აღვივებს ადამიანში და იწვევს ადამიანის შეძულებას, რადგან „სხვა ადამიანებისთვის კარგი და კეთილი არ

[1019] იხ. 21st Century Criminology, a Reference Handbook (edit. by *J. Mitchel Miller*), Sage Publication, Inc., USA, 2009, 572.

[1020] იხ. *როუზი ს.*, დასახ. ნაშრ., 92.

[1021] იხ. *მღვდელი ლევან ნავროზაშვილი*, დასახ. ნაშრ., 59.

[1022] იხ., იქვე, 61-63.

[1023] *იოანე დამასკელი*, დასახ, ნაშრ., 110.

[1024] *როუზი ს.*, დასახ. ნაშრ., 93.

[1025] იხ. ცოდვათა განმარტებები, წმიდა მამები მრისხანების შესახებ (მასალების შემკრები და მთარგმნელი *დ. თოფჩიშვილი*),, თბ., 2019, 61.

[1026] იხ. სულიერი მდელო, (შემდგ.: *ნ. თარაშვილმა, ხ. რაქვიაშვილმა, თ. ასათიანმა*; რედ. *თ. გოგოჩაშვილი*), გამომც. შპს „მეგობრობა,“ თბ., 2014, 439.

უნდა“.[1027] მრისხანებით ადამიანი უპირისპირდება, ყველას და ყველაფერს, ხილულს, თავის მსგავსს და შემდეგ უხილავს, შინაურს და გარეულს.[1028] *წმ. იოანე ოქროპირის* თქმით, „მრისხანებით გაცეცხლებულნი არაფრად აგდებენ გვერდით მყოფებს, ივიწყებენ ნათესაობას, მეგობრობას, ზრდილობას, ღირსებას, ანგარიშს არ უწევენ არავის... ამ ვნებას დამონებულნი და დამარცხებულნი ხშირად მკვლელობამდეც მიდიან.“[1029]

ძალიან მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, რომ არსებობს ცოდვითი და ბუნებითი მრისხანება. ცოდვითია ცოდვის მიზეზით განპირობებული მრისხანება, ხოლო ბუნებითია ცოდვაზე და უსამართლოზე მიმართული მრისხანება (*იღ. დიონისე გვიმრაძე*).[1030] ცოდვითი მრისხანება ცოდვა, ვნება, ტკივილი და უკონტროლობაა.[1031] „ბუნებით მრისხანება, იგივე ღვთის „მრისხანებაა“, რომელსაც აღმზრდელობითი ხასიათი აქვს და მისი სიყვარულიდანვე მომდინარეობს. იგი მიმართულია ადამიანის ცოდვის, უსჯულოებისა და უსამართლობის წინააღმდეგ. ამიტომ, ღმერთი თავისი მზრუნველობით რისხვას მოაწევს ადამიანზე, არა პიროვნების ტანჯვის მიზნით, არამედ სიკეთესთან ზიარების სურვილით“.[1032]

მრისხანების კრიმინოლოგიურ მნიშვნელობასთან დაკავშირებით, უნდა ითქვას, რომ აღნიშნული ვნება ადამიანის სწრაფ და სრულ დემორალიზებას იწვევს. სხვა ვნებებისგან განსხვავებით, მრისხანებისთვის დამახასიათებელია ფიზიკური მოქმედებით დანაშაულების ჩადენა. ამ ვნებით ჩადენილ დანაშაულთა ლატენტურობა საკმაოდ დაბალია. იგი წარმოადგენს ძალადობითი დანაშაულების მამოძრავებელ ძალას.

მრისხანების გენეზისთან და დეტერმინაციასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ იგი წარმოიშობა პატივმოყვარეობით, ვერცხლისმოყვაროებითა და ნაყროვანებით, და ბადებს მანკიერებების მრავალფეროვნებას, - სიძულვილს, მტრობას, ვერაგობას, ეჭვიანობას, უზნეობას, ბოროტ განზრახვას და სხვა. ამ ვნებით შეპყრობილი ადამიანი გამოირჩევა საზოგადოებრივი საშიშროების განსაკუთრებით მაღალი ხარისხით, რადგან მრისხანება სიძულვილს აღვივებს ადამიანში. მრისხანების ვნებით შეპყრობილი ივიწყებს ნათესაობას, მეგობრობას, ზრდილობას, ღირსებას, ანგარიშს არ უწევენ არავის. დაბოლოს, ამ ვნებას დამონებულნი ხშირად მკვლელობამდეც მიდიან. გარდა ამისა,

---

[1027] *მღვდელი ლევან ნავროზაშვილი*, დასახ. ნაშრ., 60-63.

[1028] იხ., იქვე, 66.

[1029] ცოდვათა განმარტებები, წმიდა მამები მრისხანების შესახებ (მასალების შემკრები და მთარგმნელი *დ. თოფჩიშვილი*), თბ., 2019, 4.

[1030] იხ. *იღუმენი დიონისე (გვიმრაძე)*, ნანდვილვე აღდგა უფალი (რედ. *თ. მამაცაშვილი*), დმანისი, 2012, 123.

[1031] იხ., იქვე.

[1032] ბუნებით მრისხანებაზე დაწვრილებით იხ.: *იღუმენი დიონისე (გვიმრაძე)*, ნანდვილვე აღდგა უფალი (რედ. *თ. მამაცაშვილი*), დმანისი, 2012, 123-127.

ისევე როგორც, ყველა სხვა ვნება, მრისხანებით შეპყრობილი ადამიანი, პირველ რიგში, თავის თავს აზარალებს.[1033] სწორედ ამის გამო, ვერცხლისმოყვარეობისა და მრუშობის მსგავსად, მრისხანებას, ანუ აგრესიას კრიმინოლოგიაში, ცენტრალური ადგილი უკავია.

3.2.2.6 მოწყინება

მოწყინებაში ბევრი რამ იგულისხმება და პირველ რიგში ეს არის ლოცვის შეწყვეტა და დაზიანებული ლოცვა.[1034] მოწყენილობა არის სულის სისუსტე, გონების დაუძლურება, მოღვაწეობის უგულებელყოფა. მოწყენილობის ვნებით შეპყრობილი, „სუსტია ფსალმუნებაში, უძლურია ლოცვაში, დაუღალავი - ხორციელ მსახურებაში, დაუზარელი - ხელსაქმეში და პირმოთნე - მორჩილებაში“.[1035]

ღირსი ამბროსი ოპტინელის თქმით, „მოწყინების მიზეზი არის ის, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ვერ მოვიძულეთ ამაო დიდება და ფრიად ვუფრთხილდებით ადამიანთა აზრს ჩვენ მიმართ, ანდა თუმც არ ვუფრთხილდებით, მაგრამ ჯერ კიდევ არ უარგვიყვია“. *წმიდა მამა* ასევე აღნიშნავს, რომ „მოწყინება ზოგჯერ ძალებს აღმატებული მოშურნეობითაც შეიძლება გვეწვიოს.“[1036] *წმ. იოანე სინელი* განმარტავს, რომ „მოწყინება მრავლისმეტყველების პირმშოა. იგი ხანდახან სიამოვნებისგანაც მოდის, ხან კი ღვთის შიშის არქონისაგანაც“.[1037]

მოწყინების ვნებას, უმტკივნეულოდ შეუძლია დააშოროს ადამიანი ღმერთს. მოწყინების ვნება იმიტომ არის მავნე ადამიანისთვის, რომ მან ადამიანთან იცის შეჩვევა და ღმერთთან მყოფობა არ უნდა. სწორედ ამიტომ არის, რომ აღნიშნული ვნება ადამიანს ვნებს და აზარალებს არა დროებით, არამედ საუკუნოდ.[1038] მოწყინების ვნება ადამიანს ხელ-ფეხს უკრავს, რათა მან არ იმოქმედოს ღმერთისაგან მოცემული ცხოვრების წესით, მცნებებით.[1039] *ს. როუზი* აღნიშნავს, რომ „ეს მზაკვარი სული ყოველგვარ გაიძვერობას მიმართავს, ყოველგვარ კეთილსახოვან საბაბს მოიგონებს, ოღონდაც უფალთან საუბარი არ გვაცადოს“.[1040] არმლოცველ ადამიანს თავი კარგი, ძლიერი და უკვდავი ჰგონია და

[1033] იხ. სულიერი მდელო, (შემდგ.: *ნ. თარაშვილმა, ხ. რაქვიაშვილმა, თ. ასათიანმა*; რედ. *თ. გოგოჩაშვილი*), გამომც. შპს „მეგობრობა,“ თბ., 2014, 435.

[1034] მაგალითად: მოწყინება სამსახურისა, ერთი და იმავე საქმის კეთებისა, ოჯახის წევრების მოვლისა; საგნების მოძულება, სურვილი ძველის ახლით შეცვლისა, მწუხარება მოყვასის წარმატების გამო; დაუდგრომლობა, მოწყენა ღვთის წინაშე თხოვნის შეუსრულებლობის გამო; წუწუნით სხვისი შეწუხება; საქმის დაწყება და არდასრულება; ტაძარში ლაპარაკი და ა.შ. იხ. *მღვდელი ლევან ნავროზაშვილი*, დასახ. ნაშრ., 77.

[1035] *წმ. იოანე სინელი*, კლემაქსი ანუ კიბე, საეკლესიო ბიბლიოთეკა II (რედ. *ნ. ხურცილავა*, თარგმნ. *ტ. ცომაია*), მეორე გამოცემა, თბ., 2014, 140, 2-ე პუნქტი.

[1036] *როუზი ს.*, დასახ. ნაშრ., 67-68.

[1037] *წმ. იოანე სინელი*, ცოდვით დაცემანი და ბრძოლა მათ წინააღმდეგ (რედ. *დეკ. გ. ჯგუშია*, რუსულიდან თარგმნა *მ. ბუკიამ*), ზუგდიდი, 2002, 27.

[1038] იხ. *მღვდელი ლევან ნავროზაშვილი*, დასახ. ნაშრ., 71.

[1039] იხ., იქვე, 72.

[1040] *როუზი ს.*, დასახ. ნაშრ., 64.

ასეთი ყალბი წარმოდგენით ღმერთის მიმართ საწინააღმდეგო აზრი უჩნდება და უპირისპირდება ღმერთს, რითაც ხდება ადამიანის წარწყმედა.[1041]

მღვდელ ლ. ნავროზაშვილის ნაშრომიდან ირკვევა, რომ მოწყინების ვნება, გარდა იმისა, რომ აზიანებს ადამიანს, საბოლოოდ აქცევს მას საზოგადოებისთვის საშიშ პიროვნებადაც, რადგან: 1. ადამიანი, რომელიც არ ლოცულობს, იგი მოიხვეჭს უწმინდურობას, ანგარებას, ხორციელ სიამოვნებებს და ა.შ; 2. ადამიანი, რომელიც იკმაყოფილებს გულისთქმების მოთხოვნებს, - ანგარებას, ნაყროვანებას, უწმინდურებას, პატივმოყვაროებას, - სწორედ ასეთ ადამიანში არის ეშმაკი, ცოდვა და საუკუნო წარწყმედა; 3. ვინც არ ლოცულობს, იგი ხდება მელიასავით მზაკვარი, კურდღელივით მშიშარა, მგელივით ვერაგი და გველივით შხამიანი; 4. ვინც ამ მომაკვდინებელი ცოდვებით ცხოვრობს, ის პირველ რიგში აწუხებს და არღვევს ეკლესიას და მის სიმყუდროვეს, - საზოგადოებაში შეაქვს შფოთი და უთანხმოება; 5. მოწყინების ცოდვა ებრძვის იერარქიას ეკლესიაში და სახელმწიფოში, ოჯახში, სამსახურში და საზოგადოებაში. თუ იერარქია მოიშალა, მაშინ ანარქია იწვევს უმოქმედობას, დაბოლოს, 6. მოწყინებით და მწუხარებით ადამიანი ავნებს ყველასა და ყველაფერს.[1042]

სულიერი მამები, რომლებსაც გარჩევის მადლი აქვთ, განარჩევენ, თუ რომელი მწუხარება მომდინარეობს ეშმაკისაგან, რომელი ადამიანისაგან და რომელი მოდის თავად ჩვენგან. ამიტომ, სულიერ მამებს აქვთ უფრო ფართო ცოდნა, ვიდრე ფსიქიატრებს, რომლებიც ვერ არჩევენ ასე ზუსტად და მიიჩნევენ, რომ მწუხარება მომდინარეობს მხოლოდ ცუდი ფსიქოლოგიური მდგომარეობიდან.[1043]

მართალია, მოწყინების საკითხი კრიმინოლოგიაში აქტუალური არაა, მაგრამ, სხვა ვნებების მსგავსად არანაკლებ საყურადღებოა, რადგან, ერთი შეხედვით ამ უწყინარ ვნებას, ანალოგიურად შესწევს უნარი უმტკივნეულოდ მოახდინოს ადამიანის დეგრადირება, შეუძლია ადამიანი დაუპირისპიროს ყველას და ყველაფერს. გარდა ამისა, ეს ვნება ადამიანის ჯანმრთელობასაც აზიანებს. *ზ. ფროიდი* აღნიშნავს, რომ სევდა, მღელვარება და მწუხარება მთლიანად ასუსტებს სხეულს და ჩამოთვლის რიგ დაავადებებს, რომელიც ემართება ადამიანს.[1044]

მოწყინების ვნების თავისებურება მის ლატენტურობაშია, რადგან მიზეზი ამაო დიდება, მოშურნეობა, მრავლისმეტყველება და სიამოვნებაა, რომელიც ობივატელის მიერ ჩვეულებრივ მოვლენად აღიქმება. გარდა ამისა, ამ ვნების ლატენტურობის ხარისხი, როგორც ირკვევა, იმდენად ღრმა და უხილავია, რომ მეცნიერებაც კი უძლურია სწორი დიაგნოზის დასმაში.

[1041] იხ. *მღვდელი ლევან ნავროზაშვილი*, დასახ. ნაშრ., 73.
[1042] იხ., იქვე, 74-82.
[1043] იხ. *მიტრ. იეროთეოს ვლახოსი*, სულიერი მედიცინის მეცნიერება, (მთრგმნ. *ე. დუღაშვილი, ლ. ბუკიამ*, რედ. *დეკ. მ. ჯანტურია*), გამომც., „ახალი ივერიონი“, თბ., 2017, 151.
[1044] იხ. *ფროიდი ზ.*, დასახ. ნაშრ., 284, 16.

3.2.2.7 სასოწარკვეთილება

სასოწარკვეთილება არის, როცა ადამიანი სხვა რამის იმედად ცხოვრობს, მაგალითად: ფულის, შემოსავლის, ადამიანის, ხვალინდელი დღის, მოკეთეების, შელოცვებისა და საკუთარი თავის.[1045] სასოწარკვეთილების ცოდვაში, მრავალ სხვა საკითხთან ერთად, ასევე იგულისხმება: ცოდვის დამალვა; სიცოცხლის არსურვილი, შიში, ომსა და ბრძოლაში არჩაბმა სამშობლოსა და მოყვასის დასაცავად; ფულისა და ძვირფასეულობის შენახვა, გადამალვა და დახმარებაზე უარის თქმა.[1046] როდესაც ადამიანი მატერიალურ კეთილდღეობას აშენებს და შემდეგ ერთ დღეში კარგავს, მაგალითად, ხანძარი ყველაფერს ფერფლად აქცევს, ადამიანი რჩება ცარიელი და უბედური. ყოველივე რაზედაც ადამიანი იმედს ამყარებდა ცეცხლმა შთანთქა და ასეთ დროს ადამიანი საშინელ მდგომარეობაში აღმოჩნდება, რომელსაც სასოწარკვეთილება, ანუ უიმედობა ჰქვია.[1047] სასოწარკვეთილება (უიმედობა) ურწმუნოების შედეგად ვითარდება ადამიანში. ადამიანში არსებობს რწმენის უნარი, სასოწარკვეთა კი, ამ უნარს სპობს და ადამიანს ღმერთთან ურთიერთობის სურვილს უკარგავს. ზოგს სასოწარკვეთილება მარტო ის ჰგონია, როცა ადამიანი უკიდურესობამდე მივა, ანუ როცა თავს მოიკლავს.[1048]

წმ. იოანე სინელი აღნიშნავს, რომ „კაცთმოძულე მტერი დაცემამდე ცდილობს ცოდვისკენ მიგიზიდოს, ხოლო დაცემის შემდეგ სასოწარკვეთილებაში ჩაგვაგდოს“.[1049] არსებობს ცოდვათა სიმრავლისაგან, სინდისის სიმძიმისა და დიდი მწუხარებისაგან გამოწვეული სასოწარკვეთილება. ასევე არსებობს ამპარტავნებისა და სიამაყისაგან გამოწვეული სასოწარკვეთილება, რომელიც მაშინ ეუფლება ადამიანს, როდესაც ფიქრობს, რომ დამსახურებულად დაეცა. ეს ორი სასოწარკვეთილება ერთმანეთისაგან განსხვავდება: პირველი დაუდევრად იქცევა, ხოლო მეორე სასოწარკვეთილ მოღვაწეობაშია, რაც ურთიერთსაპირისპიროა.[1050]

აბბა ამბროსი მიუთითებს, რომ სასოწარკვეთილება დიდების მოყვარეობის (პატივმოყვარეობის) შედეგს წარმოადგენს: „სასოწარკვეთილება იმისგან ჩნდება, რომ ჩვენ გონებით ჯერ კიდევ ვერ ვხედავთ დიდების ამაოებას და კაცთა აზრებს დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ, ან თუ არ ვანიჭებთ, არც უარვყოფთ მას“.[1051]

ის მავნე შედეგი, რომელიც ამ ვნებას სდევს თან მრავალგვარია, მაგალითად: 1. მცირედმორწმუნეს, რომელიც სასოწარკვეთილებაშია, შეუძლია საკუთარი თავის

[1045] იხ. *მღვდელი ლევან ნავროზაშვილი*, დასახ. ნაშრ., 84.
[1046] იხ., იქვე, 89-90.
[1047] იხ., იქვე, 84.
[1048] იხ., იქვე, 83.
[1049] *წმინდა იოანე სინელი*, კლემაქსი ანუ კიბე, საეკლესიო ბიბლიოთეკა II, (რედ. *ნ. ხურცილავა*, თარგმნ. *ტ. ცომაია*), მეორე გამოცემა, თბ., 2014, 157, პ. 44.
[1050] იხ., იქვე 245, პ. 90.
[1051] *სქემარქიმანდრიტი იოანე (მასლოვი)*, დასახ. ნაშრ., 480.

განადგურება, როგორც ეს იუდამ გააკეთა;[1052] 2. სასოწარკვეთილ ადამიანზე ბოროტი ზემოქმედებს და ადამიანს ამოქმედებს, რითაც ადამიანი წარწყმედის გზას ადგება;[1053] 3. სასოწარკვეთილება ადამიანს სრულად ართმევს თავისუფალ ნებას და პატიოსნებას (*აბბა ამბროსი*).[1054]

სასოწარკვეთილების კრიმინოლოგიური მნიშვნელობა მოწყინების მსგავსად იმაში მდგომარეობს, რომ იგი უწყინარია ერთი შეხედვით. სასოწარკვეთილება ადამიანს ნელ-ნელა აშორებს ღმერთს, აკარგვინებს თავისუფალ ნებას და პატიოსნებას. იგი იწვევს ადამიანის ისეთ დემორალიზებას, რომ ადამიანს ჩაადენინებს თვითმკვლელობასაც კი.

მატერიალურ სიმდიდრის დაკარგვით, სასოწარკვეთილი ადამიანი სუიციდის ფაქტები, არა არის იშვიათი მოვლენა. ასეთი ფაქტები მრავალია და განსაკუთრებით აზარტულ მოთამაშეებში. ვერცხლისმოყვაროება, რომ იწვევს სასოწარკვეთას კარგად ჩანს ზემოთ მოყვანილ მაგალითშიც, როდესაც უეცარი სიმდიდრის დაკარგვის გამო მილიონერი *ა. მერკლე* ასრულებს სიცოცხლეს თვითმკვლელობით.[1055]

სასოწარკვეთის კრიმინოლოგიური თავისებურება, მოწყინების ვნების მსგავსად მაღალ ლატენტურობაშია, რადგან იგი წარმოსდგება ურწმუნოებისგან, ამპარტავნებისგან, სიამაყისაგან, დიდებისა და კაცთა შესაძლებლობებისათვის მნიშვნელობის მინიჭებისაგან, რაც ობივატელის მიერ ასევე ნორმალურ მოვლენად აღიქმება.

3.2.2.8 ამპარტავნება

წმიდა მამები განმარტავენ: „ამპარტავნებაა დაცემათა მიზეზი, წყარო ყოველგვარი უკეთურებისა";[1056] „ყველა ვნებათა მშობელი და მამოძრავებელი ამპარტავნებაა"[1057] და „სადაც კი გამოჩნდა ცოდვის ნაყოფი, მიზეზი ყოველთვის ამპარტავნება იყო".[1058]

რადგან ამპარტავნება დანაშაულ(ობ)ის უმთავრესი მიზეზია, რომლიდანაც წარმოიშვა ყველა სხვა ვნება, უპრიანია, საკითხი შედარებით ვრცლად გაანალიზდეს და გამოვლინდეს უფრო მეტი დეტალი, ვიდრე ეს ზემოთმოყვანილ ვნებათა დახასიათებისას გაკეთდა.

[1052] იხ. *მღვდელი ლევან ნავროზაშვილი*, დასახ. ნაშრ., 85.

[1053] იხ., იქვე, 86.

[1054] იხ. *სქემარქიმანდრიტი იოანე (მასლოვი)*, ლექციები სამოძღვრო ღვთისმეტყველებაში, მეორე გამოცემა, (თარგმნა *გრიგოლ რუხაძემ*), გამომც, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბ., 2013, 486.

[1055] იხ. *Marsh S.*, German Billionaire Commits Suicide after VW losses, ინგლისის საინფორმაციო სააგენტო „Reuters", <https://www.reuters.com/article/us-merckle-newsmaker-sb-idUSTRE5055O820090107>, (მოპოვების თარიღი: 07.07.2020).

[1056] *დეკ. მიქაელ გალდავა*, დასახ. ნაშრ., 104.

[1057] *მღვდელი ლევან ნავროზაშვილი*, დასახ. ნაშრ., 93.

[1058] იხ. *წმ. იოანე სინელი*, კლემაქსი, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1986, 23, პუნქტი 1, ციტირებულია წიგნიდან: *დეკ. მიქაელ გალდავა*, დასახ. ნაშრ., 105.

პირველ რიგში აუცილებელია აღინიშნოს, რომ ამპარტავნებაში ითვლება: 1. შექების სურვილი, სხვაზე მეტობის განცდა, კარგისა და განსაკუთრებულის ძიება; 2. სხვის ნაკლოვანებებზე ლაპარაკი, როგორც არასასურველზე, თითქოს იგი ასეთ რამეს არ გააკეთებს, რასაც სხვა; 3. საკუთარი ცოდვების დაუნახაობა და გამართლება; 4. წარმოდგენებით ცხოვრება, ვიღაცას, რომ წარმოადგენს მტრად, ან მას სხვაზე მეტი პატივი რომ ეკუთვნის; 5. უკმაყოფილება ყველასი და ყველაფრის, რაც მის გარშემო ხდება; 6. საკუთარი ნაკლის დაფარვა და სხვისი წარმოჩენა; 7. სხვის პიროვნულ ცხოვრებაში ჩარევა და საკუთარ ნებაზე სხვისი გამოყენება; 8. წარმატების შემთხვევაში დიდად გახარება, ხოლო წარუმატებლობისას დამწუხრება; 9. შენდობის მიუცემლობა, სხვისთვის ულოცველობა, მტრის უსიყვარულობა, მოყვასის გაუტანლობა; 10. ჭამის, დასვენების, ძილისა და სხვა ბუნებრივი მოთხოვნილებების მაშინვე დაკმაყოფილება; 11. რაიმეს შეძენის განსაკუთრებული სურვილი, რითაც წარმოსახვით სამყაროში გადადიხარ და იგი სიამოვნებას განიჭებს, რის გამოც შეწყვეტ ლოცვას და აღსარების საიდუმლოებაში მონაწილეობას.[1059]

სხვა ვნებებთან შედარებით, ამპარტავნების ასეთი დახასიათება, ადამიანს შეიძლება ყველაზე ნორმალურ მოვლენად მოეჩვენოს, და ალბათ, ეს გასაკვირი არც უნდა იყოს, შემდეგი მიზეზების გამო:

ა) *წმ. იოანე სინელის* განმარტებით, „ამპარტავნება ღვთისადმი მადლიერებით იწყება, რადგან ეშმაკს თავიდანვე ღვთის უარყოფის ურცხვად ჩაგონება არ ძალუძს.“[1060] წმიდანის თქმით, „მინახავს ხალხი, რომლებიც პირით მადლობენ ღმერთს, გონებით კი ამპარტავნობენ. ამას ამტკიცებს ფარისეველი, რომელიც ამბობს: „ღმერთო, გმადლობ შენ“ (ლკ. 18, 11)“.[1061]

ბ) *სქიიღუმენი საბა* (*ოსტაპენკო*) აღნიშნავს, რომ ამპარტავნების ვნების მზაკვრობა სწორედ იმაშია, რომ მისი ამოცნობა არც ისე იოლია. ამპარტავნების ამოცნობა დასაწყის სტადიაზე მხოლოდ გამოცდილ სულიერ მოძღვარს, ანდა ფსიქოლოგს შეუძლია, უშეცდომოდ განსაზღვროს ეს ვნება. ადამიანი თითქოს ნორმალურად იქცევა, მაგრამ გამოცდილი თვალი მასში დაავადების დასაწყისს ამჩნევს.[1062]

[1059] იხ. *მღვდელი ლევან ნავროზაშვილი*, დასახ. ნაშრ., 97-99.

[1060] *წმინდა იოანე სინელი*, კლემაქსი ანუ კიბე, საეკლესიო ბიბლიოთეკა II (რედ. *ნ. ხურცილავა*, მთარგმნ. *ტ. ცომაია*), მეორე გამოცემა, თბ., 2014, 198, პ. 3.

[1061] *წმ. იოანე სინელი*, ცოდვით დაცემანი და ბრძოლა მათ წინააღმდეგ (რედ. *დეკ. გ. ჯგუშია*, რუსულიდან თარგმნა *მანანა ბუკიამ*), ზუგდიდი, 2002, 7.

[1062] იხ.: 1. *სქიიღუმენი საბა (ოსტაპენკო)* ამპარტავნების შესახებ, საქართველოს საპატრიარქო, თბ., 2003, 13; 2. *სქიიღუმენი საბა (ოსტაპენკო)* მთავარი ქრისტიანული სათნოებისა და ამპარტავნების შესახებ, საქართველოს საპატრიარქო, თბ., 2011, 13.

გ) *წმ. ტიხონ ზადონელის* თქმით კი, „ამპარტავნებას მცირედნი შეიცნობენ, რამეთუ დაფარულია და გულის სიღრმეში იმყოფება“.[1063]

მღვდელი ლევან ნავროზაშვილის შრომაში არნიშნულია, რომ „მართალია, ყველა სხვა ვნებაც არის ღმერთთან დაპირისპირების საშუალება, მაგრამ ამპარტავნებამ შესაძლებელია ადამიანი სრულად დააშოროს ღმერთს. იგი ის განსაკუთრებული ცოდვაა, რომ თუ არ ებრძვი, სხვა ყველა ვნებას იწყნარებ და აკმაყოფილებ, ეს კი სულს ღუპავს“.[1064]

ამპარტავნების ვნებით შეპყრობილი ადამიანის საშიშროება და ზოგადად ამპარტავნების უარყოფითი ასპექტები მდგომარეობს იმაში, რომ:

1. ასეთი ადამიანები აწყობენ გადატრიალებებს სახელმწიფოში; ღვთის მგმობი აზრები შეაქვთ ეკლესიებში ... ; ლაპარაკობენ მშვიდობასა და ერთგულებაზე, მაგრამ საქმით ანარქიას ჰქმნიან; ხალხს სიტყვით მოუწოდებენ სიყვარულისკენ, ხოლო საქმით სხვისი განადგურებისკენ უბიძგებენ.[1065]

2. ამპარტავანი ადამიანი ულმობელია, მას არავინ ეცოდება და არავის იწყნარებს, რადგან მისთვის მიწიერია ყველაფერი.[1066]

3. ამპარტავანს გული უთქვამს უწმიდურებისთვის, ნაყროვანებისთვის და ანგარებისთვის.[1067]

4. ამპარტავნებას ადამიანი მიჰყავს ურწმუნოებამდე (იოან. 5, 44), უფლის წინააღმდეგ ამბოხებამდე (რჯლ. 1, 43; 17, 12), მოუნანიებლობამდე (ოს. 7, 10), მრისხანებამდე (იგავ. 21, 24), ძალადობამდე (ფსალმ. 9, 23; 72, 6, 8; 85, 14), დაცემამდე (იგავ. 16, 18; 17, 18) და უსინდისობამდე (ფსალმ. 118, 78).[1068]

5. ამპარტავნებით იღუპება დიდი და პატარა, გონიერი და უგონო, ლამაზი და მახინჯი, მდიდარი და გლახაკი, მორწმუნე და ურწმუნო, ძლიერი და სუსტი. იგი ცოდვილს - ცოდვის ქმნაში აქეზებს, უწმინდურს - მრუშობაში, ანგარს - მომხვეჭელობაში, ნაყროვანს - განცხრომასა და ლოთობაში, კადნიერს - პატივმოყვარეობაში, მლიქვნელს - სიცრუეში.[1069]

6. ამპარტავნებით შეიძლება ადამიანმა ხაზი გადაუსვას ყველასა და ყველაფერს - მორწმუნეობას, ძმობას, ოჯახს, ერს, მამულს, სამშობლოს სიყვარულს, პატიოსნებას. ამ ვნებით დაღუპულან მეფენი და მთავარნი, მღვდელნი და მღვდელმთავარნი, ბერნი და

[1063] *Святитель Тихон Задонский*, Наставления о Личных Обязанностях Каждого Христиана, М., 1999, 98, იხ.: მამათა სწავლანი სულიერი ცხოვრების შესახებ (შემდგ. *ვლ. წამალაშვილი*; რედ. *ნ. კვანტალიანი*), თბ., 2006, 123.

[1064] *მღვდელი ლევან ნავროზაშვილი*, დასახ. ნაშრ., 96.

[1065] იხ., იქვე, 100.

[1066] იხ., იქვე, 106.

[1067] იხ. *მღვდელი ლევან ნავროზაშვილი*, დასახ. ნაშრ., 107.

[1068] იხ. ბიბლიის ლექსიკონი (შემდგ. *ბ. გოეცე*), თბ., 2006, 15.

[1069] იხ. *მღვდელი ლევან ნავროზაშვილი*, დასახ. ნაშრ., 94.

მონაზონნი, ნასწავლნი და უსწავლელნი, აზნაურნი და მდაბიონი. მას დაუღუპია და გადაუშენებია ქვეყნები, სახელმწიფოები, ერები და ოჯახები.[1070]

7. *სულხან-საბა ორბელიანის* მიხედვით, „ამპარტავნებისგან იშობიან შეურაცხება მოყვასთა, სიძულვილი ძმათა, უმორჩილოება უხუცესთა თვისთა, მრისხანება თვისთა და ამათ გამო იშვების ბრძოლა და კაცის კვლა“.[1071]

სქიიღუმენი საბა (*ოსტაპენკო*) აღნიშნავს, რომ „ამპარტავნება ისეთი ვნება, სულიერი ავადმყოფობა და ცოდვაა, შეიძლება ითქვას, რომ მთელი კაცობრიობაა დაავადებული. გამონაკლისს მხოლოდ მცირერიცხოვანი ჭეშმარიტად თავმდაბალნი წარმოადგენენ და სხვადასხვა სტადიებშია.“[1072]

ამდენად, მართლმადიდებლური მოძღვრებით, ამარტავნება არის დანაშაულ(ობ)ის დეტერმინაციიის მთავარი წყარო, რადგან ყველა ვნების საფუძველია. იგი ხასიათდება ლატენტურობის ყველაზე მაღალი დონით, ყველა ვნებას აღემატება ვიქტიმირების ხარისხითა და მასშტაბურობით, მიკრო, მეზო და მაკრო დონეზე, დაწყებული ერთი კონკრეტული ადამიანიდან დამთავრებული მთლიანად კაცობრიობით; ყველაზე შეუმჩნევლად აშორებს ადამიანს ღმერთს, აკარგვინებს ადამიანს თავისუფალ ნებას, ახდენს მის დემორალიზებას, აქცევს საზოგადოებისთვის საშიშ პიროვნებად და უბიძგებს ადამიანს ჩაადენინოს ნებისმიერი სახისა და სიმძიმის დანაშაული. მეორე მხრივ, ამპარტავნება, ყველაზე მეტად იწვევს თავად დამნაშავის ვიქტიმირებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ამპარტავნება კრიმინოლოგიური თვალსაზრისით ყველაზე აქტუალური საკითხია, რადგან შესაძლებლობას გვაძლევს გავერკვეთ დანაშაულ(ობ)ის ეტიოლოგიაში, დამნაშავის პიროვნების არსში, და ზოგადად, კრიმინოლოგიის საგანში შემავალ სხვა საკითხებში.

3.2.3 ვნებების საერთო ნიშან-თვისებების ანალიზი

იმის მიუხედავად, რომ თითოეულ ვნება თვისებრივად განსხვავდება ერთმანეთისგან, ყველა მათგანს გააჩნია საერთო დამახასიათებელი ნიშან-თვისებაც. მათი გაანალიზება მიზანშეწონილია იმისთვის, რომ უკეთ გავერკვეთ, როგორც ვნების ფენომენში, ასევე დანაშაულ(ობ)ის ეტიოლოგიის ზოგად საკითხებში.

თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ ვნების ყველა საერთო ნიშან-თვისება გამომდინარეობს მათი ***საერთო ბუნებიდან***, რომელიც სათავეს იღებს ამპარტავნებიდან.

[1070] იხ., იქვე, 94.

[1071] საქართველოს დიდება, ღვთიური სიბრძნის მართლმადიდებლური ენციკლოპედია, მესამე გამოცემა (შემდგ. *გ. კალანდაძე*), გამომც. „დიადემა“, თბ., 2019, 19.

[1072] 1. *სქიიღუმენი საბა (ოსტაპენკო)*, ამპარტავნების შესახებ, საქართველოს საპატრიარქო, თბ., 2003, 17; 2. *სქიიღუმენი საბა (ოსტაპენკო)* მთავარი ქრისტიანული სათნოებისა და ამპარტავნების შესახებ, საქართველოს საპატრიარქო, თბ., 2011, 17.

ამპარტავნება ყველა სხვა ვნების მშობელია, რაც შესაძლებლობას გვაძლევს მოვახდინოთ ვნებების სხვა დანარჩენი საერთო ნიშან-თვისებების იდენტიფიცირება.

ვნების საერთო ბუნებდან ლოგიკურად გამომდინარეობს, ვნებათა ტელეოლოგიური ასპექტი. თუკი, ამპარტავნების ვნების მიზანი, ცდუნებითა და ცოდვის ჩადენით, ღმერთისგან ადამიანის დაშორებაა, მისგან აღმოცენებული ნებისმიერი ვნება, მიუხედავად, სხვადასხვა გამოვლინებისა და ფუნქციური დატვირთვისა, ემსახურება იმავე მიზანს. უფრო კონკრეტულად თუ ვიტყვით, ყველა ვნება წარმოადგენს ამპარტავნების ვნების მიზნის მიღწევის სხვადასხვა საშუალებას.

ვნებათა საერთო ბუნება და ტელეოლოგია მეტყველებს იმ ფაქტზეც, რომ ვნებებს შორის არსებობს ***მჭიდრო ურთიერთკავშირიც*** (კორელაცია).

მიტრ. ი. ვლახოსის, წიგნიდან ირკვევა, რომ „ერთი ვნება მეორეს მჭიდროდ უკავშირდება“.[1073] *წმ. ამბა ისაია* აღნიშნავს, რომ „ვნებები ერთმანეთს ჯაჭვის რგოლებივით მოსდევენ“.[1074] *დეკ. დავით ციცქიშვილი* საუბრობს წმინდა მამათა სწავლებებზე, რომელთა მიხედვით, ვნებებს შორის არსებობს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი და მოჰყავს *წმ. იოანე კიბისაღმწერელის* სწავლება მრუშობისა და ნაყროვანების მაგალითებზე. ერთ-ერთი მაგალითიდან ირკვევა, რომ დათრობის შემდეგ, ადამიანს აღეძვრება მრუშობის ვნება, რომლის დაკმაყოფილების შემდეგ, კლავს ქალს კვალის დაფარვის მიზნით.[1075]

ვნებებს შორის არსებული მჭიდრო კორელაცია მოწმობს იმას, რომ ყოველი მცირე მნიშვნელობის ვნება საბოლოო ანგარიშით თანაბარი ***საფრთხის შემცველია***, რდგან უწყინარი ვნება სხვა მომაკვდინებელ ცოდვას ბადებს. მაგალითად, „გემოთმოყვარეობა და მზაკვრობა ყველა ბოროტების მშობლები არიან“.[1076] ნაყროვანება კი, წარმოშობს სასოწარკვეთას, რომელიც „ვნებათა შორის ითვლება ყველაზე საძაგელ ვნებად“.[1077] იგივე შეიძლება ითქვას ლოთობაზეც, „ნუ დაითვრებით, რომლისაგან იქმნება ბილწება და წამალი არს მაკვდინებელი და დედა გულისთქმათა ბოროტთა“ (*პავლე მოციქული*), რომელიც ადამიანს აგდებს მრუშობის ვნებაში, და რომელსაც, ერის გადაშენებაც კი შეუძლია.[1078]

[1073] *მიტრ. იეროთეოს ვლახოსი*, მართლმადიდებლური ფსიქოთერაპია, მეორე გამოცემა (მთრგმნ. *ე. დუღაშვილმა*; რედ. *მღვდელი ზ. ცხოვრებაძე*), გამომც. „ახალი ივერიონი“, თბ., 2010, 266.

[1074] სულიერი მდელო, (შემდგ.: *ნ. თარაშვილმა, ხ. რაქვიაშვილმა, თ. ასათიანმა*; რედ. *თ. გოგოჩაშვილი*), გამომც. შპს „მეგობრობა,“ თბ., 2014, 426.

[1075] იხ. *დეკ. დავით ციცქიშვილი*, ცოდვილი ჩანაფიქრები (სტატიის ავტორი *ლ. ჩხარტიშვილი*, ესაუბრა სასულიერო სამინარიისა და აკადემიის პედაგოგი, ფსიქოლოგი, დავით ციცქიშვილი), მართლმადიდებლური ჟურნალი „კარიბჭე“ (№10(71); რედ.: *თ. მამაცაშვილი*), თბ., 2007, 10.

[1076] *როუზი ს.*, დასახ. ნაშრ., 59.

[1077] იხ., იქვე, 56.

[1078] იხ. *მღვდელი ლევან ნავროზაშვილი*, დასახ. ნაშრ., 53.

წმ. ათანასე დიდი და *წმ. იოანე სინელი*, ვერცხლისმოყვარეობას უწოდებენ ყოველი ბოროტების ძირს,[1079] რომლისგანაც წარმოსდგება შური. შურიანს კი, გული მთლიანად ბოროტი საქმეებისა და მკვლელობისკენ აქვს მიდრეკილი (*აბბა ამბროსი*).[1080] შურის ძალით, როგორც ვიცით აღსრულდა ყველაზე დიდი დანაშაული სამყაროში - ქრისტეს მოკვლა.

მამა აგათონის შეხედულებით, კადნიერება „არარაი არს უბოროტეს ვნებათა შორის ვითარ კადნიერება".[1081] ხოლო, *მამა ესაიას* სწავლებით, ადამიანს სამი ვნება ებრძვის სიკვდილის ბოლომდე, „შეძინებაი, პატივი და განსვენებაი".[1082]

ცოდვის პროგრესირების შესახებ *არქ. გ. ბასილაძე* განმარტავს, რომ „მცირედი ცოდვები, რომლებიც სისტემატურ ხასიათს ღებულობენ, აუცილებლად გახდება დროში მომაკვდინებელი ცოდვების საწინდარი. მცირედი ცოდვებით იწყება დიდი ცოდვები. მაგალითად, ადამიანი მკვლელად არ იბადება, ის მკვლელად ყალიბდება და ეს ცოდვა ქედმაღლობით იწყება - სხვების შეურაცხყოფა, დამცირება და ჩაგვრა აუცილებლად მიიყვანს ადამიანს კაცის კვლამდე. პატარა ცოდვა არ არის მომაკვდინებელი, მაგრამ პატარა ცოდვების ერთობლიობა უკვე ისედაც არის დიდი ცოდვა."[1083]

დაბოლოს, იაკობის ეპისტოლეში კარგად ჩანს, რომ თითოეული ვნება და ცოდვა თანაბარი საფრთხის შემცველია, რადგან: „ვინც მხოლოდ ერთში სცოდავს ყველაფერში შემცოდეა" (იაკ. 2.10). ამასთან დაკავშირებით, *წმ. ეგნატე ბრიანჩანინი* განმარტავს, რომ „ადამიანის დასაღუპად ერთი მანკიერი ჩვევაც საკმარისია - ის მუდამ გაუღებს სულში შესაღწევს კარს ყველა ცოდვასა და ვნებას".[1084]

საფრთხის შემცველობის ასპექტის შემდეგ, მიზანშეწონილია აღინიშნოს ადამიანის ***ამორალური დეგრადირებისა*** და ***საზოგადოებისთვის საშიშროების ასპექტი***, რადგან იგი უკლებლივ ყველა ვნებას ახლავს და დანაშაულის ჩამდენი პირის დამახასიათებელი ნიშანიცაა.

ავიღოთ მაგალითად „მოწყინება". იგი, ადამიანში ბადებს ბოროტ ზრახვებს, ადამიანს ასასტიკებს და ხდის ურჩს. ამ ვნებით შეპყრობილ ადამიანს, შეუძლია ჩაიდინოს მკვლელობაც, როგორც ეს ბიბლიაშია ნაჩვენები (დაბ. 25, 31-34). *მიტრ. ი. ვლახოსის* მიხედვით „მოწყინებით და მწუხარებით ადამიანი ვნებს ყველასა და

[1079] იხ. 1. ასკეტური ფორმულები (შემდგენელი, მორჩილი, *გრ. რუხაძე*), საპატრიარქოს გამოცემლობა, თბ., 2015, 82; 2. *მღვდელი ლევან ნავროზაშვილი*, დასახ. ნაშრ., 167.

[1080] იხ. *სქემარქიმანდრიტი იოანე (მასლოვი)*, ლექციები სამოძღვრო ღვთისმეტყველებაში, მეორე გამოცემა, (თარგმნა *გრ. რუხაძემ*), გამომც, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბ., 2013, 484-485.

[1081] ასკეტური ფორმულები (შემდგენელი, მორჩილი, *გრ. რუხაძე*), საპატრიარქოს გამოცემლობა, თბ., 2015, 24.

[1082] იხ., იქვე, 52.

[1083] *ჩაგუნავა ა., ყოლბაია ლ.*, ქართველობა ძნელია, მაგრამ აუცილებელი!.., თბ., 2008, 190.

[1084] მამათა სწავლანი სულიერი ცხოვრების შესახებ (შემდგ. *ვლ. წამალაშვილი*; რედ. *ნ. კვანტალიანი*), გამომც. „ბეთანია", თბ., 2015, 96.

ყველაფერს“[1085] გარდა ამისა, როგორც ყველა ვნებას, მოწყინებასაც აქვს უნარი სხვა მომაკვდინებელი ვნებები. იგი მოიხვეჭს პატივმოყვარეობას, ანგარებას, ხორციელ სიამოვნებებს და ა.შ. „სწორედ ასეთ ადამიანში არის ცოდვა და საუკუნო წარწყმედა“ - ვკითხულობთ წიგნში „მომაკვდინებელ ცოდვათა და სინანულის საიდუმლოებისათვის“.[1086]

ზოგადად, თავად ის ფაქტი, რომ ვნებას მთლიანად ემორჩილება ადამიანი,[1087] იქნება ეს სულიერი თუ ხორციელი ვნება, ნიშნავს იმას, რომ ნებისმიერ ვნება ადამიანს ამორალურ და საზოგადოებრივად საშიშ პიროვნებად აქცევს, რაც დანაშაულებრივი ქცევის ფორმირებასთან პირდაპირ კავშირშია.

არისტოტელე აღნიშნავს, რომ „უზნეო ადამიანი უსინდისო და მხეცური ბუნებისაა სათნოების გარეშე, როგორც სქესობრივ, ისე სხვა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საკითხში“.[1088]

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა *წმ. ილია მართლის* შეხედულება, რომ „საკმაო არ არის, რომ კაცი მეცნიერი იყოს, დიდი სწავლა მიეღოს, ბევრი ცოდნა შეეძინოს. კაი-კაცობა და კაი-კაცობის შემძლებელობა მარტო ზნე-ხასიათისაგან ეძლევა ადამიანს. ავი კაცი, რამდენადაც მეცნიერია და დიდად სწავლული, უფრო დიდად მავნებელია.“[1089]

აქვე შევნიშნავთ, რომ კრიმინოლოგიაში, ადამიანის შინაგანი ზნეობრივი, სულიერი სამყარო და საზოგადოებრივი საშიშროება წარმოადგენენ მთავარ დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს „დანაშაულის ჩამდენი პირის“ ცნების სტრუქტურაში.[1090] სისხლის სამართლის თვალსაზრისით ყოველი ჩადენილი დანაშაულით, როგორც წესი, ირღვევა მორალური წესიც.[1091]

ვნებათა ერთ-ერთი ყველაზე სახასიათო ნიშანი არის მათი ***ლატენტური ბუნება***. ადამიანი ვნებას ვერ აფიქსირებს მხედველობითი და სმენითი ორგანოებით, რადგან იგი უხილავი ბოროტი ძალა და ენერგიაა. იგი სულისა და სხეულის გენეტიკური ნაწილია, რომელიც „ადამიანში მკვიდრობს“ (რომ. 7, 17). მაგალითად, მრუშობა არა მხოლოდ ხორციელად, არამედ გულისთქმითაც ხდება (მათე 5, 27, 28) და ეს პროცესი მოქმედებს ადამიანის შინაგან სამყაროში, რომელიც ფიზიკური თვალით, გარედან არ ჩანს.[1092]

[1085] *მღვდელი ლევან ნავროზაშვილი*, დასახ. ნაშრ., 74-82.

[1086] იხ., იქვე.

[1087] იხ. *მიტრ. იეროთეოს ვლახოსი*, მართლმადიდებლური ფსიქოთერაპია, მეორე გამოცემა (მთრგმნ. *ე. დუღაშვილმა*; რედ. *მღვდელი ზ. ცხოვრებაძე*), გამომც. „ახალი ივერიონი“, თბ., 2010, 266.

[1088] *არისტოტელე*, პოლიტიკა (ძველი ბერძნულიდან თარგმნა *პროფ. თ. კუკავამ*), თბ. 1993, 13.

[1089] *ჭავჭავაძე ი.*, თხზულებათა სრული კრებული, ტომი IV, ერი და ისტორია, წერილები სახალხო განათლების საკითხებზე (რედ. *პ. ინგოროყვა*), საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, თბ., 1955, 293.

[1090] იხ. *წულაია ზ.*, დასახ. ნაშრ., 82-84, 87-88.

[1091] დაწვრილებით იხილეთ წინამდებარე დისერტაციის ქვე-პარაგრაფი: 1.3.1.3 ტრანსცენდენტული ასპექტები დანაშაულის საკანონმდებლო ცნებაში.

[1092] იხ. *მღვდელი ლევან ნავროზაშვილი*, დასახ. ნაშრ., 50.

გარდა ამისა, ვნებათა ლატენტუროებას განაპირობებს, ისიც, რომ ზოგიერთი ვნების შეგრძნებაც შეუძლებელია და მათ გამოვლენაც რთულია.

მაგალითად, *წმ. ნიკოდიმოს მთაწმინდელი* აღნიშნავს, რომ ამარტავნება ისეთი ფაქიზი და ფარულია, რომ ადამიანი ვერ გრძნობს მას.[1093] *ა. მენი* განმარტავს, რომ შეიძლება ადამიანი ცოდვაში იყოს ჩაძირული ისე, რომ ფორმალურად არ არღვევდეს არც ერთ მცნებას. *მანს* სახარებიდან მოჰყავს ფარისევლის მაგალითი, რომელიც არ ყოფილა არც მძარცველი, არც მატყუარა და არც ავაზაკი, მაგრამ იცავდა ყველა მცნებას და ამით, საშინლად ამაყობდა, იყო ამპარტავანი, ანუ თვინიერებას მოკლებული (იხ.: იგავი ფარისეველსა და მებაჟეზე, ლუკა 18, 10-14).[1094] ზოგიერთი ვნება კი, იმდენად ფარულია, რომ მისი დადგენა მხოლოდ სულიერ მამებს ხელეწიფებათ. მაგალითად, მწუხარება, შეიძლება ადამიანისგან ან ეშმაკისგან მომდინარეობს, რომლის გარჩევა შეუძლია მხოლოდ იმ სულიერ მამებს, რომელთაც გარჩევის მადლი აქვთ.[1095]

ყველა ვნების დამახასიათებელ თვისებას, ასევე წარმოადგენს ვნების მიმართ ***ადიქცია***. აღნიშნული შეგვიძლია განვიხილოთ ვერცხლისმოყვარეობის მაგალითზე. *დეკ. მიქაელ გალდავა*, იოანე ოქროპირის სწავლებებზე დაყრდნობით განმარტავს, რომ მატერიალური სიმდიდრისადმი მისწრაფებას ახასიათებს ნაკლულევანების მძაფრი განცდა, უმეტესის განუწყვეტელი სურვილი.[1096] ვერცხლისმოყვარე მომთვრალეს ემსგავსება, რომელიც რაც მეტს სვამს, უმეტესი სწყურია. ამგვარი რამ ლოგიკურია, რამეთუ „გულისთქმის წესი ის არის, რომ უმეტესობით კი არ განელდეს, არამედ - უფრო მეტად აენთოს“.[1097] რადგან, ვნებათა ბუნება ერთია, აღნიშნული სწვალებაც, ყველა ვნებაზე ვრცელდება.

დაბოლოს, ვნებების საერთო ნიშნებში, უნდა გამოვყოთ ***დამნაშავის ვიქტიმირების*** საკითხიც.

სპინოზამ მეტად მკაფიო ფორმულირება გაუკეთა სოციალურად მოცემულ დაზარალებულობის პრობლემას: „სინამდვილეში სიძუნწე, პატივმოყვარეობა, გარყვნილება და ა.შ. შეადგენენ შეშლილობის სახეობებს, თუმცა არ მიიჩნევა დაავადებად.“[1098] *ერიხ ფრომი* ამ ფორმულასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ „ეს სიტყვები რამდენიმე საუკუნის უკანაა დაწერილი, მაგრამ დღემდე სწორია, თუმცა დღესდღეობით დაზარალებულობის განსხვავებული სახეები წინასწარ არის

[1093] „ბრძენ არიან თავით თვისით და წინაშე მათსა ზედმიწევნულებ!“ (ისაია 5, 21), მოციქული გვაუწყებს: „ნუ იქნებით ბრძენ თავით თვისით“ (რომ. 12, 16), „ნუ იფიქრებ, რომ ბრძენი ხარ“ (იგავი სოლომ. 3,7), იხ.: *წმ. ნიკოდიმოს მთაწმინდელი*, დასახ. ნაშრ., 14, სქ., 2.

[1094] იხ. *დეკ. ალექსანდრე მენი*, დასახ. ნაშრ., 103.

[1095] იხ. *მიტრ. იეროთეოს ვლახოსი*, სულიერი მედიცინის მეცნიერება, (მთრგმნ. *ე. დუღაშვილი, ლ. ბუკიამ*, რედ. *დეკ. მ. ჭანტურია*), გამომც., „ახალი ივერიონი“, თბ., 2017, 151.

[1096] იხ. *დეკ. მიქაელ გალდავა*, დასახ. ნაშრ., 171.

[1097] იქვე, 173.

[1098] *ფრომი ე.*, ვართ კი ნორმალურები? (მთრგმნ. *ნ. კუჭუხიძემ*), სტამბა შპს „ხომლი ენ“, ქუთაისი, 2014, 83.

საზოგადოებისაგან იმ დონით მოცემული, რომ უკვე ჩვეულებრივ აღარ იწვევს გაბრაზებას ან ზიზღს“.[1099]

მართლმადიდებლური მოძღვრებიდან ვიცით, რომ ცოდვა, როგორც „ბუნებრივი“ მდგომარეობა, არის ავადმყოფობა, რაც მოითხოვს წამალს განკურნებისთვის.[1100] დამნაშავის, როგორც დაზარალებულის საკითხის კვლევამ დაგვანახა, რომ ვნებებზე დამოკიდებულობა არის ადამიანის არაბუნებრივი, პათოლოგიური და ავადმყოფური მდგომარეობა. ვნებით შეპყრობილს ესაჭიროება სულიერი რეაბილიტაცია, რაც ცხადყოფს, რომ დანაშაულის ჩადენით პირი საკუთარი დანაშაულის მსხვერპლიც ხდება. მაგალითად, *წმ. იოანე ოქროპირის* სწავლებით, „ვნება გონებას აბნელებს“,[1101] „შური, პირველ ყოვლისა თვით შურიანს ვნებს“.[1102] *წმ. ბასილი დიდი* განმარტავს, რომ „შური უდიდესი ბოროტებაა თავად იმისთვის, ვისშიც ეს ვნებაა. როგორც ჟანგი ჭამს რკინას, ასევე შური ჭამს სულს, რომელშიც ის ცხოვრობს“[1103] და ა.შ.[1104]

3.2.4 შეჯამება

კვლევით ირკვევა, რომ არსებობს მრავალი ვნება. თითოეული მათგანი საკმაოდ ვრცელი ანალიზის საშუალებას იძლევა. ყველას სიღრმისეული ანალიზი დიდი მოცულობიდან გამომდინარე შეუძლებელია კვლევის ფორმატიდან გამომდინარე. ამდენად, შერჩეულ იქნა მხოლოდ რამდენიმე, ყველაზე მთავარი ვნება და გაანალიზდა მათთვის დამახასიათებელი ის ძირითადი ასპექტები, რომლებიც მნიშვნელოვანია კრიმინოლოგიური თვალსაზრისით.

ზემოთგაანალიზებული ვნებების გარდა, ყველა სხვა დანარჩენი ვნებაც, ანალოგიურად აქტუალურია კრიმინოლოგიისთვის, იქნება ეს შური, განკითხვა, ხიბლი, გულგრილობა, ამაოება, უმადურობა, ცილისწამება, პირმოთნეობა, ლოთობა, ლუდომანია თუ სხვა.[1105]

მაგალითად, „შური“, კლასიკურ ვნებათა რიგს მიეკუთვნება. იგი არის მწუხარება მოყვასის ბედნიერებაზე და სიხარული მის უბედურებაზე, რომელიც ამოიზრდება

[1099] იხ., იქვე.

[1100] იხ. *იეროთეოს ვლახოსი*, სულიერი მედიცინის მეცნიერებაში (მთრგმნ.: *ე. დუღაშვილი* და *ლ. ბუკია*; რედ. *დეკ. მ. ჭანტურია*), გამომც. „ახალი ივერიონი“, თბ., 2017, 161.

[1101] *წმინდა იოანე ოქროპირი*, ჰომილიები, III ტომი (რედ. *თ. გოგოჩაშვილი*), გამომცემლობა „ალილო“, თბ., 2015, 295.

[1102] *წმინდა იოანე ოქროპირი*, თარგმანებაი მათეს სახარებისა (მთრგმნ. *წმ. ეფრემ მთაწმინდელი*), წიგნი II, თბ., 1996, 292, ციტირებულია წიგნიდან: დეკანოზ *მიქაელ გალდავა*, დასახ. ნაშრ., 89.

[1103] ცოდვათა განმარტებანი, წმიდა მამები შურის შესახებ (მასალების შემკრები და მთარგმნელი *დავით თოფჩიშვილი*), თბ., 2018, 5.

[1104] დამნაშავის ვიქტიმოლოგიურ ასპექტებზე დამატებით იხილეთ წინამდებარე დისერტაციის პარაგრაფი: 2.3.1 დამნაშავე, როგორც დაზარალებული.

[1105] იხ. *დეკ. კონსტანტინე ჯინჭარაძე*, კერპთაყვანისცემის სახეობები (რედ. *დ. თ. მორგოშია*), თბ., 2015, 65.

ყველა ვნებაზე აღმატებული ფესვიდან, - ამპარტავნებიდან.[1106] იგი სამყაროში ეშმაკიდან შემოვიდა (სიბრძ. 2, 24),[1107] რადგან ეშმაკს შეშურდა ღმერთის სიყვარული ადამიანის მიმართ და ვერ შეძლო მასთან წინააღმდეგობა, მიმართა ადამიანს. სწორედ ეშმაკისაგან მომდინარე შურით დაშორდა ადამიანი ღმერთს.[1108] შური არსებობს მიწიერი, ეკლესიური, საეროთათვის და სამღვდლოთათვის, პიროვნული და საზოგადო.[1109] როგორც ყველა ზემოთგანხილული ვნება, შურიც, ბუნებრივია, ადამიანს აშორებს ღმერთს და სათნოებებს, იწვევს ადამიანის დემორალიზებას და აქცევს მას საზოგადოებრივად საშიშ პიროვნებად, რადგან:

ა) შურის მიზეზია პირველი კაცისკვლისა, ხოლო შემდეგ - ღვთის მკვლელობისა (*წმ. გრიგოლ პალამა*);[1110]

ბ) შურიანი ადამიანი ვერ არჩევს ერთმანეთისაგან კარგს და ცუდს,[1111] მასში არ არის სიყვარული და შესაბამისად, ვერ განასხვავებს სამართლიანობასა და უსამართლობას;[1112]

გ) შურით შეპყრობილ ადამიანს გული მთლიანად ბოროტი საქმეებისა და მკვლელობისკენ აქვს მიდრეკილი (*აბბა ამბროსი*);[1113]

დ) შურიანს ადვილად ეუფლება რისხვა, როდესაც მეორე ადამიანის კეთილდღეობის ზრდას ხედავს (*წმ. გაბრიელ ქიქოძის*).[1114]

წმ. ბასილი დიდის სწავლებით, ეშმაკის პირველი შურიანი მოწაფე იყო კაენი, შემდეგ საული, რომელმაც შურით აღძრულმა იმოქმედა მისი მოკეთე დავითის მიმართ, რომლის მოკვლა განიზრახა. იოსების ძმებმაც შურის გამო გაყიდეს იოსები ეგვიპტელებზე და გახადეს მონად.[1115] შურის გამო გადასცეს ქრისტე პილატეს მისმა თანამედროვეებმა (მათ. 27, 18) და შურმა მიაღწია იმას, რომ აღსრულდა ყველაზე დიდი დანაშაული სამყაროში - ქრისტეს მოკვლა.[1116]

[1106] იხ. *მიტრ. იეროთეოს ვლახოსი*, სულიერი მედიცინის მეცნიერება, (მთრგმნ. *ე. დუღაშვილი, ლ. ბუკიამ*, რედ. *დეკ. მ. ჭანტურია*), გამომც., „ახალი ივერიონი“, თბ., 2017, 81.

[1107] იხ. *მღვდელი ლევან ნავროზაშვილი*, დასახ. ნაშრ., 83.

[1108] იხ. *მიტრ. იეროთეოს ვლახოსი*, სულიერი მედიცინის მეცნიერება, (მთრგმნ. *ე. დუღაშვილი, ლ. ბუკიამ*, რედ. *დეკ. მ. ჭანტურია*), გამომც., „ახალი ივერიონი“, თბ., 2017, 102.

[1109] იხ., იქვე, 81.

[1110] იხ. მამათა სწავლანი, სულიერი ცხოვრების შესახებ (შემდგ. *ვლ. წამალაშვილი*; რედ. *ნ. კვანტალიანი*), გამომც. „ბეთანია“, თბ., 2015, 163.

[1111] იხ. *მიტრ. იეროთეოს ვლახოსი*, სულიერი მედიცინის მეცნიერება, (მთრგმნ. *ე. დუღაშვილი, ლ. ბუკიამ*, რედ. *დეკ. მ. ჭანტურია*), გამომც., „ახალი ივერიონი“, თბ., 2017, 101.

[1112] იხ., იქვე, 102.

[1113] იხ. *სქემარქიმანდრიტი იოანე (მასლოვი)*, ლექციები სამოძღვრო ღვთისმეტყველებაში, მეორე გამოცემა, (მთრგმნ. *გრ. რუხაძე*), გამომც, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბ., 2013, 484-485.

[1114] იხ. *წმიდა მღვდელმთავარი გაბრიელი (ქიქოძე)*, ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები, თბ., 2012, 155.

[1115] იხ. *მიტრ. იეროთეოს ვლახოსი*, სულიერი მედიცინის მეცნიერება, (მთრგმნ. *ე. დუღაშვილი, ლ. ბუკიამ*, რედ. *დეკ. მ. ჭანტურია*), გამომც., „ახალი ივერიონი“, თბ., 2017, 102-103.

[1116] იხ., იქვე, 103.

წმ. ტიხონ ზადონელი აღნიშნავს, რომ „შური უდიდესი წყლულია სულში. მისგან მომდინარეობს მრისხანება, მრისხანებისგან - ბოროტება და ბოროტებას კი, მკვლელობა მოჰყვება, როგორც ამას ვხედავთ კაენის შემთხვევაში“.[1117]

როგორც ირკვევა, შური ზუსტად ისევე შეიძლება დახასიათდეს, როგორც ჩვენს მიერ განხილური ყველა რვა ვნება. შური უბიძგებს ადამიანს ჩაიდინოს უმძიმესი დანაშაული და მიაყენოს უდიდესი ზიანი, როგორც საკუთარ თავს, ასევე კონკრეტულ ადრესატს და ზოგადად კაცობრიობასაც.

რაც შეეხება ვნებათა საერთო დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს, ბუნებრივია, მათი ანალიზი ამომწურავი ვერ იქნებოდა. თუმცა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ისინი წარმოადგენენ ძირითად ბირთვს, რომელიც ყველა ვნებას ახასიათებს. თუ რა აქსიოლოგიური მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს კრიმინოლოგიისთვის ვნებათა ტიპოლოგიისა და მათი საერთო თავისებურებების ცოდნას, ამას კარგად დაგვანახებს ბერძენი ფილოსოფოსი *არისტოტელე* ნაშრომში „რიტორიკა“:

> „როდესაც ადამიანს ერთი ან ორი ცუდი თვისება აქვს, ის ამ სახის უზნეობასა და უსამართლობას სჩადის. მაგალითად, ხარბი თავშეუკავებელია ქონების მიმართ, უზნეო - სხეულებრივი სიამოვნების მიმართ, განებივრებული - უსაქმურობის მიმართ, ბრაზიანი - თავშეუკავებელია სიბრაზეში, პატივმოყვარე - დიდებაში, შეუბრალებელი - შურისძიებაში, ასეთივე არიან ადამიანები ყველა დანარჩენი მიდრეკილებების გამო.“[1118]

არისტოტელესთვის ვნებების ნიუანსების ცოდნა მნიშვნელოვანია. იგი დამნაშავეში ვნებების დადგენას ითხოვს ბრალმდებელისა და დაცვის მხარისაგან, „ბრალმდებელმა უნდა გაარკვიოს, თუ რომელი ამათგანი და რა ზომით ახასიათებს მოწინააღმდეგეს, დამცველმა კი, - თუ რომელი ამ თვისებათაგანი და რა ზომით არ ახასიათებს მას.“[1119]

არისტოტელეს მსჯელობიდან, გამომდინარეობს ის ლოგიკური დასკვნა, რომ დამნაშავის პიროვნების სწორი შეფასებისთვის, აუცილებელია შემუშავდეს დამნაშავეთა ტიპოლოგია ვნებ(ებ)ის მიხედვით, მით უფრო, რომ ასეთი ნიშნით შემუშავებული ტიპოლოგია, კრიმინოლოგიაში არ არსებობს, როგორ დამნაშავესთან, ისე მსხვერპლთან მიმართებაში. ტიპოლოგიის აგებისას კი, მნიშვნელოვანია, ვნებების საერთო მახასიათებლების ცოდნა.

[1117] ცოდვათა განმარტებანი, წმიდა მამები შურის შესახებ (მასალების შემკრები და მთარგმნელი: *დ. თოფჩიშვილი*), თბ., 2018, 78.

[1118] *არისტოტელე*, რიტორიკა (რედ. *აკ. ურუშაძე*; მთრგმნ. ძველბერძნულიდან *თ. კუკავა*), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1981, 71.

[1119] იხ., იქვე, 71.

ვნებათა საერთო ნიშან-თვისებების ანალიზიდან ირკვევა, რომ ყველა ვნება საშიშია საზოგადოებისთვის, რადგან ადამიანი მიჰყავს დანაშაულის ჩადენამდე. წმიდა მამები შეგვაგონებენ, რომ „წვრილმანი, მცირე უმნიშვნელო და მსუბუქი ცოდვა არ არსებობს, - ყველა ცოდვა ყურადსაღებია და ნებისმიერი ვნება უაღრეს გულისხმიერებას მოითხოვს, რამეთუ ნებისმიერი ცოდვა შემაფერხებელია სასუფევლის გზაზე."[1120]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვნებათა სპეციფიკური და საერთო თავისებურებების ცოდნა, უმთავრეს ამოცანად გვესახება, მონაცემთა სწორი სისტემატიზაციისთვის, დანაშაულ(ობ)ის მიზეზების, დანაშაულის ჩამდენი პირის, დანაშაულებრივი ქცევის მექანიზმისა და დანაშაულ(ობ)ის თავიდან აცილების ღონისძიებების შემუშავებისა და სპეციალური კითხვარების სწორი ფორმულირებისთვის.

თუმცა, დანაშაულ(ობ)ის მიზეზობრიობაში, ვნების ფენომენის შესახებ მართლმადიდებლურმა მოძღვრებამ, მისმა თეორიულმა და პრაქტიკულმა ღირებულებამ და მეცნიერულმა ვალიდურობამ, რომ შეიძინოს მეტი აქტუალობა, აუცილებელია დადგინდეს, თუ როგორ ესმის ვნების საკითხი თავად მეცნიერებას, რათა გავარკვიოთ მეცნიერული და მართლმადებლური კონცეპტების თავსებადობის საკითხი.

მართალია, დისერტაციის პირველ ორ თავში გაანალიზდა მეცნიერული და მართლმადიდებულური მოძღვრების თავსებადობის საკითხი, თუმცა კვლევა შეეხებოდა პოზიტიურ და საღვთო სამართლში მორალის ტრანსცენდენტულ ბუნების თავსებადობას. მოცემულ შემთხვევაში, ჩვენ ინტერესს წარმოადგენს, თუ როგორი სურათია ამ „უბანზე". ამით, გაირკვევა არა მხოლოდ ვნების შესახებ თეოლოგიური კონცეფციის ვალიდურობის საკითხი, არამედ კიდევ უფრო დავრწმუნდებით ზოგადად, მეცნიერული მიდგომებისა და მართლმადიდებულური მოძღვრების თავსებადობის პრაქტიკულ შესაძლებლობაში.

3.3 ვნების კონცეპტი მეცნიერებაში

3.3.1 ვნების შესახებ ფილოსოფიური მიდგომები

ძველ ბერძენ ფილოსოფოსთა შორის, ვნებების შესახებ ყველაზე საინტერესო მოსაზრებებს ვაწყდებით *პლატონისა* და *არისტოტელეს* შრომებში.

პლატონი დანაშაულის მიზეზებს ცნობს მხოლოდ დამნაშავის პიროვნებაში, კერძოდ, სიფიცხეში, სიამოვნებისადმი უზომო სწრაფვასა და ა.შ.[1121] მისი აზრით, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სულის მძვინვარებას, სიამოვნებას და უვიცობას,

[1120] *როუზი ს.*, დასახ. ნაშრ., 7.

[1121] იხ. *М. П. Чубинский*, Курс Уголовной Политики, 1912, 59, *გაბიანი ა.*, დანაშაულობის მიზეზების შესახებ, თბ., 1969, 4.

რომ ეს სამი თვისება გვაიძულებს ვეძებოთ მათი შესაბამისი სურვილების დაკმაყოფილება, რომლებიც ხშირად გვიზიდავს საწინააღმდეგო მხარისაკენ.[1122]

პლატონის სიტყვებია: „დანაშაულის სულის მძვინვარება - ეს ჭირვეული, გადაულახავი თვისება ჩასახლებული ადამიანში - თავისი უგუნური ძალით ბევრ რამეს თავდაყირა აყენებს ყოველდღიურ ცხოვრებაში. კმაყოფილებისკენ მისწრაფება, რომელიც სულისთვისაა დამახასიათებელი, ადამიანს აიძულებს გააკეთოს ბევრი რამ არასასურველი. რაც შეეხება უვიცობას, იგი თავისთავად დანაშაულის ნაკლებად საშიში მიზეზია, მაგრამ, თუ უვიცობასთან ერთად ადამიანს ძალაც გააჩნია, ასეთ შემთხვევაში იგი შეიძლება გახდეს ყველაზე საშიში დანაშაულის მიზეზი.“[1123]

პლატონის ცნობილი წიგნიდან „სახელმწიფო“ ვგებულობთ, რომ ვნება არანაკლებ ვნებს სულს, ვიდრე სნეულება.[1124] ზოგიერთი ვნება ადამიანში იჭრება გარედან, ზოგი კი თვით შიგნითვე, მასში ჩაბუდებულ იმ გულისთქმათა ბორგვისაგან იჩენს თავს.[1125] მისი აზრით, ვნებები ადამიანს ეწვევა სიზმარში, სიფხიზლეში[1126] და მუზითაც.[1127] ადამიანის სული ათასგვარი ვნებით არის სავსე[1128] და ყველა ვნება იქნება ეს სასიამოვნო თუ უსიამოვნო, თან ახლავს ჩვენს მოქმედებას.[1129]

არისტოტელეს აზრით, ვნებების ცოდნა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „კანონსაწინააღმდეგო მიზეზების დასადგენად: თუ ახალგაზრდები ბრაზიანნი არიან, ასეთნი არიან არა ახალგაზრდობის, არამედ სიფიცხისა და ვნებიანობის გამო. ადამიანები არ მოქმედებენ არც სიღარიბისა და სიმდიდრის გამო, არამედ ღარიბები იმის გამო, რომ სურთ ის რაც აკლიათ, ხოლო მდიდრები იმის გამო, რომ მიისწრაფვიან არააუცილებელი სიამოვნებისაკენ. ამრიგად, არც ერთი არ მოქმედებს სიმდიდრის ან სიღარიბის გამო, არამედ ვნებებით.“[1130]

არისტოტელეს აზრით, ყველა ვნებას ერთი საწყისი აქვს.[1131] სიამოვნების განცდა, ზოგადად ვნების მწვერვალია, რომელსაც ადამიანი განიცდის სხვადასხვა მიზეზის გამო. მათ შორის საუბარია ისეთ ვნებებზეც, როგორიც არის შურისძიება,

---

[1122] იხ. Платон, Законы, 958, *აბაშმაძე ვ.*, ნარკვევები პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან II (მონათმფლობელური ეპოქა; ანტიკური სამყაროს ქვეყნები), გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1977, 260.

[1123] იხ., იქვე.

[1124] იხ. *პლატონი*, სახელმწიფო (ძველი ბერძნულიდან თარგმნა *ბ. ბრეგვაძემ*), გამომც. „ნეკერი“, 2003, 72.

[1125] იხ., იქვე, 217.

[1126] იხ., იქვე.

[1127] იხ., იქვე, 246.

[1128] იხ., იქვე, 221.

[1129] იხ., იქვე, 246.

[1130] *არისტოტელე*, რიტორიკა (რედ. *აკ. ურუშაძე*; ძველბერძნულიდან თარგმნა *თამარ კუკავამ*), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1981, 72.

[1131] იხ., იქვე, 76.

პატივმოყვარეობა, მლიქვნელობა, თავმოყვარეობა და თამაში,[1132] და დასძენს: „აი ის, რის გამოც სჩადიან ადამიანები უსამართლობას.“[1133]

დანაშაულ(ობ)ის მიზეზებზე ანალოგიური სულისკვეთებაა სხვა ფილოსოფოსებთანაც. მაგალითად, რომაელი ფილოსოფოსი და იურისტი *მარკუს ციცერონი*, დანაშაულობის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად ასახელებს ადამიანის შეუოკებელ და ხარბ სწრაფვას სიამოვნებისაკენ.[1134]

ფიკუდიდი, *წმ. ავგუსტინე* და *მაკიაველი* ხაზს უსვამდნენ ადამიანის განსაზღვრულ ანთროპოლოგიურ და ფსიქოლოგიურ თავისებურებებს, რომლებიც ითვლება მუდმივად. ისინი საუბრობენ შიშის, სიხარბისა და ამბიციის როლზე პოლიტიკური მოქმედებებისა და კონფლიქტების აღმოცენების სტიმულირებაში.[1135]

ინგლისელი ფილოსოფოსის *თომას ჰობსის* მიხედვით კი, აღნიშნული კომბინაცია შეესაბამება ომის მიზეზებს.[1136] ზოგადად, კონფლიქტის მიზეზად *ჰობსი* ასახელებს შიშს, უნდობლობას და პატივმოყვარეობას, სხვის ხარჯზე სახელის მოხვეჭის სურვილს.[1137]

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ *ზ. ფროიდსთვის* ომი ბიოლოგიურად არის დეტერმინირებული. ძალადობის ყოველგვარი გამოვლენა, განსაკუთრებით კი, მისი მასობრივი ფორმები წარმოადგენენ სიკვდილის ინსტინქტი ამბოხს სუპერ-ეგოსა და ცივილიზებული საზოგადოების შემეკავებელი ზემოქმედების წინააღმდეგ.[1138] *ი. იმედაძე* შენიშნავს, რომ ფროიდისეული სიკვდილის ინსტინქტი იქნებ ფანტაზიის სფეროსაც მიეკუთვნება, მაგრამ იმ მოსაზრების სასარგებლოდ, რომ აგრესიულობა ადამიანის თანდაყოლილი ბუნების ნაწილია, და მას გარკვეული ბიოლოგიური ფესვები გააჩნია, სერიოზული თეორიული და ემპირიული არგუმენტები არსებობს.[1139] ზოგადად ომის მიზეზი, რომ ადამიანის ბუნებაა ამას საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევარი *კენეტ უოლტსიც* ადასტურებს. მისი სიტყვებია: „ომი პირველ რიგში ხდება ადამიანის ბუნებისა და ქცევის გამო.“[1140]

[1132] იხ., იქვე 76-79.

[1133] იხ., იქვე, 79.

[1134] იხ. *М. П. Чубинский*, Курс Уголовной Политики, 1912, 63, *გაბიანი ა.*, დანაშაულობის მიზეზების შესახებ, თბ., 1969, 4.

[1135] იხ. *Devetak R.*, *George Jm*, *Percy S.*, Introdauction to International Relatiosn (third edition), Cambridge University Press, UK, 2017, 103.

[1136] იხ., იქვე.

[1137] იხ. შესავალი თანამედროვე აზროვნებაში, წიგნი 1 (მთრგმნ.: *ბ. ბრეგვაძე*, *გ. ნოდია*, *თ. ცხადაძე*), გამომც. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, თბ., 2014, 209.

[1138] იხ. *იმედაძე ი.*, დასახ. ნაშრ., 402.

[1139] იხ., იქვე, 403.

[1140] *Devetak R.*, *George Jm*, *Percy S.*, Introdauction to International Relatiosn (third edition), Cambridge University Press, UK, 2017, 330.

ვნებების შესახებ მრავალი ფილოსოფოსის შეხედულების ციტირება შეიძლება. თამად შეიძლება იმის თქმა, რომ მათი შეხედულებები თანხვედრაშია ქრისტიანულ მოძღვრებასთან. ეს ბუნებრივია, რადგან ანტიკურ სამყაროში ქრისტიანობამდელი სამყაროს რელიგიური მსოფლმხედველობის ზეგავლენით, დანაშაულებრივი ქცევა აიხსნებოდა ღმერთების სიცოცხლის გამომასალმებელ დემონთა ბოროტი ნებით. ხოლო, ქრისტიანული სამყარო, შექმნის პირველ პერიოდში არა მხოლოდ იზიარებდა, არამედ ავითარებდა აღნიშნულ მოდელს.[1141]

როგორც ცნობილია, მე-2 საუკუნეში ცნობილ ღვთისმეტყველს *ირიენეის*, რელიგიურ ღვთისმეტყველებაში შემოაქვს ეშმაკის - როგორც დედამიწაზედ ბოროტის საქმნელად დაცემული ანგელოზის ცნება, რომელიც მიწაზე ეშვება სიამაყის, ქედმაღლობისა და შურის შედეგად. ქრისტიანობა, ეშმაკის არმიას დაცემულ ანგელოზებთან ერთად ძველი მსოფლიოს წარმართულ ღვთაებებსაც მიაკუთვნებს.[1142] ირკვევა, რომ ეკლესია თანდათან იმტკიცებს საკუთარ მდგომარეობას საზოგადოებაში და სულ უფრო მეტად ერევა მართლმსაჯულების აღსრულების საერო ხასიათში. საერო კანონმდებლობა სულ უფრო ექცევა ეკლესიის გავლენის ქვეშ.[1143] ეშმაკის, მისი ძლევამოსილებისა და მის მიერ ჩადენილი საქმეების შესახებ ღვთისმეტყველთა მოძღვრების წყალობით, საზოგადოებაში მძაფრდება შიში, რის ზრდასთან ერთად, ეკლესია კიდევ იმტკიცებს თავის პოზიციებს, რადგან თავს იმ ერთადერთ ძალად აცხადებს, რომელსაც ძალუძს ბოროტი ძალებისაგან დახსნა. ადამიანები კი, ვალდებულნი იყვნენ ეკლესიას გამუდმებით შესთავაზონ წყალობა, შეასრულონ ეკლესიის, როგორც ღმერთისა და დედამიწაზე მცხოვრებ ხალხთა შუამავლის, ყველა განჩინება. თუმცა, საზოგადოების განვითარებასთან ერთად სამყაროს მოწყობის შესახებ არსებული თეოცენტრისტული შეხედულებები ადგილს უთმობს ადამიანისა და ბუნების კანონების რაციონალისტურ ახსნას.[1144]

ცნობილია, რომ მე-17-18-ე საუკუნეების გარდამავალი ეპოქის განმანათლებლობის იდეებს, წარმოადგენდა „წმინდა გონების“ თეორია.[1145] როგორც *კამიუ* იტყოდა, „ხდებოდა გონების გაღმერთება“.[1146] ამ პერიოდში, მეცნიერება ჩამოშორდა დანაშაულის, როგორც „სულიერი დაცემის“ ადრე გაბატონებულ თეოლოგიურ განმარტებას და წამოყენებული იქნა რაციონალური წმინდა თეორიული ხასიათის ახსნა-განმარტებები, თუ რატომ სჩადიან ადამიანები დანაშაულს.[1147] მხოლოდ

[1141] იხ. *გოძიაშვილი ი.*, დასახ. ნაშრ., 13.
[1142] იხ., იქვე, 13-14.
[1143] იხ., იქვე, 14.
[1144] იხ., იქვე.
[1145] იხ. *წულაია ზ.*, დასახ. ნაშრ., 182.
[1146] იხ. Камю А., Бунтующий Человек, М., 1990, 225, *რამიშვილი ვ.*, ადამიანი და ხვედრი (დროის მეტაფიზიკა), თბ., 2002, 376.
[1147] იხ. *წულაია ზ.*, დასახ. ნაშრ., 174.

მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში იყო ახსნილი, რომ დანაშაული იყო არა ზებუნებრივი, არამედ ბუნებრივი მოვლენა. მანამდე კი, დანაშაული მიეწერებოდა ეშმაკს, დემონს, ჯადოქრებს და სხვადახვა ბოროტ სულებს, რომლებიც მოქმედებდნენ დამნაშავის მეშვეობით.[1148] „პოსტეკლესიური მოდელი, ღმერთის ადგილას აყენებს სახელმწიფოს და კანონს, რომელსაც უნდა დაემორჩილოს ადამიანი, ხოლო იმ ბოროტი ძალების ადგილს, რომლებსაც სახელმწიფო უნდა შეებრძოლოს, ადამიანებში ჩასახლებული დემონები კი არ იკავებენ, არამედ ბუნებრივი ადამიანური ვნებები".[1149]

ამ გარდამავალ ეტაპს, ფრანგი ფილოსოფოსი *ოგიუსტ კონტი*, აღწერს კაცობრიობის ინტელექტუალურ ევოლუციაში შემდეგნაირად: „თეოლოგიურ სტადიაზე ყველა მოვლენა აიხსნება რელიგიურ წარმოდგენათა საფუძველზე; მეტაფიზიკურ სტადიაზე, ზებუნებრივ ფაქტორებს ცვლის ბუნების ახსნა არსითა და მიზეზებით, ხოლო პოზიტიურ ან მეცნიერულ სტადიაზე წარმოიშობა საზოგადოების რაციონალური ორგანიზაციის ხელშემწყობი მეცნიერება საზოგადოების შესახებ".[1150]

ი. გიძიაშვილის კრიმინოლოგიის სახელმძღვანელოში აღნიშულია, რომ განმარტავს, რომ ახალი აზროვნების თვალსაჩინო წარმომადგენელი, ვინც პირველ პლანზე თავად ადამიანი წამოაყენა, ვინც შეეცადა მისი ბუნებრივი მდგომარეობისა და არა იმდენად ღვთიურ ძალებთან, არამედ მისივე განვითარების განმაპირობებელ ბუნებასთან კავშირის შეცნობას - არის მე-17 საუკუნის ინგლისელი ფილოსოფოს-მატერიალისტი *ჰობსი*. თავის თანამედროვეებთან *ბეკონთან, დეკარტთან, სპინოზასთან* და *ლოკთან* ერთად, იგი ადამიანის ქცევის ახსნას უპირველესად იმ საბუნებისმეტყველო-მეცნიერული შეხედულებების კუთხით ცდილობდა, რომელიც იმ პერიოდისთვის მხოლოდ პირველ ნაბიჯებს დგამდნენ ადამიანისა და მისი ქცევის რაციონალური, და არა მისტიკური, პოზიციებიდან ახსნის გზაზე.[1151] თუმცა, *ჰობსი* აღიარებს, რომ დანაშაულის მიზეზებში ვნებებს ცენტრალური ადგილი უკავიათ. ეს კარგად ჩანს იქიდანაც, რომ *ჰობსის* აზრით, ბუნების მიერ თანასწორად შექმნილ ადამიანში, ხდება ისეთი თვისებების განვითარება, როგორიცაა მეტოქეობა, უნდობლობა და დიდების მოხვეჭის წყურვილი, რაც გამუდმებით უბიძგებს მათ ურთიერთშუღლისკენ. გარდა ამისა, ადამიანის ბუნებრივი მდგომარეობის დამახასიათებელ თვისებებად, „ომი ყველას ყველას წინააღმდეგ", მეცნიერი მიიჩნევს იმგვარ ადამიანურ გრძნობებს, როგორიცაა ზიზღი, ავხორცობა, პატივმოყვარეობა, ანგარება და ა.შ.[1152]

[1148] იხ. *Brown, Stephen E.* Criminology, Explaining Crime and its Contents, seventh edition, Anderson Publishing, USA, North Carolina, 2010, 135-136.
[1149] *გოძიაშვილი ი.*, დასახ. ნაშრ., 147.
[1150] *წულაია ზ.*, დასახ. ნაშრ., 175.
[1151] იხ. *გოძიაშვილი ი.*, დასახ. ნაშრ., 15.
[1152] იხ., იქვე, 15-16.

ისიც უნდა ითქვას, რომ კრიმინოლოგიის კლასიკური სკოლის პერიოდი, სწორედ ამ გარდამავალი განმანათლებლობის ეპოქის იდეებიდან მომდინარეობს.[1153] *ჩ. ბეკარია*, დანაშაულთა წყაროს ხედავს „ადამიანთა ვნებების საყოველთაო ბრძოლაში", კერძო ინტერესების შეჯახებაში.[1154] *ბეკარიას* აზრით, ქურდობის მიზეზი არის სასოწარკვეთილება, ხოლო მეძავეობის სქესობრივი თავაშვებულობა.[1155] მისი სიტყვებია: „შეუძლებელია ყველა უბედურების განჭვრეტა, რომლებიც წარმოიშობიან ადამიანთა ემოციების საყოველთაო ბრძოლის შედეგად".[1156]

იმის გამო, რომ სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის კლასიკური სკოლა ვნებებზე საუბრობს მოტივის ფსიქოლოგიური კატეგორიით, თავდაპირველად გაანალიზდება ვნების საკითხი პოზიტიური მეცნიერების ისეთი დარგებში, როგორიც არის ფსიქოლოგია და ფსიქიატრია, ხოლო შემდგომ, დამატებით განხილული იქნება კლასიკური სკოლის პოზიცია.

3.3.2 ვნების შესახებ პოზიტიური მეცნიერების მიდგომები

დ. უზნაძის განმარტებით, „მეცნიერება თავის კვლევის საგნად ყოველთვის იმთავითვე გულისხმობდა თავისი საგნის მოცემულობას. ვინაიდან სულს, როგორც ასეთს, მოცემულობა ვერ განესაზღვრა, მეცნიერებამ სული აბსტრაქტულ კატეგორიად მიიჩნია. ამდენად, მეცნიერულმა ფსიქოლოგიამ, ანუ, როგორც მას უწოდებენ, სულის მეცნიერებას, თავისი კვლევის საგნად დაისახა ის, რაც უშუალოდ არის მოცემული, მაგალითად, სიამოვნება, წყენა, განზრახვა, წარმოდგენა, აზრი, რომელთაც ჩვეულებრივ, ყველას, სულიერ მოვლენებს, ფენომენებს და განცდებს უწოდებენ და რაც არსებითად განსხვავდება იმისგან, რასაც სარწმუნოებრივ შეხედულებათა გამო ადამიანები გულისხმობენ".[1157]

ქრისტიანული მოძღვრება, აღნიშნულ სულიერ მოვლენებს, ფენომენებს და განცდებს სამშვინველის სფეროს მიაკუთვნებს. როგორც უკვე აღინიშნა, ფსიქოლოგია შეისწავლის „სამშვინველის ისეთ მოძრაობებს, როგორიც არის აზრები, გრძნობები და სურვილები".[1158] *ბერი პაისის* სწავლებით, ევროპელები ვერ იგებენ ეშმაკეულის

[1153] იხ. *წულაია ზ.*, დასახ. ნაშრ., 174.

[1154] იხ., იქვე, 180.

[1155] იხ. *გაბიანი ა.*, დანაშაულობის მიზეზების შესახებ, თბ., 1969, 7.

[1156] *Beccaria C.*, „On Crimes and Punishments and Other Writings", Cambridge University Press, 1995, 19.

[1157] *უზნაძე დ.*, ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის საფუძვლები, ტომი I, ტფილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1925, 4.

[1158] 1. იხილეთ წინამდებარე დისერტაციის პარაგრაფი: 2.1.1 ადამიანის აგებულება; 2. აზრობრივ მუშაობას აწარმოებს ადამიანის **ტვინი**; 2. გრძნობების ცენტრალური ორგანოდ **გულია** აღიარებული. იგი არის ყოველივეს საზომი, რაც სასიამოვნოა ჩვენთვის ანდა არ არის სასიამოვნო; 3. ადამიანის სურვილებს **ნება** წარმართავს და ხელმძღვანელობს, რომელსაც ჩვენს სხეულში არა აქვს თავისთვის ნივთიერი ორგანო, ხოლო მისი განზრახვების შესრულების იარაღები - ჩვენი სხეულის ნაწილებია, რომლებიც მოძრაობაში მოდიან კუნთებისა და ნერვების მეშვეობით, იხ. მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიის

ფენომენს, რადგან არ სწამთ ეშმაკის არსებობა. ისინი ყველაფერს ფსიქოლოგიურად ხსნიან. *წმიდა გერი* აღნიშნავს, რომ „სახარებისეული ეშმაკეულები, რომ ფსიქიატრების ხელში მოხვედრილიყვნენ, მათ მკურნალობას ისინი ელექტროშოკით დაიწყებდნენ."[1159]

როგორც ვხედავთ, მართლმადიდებლური ქრისტიანული თეოლოგია და მეცნიერება სულიერ ასპექტებს განსხვავებულად უდგებიან, მაგრამ ეს არ გულისხმობს იმას, რომ თეოლოგიური ცოდნა უარყოფლია. მაგალითად, ფსიქოლოგისა და ფსიქიატრის, *რევაზ კორინთელის* აზრით, მეცნიერება და რელიგია კი არ უპირისპირდება, არამედ ავსებს და ამდიდრებს ერთმანეთს. რ. კორინთელი დასძენს, რომ „რწმენა არ გამორიცხავს მეცნიერებას, პირიქით, მის მიღწევებსა და მტკიცებულებებს იყენებს და ახალი აღმოჩენებისათვის თვითონაც იღწვის".[1160]

რაც შეეხება უშუალოდ ვნების ფენომენს, *რ. კორინთელი* განმარტავს, რომ „ეკლესიური სწავლება ვნებების შესახებ, რომლებიც ადამიანს იპყრობს და თავისუფალ ნებას აკარგვინებს, თვალსაჩინოა ფსიქიკური დაავადებების დროს. ვნებების რელიგიურ ცნებას ფსიქოანალიზში კომპლექსების ცნება შეესაბამება".[1161] იგი განმარტავს, რომ მაგალითად, კაენისა და დესტრუქციის კომპლექსებს - შეესაბამება მრისხანების ვნება; დედისგან განშორების კომპლექს - შიშისა და სასოწარკვეთის ვნება; იუდას კომპლექსს - სასოწარკვეთისა და ღალატის ვნება; ფარისეველის კომპლექსს - ნაყროვანების ვნება, ხოლო დედის კომპლექსის ზოგიერთი ფორმა, - მრუშობის ვნებებს.[1162]

რაც შეეხება თავად კომპლექსის დეფინიციას, იგი განიმარტება, როგორც „არაცნობიერი ურთიერთდაკავშირებული იდეების ჯგუფი, რომლებსაც აქვთ საერთო ემოციური შინაარსი და რომელიც ძლიერ გავლენას ახდენს ადამიანის დამოკიდებულებასა და ქცევაზე",[1163] „კომპლექსი ეს არის დათრგუნული იდეები, რომლებსაც გააჩნიათ არაცნობიერი აქტივობები".[1164]

კ. იუნგის მიხედვით, კომპლექსი ძირითადად არაცნობიერია, იგი არის ფსიქიკური მოვლენების კომბინაცია, გაერთიანება ემოციონალური შინაარსის გარშემო, რომელიც არ ემორჩილება ცნობიერებას და გააჩნია საკუთარი ენერგეტიკული მუხტი,

---

მოძღვრების საფუძვლები, (შემდგ.: *დ. შოვნაძე, ნ. ჩაჩიბაია*), დაიბეჭდა შპს „ფავორიტი პრინტში", თბ., 2013, 43-44.

[1159] *მამა პაისი მთაწმინდელი*, ტკივილითა და სიყვარულით - თანამედროვე ადამიანის შესახებ (მოამზადა თ. გოგოჩაშვილმა), თბ., 2004, 37.

[1160] *კორინთელი რ.*, სარწმუნოება და სულიერი ფსიქოთერაპია, პირიოდული გამოცემა: „ეროვნული თვითმყოფადობა საკაცობრიო ღირებულებების კონტექსტში, სამეცნიერო სემინარი „სარწმუნოება და ფსიქოთერაპია" №2, თბ., 2012, 25.

[1161] იქვე, 26.

[1162] იხ., იქვე, 33.

[1163] Dictionary of Psychology and Allied Sciences (by *M.S. Bhatia*), published by „New Age International (P) Ltd…", New Delhi, 2009, 78.

[1164] Dictionary of Psychiatry-Springer Netherlands (edited by *Harold Thakurdas* and *Lyn Thakurdas*), published by „MTP Press Ltd, international medical publishers", Lancaster, England, 1979, 13.

ტენდეცია. კომპლექსის სტრუქტურაში იგი გამოყოფს გულს ანუ ცენტრს (ემოციონალური შინაარსი) და მეორად კონსტელაციურ ასოციაციებს (აზრები, მოგონებები).[1165]

გ. ქიქოძის ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლებიდან ირკვევა, რომ ისეთი ვნება, როგორიც ამპარტავნებაა, არის გრძნობა. „იგი ჩვენში ჩნდება, როცა წარმოვიდგენთ ან, ასე ვთქვათ ვჭვრეტთ საკუთარ ნამდვილ ან მოჩვენებით შინაგან თუ გარეგან თვისებებს და როცა საკუთარ მდგომარეობასა და დროებით კეთილდღეობას (მაგალითად, სიმდიდრეს, წარმოშობას და ა.შ.) სხვა ადამიანთა მდგომარეობასა და კეთილდღეობასთან ვადარებთ“.[1166] *გ. ქიქოძე* თვლის, რომ „ნების თავისეუფლების ყველაზე ნათელ დადასტურებად უნდა ჩაითვალოს ყველას მიერ კარგად ცნობილი გრძნობათა ჭიდილი, შინაგანი გაორება, რომელიც გადაწყვეტილებას ახლავს თან. ნება რომ ფიზიკური კანონების აუცილებლობით მოქმედებდეს, არ იარსებებდა არავითარი გადაწყვეტილება, შინაგანი ბრძოლა, ყოყმანი; არ გვექნებოდა ისეთი განცდებიც, როგორიცაა სინდისის ქენჯნა და არც ის კმაყოფილება, რომელსაც ვიღებთ ვნებებზე გამარჯვებით. ისინი გვიჩვენებენ, რომ ნება არ დანებდა ცდუნებას, მას არ დაუკარგავს თავისუფლება და არ ქცეულა მონად“.[1167]

პრაქტიკული ფსქიოლოგია ვნების ფენომენს განმარტავს შემდეგნაირად: „ვნებები თავისებური ხასიათის ემოციას წარმოადგენს. იგი ინტენსიური და მეტად ხანიერი (მტკიცე) ემოციაა, რომელსაც ახასიათებს სუბიექტის ინტენსიური სწრაფვა გრძნობის საგნის მიმართ. თუკი ვნება, აღმოცენდება ადამიანში, იპყრობს მას და ყველა მის ძალასა და სწრაფვებს ერთი, ამ ვნების შესატყვისი, მიმართულებით წარმართავს“.[1168]

ირკვევა ისიც, რომ ვნება ხანიერი და მტკიცე ემოციური მდგომარეობაა. იგი გრძელდება წლებისა და ზოგჯერ ადამიანის მთელი შეგნებული ცხოვრების მანძილზე. ვნებით შეპყრობილ, ვნებისადმი დამორჩილებულ ადამიანს ძალა არ შესწევს შეგნებულად იმოქმედოს დასახული მიზნების მიმართულებით, თუკი ეს მიზნები ეწინააღმდეგება ვნების მიმართულებას. სუსტი ნებისყოფის ადამიანთა ვნებას ახასიათებს პიროვნების შეპყრობა, მისი ქცევის დაუფლება. ამ დაუფლების ხარისხი, პირველ რიგში, თვითონ პიროვნებაზე და განსაკუთრებით მის ნებისყოფაზეა დამოკიდებული.ვნება ხშირად განსაზღვრავს ადამიანის ქცევას და ზოგჯერ მთელი მისი ცხოვრების გეზსაც თავისებურად წარმართავს.[1169] ამასთან, ირკვევა, რომ „ვნება ქრონიკული ემოციური მდგომარეობაა. ვნების მეტკანკლები სიმტკიცე ადამიანის ინდივიდუალობაზეა დამოკიდებული. არსებობენ ინდივიდები, რომლებსაც ცხოვრების

[1165] იხ. *იმედაძე ი.*, დასახ. ნაშრ., 408.

[1166] *წმ. მღვდელმთავარი, გაბრიელი (ქიქოძე)*, ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები, თბ., 2012, 159.

[1167] *იმედაძე ი.*, დასახ. ნაშრ., 616.

[1168] *ნარგიზიშვილი მ.*, პრაქტიკული ფსიქოლოგია, კრებული, წიგნი II, პირველი გამოცემა, თბ., 2011, 88.

[1169] იხ., იქვე, 89.

მანძილზე ვნებათა შეცვლა ახასიათებთ, არიან იდივიდები, რომელთა სიცოცხლის მთელ შეგნებულ პერიოდს ერთი ვნება განსაზღვრავს. ამრიგად, ვნება ადამიანის ქცევისა და მისი მოქმედების მნიშვნელოვან, პიროვნებისეულ საფუძველს წარმოადგენს".[1170]

მართლმადიდებლური სწავლების მსგავსად, ფსიქოლოგიაც იცნობს გრძნობების დიდ მრავალფეროვნებას მოტივების სახით, მაგალითად:

ა. რუდიკის მონაცემებით, არსებობს 100-ზე მეტი ადამიანური გრძნობა, მაგალითად: გულისწყრომა, მრისხანება, ღვარძლიანობა, ბრაზი, შური, ჯავრი, პატივმოყვარეობა, დიდი წარმოდგენა საკუთარ თავზე, კადნიერება, ურცხვობა, სიძულვილი, შურისძიება, სიმხდალე, სასოწარკვეთილება, შიში და სხვა.[1171]

გერმანელი ფსიქოლოგი *ვილჰელმ ვუნდტი*, გრძნობისა და წარმოდგენის კავშირს მოქმედების მოტივს უწოდებს. მოტივის წარმოდგენით მხარეს ეწოდება *მოქმედების საფუძველი*, ხოლო გრძნობით მხარეს - *მოქმედების აღმძვრელი*. მკვლელობის ქმედების საფუძველი კი, *ვ. ვუნდტის* აზრით, შეიძლება იყოს მტრის განადგურების წარმოდგენა, აღმძვრელი კი - სიძულვილი, ეჭვი, შური და სხვა.[1172]

კლასიკური სიღრმის ფსიქოლოგის *ზ. ფროიდის* მიხედვით, ჩვენ ყოველ ქცევას საფუძვლად უდევს ორი მოტივი - სექსუალური სწრაფვა და განდიდების სურვილი.[1173] *მეცნიერის* აზრით, „ოიდიპოსის" კომპლექსში მოცემულია „დასაწყისი რელიგიისა, ზნეობისა, საზოგადოებისა და ხელოვნებისა. საზოგადოება, ეფუძნება დანაშაულში თანამონაწილეობას, რელიგია – დანაშაულის ცნობიერებას და მონანიებას, ზნეობა იმავეს, რასაც რელიგია და, გარდა ამისა, საზოგადოების მოთხოვნებს".[1174]

სიღრმისეული ფსიქოლოგიის ერთ-ერთმა გამოჩენილმა წარმომადგენელმა, *ალფრედ ადლერმა*, ფსიქიკური ცხოვრების ძირეულ მოტივაციურ საწყისად ძალაუფლებისკენ სწრაფვა აღიარა.[1175]

დანიელ კარნეგი, თავის წიგნში იშველიებს ამერიკელი ფილოსოფოსის, *ჯონ დიუნის* მოსაზრებას, რომელიც *ზ. ფროიდის* აზრს იმეორებს, ოღონდ სხვა სიტყვებით: „ადამიანის ყველაზე ღრმა მისწრაფება არის სურვილი - იყოს მნიშვნელოვანი".[1176] *კარნეგი* შენიშნავს, რომ „სამწუხაროდ სწორედ ეს მისწრაფება უბიძგებს ზოგ მოზარდს განგსტერობისა და დანაშაულობისაკენ".[1177]

[1170] იქვე, 89.

[1171] იხ. *Рудик П. А.* Психология, М., Физкультыра и Цпорт, 1966, с. 195, იხ.: Механизм Престыпного Поведения, (редколлеия: *В. Н. Кудрявцев, Л. Г. Ионин, В. П. Казимирчук* и др.) изд. „Наука", М., 1981, 52-53.

[1172] იხ. *იმედაძე ი.*, დასახ. ნაშრ., 201-202.

[1173] იხ. *კარნეგი დ.*, როგორ მოვიპოვოთ მეგობრები და როგორ ვიმოქმედოთ ადამიანზე (მთრგმნ. *ც. კალმახელიძე*), გამომც. „სამშობლო", თბ., 1992, 19.

[1174] *იმედაძე ი.*, დასახ. ნაშრ., 401-402.

[1175] იხ. *იმედაძე ი.*, დასახ. ნაშრ., 409.

[1176] *კარნეგი დ.*, დასახ. ნაშრ., 19.

[1177] იხ., იქვე, 21.

იურიდიულ ფსიქოლოგიაში აღნიშნულია, რომ „კანონდამრღვევთა უმეტესი ნაწილი გამოირჩევა მოტივაციურ-რეგულაციურ სფეროში არსებითი დეფექტებით. მათი კრიმინალური გადაწყვეტილებები ხშირად აღმოცენდება უეცრად და ეფუძნებიან მიწიერ გრძნობებს - შურს, შურისძიებას, ეგოიზმს, აგრესიულობას და ა.შ. დამნაშავის აზროვნება „მიჯაჭვული“ ხდება ქცევის ჩვეულ ასოციალურ ხერხებზე“.[1178]

მოტივის ცნებას იურისპრუდენციაში, და განსაკუთრებით კი, სისხლის სამართალში ცენტრალური ადგილი უკავია. მოტივებზე, როგორც დანაშაულ(ობ)ის მიზეზებზე საუბარი გვხვდება სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის კლასიკური სკოლის ისეთ ცნობილ წარმოადგენლებთან, როგორებიც არიან, *ჩეზარე ბეკარია*, *იერემია ბენტამი* და *ანსელმ ფოიერბახი*.

მაგალითად, იტალიელი იურისტი *ჩ. ბეკარია* და ინგლისელი ფილოსოფოსი და იურისტი *ი. ბენტამი* საუბრობენ სიამოვნების მოტივზე. *ბეკარიას* სიტყვებია: „დანაშაულის ჩადენა დამნაშავეში განსაზღვრულ სიამოვნების გრძნობას იწვევს“,[1179] ხოლო *ი. ბენტამის* აზრით, „ინდივიდები მოტივირებულები არიან ფსიქოლოგიური ჰედონიზმით, რომ ყველა ეძიებს სიამოვნებას და თავიდან იცილებენ ტკივილს.[1180] სისხლის სამართლის სკოლის გამოჩენილი წარმომადგენელის *ა. ფოიერბახი* აღნიშნავს, რომ „გრძნობადობა და გრძნობების მოტივები - აი დანაშაულობის წყარო და სახელმწიფო ხელისუფლებამ დასჯითი ფუნქციების განხორციელებისას ზემოქმედება უნდა მოახდინოს ადამიანის არსების სწორედ ამ მხარეზე. სურვილი ჩვენ ბიძგს გვაძლევს, გონება იკვლევს, ხოლო ნებისყოფა განსაზღვრავს.“[1181]

გარდა ამისა, მართლმადიდებლური მოძღვრების მსგავსად *ბეკარიასა* და *ბენტამისთვისაც* დანაშაულის მიზეზობრიობაში განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს ადამიანის თავისუფალი ნებით გაკეთებული არჩევანი.

ბეკარიას ავითარებს იდეას, რომ დანაშაული თავისუფალი ნებით მიღებული არჩევანის შედეგია.[1182] *ბენტამი*, რომელიც ცნობილია „დანაშაულებრივი ქცევის არჩევანის“ კონცეფციის ფუძემდებლად, აღნიშნავს, რომ „ინდივიდი პირადად ირჩევს საკუთარ ქცევას და თავად განსაზღვრავს მოიქცეს კანონის ფარგლებში თუ დაარღვიოს“.[1183] ცნობილია, რომ აზროვნების ამ მიმართულებამ საფუძველი ჩაუყარა

[1178] *ახალაშვილი ნ.*, იურიდიული ფსიქოლოგია (რედ.: *ვ. ბენიძე, ვ. ვაშაკიძე*), გამომც. „უნივერსალი“, თბ., 2009, 136.

[1179] კრიმინოლოგია (სამეცნ. რედ. *გ. ღლონტი*), თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტე, თბ., 2008, 368.

[1180] იხ. *Concannon D.*, Neurocriminology, Forensic and Legal Applications, Public Policy Implications, CRC Press, London, UK, 2019, 3.

[1181] *ვაჩეიშვილი ალ.*, სასჯელი და სოციალური დაცვის ღონისძიებანი, თსუ-ს გამომცემლობა, თბ., 1960, 42.

[1182] იხ. 21st Century Criminology, a Reference Handbook (edit. by *J. Mitchel Miller*), Sage Publication, Inc., USA, 2009, 11.

[1183] კრიმინოლოგია (სამეცნ. რედ. *გიორგი ღლონტი*), თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტე, თბ., 2008, 371.

თანამედროვე დასავლური სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განვითარებას, და მეთვრამეტე საუკუნის ბოლოდან მეცხრამეტე საუკუნის ბოლომდე წარმოადგენდა დანაშაულის წამყვან კონცეფციას. მეოცე საუკუნის ბოლო მესამედში კი, მოხდა აღნიშნული კონცეფციის აღორძინება და დღესაც რჩება დანაშაულის პოპულარულ თეორიად.[1184] ამის მაგალითად, იურიდიულ ფსიქოლოგიაში აღნიშნულია, რომ დანაშაულებრივი ქმედების გენეზისში, კულმინაციურ აქტად გვევლინება გადაწყვეტილების მიღება, ანუ არჩეული დანაშაულებრივი ქცევის ვარიანტის საბოლოო „დამტკიცება“.[1185]

აქვე გავიხსენებთ XVIII საუკუნის დიდ რევოლუციონერ დემოკრატს, იაკობიანელთა ბელადს *ჟან-პოლ მარატს*. ნაშრომში „სისხლის სამართლის კანონმდებლობის გეგმა“, *მარატი*, დანაშაულობის მიზეზად სოციალურთან ერთად ასახელებს ვნებასაც. კერძოდ, მდიდართა გარყვნილება მას მიაჩნია პროსტიტუციისა და ჩვილ ბავშვთა მკვლელობის გამომწვევ მიზეზად.[1186]

სოციოლოგ-კრიმინოლოგი *ემილი დიურკჰეიმი*, რომელიც დანაშაულობის ძირითად მიზეზად „ანომიას“ მიიჩნევს, ასევე საუბრობს ვნებებზე. ირკვევა, რომ „ანომიის საერთო მდგომარეობა ძლიერდება იმით, რომ ვნებები ყველაზე ნაკლებად ემორჩილება დისციპლინას სწორედ მაშინ, როდესაც ეს ყველაზე საჭიროა“.[1187]

რაც შეეხება თანამედროვე იურისპრუდენციაში ვნების ფენომენის რეპლიკაციას, აუცილებელია დავაფიქსიროთ რამდენიმე პოსტულატი:

ა) სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისითაც მოტივის ფორმულა იგივეა, რაც საერთო ფსიქოლოგიური, იმ განსხვავებით, რომ ნებისყოფის მთელი პროცესი მთავრდება დანაშაულებრივი ქმედებით (*ალ. ვაჩეიშვილი*).[1188]

ბ) მოტივის ფსიქოლოგიური ბუნების ზუსტი გაგების გარეშე დანაშაულის სწორი კვალიფიკაცია შეუძლებელია (*გ. ნაჭყებია*).[1189]

გ) პრაქტიკით დადასტურებულია, რომ დანაშაულთა ჩადენის მიზეზების უმრავლესობა, სუბიექტური კატეგორიებია.[1190]

[1184] იხ. Brown, Stephen E. Criminology, Explaining Crime and its Contents, seventh edition, Anderson Publishing, USA, North Carolina, 2010, 135.

[1185] *ახალაშვილი ნ.*, იურიდიული ფსიქოლოგია (რედ.: *ვ. ბენიძე, ვ. ვაშაკიძე*), გამომც. „უნივერსალი“, თბ., 2009, 135.

[1186] იხ. *Жан Поль Марат*, План, Уголовного Заканадательства, М., 1951, იხ.: *გაბიანი ა.*, დანაშაულობის მიზეზების შესახებ, თბ., 1969, 9-10.

[1187] *წულაია ზ.*, დასახ. ნაშრ., 187-188.

[1188] იხ. *ვაჩეიშვილი ალ.*, დანაშაულის სუბიექტური მხარე საბჭოთა სისხლის სამართალში, სტალინის სახელობის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1957, 11.

[1189] იხ. *ნაჭყებია გ.*, ხელოვნებისა და სამართლის ანალოგიური ნიშნების შესახებ, *გივი ინწკირველის 70 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული* (რედ. *ლ. ჭანტურია*), გამომც., შპს „ნორმა“, თბ., 1996, 142.

[1190] იხ. *ჭოღოშვილი რ.*, დანაშაულებრივ ქმედებათა პროგნოზირების საკითხები, *გივი ინწკირველის 70 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული* (რედ. *ლ. ჭანტურია*), გამომც., შპს „ნორმა“, თბ., 1996, 199.

დ) ფსიქოლოგიური გრძნობები, როგორც მოტივები, წარმოიშობა მხოლოდ განსაზღვრული ცხოვრებისეული სიტუაციებით.[1191]

ე) საგამოძიებო-სასამართლო პრაქტიკის შესწავლით დგინდება, რომ გრძნობები შესამჩნევ ადგილს იკავებენ დანაშულთა მოტივებში.[1192]

აღნიშნულ საკითხებზე საყურადღებოა სისხლის სამართლის დარგის ზოგიერთი წარმომადგენლის მოსაზრებაც, კერძოდ:

ი. ბრაინინი, შენიშნავს, რომ „სისხლის სამართლის თვალსაზრისით, მოტივი არის გრძნობა (განცდა), რომელიც გარდაიქმნა ბრალეული ქმედების სტიმულად“.[1193]

მ. ჩუბინსკი კი, თვლის, რომ „მოტივი არის შინაგანი ძალა, რომელიც წარმოშობს რა ნებისყოფის პროცესს, ამოძრავებს ინდივიდს მის ცნობიერ მოქმედებაში და მიჰყავს მთელი მისი ფსიქიკის დახმარებით შედეგისაკენ, რომლებიც ვლინდება გარეგნულად.“[1194]

ი. დვალიძე, თავის დისერტაციაში აღნიშნავს, რომ „სისხლის სამართლის ლიტერატურაში ყველა ავტორისთვის საერთოა ის აზრი, რომ მოტივი მოთხოვნილებითა და ინტერესებით განპირობებული მამოძრავებელი ძალაა, რომელიც ადამიანის მიერ დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილების მიზეზად გვევლინება.“[1195]

ი. დვალიძე დისერტაციაში, ასევე ციტირებს, ქართველი კრიმინალისტების შეხედულებებს. მათ შორის გამოვყოფდით *გ. ნაჭყებიასა* და *ბ. ხარაზიშვილის* მოსაზრებებს.

გ. ნაჭყებიას მიაჩნია, რომ „უმოტივო დანაშაული არ არსებობს, ხოლო, თავად დანაშაული მოტივისა და მიზნის განხორციელების ხერხია. **შესაძლებელია ერთი და იგივე მოტივით თვისებრივად სხვადასხვა დანაშაულის ჩადენა**. მაგალითად, ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა და ა.შ. არის ანგარებითი მოტივის განხორციელების ხერხები: მკვლელობა, ჯანმრთელობის დაზიანებები, ცეცხლის წაკიდება და სხვა, - შურისძიების განხორციელების ხერხებია და ა.შ.“[1196]

[1191] იხ. Механизм Преступного Поведения, (редколлеия: *В. Н. Кудрявцев, Л. Г. Ионин, В. П. Казимирчук* и др.) изд. Наука, М., 1981, 53.

[1192] იხ., იქვე.

[1193] *Брайанин Я. М.* Оцнования Уголовной Ответственности и Важнейшие Вопросы Учения о Составе Преступлениа в Советском Уголовном Праве: Автореф. диц. ... докт. юрид. наык. Харьков, 1996, ц 17, ციტირებულია წიგნიდან: Механизм Престыпного Поведения, (редколлеия: *В. Н. Кудрявцев, Л. Г. Ионин, В. П. Казимирчук* и др.) изд. Наука, М., 1981, 54.

[1194] *ვაჩეიშვილი ალ.*, დანაშაულის სუბიექტური მხარე საბჭოთა სისხლის სამართალში, სტალინის სახელობის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1957, 11.

[1195] *დვალიძე ი.*, მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციისა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე (სადისერტაციო ნაშრომი), თსუ-ს გამომცემლობა, თბ., 2008, 29-30.

[1196] *Начкевия Г. И.* Психологизм и Нормативизм в Науке Уголовного Права, изд. „Меридиани“, Тб., 2000, 17, ციტირებულია: *დვალიძე ი.*, მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციისა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე (სადისერტაციო ნაშრომი), თსუ-ს გამომცემლობა, თბ., 2008, 35.

ბ. ხარაზიშვილი კი, მოტივებს სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით სამ ჯგუფად ყოფს: 1) მოტივები, რომლებიც დანაშაულის შემადგენლობაში აუცილებელი ნიშნის სახით შედიან; 2) მოტივები, როგორც მაკვალიფიცირებელი ნიშნები; 3) პასუხისმგებლობაზე გავლენის მქონე მოტივები.[1197]

თუკი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლებს მართლმადიდებლური მოძღვრების პერსპექტივიდან დავაკვირდებით, აღმოვაჩენთ, რომ „ვნება“, შეიძლება იყოს როგორც, კონკრეტული დანაშაული, ასევე დანაშაულის მოტივი და დამამძიმებელი გარემოებაც. მაგალითად: 1. სიძვა-მრუშობის ვნება თავის გამოვლინებას ჰპოვებს, საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში, კერძოდ, პროსტიტუციაში ჩაბმა (სსკ-ის 253-ე მუხლი) და პროსტიტუციის ხელშეწყობა (სსკ-ის 254-ე მუხლი); 2. ცილისწამების ვნება შეესაბამება, ცრუ დასმენას (სსკ-ი 373-ე მუხლი); 3. ანგარება არის, როგორც მოტივი, ასევე დამამძიმებელი გარემოებაც. ამიტომაც არის, რომ ანგარებით ჩადენილი დანაშაულები უფრო მკაცრად ისჯება (იხ.: საქართველოს სსკ-ის 109-ე, 117-ე, 135-ე, 144-ე, 144[1], 157-ე, 157[1], 271-ე, 341-ე, 361-ე, 363-ე, 370-ე, 373-ე მუხლები).

დაბოლოს, „მოტივი თავისთავად, როგორც ასეთი არ შეიძლება შეფასდეს, როგორც ანტისაზოგადოებრივი. მაგალითად, პირადი გამდიდრების სურვილი მაშინვე იქცევა „უარყოფითი“ მოტივად, როგორც კი პირი მისი აღსრულებისთვის მიმართავს ისეთ ხერხებს, როგორიცაა: ქურდობა, ყაჩაღობა, თაღლითობა და ა.შ.“ (*ბ. ხარაზიშვილი*).[1198] *გ. ნაჭყებია* აღნიშნავს, რომ „დანაშაულად ცხადდება არა აზრი, შეხედულება, რწმენა და სხვა, არამედ ქმედება, რომელიც ზიანს აყენებს, ან ზიანის მიყენების საფრთხეს უქმნის კანონით დაცულ ინტერესს“.[1199]

ამგვარად, ფილოსოფოსებისა და პოზიტიური მეცნიერების მოსაზრებები, სხვა არაფერია, თუ არა, ვნების შესახებ მართლმადიდებლური მოძღვრების ერთგვარი გავრცელება მეცნიერებაში. ისეთი ვნებები, როგორიც არის მრისხანება, სასოწარკვეთა, ნაყროვანება, მრუშობა, ანგარება, ცილისწამება, შური და სხვა, მეცნიერებაშიც ითვლება, დაავადებებად და დანაშაულის გამომწვევ მიზეზებად. და მაინც, ზემოაღნიშნული ანალიზი, ვნების უფრო ზედაპირულ ანალიზს წარმოადგენს. საკითხის არსში გარკვევის მიზნით, ასევე მიზანშეწონილია დადგინდეს, როგორია მეცნიერების პოზიცია ვნების ტრანსცენდენტულ ბუნებასთან დაკავშირებით.

[1197] *Харазишвили Б. В.* Вопросы Мотива Поведения Преступника в Советском Праве, гос. изд. „Цодна“, Тб., 1963, с. 71, ციტირებულია: *დვალიძე ი.*, მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციისა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე (სადისერტაციო ნაშრომი), თსუ-ს გამომცემლობა, თბ., 2008, 71.

[1198] *ნაჭყებია გ.*, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორია, დამხმარე სახელმძღვანელო (რედ. *მ. ლეკვეიშვილი*), საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“, თბ., 2010, 203-204.

[1199] იხ., იქვე, 234.

3.3.3 მეცნიერება ვნების ტრანსცენდენტულ ბუნებაზე

კრიმინოლოგიის სახელმძღვანელოში ვკითხულობთ, რომ დანაშაულებრივი ქცევის ფსიქოლოგია აუხსნელია.[1200]

ზ. ფროიდის შეფასებით, ადამიანის ინტელექტი და კულტურული განვითარება ვერ ეწინააღმდეგება ადამიანის შინაგან ძალებს, რადგან ისინი უბრალოდ ძალიან ძლიერნი არიან. მისი სიტყვებია: „...ადამიანი არის სუსტი ინტელექტის არსება, რომელსაც მისი ინსტინქტური სურვილები მართავს".[1201] *მეცნიერი* ასევე საუბრობს „ბოროტ ადამიანურ მიდრეკილებებზე", რომლებიც ვერ აღმოიფხვრება. მაგალითად, ადამიანის აგრესიული ინსტინქტები, მისი აზრით, „ფუნდამენტურია", ისინი ადამიანის ფსიქიკური კონსტიტუციის ნაწილია და საერთოა ყველა ადამიანისთვის.[1202] *ფროიდის* აზრით, დესტრუქციული ძალა მეცნიერებისთვის უცნობია.[1203] უფრო მეტიც, *მისი* აზრით, ადამიანი ირაციონალური არსებაა, რომელიც წარიმართება არაკონტროლირებადი, ირაციონალური ძალებით.[1204]

კარლ იუნგის თეორია „ადამიანური ბოროტების" შესახებ, გულისხმობს „პიროვნების ნეგატიური ნაწილის, ფარული, არახელსაყრელი თვისებებისა და პირადი არაცნობიერის შინაარსების ჯამს".[1205] *კ. იუნგს* მიაჩნია, რომ ჩვენს ფსიქიკაში არის არაპიროვნული შრე, რომელიც ტრანსცენდენტულ სამყაროსთან არის კავშირში.[1206] განსაკუთრებით, საინტერესოა *იუნგის* „სინქრონულობისა და მნიშვნელობითი კავშირის" კონცეფცია. ექსტრასენსორული პერსეფციისა და უამრავ სხვა დაკვირვებზე დაყრდნობით, *იუნგი* აკეთებს დასკვნას, რომ „მიზეზ-შედეგობრივ კავშირთან ერთად, ბუნებაში ასევე არსებობს ერთი ფაქტორი, რომელიც თავის თავს ავლენს მოვლენების მოწყობასა და მნიშვნელობით კავშირში".[1207] „სინქრონიზმი მიანიშნებს უცნობ ფაქტორზე (სხვა მიზეზზე), რომელიც მოქმედებს ბუნებრივ სამყაროში".[1208] „სინქრონულობა ვრცელდება ერთდროულად მიმდინარე მოვლენებზე, რომლებიც მიზეზობრივ კავშირში არ იმყოფებიან, მაგრამ რომელთა სინქრონულობა შემთხვევითი არ არის. ისინი უკავშირდებიან ერთმანეთს ისეთი კანონზომიერებით, რომელიც არა

[1200] იხ. კრიმინოლოგია, (რედ. *გ. ა. ავანესოვი, ნ. დ. ერიაშვილი*), მეოთხე გამოცემა, თბ., 2007, 87.

[1201] *Bartlett S.J.*, The Pathology of Man, a Study of Human Evil, Charles C. Thomas Publisher, Illionois, USA, 2005, 76.

[1202] იხ., იქვე, 89.

[1203] იხ. *გოძიაშვილი ი.*, დასახ. ნაშრ., 50.

[1204] იხ. *იმედაძე ი.*, დასახ. ნაშრ., 403.

[1205] *Bartlett S.J.*, The Pathology of Man, a Study of Human Evil, Charles C. Thomas Publisher, Illionois, USA, 2005, 93-94.

[1206] დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ. *ფრიმანი ჯ.*, დასახ. ნაშრ., 108-110.

[1207] *Jung C. G.*, Synchronicity, an Acausal Connecting Principle, (translated by R.F.C. Hull; *from* the Collected Works of C. G. Jung, *Volume 8,* Bollingen Series XX), USA, New York, Princeton University Press, 2010, 69.

[1208] *Montgomery T.*, The Angel in Annunciation and Synchronicity, Knowledge and Belief in C.G. Jung, published by Lexington Books, UK, 2013, 4.

ფიზიკური, არამედ „ფსიქოიდური“ ხასიათისაა“.[1209] *კ. იუნგისთვის* უდავოა, რომ იმას, რასაც ჩვენ გამოცხადების სახით აღვიქვამთ არაცნობიერიდან მოდის. „არაცნობიერი“ კი, არ ნიშნავს „საკუთარი პიროვნებიდან გამომდინარეს“, ვინაიდან „ფსიქიკური რეალობა არსებობს პიროვნებასა და ეგოზე მაღლა. ფსიქიკური სფერო, შორს არის ადამიანის ყოველგვარი ნებისყოფისა და გავლენისგან“, - აღნიშნავს *იუნგი.*[1210]

ფსიქოლოგიის ისტორიიდან ვგებულობთ, რომ „როგორც, სიღრმის ყოველგვარ ფსიქოლოგიაში, ნეოფროიდიზმშიც შენარჩუნებულია არაცნობიერის პრიორიტეტი, - ამოსავალი მოტივაციური ძალები, კონფლიქტის წყარო და მისი დაძლევის გზები (მექანიზმები) არაცნობიერია.“[1211]

ერიხ ფრომი საუბრობს ირაციონალურ ვნებებზე.[1212] მისი აზრით, „ეგზისტენციალური წინააღმდეგობები აისახება არა მხოლოდ და არა იმდენად რაციონალურ, რამდენადაც ემოციონალურ-მოტივაციურ ფორმაში“.[1213] *ფრომისთვის* სიძულვილი, სადიზმი, დესტრუქციულობა, ნარცისიზმი და სხვა, ეგზისტენციალური წინააღმდეგობებიდან ნაწარმოები მოთხოვნილებების გამოვლენაა და ადამიანის ხასიათში მჟღავნდება. *ფრომი* მათ ხასიათში ფესვგადგმულ ვნებებსაც უწოდებს.[1214]

მოლეკულური ბიოლოოგიის დოქტორი, ესპანელი *ჯონ მედინა*, თავის შრომაში „გენეტიკური ჯოჯოხეთი და შვიდი მომაკვდინებელი ცოდვის წიაღში“, აკეთებს დასკვნას, რომ „ფუჭია ცოდვებისადმი წინააღმდეგობის გაწევა, რადგან ჩვენი დანაშაულები სხვა არაფერია, თუ არა ცხოველური ინსტინქტები, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ ადამიანის გონებაში“.[1215]

საინტერესო მეცნიერულული დასკვნებს აკეთებს ამერიკელი ფსიქოლოგი *ჯოზეფ მერფიც.* მისი მტკიცებით, „ქვეცნობიერება შეადგენს კოსმიურ სუბიექტურ გონებასთან განუყოფელ ერთიანობას“.[1216] „ადამიანი ტრანსცენდენტული არსებაა და დაკავშირებული არაა დროებით, სივრცობრივ და მიზეზ-შედეგობრივ საზღვრებთან“.[1217] შესაბამისად, ყველანი ვართ ჩაძირულები კოსმოსური ცნობიერების ერთიან ოკეანეში.[1218] აზროვნების კანონები კი, ადამიანთა ნებისაგან დამოუკიდებლად მოქმედებენ.[1219] ისინი,

---

[1209] *იმედაძე ი.*, დასახ. ნაშრ., 413.
[1210] *Schaer H.*, Religion and the Cure of Souls in Jung's Psychology, (translated by R.E.C. Hull), Printed by Rouledge, London, 1999, 63.
[1211] *იმედაძე ი.*, დასახ. ნაშრ., 425.
[1212] იხ., იქვე, 427.
[1213] იქვე, 428.
[1214] იხ., იქვე.
[1215] *Исаева Е.*, Семь Смертных Грехов. Наказание и Покаяние, изд., „Рипол Классик“, М, 2009, 24.
[1216] *მერფი ჯ.*, *მერფი ჯ.*, ტელეფსიქიკა, (რედ. *თ. თურმანიძე*; მთრგმნ.: *ნ. თურმანიძე, მ. თურმანიძე*), გამომც. „პეგა“, თბ., 2015, 178.
[1217] იხ.,იქვე, 47.
[1218] იხ.,იქვე, 97.
[1219] იხ., იქვე, 30-31.

(აზრები) ფლობენ რეალურ ძალას[1220] და მატერიალური ხდება ზუსტად ისევე, როგორც თესლიდან მცენარე იზრდება.[1221]

საყურადრებოა ის ფაქტი, რომ „ცნობიერებას არა აქვს სხეულში რაიმე „ადგილი“, ხოლო ტვინისა და აზრის კავშირი კი, საერთოდ დიდი საიდუმლოა და მისი გასაღები, სავარაუდოდ, შემოქმედის ხელშია“.[1222]

ჯონ ეკლსიმ, რომელიც ნობელის პრემიის ლაურეატია ფიზიოლოგიასა და მედიცინაში, აღმოაჩინა, პერიფერიული და ცენტრალური ნერვული უჯრედების აღგზნებისა და დამუხრუჭების მექანიზმი. იგი თვლიდა, რომ ტვინი ფიქრებს კი არ აწარმოებს, არამედ მას გარედან ღებულობს.[1223]

გამოჩენილი კანადელი ფსიქიატრი *რიჩარდ ბუკი*, ნაშრომში „კოსმიური ცნობიერება“ აღნიშნავს, რომ „ცნობიერება დაგვანახებს, რომ კოსმოსი არ შედგება მკვდარი მატერიისგან, რომელსაც მართავს არაცნობიერი, ხისტი და არაპროგნოზირებადი კანონი. პირიქით, ის დაგვანახებს მას აბსოლუტურად, როგორც არამატერიალურს, სრულიად სულიერს და სრულიად ცოცხალს.“[1224]

შ. შოშიაშვილის კვლევიდა დგინდება, რომ ბიო-ენერგო-ინფორმატიკის სახელით ცნობილი ახალი მეცნიერული მიმართულება, იძლევა სულიერი სამყაროს არსებობის შესაძლებლობის დასაბუთებას. „რელიგიური ტერმინოლოგიით ღმერთისეულ სამყაროში, ხოლო მეცნიერული ტერმინოლოგიით ენერგოინფორმაციულ სივრცეში ინახება მონაცემები ყველაფრის შესახებ, რომელთანაც პრინციპში შეუძლია დაუკავშირდეს ადამიანის ტვინი“.[1225] ირკვევა, რომ „ამ იდეასთან, თავის დროის ტერმინებით მივიდა მრავალი მეცნიერი და ფილოსოფოსი - *პლატონი* (იდეების სამყარო), *ნიუტონი* (აბსოლუტი), *ჰეგელი* (თვითგანვითარებადი სული), *ვერნადსკი* (ნოოსფერო) და სხვა. მათ მიერ შემოტანილი ცნებები წარმოადგენენ კოსმიური გონის სინონიმებს“.[1226]

ამერიკელი მეცნიერი, *სოფია ბლანკის* მიხედვით, „კირლიანის ფოტოგადაღების“ მოწყობილობა აფიქსირებს ენერგეტიკულ სტრუქტურებს - ჩვენი ფიზიკური სამყაროს გადამკვეთ და პარალელურ სიცოცხლის ფორმებს, რომლებიც გამუდმებით

[1220] იხ., იქვე, 23.
[1221] იხ., იქვე, 86.
[1222] სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი „ფენომენი“ (დირ. *გ. გობეჩია*; რედ. *მ. თუნგია*), №1-2, თბ., 2018, 7.
[1223] იხ., იქვე, 7.
[1224] *Bucke R.,M.*, Cosmic Consciousness - A Study in the Evolution of the Human Mind, by Inss and Sons, Philadelphia, 1905, 14.
[1225] *შოშიაშვილი შ.*, სამყარო, მეცნიერება, რელიგია, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2008, 164.
[1226] *А.Е. Акимов, В.Я. Тарасенко, С.Ю. Голмачов*, „Торсионная связь-новая физическая основа для передачи информации“, ISSN 0013-5771. „Электросвязь“ N5, М., 2001, ციტირებულია წიგნიდან: *შოშიაშვილი შ.*, სამყარო მეცნიერება რელიგია, იქვე, 164-165.

ურთიერთობენ ჩვენთან.[1227] ირკვევა, რომ „ენერგეტიკული სტრუქტურები შეიძლება იყვნენ დადებითი და უარყოფითი. მკვლევარებმა მათ პირობითად ანგელოზები და დემონები შეარქვეს. ისინი შეიძლება იყვნენ, იქაც და აქაც, დიდებიც და პატარებიც“.[1228] *ს. ბლანკის* თქმით, „ამერიკულმა ტელესკოპმა ჰაბლმა გადაიღო კოსმოსური არსებები და მას ასტროფიზიკოსებმა ანგელოზები უწოდეს. მე ვნახე, რომ ისინი სრულიად ჩემს კირლიან-ფოტოსურათებზე დაფიქსირებული არსებების იდენტურნი არიან.“[1229] კირლიან-ფოტოგადაღებამ დაადასტურა, რომ ეს ყველაფერი რეალურია: „ძალიან ხშირად ადამიანის სხეულის ირგვლივ ფიქსირდებიან ადამიანთა სახეები, ანდა დემონური სტრუქტურები, ზოგჯერ კი, უბრალოდ რქიანი თავები.“[1230]

პრაქტიკაში, დანაშაულის მიზეზობრიობაში ტრანსცენდენტული ძალის გამოვლინების სანიმუშო მაგალითს, წარმოადგენს *ბილი მილიგანის* სისხლის სამართლის საქმეზე, მეცნიერულ კვლევებზე დაყრდნობით გაკეთებული დასკვნა და საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება.

ირკვევა, რომ 1977 წელს, აშშ-ს ოჰაიოს შტატში სამი ქალის გაუპატიურებისა და შეიარაღებულ ძარცვის ბრალდებით დაკავებული *ბ. მილიგანი* დაექვემდებარა ფსიქიატრებისა და ფსიქოლოგების გამოკვლევას. ექსპერტიზამ დაადგინა, რომ მის სხეულში ცხოვრობდა 24 სხვადასხვა პირი, ხოლო „ბრალდებულის“ სხეულით ჩადენილი დანაშაულები მას არ ეკუთვნოდა. შედეგად, *ბ. მილიგანს* მოეხსნა ყველა ბრალდება და დისოციალური აშლილობის დიაგნოზით დაექვემდებარა ჰოსპიტალიზაციას.[1231]

მართალია, მეცნიერებისთვის დანაშაულებრივი ქცევა აუხსნელია, მაგრამ ფაქტი არის ის, რომ უხილავ ინსტიქტურ სურვილებსა და ბოროტ მიდრეკილებებს შეუძლია ადამიანს უბიძგოს და ჩაადენინოს დანაშაული. ისიც უდავო ფაქტია, რომ ბუნებაში არსებობს ისეთი ფაქტორი (მიზეზი), რომელიც ადამიანის მიერ აღიქმება არაცნობიერის გზით. იმის გამო, რომ არაცნობიერი არ არის ადამიანური ბუნების, ტრანსცენდენტული მოვლენების ახსნა შეუძლებელია პოზიტიური მეცნიერებისთვის, რადგან „მოვლენათა შორის მიზეზობრივი კავშირის შეცნობას საფუძვლად უდევს მატერიალისტური გაგება, რომელის მიხედვითაც, მიზეზობრიობა არის ობიექტური კავშირი ორ მოვლენას შორის, რომელთაგან ერთი (მიზეზი) გარკვეული პირობების შემდთხვევაში წარმოშობს მეორეს (შედეგს).“[1232] თუმცა, მეორე მხრივ, აღნიშნული დებულება ბოლომდე რომ არ არის

[1227] იხ. *მანია ა.*, ეს აპარატი ადასტურებს - მძიმე ავადმყოფების აურა სულ დახვრეტილია!, იხ.: სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი „ფენომენი“ (დირ. *გ. გობეჩია*; რედ. *მ. თუნგია*), №11, თბ., 2015, 15.
[1228] იქვე.
[1229] იქვე.
[1230] იქვე, 16.
[1231] იხ. *კიზი დ.*, ბილი მილიგანის მრავალი გონება, მე-5 ქართული გამოცემა (მთრგმნ. *თ. ხომერიკი*), გამომც. „წიგნები ბათუმში“, ბათუმი, 2017.
[1232] *წულაია ზ.*, დასახ. ნაშრ., 59.

აბსოლუტუტი ჭეშმარიტება, ადასტურებს *კ. იუნგის* „სინქრონულობისა და მნიშვნელობითი კავშირის“ კონცეფცია, რომელიც ამტკიცებს, ბუნებაში უცნობი ფაქტორის არსებობას, რომელიც ვლინდება მოვლენების მოწყობასა და მნიშვნელობით (და არა მიზეზობრივ) კავშირში და, რაც შემთხვევითი არ არის. *იუნგის* მტკიცებით, იგი „ფსიქოიდური“ არაცნობიერი ხასიათისაა და შორსაა ადამიანის ყოველგვარი ნებისა და გავლენისაგან.[1233]

მეცნიერების მიერ სულიერი სამყაროს არსებობის დასაბუთების შესაძლებლობის ფონზე, ალბათ მართებული იქნება თუ ვიტვით, რომ მეცნიერება, ერთი მხრივ, გამორიცხავს, ხოლო, მეორე მხრივ, აღიარებს ვნების თეოლოგიურ ინტერპრეტაციას. კერძოდ, აღიარებს სულიერი სამყაროს, ზებუნებრივი სულიერი და ხორციელი ძალებისა (ვნებებისა), და ტრანსცენდენტულიდან მატერიალურ სამყაროში მიზეზობრივი კავშირის ობიექტურ არსებობას, რაც მტკიცდება არა მხოლოდ თეორიულად, არამედ ემპირიულადაც.

დაბოლოს, ზემოთმოყვანილი ანალიზი, საკითხის ერთი მხარეა, სადაც მეცნიერება ვნებას (ცოდვას) განიხილავს, როგორც უარყოფით ტრანსცენდენტულ ძალად და ენერგიად. მნიშვნელოვანია ასევე გამოკვლეულ იქნას „ვნების“ შესახებ არსებული ის ურთიერთსაპირისპირო მიდგომებიც, რომლებიც სრულიად პარადოქსულ სიტუაციას ქმნის, როგორც მეცნიერებაში, ასევე ყოველდღიურ ცხოვრებაში. საქმე ისაა, რომ თუკი ქრისტიანული მოძღვრებით ცოდვა და ვნება, უარყოფითი ფენომენია (გამონაკლისებია მაგალითად, ბუნებრივი მრისხანება და სხვა), პოზიტიური მეცნიერება, სახელმწიფო და საზოგადოებაც (მისი უმრავლესობა) აცნობიერებს რა ვნების უარყოფით ბუნებას და მის შედეგებს, იმავდროულად დადებითი კონტექტსშიც განიხილავს მას და მის ხელთ არსებული ბერკეტებით „ცდილობს“ მოახდინოს მისი პრევენცია. აღნიშნული ასპექტების ცოდნა, ძალზედ მნიშვნელოვანია, როდესაც ვიკვლევთ დანაშაულ(ობ)ის დეტერმინაციის კანონზომიერებებს, რადგან ბოროტების, ცოდვისა და ვნების ცნებების არასწორი ინტერპრეტაცია და მათი ცხოვრებაში სიკეთისა სახით დამკვიდრება, პირდაპირ აისახება დანაშაულ(ობ)ის ზრდაზე.

3.3.4 ვნების (ცოდვის) მიმართ დიქოტომიური დამოკიდებულება

3.3.4.1 ვნება (ცოდვა) როგორც დადებითი მოვლენა

როგორც ვიცით, ქრისტიანული სწავლებით, ამპარტავნობის ვნებიდან წარმოიშობა „მე“-ს თაყვანისცემის სხვადასხვა ფორმები.[1234] ერთ-ერთ ფორმას,

---

[1233] იხილეთ წინამდებარე დესრტაციის ქვეთავი: 3.3.3 მეცნიერება ვნების თვისებრივ (ტრანსცენდენტულ) ბუნებაზე.

[1234] ესენია: თავისმოყვარება, თავმომწონეობა, თვითნებობა, ეგოიზმი, ქედმაღლობა, თავისმართლება, საკუთარი თავის სიბრალული და მრავალი სხვა იხ. *დეკ. კონსტანტინე ჯინჭარაძე,* კერპთაყვანისცემის სახეობები (რედ. *დ. (თ.) მორგოშია*), თბ., 65.

მაგალითად, წარმოადგენს ეგოიზმი, რომლის ყველაზე უკიდურეს განვითარებას, ეწოდება ეგოცენტრიზმი, და წარმოადგენს ცოდვის უპირველეს მიზეზს.[1235]

ამის საპირისპიროდ, სოციალური ფსიქოლოგიის სპეციალისტი *დანიელ ბატსონი*, ეგოიზმს განიხილავს ისეთ მოტივაციურ მდგომარეობად, რომლის საბოლოო მიზანს წარმოადგენს ადამიანის კეთილდღეობის გაზრდა.[1236]

სოციოლოგ-კრიმინოლოგის, *რ. მერტონის* „ანომიის" კონცეფციის მიხედვით ირკვევა, რომ მატერიალისტურ კეთილდღეობას საზოგადოება პროპაგანდას უწევს, როგორც ცხოვრების მოწონებულ მიზანს.[1237] *მისი* აზრით, წარმატება ძირითადად ეკონომიკურ კეთილდღეობასა და მატერიალურ პროგრესში, ძალაუფლების მოხვეჭასა და მაღალი სოციალური მდგომარეობის მოპოვებაში გამოიხატება.[1238] ანომიის *მერტონისეული* კონცეფციიდან ცხადი ხდება, რომ ჩვენს საზოგადოებაში სიმდიდრის დაგროვება, არის წარმატების სიმბოლო, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.[1239]

ადრეული კრიმინოლოგიის ერთ-ერთი მთავარი ფიგურა, ამერიკელი სოციოლოგი *ედვარდ ელსუორ როსი* თეთრსაყელოიანთა დამნაშავეებთან დაკავშირებით ამბობს, რომ „ისინი არ არიან დეგენერატები, რომლებიც იტანჯებიან ამაზრზენი ვნებებით. მათ არაფერი სურთ იმაზე მეტი, რაც ჩვენ ყველას გვსურს - ფული, ძალაუფლება, ყურადღება - ერთი სიტყვით, წარმატება."[1240]

თეოლოგიური ტერმინოლოგიით თუ ვიტყვით, თანამედროვე ადამიანის გაგებით წარმატება დაკავშირებულია ვერცხლისმოყვარეობასთან, სხვებზე ბატონობის სურვილთან, პატივმოყვარეობასთან. ასე, რომ ცოდვაში ცხოვრება არის ცხოვრების მიზანი. საზოგადოების მიერ მოწონებული ცხოვრების ასეთ მიზანში, მართლმადიდებლური მოძღვრება საფრთხეს ხედავს, რადგან იგი დაკავშირებულია ისეთ მომაკვდინებელ ცოდვებთან, როგორიც არის: ნაყროვანება, სიძვა-მრუშობა, პატივმოყვარეობა, ამპარტავნება (რჯლ. 8, 12) და ა.შ., რასაც მივყავართ დანაშაულთან.[1241] ბიბლიაში ვკითხულობთ: „გამდიდრებაზე ნუ იზრუნებ, თავიდან მოიშორე ფიქრი" (იგავ. 23, 4). ცოდვა, რომ ხშირად ფსევდო კეთილდღეობის შედეგია ადასტურებს ბიბლიის შედეგი მუხლებიც (რჯლ. 32, 15; ნეემ. 9, 28; იერ. 48, 11; იეზეკ. 16, 49; 28, 5).

[1235] იხილეთ წინამდებარე დისერტაციის ქვე-პარაგრაფი: 3.2.2.2 პატივმოყვარეობა.

[1236] იხ. *Batson C.D.*, Altruism in Humans, printed in Oxford University Press, Inc., USA, 2011, 20.

[1237] იხ. *წულაია ზ.*, დასახ. ნაშრ., 188.

[1238] იხ. კრიმინოლოგია (სამეცნ. რედ. *გ. ღლონტი*), თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, თბ., 2008, 397.

[1239] იხ. *გოძიაშვილი ი.*, დასახ. ნაშრ., 63.

[1240] Criminology, Explaining Crime and its Contents, (by *Brown, Stephen E.*) seventh edition, Anderson Publishing, USA, North Carolina, 2010, 441.

[1241] იხილეთ წინამდებარე დისერტაციის ქვე-თავი: 3.2 ვნებათა კლასიფიკაცია და მათი დახასიათება.

წმ. იოანე ოქროპირი აღნიშნავს, რომ „კაცისთვის არ არსებობს უარესი ბოროტება, ვიდრე უზომო ვნება. უზომო ვნებას მე ვუწოდებ ლტოლვას ტკბობისადმი, ამაო დიდებისადმი, ძალაუფლებისადმი და საერთოდ ყველაფრისადმი, რაც საჭიროებას აღემატება. ის, ვინც ფუფუნებითა და უწესო ცხოვრებით ცხოვრობს, ყველას უბედნიერესად ეჩვენება, სინამდვილეში კი, ის ყველაზე უბედურია, რადგანაც თავის ცხოვრებას სასტიკი მტანჯველებისა და ბატონების ხელში გადასცემს."[1242]

სულიერ ღირებულებებზე ჩატარებული კვლევით, *ტ. ბოროზენეცი* გამოავლენს, რომ ახალ ღირებულებებში ჭარბობს ჰედონისტური ეგოიზმი, გამოყენებითობა, სხეულებრივი მოთხოვნილებების დომინირება სულიერზე, რომელშიც განსაკუთრებით ჩართულია ახალგაზრდობა, პოლიტიკური და კულტურული ელიტა.[1243]

კვლევის აღნიშნული შედეგები გასაზიარებელია, რადგან ამის დაფიქსირება საზოგადოებრივი საქმიანობის თითქმის ყველა სფეროშია შესაძლებელი. მაგალითად, ხელოვნების ისეთი დარგი, როგორიც არის მუსიკა.

ცნობილი ამერიკელი მომღერლისა და მსახიობის *ლაიზა მეი მინელის* მიერ მიუზიკლ „კაბარე"-ში შესრულებული და თავის დროზე ჰიტად ქცეული სიმღერიდან ირკვევა, რომ „ფული ატრიალებს მსოფლიოს" (*Money Makes the World Go Round*).[1244] ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, აღნიშნული ფრაზა აღებული და გადაკეთებული ყოფილა სხვა სიმღერიდან, რომელშიც ნათქვამია, რომ „სიყვარული ატრიალებს მსოფლიოს". ამ სიმღერას ასრულებს *ბარბარა ლუისი* და სხვა მომღერლებიც. როგორც ვხედავთ, სიტყვა „სიყვარული" შეიცვალა „ფულით".[1245] ფულს ბევრი მომღერალი ადიდებს სიმღერაში. მათი ჩამოთვლა შეუძლებელია. შეგვიძლია, გავიხსენოთ მხოლოდ რამდენიმე მათგანი, კერძოდ: *ო-ჯეისის* (*The O'Jays*) სიმღერა ფულის სიყვარულისთვის (*For the Love of Money*); *პინკ ფლოიდის* სიმღერა „ფული" (*Money*); „ეი-სი-დი-სი"-ის (*AC/DC*) *ფული ლაპარაკობს* (*Moneytalks*) - ეს ფრაზა, ხაზს უსვამს ფულის ძალაუფლებაზე. შეუძლებელია ორიოდე სიტყვა არ ითქვას ქართველი მომღერლის *ოთარ რამიშვილის* სიმღერაზე „*მთავარია გქონდეს ფული*". მომღერალი საზოგადოების მიერ მოწონებულ მანკიერ რეალობაზე მღერის. კერძოდ, რომ ფულია ცხოვრებაში მთავარი, რომ მისით იზომება კარგი კაცობა, ხოლო „*ფული რომ გამოელევათ კარგი ბიჭობაც თავდება*" და ა.შ. დაბოლოს, გავიხსენებთ ანსამბლ „ივერიის" სიმღერას

[1242] *წმინდა იოანე ოქროპირი*, ჰომილიები, IV ტომი (რედ. *თ. გოგოჩაშვილი*), გამომცემლობა „ალილო", თბ., 2015, 125.

[1243] იხ. *Борозенец Т. И.*, Средства Массовой Информации и Национальные Духовные Ценности, 2011 <http://www.religion.in.ua/main>, იხ.: *წიკლაური ხ.*, მორწმუნეთა და ათეისტების ღირებულებათა კვლევა საქართველოში (სადისერტაციო ნაშრომი), წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, თბ., 2016, 56.

[1244] იხ. სიმღერა Money Makes the World Go Round, <https://www.youtube.com/watch?v=PIAXG_QcQNU>, (მოპოვების თარიღი: 25.07.2020).

[1245] იხ. სიმღერა Love Makes the World Go Round, <https://www.youtube.com/watch?v=kL7yf__hszA>, (მოპოვების თარიღი: 25.07.2020).

სახელწოდებით „პაწაწინა რქები“. სიმღერა ეძღვნება კომფორტულ ცხოვრებას. მასში გაჟღერებულია, რომ ქურდობით, მეტაფორულად „პატარა ლამაზი რქები“-ს დადგმით, არაფერი შავდება თუ ადამიანი გამდიდრდება.

ალბათ ყველა დაგვეთანხმება, რომ ძნელი არის დასახლედეს ფილმები, ლიტერატურული ნაწარმოებები, ჟურნალ-გაზეთები, მედია-საშუალებები და საქმიანობის სხვა სფეროები, რომლებში ნეგატიური მოვლენები (ვერცხლისმოყვარეობა, მრუშობა, ამპარტავნება და ა.შ.) გაშუქებულია და ყოველდღიურად შუქდება დადებით კონტექსტში, ხოლო სათნოებები პირიქით, როგორც დაცინვის ობიექტი და, როგორც ბოროტება.

დებულებას, რომ საზოგადოების უმეტესობის მიერ ვნებები განიხილება დადებით მოვლენად, და რომ, ისინი ცხოვრების მოწონებულ მიზანთან, წარმატებასთან და კეთილდღეობასთან ასოცირდება, გარკვეულწილად იზიარებს მოლეკულური ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი *ჯონ მედინაც*. მეცნიერი აკეთებს დასკვნას, რომ ქრისტიანობაში მიჩნეული მომაკვდინებელი ვნებები და ცოდვები ადამიანის ცხოვრებაში ასრულებენ ნორმალურ, დადებით და სასარგებლო ფუნქციას, კერძოდ:

1. *სიზარმაცე*: მის გარეშე შეუძლებელია დიდხანს ცხოვრება; სიზარმაცით ადამიანის „აკუმულატორი“ იტენება, რომ გარკვეულ დოზებში, სიზარმაცე სასარგებლოც არის, რადგან იგი ადამიანს აძლევს შესაძლებლობას იფიქროს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებზე და შეინახოს ძალები მომავალი საქმიანობისთვის;[1246]

2. *ნაყროვანება*: ნაყროვანების ცოდვას არავისთვის მოაქვს ზიანი იმათ გარდა, ვინც გადამეტებული ჭამის მოყვარულია;[1247]

3. *მრისხანება (სიშმაგე, შურისძიება)*: ის, ვისაც არ შეუძლია გამოავლინოს აგრესია, როგორც წესი, „აგებს“ მოწინააღმდეგესთან და არ შეუძლია გახდეს ლიდერი. ამიტომ, ზოგჯერ სასარგებლოა გამძვინვარება, თუნდაც იმიტომაც, რომ გვიხდება საკუთარი ინტერესების დაცვა;[1248]

4. *სიხარბე (სიძუნწე, გაუმაძღრობა)*: აზარტული თამაშისას, პირველივე მოგების შეგრძნებაზე, ხდება ჟანგბადით გაჯერებული სისხლის გაძლიერებული მიწოდება ტვინის იმ უბანში, რომელსაც ეწოდება „ნუკლეუს აკუმბენსი“. წაგების შემთხვევაში, ასეთი მოვლენა არ ფიქსირდებოდა. ამგვარად, არაფერია იმაში ცუდი, თუკი თქვენ არავისთვის გსურთ გაუყოთ თქვენი ხელფასი ან დანაზოგი;[1249]

[1246] იხ. *Исаева Е.*, Семь Смертных Грехов. Наказание и Покаяние, изд., „Рипол Классик“, М, 2009, 24.
[1247] იხ., იქვე, 25.
[1248] იხ., იქვე, 25-26.
[1249] იხ., იქვე, 26-27.

5. *შური (ეჭვიანობა)*: შურის გარეშე ადგილიდანაც ვერ დაიძვრებით. შურით, შეიძლება ბევრს მიაღწიოთ. ეჭვიანობა კი, გვეხმარება დავიცვათ უფლება ჩვენი სიყვარულის ფლობაზე, ან მოვიპოვოთ იგი;[1250]

6. *ამპარტავნება*: საკუთარი თავის ღირსებისა და სიამაყის შეგრძნება - მნიშვნელოვანი შემადგენელია იმისა, რომ ასეთი ინდივიდი ეწევა წარმატებულ და ბედნიერ ცხოვრობას. მათ, ვისაც უყვარს და პატივს მიაგებენ საკუთარ თავს, სინამდვილეში უწყინარნი და ხშირ შემთხვევაში დიდსულოვანნი არიან. მაგალითად, მათ შეუძლიათ გაასესხონ დიდი თანხა, შემდეგ კი იმაყონ დიდი ხნის განმავლობაში ამ „ჰუსარული“ საქციელის გამო;[1251]

7. *ავხორცობა* (*სიძვა, მრუშობა, გარყვნილება*): ყველა ადამიანს აქვს ჯანმრთელი ინსტინქტი, რომელიც აიძულებს მას გადასცეს საკუთარი გენი მომავალ თაობას.[1252]

მაგრამ, ყველაზე მეტად ცოდვისა და ვნებების „დადებით“ შინაარზე მეტყველებს ის მიდგომა, რომელიც მხარდაჭერილია საზოგადოების, სახელმწიფოსა და მეცნიერების მიერ. საქმე შეეხება იმ ფინანსურ შემოსავალებს, რომელსაც სახელმწიფო ღებულობს დაკანონებული ვნებებისა და ცოდვების გადასახადებისაგან.

სამეცნიერო ლიტერატურაში ვნებებისა და ცოდვებისაგან ფინანსური მოგების მიღების ფენომენი ცნობილია, როგორც „ცოდვის გადასახადები“ და „ცოდვის ინდუსტრია“.[1253] მაგალითისთვის განვიხილოთ რამდენიმე წყარო:

USA TODAY-ის ინფორმაციით ირკვევა, რომ „ამერიკელები ყოველდღე სარგებლობენ ისეთი ბოროტებით, როგორიცაა სიგარეტის მოწევა, ალკოჰოლის მიღება და აზარტული თამაშები. ამ საქმიანობაზე დაწესებული გადასახადები საყოველთაოდ ცნობილია, როგორც „ცოდვის გადასახადი“. სახელმწიფო საფინანსო და ამერიკის სათამაშო ასოციაციის ანგარიშებიდან ირკვევა, რომ 2016 წელს, იმ ტოპ 10 შტატის ხაზინაში, რომელიც ყველაზე მეტ სარგებელს იღებს „ცოდვის გადასახადებიდან“, შემოსავლებმა შეადგინა თითქმის 60 მილიარდი დოლარი.“[1254]

[1250] იხ. *Исаева Е.*, Семь Смертных Грехов. Наказание и Покаяние, изд., „Рипол Классик“, М, 2009, 27.

[1251] იხ., იქვე.

[1252] იხ., იქვე, 27-28.

[1253] მაგალითად იხილეთ: 1. *Adam J. Hoffer, William F. Shughart Ii, And Michael D. Thomas*, Sin Taxes and Sindustry, The Independent Review, v. 19, n. 1, Summer 2014, ISSN 1086–1653, 2014, pp. 47-64; 2. *Kagan J.*, Sin Tax, Investopedia, LLC (DBA Dotdash), New York, NY 10005, <https://www.investopedia.com/terms/s/sin_tax.asp>; 3. Top 10 States Profiting the most from Sin Taxes: Nevada isn't at the Top, https://www.press-citizen.com/picture-gallery/money/2019/06/26/states-profiting-the-most-from-sin/39618629/>, (მოპოვების თარიღი: 08.07.2021).

[1254] იხ. Top 10 States Profiting the most from Sin Taxes: Nevada isn't at the Top, (გამოქვეყნებულია: 26.06.2019), USA TODAY, a Division of Gannett, Sattelite Information Network, LLC, <https://www.usatoday.com/story/money/2019/06/26/states-profiting-the-most-from-sin/39618383/>, (მოპოვების თარიღი: 08.07.2021).

ფილოსოფოსი *მ. ლაიტმანის* ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციიდან ირკვევა, რომ ამერიკაში მარიხუანა ლეგალურია თითქმის ყველა შტატში. ორეგონის შტატში კანონი ნაწილობრივ ნებას რთავს მძიმე ნარკოტიკების გამოყენებას, რომლის ფინანსური სარგებელი უზარმაზარია. 2020 ფისკალურ წელს, ორეგონის ხაზინაში, მარიხუანადან მიღებული შემოსავლები წინა წელთან შედარებით გაიზარდა 30%-ით, 133 მილიონ აშშ დოლარამდე, რაც 2016 წლის კანაფის გადასახადით მიღებულ შემოსავლებთან შედარებით 545%-ით მეტია. ნარკოტიკების მოწინააღმდეგენი აცხადებენ, რომ ახალგაზრდა ამერიკელების ჯანმრთელობის საფრთხე არ შეიძლება გამართლდეს კომერციული მოგებით. ნარკოტიკების ლეგალიზაციის მომხრეები აცხადებენ, რომ ისინი ნანობენ იმ სულელურ არჩევანზე, რომელიც თანამემამულეებმა შეიძლება გააკეთონ ნარკოტიკების სასარგებლოდ. მათი აზრით, ამ საკითხში უპირატესობა უნდა ენიჭებოდეს თავისუფალ ნებას და ფინანსური მოგების მიზნებს.[1255]

Business Standard-ის მიხედვით, „ცოდვის გადასახადები" ემსახურება ორ მიზანს: 1. არასასურველი (ვნების მომტანი) საქონელი გახადოს იმდენად ძვირი, რომ აიძულოს გონიერი მომხმარებელი თავი დაანებოს მავნე ჩვევას; 2. ამ პროდუქტების მწარმოებელ კომპანიებს, გადაახდევინოს ყველაზე მაღალი გადასახადი, რომელიც შეიძლება იქნას გამოყენებულ სხვა კეთილშობილური პროგრამების დასაფინანსებლად. მაგ.: შვედეთი, აზარტული თამაშებიდან მიღებულ ამ ზენორმირებულ გადასახადს იყენებს აზარტული თამაშების პრობლემების მქონე ადამიანების დასახმარებლად. ნათქვამია ისიც, რომ თამბაქოს, ალკოჰოლის ან კალორიების გადაჭარბებული მოხმარება, ზრდის ჯანმრთელობის რისკებს, როგორიცაა გულის შეტევა, კიბო და სიმსუქნე. კვლევებმა აჩვენა, რომ „ცოდვის გადასახადების" გამოყენება წარმატებული აღმოჩნდა მავნე პროდუქტების მოხმარების შემცირებაში, და რომ სახელმწიფოებმა ასევე მიიღეს საკმარისი კაპიტალი ზენორმირებული გადასახადისგან.[1256]

უნდა აღინიშნოს, რომ ვერ მივაკვლიეთ ინფორმაციას, ტარდება თუ არა კვლევები ცალკეული დაკანონებული ცოდვების (თამბაქო, ნარკოტიკების, იარაღით, სხეულით ვაჭრობის და აზარტული თამაშის) შედეგად, თუ რამდენი ოჯახი დაინგრა, რამდენი პირმა ჩაიდინა თვითმკვლელობა, სამართალდარღვევა, დანაშაული, რა სახისა და ოდენობის ზარალი ადგება კონკრეტულ მსხვერპლს, საზოგადოებას და სახელმწიფოს. დაგვეთანხმებით, საინტერესო იქნებოდა „ცოდვის გადასახადებიდან" შემოსავლების რა პროცენტი იხარჯება: სამართალდამცავი ორგანოების პრევენციულ ღონისძიებებზე, მართლმსაჯულების განხორციელებაზე, პენიტენციური დაწესებულებების და პოსტპენიტენციურ საქმიანობებზე; ნარკომანების, აზარტულ თამაშებზე

[1255] იხ. *მიხეილ ლეტიმანი*, How to Defeat Drugs, „როგორ შეიძლება დავამარცხოთ ნარკოტიკი", <https://laitman.com/2021/05/how-to-beat-drugs/>, (მოპოვების თარიღი: 17.07.2021).

[1256] იხ. What is Sin Tax, *Business Standard Pvt Ltd*,<https://www.business-standard.com/about/what-is-sin-tax>, (მოპოვების თარიღი: 17.07.2021).

დამოკიდებული პირების, სამართალდამრღვევების, დამნაშავეებისა და დაზარალებულების რეაბილიტაციასა და რესოციალიზაციაზე, და ზოგადად, დანაშაულობით მიყენებული ზარალის ანაზღაურებაზე. მაგრამ, ყველაზე საინტერესო ალბათ იქნებოდა იმის ცოდნა, ამ ყველაფრის დაანგარიშების შემდეგ, დამატებით რა ფინანსური მოგება რჩება სახელმწიფოს ცოდვის გადასახადებით მიღებული შემოსავლებისგან. ასეთი კვლევები სულ მცირე: დაგვანახებდა, აჭარბებს თუ არა „ცოდვის გადასახადები“ სახელმწიფოს დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციისათვის გაწეულ ხარჯებს; ფინანსური მოგების თვალსაზრისით გამართლებულია თუ არა ცოდვების ლეგალიზება; იწვევს თუ არა დაკანონებული ცოდვა კრიმინოგენული მდგომარეობის ზრდას, თუ პირიქით, შემცირებას.

კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში არსებული ინფორმაცია ლოგიკურ აჩენს ეჭვს, რომ ცოდვის დაკანონება შეიძლება განპირობებული იყოს არა ადამიანის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის, არამედ „ცოდვის ინდუსტრიის“ ლობისტების გამდიდრების მოტივით.

მაგალითად, ავიღოთ თამბაქოს ინდუსტრია, რომელიც ერთი შეხედვით მართლაც, რომ უწყინარი თემაა. უწყინარს ვამბობთ იმიტომ, რომ „კრიმინოლოგიაში ითვლება, რომ სიგარეტის წარმოება და გაყიდვა დანაშაულის გარეშე მსხვერპლის საუკეთესო ილუსტრაციაა“.[1257]

ტარა პარკერ-პოუპი აღნიშნავს, რომ თამბაქოს ინდუსტრია, გამოიმუშავებს უზარმაზარ ფულს და ამ მოგებას ნაწილობრივ იყენებს რათა თავი დაიცვას რეგულაციებისგან.[1258] ირკვევა, რომ თამბაქოს ინდუსტრია დიდ თანხებს უხდის პოლიტიკოსებს, სასურველი კანონმდებლობის მხარდაჭერის მოსაპოვებლად. სიგარეტის მწარმოებლებს ნამდვილად არ სურთ ხალხის მოკვლა, მაგრამ გაურკვევლობის, უარყოფისა და მანიპულირების ტაქტიკის გამოყენებით, მილიონობით მომხმარებლის სიცოცხლის ხარჯზე, მათ მოახდინეს თავიანთი ფინანსური ინტერესების გაზრდა. ითვლება, რომ სიგარეტი „უფრო მეტ სიკვდილს იწვევს, ვიდრე ნებისმიერი სხვა სასიკვდილო აგენტი, მათ შორის ყველა ცნობილი ბაქტერია, ცნობილი ვირუსი, ტყვია, ველური ცხოველები, ქიმიური შხამი და ამერიკული მანქანებიც კი“ (*რიჩარდ კლუგერისი*).[1259]

თუკი, კრიმინოლოგიური ექსპერტიზა მოწოდებულია შეისწავლოს, გაანალიზოს და შეაფასოს სხვადასხვა სახის მოვლენები, პროცესები და ღონისძიებები, რათა

[1257] Criminology, Explaining Crime and its Contents, (by *Brown, Stephen E.*) seventh edition, Anderson Publishing, USA, North Carolina, 2010, 474.

[1258] იხ. *Parker-Pope, T.* Cigarettes: Anatomy of an Industry, New York, NY: Public Affairs, 2001, ციტირებულია წიგნიდან: Criminology, Explaining Crime and its Contents, (by *Brown, Stephen E.*) seventh edition, Anderson Publishing, USA, North Carolina, 2010, 474.

[1259] Criminology, Explaining Crime and its Contents, (by *Brown, Stephen E.*) seventh edition, Anderson Publishing, USA, North Carolina, 2010, 474.

განისაზღვროს მათი შესაძლო ან არსებული გავლენა დანაშაულ(ობა)ზე ადრეულ სტადიაზე,[1260] ის ფაქტი, რომ კვლევები არა არის ჩატარებული ცოდვების დაკანონების შემდეგაც კი, ბადებს ძალიან ბევრ კითხვას. პირველ რიგში, ადამიანის პირადი ცხოვრების უფლების უზრუნველყოფით ცოდვების დაკანონება, ხომ არ არის არის საბაბი? მის მიღმა ხომ არ იმალება სხვა შორეული მოტივები? არის თუ არა სახელმწიფო გულწრფელი ადამიანისა და საზოგადოების მიმართ, როდესაც იღებს პასუხიმგებლობას მათ მზრუნველობაზე, დანაშაულობის თავიდან აცილების თვალსაზრისით? და ასე შემდეგ.

მაგრამ, პარადოქსი ისაა, რომ საზოგადოება, სახელმწიფო და მეცნიერება, რომელიც ერთ შემთხვევაში მატერიალურ კეთილდღეობას და ცოდვიან ვნებებს დადებითად აფასებს და სარგებელსაც ღებულობს, მეორე მხრივ, ამტკიცებენ, ბიბლიურ მოძღვრების მართებულობასაც, რომ ისინი პირდაპირ კავშირშია დანაშაულობასთან.

3.3.4.2 ვნება (ცოდვა), როგორც უარყოფითი მოვლენა

ინგლისელმა მეცნიერმა *უილიამ მორისონმა* დაადგინა, რომ ინგლისი, XIX საუკუნის ბოლოს ექვსჯერ მდიდარი იყო იტალიაზე და მიუხედავად ამისა, 1880-1884 წლებში, ინგლისში ქურდობა უფრო განვითარებული იყო. *მორისონის* აზრით, ანალოგიური თანაფარდობა იყო საფრანგეთსა და ირლანდიას შორისაც. მეცნიერი აღნიშნავს, რომ „აქ, პირველად დაფიქსირდა ის, რასაც ახლა უწოდებენ „კეთილდღეობის დანაშაულობას“.[1261]

ე. დიურკჰეიმის კონცეფციის მიხედვით (რომელიც ზედმიწევნით ეხმიანება *ჰობსის* კონცეფციას) ადამიანი ითვლება მორალური ქცევისათვის უუნარო არსებად, რომლის ცხოვრებაც, მასშივე არსებულ ეგოისტურ ვნებებს ბუნებრივ მდგომარეობამდე დაჰყავს, რაც ხასიათდება „ყველას ომით ყველას წინააღმდეგ.“[1262]

ნაშრომში „დანაშაული, მისი მიზეზები და დაცვის საშუალებები“, *ჩ. ლომბროზო* ცალკე საკითხად იხილავს სიმდიდრეს, როგორც დანაშაულის მიზეზს. მისი აზრით, სწრაფად ნაშოვნი სიმდიდრე, რომელიც დაბალანსებული არ არის მაღალი თვისებებით, რელიგიური ან პოლიტიკური იდეალიზმით, უფრო საზიანოა, ვიდრე სასარგებლო.[1263]

ამავე ნაშრომში მოყვანილია *სპენსერის* მოსაზრებაც, რომლიც შეხედულებითაც, გადაჭარბებული სიმდიდრე დესპოტიზმის, ყველანაირი სექსუალური და

[1260] იხ. *წულაია დ.*, კრიმინოლოგიური ექსპერტიზის მნიშვნელობა სამართლებრივ რეფორმებში, *ჟურნალი*, I საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, თემაზე: „სამართლის აქტუალური პრობლემები“, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბ., 2010, 222.

[1261] *Шнайдер Г.Й.*, Криминология, (перевод с немецкого *Ю.А. Неподаева*, ред., *Л.О. Иванова*), изд., „Прогесс“, М., 1994, 76.

[1262] *გოძიაშვილი ი.*, დასახ. ნაშრ., 54.

[1263] იხ. *Lombroso C.*, Crime: Its Causes and remedies (translated by Henry P. Horton, M. A.), London, 1911, 132.

ალკოჰოლური ძალადობისა და, შესაბამისად, დანაშაულის ბუნებრივი ინსტრუმენტია.[1264]

ფორნასარი თვლის, რომ „იქ სადაც სიმდიდრე აბსოლუტურად უდიდესია, იგი ყოველთვის გროვდება მხოლოდ რამდენიმე ადამიანის ხელში. ასე რომ, ყოველთვის არის სიღარიბე, რაც უფრო მძაფრად იგრძნობა კონტრასტის გამო. ეს კი, ხელს უწყობს ადამიანს მიდრიკოს დანაშაულისკენ და ქმნის დანაშაულის ჩადენის დიდ შესაძლებლობებს“.[1265]

წიგნში „დანაშაულის კონტროლი როგორც ინდუსტია“ *ნილს კრისტი* აღნიშნავს, რომ „სიმდიდრე, რომელიც არათანაბრად არის განაწილებული, არეულობის შესაძლებლობასა და პოტენციალს შეიცავს“.[1266]

აღსანიშნავია ისიც, რომ XVIII საუკუნის განმანათლებელი, *შარლ მონტესკიე*, დანაშაულობის მიზეზებიდან განსაკუთრებით გამოყოფდა ეკონომიკურ უთანასწორობას და საჭიროდ მიიჩნევდა სიმდიდრეთა განაწილების გათანაბრებას.[1267]

ანალოგიურ აზრს ავითარებს ნორვეგიელი კრიმინოლოგი *ტორე ბიორგოც*. წიგნში „დანაშაულის პრევენცია“ იგი აკეთებს დასკვნას, რომ: „საზოგადოებაში, სადაც დიდი სხვაობაა მდიდარ და ღარიბ ფენებს შორის, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ჩადენის უფრო დიდი ალბათობაა“.[1268]

კრიმინოლოგიაში ცნობილი „დაძაბულობის თეორიის“ (*Strain Theory*) თანახმად, საზოგადოების წევრები ესწრაფვიან საყოველთაოდ დადგენილ კულტურულ ფასეულობებს, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია ეკონომიკური წარმატების პრინციპი, რომელიც ხდება საზოგადოებაში დანაშაულობის გენეზისის მიზეზი.[1269]

წმ. ილია მართალი თვლის, რომ „სოციალური უთანასწორობის ინტერესების განმტკიცებას მიზნად ისახავს ის სამართალი, რომელიც მიზნად ისახავს კაპიტალის ბატონობას. ამიტომ ასეთი სამართალი ვერ იქნება საზოგადოების ბედნიერების საფუძველი“.[1270] მისი სიტყვებია: „ფულის ბრძანებას და ბატონობას მაინც ვერსად გავექცევით, ვერსად ვერ დავემალებით“.[1271]

[1264] იხ., იქვე, 132.

[1265] იქვე, 134.

[1266] *კრისტი ნ.*, დანაშაულის კონტროლი, როგორც ინდუსტრია (პირველი ქართული გამოცემა: რედ. *მ. შალიკაშვილი* და *გ. გიორგაძე*, მთარგმნ. *ნ. ბურდული*), გამომც. „სეზანი“, 2017, 17.

[1267] იხ. *Монтескье*, О Духе Законов, Избранные Произведения, М., 1955, იხ. *გაბიანი ა.*, დანაშაულობის მიზეზების შესახებ, თბ., 1969, 7.

[1268] *ბიორგო ტ.*, დასახ. ნაშრ., 76.

[1269] იხ. კრიმინოლოგია (სამეცნ. რედ. *გ. ღლონტი*), თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, თბ., 2008, 391.

[1270] *აბაშმაძე ვ.*, ილია ჭავჭავაძე - სახელმწიფოსა და სამართლის პრობლემები, გამომც. „განათლება“, თბ., 1987, 258.

[1271] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 7, გვ. 11, იხ.: *აბაშმაძე ვ.*, ილია ჭავჭავაძე - სახელმწიფოსა და სამართლის პრობლემები, გამომც. „განათლება“, თბ., 1987, 300.

ერიხ ფრომი წერს, რომ „დასავლური სამყაროს მთელ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზანს წარმოადგენს მატერიალურად უზრუნველი ცხოვრება, სიმდიდრის შედარებით თანასწორად განაწილება, სტაბილური დემოკრატია და მშვიდობა. და სწორედ იმ ქვეყნებში, რომლებიც სხვებზე უფრო მიუახლოვდა ამ მიზანს, შეიმჩნევა ფსიქიკური დისბალანსის ყველაზე უფრო სერიოზული სიმპტომები“. *მეცნიერი* იქვე აყენებს საკითხს: ხომ არ არის რაიმე ძირეულად მცდარი ჩვენი ცხოვრების წესსა და მიზნებში, რომლისკენაც ჩვენ მივისწრაფვით?[1272] და იქვე პასუხობს, რომ შეიძლება, აღნიშნული წარმოადგენს შთამბეჭდავ ილუსტრაციას სიტყვების ჭეშმარიტებისა - „არა პურითა ერთითა საზრდოობს კაცი“.[1273]

ზოგადად, აღნიშნულ საკითხზე ვრცლად შეიძლება საუბარი „კონფლიქტის თეორიაზე“, დელიკვენტურ სუბკულტურაზე და რადიკალურ კრიმინოლოგიაზე დაყრდნობით, რომლებიც ვნებებს განიხილავენ დანაშაულობის ფაქტორებად.[1274] ამ კუთხით საინტერესოა ვიქტიმოლოგიიური კვლევებიც. როგორც ირკვევა, დაზარალებულთა მაღალი რიცხვი შეიძლება დამოკიდებული იყოს კომფორტზე.[1275]

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მეცნიერების ის ნაწილი, რომელიც ვნებებს უარყოფითად აფასებს, იზიარებს ბიბლიური მოძღვრებას იმ ნაწილში, რომ საფრთხეს წარმოადგენს, არა თავად ფული, თამაში და ა.შ., არამედ, მის მიმართ პათოლოგიური დამოკიდებულება.

სახარების განმარტებაში ვკითხულობთ, რომ ცხოვრებისეული სიამოვნებით სარგებლობა თავისთავად ცოდვას არ წარმოადგენს, თუ ამას სულისთვის მავნე შედეგები არ მოჰყვება. ამქვეყნიური სიკეთენი ღმერთმა გვიბოძა იმისთვის, რომ გონივრულად გამოვიყენოთ. ამის გამო, ამ სიკეთეთა გამოყენება ცოდვა არ არის. ცოდვა მიწიერი სიკეთეების გამოყენების საშუალებებსა და მათდამი ჩვენ დამოკიდებულებაშია. თუ მათზე ისე ვართ დამოკიდებული, რომ ღვთის ნების შესრულება გვავიწყდება, მაშინ ასეთი გამოყენება და დამოკიდებულება არის ცოდვა. ამიტომ, თავისთავად სიცილი და მხიარულება არ არის დაგმობილი.[1276]

მეცნიერების გარკვეული ნაწილიც მსგავსად უდგება ამ საკითხს. მაგალითად, ზემოთ აღინიშნა, რომ: *ლომბროზოსთვის* საფრთხეს წარმოადგენს, როდესაც „სიმდიდრე დაბალანსებული არ არის მაღალი თვისებებით“. *სპენსერისთვის* პრობლემა არის „სიმდიდრის გადაჭარბებაშია“, ხოლო *ფორნასართან*, *კრისტისთან* და *მონტესკიესთან* „საზოგადოებაში სიმდიდრის არასწორ განაწილებაში“ და ა.შ.

[1272] იხ. *ფრომი ე.*, ვართ კი ნორმალურები? (მთრგმნ. *ნ. კუჭუხიძე*), სტამბა შპს „ხომლი ენ”, ქუთაისი, 2014, 75.

[1273] იხ., იქვე, 75.

[1274] იხ. *გოძიაშვილი ი.*, დასახ. ნაშრ., 66-68, 77.

[1275] იხ. *შალიკაშვილი მ.*, ვიქტიმოლოგია, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2011, 67, 172.

[1276] იხ. სახარების განმარტება, წიგნი II (შემდგნ. *ბბ. ი. გლადკოვი*, მთრგმნ. *რ. ქებურია, ი. ქებურია* და *ქ. ჯანიაშვილი*), თბ., 2016, 39.

დავამატებთ იმასაც, რომ *ჯ. მერფი*, რომელიც იკვლევს ფულს მეცნიერული თვალსაზრისით, აკეთებს დასკვნას, რომ „ოქრო, ვერცხლი და სხვა ძვირფასი მეტალები კი არ წარმოადგენენ ბოროტებას, არამედ მთელი ბოროტების ერთადერთი წყარო და ფესვი არის ადამიანის შეცდომა, უვიცობა, ცხოვრებისადმი არასწორი დამოკიდებულება და ქვეცნობიერების ძალების ბოროტად გამოყენება“.[1277] *ს. ბარტლეტის* შეხედულებით კი, „ადიქციის ყველა ფორმა ცუდია, განურჩევლად იმისა სახეზეა ნარკოტიკებისადმი, ალკოჰოლისადმი თუ იდეალიზმისადმი ადიქცია“.[1278]

ამგვარად, მეცნიერებაში ვნებების შესახებ არსებული დიქოტომია მოითხოვს მეტ გარკვეულობას. მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ სად გადის ზღვარი ზომიერებასა და პათოლოგიას შორის, როდის ხდება ნორმიდან პათოლოგიაში (ადიქციაში) გადასვლა. ამ საკითხზე საყურადღებოა სოციოლოგ-კრიმინოლოგის *ე. დიურკჰეიმის* კონცეფცია. *იგი* იკვლევდა დანაშაულობის ძირითად მიზეზს „ანომიას“, ანუ უნორმატიულობას და ასევე ცდილობდა ერთმანეთისაგან გაემიჯნა ნორმალური და პათოლოგიური ფაქტები და მოვლენები.[1279] *დიურკჰეიმის* აზრით, „აუცილებელია ისეთი კრიტერიუმის მონახვა, რომელიც საზოგადოებას ჯანმრთელი მდგომარეობიდან დაავადებული ვითარებისაგან განსხვავების შესაძლებლობას მისცემს“.[1280] მისი აზრით, „მხოლოდ ანომიის სიმპტომთა დომინანტობის შემთხვევაში შეიძლება საზოგადოების დაავადებაზე (პათოლოგიაზე) ლაპარაკი.“[1281]

3.3.5 შეჯამება

დასავლურ ქრისტიანულ სამყაროში განმანათლებლობის ეპოქამდე დანაშაულებრივი ქცევა მიეწერებოდა ტრანსცენდენტულ არსებებსა და ადამიანურ ვნებებს. განმანათლებლობის პერიოდში ხდება დანაშაულის მიზეზობრიობის თეოლოგიური სწავლებებიდან გადახვევა. ბოროტის ადგილს იკავებს ბუნებრივი ადამიანური ვნებები. განმანათლებლები და სისხლის სამართლის კლასიკური სკოლის წარმომადგენლები დანაშაულის მიზეზებს უკავშირებენ ადამიანურ ვნებებს. იწყება ადამიანის ქცევის ახსნა საბუნებისმეტყველო-მეცნიერული და რაციონალური პერსპექტივებიდან. ფსიქოლოგიისა და ფსიქიატრიის კვლევის საგანი, ხდება სამშვინველი. ანუ, ისეთი სულიერი ფენომენები, როგორიც არის აზრები, კომპლექსები, გრძნობები და სურვილები (მოტივები). მიუხედავად დასავლურ სამყაროს აზროვნებაში

[1277] *მერფი ჯ.*, თქვენი ქვეცნობიერების ძალა, (რედ. *თამაზ თურმანიძე*; მთარგმნელები: *ნინა* და *მარინა თურმანიძე*), გამომც. „პეგა“, თბ., 2015, 137-138.

[1278] *Bartlett S.J.*, The Pathology of Man, a Study of Human Evil, Charles C. Thomas Publisher, Illionois, USA, 2005, 93.

[1279] იხ. Readings from Emile Durkheim, (ed. *Kenneth Thompson*; tr. by Margaret A. Thompson), New York, 1985, 50.

[1280] იქვე, 87.

[1281] იქვე.

ამ ეპოქალური „პროგრესისა“, მეცნიერების ვექტორმა დროთა განმავლობაში სულ უფრო და უფრო იწყო შემობრუნება ბიბლიური სწავლებისკენ.

მიუხედავად იმისა, რომ დანაშაულებრივი ქცევის ფსიქოლოგია თავდაპირველად აუხსნელი და უცნობი იყო, პოზიტიურ მეცნიერებაში იგი კვლავაც ინარჩუნებდა ტრანსცენდენტულობას. სულიერ ფენომენებს მიაკუთვნებდა არაპიროვნულ შრეს, აღიარებდა ადამიანში არარაციონალური, ბოროტი ხასიათის ვნებების (ეგოიზმი, ვერცხლისმოყვარეობა და ა.შ.) არსებობას, რომელთაც შეუძლიათ დაიმორჩილოს ადამიანი (*ფრომი, მედინა*).

ფროიდისთვის ადამიანი ირაციონალურ არსებად მიიჩნეოდა, რომელიც წარიმართებოდა არაკონტროლირებადი, ირაციონალური ძალებით. მოგვიანებით *მერფი* იტყვის, რომ ადამიანი ისეთი ტრანსცენდენტული არსებაა, რომელიც დროებითი, სივრცობრივი და მიზეზ-შედეგობრივი საზღვრებით კი არ არის შეზღუდული, არამედ ჩაძირულია კოსმიური ცნობიერების ერთიან ოკეანეში (ნოოსფეროში), საიდანაც აზრები ადამიანის ნებისაგან დამოუკიდებლად მოქმედებენ. იგივე პათოსს ინარჩუნებენ *ეკლსი* და *ბუკიც*. ვნების შესახებ ფსიქოლოგიური გაგება კი, თავის განვითარებას ჰპოვებს ჰპოვებს სოციოლოგიასა და იურისპრუდენციაშიც.

მეცნიერება ფაქტების ენაა. ფაქტები, რომლებიც ამტკიცებენ ტრანსცენდენტული სამყაროს, ძალების არსებობას და გავლენას ადამიანებზე, არათუ უამრავია, არამედ ყოველდღიურად გვხვდება. ფსიქიატრიის ისტორიაში დისოციალური აშლილობის შემთხვევები ამის ნათელი მაგალითია. მსგავსი ფაქტების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელი ხდება გაკეთდეს დასკვნა, რომ დანაშაულის დეტერმინაციის მთავარი წყარო არის ტრენსცედენტული ბუნების. აღნიშნულ ფონზე, გასაგები ხდება, თუ რატომ არის შეუძლებელი მიზეზობრიობის მატერიალუსტური გაგებით აიხსნას დანაშაულების ჩადენის ზოგიერთი კანონზომიერება. საკითხების ამგვარი ინტერპრეტაცია, კრიმინოლოგიას ახალი გამოწვევის წინაშე აყენებს. ამ გამოწვევაში, აქტუალობას იძენს *იუნგის* კონცეფცია, რომლის მიხედვითაც მიზეზ-შედეგობრივ კავშირთან ერთად ბუნებაში არსებობს „ფსიქოიდური“ ხასიათის ფაქტორი, რომელიც, თავის თავს, ავლენს მოვლენების მოწყობასა და მნიშვნელობით კავშირში. მართალია, აღნიშნული კონცეფცია ახლოს არის თეოლოგიურ სწავლებასთან, მაგრამ ამ გამოწვევაში, ვნებების შესახებ მართლმადიდებლურ მოძღვრებას ალტერნატივა არა აქვს, რადგან, მრავალი მეცნიერი თვლის, რომ „მეცნიერული მსოფლმხედველობა ეყრდნობა ეზოთერულ ცოდნასა და რელიგიის ურთიერთკავშირს“,[1282] ხოლო

[1282] *А.Е. Акимов, В.Я. Тарасенко, С.Ю. Голмачов*, „Торсионная Связь - Новая Физическая Основа для Передачи Информации“, ISSN 0013-5771, „Электросвязь“, №5, М., 2001, ციტირებულია წიგნიდან: *შოშიაშვილი შ.*, სამყარო მეცნიერება რელიგია, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2008, 164-165.

იურიდიულ ანთროპოლოგია ადამიანს განიხილავს მეტაფიზიკურ არსებად, რომლის საქმიანობას მეტაფიზიკური საწყისები წარმართავენ.[1283]

თანამედროვე მეცნიერების განვითარება ცხადჰყოფს იმასაც, რომ მე-18 საუკუნეში განმანათლებლების მსოფლმხედველობა ბოლომდე არ იყო პროგრესული, როდესაც უგულებელყვეს ზებუნებრივი ძალების არსებობა და დანაშაულის მიზეზები მიაწერეს მხოლოდ ადამიანის თავისუფალ ნებას, ბუნებრივ მოვლენებს[1284] და იმ გარემოს, რომელშიც ადამიანი იმყოფება (*ჯ. ლოკი*).[1285] ზებუნებრივ ფაქტორსაც, რომ დავანებოთ თავი, განმანათლებლების ახსნაში ისედაც იგრძნობოდა არადამაჯერებლობა. ეს ადვილად ჩანს პირველი ცოდვის დოქტრინაშიც. სამოთხეში ადამი და ევა ცხოვრობდნენ სოციალურად და ეკონომიურად ყველაზე უზრუნველ გარემოსა და პირობებში, მაგრამ ცოდვა მაინც ჩადინეს. ამასთან არ, დაგვავიწყდეს, რომ თავისუფალი არჩევანი ღვთიური დანაწესია, რომელსაც ჰამარტოოლოგიაში[1286] ცენტრალური ადგილი უკავია. ალბათ ამ შემთხვევაში მართებული იქნება *ლუკა ვოინო-იასენეცკის* სიტყვების ციტირება: „მეცნიერება ეძებს, მოძრაობს და ამიტომ, შესაძლოა ცდებოდეს. იგი ქმნადობისა და ძიების პროცესში იმყოფება, მაშინ როდესაც რელიგია უკვე ფლობს ჭეშმარიტებას და საგნებს იმგვარად გვიჩვენებს, როგორებიც ისინი რეალურად არიან“.[1287]

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ ფილოსოფიურ-იურიდიული მსოფლმხედველობა და ზოგადად, პოზიტიური მეცნიერება აღიარებს ტრანსცენდენტული სამყაროსა და ვნების ტრანსცენდენტული ბუნების არსებობას, დანაშაულის მექანიზმში ადამიანზე უცნობის ზებუნებრივი ძალების ზემოქმედებასა და მოქმედებაში ადამიანის თავისუფალ არჩევანს. გამოდის, რომ ღმერთისა და ტრანსცენდენტული სამყაროს არსებობა არის, არა მხოლოდ რწმენის, არამედ არჩევანის საკითხიც. შესაბამისად, დანაშაულ(ობ)ის მიზეზობრიობაში არსებითი გამოწვევა მხოლოდ ტრანსცენდენტულობის საკითხი ვერ იქნება. ძალზედ დიდ მნიშვნელობას იძენს სწორი არჩევანის კონცეპტი. ფაქტია, რომ დღესდღეობით საზოგადოებას, სახელმწიფასა და მეცნიერებას ცოდვის (ვნების) მიმართ ურთიერთგამომრიცხავი დამოკიდებულება აქვს.

თუკი, ქრისტიანული მოძღვრებით, ცოდვა და ვნება ყოველთვის უარყოფითი მოვლენაა (მცირე გამონაკლისების გარდა), საზოგადოების უმრავლესობა და მეცნიერება

[1283] იხ. *გორგოშაძე მ.*, სამართლის ფილოსოფიის საკითხები, ბთ., 2009, 25.

[1284] იხ. *Brown, Stephen E.* Criminology, Explaining Crime and its Contents, seventh edition, Anderson Publishing, USA, North Carolina, 2010, 136.

[1285] იხ. Криминология (ред. *Н. Ф. Кузнецова*, *В. В. Лунеев*), второе издание, изд., „БЕК“, М., 17.

[1286] ჰამარტიოლოგია არის ქრისტიანული მოძღვრება ცოდვის შესახებ, იხ. A Greek-English Lexicon of the New Testament and other Christian Litriture, (by *Bauer Walter*; revised and edited by *Frederick William Danker*), University of Chicago Press, USA, 2000, 50-51.

[1287] *მღვდელმთავარი ლუკა (ვიონო-იასენეცკი)*, დასახ. ნაშრ., 25.

მათ დადებით მოვლენადაც განიხილავს. სახელმწიფო, ზოგ შემთხვევაში ახდენს მათ ლეგიტიმაციასაც. ირკვევა, რომ: ეგოიზმი ემსახურება ადამიანის კეთილდღეობის გაზრდას (*დ. ბატსონი*); მატერიალისტური კეთილდღეობა არის ცხოვრების მიზანი, ხოლო სიმდიდრის დაგროვება წარმატების სიმბოლო (*რ. მერტონი*); ახალგაზრდობა, პოლიტიკური და კულტურული ელიტა უპირატესობას ანიჭებს ჰედონისტურ ეგოიზმს და სხეულებრივ მოთხოვნილებებს (*ტ. ბოროზენეცი*); მომაკვდინებელი ცოდვები და ვნებები კი, ზოგჯერ სასარგებლო ფუნქციებსაც ასრულებენ (*ჯ. მედინა*).

ამის პარალელურად, საპირისპირო მტკიცებასაც ვხვდებით: მატერიალური კეთილდღეობა და ვნებები პირდაპირ კავშირშია დანაშაულობასთან (*მორისონი*, *დიურკჰეიმი*, *ლომბროზო*, *სპენსერი*, *ფორნასარი* და სხვები). ზოგიერთ შემთხვევაში, პრობლემას ხედავს არა თავისთავად რაიმე ნივთის (მაგ. ფული) ქონასა თუ საქმიანობაში (მაგ. თამაში), არამედ, მათ მიმართ პათოლოგიურ დამოკიდებულებაში. აღნიშნული ვითარება კი, უკავშირდება ნორმალურისა და პათოლოგიურს შორის განსხვავების კრიტერიუმის დადგენას, რომელიც წინა თავშიც იქნა გაანალიზებული.

დგინდება, რომ არსებითი პრობლემა ვნებისადმი არასწორ დამოკიდებულებაშია, რაც ყველაზე კარგად ჩანს ფინანსურ შემოსავალების მიზნით ცოდვის დაკანონებაში, რომელიც ლიტერატურაში ცნობილია როგორც „ცოდვის გადასახადები“ და „ცოდვის ინდუსტრია“ და აბსოლუტურად განსხვავდება *ე. დიურკჰეიმის* კონცეფციისგან, რომელიც სულ სხვა კონტექსტში განიხილავს დანაშაულს, როგორც ნორმალურ, აუცილებელ და სასარგებლო მოვლენას.

ამ ფონზე, ისღა რჩება „ვირწმუნოთ“, რომ ცოდვის ლეგიტიმაციით სახელმწიფო ამართლებს „ბოროტებით ბოროტების აღმოფხვრას“, ანუ პრინციპს *similia similibus curantur* „მსგავსი იკურნება მსგავსით“, რომელსაც იყენებს ცრუმეცნიერება, - ჰომეოპათია.[1288]

სამართლებრივადაც რომ შეფასდეს, სახელმწიფოს მხრიდან ცოდვის დაკანონება დაუშვებელია, რადგან პოზიტიური სამართალი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მორალს. თუ ეს ასეა, მაშინ ნებისმიერი სხვა უზნეო საქმიანობის ლეგიტიმაციაც (სამართლებრივი სიკეთის რანგში აყვანა), რომლის ნეგატიური შედეგები მეცნიერულადაც მტკიცდება, არა მხოლოდ გაუმართლებელია, არამედ ააშკარავებს სახელმწიფოს ბრალეულობას იმ გარემო-პირობების შექმნაში, რომელშიც ადამიანს დანაშაულის ჩადენის გარდა სხვა გზა

[1288] იხ.: 1. *Carlston M.*, Classical Homeopathy (Medical Guides to Complementary and Alternative Medicine), published by “Churchill Livingstone”, Philadelphia, Pennsylvania, USA, 2002, 18; 2. *Ричард Юз (Доктор)*, Руководство к Лечению Болезней по Способу Ганемана, (с Английского перевёл *В. Дитман*; ред. *Л. Бразоля*), изд., Общество Врачей Гомеопатов С-Петербург, 1900, 11.

არ რჩება. გამოდის, რომ „დამნაშავე“ არის სახელმწიფოს მიერ შექმნილი გარემოებების მსხვერპლი.[1289]

მართლმადიდებლური ქრისტიანული მოძღვრებით, ცოდვის დაკანონება ყოვლად დაუშვებელია, თუნდაც იგი მატერიალურ სარგებელელს იძლეოდეს. მაგალითად, *მღვდელმთავარი ლუკა (ვიონო-იასენეცკი)* აღნიშნავს, რომ „ბოროტების გამართლება არაფრით არ შეიძლება.”[1290] *არქ. გ. ბასილაძე* განმარტავს, რომ „კაზინოში მოგებულს ხელიც არ უნდა ახლოთ, რადგან ამ „მოგებულს“ ბოროტი აუცილებლად გაზღვევინებთ, ან სულში დაგიწყებთ ფათურს!“.[1291] საინტერესოა ისიც, რომ ჰომეოპათიისაგან განსხვავებით, კლასიკური თანამედროვე მედიცინა, მოქმედებს პრინციპით „მსგავსი იკურნება საპირისპიროთი“.[1292] აღნიშნული ფორმულა, ცნობილი მართლმადიდებლური პრინციპია „ბოროტება აღმოიფხვრება სათნოებით“. მოციქული პავლე რომაელთა მიმართ ეპისტოლეში წერს; „როგორც ერთი კაცის ურჩობით მრავალი გახდა ცოდვილი, ისე ერთი კაცის მორჩილებით მრავალნი გახდებიან მართალნი.“ (რომ. 5, 18).

[1289] ვინაიდან რეალობა საპირისპოროს ამტკიცებს, ჩნდება სურვილი, რომ მეცნიერების იმ დარგს, რომელსაც ეწოდება „სამართლი“, შეეცვალოს სახელი არა „მართ“ ფუძიანი სიტყვით, როგორც ეს დასავლურ ცივილიზებულ ქვეყნებშია.

[1290] *მღვდელმთავარი ლუკა (ვიონო-იასენეცკი)*, დასახ. ნაშრ., 53.

[1291] *ჩაგუნავა ა., ვეკუა ი.*, დასახ. ნაშრ., 283.

[1292] *რემი ე.*, ჰომეოპათიის ანბანი (მეხუთე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა) 1973 წელი, „შტაუფენ - ფარმა გოპინგენ“, ჰომეოპათიის ანბანი, <https://curamediana.ge/anbani.html>, (მოპოვების თარიღი: 08.04.2020).

IV თავი. დანაშაულ(ობ)ის პრევენცია

კრიმინოლოგიისთვის დანაშაულ(ობ)ის თავიდან აცილებაზე მართლმადიდებლური ქრისტიანული მოძღვრება ისეთივე აქტუალურია, როგორც ყველა ზემოთგანხილული საკითხი. თუკი ქრისტიანობა უსამართლობისა და ბოროტების აღმოფხვრას გვასწავლის (*ლუკა ვიონო-იასენეცკი*),[1293] კრიმინოლოგია შინაარსობრივად არის მოძღვრება დანაშაულთა მიზეზებისა და თავიდან აცილების ღონისძიებების შესახებ (*გ. ნაჭყებია*).[1294]

გარდა ამისა, მართლმადიდებლური ქრისტიანული მოძღვრების მსგავსად, კრიმინოლოგიაც დანაშაულის პრევენციის პრობლემას ადამიანის ბუნებაში ხედავს.

მაგალითად, *კ. იუნგის* მტკიცებით, ადამიანის ცნობიერებაში არსებობს ცოდვისა და ბოროტების ცნებები, რომლებიც ჩვენი ბუნების ნაწილია.[1295] ანალოგიურად მსჯელობს *ე. ფრომიც*, მისი სიტყვებია: „გამანადგურებლობის იმპულსი არსებობს ინდივიდუმში და ელოდება მხოლოდ ფაქტორს, რომელიც მისცემს ბიძგს მისი გამოვლენისკენ. გამანადგურებლობის იმპულსები შინაგან ვნებათა გამოვლენაა.“[1296] აღნიშნულ დებულებას, სრულად იზიარებს *ტ. ბიორგოც* წიგნში „დანაშაულის პრევენცია“: „დანაშაულს სრულად ვერ აღმოვფხვრით, რადგან ეს ადამიანის ბუნებრივი მდგომარეობის შემადგენელი ნაწილია“.[1297]

ამდენად, ლათინური გამოთქმა *errare humanum est*, რაც ნიშნავს „შეცდომა ადამიანის თანაარსია“,[1298] ფორმალურად (და არა თვისებრივად ყოველთვის) აქსიომატურია, როგორც მართლმადიდებლური მოძღვრებისთვის, ასევე პოზიტიური მეცნიერებისთვის.

დაბოლოს, მართლმადიდებლური სწავლების მსგავსად, კრიმინოლოგიაც დანაშაულის თავიდან აცილებას, დანაშაულის მიზეზების წინააღმდეგ ღონისძიებების გატარებაში ხედვას.[1299]

[1293] იხ. *მღვდელმთავარი ლუკა (ვიონო-იასენეცკი)*, დასახ. ნაშრ., 50.

[1294] იხ. *ნაჭყებია გ.*, (1998), დასახ. ნაშრ., 48.

[1295] იხ. *ფრიმანი ჯ.*, დასახ. ნაშრ., 110.

[1296] *ფრომი ე.*, გამანადგურებლობა (მთრგმნ. *ნ. კუჭუხიძე*), სტამბა შპს „ხომლი ენ“, ქუთაისი, 2014, 95.

[1297] *ბიორგო ტ.*, დასახ. ნაშრ., 24.

[1298] ფსალმუნებში კი, ნათქვამია: „არა არს კაცი, რომელიც ცხონდეს და არა სცოდოს“. სიტყვა „ცხონდეს“ ძველქართულად ნიშნავს „ცხოვრობდეს“. ანუ ეს სიტყვები გვასწავლის, რომ არ არსებობს ისეთი ადამიანი, რომელიც ამქვეყნად იცხოვრებს ისე, რომ არაფერს შესცოდავს, იხ. *ცხოვრებაძე ზ.*, მეორე ნეტარება, გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი“, №5 (312), 2005, <http://www.orthodoxy.ge/sakhli/9netareba_2.htm>, (მოპოვების თარიღი: 07.07.2020).

[1299] იხ.: 1. *წულაია ზ.*, დასახ. ნაშრ., 148; 2. *თოდრია გ.*, დანაშაულის პრევენცია, ციტირებულია წიგნიდან: კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემა (მთ. რედ. *გ. ღლონტი*), თბ., 2003, 332; 3. *ბიორგო ტ.*, დასახ. ნაშრ., 27; 4. კრიმინოლოგია, მეოთხე გამოცემა (რედ.: *გ. ა. ავანესოვი, ნ. დ. ერიაშვილი*), თბ., 2007, 452.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელი ხდება თუ რამდენად მნიშვნელოვანია მართლმადიდებლური მოძღვრება დანაშაულის პრევენციის მეცნიერული გააზრებისთვის.

4.1 დანაშაულ(ობ)ის პრევეცნიის მართლმადიდებლური მოძღვრება

ცოდვის თავიდან აცილების საკითხზე არსებობს ვრცელი ლიტერატურა, როგორც ქართულ, ასევე უცხოურ ენაზე.[1300] კრიმინოლოგიისთვის, თითოეული მათგი შეიცავს ძალზედ ღირებულ ინფორმაციას. ყველა წყაროს გაანალიზება ბუნებრივია ვერ მოხერხდება, თუმცა ზოგადი წარმოდგენის შექმნის მიზნით, მართლმადიდებლური სწავლებებიდან მოვახდენთ ჩვენთვის საინტერესო საკითხების იდენტიფიცირებას, გაანალიზებასა და კონსტრუირებას კრიმინოლოგიაში, დანაშაულობის პრევენციის საკითხებზე შემუშავებული სტრუქტურის მიხედვით.

არსებულ წყაროებს შორის, განსაკუთრებით საყურადღებოა ბერძენი ასკეტი ბერის, ღვთისმეტყველისა და ფილოსოფოსის *წმ. ნიკოდიმოს მთაწმინდელის* ნაშრომი „უხილავი ბრძოლა“, რომელშიც *წმიდა მამა* საფუძლიანად აღწერს მართლმადიდებლურ სწავლებას კაცობრიობის მტერთან ბრძოლის ხერხებსა და საშუალებებზე.

ტექსტის ანალიზით ირკვევა, რომ უსხეულო და უხილავ მტერთან ბრძოლა, ნიშნავს ბრძოლას ვნებებზე, ხორციელ სურვილებსა და ცბიერ დემონებზე, რომელთაც სძულთ ადამიანი და დღედაღამ ებრძვის მას.[1301] ერთ ადგილას *წმიდა მამა* აღნიშნავს, რომ ბრძოლა წარიმართება სათნოებებით სამი მთავარი მტრის „ხორცის“, „ამა სოფლისა“ და „ეშმაკის“ წინააღმდეგ.[1302] კრიმინოლოგიური ტერმინოლოგიით თუ ვიტყვით, მართლმადიდებლური მოძღვრება საუბრობს დანაშაულობის პრევენციის სამ დონეზე არსებულ დანაშაულ(ობ)ის მიზეზებზე, რომელთა წინააღმდეგ გამოიყენება შესაბამისი პრევენციული ღონისძიებები.

კატეხიზმოში აღნიშნულია, რომ ცოდვა ჩვენს გულებში იბადება და მასთან ბრძოლა, ამიტომაც, გულის უკეთური სურვილებისა და აზრებისაგან განწმენდით უნდა დავიწყოთ.[1303]

[1300] იხ.: 1. *წმ. ნიკოდიმოს მთაწმინდელი*, უხილავი ბრძოლა (რედ. *გ. წულაძე*, ბერძნულიდან თარგმნა *ე. დუღაშვილმა*;), გამომც. „ახალი ივერიონი“, თბ., 2014; 2. *ჰესტოვი ნ.ე.*, როგორ ვებრძოლოთ უკეთურ აზრებს (რედ. *დეკ. გ. ჯგუშია*; რუსულიდან თარგმნა *ა. ეხვაიამ*), თბ., 2002; 3. *მამა პაისი მთაწმინდელი*, სულიერი ბრძოლა, წიგნი III, გამომც. „ალილო“, თბ., 2009; *წმ. იოანე სინელი*, ცოდვით დაცემანი და ბრძოლა მათ წინააღმდეგ (რედ. *დეკ. გ. ჯგუშია*, რუსულიდან თარგმნა *მ. ბუკიამ*), ზუგდიდი, 2002; 4. *J. Heinrich Arnold*, Freedom from Sinful Thoughts, USA, 2007; 4. *Staniloae D.*, Orthodox Spirituality (*translated from Romanian by: Archimandrite Jerome; Otilia Kloos*), St. Tikhon's Orthodox Theological Seminary Press, Saouth Canaan, Pennsylvania, 2003, და ა.შ.

[1301] იხ. *წმ. ნიკოდიმოს მთაწმინდელი*, დასახ. ნაშრ., 5, 13.

[1302] იხ., იქვე, 10.

[1303] „გულიდან გამოვლენ: უკეთური ზრახვანი, კაცისკვლანი, მრუშობანი, სიძვანი, პარვანი, ცილისწამებანი, გმობანი; ესენი არიან კაცის შემბილწველნი, ხოლო ხელდაუბანლად ჭამა არ ბილწავს

იმის გამო, რომ ქრისტიანული მოძღვრებით დანაშაულ(ობ)ის მიზეზი უხილავი ბოროტი არსებაა, რომელიც ადამიანში არსებული ვნებების საშუალებით ადამიანს უბიძგებს დანაშაულის ჩადენას, კვლევას დაექვემდებარება უხილავი მტრის, როგორც „დანაშაულ(ობ)ის“ მიზეზის წინააღმდეგ ბრძოლის პრევენციული ხერხები და საშუალებები.

4.1.1 უხილავ მტერთან ბრძოლის ხერხები და საშუალებები

უხილავ ბრძოლაში გასამარჯვებლად *წმ. ნიკოდიმოს მთაწმინდელი* გამოყოფს ოთხ აუცილებელ და დამცავ იარაღს, კერძოდ:

1. *არასოდეს ვენდოთ საკუთარ თავს*: ანუ, ბრძოლას ვუცხადებთ ამპარტავნების ვნებას, რომელიც ახშობს გონების უმთავრეს კარიბჭეს, საიდანაც ღვთის მადლი შედის ადამიანში;[1304]

2. *უფლისადმი რწმენა და მინდობა*: თუკი ადამიანი იმედს დაკარგავს, მტერი მას ძლევს. ამიტომ, საკუთარი ნების სრულ უარყოფასთან ერთად საჭიროა ადამიანს ჰქონდეს სასოება და უფლის ნდობა;[1305]

3. *მუდამივი ღვაწლი*: ადამიანმა სიკვდილის ბოლომდე ყველაფერზე მეტად უნდა ებრძოლოს საკუთარ ვნებებს, რაც მისი დაცემის მიზეზია;[1306]

4. *ლოცვა*: იგულისხმება უფლისადმი ლოცვა, როდესაც ადამიანს აზრები ან ვნებები შემოუტევენ.[1307]

სისხლის სამართლის მართლმსაჯულების, როგორც დანაშაულის პრევენციის მოდელშიც, დამნაშავის მიერ საკუთარი თავის შეცნობას ცენტრალური ადგილი უკავია.

კაცს“ (მათე. 15, 19-29), იხ. *ეპისკოპოსი ალექსანდრე*, მართლმადიდებლური კატეხიზმო, მეოთხე გამოცემა (მთრგმნ.: *გვ. კუპლატაძე, გ. ტონია*), საქართველოს საპატრიარქოს გამოცემლობა, თბ., 2011, 108.

[1304] „არ გვჯეროდეს ჩვენი თავის ადამიანს ღმერთისაგან ზოგჯერ შთაგონებით და განათლებით, მკაცრი მათრახით და მწუხარებით, ძალადობით, თითქმის დაუძლეველი განსაცდელებით და ზოგჯერ სხვა მეთოდებით ეძლევა, რასაც ჩვენ ვერ ვხვდებით. ამით უფალს სურს, რომ გავაკეთოთ ის, რაც შეგვიძლია“, იხ. *წმ. ნიკოდიმოს მთაწმინდელი*, დასახ. ნაშრ., 14.

[1305] „უფლის სასოება მიიღწევა თუკი ღმერთისაგან ვითხოვთ დახმარებას ცხონებისთვის და თუკი, ჩვენში იქნება ხსოვნა ჭეშმარიტი წერილისა. ჩვენს ყველა ქმედებას უნდა ახლდეს უფლის ყოვლადძლიერების შესახებ ფიქრი, რადგან მხოლოდ უფლისგან მომდინარეობს ყოველგავრი გამარჯვება და როგორც კი, გული აივსება შეწევნის მისაღები ცოცხალი იმედით, მაშინვე მივიღებთ ღმერთისაგან დახმარებას“ (ფსალმ. 27, 9), იხ. *წმ. ნიკოდიმოს მთაწმინდელი*, დასახ. ნაშრ., 17-18.

[1306] „ღვაწლია, როდესაც ადამიანი მშვიდად მოიპოვებს საკუთარი თავის უნდობლობას; მტერს განდევნის მამაცურად სიკვდილამდე; ადამიანი ცოდვების გამო ნანობს და საკუთარი ცოდვების მოსანანიებლად აღსარებას აბარებს სულიერ მოძღვარს. საბოლოო სრულყოფა კი მიიღწევა სათნოებების მიხედვით. სათნოებები კი, მიიღწევა მრავალწლიანი და მუდმივი ღვაწლით“, იხ. *წმ. ნიკოდიმოს მთაწმინდელი*, დასახ. ნაშრ., 19, 35 (სქ. 21-22), 357 (სქ. 22).

[1307] „ვნებებთან და აზრებთან საუბრის შესაწყვეტად, როცა პირისპირ ვებრძვით ვნებებს და აზრებს, ლოცვა მტკიცე იარაღია: „უფალო, იესო ქრისტე, ძეო ღმრთისაო შემიწყალე მე“. ამ ლოცვით მტერსაც ვებრძვით და ვამარცხებთ და ამავე დროს ამპარტავნება არ გვეუფლება, რადგან გამარჯვება უფალს ეკუთვნის“ (*ამბა ისააკი*), იხ., იქვე, 35-36, სქოლიო 22.

მაგალითად, პენიტენციური სისტემის საფუძველს წარმოადგენს დანაშაულზე სინანული, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის საკუთარი თავის შეცნობას. სინანული (მონანიება) კი, დამნაშავის რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციისთვის უმთავრესი ფაქტორია, რომელსაც ცალკე საკითხად განვიხილავთ.[1308] ამიტომ, კვლევა გაგრძელდება *წმ. ნ. მთაწმინდელის* იმ სწავლებით, რომელსაც, გარკვეულწილად, იყენებს თანამედროვე დანაშაულის პრევენციის კონცეფცია.

ტექსტიდან ირკვევა, რომ ვნებების წინააღმდეგ ბრძოლა მიმდინარეობს, დროის სამ მონაკვეთში:

1. *ბრძოლა განსაცდელის წინ*: იგი წარიმართება მისი გამომწვევი მიზეზების წინააღმდეგ, რა დროსაც ადამიანი წინ უნდა აღუდგეს არა თვით ვნებას, არამედ განეშოროს მთელი ძალით ყველაფერს, რაც ხოციელ ვნებას აღძრავს.[1309]

2. *ბრძოლა განსაცდელის დროს*: უნდა გამოვიკვლიოთ, უხილავი ბრძოლის მიზეზი გარეგანია თუ შინაგანი. *გარეგანია* თვალის ცნობისმოყვარეობა, ტკბილად მოსასმენი სიტყვები და სიმღერები, ფაფუკი და მორთული სასიამოვნო, სურნელი, საუბარი და ხელების მოძრაობა, რომელსაც ცოდვისკენ მივყავართ. *შინაგანი მიზეზი* მომდინარეობს სხეულებრივი სიამოვნებებისაგან და აზრებისაგან, რომლებიც ჩნდებიან ჩვენი ავი ჩვეულებებისაგან, ვნებებისაგან და ეშმაკის ცდუნებებისაგან;[1310]

3. *ბრძოლა განსაცდელის შემდეგ*: ადამიანმა ისე უნდა იმოქმედოს, რომ არ ეჩვენებოდეს ხორციელი ბრძოლისაგან გათავისუფლება.[1311]

წმ. ნ. მთაწმინდელი თითოეულ ამ სამი ეტაპისთვის ასევე გვთავაზობს თუ რა პრევენციული ზომები უნდა იქნას გატარებული:

1. *განსაცდელის წინ ბრძოლისთვის* ხორციელი ვნების დაუფლებამდე, აუცილებელია, რომ: არასდროს ვენდოთ საკუთარ მტრებსა და საკუთარ თავს; გავექცეთ შფოთის და ინტრიგების აღმძვრელ ადამიანებს; ვიყოთ ფხიზლად და მღვიძარე აზრებში და საქმეებში, და გენვერიდოთ სიზარმაცესა და უსაქმურობას; დავემორჩილოთ სულიერ მამებს და გავაკეთოთ ის, რაც დაგვამდაბლებს: არ განვსაჯოთ მოყვასი ამპარტავნებით და ფხიზლად ვიყოთ, თუკი მივიღებთ ღვთიურ მადლს.[1312]

2. *განსაცდელის დროს ბრძოლისას, გარეგანი მიზეზის* წინააღმდეგ, გამოყენებული უნდა იქნას მოკრძალებული და უბრალო სამოსელი, არსურვილი ძვირფასის ყურებისა, სასიამოვნო სურნელის ყნოსვისა, საუბარის მოსმენისა და შეხება მასთან, რაც ცოდვისკენ გვიბიძგებს. *შინაგანი მიზეზისას* უნდა ვიცოდეთ, რომ სხეულებრივი სიამოვნება იწვრთება მარხვით, მღვიძარებით, მუხლდრეკით და სხვა

[1308] იხილეთ წინამდებარე დისერტაციის ქვე-თავი: 4.3 მონანიება, როგორც დამნაშავის გამოსწორების უმთავრესი ფაქტორი.

[1309] იხ. *წმ. ნიკოდიმოს მთაწმინდელი*, დასახ. ნაშრ., 50.

[1310] იხ., იქვე, 53-55.

[1311] იხ., იქვე, 55.

[1312] იხ., იქვე, 52-53.

მსგავსი ღვაწლით, ხოლო აზრთაგან მომდინარე ცოდვის მიზეზების კურნება კი, ხდება ყოველი ადამიანისთვის მისი მდგომარეობის შესაბამისად და ეს არის წმინდა წერილისა და წმინდა მამათა „სათნოებათმოყვარეობის“ და სხვათა ნააზრევის კითხვა და ლოცვა. და რაც მთავარია, მტერთან ბრძოლაში გასამარჯვებლად აუცილებლად გვჭირდება თავმდაბლობის ძალა.[1313]

3. *განსაცდელის გავლის შემდეგ* ადამიანმა ისე უნდა იმოქმედოს, რომ არ ეჩვენებოდეს ხორციელი ბრძოლისაგან გათავისუფლება. ადამიანი კვლავაც შორს უნდა იდგეს განსაცდელის გამომწვევი მიზეზებისაგან და პირობებისაგან, ან ადამიანებისაგან. მნიშვნელოვანია, ადამიანმა არ იფიქროს, რომ ასეთი განსაცდელის გამომწვევ ადამიანებთან უნდა ჰქონდეს ურთიერთობა, რადგან ნათესავები, ახლობლები და კეთილი ადამიანები არიან. ეს აზრიც დაცემული ბუნების ცდუნებაა და ჩვენი მარადიული მტრის, ეშმაკის ხაფანგია. ის ხომ ნათელ ანგელოზად გადაიქცევა ხოლმე, რომ სიბნელეში მოგვაქციოს, როგორც პავლე მოციქული ამბობს: „რამეთუ თვით იგიცა ეშმაკი იცვალვისვე ანგელოზად ნათლისა“ (2 კორ. 11, 14).[1314]

უხილავ მტერთან ბრძოლის პრევენციულ ხერხებსა და საშუალებებზე ძალზე საინტერესოა ასევე, *მამათა* და ქრისტიან თეოლოგთა შემდეგი სწავლებები:

კითხვაზე, თუ როგორ ვებრძოლოთ ბილწ აზრებს *არქ. გ. ბასილაძე* პასუხობს: „ევას დაცემის შემდეგ, ადამიანის ცოდვის თესლი გენეტიკურად მოჰყვება თან. წმ. მამები წერენ, რომ „ყველა ცოდვის თესლი დევს ადამიანში, მხოლოდ გააჩნია, რომელი თესლის გაღვივებას მიეცემა ხელსაყრელი ნიადაგი. ამიტომ ადამიანის დანიშნულებაა არ მივცეთ ცოდვას ჩვენი დაპყრობის საშუალება“.[1315] *არქ. გ. ბასილაძე* ყურადღებას ამახვილებს, ლოცვასა და მარხვაზე, როგორც ბოროტისაგან თავდაცვის საშუალებებზე[1316] და განმარტავს, თუ რამდენად აუცილებელია ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლაში გულწრფელობა, ცოდვის დროულად და თავმდაბლად აღიარება წმიდა მოძღვრის წინაშე, ვიდრე ცოდვის აზრები და გულისთქმები დაიპყრობს ადამიანს, და ა.შ.[1317]

წმ. ბერი პაისის სწავლებით, ბოროტი აზრებისაგან გასათავისუფლებლად, ადამიანმა უნდა გაიწმინდოს სული.[1318] ბოროტ ზრახვებს აუცილებელია ვებრძოლოთ ღვთისმოსავი, კეთილი აზრებით.[1319] *წმიდა მამა* ამ ბრძოლაში გადამწყვეტ როლს ანიჭებს წმინდა მოძღვარს, რომელიც სულიერი ხედვის უნარით ადგენს ადამიანში

[1313] იხ. *წმ. ნიკოდიმოს მთაწმინდელი*, დასახ. ნაშრ., 53-55.
[1314] იხ., იქვე, 55.
[1315] *ჩაგუნავა ა., ვეკუა ი.*, დასახ. ნაშრ., 266.
[1316] იხ., იქვე, 246-247.
[1317] იხ., იქვე, 264, 273-275.
[1318] იხ. *მამა პაისი მთაწმინდელი*, სულიერი ბრძოლა, წიგნი III, გამომც. „ალილო“, თბ., 2009, 20.
[1319] იხ., იქვე, 9.

აღძრული ბოროტი აზრი მაცდურისგან მოდის თუ არა,[1320] ასევე სუფთა სინდისს, საკუთარი თავის შეცნობასა და სინანულს.[1321]

ქრისტიანი თეოლოგი *ს. ჩანის* აზრით, ეშმაკისა და ხორცის ცდუნებების მექანიზმის ცოდნა,[1322] ქრისტიანებს ორი საშიში უკიდურესობის თავიდან აცილებაში ეხმარება: 1. არ დაიდანაშაულონ თავი ბოროტი ფიქრების ცოდვად მიჩნევით (რადგან ისინი ჯერ კიდევ ცდუნებებია), და 2. თავი არ გაიმართლონ იმით, რომ ყველაფერში ეშმაკია დამნაშავე, რადგან ადამიანს პასუხისმგებლობა აკისრია არ დაემორჩილოს ცდუნებას. ამ კუთხით *ჩანი* დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ნებას და ლოცვას.[1323]

როგორც ვხედავთ, სახეზე გვაქვს დანაშაულ(ობ)ის პრევენციის სტადიების შესახებ მართლმადიდებლური კონცეფცია, რომლის განსაკუთრებული ღირებულება იმაში მდგომარეობს, რომ იგი დეტალურად აღწერს დანაშაულ(ობ)ის თავიდან აცილების კონკრეტულ ღონისძიებებს თითოეული ეტაპისთვის. პრევენციულ ზომებს რაც შეეხება, მასში იგულისხმება ბოროტი აზრებისა და სურვილების წინააღმდეგ მიმართული სათნოებების აღსრულება: საკუთარი თავის უარყოფა, ღმერთს მინდობა, ლოცვა, მარხვა, ზიარება, აღსარება, სინანული, აღსარება მოძღვრის წინაშე და სხვა.

4.1.2 სათნოება, დანაშაულ(ობას)თან ბრძოლის პრევენციული საშუალება

ამბროსი ნეკრესელი განმარტავს, რომ „ყოვლის კარგის საქმის ქმნა სათნოებად სახელდების და ყოველი სათნოება ღმერთის ნებად ითქმის.“[1324]

ქრისტიანობის ლექსიკონში ვკითხულობთ, რომ „სათნოება“ სიკეთის კეთების ჩვეული და მტკიცე მზადყოფნაა. ის ადამიანს საშუალებას აძლევს, არა მხოლოდ კეთილი საქმეები ჩაიდინოს, არამედ თავისი საუკეთესო თვისებები გამოავლინოს. სათნოება გონებისა და ნების მყარი მზადყოფნაა, რომელიც განაგებს ადამიანის ქმედებებს, აწესრიგებს მის ვნებებს და წარმართავს მის საქციელს რწმენისა და გონების შესატყვისად.[1325]

[1320] იხ., იქვე, 19.

[1321] იხ., იქვე, 117-126; 128-134; 152-159.

[1322] *ჩანი* ეშმაკისა და ხორცის ცდუნების მექანიზმს ყოფს სამ ეტაპად: 1. გარეგანი ცდუნება: ეშმაკისგან მოდის ბოროტი აზრი; 2. შინაგანი ცდუნება: ხორცი სიამოვნებით ღებულობს ბოროტ აზრს; ცოდვა: ნება ეთანხმება ანუ ემორჩილება ბოროტ აზრს, იხ. *ჩანი ს.*, დასახ. ნაშრ., 201.

[1323] იხ. *ჩანი. ს.*, დასახ. ნაშრ., 201.

[1324] „და კეთილობისათვის დაბადებულთა კეთილობის ქმნაცა ბუნებითვე დაგვითესა. და მერმე გვიბრძანა და გვასწავლა ყოფნა კეთილშობაშიგა წვრთნა და ქცევა ნიადაგ დაუღალაველათა და დაუშრომელათა. და რომ თვით თავადი ღმერთი ყოვლის კეთილობის დასაბამი არის წყარო. ამისთვის, რაკი დაბადნა და ვინც სიტყვიერნი და გონიერნი დაგვბადნა, კეთილობისათვის დაგვბადნა“, იხ. საქართველოს დიდება, ღვთიური სიბრძნის მართლმადიდებლური ენციკლოპედია, ეკლესიის ქართველ მამათა გამონათქვამები (შემდგ. *გ. კალადაძე*), მესამე გამოცემა, გამომც. „დიადემა“, თბ., 2019, 200.

[1325] იხ. *პეტროზილო პ.*, დასახ. ნაშრ., 283.

წმ. ნ. მთაწმინდელის სწავლებით, არსებობს სათნოებები, რომელიც ღმერთმა დაბადა ადამიანში და არის სათნოებები, რომელიც ბუნებრივად არ გვახასიათებს. ბუნებრივი სათნოებებია: მოწყალება, სიყვარული, რწმენა, იმედი. ხოლო ის რაც ბუნებრივად არ გვახასიათებს არის: სრულყოფილი უმანკოება, ურისხველობა, თავმდაბლობა, ლოცვა, მღვიძარება, მარხვა და მუდმივი გლოვა-ტირილი. ზოგიერთ მათგანს იძლევიან და გვასწავლიან ან ადამიანები, ან ანგელოზები, ან თავად სიტყვა ღვთისა.[1326]

ირკვევა ისიც, რომ „შესაძლებელია სათნოებათა დაჯგუფება ოთხი ძირითადი სათნოების გარშემო: *კეთილგონიერება*, *სამართლიანობა*, *სიმტკიცე*, *თავშეკავება*. ეს ადამიანის მიერ შეძენილი სათნოებანია, ზნეობრივად კეთილ ქმედებათა ნაყოფია და ადამიანის მთელ შესაძლებლობას განაწყობს ღმრთაებრივ სიყვარულთან თანაზიარებისაკენ. ადამიანური სათნოებანი ფესვგადგმულია საღმრთისმეტყველო სათნოებებში, რომლებიც ადამიანურ უნარებს ღმრთაებრივ სიყვარულთან ზიარებაში შესვლისაკენ განაწყობს. საღმრთისმეტყველო სათნოებანი ღმერთს მიემართება და ქრისტიანებს უწმიდეს სამებასთან კავშირში ცხოვრებისათვის განამზადებს. ასეთი სათნოება სამია: *სარწმუნოება*, *იმედი* და *სიყვარული*, ხოლო მათი დასაბამი, მიზეზი და საგანია ღმერთი; ისინი აფუძნებს, აცოცხლებს და განაპირობებს ქრისტიანის მთელ ზნეობრივ ქმედებას.“[1327]

დანაშაულის პრევენციის კუთხით, მართლმადიდებლური სწავლების საინტერესო ასპექტს წარმოადგენს ის, რომ ყოველი ვნების, ანუ დანაშაულ(ობ)ის მიზეზის აღმოსაფხვრელად გამოიყენება საპირისპირო სათნოება.

მაგალითად, *ი. სინელის* სწავლების მიხედვით, „ყოველ უკეთურებას საპირისპირო სათნოება აღმოფხვრის“.[1328]

ამირან-ლაზარე სინაურიძე კი, გვთავაზობს სათნოებების ჩამონათვალს შემდეგ ვნებებთან მიმართებაში: სიმდაბლეს - ამპარტავნების, მოწყალებას - ანგარების, უმანკოებას - სიძვის, სიმშვიდეს - მრისხანების, მარხვას - ნაყროვანების, სიყვარულს - შურის, სასოებას - მიმოწვლილველობის წინააღმდეგ.[1329]

წმ. ამბა ისააკი განმარტავს, რომ უმჯობესია ვნებები მათი საპირისპირო სათნოებებით დავამარცხოთ, ვიდრე წინააღმდეგობა გავუწიოთ მათ და განმარტავს, რომ სულს სამი ნაწილი აქვს, მოაზროვნე, სურვილიანი და მრისხანე, რომელთაგან იბადება სამი სახის აზრები. *მოაზროვნეთაგან* - ურწმუნოების, უფლის მიმართ უმადურობის, უგუნურების და ზოგადად ცილისმწამებლური აზრები. *სურვილიანი* ნაწილიდან -

---

[1326] იხ. *წმ. ნიკოდიმოს მთაწმინდელი*, დასახ. ნაშრ., 37, სქოლიო 240-241, პუნქტები 66-67.

[1327] *პეტროზილო პ.*, დასახ. ნაშრ., 283-284.

[1328] *წმ. იოანე სინელი*, კლემაქსი, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1986, 11, პუნქტი 3, იხ.: *დეკ. მიქაელ გალდავა*, დასახ. ნაშრ., 64.

[1329] იხ. *სინაურიძე ა.-ლ.*, საკმარისი არ არის, ქრისტიანი ცოდვებს იქმოდეს, ამავე დროს, სათნოებაც უნდა ჰქონდეს, იხ.: მართლმადიდებლური ჟურნალი „კარიბჭე“, №20, 5-18 ოქტომბერი 2017, 13.

სიამოვნების, დიდების მოყვარეობა, ვერცხლისმოყვარეობა და სხვა ე.წ. სამარცხვინო აზრები. *მრისხანე* ნაწილი კი, წარმოშობს სურვილს, შფოთს, სამაგიეროს გადახდის ვნებებს, ე.წ. ცბიერ აზრებს.[1330] *წმ. მამა* იქვე გვთავაზობს ამ უარყოფითი აზრების თავიდან აცილების რეცეპტსაც: „ეს ყველაფერი უნდა დაამარცხო საპირისპირო სათნოებებით. ურწმუნოება - ღვთისადმი მხურვალე რწმენით, უმადურობა - უფლისადმი მადლიერებით, განურჩევლობა - კარგისა და ცუდის გარჩევით, უგუნურება - ჭეშმარიტი ცოდნით. სიამოვნებისმოყვარეობა - მარხვით და თავშეკავებით, დიდების მოყვარეობა - თავმდაბლობით, ვერცხლისმოყვარეობა - უპოვარებით. სიძულვილი - სიყვარულით, შურისძიება - მოთმინებით, შფოთი - გულის სიმშვიდით.“[1331]

მართალია, ყოველი ვნების წინააღმდეგ გამოიყენება მისი საპირისპირო სათნოება, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მხოლოდ ერთი სათნოება უნდა იქნას გამოყენებული ყოველთვის. წმიდა მამათა სწავლებებიდან ვგებულობთ იმასაც, რომ კონკრეტული სათნოება გამოიყენება, როგორც რამდენიმე ვნების წინააღმდეგ, ასევე რამდენიმე სათნოება შეიძლება გამოყენებული იქნას ერთი კონკრეტული და მრავალი ვნების წინააღმდეგაც, კერძოდ:

მრწამსის პირველი მუხლის განმარტებაში ვკითხულობთ, რომ ეშმაკისაგან და ყოველივე ბოროტებისაგან თავი უნდა დავიცვათ ქრისტე ღმერთის სახელის ხსენებით, ლოცვითა და მარხვით.[1332] წმინდა მამათა სწავლებაში ვკითხულობთ, რომ ყველა ვნებას სიმდაბლე ამარცხებს,[1333] რადგან „თუ ეშამკი ამპარტავნებით გადმოვარდა, მაშინ თავმდაბლობით ყოფილა შესაძლებელი ისევ ზეცაში ასვლა.“[1334]

წმინდა მამათა სწავლებებში ასევე ვხვდებით სხვა სახის განმარტებებსაც, მაგალითად: *წმ. ბასილი დიდი*, ქედმაღალ და დიდების მოყვარე ადამიანებს ურჩევს, რომ პატივმოყვარეობა შეცვალონ სათნოებათა მიმართ სწრაფვით“.[1335] *წმ. მამა გაბრიელი*, რომელიც ამქვეყნიური სიბრძნის სახელით დამკვიდრებულ ბოროტებას სალოსური უბიწოებით უპირისპირდებოდა,[1336] ამბობს: „მარიამ მეგვიპტელმა მარხვითა და ლოცვით სძლია ვნებებს“.[1337] *წმიდა მამა*, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, შეგვაგონებს, რომ „ისეთი სათნოებებით, როგორიც არის მარხვა, ლოცვა, სინანული და ზიარება, დიდი ცოდვილი, შეიძლება განიწმინდოს და დიდი წმინდანი გახდეს.“[1338] *წმ. იოანე*

[1330] იხ. *წმ. ნიკოდიმოს მთაწმინდელი*, დასახ. ნაშრ., 37-38, სქოლიო 23.

[1331] იხ., იქვე.

[1332] იხ. საქართველოს იმედი, ღირსი ეფრემ ასური, წიგნი II (შემდგ. *ს. თავაძე*), გამომც. „პალიტრა L“, თბ., 2015, 15.

[1333] იხ. მამათა სწავლანი, სულიერი ცხოვრების შესახებ (შემდგ. *ვლ. წამალაშვილი*; რედ. *ნ. კვანტალიანი*), გამომც. „ბეთანია“, თბ., 2015, 147.

[1334] *მღვდელი ლევან ნავროზაშვილი*, დასახ. ნაშრ., 107.

[1335] იხ. *დეკ. მიქაელ გალდავა*, დასახ. ნაშრ., 87.

[1336] იხ. *ჯინორია მ*, (2013), დასახ. ნაშრ., 87.

[1337] იხ., იქვე, 91.

[1338] *ჯინორია მ.*, (2019), დასახ. ნაშრ., 133-134, 156.

სინელი წიგნში „კლემაქსი“, ამაომეტყველების საპირისპირო სათნოებად ასახელებს თვითშეზღუდვას, მარხვას და დუმილს.[1339] სხვა ადგილას *წმ. მამა*, მორჩილებას უწოდებს სათნოებათა დედას[1340] და აღნიშნავს, რომ: „ბევრი ერთი სათნოებით განრიდებია შემდეგ ვნებებს: სიძულვილი, ქურდობა, კაცისკვლა, შფოთი, მტრობა, ღვარძლი, შეუბრალებლობა და შური. ამ სათნოებას ქონების სიძულვილი ეწოდება. ის იშვება ღვთიური გონების განცდითა და იმ პასუხისგებაზე ფიქრით, რომელიც სიკვდილის ჟამს მოგველის“.[1341] *წმ. გერი პაისის* მიხედვით, მოძღვრისადმი მორჩილებით ყველაფრის დაძლევა შეიძლება: „თუკი ადამიანი ზრახვებისაგან გატანჯული მორჩილებას გამოავლენს, იგი გათავისუფლდება ამ მტანჯველი ზრახვებისაგან“.[1342] *წმ. ანტონ ჭყონდიდელი* გვთავაზობს წმიდა წერილისა და წმ. მამათა სულიერი გამოცდილებით ნასაზრდოებ თავისუფალ ხედვას, სიმშვიდეს, დუმილს,[1343] ღმერთზე მინდობას და სინანულს.[1344] *წმ. მამას* იქვე მოჰყავს მაგალითი, როდესაც *წმ. პეტრე* მოციქული სიტყვით შეცდება, მაგრამ სინანულით აღსავსე, სრულიად ემორჩილება უფალს, რისთვისაც განწმენდილ იქნა.[1345] *არქ. გიორგი ბასილაძის* სწავლებიდან ვგებულობთ, რომ „ლოცვა და მარხვა - ეს ორი იარაღი დაგვიტოვა ჩვენ ქრისტე ღმერთმა“.[1346] გარდა ამისა, *არქ. გ. ბასილაძე* დეტაურად განმარტავს თუ რა მისია აკისრია მოძღვარს ამ უხილავ ბრძოლაში, რაც ოდნავ ქვემოთ იქნება გაანალიზებული.[1347]

დაბოლოს, *წმ. ალექსი გერის* სწავლებით ირკვევა, რომ „არა არს არც ერთი სათნოება ისე მაღალი და კაცის დამაგვირგვინებელი და გამწმენდელი, როგორიც არის შეურაცხმყოფელის და მტრის სიყვარული“.[1348]

აქვე აუცილებელია აღინიშნოს, რომ სათნოებები მიიღწევა მრავალწლიანი და მუდმივი ღვაწლით, ქმედებით და ამიტომაც ჩვეულებად იქცევა (*წმ. ნ. მთაწმინდელი*).[1349] ღვთივსათნო ცხოვრების დაწყების პირველი საფეხური კი, არის

[1339] იხ. *წმ. იოანე სინელი*, კლემაქსი, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1986, 11, პ. 3, ციტირებულია წიგნიდან: *დეკ. მიქაელ გალდავა*, დასახ. ნაშრ., 64-65.

[1340] „მაგრამ ვიტყვი, ყოველგვარ სათნოებათა დედის - მორჩილების - უღელზე უარის თქმის რომ არ მეშინოდეს, ჩემს ძალას აღმატებულ საქმეს ვერ შევეჭიდებოდი“, იხ. *წმ. ნიკოდიმოს მთაწმინდელი*, დასახ. ნაშრ., 14.

[1341] *წმ. ნიკოდიმოს მთაწმინდელი*, დასახ. ნაშრ., 176. პუნქტი 16-17.

[1342] *მამა პაისი მთაწმინდელი*, სულიერი ბრძოლა, წიგნი III, გამომც. „ალილო“, თბ., 2009, 44.

[1343] იხ. *დეკ. მიქაელ გალდავა*, დასახ. ნაშრ., 76.

[1344] იხ., იქვე, 78.

[1345] იხ., იქვე.

[1346] *ჩაგუნავა ა., ვეკუა ი.*, დასახ. ნაშრ., 246.

[1347] იხ., იქვე 50-61.

[1348] საქართველოს დიდება, ღვთიური სიბრძნის მართლმადიდებლური ენციკლოპედია, ეკლესიის ქართველ მამათა გამონათქვამები (შემდგ. *გ. კალადაძე*), მესამე გამოცემა, გამომც. „დიადემა“, თბ., 2019, 200.

[1349] იხ. *წმ. ნიკოდიმოს მთაწმინდელი*, დასახ. ნაშრ., 37, სქოლიო 22.

ბოროტების არქმნა.[1350] თუმცა, საკუთარი სულის ცხონებითვის, მხოლოდ ბოროტებისაგან განშორება არაა საკმარისი. საჭიროა აგრეთვე სიკეთის ქმნაც. *დავით მეფსალმუნე* ბრძანებს, რომ ბოროტების განშორების შემდეგ „ქმენი სიკეთე“ (ფსალმ. 33.15).[1351]

ბასილი კესარიელის სწავლებით, „მართალია, სიმდაბლის სათნოება ის ნიჭია, რომელიც კურნავს ღვთის მცნების დამრღვევ ამპარტავნებას და უბრუნებს ადამიანს პირვანდელ სახეს, მაგრამ სიმდაბლის მოპოვება რთულია, რადგანაც ამ გზაზე ადამიანს ეშმაკი ეღობება და მის მიერ აღძრული საცთური მრავალგვარია.“[1352] *აბბა ამბროსი* კი, საერთოდ მიიჩნევს, რომ მარტო სიმდაბლეს შეუძლია ადამიანის გადარჩენა.[1353]

ამდენად, სიმდაბლის მოპოვებამდე რთული გზაა გასავლელი, რაც ადამიანისგან ღვაწლს მოითხოვს, რაც თავისთავად სათნოებაა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სათნოებათაგან ადამიანები იღებენ სულიერ შემწეობას. ეს დახმარება სჭირდება ღვთის ყველა მონას და განსაკუთრებით დამწყებთ, სულიწმიდის ღირსნი რომ გახდნენ (*წმ. ნ. მთაწმინდელი*).[1354]

ხაზგასმით უნდა ითქვას ისიც, რომ ყველა ვნებისა და ეშმაკის ყოველგვარი მზაკვრული ძალისხმევის თავიდან აცილება ხდება ღვთის ნებითა და ძალით.[1355] თუ როგორ და რა ჩვეული თანმიმდევრობით ხდება საღვთო მადლის მოქმედებით ადამიანის სულიერი აღორძინება და ზრდა, ამას გვამცნობს საღვთისმეტყველო და სასულიერო მეცნიერებათა განსაკუთრებული დარგები, რომელთაც **ზნეობრივი** ღვთისმეტყველება და **ასკეტიკა** ეწოდება,[1356] რომლის (ქრისტიანული ცხოვრების, ასკეზის) მიზანი, ვნებების წინააღმდეგ ბრძოლა, მათი დაძლევა, შესუსტება და აღმოფხვრაა.[1357]

[1350] იხ. საქართველოს დიდება, ღვთიური სიბრძნის მართლმადიდებლური ენციკლოპედია, ეკლესიის ქართველ მამათა გამონათქვამები (შემდგ. *გ. კალადაძე*), მესამე გამოცემა, გამომც. „დიადემა“, თბ., 2019, 200.

[1351] იხ., იქვე, 200.

[1352] ბასილი კესარიელის „სწავლათა“ ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი (გამოსაცემად მოამზადა გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო *ც. ქურციკიძემ*), თბ., 1983, 198, იხ.: *დეკ. მ. გალდავა*, დასახ. ნაშრ., 106.

[1353] იხ. *სქემარქტიმანდრიტი იოანე (მასლოვი)*, დასახ. ნაშრ., 477.

[1354] „და განისვენოს მის ზედა სულმან ღმრთისამან, სულმან სიბრძნისა და გულისხმის-ყოფისა, სულმან განზრახვისა ძლიერებისა, სულმან მეცნიერებისა და ღმრთისმსახურებისა“ (ესაია 11, 2), იხ.: *წმ. ნიკოდიმოს მთაწმინდელი*, დასახ. ნაშრ., 10.

[1355] იხ. *მღვდელი ლევან ნავროზაშვილი*, დასახ. ნაშრ., 80.

[1356] იხ. *პროტოპრისვეტერი მიხეილ პომაზანსკი*, (2012), დასახ. ნაშრ., 152.

[1357] იხ. *ბუაძე თ.*, ადამიანის ადგილი სამყაროში, *რელიგიურ-საგანმანათლებლო ჟურნალი*, „გული გონიერი“, №12, თბ., 2015, 14-15.

4.1.3 დანაშაულ(ობ)ის წინააღმდეგ ბრძოლის დონეები

როგორც აღინიშნა, *წმ. ნ. მთაწმინდელი* გამოყოფს სამი სახის მტერს, - ხორცს, სოფელსა და ეშმაკს.[1358] აღნიშნულ დონეებზე საუბრობს ასევე *რამიც*, - „ცნობილია ცდუნების სამეული - ქვეყნიერება, ხორცი და ეშმაკი".[1359] უხილავი მტრის ასეთი დიფერენცირება დანაშაულის პრევენციის დონეების ჭრილში, პირობითად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგნაირად:

1. ეშმაკი, იგივე ტრანსცენდენტული სამყარო, ანუ *ზე-მაკრო დონე*;
2. წუთისოფელი, იგივე ჩვენი დროებითი ხილული ცხოვრება, ანუ *მაკრო დონე*;
3. ხორცი, იგივე ადამიანი, ანუ *ინდივიდუალური დონე*.

ზე-მაკრო დონეში მოიაზრება ტრანსცენდენტული უხილავი სამყარო, რომელშიც მოქმედებენ დაცემული ანგელოზები. *პავლე მოციქული* დაცემული ანგელოზების წინამძღვარს უწოდებს ჰაერის მთავარს (მთ. 9, 34; 12, 24; ლუკ. 11, 15; ეფ. 2, 2), ხოლო დაცემულ ანგელოზებს ცაში გაბატონებულ უკეთურ სულებს (ეფ. 6, 12). აღნიშნული დონე ცოდვილი ადამიანის თვალისთვის შეუმჩნეველია.

როგორც ცნობილია, პირველმა დაცემულმა ანგელოზმა შეაცდინა პირველქმნილი ადამიანები და დააზიანა არა მხოლოდ ადამიანი, არამედ გარემო ბუნება და მასში მცხოვრები სულიერი არსებებიც. ამდენად, დაცემული ბოროტი არსებები ითვლებიან კაცობრიობის მტრებად და ყოველგვარი ბოროტების წყაროდ. ისინი მოქმედებენ ყველგან და ცდილობენ ადამიანების შეცდენას, როგორც გარედან, უარყოფითი აზრების შთაგონებით, ასევე შიგნიდან, ადამიანური ვნებების საშუალებით, - ამპარტავნების, შურისა და სხვადასხვა გძნობებისა და ემოციების აღძვრით.

დისერტაციაში აღინიშნა, რომ ბოროტ არსებათა (ეშამკი, დაცემული ანგელოზები) მუდმივი ადგილსამყოფელი, ჰაეროვანი სივრცეა, და რომ, დედამიწაზე ადამიანებს შორის მოქმედებენ. *წმ. ე. ბრიანჩანინოვი* ამბობს არ არსებობს ბოროტმოქმედება, არ არსებობს დანაშაული მათი მოთავისა და მონაწილეობის გარეშე. ისინი განუწყვეტლივ აშფოთებენ მთელ საზოგადოებებს ერთობლიობაში და ცალ-ცალკე, მიდრეკენ და ასწავლიან ადამიანს ცოდვას ყველა შესაძლო საშუალებით. „*თქვენი მტერი ეშმაკი დაძრწის, ვითარცა ლომი მყვირალი და ეძებს, ვინ შთანთქას*" (1 პეტ. 5, 8).[1360]

ტრანსცენდენტული სამყაროს შესახებ საყურადღებოა *სერაფიმე როუზის* სწავლება ჰაერის საზვერეების შესახებ, რომელიც გადმოცემულია წიგნში „ეს გზა მოელის ყოველი ქრისტიანის სულს". *წმ. მამის* სწავლებაში ხაზგასმულია თუ რამდენად

[1358] იხ. *წმ. ნიკოდიმოს მთაწმინდელი*, დასახ. ნაშრ., 10.

[1359] *ჩანი ს.*, დასახ. ნაშრ., 200.

[1360] იხილეთ წინამდებარე დისერტაციის პარაგრაფი: 3.1.1 პირველი ცოდვის მიზეზი ტრანსცენდენტულ სამყაროში.

მნიშვნელოვანია ცოდვების არსის, მათი გამომწვევი მიზეზებისა და მათთან ბრძოლის მეთოდების შესწავლა.[1361]

მაკრო დონეში იგულისხმება წუთისოფელი, ის ხილული ქვეყანა, რომელშიც ადამიანი უწევს დროებით ცხოვრობა, ცოდვილი ადამიანის მიერ მოწონებული ცხოვრების წესებით, მიზნებითა და მატერიალური „კეთილდღეობით“.

ბიბლიაში, ვკითხულობთ, რომ სატანა არის ამ ქვეყნის მთავარი (იოან. 12, 31; 14, 30), იგი აცდუნებს ქვეყანას (გამოცხ. 12, 9; 20, 3) და ხელმწიფებს სოფლის შვილებზე (ეფ. 2,2; 6, 12). ბოროტნი ამ ქვეყნის წეს-ჩვეულებებით ცხოვრობენ (ეფ. 2, 1-3), გულისთქმებს ეძლევიან (ეფ. 2, 3; 4, 17; ტიტე. 3,3. 1 პეტრ. 4,3; 2. პეტრ. 2, 12-14), ამქვეყნიურ სიამოვნებებს ეძლევიან (იობ. 21, 13; ეკლ. 7, 4; ეს. 5,12; 2 ტიმ, 3,4; იაკ. 5,5), მხოლოდ ამ ქვეყნის საქმენი უყვართ (რომ. 8, 5; ფილ. 3,19; 2 ტიმ. 4,10), უღვთოთ და უსასოდ არიან ქვეყნად (ეფ. 2,12).[1362]

კათოლიკე ეპისტოლეში ვკითხულობთ: „ნუ შეიყვარებთ ამ ქვეყანას, ნურც ამქვეყნიურს რასმე; ვისაც ეს ქვეყანა უყვარს, მამის სიყვარული არ არის მასში; გულისთქმა ხორცის, გულისთქმა თვალის და სიამაყე არსებობისა, მამისგან კი არა, ამ ქვეყნისაგან არის“ (1 იოანე 2, 15).

ქვეყანაში სადაც უგულებელყოფილია ტრანსცენდენტალური ცოდნა და გაკერპებულია ცოდვილი ადამიანის გონი და მატერიალისტური კეთილდღეობა, არ უნდა იყოს გასაკვირი თუ ცოდვისკენ მიდრეკილი არსება, ორმაგად თუ მიიდრიკება დანაშაულისკენ.

არქ. გ. ბასილაძის თქმით, „როდესაც არ ებრძვი წუთისოფლის სულს, ეს სული შემოდის ადამიანში და ასეთ ადამიანს აწყობს ისეთი „ჭეშმარიტება“, რომელიც მის სინამდვილედ იქცევა და რომელიც არანარიად არ ამხელს მას!.. ის მარხულობს, ლოცულობს, სწამს „ღმერთი“, მაგრამ ისეთი, როგორიც მას სურს და აწყობს. ღმერთი კი ასეთი არ არის!“.[1363]

აღნიშნულ საკითხზე მართლმადიდებლურ სწავლებაში მთავარია იმის ხელმეორედ დაფიქსირება, რომ წუთისოფლის ყველაზე დიდი ბოროტება მდგომარეობს იმაში, რომ იგი ადამიანს უკლავს ყველაზე მთავარს, სულს, რომელსაც გააჩნია უკვდავი თვისება.[1364]

ბიბლიაში, ვკითხულობთ: „რას გამორჩება კაცი, თუ მოიგებს მთელს ქვეყანას და სულს კი წააგებს?“ (მთ. 16, 26). „ეს ქვეყანაც გარდავა და მისი გულისთქმაც, ღვთის ნებისმყოფელი კი წარუვალია უკუნისამდე“ (1 იოანესი 2, 17).

[1361] იხ. *როუზი ს.*, ეს გზა მოელის ყოველი ქრისტიანის სულს, *სერია: ქრისტიანული აზროვნება* (შეკრიბა და თარგმნა *ვლ. ჩხიკვაძემ*), გამომც. „ალილო“, თბ., 2008.

[1362] იხ. ბიბლიის ლექსიკონი (შემდგ. *ბ. გოეცე*), თბ., 2006, 581.

[1363] *ჩაგუნავა ა., ვეკუა ი.*, დასახ. ნაშრ., 120-121.

[1364] დაწვრილებითი ინფორმაციისთვის იხილეთ წინამდებარე დისერტაციის ქვე-პარაგრაფი: 3.3.4.1 ვნება (ცოდვა) როგორც დადებითი მოვლენა.

წმ. ნ. მთაწმინდელი ამასთან დაკავშირებით განმარტავს, რომ „ამქვეყნიური პატივი, სიამოვნება და სიმდიდრე, სხვა არაფერია, თუ არა ამაოება და სულის სიკვდილი“.[1365]

ინდივიდუალურ დონეში მოიაზრება თითოეული ადამიანი, რადგან პირველი ცოდვიდან მოყოლებული ცოდვა და ვნება მკვიდრობს ყველაში, რომელიც გადაეცემა თაობებს მემკვიდრეობით. პავლე მოციქულის ეპისტოლიდან ირკვევა, რომ ადამიანი ცოდვაშია ჩაფლული ხორცით: „ხორცის საქმენი აშკარაა: სიძვა, უწმინდურება, აღვირახსნილობა, კერპთმსახურება, ჯადოქრობა, მტრობა, შუღლი, შური, რისხვა, აშლილობა, მწვალებლობა, სიძულვილი, მკვლელობა, მემთვრალეობა, ღორმუცელობა და სხვა მისთანანი. წინასწარ გეტყვით, რომ ამის მოქმედნი ვერ დაიმკვიდრებენ ღვთის სასუფეველს“ (გალ. 5, 19-21).

პირველი ცოდვით ადამიანმა კარი გაუღო ბოროტს, რადგან სულსა და სხულში დაამკვიდრდა ცოდვა და ვნება. ამის გამო, ბოროტი ადვილად უდგება ადამიანს.

სქემიღუმენი საბა (*ოსტაპენკო*) აღნიშნავს, რომ ადამიანის მტერი სხვადასხვა ცოდვებისა და დანაშაულის სურვილს აღგვიძრავს. მან კარგად იცის თითოეული ჩვენგანის მიდრეკილებანი და მოხერხებულად ესხმის თავს განსაკუთრებით იმის სუსტ ადგილს, ვისაც ძლიერი ნებისყოფა არა აქვს.[1366] ამას უშვებს თავად ღმერთი, რადგან ადამიანმა თავისი ნებით აღასრულა ეშმაკის ნება. როდესაც ადამიანი, ნებაყოფლობით ღებულობს ბოროტის აზრს ან ემორჩილება ბოროტისგან აღძრულ ვნებას, ადამიანი ხდება ბოროტის იარაღი. ადამიანის ბუნება, როგორც კარგის, ისე ცუდისკენაა მიდრეკილი. ის მზადაა, მიიღოს სიკეთეცა და ბოროტებაც, ღვთის მადლიც და ბოროტი ძალაც. თუმცა, ღმერთი ადამიანის თავისუფალ ნებას ძალას არ ატანს, სიკეთის ქმნას არ აიძულებს, არამედ მხოლოდ მოკრძალებით მიუთითებს საკუთარი არსებობის შესახებ და ცხონების გზისკენ მოუწოდებს.[1367]

ადამიანის ორპოლარული ბუნება მას გადაწყვეტილების წინ, ყოველთვის არჩევანის წინაშე აყენებს, დაემორჩილოს თუ შეებრძოლოს ბოროტებას. ორივე არჩევანს ახლავს შესაბამისი რეაგირება. სწორი არჩევანის შემთხვევაში (*საღვთო სჯულის აღსრულებით*) ადამიანი იძენს მადლს და ემსგავსება ღმერთს. საპირისპირო შემთხვევაში კი, შორდება ღმერთს, ემსგავსება ბოროტს და საბოლოო ჯამში იკლავს სულს.[1368]

როგორც ირკვევა, ბოროტი ტრანსცენდენტული არსებები, მოქმედებენ რა ზე-მაკრო დონეზე, გავლენას ახდენენ მთლიანად მაკრო და ინდივიდუალურ დონეზე,

---

[1365] *წმ. ნიკოდიმოს მთაწმინდელი*, დასახ. ნაშრ., 35, სქ. 22.

[1366] იხ. *სქიიღუმენი საბა (ოსტაპენკო)* მთავარი ქრისტიანული სათნოებისა და ამპარტავნების შესახებ, საქართველოს საპატრიარქო, თბ., 2011, 17.

[1367] იხ., იქვე, 16.

[1368] დავრილებითი ინფორმაციისთვის იხილეთ წინამდებარე დისერტაციის ქვე-თავი: 2.2 ადამიანის დუალისტური ბუნება.

ხილულ სამყაროში მცხოვრებ უკლებლივ ყველა არსებაზე, რადგან „განწმენდის საფეხურზე მყოფ ადამიანთა აზრებზე მოქმედებენ, როგორც ანგელოზები ასევე ბოროტი სულებიც. ასეთ დროს ადამიანის სული ანგელოზებისა და ავი სულების საბრძოლო ასპარეზადაა ქცეული.“[1369]

რამი განმარტავს, რომ ქრისტიანი უნდა აღუდგეს წინ ცდუნებას: „ცდუნება შესაძლოა ჩვენში მოვიდეს შინაგანი გახრწნილების შედეგად, ან გრძნობითი აღქმის მეშვეობით, ან სხვა ადამიანებისაგან, ან კიდევ დემონისაგან. თუმცა, როგორიც არ უნდა ძლიერი, ან ერთი შეხედვით, იძულებითი იყოს ცდუნება, ის არასოდეს გამორიცხავს ჩვენს პასუხისმგებლობას, თუკი დავემორჩილებით მას.[1370]

4.1.4 ღმერთი, დანაშაულ(ობ)ის პრევენციის მთავარი სუბიექტი

ღმერთი, დანაშაულობის პრევენციის თითოეულ დონეზე სხვადასხვა გზებით, უხილავად და ხილულად, ეხმარება ადამიანს სწორი არჩევანის გაკეთებაში, რათა თავი დაიცვას ბოროტისაგან, ანუ თავიდან აიცილოს დანაშაულ(ობ)ა და ასევე, არ გახდეს როგორც საკუთარი დანაშაულის, ასევე ზოგადად, დანაშაულის მსხვერპლიც.

ღმერთის უხილავი მზრუნველობა, გამოიხატება იმაში, რომ „ადამიანს განუწესებს *მფარველ ანგელოზს*, რათა დღედაღამ დაიფაროს და დაიცვას ბოროტისაგან, განსაცდელისაგან, მშვიდობა მისცეს და გააძლიეროს იგი, ნათელი მოჰფინოს მის სულს, გულსა და გონებას. მფარველი ანგელოზი, განკითხვის დღესაც კი, ევედრება ზეციურ მეფეს, რომ მოწყალე იყოს ჩვენს მიმართ, მოგვიტევოს ჩვენი შეცოდებანი, რათა საუკუნო სატანჯველს ავცდეთ და ვეღირსოთ მარადიულ ნეტარებას - ცათა სასუფეველს.“[1371]

ღმერთის უხილავი მზრუნველობა, ასევე გამოიხატება იმაშიც, რომ ადამიანს შექმნისთანავე გულის სიღრმეში გამოუსახა *საღვთო შინაგანი სჯული (სინდისი)*. როგორც ვიცით, სინდისი პატარა ღმერთი, კანონმდებელი და მსაჯულია. იგი უმაღლესი მორალური კატეგორიაა, რომელიც არჩევანის წინაშე მყოფ ადამიანს კარნახობს მართებულ ქმედებას. თუ ადამიანი დანაშაულს სჩადის, სინდისი ქეჯნის და ამხელს მას, რათა ცოდვა მოინანოს და შემობრუნდეს განღმრთობისკენ.[1372]

ღმერთმა, ადამიანს შექმნისთანავე, ასევე განუსაზღვრა სხვა დაუწერელი და დაწერილი ნორმებიც, იმ მიზნით, რომ ადამიანის განმტკიცებულიყო სულიერებაში,

---

[1369] *პესტოვი ნ. ე.*, როგორ ვებრძოლოთ უკეთურ აზრებს (რედ. *დეკ. გ. ჯგუშია*; რუსულიდან თარგმნა *ა. ეხვაიამ*), თბ., 2002, 12.

[1370] იხ. *ჩანი ს.*, დასახ. ნაშრ., 201.

[1371] მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიის მოძღვრების საფუძვლები (შემდგ.: *დ. შოვნაძე, ნ. ჩაჩიბაია*), დაიბეჭდა შპს „ფავორიტი პრინტში“, თბ., 2013, 178.

[1372] იხილეთ წინამდებარე დისერტაციის ქვე-პარაგრაფები: 1.1.1.1 სახელმწიფო და სამართალი პირველქმნილ ადამიანთა საზოგადოებაში და 1.2.2.3.5 სინდისი, გონება, გული.

მიმსგავსებულიყო ღმერთს და განღმრთობილიყო.[1373] *არქ. გ. ბასილაძე* აღნიშნავს, რომ „კანონები და წესები ის საშუალებებია, რომლებსაც მივყავართ ამ მდგომარეობამდე“.[1374] ამ კონტექსტში აუცილებელია ითქვას თავად ბიბლიაზე, რადგან: ა. „მთელი წერილი ღვთივსულიერია და სარგო-სასწავლად, სამხილებლად, გამოსასწორებლად და სიმართლის შესაგონებლად, რათა ღვთის კაცი სრულქმნილი იყოს, ყოველი კეთილი საქმის აღსასრულებლად გამზადებული“ (2 ტიმ. 3, 16-17); ბ. ბიბლია წარმოადგენს სამართლის წყაროსაც, ნორმათა კრებულს, კოდექსს. მასში თავმოყრილია არა მხოლოდ საეკლესიო, არამედ პოზიტიური სამართლის ძირითადი პრინციპები, მცნებები, ნორმები და ცხოვრების სხვადასხვა სფეროებთან დაკავშირებული კონკრეტული ხასიათის ნორმებიც.[1375]

მაგალითად, როგორც ცნობილია ათი მცნება ყოველგვარი მორალის საფუძველია, რომლებმაც შეიძინეს ზოგადსაკაცობრიო და სამართლებრივი მნიშვნელობა. დღემდე, ათ მცნებაზეა დაფუძნებული ადამიანურ და სოციალურ ურთიერთობათა მთელი მრავალფეროვნება. ნეტარების მცნებები კი, რომელიც მოცემული იქნა მაცხოვრის მიერ ავსებს მათ.[1376] თუკი საღვთო სჯულის მცნებები იმით შემოიფარგლებიან, რომ კრძალავენ ყოველივე იმის ქმნას, რაც ცოდვიანია, ნეტარების მცნებები გვასწავლიან, თუ როგორ შეგვიძლია მივაღწიოთ ქრისტიანულ სრულყოფილებას, ანუ სიწმინდეს.[1377]

საინტერესოა, რომ „*ნიუ-სპრინგის ეკლესია*“ (*Newspring Church*), რომელიც აყალიბებს ცოდვის თავიდან აცილების სამ მიდგომას, პირველ ადგილზე ასახელებს საღვთო მცნებების დაცვას. აღნიშნულია, რომ „ღვთის მცნებების დაცვა გვეხმარება თავიდან ავიცილოთ ცოდვა, სანამ მას მივუახლოვდებით“.[1378]

დანაშაულ(ობ)ის თავიდან აცილების საკითხში ღმერთის მზრუნველობა ადამიანზე, გამოიხატება თავად ისეთი ინსტიტუტის დაარსებაში, როგორიც არის ***ეკლესია***. უფალი იესო ქრისტე, რომელმაც სრულად განგმირა ბოროტება და მთლიანად გამოიხსნა ბოროტება,[1379] არის ეკლესიის დამფუძნებელი (მთ. 16, 18; ეფ. 1, 22-23; 1 კორ. 3, 11).

დოგმატურ ღვთისმეტყველაბაში წერია, რომ ამაღლების წინ მაცხოვარმა უფლებამოსილება მიანიჭა მოციქულებს და უთხრა, რომ გააგრძელებდა ეკლესიის

[1373] იხილეთ წინამდებარე დისერტაციის ქვე-პარაგრაფები: 1.1.1.1 სახელმწიფო და სამართალი პირველქმნილ ადამიანთა საზოგადოებაში და 2.2.2.1 ნორმალურის შესახებ მართლმადიდებლური მოძღვრება.

[1374] *ჩაგუნავა ა., ყოლბაია ლ.*, დასახ. ნაშრ., 128.

[1375] იხილეთ წინამდებარე დისერტაციის ქვე-თავი: 1.2 ბიბლიის სამართლებრივი ბუნება.

[1376] იხ. მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიის მოძღვრების საფუძვლები, (შემდგ.: *დ. შოვნაძე, ნ. ჩაჩიბაია*), დაიბეჭდა შპს „ფავორიტი პრინტში“, თბ., 2013, 165.

[1377] იხ., იქვე, 165-166.

[1378] Three Ways to Prevent Sin, New Spring Church, იხ., <https://newspring.cc/devotionals/1-john-a-7-day-devotional/3-ways-to-prevent-sin>, (მოპოვების თარიღი: 08.02.2022).

[1379] *გვასალია გ.*, დასახ. ნაშრ., 99.

უხილავად მართვასა და ყოველთა მწყემსად ყოფნას (მთ. 28, 20). „...მომეცა მე მთელი ხელმწიფება ცაზედაც და მიწაზედაც. მაშ, წადით, დაიმოწაფეთ ყველა ხალხი და ნათელი ეცით მათ მამის და ძის და სული წმიდის სახელით“ (მთ. 12, 18-19). ეს ნიშნავს იმას, რომ მიწიერსა და ზეციურ ეკლესიებს შორის არსებობს მჭიდრო კავშირი და შინაგანი ერთობა.[1380] „ამ სოფლიდან განსვლისას წმინდა მოციქულებმა შემოიძარცვეს მიწიერი სხეული, მაგრამ ეკლესიურ სხეულს არ განშორებიან. ისინი იყვნენ ეკლესიის საფუძვლები და ასეთებად რჩებიან კიდეც (ეფ. 2, 20-23). ისინი, ზეცად მყოფნი, აგრძელებენ ამქვეყნად მცხოვრებ მორწმუნეებთან ურთიერთობას.“[1381]

წმ. იოანე ოქროპირის სწავლებით, განხორციელებული ქრისტეს სახით ღმერთმა ერთი თავი დაუდგინა ყველას, ანგელოზებსა თუ ადამიანებს. უფალმა ყველა თავის ქვეშ შემოიკრიბა. „მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი ერთობა, როდესაც ყველა, ვისაც, გარკვეულწილად, უცილობელი კავშირი აქვს ზეცასთან, ერთი თავის ქვეშ შეიყრება.“[1382]

გარდა ამისა, ეკლესიაში მოიაზრება საეკლესიო იერარქია, რომელიც სამ ხარისხად განიყოფა: ეპისკოპოსი, მღვდელი და დიაკვანი. აღნიშნული საფეხურები მჭიდროდ უკავშირდება სულიერი ცხოვრების სამ ეტაპს - განწმენდას, განათლებასა და სრულყოფას. სამღვდელოების მსახურება ლიტურგიკული, განმანათლებლური და სრულმყოფელია, რადგან საიდუმლოებებით მიმდინარეობს სულის განვითარება. ეს იმას ნიშნავს, რომ სამღვდელო მსახურებანი არა მხოლოდ აღესრულება, არამედ განსწმენდს, ანათლებს და სრულყოფს (განაღმრთობს) ადამიანს.[1383]

რადგან „დანაშაულის პრევენცია მოიცავს ნებისმიერ ქმედებას, რომელიც მიმართულია დანაშაულის რეალური რაოდენობისა და დანაშაულის აღქმის შემცირებისკენ“ (*ტ. ბიორგო*),[1384] თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეკლესია მოქმედებს დანაშაულ(ობ)ის პრევენციის ყველა დონეზე, ზე-მაკრო, მაკრო და მიკრო დონეზე. ორივე სოფელში (ზეციურ და ხილულ სამყაროში) მყოფი და მოქმედი ეკლესია, ორიენტირებულია არა მხოლოდ ქრისტიან მორწმუნეებზე, არამედ ყველაზე, რადგან ყველა ადამიანი ღვთის ხატი და მსგავსია. *პავლე მოციქული* წერს: „...თუ ვინმე შესცოდავს, ქომაგი გვყავს მამის წინაშე - იესო ქრისტე მართალი. ის არის ჩვენი და არა მარტო ჩვენი, არამედ მთელი ქვეყნის ცოდვათა მიმტევებელი“ (1 იოან. 2, 1-2).

დეკ. კ. ჯინჭარაძე აღნიშნავს, რომ „არსებითი ისაა, რომ ადამიანის მიწიერი ცხოვრება განიხილება, როგორც მარადიული არსებობის ფრაგმენტი. ხილულ

[1380] იხ. *პროტოპრესვეტერი მიხეილ პომაზანსკი*, (2012), დასახ. ნაშრ., 153.
[1381] იქვე, 157.
[1382] იხ., იქვე, 154-155.
[1383] იხ. *მიტრ. იეროთეოს ვლახოსი*, მართლმადიდებლური ფსიქოთერაპია, მეორე გამოცემა (მთრგმნ. *ე. დუღაშვილმა*; რედ. *მღვდელი ზ. ცხოვრებაძე*), გამომც. „ახალი ივერიონი“, თბ., 2010, 71.
[1384] *ბიორგო ტ.*, დასახ. ნაშრ., 28.

მატერიალურ სამყაროში ადამიანმა ისე უნდა განვლოს წლები, რომ მარადიული ნეტარი ცხოვრება დაიმკვიდროს“.[1385]

ამ მიზნის რეალიზებაში კი, ეკლესიასთან ერთად სახელმწიფოც უნდა იყოს დაინტერესებული, რადგან სახელმწიფოს პოლიტიკა ანთროპოცენტრულია და მის ინტერესებში შედის დანაშაულ(ობ)ის თავიდან აცილებაც. როგორც უკვე აღინიშნა, ადამიანში დევს სახელმწიფო, როგორც მიზნობრივი მიზეზი და საბოლოო მიზანი, რადგან ადამიანის ღმერთის მსგავსად და ხატად შექმნით, ადამიანი ღებულობს ხელმწიფების უფლებას ყოველივეზე (*ე. ასური, ი. ოქროპირი, მ. ეგვიპტელი, ი. დამასკელი*).

პირველქმნილი ადამიანის მეფობა, ნიშნავს დაიტიოს თავის თავში ყოველი ხილული ქმნილების არსებობის მიზანი და როგორც შუამავალმა, შეძლოს ყოველთვის ღმერთთან შეერთება. იმის გამო, რომ ადამიანმა-მეფემ შეინარჩუნოს მიწიერ ქმნილებათა მთელი ჯაჭვის მწყობრი კავშირი და წესრიგი, ღმერთი ადამიანს აძლევს სჯულს (სინდისი, სხვა დაუწერელი და წერილობითი სჯული).

როგორც აღინიშნა, სახელმწიფოს მმართველობის თეოკრატიული კონცეფცია ძველ აღთქმაში წარმოჩენილია ისრაელის ერთან მიმართებაში. ძველ ისრაელში მეფობის დაარსებამდე არსებობდა ნამდვილი თეოკრატია, მსაჯულთა სისტემის სახით. საუბარი შეეხებოდა ისრაელის ხალხში სამამამთავრო თეოკრატიის საიდუმლოს, მღვდელთა სამეფოს ინსტიტუტის დაარსებაზეც. მეფის ფორმალური მმართველობა კი, სათავეს იღებს საულის გამეფებიდან. ამ ფაქტთან დაკავშირებით, საყურადღებოა, რომ „უფალმა აკურთხა რა ისრაელის პირველი მეფის, საულის სახით, ამით მან აკურთხა ყოველგვარი სახელმწიფო ხელისუფლება, დამოუკიდებლად მმართველობის ფორმისა“ (*ეპ. ნ. მილაში*).[1386] ამ დებულების მართებულობას თავად ქრისტე ამოწმებს, როდესაც პილატეს ეუბნება: „*არ გექნებოდა არავითარი ხელმწიფება ჩემზე, მაღლიდან რომ არ მოგცემოდა*“ (იოანე, 19, 11).

ქრისტიანულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ პირველი სამი საუკუნის განმავლობაში ეკლესია იდევნებოდა სახელმწიფოს (რომის იმპერიის) მიერ. თუმცა, კონსტანტინე დიდის ეპოქიდან, როდესაც გამოქვეყნდა რელიგიათა შემწყნარებლობის შესახებ მილანის ვერდიქტი, დაიწყო ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის დალაგების პროცესი.[1387] ეკლესია და სახელმწიფო ერთმანეთისგან გამიჯნულია, რადგან თავად ქრისტემ მიუთითა ამაზე, როდესაც თქვა „მიეცით კეისარსა კეისრისა და ღმრთისა ღმერთსა“ (მარკ. 12.17). თუკი ეკლესიის დანიშნულება ადამიანის

[1385] *დეკ. კონსტანტინე ჯინჭარაძე,* ჭეშმარიტი სარწმუნოება (საქართველოს საპატრიარქო რადიო „ივერიის“ ეთერში გადაცემული ქადაგებების მიხედვით; რედ. *დ. თ. მორგოშია*), თბ., 2015, 161.

[1386] იხილეთ წინამდებარე დისერტაციის ქვე-პარაგრაფი: 1.1.1.1 სახელმწიფო და სამართალი პირველქმნილ ადამიანთა საზოგადოებაში.

[1387] იხ. *დეკ. კონსტანტინე ჯინჭარაძე,* ჭეშმარიტი სარწმუნოება (საქართველოს საპატრიარქო რადიო „ივერიის“ ეთერში გადაცემული ქადაგებების მიხედვით; რედ. *დ. თ. მორგოშია*), თბ., 2015, 161.

ცხონებაა, სახელმწიფო მოვალეა შექმნას ცხოვრებისათვის კარგი პირობები, დაიცვას მოქალაქეთა უფლებები, დათრგუნოს ძალადობა და აგრესია საზოგადოებაში. ამ ამოცანის განსახორციელებლად ესაჭიროება მას ჯარი, პოლიცია, სხვადასხვა იურიდიული თუ სოციალური სტრუქტურები და ა.შ. ამ ინტერესების ერთობაა სახელმწიფო, რომელშიც თავისუფალი მოქალაქეები ერთობლივი ძალისხმევით იცავენ ზნეობრივ კანონებს.[1388]

დეკ. კ. ჯინჭარაძე შენიშნავს, რომ „სახელმწიფო ხვდება, თუ რა დიდი როლი აკისრია ეკლესიას მის ცხოვრებაში, ამიტომ ცდილობს მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობები შექმნას ეკლესიის ფუნქციონირებისათვის. ეკლესია, თავის მხრივ, აკურთხებს მთავრობას და მხედრობას, ანუ „კეისარს“, მრევლს კი მოუწოდებს დაემორჩილოს ხელისუფლებას და კანონებს. ამრიგად, ეკლესია და სახელმწიფო, განსხვავებული ფუნქციების მიუხედავად, ავსებენ ურთიერთს და საერთო საქმეს აკეთებენ. ასეთ ბრძნულ ურთიერთდამოკიდებულებას „სიმფონია“ ეწოდება“.[1389]

მ. ზოიძე აღნიშნავს, რომ „სახელმწიფოს და ეკლესიას მიზანი ერთია - ადამიანი. განსხვავება ამ მიზნის მიღწევის გზებშია. სახელმწიფომ აუცილებლად უნდა გამოიყენოს რელიგია იმ დონემდე, რაც მას არ დაუკარგავს საერო ხასიათს. რადგანაც რელიგია უმაღლესი ღირებულებაა, სახელმწიფომ აუცილებლად უნდა ითანამშრომლოს ეკლესიასთან.“[1390]

ა. აბზიანიძე კვლევის შედეგად დაადგენს, რომ „საქართველოს სახელმწიფოსა და ეკლესიის სიმფონია თეოლოგიურ საფუძველზე დგას, რომელსაც (სიმფონიას) აქვს თხუთმეტსაუკუნოვანი ისტორია.“[1391]

აღნიშნული სიმფონიის ერთ-ერთი დასტურია საქართველოს კონსტიტუციის მე-8 მუხლში გაკეთებული დათქმა, საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის გაფორმებული კონსტიტუციური შეთანხმება და სხვა აქტები.

დანაშაულ(ობ)ის პრევენციის კუთხით კი, განსაკუთრებით საყურადღებოა კონსტიტუციური შეთანხმების მე-4 მუხლი, რომლის მიხედვითაც, „სახელმწიფო ეკლესიასთან შეთანხმებით უზრუნველყოფს საპატიმროებში და თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მოძღვრის ინსტიტუტის შექმნას და ამასთან დაკავშირებით შესაბამისი სამართლებრივი აქტების მიღებას“.

ამგვარად, ირკვევა, დანაშაულობის პრევენციის სამივე დონეზე, უხილავი მტრის წინააღმდეგ მოქმედებს, ადამიანის მფარველი ანგელოზი, საღვთო სამართალი

[1388] იხ., იქვე, 162.

[1389] იქვე.

[1390] *ზოიძე მ.*, სამართლის პრაქტიკული ყოფიერების შემეცნების ცდა, უპირატესად ადამიანის უფლებათა ჭრილში, ესეები, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, თბ., 2013, 261.

[1391] *აბზიანიძე ა.*, საქართველოს სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობები, (დისერტაცია), საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბ., 2006, 7.

(სინდისი, დაუწერელი და წერილობითი სამართალი), ეკლესია თავისი სამღვდელო იერარქიით და სახელმწიფო. ამ ყველაფრის უკან კი დგას თავად ღმერთი.

4.1.4 შეჯამება

მართლმადიდებლური სწავლებით ცოდვის, ანუ დანაშაულ(ობ)ის პრევენცია მიმართულია უხილავ მტრის, ანუ დანაშაულ(ობ)ის მიზეზების წინააღმდეგ. დანაშაულ(ობ)ის პრევენციაში წარმატება მოითხოვს პრევენციული ბრძოლის მეთოდების ზედმიწევნით ცოდნას, რადგან „ვინც მტერს შეისწავლის, ის მას დაამარცხებს“ (*ზ. გამსახურდია*).[1392] აღნიშნულ ცოდნაში, იგულისხმება ისეთი საკითხები, როგორიც არის:

1. არ არსებობს ბოროტმოქმედება, არ არსებობს დანაშაული მათი მოთავისა და მონაწილეობის გარეშე;

2. ბრძოლა მიმდინარეობს სამი უხილავი მტრის, ადამიანური ვნებების (მიკრო დონე), წუთისოფლის მატერიალური კეთილდრეობისა (მაკრო დონე) და ბოროტი სულიერი არსებების (ზემაკრო დონე) წინააღმდეგ;

3. დანაშაულ(ობ)ის პრევენცია და აღმოფხვრა შესაძლებელია სათნოებებით, - სიყვარულით, რწმენით, თავმდაბლობით, სინანულით და სხვა სიქველეებით;

4. სათნოებები მოითხოვს მრავალწლიან და მუდმივ ღვაწლს, რითაც ადამიანი მოიხვეჭს სულიწმიდის მადლს;

5. სულიწმიდა უზრუნველყოფს ადამიანის დაცვას ბოროტისაგან აღძრული ვნებების, გმნობების, სურვილებისა და აზრების შემოტევებისაგან, ასევე მათ პრევენციასა და აღმოფხვრას;

6. დანაშაულ(ობ)ის პრევენციის განმახორციელებელი სუბიეტებია: მფარველი ანგელოზი, ეკლესია, თავისი სჯულის კანონებით, წმინდა წერილით, წმიდა მამათა სწავლებებითა, სამღვდლო იერარქიით (წმინდანებით, წინასწარმეტველებითა და სულიწმიდის მატარებელი ადამიანებით).

სულიერი მოძღვარი, დანაშაულ(ობ)ის პრევენციაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს, რადგან „საერო გაგებით ადამიანური სწრაფვა სრულყოფისკენ მცდარია. ასეთი ადამიანი თავისი გამოუცდელობით **სულიერი ხელმძღვანელის**, მოძღვრის გარეშე, სულ მეტად და მეტად ებმება ბოროტის მახეში“ (*სქემიღუმენი საბა ოსტაპენკო*).[1393] სულიერ მოძღვარს, რომელსაც დამარცხებული აქვს ან იმყოფება

[1392] *შალიკაშვილი გ.*, ეფუთი და ფუსტი - რა ისტორიულ მემკვიდრეობითი საფუძვლები აქვს ქართულ ეროვნულ წიაღში დღემდე მოტანილ ამ საღვთო კულტურის შედევრებს? (გაზეთი „განმანთავისუფლებელი“, №60), 2019, 15.

[1393] 1. *სქიიღუმენი საბა (ოსტაპენკო)* მთავარი ქრისტიანული სათნოებისა და ამპარტავნების შესახებ, საქართველოს საპატრიარქო, თბ., 2011, 18.

ვნებეთან ბრძოლაში, საკუთარი გამოცდილებით შეუძლია განსაზღვროს, როგორც ცოდვილ ადამიანში ცდუნების წარმომავლობა და ასევე ბრძოლის მეთოდებიც;

7. დანაშაულ(ობ)ის პრევენციის სუბიექტი არის სახელმწიფო, თავისი მორალური კანონმდებლობითა და კეთილსინდისიერი პოლიტიკით. „ქვეყნის მმართველი, უწინარეს ყოვლისა, ქრისტეს მბაძავი უნდა იყოს მოყვასის სიყვარულით, სამართლიანობით, შემწყნარებლობით, სიმტკიცითა და ბოროტი ძალებისადმი შეურიგებლობით“,[1394] რომლის ყველაზე ბრწყინვალე მაგალითს საქართველოში განასახიერებდა დავით აღმაშენებელი, მეფე-ხუცესის, ანუ სახელმწიფო და სასულიერო მოღვაწის შეერთების სიმბოლო.[1395]

დაბოლოს, აუცილებელია აღინიშნოს, რომ დანაშაულ(ობ)ის პრევენცია მიიღწევა თავად ღმერთის მიერ უხილავად და ხილულად, რადგან ღმერთია ყოველგვარი წარმატების წყარო. ბიბლიაში ვკითხულობთ: „...არ სცოდოთ, ხოლო თუ ვინმე შესცოდავს, ქომაგი გვყავს მამის წინაშე - იესო ქრისტე მართალი. ის არის ჩვენი და არა მარტო ჩვენი, არამედ მთელი ქვეყნის ცოდვათა მიმტევებელი. იმით გავიგებთ, რომ შევიცნეთ იგი, თუ დავიმარხავთ მის მცნებებს“ (1 იოან. 2, 1-3).

4.2 დანაშაულ(ობ)ის პრევენციის ქრისტიანული ასპექტები მეცნიერებაში

ამერიკელი ფსიქოლოგი *მ. სელიგმანი* აღნიშნავს, რომ *ფროიდის* მიერ გაკეთებული აღმოჩენებიდან მოყოლებული, ნახევარი საუკუნის განმავლობაში, სოციოლოგებს ვერ გადაეწყვიტათ, როგორი პოზიცია დაეფიქსირებინათ რელიგიასთან მიმართებაში. ვარაუდობდნენ, რომ რელიგია ადამიანებს შთაუნერგავდა დანაშაულის შეგრძნობას, თრგუნავდა სექსუალობას, ქადაგებდა ანტიინტელექტუალიზმსა და ტირანიას. მაგრამ დაახლოებით ოცი წლის წინ, მეცნიერულმა მონაცემებმა რელიგიის დადებითი გავლენის შესახებ საბოლოოდ დაარწმუნა მეცნიერები, ამგვარი მოსაზრებების მცდარობაში. *სელიგმანის* მიხედვით, ქრისტიანი ამერიკელები გაცილებით ნაკლებად მოიხმარენ ნარკოტიკებს, ნაკლებად სჩადიან დანაშაულს, ნაკლებად წყვეტენ ოჯახურ ურთიერთობებს და სჩადიან თვითმკვლელობას.[1396]

მიუხედავად ამისა, არსებობენ მეცნიერები, რომლებიც ბოლომდე არ ეთანხმებიან *სელიგმანს* და ავითარებენ საპირისპირო მოსაზრებას, ან უფრო ნეიტრალურ პოზიციას აფიქსირებენ. ობიექტურობა მოითხოვს, აღნიშნული განსხვავებული მიდგომების გაანალიზებასაც, რათა კონტრასტში, კარგად იქნას დანახული რეალური სურათი, თუ რომელ მხარეს იხრება პოზიტიური მეცნიერება.

[1394] აირჩიე ქართველო ერო! ზვიად გამსახურდიას გამონათქვამები (შემდგენელი: *ი. ჯაჯანიძე*), გამომც. „ძმობა გრაალის მცველნი,“ თბ., 2000, 7.

[1395] იხ. *გამსახურდია ზ.*, გელათის აკადემიის სულიერი იდეალები (საზოგადოებრივი ჟურნალი „მიჯნა“), №2-3 (13-14), გამომც. „უნივერსალი,“ თბ., 2019, 14.

[1396] იხ. *Селигман М.*, Новая Позитивная Психология, Научный Взгляд на Счастье и Смысл Жизни (Перев. с англ. изд., «София»), М., 2006, 87.

როგორც ყველა სხვა საკითხის განხილვისას, აქაც უნდა ითქვას, რომ ამ აღნიშნულ საკითხზეც არსებობს უამრავი ლიტერატურა, შესაძლებელია სხვადასხვა კრიმინოლოგიური თეორიების გაანალიზება და მეცნიერების კონცეფციების ციტირებაც (მაგ. *ლომბროზოს, ჰირშის, სტარკის* და ა.შ.). თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ ზოგადად, იკვეთება ორი მიდგომა. პირველი, რომელიც ბოლომდე არ იზიარებს რელიგიის დადებით როლს დანაშაულის პრევენციაში და მეორე, რომელიც უფრო ინდიფერენტულია, ასე ვთქვათ, ნეიტრალურ პოზიციას იკავებს. სწორედ ეს ორი მიდგომა წარმოადგენს ჩვენი კვლევის საგანს, რომელსაც კრიმინოლოგების *კიმ სადიკისა* და *ტორე ბიორგოს* კონცეფციებზე დაყრდნობით განვიხილავთ. ამის შემდეგ, მიზანშეწონილია, გაანალიზდებს ის წყაროები, რომლებშიც აღწერილია დანაშაულობაზე რელიგიის გავლენის შესახებ ჩატარებული კვლევების შედეგები.

4.2.1 დანაშაულ(ობა)ზე რელიგიის უარყოფითი გავლენის საკითხისთვის

კრიმინოლოგიურ თეორიებზე დაყრდნობით, პროფ. *კ. სადიკი* აანალიზებს რა დანაშაულსა და დევიაციაზე რელიგიის გავლენის საკითხს, სვამს შეკითხვას: „მრავალი მკვლევარისთვის მთავარ შეკითხვად რჩება, უზრუნველყოფს თუ არა რელიგიური რწმენა და მსახურება დანაშაულისა და/ან დევიანტური ქცევის პრევენციას?“[1397] და იქვე პასუხობს: „ყოველთვის მიიჩნევა, რომ მათ აქვთ პრევენციული ეფექტი, თუმცა, არაორაზროვანი მტკიცებულების და ასეთი „შედეგების“ უკან არსებული მიზეზების დადგენა რთულია. საღი აზრის მიხედვით „რელიგია ამცირებს დანაშაულის ჩადენის ალბათობას“ და დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ში ჩატარებული კვლევებითაც დასტურდება, რომ ამ ქვეყნების მოქალაქეების, სულ მცირე მესამედი თვლის, რომ რელიგია აყალიბებს სოციალურ-კულტურულ და/ან სულიერ საფუძველს დანაშაულებრივი ქცევის პრევენციისთვის. თუმცა, დღევანდელ პირობებში, როდესაც არსებობს „რელიგიურად მოტივირებული“ უამრავი კონფლიქტი, „მორწმუნეების“ მხრიდან ბავშვებზე სექსუალური ძალადობის ფაქტები და ისლამოფობური თავდასხმების ზრდის ტენდენცია, ზოგიერთმა შეიძლება ამტკიცოს, რომ რელიგია იწვევს დანაშაულს და დევიაციას (ვიდრე ახდენს მათ პრევენციას).“[1398]

ქრისტიანული მოძღვრების ჭრილში, *სადიკის* შეფასებასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოში არსებულ რელიგიებს შორის, ქრისტიანობა ყველაზე ჰუმანური რელიგიაა, რადგან ქრისტიანობაში ღმერთი სიყვარულია (1 ინ. 4, 8), რომელიც მოგვიწოდებს გვიყვარდეს ერთმანეთი (1 ინ. 4, 11) და მათ შორის, მტერიც (ლუკ. 6, 27). გარდა ამისა, რელიგია, რომელიც ამორალური ფიქრების მიმღებლობასაც

[1397] *Sadique K.*, The Effect of Religion on Crime and Deviancy: Hellfire in the Twenty-First Century, იხ.: Religion, Faith and Crime: Theories, Identities and Issues (eds. Kim Sadique, Perry Stanislas), Palgrave Macmillan, UK, 2016. 21.

[1398] იხ., იქვე.

ცოდვად რაცხავს, შეუძლებელია ცოდვის ჩამდენს უწოდოს „მორწმუნე“ ან გაამართლოს სექსუალური ძალადობა, ან თუნდაც „რელიგიურად მოტივირებული“ ექსტრემიზმი.

რაც შეეხება „რელიგიურად მოტივირებული“ კონფლიქტებისა და „მორწმუნეების“ მხრიდან დანაშაულის ჩადენის ფაქტებზე გაკეთებულ ვარაუდს, რომ „შეიძლება ზოგიერთმა ამტკიცოს, რომ დანაშაულს რელიგია იწვევს“, ეს სხვა არაფერია თუ არა ღმერთის დადანაშაულება. ფაქტების ასეთი ინტერპრეტაცია, ადამისა და ევას მსჯელობის იდენტურია, როდესაც მონანიების ნაცვლად, საკუთარი ცოდვა გადააბრალეს ღმერთს: „უთხრა ადამმა: შენ რომ დედაკაცი მომიყვანე, მან მომცა იმ ხის ნაყოფი და მეც შევჭამე. უთხრა უფალმა ღმერთმა დედაკაცს: ეს რა ჩაიდინე? თქვა დედაკაცმა: გველმა შემაცდინა და მეც შევჭამე“ (დაბ. 3, 12).

ახლა კი, განვიხილოთ იგივე საკითხი ისლამის რელიგიის პოზიციიდან. *ხ. წიკლაურის* დისერტაციაში „მორწმუნეებისა და ათეისტების ღირებულებათა კვლევა საქართველოში“ აღნიშნულია, რომ ბოლო დროს გახშირდა რელიგიის სახელით წარმოებული ტერორისტული აქტები მაჰმადიანიური რელიგიის აღმსარებლების მხრიდან. ყოველივე ამან კი, შეიძლება გააჩინოს ეჭვი, ხომ არ ქადაგებს ისლამი ძალადობას? ამ კითხვაზე, საქართველოს მუსლიმთა წინამძღოლმი *მუფთ ბეგლარ ქამაშიძე* აკეთებს შემდეგ განმარტებას, რომელსაც უცვლელად ვტოვებთ:

„ტერორიზმი უმძიმესი დანაშაულია. წმინდა ყურანის მიხედვით, ერთი ადამიანის მოკვლა კაცობრიობის ამოწყვეტის ტოლფასია. ვინც ამას სჩადის, უარყოფს წმინდა ყურანის მოწოდებას, რის გამოც, ისლამური დოგმატის თანახმად, ურწმუნოდ არის შერაცხილი. მის სულს სამუდამო ჯოჯოხეთი ელის... აღმაშფოთებელია, როცა ტერორიზმს ისლამს მიაწერენ. ჭეშმარიტი მუსლიმი ვერ იქნება ტერორისტი, რადგან შუამავალი მუჰამედი მშვიდობასა და სიყვარულს ქადაგებს. ამბობენ, რომ კამიკაძემ, რომელმაც საკუთარი და სხვების სიცოცხლე ხელყო, ტერაქტამდე „ალლაჰ აქბარ“ დაიძახა... ის მკვლელია, რომელმაც უმძიმესი ცოდვა საკუთარ თავზე აიღო. ამ შეძახილში ფიგურირებს სიტყვები - „მოწყალე“ და „მწყალობელი“. განა შეიძლება „მოწყალესა“ და „მწყალობელს“ წარმოთქვამდე და ადამიანს კლავდე?!“ ხოლო კითხვაზე, რატომ უშვებს ისლამი ჯიჰადს, მუფთი პასუხობს, რომ ჯიჰადს სახელმწიფო აცხადებს მაშინ, როცა საფრთხე ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობასა და აღმსარებლობას ემუქრება. ისლამი ნებას არ რთავს ცალკეულ დაჯგუფებას, ინდივიდუალურად გამოაცხადოს ჯიჰადი, თანაც - საბრძოლო ფორმით.“[1399]

ხ. წიკლაურის დისერტაციაში ასევე ვკითხულობთ, რომ „კვლევებით (*ემონსი, ჩანგი, ტერანი*, 1998) შემოწმდა ჰიპოთეზა, რომ რელიგიურობა და სულიერება ადამიანის მთლიან სისტემაში კონფლიქტურობას ამცირებს და შეთანხმებულობას

[1399] „კვირის პალიტრა“, 2015, 24 ნოემბერი, იხ.: *წიკლაური ხ.*, მორწმუნეთა და ათეისტების ღირებულებათა კვლევა საქართველოში (სადისერტაციო ნაშრომი), წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, თბ., 2016, 52.

ზრდის. *ემონსის*, *ჩანგის* და *ტერანის* კვლევების შედეგებმა დაადასტურა *ტილიხის*, *ოლპორტის* და *ჯემსის* თეზისი, რომ სულიერი მისწრაფებების მაღალი წილი დაკავშირებულია ადამიანის მთლიან სისტემაში კონფლიქტების დაბალ მაჩვენებელთან, რომ რელიგიას შეუძლია იყოს ძალა, რომელიც ამთლიანებს პიროვნებას".[1400]

კვლევებით ისიც დგინდება, რომ რელიგიური რწმენა ადამიანის ჯანმრთელობის და ბედნიერების წყაროა. მაგალითად,: *კ. იუნგმა* თავის პაციენტებთან მრავალწლიანი ურთიერთობის შედეგად დაასკვნა, რომ „ადამიანთა უდიდესი ნაწილი დაკავებულია რელიგიური შეხედულებების ძიებით. ისინი ავად ხდებიან, როცა კარგავენ მაცოცხლებელ რწმენას და არ იკურნებიან მანამ, სანამ არ უბრუნდებიან რელიგიურ შეხედულებებს".[1401] *იუნგს* ადამიანის მიერ რელიგიური შეხედულებების ქონა მხოლოდ მრწამსის ერთგულებამდე ან რომელიმე რელიგიური ორგანიზაციის წევრობამდე არ დაჰყავს. მისი აზრით, ეს არის დამოკიდებულება ისეთ ძალასთან, რომელსაც ადამიანი თაყვანს სცემს და უყვარს.[1402]

სელიგმანის მიხედვით, ქრისტიანი ამერიკელები ფიზიკურად უფრო ჯანმრთელები არიან და უფრო დიდხანს ცოცხლობენ. ინვალიდი ბავშვების მორწმუნე დედები უკეთ უმკლავდებიან დეპრესიას. გარდა ამისა, მორწმუნე ადამიანებს უადვილდებათ განქორწინების, სამსახურიდან გათავისუფლების, ავადმყოფობის და საყვარელი ადამიანების სიკვდილის გადატანა.[1403] *სელიგმანი* ასევე აკეთებს დასკვნას: „ფაქტები აჩვენებს, რომ მორწმუნეები ბევრად უფრო ბედნიერები და ცხოვრებით კმაყოფილნი არიან, ვიდრე ათეისტები."[1404]

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ „ყოველი განვითარებული რელიგია ქადაგებს სიყვარულს, პატიოსნებას, სინდისიერებას, ქველობას, სიკეთის კეთებას, მშობლების პატივისცემას, სამშობლოს სიყვარულს. ამიტომ იტყვიან ხოლმე, რომ ღმერთი ერთია, ხოლო მისკენ სავალი გზა - მრავალი."[1405]

როგორც, ვხედავთ ჰიპოთეზა, თითქოს „რელიგია იწვევს დანაშაულს" სრულიად უსაფუძლოა. რელიგია არა თუ ამართლებს, არამედ კრძალავს და გმობს დანაშაულს. მისთვის მნიშვნელობა არა აქვს ვინ სჩადის დანაშაულს, მორწმუნე, თუ „ათეისტი". ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პრობლემა ღმერთში ან რელიგიაში კი არა, არამედ ადამიანის ურწმუნოებაშია საძებარი.

[1400] *წიკლაური ხ.*, დასახ. ნაშრ., 47.
[1401] იქვე, 46.
[1402] იხ., იქვე.
[1403] იხ. *Селигман М.*, Новая Позитивная Психология, Научный Взгляд на Счастье и Смысл Жизни (Перев. с англ. изд., «София»), М., 2006, 87.
[1404] იხ., იქვე.
[1405] *შოშიაშვილი შ.*, კოსმიური სამყაროსა და სულის უკვდავების შესახებ, (რედ. *ნელი ელიზბარაშვილი*) გამომც. „ნეკერი", თბ., 2003, 126.

4.2.2 დანაშაულის პრევენციის ყოვლისმომცველი მოდელი

ჩ. ბეკარიასა და *ი. ბენტამის* მსგავსად, ნორვეგიელი კრიმინოლოგი *ტ. ბიორგოც* მიიჩნევს, რომ თეორიული მოსაზრებები პრევენციულ ღონისძიებებთან დაკავშირებით, მდგომარეობს სასჯელის შიშის შემაკავებელ ეფექტში. *ბიორგო* იზიარებს იმ შეხედულებასაც, რომ დანაშაულის ჩადენამდე ადამიანი რაციონალურად აფასებს საკუთარი ქმედების შედეგად მისაღებ სარგებელსა და იმ უარყოფით შედეგს, რაც დანაშაულს შეიძლება ახლდეს. ამ შეფასებაში, რეალური მექანიზმი არის გადაწყვეტილების მიღების პროცესი, რომელიც ადამიანის გონებაში მიმდინარეობს.[1406] *ნორვეგიელი კრიმინოლოგი* აღნიშნავს, რომ „რთულია იმაზე საუბარი, რომ ამ პროცესში ყველა ერთი და იგივე გადაწყვეტილებას მიიღებს, რადგან ადამიანის შინაგანმა თვისებებმა და სიტუაციამ შეიძლება დიდი გავლენა მოახდინოს მის საბოლოო გადაწყვეტილებაზე.“[1407]

აღნიშნულ მსჯელობაში მართლაც იკითხება დანაშაულ(ობ)ის პრევენციის ქრისტიანული მოძღვრების კონცეპტუალური ასპექტები, რადგან: 1. საუბარი შეეხება მენტალურ სფეროში დანაშაულის ჩადენამდე გადაწყვეტილების მიღებას, და 2. ადამიანის შინაგან თვისებებში, რომლებიც გავლენას ახდენს გაწყვეტილებაზე, იგულისხმება მოტივები, ანუ ვნებები, რომელთა ტრანსცენდენტული ბუნება და მეცნიერული პოზიციაც, ჩვენთვის კარგად არის ცნობილი.[1408]

ერთი შეხედვით იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს დანაშაულის პრევენციის ყოვლისმომცველი მოდელი იმეორებს ქრისტიანული მოძღვრებას, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ არის.

ბიორგოს დანაშაულის პრევენციის ყოვლისმომცველი მოდელი, ითვალისწინებს ყველა სახის დანაშაულის მიმართ პრევენციული ღონისძიებების გატარების ცხრა მექანიზმს.[1409]

პირველი მექანიზმს წარმოადგენს „*ნორმატიული ბარიერების შექმნა დანაშაულის თავიდან ასაცილებლად*“, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველგვარი დანაშაულის მიმართ გამოყენებული უნდა იქნას ისეთი არაფორმალური კონტროლის საშუალება, როგორიც არის მორალი. *ბიორგო* ასევე უთითებს, „სიტუაციური აქტივობის თეორიას“ (*Situational*

[1406] იხ. *ბიორგო ტ.*, დასახ. ნაშრ., 36.

[1407] იხ., იქვე, 31.

[1408] იხილეთ წინამდებარე დისერტაციის ქვე-თავი: 3.3 ვნების კონცეპტი მეცნიერებაში.

[1409] 1. ნორმატიული ბარიერების შექმნა დანაშაულის თავიდან ასაცილებლად; 2. დანაშაულებრივ სოციალურ გარემოში ან აქტივობებში ადამიანის ჩართვის/გაწევრიანების შემცირება; 3. დაშინება სასჯელის შიშით ან სხვა უარყოფითი სანქციებით; 4. დანაშაულის ხელის შეშლა; 5. დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობის წართმევა; 6. დაუცველი ჯგუფის დაცვა; 7. დანაშაულის საზიანო შედეგის შემცირება; დანაშაულიდან მიღებული სარგებლის შემცირება; 9. დანაშაულებრივი საქმიანობის შეწყვეტა და რეაბილიტაცია, იხ. *ბიორგო ტ.*, დასახ. ნაშრ., 50-66.

Action Theory), რომლის მიხედვითაც, „ადამიანის მორალი არის ის ძირითადი მიზეზი, რატომაც იკავებენ ისინი დანაშაულის ჩადენისაგან თავს“.[1410]

საკითხის ასეთი ფორმულირება ქრისტიანულ მოძღვრებასთან თანხვედრაშია, თუმცა, ირკვევა, რომ საუბარი შეეხება მხოლოდ ადამიანურ და უმრავლესობის მორალს. *ბიორგოს* აზრით, „აღნიშნული მორალური წარმოდგენები, ... ადამიანს პოზიტიური სოციალიზაციის პროცესში უვითარდება აღზრდის პროცესში...“ და „თვითკონტროლი ეს არის უნარი იმოქმედო საკუთარი თავისთვის დადგენილი მორალური სტანდარტებით, ... რომელიც ერთვება ისეთ ქმედებებში, როდესაც არსებობს მორალური კონფლიქტი, ადამიანის მორალსა და საზოგადოების, ანუ საერთო მორალს შორის.“[1411]

ის ფაქტი, რომ ნორმატიულ ბარიერებში საღვთო მორალზე საერთოდ არ აკეთებს *ბიორგო* მინიშნებას, გაკვირვებას არ უნდა იწვევდეს, რადგან პოზიტიურ სამართალში, კონვენციური და ინდივიდუალური მორალი აუცილებლობით არ ეთხვევა საღვთო მორალს.

მიუხედავად იმისა, რომ *ტ. ბიორგო* თეოლოგიური მიდგომების გამოყენებაზე, ნაშრომში მხოლოდ გაკვრით საუბრობს,[1412] ნორმატიულ ბარიერებში ნახსენები მორალი, მაინც ვერ გაიგივდება ქრისტიანულ მორალთან.

მეორე მექანიზმს წარმოადგენს „*დანაშაულებრივ სოციალურ გარემოში ან აქტივობებში ადამიანის ჩართვის/გაწევრიანების შემცირება*“. ამ მექანიზმის არსი მდგომარეობს: ა. ადამიანისთვის დანაშაულის ჩადენამდე ხელის შეშლაში, რადგან თუ ადამიანი ერთხელ ჩაიდენს დანაშაულს, მისი მხრიდან განმეორებითი დანაშაულის ალბათობა იზრდება, და ბ. ვინაიდან ციხეში არსებულ სოციალურ გარემოში დანაშაული ნორმალურ და პოზიტიურ მოვლენად განიხილება, დანაშაულის რეციდივის ალბათობა იზრდება, რაც ფიქსირდება ახალგაზრდა ასაკის დამნაშავეებში (*საზერლენდი*).[1413]

საყურადრებოა ის ფაქტი, რომ *ბიორგო*, ამ პრობლემის გადაჭრას სოციალური და ეკონომიკური პრობლემების მოგვარებაში ხედავს,[1414] მაშინ როდესაც მეცნიერებისთვის ცხადზე ცხადია, რომ მხოლოდ აღნიშნული პირობების გაუმჯობესება ვერ იძლევა სასურველ შედეგს. იმის გამო, რომ აღნიშნული პრობლემა დეტალურად იქნა

[1410] *ბიორგო ტ.*, დასახ. ნაშრ., 43.

[1411] იხ., იქვე, 43, 45.

[1412] 1. აღნიშნულია, რომ მიკრო დონეზე პრევენციული ღონისძიებების გამტარებლების კვალიფიკაცია და ღირებულებები საკმაოდ მნიშვნელოვანია იმ საკითხის გადასაწყვეტად, თუ რომელი საშუალებების გამოყენებაა მიზანშეწონილი (პოლიციის ჩარევა, ახალგაზრდა მუშაკები, სასულიერო პირები ან მასწავლებლები)“; 2. „სხვისი ნივთის მოპარვა ჩვენი სინდისისა და ფუნდამენტური მორალური ღირებულებების საწინააღმდეგოა, რომელიც სათავეს იღებს აღზრდიდან და რომელშიც მონაწილეობას იღებს მშობლები სკოლა და სხვა მორალური ინსტიტუტები. „ხსენებული ნორმა მყარად დგას რელიგიურ მორალურ სისტემაშიც. „არ იპარო“ - არის ქრისტიანული სამყაროს მეშვიდე მცნება“, იხ. *ბიორგო ტ.*, დასახ. ნაშრ., 29, 72.

[1413] იხ., იქვე, 47-48.

[1414] იხ. *ბიორგო ტ.*, დასახ. ნაშრ., 48.

გამოკვლეული დისერტაციაში, კომენტარის გაკეთება აღარ წარმოადგენს აუცილებლობას.[1415] საკმარისია აღინიშნოს მხოლოდ პირველი ცოდვის ჩადენის ისტორია. ვინმეს შეუძლია ამტკიცოს, რომ ედემის ბაღში, ადამისა და ევას ცხოვრება ეკონომიურად ან სოციალურად არ იყო უზრუნველყოფილი? რა თქმა უნდა, არა. დანაშაულის პირველი მიზეზი, როგორც ცნობილია, იყო ბოროტი ტრანსცენდენტული ძალა, რომელმაც ადამიანში ამპარტავნების ვნება აღძრა. გარდა ამისა, ბიბლიის არაერთი მუხლიც ადასტურებს, რომ ცოდვა ხშირად არის ფსევდო კეთილდღეობის შედეგიც (რჯლ. 32, 15; ნეემ. 9, 28; იერ. 48, 11; იეზეკ. 16, 49; 28, 5). ამ ფონზე, აქსიომატურია ის დებულებაც, რომ დაუსჯელობა აღრმავებს ადამიანში ვნების ხარისხს და ცოდვის განმეორებით ჩაიდინის სურვილსაც, რაც კარგად ვლინდება ლუდომანიაში, ნარკოტიკების მოხმარებაში და ნებისმიერ სხვა ანტისოციალურ ქმედებაში.

ამგვარად, გამოსავალი, უპირველეს ყოვლისა საძებარია, ადამიანის ცოდვილ ბუნებაში და უხილავ ნეგატიურ ძალაში, და შემდეგ, ეკონომიკურ და სოციალური პირობების არქონაში, რაც *ბიორგოს* დანაშაულის პრევენციის მეორე მექანიზმში არ არის საერთოდ ნახსენები და ნაგულისხმევიც.

ანალოგიურად შეიძლება გაანალიზდეს დანაშაულის პრევენციის საყოველთაო მოდელის ყველა სხვა დანარჩენი შვიდი მექანიზმიც. თუმცა, *ბიორგოს* ნაშრომის ყველაზე საყურადღებო მომენტს წარმოადგენს მისი განცხადება, რომ „აღნიშნულ მოდელს აშკარად გააჩნია პრეტენზია წარმოადგენდეს დანაშაულის პრევენციის ყოვლისმომცველ მოდელს.“[1416] წიგნში აღნიშნული მოდელი ასევე მოიხსენიება, როგორც „სრულყოფილი მოდელი“.[1417]

რელიგიური ფაქტორის გარეშე, შეიძლება თუ არა დანაშაულის პრევენციის რომელიმე მოდელს ჰქონდეს ყოვლისმომცველობის ან სრულყოფილობის პრეტენზია, ამას წარმოაჩენს სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზი, რომელიც შეეხება რელიგიის გავლენას დანაშაულობაზე.

4.2.3 რელიგიის გავლენა დანაშაულობაზე

რელიგიისა და დანაშაულ(ობ)ის კორელაციის საკითხზე არსებული ვრცელი სამეცნიერო ლიტერატურიდან განსაკუთრებით საყურადღებოა ცნობილი კრიმინოლოგის *პროფ. ბ. ჯონსონის* შრომები. *ავტორი* რელიგიის, კრიმინოლოგისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების საკითხებთან ერთად, იკვლევს რელიგიისა გავლენის საკითხებს დანაშაულობაზე და აკეთებს შესაბამის დასკვნებსაც, მაგალითად:

[1415] დამატებით იხილეთ წინამდებარე დისერტაციის ქვე-პარაგრაფი: 3.3.4.2 ვნება (ცოდვა), როგორც უარყოფითი მოვლენა.

[1416] *ბიორგო ტ.*, დასახ. ნაშრ., 19.

[1417] იხ., იქვე, 41.

ნაშრომში „*რელიგიურ მსახურებაში მონაწილეობა და დანაშაულებრივი ქმედება*“ აღნიშნულია, რომ: „ემპირიული მონაცემები ამტკიცებს, რომ რელიგიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ისეთ საზოგადოებებშიც კი, რომლებიც ხასიათდებიან ჩამორჩენილობით, სიღარიბით, გაჭირვებითა და დეზორგანიზაციით (*Freeman 1986; Jang* და *Johnson 2001; Johnson და სხვ., 2000*)“.[1418] ირკვევა ისიც, რომ „იმ მტკიცებულებების რაოდენობა, რომ რელიგიურ ცხოვრებას შეუძლია სამართალდარღვევების ფართო სპექტრის შემცირება, როგორც მსუბუქი, ასევე მძიმე დანაშაულებრივი ქმედებებისა, სულ უფრო მატულობს“ (*Evans და სხვ.,* 1996).[1419]

ჯონსონი ჯამში აანალიზებს 109 კვლევას. აქედან, 895 პროცენტით, ანუ 97 კვლევით მტკიცდება, რომ რელიგიური მსახურებაში მონაწილეობა, დადებითად აისახება დანაშაულებრივი და დევიანტური ქცევების შედეგებზე, რომ რელიგიურობის ზრდა დაკავშირებულია დანაშაულებისა და სამართალდარღვევების დონის შემცირებასთან. თუმცა, 11 კვლევამ, ვერ გამოავლინა ასეთი კავშირი ან აჩვენა შერეული შედეგები, და მხოლოდ ერთმა კვლევამ დაგვანახა, რელიგიის კავშირი საზიანო შედეგთან.[1420]

ამერიკელი ფსიქოლოგის *მ. სელიგმანის* მსგავსად, *ჯონსონიც* აკეთებს დასკვნას, რომ: „ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში, მკვლევარებს გამუდმებით შეჰქონდათ წვლილი ახალი, რელიგია-დანაშაულის ლიტერატურის შექმნაში. დიდი ხანი არ არის გასული, რაც რელიგიასა და დანაშაულობას შორის არსებულ კავშირზე ჩამოყალიბდა კონსესუსი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კვლევებში, რომლებიც იყენებენ აბსოლუტურად განსხვავებულ კვლევის მეთოდებს, ნიმუშებს და სქემებს, მუდმივად ფიქსირდება რელიგიურობის ზრდასა (რელიგიურობა, რელიგიური მსახურება ან რელიგიურ მსხურებაში მონაწილეობა) და დანაშაულის ან დელიკვენტობის მაჩვენებლების შემცირებას შორის კავშირი. აღნიშნული შედეგები განსაკუთრებით თვალშისაცემია ქვეყნის დონეზე მეთოდოლოგიურად და სტატისტიკურად უფრო კომპლექსურ კვლევებში.“[1421]

შემაჯამებელ ნაწილში *ბ. ჯონსონი* აღნიშნავს, რომ „რელიგია მყარი ცვლადია. იგი, როგორც წესი, ასოცირდება დანაშაულის, დელიკვენტობის, ან რეციდივიზმის შემცირებულ ალბათობასთან, და ამის გამო, კრიმინოლოგებმა და სოციოლოგებმა აღარ უნდა მოახდინონ ამის უგულებელყოფა. მისი აზრით, რელიგიური ცვლადის გაუთვალისწინებლობა გამოიწვევს იმას, რომ მკვლევარები აღმოჩნდებიან უძლურნი იმ

[1418] *Johnson B.R.*, Religious Participation and Criminal Behavior, ციტირებულია წიგნიდან: Effective Interventions in the Lives of Criminal Offenders, (eds. John A. Humphrey, Peter Cordella), published by „Springer”, New York, USA, 2014, 7.

[1419] იხ., იქვე, 8.

[1420] იხ., იქვე, 9.

[1421] იხ., იქვე.

მოდელების შეფასებაში, რომლებიც მოწოდებულნი არიან ახსნან რელიგიის პირდაპირი თუ ირიბი გავლენა დანაშაულობაზე და სამართალდარღვევაზე."[1422]

რაც შეეხება *ჯონსონის* სხვა ნაშრომს, კერძოდ, „*რელიგიური ინსტიტუტების როლი, დანაშაულობასა და დელიკვენტობაზე რეგირების საქმეში*", აღნიშნულია, რომ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მიუხედავად, რელიგიურობა ახალგაზრდებს იცავს დანაშაულებრივი ქცევისა და დევიანტური ქმედებებისგან, ხელს უწყობს ადამიანს მოიქცეს დადებითად და/ან ნორმის ფარგლებში. ნაშრომის დასკვნით ნაწილში კი, ვკითხულობთ: „კვლევით მტკიცდება რწმენის, რელიგიისა და რელიგიური ინსტიტუტების საქმიანობის დადებითი როლი დანაშაულობის შემცირებაში, დამნაშავეთა რეაბილიტაციასა და დამნაშავეთა მიმართ სასჯელის მოხდის შემდგომ მზრუნველობაში".[1423]

წიგნში „*მეტი ღმერთი, ნაკლები დანაშაულობა*", *ბ. ჯონსონი* ამტკიცებს, რომ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემა კატასტროფულ დონეზეა და კვლევების მიუხედავად, რომლებიც დაგვანახებს დანაშაულის პოლიტიკის გადაწყვეტაში რწმენაზე დაფუძნებულ სარგებელს, მრავალი „ექსპერტი" იჩენს საკითხისადმი გულგრილობას, გაითვალისწინონ შესაბამისი ზომები თავიანთ რეკომენდაციებში. აღნიშნული წიგნი ეყრდნობა უახლოეს კვლევებს, რათა ნათლად დაგვანახოს, რომ დანაშაულობასთან ბრძოლის ნებისმიერი პოლიტიკა უნდა ითვალისწინებდეს სახელმწიფოსა და რელიგიურ რწმენაზე დაფუძნებულ პარტნიორულ ძალისხმევას.[1424]

განსაკუთრებით, საინტერესოა წიგნის მე-5 თავი, რომელშიც *ჯონსონი* ახდენს ყველა იმ კვლევის სისტემატურ აანალიზს, რომელიც შეეხება რელიგიის გავლენას დანაშაულ(ობა)ზე. ჯამში გაანალიზებულია 65 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული 272 კვლევა, რომელიც წარმოადგენს ლიტერატურის ყველაზე ვრცელ ანალიზს, რაც კი დღემდე ჩატარებულა. ლიტერატურის მიმოხილვის დასკვნა, აბსოლუტურ მხარდაჭერას აფიქსირებს იმასთან დაკავშირებით, რომ რელიგია დანაშაულის ძლიერი ანტიდოტია.[1425]

სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზზე დაყრდნობით, მსგავსი შინაარსის დასკვნები, სხვა მრავალ მეცნიერსაც აქვს გაკეთებული. მაგალითად, ნაშრომში „*ამერიკის შეერთებულ შტატებში რელიგიურობის პროფილი და მათი კავშირი მოზარდების სარისკო ქცევასთან*" წერია, შემდეგი: „კვლევებით ირკვევა, რომ

[1422] იქვე.

[1423] *Johnson B.R.*, The Role of Religious Institutions in Responding to Crime and Delinquency, ციტირებულია წიგნიდან: The Oxford Handbook of the Sociology of Religion-Oxford University Press (ed. Peter B. Clarke), online publication, 2011, 858-875.

[1424] იხ. *Johnson B.R.*, More God, Less Crime: Why Faith Matters and How it Could Matter More, Templeton Press, USA, 2011.

[1425] იხ., იქვე, 2011, 73-98.

„რელიგიურად მორწმუნე ახალგაზრდები ნაკლებად მოიხმარენ ნარკოტიკულ ნივთიერებებს (*Johnson*, *Sheets*, & *Kristeller*, 2008) და ნაკლებად მონაწილეობენ ანტისოციალურ ქცევებში, დანაშაულსა (Baier &Wright, 2001) და ძალადობაში (Salas-Wright, Vaughn, & Maynard, 2014)“.[1426]

პროფ. *ბ. ოჩეინი*, ნაშრომში „სულიერება და შავკანიანთა საზოგადოება: დანაშაული, ვიქტიმიზაცია და კეთილდღეობა“ აკეთებს შემდეგ დასკვნას: „სულიერება განსაკუთრებით სასარგებლოა იმ ადამიანების კეთილდღეობისთვის, რომლებიც განიცდიან ზიანს და ვიქტიმიზაციას“[1427] და სხვა.

დაბოლოს, სოციალურ მეცნიერებათა ენციკლოპედიის, „*Marripedia*“-ს კვლევების მონაცემებით. დგინდება, რომ სხვა მეგალოპისებისგან განსხვავებით, იქ სადაც სათემო გაერთიანებებსა და რაიონების მაცხოვრებლებში, ერთი რელიგიის აღმსარებლობის დონე მაღალია, მკვლელობებისა და თვითმკვლელობების დონე, როგორც წესი, დაბალია.[1428] შედარებით რელიგიური მოსახლეობის მქონე შტატებში, როგორც წესი, ნაკლები მკვლელობები და თვითმკვლელობებია.[1429] აღნიშნულია, რომ „დანაშაულის პრევენციის თვალსაზრისით რელიგიურ მსახურებაზე დასწრება იმდენად ეფექტურია, რომ სახელმწიფო კეთილდღეობის პროგრამებიც კი ვერ შეედრება მას. როდესაც ქალაქის ცენტრალური ნაწილის ახალგაზრდა შავკანიანი მოსახლეობა რეგულარულად ესწრება რელიგიურ მსახურებას, მაშინ 57 %-ით მცირდება ნარკოტიკების გაყიდვის, ხოლო 39 %-ით დანაშაულის ჩადენის ალბათობა.“[1430]

4.2.4 შეჯამება

რელიგიისა და დანაშაულ(ობ)ის გავლენაზე მეცნიერებაში არსებული განსხვავებული პოზიციების მიუხედავად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ კვლევების თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა ადასტურებს რელიგიის დადებით ეფექტს

[1426] იხ. *Salas-Wright, Christopher P.*, *Michael G. Vaughn*, and *Brandy R. Maynard.*, Profile of Religiosity and their Association with Risk Behavior among Emerging Adults in the United States (2014, Society for the Study of Emerging Adulthood and SAGE Publications), Volume 3, Issue 2, 2015, 67–84, <https://journals.sagepub.com/doi/10.1177/2167696814539327>, მოპოვების თარიღი: 21.07.2020).

[1427] *Ochieng B.*, Spirituality and the Black Community: Criminality, Victimisation and Well-Being, იხ.: Religion, Faith and Crime (eds. Kim Sadique, Perry Stanislas), Published by „Palgrave Macmillan“, UK, 2016, 321.

[1428] იხ. *Hummer R.A.*, *Ellison Chr.G.*, *Rogers R.G.*, *Moulton B.E.*, and *Romero R.*., „Religious Involvement and Adult Mortality in the United States: Review and Perspective,“ *Southern Medical Journal* 97, №12 (December 2004): 1224-1225, <http://marripedia.org/effects_of_religious_practice_on_crime_rates>, (მოპოვების თარიღი: 21.07.2022).

[1429] იხ. *Lester D.*, „Religiosity and Personal Violence: A Regional Analysis of Suicide and Homicide Rates,“ *The Journal of Social Psychology* 127, № 6 (December 1987), 685-686, <http://marripedia.org/effects_of_religious_practice_on_crime_rates>, (მოპოვების თარიღი: 22.07.2022).

[1430] *Johnson B.R.*, *Larson D.B.*, *Li S.D.*, and *Jang S.J.*, “Escaping from the Crime of Inner Cities: Church Attendance and Religious Salience Among Disadvantaged Youth,” *Justice Quarterly* 17, №2 (June 2000), 377-339, <http://marripedia.org/effects_of_religious_practice_on_crime_rates>, (მოპოვების თარიღი: 22.07.2022).

დანაშაულობის პრევენციაზე. კვლევებსაც რომ თავი დავანებოთ ლოგიკურადაც შეუძლებელია რელიგიის დანაშაულის მიზეზად ჩათვლა, რადგან მსოფლიოში არსებული ყველა რელიგია გმობს ძალადობას და ექსტრემიზმს.

რელიგიის დანაშაულობის მიზეზად მიჩნევის უსაფუძვლობას, გარდა ზემოთ მოყვანილი კვლევებისა, თვისებრივად სხვა, მაგალითად, ექზისტენციალური ხასიათის კვლევებიც ადასტურებს. მაგალითად, იმის გასარკვევად, თუ რაში ხედავს ადამიანი ცხოვრების აზრს, მსოფლიო მასშტაბით სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარდა მოსახლეობის გამოკითხვა. კვლევის შედეგებით, პროცენტები გადანაწილდა შემდეგნაირად: ოჯახი და ბავშვები - 38%; პროფესია, კარიერა - 25%; მატერიალური კეთილდღეობა - 19%; მეგობრები და საკუთარი ჯანმრთელობა - 18%; თავისუფლება და დამოუკიდებლობა - 12%. სიაში ბოლო ადგილს იკავებს რელიგია - 2%-ით და შინაური ცხოველების მოვლა - 1%.[1431]

აღნიშნული კვლევა, საუკეთესო ილუსტრაციაა იმისა, რომ დანაშაულობის მიზეზები ღმერთს კი არ უნდა მიეწეროს, ან რელიგიურად მოტივირებულ ქმედებებს, არამედ მხოლოდ ღმერთის ურწმუნოებას.

პარადოქსია ისიც, რომ მეცნიერება ფორმალურად იზიარებს თეოლოგიურ მოძღვრებას ბევრ ასპექტში. მაგალითად, დანაშაულის ტრანსცენდენტულობასთან დაკავშირებით, გონებაში მიმდინარე აზრთა ჭიდილს და ფსიქიკაში დანაშაულის ჩადენაზე გადაწყვეტილების მიღებას, რომ ფსიქიკა, არ მიეკუთვნება პიროვნულ შრეს[1432] და ა.შ.

გარდა ამისა, დანაშაულ(ობ)ის პრევენციასთან მიმართებაში თავად კრიმინალისტებიც მიუთითებენ სისხლის სამართლის პოლიტიკის არაეფექტურობაზე და არაფორმალური კონტროლის საშუალებების უპირატესობაზე ამახვილებენ ყურადღებას, მაგალითად:

რაიმონდ პეტერნოსტერი სასჯელის დამაშინებელ ეფექტზე ლიტერატურის დეტალური შესწავლის შემდეგ აღნიშნავს, რომ „ემპირიულ მტკიცებულებებს მივყავართ დასკვნამდე, რომ სასჯელს მხოლოდ მცირედით თუ აქვს დაშინების ეფექტი.“[1433] *გ. ნაჭყებიას* აზრით, „დანაშაულთა კანონზომიერების აღმოფხვრა სისხლის სამართალს არ შუძლია“.[1434] *მ. უგრეხელიძე* კი, საუბრობს დანაშაულობის პრევენციაში საღვთო სამართლის დადებით როლზე: „ზეციურ სამართალს აქვს ძალიან დიდი პრევენციული მნიშვნელობა, იგი აიძულებს ადამიანებს იყვნენ უფრო ფრთხილი გაცილებით თავისი

[1431] იხ. В Чем Смысл Наших Страданий? (персональный блог Михаэля Лайтмана „Каббала, Наука и Смысл Жизни“),<https://www.laitman.ru/crisis/292908.html>, (მოპოვების თარიღი: 14.02.2022).

[1432] იხილეთ წინამდებარე დისერტაციის ქვე-პარაგრაფი: 3.3.3 მეცნიერება ვნების თვისებრივ (ტრანსცენდენტულ) ბუნებაზე.

[1433] *გიორგო ტ.*, დასახ. ნაშრ., 51.

[1434] *ნაჭყებია გ.*, (1998), დასახ. ნაშრ., 51.

მომავლის მიმართ. არ ჯობია, რომ შენ იმთავითვე ეზიარო ღვთიურ სიკეთეებს ვიდრე იძულებული გახდე მერე ჯოჯოხეთში ამოჰყო თავი?“[1435]

იმ ფონზე, როდესაც თავად *ტ. ბიორგო* აღიარებს, რომ „ცოდვილი ადამიანის და უმრავლესობის მორალი არის ის ძირითადი მიზეზი, რატომაც იკავებენ ადამიანები დანაშაულის ჩადენისაგან თავს“[1436] და რომ „სინდისი არის სწორედ ის, რაც უმეტესი დანაშაულის პრევენციას ახდენს“,[1437] შეუძლებელია საღვთო მორალის პრიმატის ვერდანახვა ცოდვილი ადამიანის მორალთან შედარებით, და ეკლესიის როლის გაუთვალისწინებლობა დანაშაულის პრევენციის სხვა აქტორებს (სუბიექტებს) შორის, მით უფრო, რომ ემპირიული კვლევებით მტკიცდება რელიგიისა და რწმენის დადებითი ეფექტი დანაშაულ(ობ)ის თავიდან აცილებაში.

ამდენად, მეცნიერულ კვლევებსა და ლოგიკურ დასკვნებზე დაყრდნობით მართებული იქნება დასკვნის სახით აღინიშნოს, რომ დანაშაულობის პრევენციის ყოვლისმომცველ და სრულყოფილ მოდელში რელიგია, საღვთო რწმენა და საღვთო მსახურება წარმოადგენს დანაშაულ(ობ)ის პრევენციის ძირითად, ხოლო სხვა დანარჩენი, დამხმარე მექანიზმებს, იმის გამო, რომ დანაშაულ(ობ)ის მიზეზი სულიერია, ტრანსცენდენტულია (ეკლესიური გაგებით).[1438]

დაბოლოს, კიდევ უფრო კარგად რომ წარმოჩინდეს რელიგიური მოძღვრების დადებითი გავლენა დანაშაულობის პრევენციის პოლიტიკაში, ცალკე საკითხად გაანალიზდება „მონანიების“ სათნოება, როგორც დამნაშავის პიროვნების გამოსწორების უმთავრესი ფაქტორი. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ *ტ. ბიორგოს* დანაშაულობის პრევენციის „ყოვლისმომცველ“ მოდელში, მესამე პრევენციის მექანიზმად განსაზღვრულია „დაშინება სასჯელის შიშით ან სხვა უარყოფითი სანქციებით“.[1439] საყურადღებოა ის ფაქტი, რომ დანაშაულობის პრევენციის „ყოვლისმომცველი“ და „სრულყოფილი“ მოდელი საერთოდ არ მსჯელობს მონანიებაზე, მაშინ როდესაც პენიტენციური სისტემა, დაფუძნებულია მონანიების ქრისტიანულ კონცეფციაზე და გულისხმობს სინანულის გზით მსჯავრდებულის გამოსწორებას.

4.3 მონანიება, როგორც დამნაშავის გამოსწორების უმთავრესი ფაქტორი

მონანიების კონცეფციის მიმართ კრიმინოლოგიის ინტერესი, მდგომარეობს იმაში, რომ მონანიება პირდაპირ კავშირშია სისხლის სამართლის სასჯელის მიზნებთან.

[1435] ტელე-გადაცემა, „პულსი TV“, სათაურით „სტუმრად მინდია უგრეხელიძე - ნაწილი 2“, (10 თებერვალი 2020 წელი, წუთი: 15:00-15:30), იხ: <https://www.youtube.com/watch?v=QMPl7p_OB1k>, (მოპოვების თარიღი: 07.06.2020).

[1436] *ბიორგო ტ.*, დასახ. ნაშრ., 43.

[1437] იხ., იქვე, 72.

[1438] იხილეთ წინამდებარე დისერტაციის თავი 3. დანაშაულობის დეტერმინანტები.

[1439] მესამე მექანიზმს წარმოადგენს „დაშინება სასჯელის შიშით ან სხვა უარყოფითი სანქციებით“, იხ.: *ბიორგო ტ.*, დასახ. ნაშრ., 50-66.

კერძოდ, დამნაშავის რესოციალიზაციასთან, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს დანაშაულის პრევენციას.

სამეცნიერო ლიტერატურაში რესოციალიზაციასთან ერთად გამოიყენება ისეთი სინონიმური ტერმინები და ცნებები, როგორიც არის გამოსწორება, რეაბილიტაცია, მკურნალობა.[1440] მაგალითად, გერმანულ ლიტერატურაში, თავდაპირველად გამოსწორებასთან დაკავშირებით, დამნაშავე სულიერ ავადმყოფს ნიშნავდა.[1441] რაც შეეხება მკურნალობას, ცნობილია, რომ მკურნალობის მიზანი არის მსჯავრდებულის რესოციალიზაცია.[1442] რეაბილიტაციის ცნების ქვეშ კი, იგულისხმება ყველა ის ღონისძიება, რომელთა მიზანი არის ფიზიკური, ინტელექტუალური და ფსიქიკური ნაკლის მქონე ადამიანების ან საშიში უნარ-შეზღუდული ადამიანების დახმარება.[1443] *მ. ლეკვეიშვილი* აღნიშნავს, რომ „ტერმინების სხვაობისდა მიუხედავად, რესოციალიზაციაც თავის თავში დამნაშავის გამოსწორებას გულისხმობს. მასში უნდა ვიგულისხმოთ, პირველ რიგში, დამნაშავის ფსიქიკაში დანაშაულის ჩადენისადმი მიდრეკილების აღმოფხვრა, მისთვის ისეთი ჩვევისა თუ შეხედულების შთაგონება, რომელიც გამორიცხავს მის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის სურვილს.“[1444]

თუმცა, მონანიების კონცეფციის მიმართ კრიმინოლოგიის განსაკუთრებული ინტერესი იმაშია, რომ თანამედროვე სასჯელაღსრულების სისტემა ეფუძნება მონანიების ქრისტიანულ დოქტრინას. საქართველოს შემთხვევაში, აღნიშნული საკითხის მიმართ აქტუალობას განაპირობებს ის გარემოება, რომ მონანიების მარეაბილიტირებელი და პრევენციული ფაქტორი საერთოდ არ არის გამოკვლეული ქართულ კრიმინოლოგიაში.

კვლევა კი, დაიწყება მონანიების კონცეფციის ანალიზით. რადგან ცნების ეფექტიანი ოპერაციონალიზაციისათვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს ტერმინის ეტიმოლოგიური ანალიზი, თავდაპირველად განვიხილავთ „მონანიების“ ეტიმოლოგიას. ყურადრებას გავამახვილებთ „მონანიების“ ლინგვისტურ, ფონეტიკურ და მნიშვნელობით ვარიაციებზე, ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე. გავაანალზიებთ მონანიების დეფინიციებს და მოვახდენთ მის სახასიათო ნიშნების იდენტიფიცირებას.

[1440] იხ. *შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., ხასია მ.*, სასჯელაღსრულების სამართალი, გამომც. „იურისტების სამყარო,“ თბ., 2014, 77.

[1441] იხ. H. Cornel, G. Kavamura-Reindl, B. Maelicke, B.R. Sonnen (Hrsg.), Resozialisierung. 3. Auflage. Baden-Baden 2009. S. 35, ციტირებულია წიგნიდან: *მ. შალიკაშვილი, გ. მიქანაძე, მ. ხასია*, სასჯელაღსრულების სამართალი, გამომც. „იურისტების სამყარო“, თბ., 2014, 77.

[1442] იხ. Y. Yamanaka, Maßnahmen bei psychisch kranken Straftätern. Ein Vergleich zwischen Deutschland und Japan, München, 2008, S. 61., ციტირებულია წიგნიდან: *ვარძელაშვილი ი.*, სასჯელის მიზნები (სადისერტაციო ნაშრომი), თსუ-ს გამომცემლობა, თბ., 2016, 93.

[1443] იხ. *C. Schneck*, Übergangsmanagement zur besseren (Re-) Sozialisierung? Eine vergleichende Fallstudie am Beispiel erwachsener Klienten, Hamburg, 2012, S. 8, ციტირებულია: *ვარძელაშვილი ი.*, დასახ. ნაშრ., 95.

[1444] იხ. არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეფარდების პრობლემები, თბ., 2011, 55., ციტირებულია წიგნიდან: *ვარძელაშვილი ი.*, დასახ. ნაშრ., 90.

ცალკე იქნება გაანალიზებული მონანიების ისეთი ცენტრალური ასპექტები, რომლებიც შეეხება მონანიების მარეაბილიტირებელ შედეგებს და ღმერთის როლს დამნაშავის გამოსწორებაში. გამოკვლეული იქნება პენიტენციური სისტემის შექმნისა და მისი განვითარების ეტაპები. დაბოლოს, გაანალიზდება პენიტენციურ სისტემაში მონანიების მართლმადიდებლური კონცეფციის პრაქტიკირების საკითხები.

4.3.1 მონანიების მართლმადიდებლური კონცეფცია

4.3.1.1 ტერმინი „მონანიება“ - ეტიმოლოგიური ანალიზი

თეოლოგიური ლიტერატურის ანალიზით ირკვევა, რომ „მონანიებას“ შეესაბამება ბერძნული სიტყვა „*metanoia*“. *დ. ლამბერტი* აღნიშნავს, რომ წინდებულ *meta*-თი, რაც მიუთითებს „მდგომარეობის შეცვლას“ და *noeō*-ით, რომელიც წარმოსდგება არსებითი სახელიდან *nous* და ნიშნავს „აზრს“, სიტყვა „*metanoia*“ შეიძლება ნიშნავდეს „გაცნობიერებას, რაღაცის შემდგომ“, „აზრის შეცვლას“, ან მარტივად რომ ვთქვათ, „წუხილს, სინანულს“.[1445]

ისტონის ბიიბლიის ლექსიკონის მიხედვით, ახალ აღთქმაში „მონანიების“ გამოსახატად, გამოყენებულია სამი ბერძნული სიტყვა *metamelomai*, *metanoeo* და *metanoia*: 1. ზმნა *metamelomai* გამოიყენება აზრის ცვლილების აღსანიშნად, რომელსაც მოსდევს წუხილი, ან სინდისის ქეჯნა ცოდვის გამო, მაგრამ არავითარ შემთხვევაში გულის შეცვლას, და გამოიყენება იუდას სინანულის აღსაწერად (მათე 27, 3); 2. *metanoeo* ნიშნავს გონებისა და მიზნის შეცვლას და ეფუძნება რაღაცის გაცნობიერებას. ამ ზმნიდან კი, მიღებულია 3. არსებითი სახელი *metanoia*, რომელიც გამოიყენება ჭეშმარიტი სინანულის, გონების, მიზნისა და ცხოვრების შეცვლის გამოსახატად, და რასაც საფუძვლად უდევს ცოდვის მიტევების პირობა.[1446]

რ. უილკინის მიხედვით, სიტყვა *metamelomai* ასოცირდება წუხილთან (შდრ. 2 კორ. 7, 8), რომელსაც, როგორც წესი, თან მოსდევს აზრის შეცვლა (შდრ. მათე 21, 29), ან ასოცირდება სინდისის ქეჯნასთან (შდრ. მათე 27, 3), მაგრამ არასდროს გულისხმობს ცოდვებისაგან განდგომას.[1447] ახალ აღთქმაში, სიტყვა *metanoia* გამოყენებულია 58-ჯერ, ხოლო *metamelomai* 6-ჯერ.[1448]

რ. უილკინი ასევე იკვლევს „*metanoia*“-ის ლექსიკურ თავისებურებებს ქრისტიანობამდე და ქრისტიანობის შემდგომ პერიოდებში და აღნიშნავს, რომ

[1445] იხ. *Lambert D.A.*, How Repentance Became Biblical, Judaism, Christianity and the Interpretation of Scripture, Oxford University Press, UK, 2015, 155.

[1446] იხ. Eastons Bible Dictionary (by *M. G. Easton*; third edition), published by Thomas Nelson, 1997, USA, 995-996;

[1447] იხ. *Уилкин Р.Н.*, Покаяние И Спасение, Лексические Особенности, Журнал Евангельского Общества Благодати, том 2:2, Техас, США, 1989, 6, <https://faithalone.org/wp-content/uploads/2021/04/Wilkin-Russian.pdf>, (მოპოვების თარიღი: 12.05.2013).

[1448] იხ. 1. *Уилкин Р.Н.*, დასახ. ნაშრ., 1; 2. John Louis, Forgivness, Part 1, A 21-Day Study Guide, <http://metanoiaministries.org/Historical.html>, (მოპოვების თარიღი12.05.2013).

ქრისტიანობამდე „*metanoia*“ გულისხმობდა „ვინმეზე ან რამეზე აზრის, ან გულის შეცვლას“. ქრისტიანობის წინა და შემდგომ პერიოდში (300 წელი ქრისტიანობამდე და 100 ქრისტიანობის შემდეგ) სიტყვა „*metanoia*“ განაგრძოდა იგივე მნიშვნელობით არსებობას. საუბარი ეხება ისეთ შემთხვევებს, როცა თავდაპირველად მიღებულ გადაწყვეტილებაზე, გარემოებების შეცვლით ან საქმეში მომხდარი ჩარევებით, ადამიანები უბრალოდ იცვლიდნენ აზრს ან გადაწყვეტილებას.[1449]

ძველი აღქმის ბერძნულ ვარიანტში (Septuagint), სიტყვები „*metanoia“* და „*metanoeo*“ ერთი და იგივე მნიშვნელობით ოცჯერ არის ნახსენები კანონიკურ, და შვიდჯერ, აპოკრიფულ წიგნებში. უმეტეს შემთხვევაში, „*metanoia*“ თარგმანებში ინარჩუნებს ქრისტიანობისწინა მნიშვნელობას, თუმცა, როდესაც კონტექსტი სპეციალურად მოიხსენიებს ცოდვის ჩადენით პირის მიერ აზრის შეცვლას, სიტყვა „*metanoia*“ ითარგმნება, როგორც „მონანიება“. ძველი აღქმის ფსევდოეპიგრაფულ წიგნებში, სიტყვები „*metanoia*“ და „*metanoeo*“ თითქმის ყოველთვის იმ კონტექსში იხმარება, როცა მსჯელობა ეხება ცოდვის მიტოვების აუცილებლობას, რათა თავიდან იქნას აცილებული ღმერთის სამსჯავრო. *ბეიმი* აკეთებს დასკვნას, რომ სიტყვა „*metanoia*“-მ შეიძინა „ცოდვებისაგან განშორების“ მნიშვნელობა,[1450] ხოლო *რ. უილკინი* აზუსტებს, რომ „ერთადერთი შემთხვევა, როდესაც სიტყვა *metanoia* შეიძლება ითარგმნოს, როგორც მონანიება, არის, როდესაც აზრის შეცვლა გამოწვეულია ცოდვების ჩადენით“.[1451]

რაც შეეხება, ქრისტიანობის შემდგომ პერიოდს, ირკვევა, რომ თარგმანებში, სიტყვა „*metanoia*“-ს პირველადმა მნიშვნელობა დაიწყო ტრანსფორმირება. ლათინელმა მამებმა სიტყვა „*metanoia*“ თარგმნეს, როგორც *პენიტენცია* (*paenitentia*), რომელმაც შეიძინა „ეპიტიმიის“ მნიშვნელობა.[1452] მამების აზრით, მარადიული ხსნის მისაღებად ადამიანს მართებული საქმეები უნდა ეკეთებინა, რომელსაც მღვდელი-აღმსარებელი დაუნიშნავდა ადამიანს, როგორც საკუთარი ცოდვების მონანიებას.[1453] ბიბლიის კანონიკური ლათინური ტექსტის შემქმნელმა *ჰიერონიმუსმა* დაამტკიცა თარგმანის ეს ძველი ლათინური ვერსია, როგორც ოფიციალური, და ამით, სიტყვა „*paenitentia*“-მ შეინარჩუნა „*metanoia*“-ს თარგმანის სანდოობა. გარდა ამისა, ეკლესიის ცოდვების დაკისრებისა და დასჯის სისტემა გახდა ოფიციალური მეთოდი, რომელსაც ადამიანები მიმართავდნენ მადლის მიღების იმედით.[1454]

[1449] იხ. *Уилкин Р.Н.*, დასახ. ნაშრ., 7.
[1450] იხ., იქვე, 2-3.
[1451] იხ., იქვე, 7.
[1452] იხ. სამოძღვრო-პედაგოგიური ხასიათის სასჯელის სახე, რომელსაც სინანულის მიზნით მღვდელი ნიშნავს ცოდვისთვის.
[1453] იხ. *Уилкин Р.Н.*, დასახ. ნაშრ., 3.
[1454] იხ., იქვე, 4.

როგორც ვხედავთ, „მონანიების“ აღმნიშვნელი სიტყვები, ისტორიის გარკვეულ ეტაპებზე განიცდიან ფონეტიკურ, ლინგვისტურ და შინაარსობრივ ცვლილებას. სიტყვა „*metamelomai*“ არ წარმოადგენს ჭეშმარიტ მონანიებას. სიტყვა „*metanoia*“, განსხვავებით „*metamelomai*“-სგან, ღმერთთან გულით დაბრუნებას გულისხმობს. გარდა ამისა, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ტერმინები პოლისემიური ტერმინებია, რადგან კონტექსტიდან გამომდინარე გააჩნიათ სხვადასხვა მნიშვნელობები. დაბოლოს, ტერმინ „მონანიების“ ეტიმოლოგიის ანალიზში, საყურადღებო მომენტს წარმოადგენს ქრისტიანობის შემდგომ პერიოდში ისეთი ფონეტიკური ერთეულის გამოჩენა, როგორიც არის „პენიტენცია“ (*paenitentia*), რომელმაც შემოიტანა ეპიტიმიის მნიშვნელობა და მადლის მიღების შესაძლებლობა.

4.3.1.2 მონანიების ცნების დამახასიათებელი ნიშნები

საეკლესიო ლიტერატურაში მონანიების შესახებ არაერთი განმარტება არსებობს. თითოეული მათგანი სხვადასხვა კუთხით აღწერს მონანიების კომპლექსურ ბუნებას, მაგალითად:

„ქრისტიანობის ლექსიკონის“ მიხედვით: „მონანიება ნიშნავს აღსარების, ანუ ცოდვათა მიტევებისა და ღმერთთან და ეკლესიასთან ცოდვის ჩამდენის შერიგების საიდუმლოს. თუ მონანიებას ღმრთის მიმართ გულმოწყალე სიყვარული იწვევს, მას „სრულყოფილი“ ეწოდება, თუ ის სხვა მიზეზებით არის გამოწვეული - „არასრულყოფილი“.[1455]

„ბიბლიის ლექსიკონებში“ განმარტებულია, რომ: „მონანიება სულაც არ ნიშნავს დასჯას. მონანიება არის უყოყმანო განდგომა ბოროტისაგან და გულით დაბრუნება ღმერთთან, რომელსაც ღმერთი ყველასაგან ითხოვს, ვინც მას დაშორდა (მათ. 3, 2; 4, 17; მარკ. 2, 17; 6, 12; იერ. 18, 11).“[1456] „ღმერთთან დაბრუნება“ (*return to YHWH*), გულისხმობს ადამიანის საწყის წერტილში დაბრუნებას, როდესაც ადამიანი ოდესღაც ღმერთთან იყო, შემდეგ მიატოვა და ისევ უნდა დაბრუნდეს მასთან. „ღმერთთან დაბრუნება“ ფიზიკურ დაბრუნებას არ გულისხმობს, არამედ აბსტრაქტულ კონცეფციას: მორჩილებაში დაბრუნებას, ღმერთის წინაშე დადებული აღთქმის ვალდებულებების განახლებულ შესრულებას (*დ. ლამბერტი*).[1457]

მართლმადიდებლური ენციკლოპედია მონანიებას განმარტავს, როგორც „ადამიანის ნეტარ გლოვას და ღმერთისადმი ლტოლვას (*penthos*) მისგან განშორების განცდის შემდეგ. მონანიება არის ღმერთისკენ მობრუნება და, შედეგად, არის ის, რასაც

[1455] იხ. *პეტროზილო პ.*, დასახ. ნაშრ., 207.

[1456] „მონანიება სულაც არ ნიშნავს დასჯას, მონანიება არის უყოყმანო განდგომა ბოროტისაგან და გულით დაბრუნება ღმერთთან, რომელსაც ღმერთი ყველასაგან ითხოვს, ვინც მას დაშორდა“ იხ. ბიბლიის ლექსიკონი (შემდგ. *ბ. გოეცე*), თბ., 2006, 282.

[1457] იხ. *Lambert D.A.*, How Repentance Became Biblical, Judaism, Christianity and the Interpretation of Scripture, Oxford University Press, UK, 2015, 72.

წმინდა წერილი აღწერს, როგორც გონების ან გულის რადიკალურ ცვლილებას (*metanoia*, იხ. მკ. 1.15)".[1458]

მეუდაბნოე მამების, *წმ. გრიგოლ პალამას* და ეკლესიის სხვა მოძღვართა მიხედვით, მონანიება ხელახალი დაბადების პროცესის დასაწყისია. ამ პროცესით ადამიანი ხდება ღვთაებრივი ბუნების თანაზიარი (2 პეტ. 1,4). მონანიება არის არა „მხოლოდ ცოდვის უარყოფა და სათნო ცხოვრებით ცხოვრება, არამედ გარდაქმნა, რომელიც ეხმარება ადამიანს თავისი სულის სიღრმეში აღმოაჩინოს ღმერთის მსგავსება."[1459]

წმ. ეპისკოპოსი გაბრიელ ქიქოძის მიხედვით, „მონანება არის, როდესაც კაცმა ისე ღრმად იცნო თავისი ცოდვა, რომ შეწუხდა სულითა და გულითა, მოიძულა და მოიძაგა ის ცოდვა".[1460]

წმ. ღირსი მამა გაბრიელი აღმსარებელი-სალოსის განმარტავს, რომ „გულით სინანულია, როდესაც აღსარებაში ნათქვამ ცოდვას შენდობის მერე არ გაიმეორებ. ესე იგი შეიზიზღე ცოდვა, განაგდე და აღარ ჩაიდენ. თუ გულით სინანულს ცრემლიც დაემატა, ეს ყველაზე კარგია. ცრემლი წმენდს ცოდვებს. ოღონდ ეს ყველაფერი ეხება ნებსით ცოდვებს. უნებლიე ცოდვებს ვერავინ გაექცევა და ყოველთვის უნდა ითქვას აღსარებაში" (*წმ. ბერი გაბრიელი*).[1461]

აღნიშნული განსაზღვრებიდან, პირობითად შეიძლება გამოვყოთ მონანიების ცნებისთვის დამახასიათებელი, ორი სახის ნიშნები:

1. რომლებიც აღწერენ თავად მონანიების (აღსარების) პროცესს, ესენია: ა. აღსარების თქმა; ბ. ცოდვათა მიტევება სასულიერო პირის მიერ და ა.შ., და

2. რომლებიც მონანიებას ახასიათებენ ფორმალურად, კერძოდ: ა. მონანიება არ არის დასჯა; ბ. მონანიება არის უყოყმანო განდგომა ბოროტისაგან, და ა.შ.

თუმცა, არსებობს მონანიების ცნების სხვა მნიშვნელოვანი ნიუანსებიც, რომლებიც პირდაპირ არ არის სახელდებული ზემოთმოყვანილ განსაზღვრებებში, მაგრამ ნაგულისხმევია. მაგალითად, ასეთია სულიწმიდის მადლი, რაც მონანიების ეტიმოლოგიურმა ანალიზმა დაგვანახა. მოყვანილ განსაზღვრებებში მადლი, კონკლუდენტურად არის მოცემული, როდესაც ვსაუბრობთ ღმერთთან თანაზიარებაზე, რომელიც ადამიანს ენიჭება სასულიერო პირთან აღსარების თქმისა და ცოდვის მიტევების შემდეგ. ამ, და სხვა ნიუანსების იდენტიფიცირება აუცილებელია მონანიების ცნების სრულად დასახასიათებლად. ამდენად, მიზანშეწონილია, გამოკვლეულ იქნას

[1458] The Encyclopedia of Eastern Orthodox Christianity (edt. by *John Anthony McGuckin*), 2 Volume, Blackwell publishing Ltd, West Sussex, Uk, 2011, 468.

[1459] იქვე, 467.

[1460] ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა I ტომი (თქმულნი 1870-1884) თბ., 2011, 306.

[1461] 1. *მ. ჯინორია*, (2019), დასახ., ნაშრ., 90; 2. *ა. მინდიაშვილი*, დასახ., ნაშრ., 103-104, 111.

ისეთი წყაროებიც, რომლებშიც მონანიების კონცეპტუალური ასპექტები მრავალ სპექტრშია წარმოდგენილი.

დოგმატური ღვთისმეტყველების მიხედვით, ირკვევა, რომ სინანული სულის სამკურნალოა, რომელიც შედგება ორი ქმედებისგან, მღვდელმსახურის წინაშე ცოდვებისა აღიარებისა და მღვდელმსახურის ლოცვითი ვედრებისაგან.[1462] ასევე, სინანული არის გამოსწორების ნების გამოვლინება, სურვილი და მტკიცე გადაწყვეტილება უკეთურ მიდრეკილებებთან ბრძოლისა.[1463] „ქრისტიანობის ლექსიკონი“ აღნიშნული ასპექტების გარდა, ყურადღებას ამახვილებს მონანულის განზრახვას აღასრულოს მის მიერ გამოწვეული ზიანის ანაზღაურება და გამოსწორებისათვის საჭირო სხვა ქმედებები.[1464]

ტ. უოტსონი „მონანიების დოქტრინაში“ გამოყოფს ჭეშმარიტი მონანიების ექვს შემადგენელ ელემენტს: 1. ცოდვის დანახვა; 2. მწუხარება ცოდვაზე; 3. აღსარების თქმა; 4. ცოდვის გამო სირცხვილი; 5. ცოდვისადმი სიძულვილი, და 6. ცოდვისთვის ზურგის შექცევა.[1465]

რ. რობერტსი საუბრობს ჭეშმარიტი მონანიების შვიდ ძირითად მაქსიმაზე. ტექსტის ანალიზით ირკვევა, რომ მონანიება: 1. არის ღვთის საჩუქარი; 2. არ არის ერთი მოქმედება, არამედ მას ახასიათებს განგრძობადი და მუდმივი დამოკიდებულება; 3. არ არის მხოლოდ შემობრუნება იმისგან რაც ჩაიდინე, არამედ შემობრუნება იმისგან, რაც ხარ; 4. არ არის ის, რასაც აკეთებ საკუთარი თავისთვის, არამედ ის, რასაც აკეთებ ღვთისთვის; 5. არ არის მხოლოდ ცოდვის ნაყოფი, არამედ თავად ცოდვის ფესვების; 6. არ არის ადამიანის (პირადი) საიდუმლო, არამედ ღია (საჯარო) აქტი; 7. არის, როგორც ნეგატიური, ასევე დადებითი.[1466]

ისტონის ბიბლიის ლექსიკონი, მართალია, არ იძლევა მონანიების განსაზღვრებას, მაგრამ ახდენს მონანიების ქრისტიანული კონცეფციის ოთხი ელემენტის იდენტიფიცირებას, კერძოდ: 1. საკუთარი ბრალისა და ცოდვილობის ნამდვილი შეგრძნება; 2. ქრისტეში ღვთის წყალობის გაცნობიერება; 3. ცოდვის ნამდვილი სიძულვილი (ფსალმ. 119:128; იობი 42:5, 6; 2 კორინთელები 7:10), მისგან განშორება და ღვთისკენ მიბრუნება, და 4. შეუპოვარი მცდელობა ადამიანმა იცხოვროს წმინდა ცხოვრებით, ღმერთთან ერთად მისი მცნებების დაცვით. გარდა ამისა, *ისტონის*

[1462] იხ. *პროტოპესვიტერი მიხეილ პომაზანსკი*, (2012), დასახ. ნაშრ., 200.

[1463] იხ., იქვე, 201.

[1464] „მონანიე პირის ქმედებებია: სინანული, მღვდელმსახურისათვის აღსარების თქმა და განზრახვა, აღასრულოს მის მიერ გამოწვეული ზიანის ანაზღაურება თუ გამოსწორებისათვის საჭირო ქმედებები“, იხ.: ქრისტიანობის ლექსიკონი, (2011), იხ. *პეტროზილო პ.*, დასახ. ნაშრ., 207.

[1465] იხ. *Watson T.*,The Doctrine of Repentance (May 10, 2011; Carlisle, PA 17013, USA), გვერდები 9-32, <http://www.onthewing.org/user/Watson%20-%20Repentance%20-%20Modern.pdf>, (მოპოვების თარიღი: 02.18.2021).

[1466] იხ. *Roberts R. O.*, Repentance, the First Word of the Gospel, published by Crossway Books, USA, 2002, 105-132.

ლექსიკონში განმარტებულია, რომ „ჭეშმარიტი მონანიე აცნობიერებს ბრალს (ფსალმ. 51: 4, 9), სიბინძურეს (51:5, 7, 10) და უმწეობას (51: 11; 109: 21, 22). მონანიე აღიქვამს საკუთარ თავს, ისე როგორც ღმერთი ყოველთვის ხედავდა მას და მოუწოდებს, თუ როგორი უნდა იყოს. მაგრამ, მონანიება გულისხმობს არა მხოლოდ ცოდვის ასეთ განცდას, არამედ წყალობის გაცნობიერებასაც, რომლის გარეშეც შეუძლებელია არსებობდეს ნამდვილი მონანიება (ფსალმუნი 51:1; 130:4)“.[1467]

დ. ლამბერტი, ნაშრომში „როგორ გახდა მონანიება ბიბლიური“ რვა ნიშნებით ახასიათებს მონანიებას: 1) მონანიება არის აქტი, *დისკრეტული მოვლენა*; 2) მონანიება *ფსიქიკური აქტია*; 3) მონანიება არის *რეტროსპექტული* ფსიქიკური აქტი. იგი მუდმივად იწვევს წარსულზე მოგონებას; 4) მონანიება იყენებს *წუხილის ემოციას*; 5) მონანიება, როგორც ქმედება, მიუთითებს *ფაქტორის* არსებობაზე და ხაზს უსვამს ავტონომიურობას. მთავარია, რომ ადამიანი თავისუფლად აკეთებდეს არჩევანს; 6) მონანიება თავის ობიექტად ირჩევს *კონკრეტულ* ცოდვას ან ცოდვათა წყებას. თუმცა, ებრაულ ბიბლიაში „ცოდვაზე ზურგის შექცევა“ ყოველთვის უფრო ზოგად რეორიენტაციას ნიშნავს; 7) აქედან გამომდინარეობს, რომ *მართალნი*, რომლებიც ღვთისნიერად ცხოვრობენ, მაგრამ ზოგჯერ ცდებიან, შეუძლიათ მოინანიონ თავიანთი გადაცდომები. ებრაულ ბიბლიაში კი, ნათქვამია, რომ „ზურგს აქცევენ ცოდვას“ მხოლოდ ისინი, ვინც მიაღწია ცოდვილის სტატუსს; 8) მონანიება *ეფექტიანი* მოქმედებაა. ის გავლენას ახდენს მომავალ ქცევაზე და/ან იწვევს ცოდვის გამოსყიდვას.[1468]

წყაროების ანალიზი, ერთობლიობაში იძლევა შესაძლებლობას უფრო მასშტაბურად იქნას აღქმული მონანიების ბუნება, მისი მოქმედების ფარგლები და სხვა სახასიათო ნიშნები. მაგალითად, *ისტონის* ლექსიკონი, მონანიების უფრო ფსიქოლოგიურ ასპექტებზე ამახვილებს ყურადღებას - ცოდვის შეგრძნება და სიძულვილი, წყალობის გაცნობიერება, - რაც მონანიების თავდაპირველ დეფინიციებში ნაგულისხმევია. *რ. რობერტსი* კი, საუბრობს უფრო მონანიების ფორმალურ ნიშნებზე, და ა.შ. ზემოთმოყვანილ სწავლებებზე დაყრდნობით, შესაძლებლობა გვაძლევა მონანიების ნიშნები საბოლოოდ დავაჯგუფოთ შემდეგნაირად:

1. მონანიების (აღსარების) პროცესისათვის დამახასიათებელი ნიშნები: ა. *ცოდვის და ღმერთის წყალობის გაცნობიერება*: ცოდვის, დანაშაულის და ბრალის გაცნობიერება, ანუ გულის შემუსვრა; რომ, ღმერთი მომნანიებელს აუცილებლად შეეწევა; ბ. *აღსარების თქმა*: პიროვნული გადაწყვეტილება; კავშირი მონანულს, სასულიერო პირსა და ღმერთს შორის; გ. *ცოდვ(ებ)ის მიტევება*, რაც, ღმერთთან ცოდვის ჩამდენის შერიგებას ნიშნავს; დ. *მადლის ზემოქმედება ცოდვილზე*: ცოდვების მიტევებას მოსდევს მადლის

[1467] Eastons Bible Dictionary (by *M. G. Easton*), third edition, published by Thomas Nelson, 1997, USA, 996.

[1468] იხ. *Lambert D.A.*, How Repentance Became Biblical (Judaism, Christianity and the Interpretation of Scripture), Oxford University Press, UK, 2015, 154.

გარდამოსვლა ცოდვილზე, და ე. *ადამიანის გარდაქმნა*: მადლის ძალით გულისა და გონების ცვლილების გამო ადამიანი ზურგს აქცევს ბოროტს, ადამიანურ ვნებებს და წუთისოფლის მატერიალურ სულს; ადამიანი იბრუნებს საღ აზროვნებას და მთელი გულით ესწრაფვის ღმერთთან თანაზიარებისკენ, განღმრთობისკენ.

2. მონანიების ზოგადი და ფორმალური ხასიათის ნიშნები, რომლის მიხედვითაც მონანიება: ა. არის დისკრეტული მოვლენა; ბ. არის ფსიქიკური აქტი; გ. არის მუდმივი პროცესი; დ. არა არის სასჯელი; ე. არის ღვთის საჩუქარი, რადგან გამოსწორების, სულის გადარჩენისა და განღმრთობის ერთ-ერთი საშუალებაა; ვ. არის კერძო, საჯარო და საყოველთაო ხასიათის აქტი; თ. არის სულის სამკურნალო საშუალება.

ამგვარად, მონანიება შეიძლება დახასიათდეს, როგორც ტრანსცენდენტული, ფსიქოლოგიური და სოციალურ-სამართლებრივი ხასიათის ქცევის ფორმა და დამნაშავის გამოსწორების საშუალება. მონანიების ცნების ნიშნების იდენტიფიცირება მნიშვნელოვანია რათა, დადგინდეს თუ რა ელემენტებისა და ეტაპებისგან შედგება დამნაშავის რეაბილიტაცია-რესოციალიზაცია და რა დატვირთვას ატარებს თითოეული მათგანი. თუმცა, მონანიების ცნებაში ყველაზე საყურადღებოა, არის იმ ასპექტების ცალკე იდენტიფიცირება და გაანალიზება, რომლებიც აღწერს დამნაშავის რეაბილიტაცია-რესოციალიზაციას.

4.3.1.3 მონანიების მარეაბილიტირებელი ნიშნების ანალიზი

ტერმინის ეტიმოლოგიური ანალიზიდან ირკვევა, რომ მონანიება ადამიანში იწვევს: ა) აზრის, გულისა და გონების შეცვლას; ბ) სინდისის ქეჯნას; გ) ცხოვრების შეცვლას, და დ) ცოდვებისგან განშორებას.

მონანიების ცნების ანალიზის საფუძველზე, მარეაბილიტირებელ შედეგებთან დაკავშირებული ნიშნები კი შესაძლებელია დავაჯგუფოთ შემდეგი თანმიმდევრობით:

1) *სულიერი და ფსიქოლოგიური შედეგები*: გულით დაბრუნება ღმერთთან; ღვთის წყალობის გაცნობიერება; საკუთარ თავში ღმერთის მსგავსების აღმოჩენა; საკუთარი თავის შეცნობა, - ბრალისა, ცოდვილი ბუნების და უმწეობის გაცნობიერება; ცოდვებისგან გაწმენდა; გონების ან გულის რადიკალური ცვლილება; განდგომა ბოროტისაგან; ცოდვის მოძულება;

2) *სოციალური და სამართლებრივი შედეგები*: მომავალი ქცევების ცვლილება; მორჩილებაში დაბრუნება; ცოდვის არგამეორება; ზიანის ანაზღაურება და გამოსწორებისათვის საჭირო ქმედებები; სათნო ცხოვრებით ცხოვრება და საღმღთო მცნებების დაცვა.

აღნიშნული ასპექტებიდან „მორჩილებაში დაბრუნება“ და „ცოდვის არგანმეორება“ ასევე სულიერ და ფსიქოლოგიური შედეგიც არის, რადგან ცოდვა და რჯულიც ტრანსცენდენტულია.

ბუნებრივია, აღნიშნული ნიშნები წარმოდგენას გვიქმნის მონანიების მარეაბილიტირებელ და პრევენციულ ეფექტზე, თუმცა, ამომწურავი მაინც ვერ იქნება, რადგან ისინი ძირითადად მონანიების ტერმინებსა და განმარტებებში გვხვდება. უფრო სრულად, რომ წარმოჩინდეს მონანიების ეფექტი, საჭიროა დამატებით გაანალიზდეს ის წყაროებიც, რომლებიც უშუალოდ მონანიების შედეგებს აღწერენ დეტალურად და სხვა რაკურსით.

წმ. ეფრემ ასური, რომელიც იწოდება სინანულის მოძღვრად, აღნიშნავს, რომ „სინანული ღმერთის სათნოებას ეფუძნება, მონანულს სულიწმიდის მადლთან შეამტკიცებს და ადამიანს სავსებით აქცევს ძედ ღმრთისად, რათა მას არა გარეგნული ბრწყინვალება, არამედ შინაგანი სამეუფეო ზეზი ამკობდეს.“[1469]

დოგმატურ ღვთისმეტყველებაში აღნიშნულია, რომ სინანული კურნავს ადამიანის სულიერ სნეულებებს, აცილებს სულის მწიკვლს და ცოდვათა შენდობის შემდგომ, ისევ უცოდველი და განწმენდილი ხდება - ისეთი, როგორც ამოვიდა ნათლისღების შემდგომ. ირკვევა, ისიც, რომ მონანიება ანადგურებს იმ ცოდვებს, რომლებიც იწვევენ ადამიანის ზნეობრივ დაცემას, გონების, გულისა და სინდისის დაჩლუნგებას, სულიერი ხედვის დაბრმავებას და ქრისტიანობის ნების დაუძლურებას. აღნიშნულია, რომ ცოდვათა ტვირთის მოხსნით, შემსუბუქებული ადამიანი სულიერად ისევ ცოცხლდება და კეთილ, ქრისტიანულ გზაზე შემდგარს კვლავ ძალუძს განმტკიცება და სრულქმნა. დაბოლოს, რაც ყველაზე ყველაზე მთავარია გადაილახება ცოდვის მთავარი წყარო, ამპარტავნება და საკუთარი გამოსწორების უიმედობისა და გადარჩენის შეუძლებლობის შეგრძნებით გამოწვეული სასოწარკვეთილება.[1470]

ქრისტიანობის ლექსიკონიდან ირკვევა, რომ მონანიების საიდუმლოს სულიერი შედეგებია: 1. ღმერთთან შერიგება, რის შედეგადაც მონანიე კვლავ იბრუნებს მადლს; 2. ეკლესიასთან შერიგება; 3. მომაკვდინებელ ცოდვათა მიზეზით დამსახურებულ მარადიულ სასჯელთაგან გათავისუფლება; 4. ცოდვის შედეგად მიღებული მიწიერი სასჯელისაგან ნაწილობრივ მაინც გათავისუფლება; 5. სიმშვიდე, სუფთა სინდისი, და 6. სულიერი ნუგეში; სულიერ ძალთა განმტკიცება ქრისტიანული ბრძოლისათვის.[1471]

იეროთეოს ვლახოსი აღნიშნავს, რომ „ეკლესიის მაკურნებელი ღვაწლი არ ისახავს მიზნად უბრალოდ ადამიანის ზნეობრივ და სოციალურ გაწონასწორებას, არამედ ღმერთსა და მოყვასთან დარღვეული ურთიერთობის აღდგენას. ეს ხორციელდება სულის ჭრილობების შეხორცებით და ვნებათა მკურნალობით.“[1472]

[1469] *წმინდა ეფრემ ასური*, სწავლანი (მთრგმნ. *ი. მელიქიძემ*), გამომც. „მერიდიანი”, თბ., 2008, 93.

[1470] იხ. *პროტოპესვიტერი მიხეილ პომაზანსკი*, დოგმატური ღვთისმეტყველება, მესამე, შესწორებული გამოცემა, თბ., 2010, 200-201.

[1471] იხ. ქრისტიანობის ლექსიკონი, (2011), იხ. *პეტროზილო პ.*, დასახ. ნაშრ., 207.

[1472] *მიტრ. იეროთეოს ვლახოსი*, სულიერი მედიცინის მეცნიერება, (მთრგმნ. *ე. დუღაშვილი, ლ. ბუკიამ*, რედ. *დეკ. მ. ჭანტურია*), გამომც., „ახალი ივერიონი“, თბ., 2017, 11.

მღვდელმონაზონი ნიკოდიმოსი, რომელიც იკვლევს პენიტენციალურ სისტემაში მართლმადიდებლური საფუძვლების გავრცელების საკითხს, ბიბლიის მუხლებზე დაყრდნობით განმარტავს, რომ „სიყვარულს, როგორც შემოქმედებით ძალას, ყველაზე ძლიერი სტიმული აქვს მოქმედებათა.... ის ადამიანს აიძულებს მცნებების დაცვას (იხ. იოანე, 14. 23, 31)“.[1473]

დაბოლოს, სინანულის განსაკუთრებულობა იმაშიც მდგომარეობს, რომ იმ ქვეყნად ადამიანის სული ღმერთთან შეხვედრისას არ დაიტანჯოს. *წმ. გერი გაბრიელის* სიტყვებია: „თუ ცოდვილი ადამიანი ამ ქვეყნიდან არ წავა განწმენდილი, უფალთან მიახლოებისას უფრო მეტად დაიტანჯება. როგორც ჭიანჭველა მივიდეს მზესთან და დაიწვება.“[1474]

ზემოთმოყვანილ წყაროებზე, და მამათა სწავლებებზე დაყრდნობით, იმ სულიერ და ფსიქოლოგიურ შედეგებს, რომელიც ახლავს მონანიებას, შეიძლება დაემატოს შემდეგი ასპექტები: 1. მონანიებით გადაილახება დანაშაულის მთავარი მიზეზი, ამპარტავნება; 2. ადამიანი იკურნება სულიერი ჭრილობებისაგან და ვნებებისგან; 3. ადამიანი კვლავ ხდება უცოდველი და განწმენდილი; 4. ადამიანს ძალუძს განმტკიცება და სრულქმნა; 5 დაბოლოს, ეს არის მონანიების ყველაზე მთავარი მიზანი, განღმრთობა, რომელიც აღემატება ფორმალურ რეაბილიტაციას, რესოციალიზაციისა და დანაშაულის პრევენციულ მიზნებს. რაც შეეხება სოციალურ და სამართლებრივ შედეგებს, ირკვევა, რომ მონანიება უზრუნველყოფს, როგორც: 1. ზნეობრივ და სოციალურ გაწონასწორებას, ასევე 2. კანონმორჩილ პიროვნებად ჩამოყალიბებას; 3. ურთიერთობის აღდეგენა არა მხოლოდ ღმერთთან, არამედ მოყვასთან.

ამგვარად, ირკვევა, რომ მონანიების მახვილი მიმართულია დანაშაულის უშუალო მიზეზზე, ამპარტავნებაზე. სულიწმიდის ძალით სულიერი ჭრილობების შეხორცებით და ვნებათა მკურნალობით, ნადგურდება გონების, გულისა და სინდისის დამაჩლუნგებელი, სულის ხედვის დამაბრმავებელი და ქრისტიანობის ნების დამაუძლურებელი ცოდვები. მოკლედ რომ განიმარტოს, ადამიანი იბრუნებს უცოდველ, ნორმალურ ბუნებას. ადამიანის აღდგენილი სპეტაკი აზროვნება და სინდისი კი, ბუნებრივად აისახება ქმედებებზეც. ადამიანი ზნეობრივ და სოციალურად გაწონასწორებულ პიროვნებად ყალიბდება, რადგან სიყვარულით განმსჭვალული ადამიანი იწყებს საღვთო მცნებებით ცხოვრებას და ხდება მისი კანონმორჩილ პიროვნებად ჩამოყალიბება.

უამრავი ფაქტი არსებობს იმისა, როდესაც სულიწმიდის მადლის ზემოქმედებით დამნაშავის მსოფლმხედველობა რადიკალურად შეცვლილა და დარჩენილი ცხოვრება

[1473] *მღვდელმონაზონ ნიკოდიმოს (შმატკო)*, მართლმადიდებლობის საფუძვლების გავრცელება პენიტენციალურ დაწესებულებებში (მომაზადა ლაზარე იმედაძემ), ციტირებულია სტატიიდან: საღვთისმეტყველო-შემეცნებითი ალმანახი „ფერისცვალება“, პერიოდული გამოცემა, №4, თბ., 2010, 131.
[1474] *ჯინორია მ.*, (2009), დასახ. ნაშრ., 143.

გაუტარებიათ ისეთი სათნო და კანონმორჩილი ცხოვრებით, რომ წმინდანებადაც კი შერაცხულან. ამის ნათელი მაგალითია *წმ. ეფრემ ასურისა* და *მოსე (შავი) ეგვიპტელის* ცხოვრება. მსგავსი ფაქტები და ისტორიები, კარგად აქვს აღწერილი *მ. ყიფიანს* წიგნში „ციხემ იგი ცოდვილად მიიღო და წმინდანად გამოუშვა“[1475] და *ოთარ ნიკოლაიშვილს* წიგნში „პატიმართა იმედი და ნუგეში, ზრუნვა ნარკომანთა და დამნაშავეთა სამყაროს ცნობიერების შეცვლისთვის.“[1476] შეუძლებელია ასევე არ გავიხსენოთ, ის დამნაშავე, რომელიც პირველი შევიდა ცათა სასუფეველში. აღნიშნულ ფაქტზე საინტერესოა *არქ. გ. ბასილაძისა* და *წმ. იოანე ოქროპირის* განმარტებები:

არქ. გ. ბასილაძე აღნიშნავს: „ნახეთ ავაზაკი - ჯვარცმული, ნატანჯი, სიკვდილის მომლოდინე, წესით ღმერთზე უმადური უნდა ყოფილიყო, ადამიანური ბუნებიდან გამომდინარე, მაგრამ როგორც კი შეეხო უხილავი მადლი, განიცადა სულიერი ცვლილება, აეხილა სულიერი თვალები და იცნო ქრისტე.“[1477]

წმ. იოანე ოქროპირი კი, აღნიშნავს, რომ „ავაზაკს რწმენისთვის და სულის განწყობისთვის მიენიჭა მადლი უფლისგან. ავაზაკმა ღვთაებით განმსჭვალულმა თქვა „***მომიხსენე მე, უფალო, ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა!***“ ავაზაკი რწმენის თვალებით უყურებდა და გარეგნულად არ სჯიდა. ამიტომ, ღმერთმა მისი ნათქვამი ლიტონ სიტყვებად არ მიიჩნია. როგორც ავაზაკმა დაინახა ღვთაებრივი, ასევე დაინახა ღმერთმა ავაზაკის გული და თქვა: „***ამინ გეტყვი შენ: დღეს ჩემ თანა იყო სამოთხესა***“ (ლუკ. 23, 43)“.[1478]

ამგვარად, ავაზაკის სასუფეველში შესვლის მაგალითი მოწმობს იმას, რომ თუკი მონანული საშიში არ არის სასუფეველში, მით უფრო ვერ იქნება საშიში საზოგადოებისთვის.

4.3.2 ღმერთის როლი დამნაშავის გამოსწორებაში

მონანიება შესაძლებელი გახდა ქრისტეს მხსნელი ნების წყალობით, ვინც თავის მოციქულებს ცოდვათა მიტევების ძალაუფლება მიანიჭა: „მიიღეთ სული წმიდა. ვისაც

[1475] *ყიფიანი მ.*, (რედაქტორ-შემდგენელი), ციხემ იგი ცოდვილად მიიღო და წმინდანად გამოუშვა, ჩვენც შენი ხალხი ვართ (მთრგმნ. *ნ. ახალაძე, თ. რუსაძე, ნ. ბაღათურია* და სხვ.), გამომც. „ხარება“, თბ., 2012.

[1476] 1. *ნიკოლაიშვილი ო.*, პატიმართა იმედი და ნუგეში, ზრუნვა ნარკომანთა და დამნაშავეთა სამყაროს ცნობიერების შეცვლისთვის, თბ., 2009; 2. მეცნიერებას ამ ეტაპზე არ შეუძლია ახსნას ისეთი ფაქტების კანონზომიერება, როგორიცაა წმინდანების საფლავებთან, რწმენით, ლოცვითა და ზეთის ცხებით, მედიცინისთვის განუკურნებელი დაავადებების კურნების ფაქტები. ასეთი ფაქტები საქართველოში ფიქსირდება ყოველდღიურად. ამ კუთხით ძალიან საინტერესოა, ასევე *წმ. ბერი გაბრიელისა* და *არქ. გ. ბასილაძის* ცხოვრებაზე გადაღებული დოკუმენტური ფილმები „სულის უკვდავება“, „საქართველოს მამა გიორგი“ და მათ ცხოვრებაზე გამოცემულ წიგნები.

[1477] *ჩაგუნავა ა., ვეკუა ი.*, დასახ. ნაშრ., 106.

[1478] *წმინდა იოანე ოქროპირი*, ჰომილიები, II ტომი (რედ. *თ. გოგოჩაშვილი*), გამომცემლობა „ალილო“, თბ., 2015, 330-331.

მიუტევებთ ცოდვებს, მიეტევებათ, ვისაც დაუკავებთ, დაეკავებათ (იოან. 20:22-23).“[1479] *წმ. ეფრემ ასურის* „სწავლანი“-დან ვგებულობთ, რომ „იხილა ღმერთმა, რომ კაცთა მოდგმას მტერი აშფოთებს, და მის დასამხობად სინანული დააწესა“.[1480]

დოგმატურ ღვთისმეტყველებაში ვკითხულობთ, რომ „სინანულის საიდუმლო უფალმა მაშინ დაადგინა, როდესაც აღდგომის შემდგომ გამოეცხადა თავმოყრილ მოწაფეებს (გარდა თომასი)“.[1481] ირკვევა, რომ „მღვდელმსახური მხოლოდ ხილული იარაღია სინანულის საიდუმლოს აღსასრულებლად, რომელსაც უხილავად თავად ღმერთი აღასრულებს.“[1482] ცოდვა არ ნიშნავს უბრალო ურჯულოებას, უკანონობას, არამედ სნეულებას. ხოლო, რადგან ცოდვა სნეულებად ითვლება, იგი მოითხოვს მკურნალობას, რაც ხორციელდება სულიერი მკურნალის, წმიდა კანონების გამოყენებითა და საეკლესიო ცხოვრების წეს-ჩვეულებების დახმარებით.[1483]

მართლმადიდებლური მოძღვრების თანახმად, „ეკლესია ის ადგილია, სადაც ადამიანს, შეუძლია ყველაზე სუფთა ლოცვის განწყობით ახლო ურთიერთობა ჰქონდეს ღმერთთან და მიიღოს მადლი. თუკი, მოსე წინასწარმეტყველს ღვთისგან სჯულის მისაღებად სინას მთაზე ასვლა სჭირდებოდა, ხოლო მოციქულებს სული წმინდის მისაღებად - სიონის მთაზე შეკრება, თანამედროვე ადამიანისთვის საკუთარი სულის განსაწმენდად და ღვთის ნიჭებთან საზიარებლად აუცილებელია ტაძარში მისვლა.“[1484]

წმიდა პავლე ეკლესიას განსაზღვრავს, როგორც „ქრისტეს სხეულს“ (კოლ 1:24; ეფეს. 1:23), ამიტომაც ის ადამიანთა ხსნის უმთავრესი ადგილია. ეკლესია სულიწმინდის გარდამოსვლის დღეს აღმოცენდა და მას შემდეგ სულიწმინდის წყალობით უცვლელად ინარჩუნებს თავის ბუნებასა და დანიშნულებას.[1485] უფლის ამაღლების შემდეგაც ღმერთი ეკლესიაში აგზავნის ნუგეშინისმცემელს, რომელიცაა, „სული ჭეშმარიტებისაი“ (იოანე 14,17 და 15,26), რათა უძღოდეს „ჭეშმარიტებასა ყოველსა“ (იოანე 16,13). მაშასადამე, ჭეშმარიტება არის ეკლესიის წიაღში. ამიტომაც აღნიშნავს ღვთივშთაგონებული მოციქული პავლე ეკლესიაზე საუბრისას, რომ იგია „*სუეტი და სიმტკიცე ჭეშმარიტებისა*“ (I ტიმ. 3,15), ეკლესია არის სხეული („გუამი“) იესო ქრისტესი (ეფეს. 5,23 და კოლ. 1,18).[1486]

[1479] *პეტროზილო პ.*, დასახ. ნაშრ., 207.

[1480] *წმინდა ეფრემ ასური* სწავლანი (მთრგმნ. *ი. მელიქიძემ*), გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2008, 71.

[1481] *პროტოპესვიტერი მიხეილ პომაზანსკი*, დოგმატური ღვთისმეტყველება, მესამე, შესწორებული გამოცემა, თბ., 2012, 201.

[1482] იხ., იქვე, 202.

[1483] იხ. *მიტრ. იეროთეოს ვლახოსი*, სულიერი მედიცინის მეცნიერება, (მთრგმნ. *ე. დუღაშვილი, ლ. ბუკიამ*, რედ. *დეკ. მ. ჭანტურია*), გამომც., „ახალი ივერიონი“, თბ., 2017, 11.

[1484] მართლმადიდებლობის გაცნობა ანუ სულიერი ცხოვრების დასაწყისი (რედ. *ე. ეკალაძე*, მთრგმნ. *მ. შანავა-ვეფხვაძე*, გამომც., *ლ. ვეფხვაძე*), თბ., 2008, 69.

[1485] იხ. ქრისტიანობის ლექსიკონი (2011), იხ. *პეტროზილო პ.*, დასახ. ნაშრ., 76.

[1486] იხ. *ბუმისი პ. ი.*, კანონიკური სამართალი (მეორე გადამუშავებული გამოცემა; ბერძნულიდან თარგმნა *ი. გარაყანიძემ*), ათენი-თბ., 2010, 11.

არქ. გ. ბასილაძე განმარტავს, რომ „ვნებების ზღვაში მხოლოდ ეკლესიაა ის გემი, რომელიც უბიწოდ გაგიყვანთ ფონს. ეკლესია და წმიდა მამების სწავლებები დაგიცავთ. წირვას უდიდესი ძალა აქვს. წირვაზე ისეთი წმიდა ძალა მოდის ადამიანზე, რომ გააქვს ადამიანში მოჭარბებული ბოროტი ენერგია. წირვა-ლოცვაზე ხშირად დგომა წმენდს ადამიანს ზნეობრივად.“[1487]

მიტრ. ი. ვლახოსი განმარტავს, რომ „მღვდელი არის სულის მკურნალი, რომელიც მკურნალობს ადამიანს სულიწმინდის მადლით და მიმართავს მას ზეციური სინათლისაკენ. როგორც სხეულის ექიმი ატარებს გამოკვლევას და ისე ადგენს დიაგნოზს, იგივე უნდა მოხდეს სულიერი მკურნალის შემთხვევაშიც. სულიერი კურნებისთვის მოძღვარმა ყურადღებით უნდა გაარკვიოს ცოდვის ხარისხი და სნეულის მზადყოფნა განკურნებისთვის.“[1488]

ირკვევა, რომ სულიწმიდის მადლით მღვდელს, შეუძლია შეახსენოს ადამიანს ისეთი ცოდვებიც კი, რომელიც აღსარებაში განზრახ დამალა, ან დაავიწყდა, ან უბრალოდ ცოდვად არ ჩათვალა.

არქ. გ. ბასილაძე განმარტავს, რომ „წმინდანს აქვს ძალა და მადლი, იხედება ადამიანის შინაგან სამყაროში, იცის ცოდვები.[1489] ნამდვილ მღვდელს შეუძლია უსიტყვოდ აღძრას ადამიანში სინანული, გაახსენოს ცოდვები, მოჰგვაროს სიხარული და სიყვარული, ...;[1490] ყოველი ადამიანი უნიკალურია, მას განსხვავებული სულიერი, გონებრივი, ფიზიკური, ფსიქოლოგიური თავისებურებები გააჩნია და აქვს სულის განსხვავებული გასაღები.[1491] მოძღვრებს ღმერთი უხსნის თავისი მრევლის „ავადმყოფობის ისტორიას” და იმას, რა, როდის და როგორ უნდა უმკურნალოს.“[1492]

წმ. ბერი გაბრიელის მრევლი იგონებს: „მამა გაბრიელმა ჩემს ცხოვრებაზე ჩამომიგდო სიტყვა: აღსარებაში ნათქვამ ცოდვებზე მესაუბრა, ის ძველი ცოდვებიც გამიხსენა და მთელი სიზუსტით აღმიწერა, თან კონკრეტულად მითხრა და გამაგებინა სკოლაში რომ ცოდვა ჩაიდინე, ის აღსარებაში რატომ არ თქვიო. სინამდვილეში ის ცოდვა დავიწყებული მქონდა, მართლაც არ მითქვამს აღსარებაში და უნდა მომენანიებინა.“[1493]

სულიწმიდის მადლით მღვდელმსახურის შესაძლებლობებთან დაკავშირებით, ასევე ირკვევა, რომ: „ყველა ნამდვილი მღვდელი წმინდანია..., ზოგიერთი წმინდანი

[1487] *ჩაგუნავა ა., ვეკუა ი.*, დასახ. ნაშრ., 271.

[1488] *მიტრ. იეროთეოს ვლახოსი*, სულიერი მედიცინის მეცნიერება, (მთრგმნ. *ე. დულაშვილი, ლ. ბუკიამ*, რედ. *დეკ. მ. ჭანტურია*), გამომც., „ახალი ივერიონი“, თბ., 2017, 12-13.

[1489] იხ. *ჩაგუნავა ა., ვეკუა ი.*, დასახ. ნაშრ., 209.

[1490] იხ. *ჩაგუნავა ა., ყოლბაია ლ.*, დასახ. ნაშრ., 56.

[1491] იხ., იქვე, 33.

[1492] *ჩაგუნავა ა., ვეკუა ი.*, დასახ. ნაშრ., 221.

[1493] *ჯინორია მ.*, (2019), დასახ. ნაშრ., 132.

სულიწმინდის მატარებელია, ზოგი უფრო დიდი, სულიწმინდის ჭურჭელია;[1494] ნამდვილ მღვდელს ძალიან მოკლე დროში შეუძლია გამოიტიროს ადამიანის ცოდვები. ნამდვილმა მღვდელმა იცის, გვპატიობს თუ არა ღმერთი ცოდვებს, თუ რაიმე სასჯელს (ეპიტემია) ითხოვს. იცის ადამიანის ესა თუ ის განსაცდელი ან სატანჯველი რომელი კონკრეტული ცოდვების გამო მიეცა ღმერთისგან ... . ნამდვილი მღვდელი ნამყოფია სასუფეველში და ზუსტად იცის, როგორ მიიყვანოს იქ მრევლი;[1495] წმინდა მღვდელი ხედავს ყოველივეს და ის არ შეგინდობს, თუ ღმერთს არ სურს ჯერ შენი შენდობა და დაგინიშნავს ეპიტემიას;[1496] მორწმუნემ მოძღვრის ხელმძღვანელობით უნდა გააღწიოს ღმერთამდე და გახდეს თავისუფალი;[1497] წმინდანი თავისუფალია, და მან იცის, როგორ გაგათავისუფლოთ ვნებებისაგან და წუთისოფლის ბორკილებისაგან“ (*არქ. გ. გასილაძე*).[1498]

სწორედ, ამის შემდეგ ბუნებრივად იბადება კითხვა: შეუძლიათ კი ფსიქოლოგებს და ფსიქიატრებს დამნაშავეს შეახსენონ ადრე მათ მიერ ჩადენილი ან მივიწყებული ცოდვები და დანაშაულები? რეგრესული ჰიპნოზით ალბათ შესაძლებელია. თუმცა, როგორც ირკვევა, ჰიპნოზი და „სპირიტუალისტური“ სეანსები შეიცავენ უფრო საფრთხეს, ვიდრე სიკეთეს.[1499] წარსულში ჩადენილი ცოდვების ხელმისაწვდომობას თავი რომ დავანებოთ, ფსიქოლოგების საქმიანობაში არ შედის ცოდვების მიტევება, ან სულიწმიდის მადლის მინიჭება. გარდა ამისა, სულის მკურნალს სულ მცირე ის მოეთხოვება, რასაც *მიტრ. იეროთეოს ვლახოსის* წიგნში „მართლმადიდებლური ფსიქოთერაპია“ ვკითხულობთ: „სულის მკურნალი არის სულიერი მოძღვარი, ვინც გადალახა ეშმაკის ხლართი და შეუძლია სწორი გზა აჩვენოს სულიერ შვილებს და დაეხმაროს განკურნებაში.“[1500] *წმ. გერი გაბრიელი* ბრძანებს, „თუ ადამიანმა არ გაიარა ის განსაცდელი, რაც სხვას უნდა ასწავლო, სხვისი მკურნალი ვერ იქნება“.[1501] *არქ. გიორგი გასილაძე* განმარტავს: „თუ საკუთარ ვნებათა დამარცხების გამოცდილება არა გაქვს, სხვას როგორღა დამოძღვრავ?!“[1502] „ეს შეუძლია მხოლოდ ჭეშმარიტ მოძღვარს, რომელიც

[1494] იხ. *ჩაგუნავა ა., ყოლბაია ლ.*, დასახ. ნაშრ., 48.
[1495] იხ., იქვე, 56.
[1496] იხ., იქვე, 45.
[1497] იხ., იქვე, 30.
[1498] იხ., იქვე, 31.
[1499] დაწვრილებით იხ. *მამა გიორგი (სხირტლაძე)*, ადამიანს იმქვეყნიურ სამყაროში ჩახედვა ეკრძალება! - რა საფრთხეს შეიცავს ჰიპნოზი და სეანსები ექსტრასენსთან ადამიანის სულისათვის (ინტერვიუ ჩამოართვა *მ. ნოდიამ*), *ქართული მართლმადიდებლური გაზეთი*, „კანდელი“, №2 (492), 24-30 იანვარი, 2002, 11.
[1500] *მიტრ. იეროთეოს ვლახოსი*, მართლმადიდებლური ფსიქოთერაპია, (მეორე გამოცემა, თარგმნა *ე. დუღაშვილმა*; რედ. *მღვდელი ზ. ცხოვრებაძე*), გამომც. „ახალი ივერიონი“, თბ., 2010, 43.
[1501] *ჯინორია მ.*, (2019), დასახ. ნაშრ., 146.
[1502] იხ. *ჩაგუნავა ა., ყოლბაია ლ.*, დასახ. ნაშრ., 27.

სულით სასუფეველშია, რომელშიც ღმერთია“,[1503] სხვა დანარჩენი ვერანაირად ვერ გაგათავისუფლებთ, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ძალიან სურდეთ ეს მათ.“[1504]

როგორც ირკვევა, მონანიების კონცეფციის ცენტრალურ ასპექტს წარმოადგენს თავად ღმერთი, რომელმაც დააწესა სინანულის საიდუმლო, რომელიც უხილავად მონაწილეობს დამნაშავის მონანიებაში - იბარებს დამნაშავის აღსარებას, მიუტევებს ცოდვებს და კურნავს სულს სულიწმიდის მადლით. *პავლე მოციქულის* სიტყვებია: „სულიწმინდის მადლია განკურნებათა ნიჭი“ (კორ. 12, 4-14). მოკლედ რომ ვთქვათ, ღმერთის წყალობით მიიღწევა დამნაშავის რეაბილიტაცია-რესოციალიზაცია და დანაშაულის პრევენცია.

4.3.3 პენიტენციური სისტემის კონცეფცია

პენიტენციის კონცეფცია, სასჯელაღსრულების სფეროში აქტუალური გახდა დამნაშავეთა რეაბილიტაციის იდეების გაჩენასთან ერთად, რომელიც წინა პლანზე აყენებს პიროვნებას და არა ქმედებას.[1505]

თანამედროვე ციხის სისტემის წარმოშობა უკავშირდება დანაშაულთან მიმართებაში ადამიანის სულიერ საკითხებს. 1790 წელს, ფილადელფიაში, კვეკერების ჯგუფმა მოიფიქრეს, დამნაშავეების იზოლირებულად მოთავსება, სადაც მათ მიეცემოდათ მხოლოდ ბიბლიის კითხვისა და ხელით შესასრულებელი სამუშაოების კეთების შესაძლებლობა. კვეკერები ფიქრობდნენ, რომ ამის შემდეგ, დამნაშავეები დაფიქრდებოდნენ წარსულში ჩადენილ შეცდომებზე და მოინანიებდნენ მათ. ამ იდეის გამოსახატად, ისინი იყენებდნენ ტერმინ *პენიტენციარს*, მონანულთა ადგილს, სადაც დამნაშავეები ინანიებენ თავიანთ ცოდვებს.[1506]

იან დონელი შენიშნავს, რომ შრომისა და რელიგიური სწავლების კომბინაციის შედეგის პრინციპი, იმაში მდგომარეობს, რომ იგი შესაძლებლობას აძლევს ადამიანს, შეიძინოს ახალი ცხოვრების ასაშენებელი ინტრუმენტები, ისევე როგორც ადამიანის განმარტოებას შეუძლია წაშალოს ადამიანის ადრინდელი „მე“.[1507]

„პენიტენციარის“ სისტემის შექმნა უკავშირდება უფრო *ჯონ ჰოვარდის* სახელს,[1508] რომელსაც გააზრებული ჰქონდა ცოდვის უნივერსალურობა და დამნაშავეების

[1503] *ჩაგუნავა ა., ვეკუა ი.*, დასახ. ნაშრ., 60.

[1504] *ჩაგუნავა ა., ყოლბაია ლ.*, დასახ. ნაშრ., 31.

[1505] იხ.: 1. Encyclopedia of Criminology and Criminal Justice (Editors: *Gerben Bruinsma* & *David Weisburd*), Springer, New York, USA, 2014, 4363; 2. *Robert Johnson*, *Ania Dobrzanska*, and *Seri Palla*, The American Prison in Historical Perspective: Race, Gender, and Adjustment, USA, 2005, 22-23.

[1506] იხ. *George B. Vold, Thomas J. Bernard* and *Jeffry B. Snipes*, Theoretical Criminology, 4rth ed., Oxford University Press, USA, 1998, 5.

[1507] იხ. *Ian O'Donnel*, Prisoners, Solitude and Time (Clarendon Studies in Criminology), Oxford University Press, USA, 2014, 21.

[1508] იხ. *Michael Ignatieff*, A Just Measure of Pain, Macmillan Education, UK, 1978, 47.

რეფორმირება.[1509] *ჰოვარდი* ამტკიცებდა, რომ „საკუთარ თავში სულიერების აღმოჩენით, თუკი დამნაშავეები იმოღვაწებენ საღვთო ცხოვრებით, ღმერთს შეუძლია შევიდეს ადამიანის უაზროდ გაფლანგულ ცხოვრებაში და მიანიჭოს მათ ცხოვრებას მნიშვნელობა. მისი მტკიცებით, არც ერთი ადამიანი, რანაირი „საზიზღარი მატლიც“ არ უნდა იყოს იგი, არ არის დაკარგული ღმერთის გულმოწყალებისთვის.“[1510]

გამოსწორების საკუთარმა გამოცდილებამ, *ჯ. ჰოვარდს* მისცა პატიმრების გამოსწორების შესაძლებლობის რწმენა და ამბობდა, რომ თუკი, ღმერთმა ჩემნაირი ცოდვილის გადარჩენა შეძლო, განა არ შეუძლია გადაარჩინოს ცოდვილი ციხეში? მას მიაჩნდა, რომ ადამიანის გადარჩენა არ იყო მხოლოდ ღმერთის სამუშაო. იგი, სახელმწიფოს საქმეც იყოს, და პირველმა დაჟინებით მოითხოვა, რომ გადარჩენის ტექნოლოგია ყოფილიყო მიწიერ გამოყენებაში.[1511] *ჰოვარდი* მხარს უჭერდა დანაშაულში პირველი ცოდვის და ბრალის უნივერსალურობის იდეას და დარწმუნებული იყო, რომ ადამიანების შეცვლა შეიძლება, თუკი მათში ცოდვის შეგნება გაიღვიძებდა.[1512] ამიტომ იგი, მხარს უჭერდა ციხეში პატიმრის განმარტოებას, შრომას და პატიმრების რელიგიური საკითხებში ინსტრუქტირებას. მას სჯეროდა, რომ პატიმრობის მიზანი იყო არა დასჯა, არამედ რეფორმირება და რეაბილიტაცია.[1513]

აქვე დავძენთ, რომ *ჯ. ჰოვარდს* კარგად ესმოდა იმის მნიშვნელობაც, რომ განთავისუფლებული დამნაშავეების გადასარჩენად აუცილებელი იყო, საზოგადოებას უზრუნველეყო კანონმორჩილობის რესურსებითაც. მისმა კონცეფციამ შედეგად გამოიღო ის, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ მიღებული იქნა კანონი პატრონაჟობის შესახებ (1792). ბევრ ქვეყანაში, საქველმოქმედო კლუბები და საზოგადოებები იყო ერთადერთი ოფიციალურად აღიარებულ ინსტიტუტები, რომლებიც დაპატიმრებულ და განთავისუფლებულ დამნაშავეებს უწევდნენ მატერიალურ და სულიერ (ხშირად ქრისტიანულ) დახმარებას. მათი საქმიანობა ძირითადად მოიცავდა ძლიერ მორალურ კომპონენტს და ფოკუსირებული იყო დამნაშავის პიროვნებაზე.[1514]

1777 წლის, *ჯონ ჰოვარდის* მოხსენებამ, „*ინგლისისა და უელსის ციხეების მდგომარეობის*“ შესახებ, დიდწილად განაპირობა 1779 წლის „პენიტენციარის კანონის“ მიღება. კანონი ნებას რთავდა ორი ახალი ციხის მშენებლობას, რომლებსაც უნდა უზრუნველეყო მსჯავრდებული პირების რეფორმირება ერთადგილიანი საკნებით,

---

[1509] იხ., იქვე, 56.
[1510] იქვე, 67.
[1511] იხ., იქვე, 56-57.
[1512] იხ., იქვე, 67.
[1513] იხილეთ ინტერენეტ ინფორმაცია „John Howard and Prison Reform“, <http://www.parliament.uk/about/living-heritage/transformingsociety/laworder/policeprisons/overview/prisonreform/>, (მოპოვების თარიღი: 12.05.2013).
[1514] იხ. Encyclopedia of Criminology and Criminal Justice (Editors: *Gerben Bruinsma* & *David Weisburd*), Springer, New York, USA, 2014, 3959.

დისციპლინირებული სამუშაოებითა და რელიგიური სწავლებებით.[1515] ამგვარად, საჯარო სამართალში, ადამიანის სულისა და საქციელის გამოსწორება განისაზღვრა პატიმრობის მიზნად.[1516]

თუმცა, „პენიტენციარის კანონით", გათვალისწინებული გეგმები არ განხორციელდა. *ჰოვარდის* იდეებისა და წინადადებების რეალიზება წილად ხვდათ სხვებს. 1785 წელს *ჯორჯ პოლმა* უზრუნველყო ახალი საპატიმროს აშენება, რომელშიც სხვა საკითხებთან ერთად (მაგ., დამნაშავეების განცალკავება, სამედიცინო დახმარება, სავარჯშო პირობები), ასევე გათვალისწინებული იყო ინდივიდუალური საკნებისა და რელიგიური ინსტრუქტირების საკითხიც. 40 წელზე მეტ ხანს მიმდინარეობდა მსგავსი ინიციატივების მხარდაჭერა. პარლამენტის მიერ მიღებული კანონები მაგისტრებს ნებას რთავდა აეშენებინათ ახალი საპატიმროები შესაბამის საგრაფოებში.[1517] პირველი ნაციონალური „პენიტენციარი" კი, გაიხსნა ლონდონში 1816 წელს, რომელიც ითვალისწინებდა იზოლირებულ საკნებში 860 პატიმარის განთავსებას. მიუხედავად იმისა, რომ რეფორმის იდეები 1842 წლამდე მაინც ვერ განხორციელდა ინგლისში, - „განმარტოებისა" და „შეკავშირების" სისტემების შესახებ, - „პენიტენციარის" იდეებს, საფუძველი ჩაეყარა ამერიკაში.[1518]

4.3.3.1 პენიტენციარის „განმარტოების სისტემა"

განმარტოების სისტემა წარმოიშვა ფილადელფიაში, „*Walnut Street*"-ის ციხეში, რომელსაც ზოგჯერ ფილადელფიის, ან პენსილვანიის სისტემას უწოდებენ. ციხის წესი ერთ იზოლირებულ საკანში ერთი პატიმრის მოთავსებას, ფიზიკურ შრომას და მარტივ სამონასტრო ყოფას გულისხმობდა. პატიმრები ერთმანეთისაგან იზოლირებული იყვნენ, როგორც ციხის შიგნით, ასევე გარე სამყაროსგან. სხვა სიტყვებით, რომ ითქვას „*საკვების მიღების დროსაც კი, პატიმარი საპატიმრო საკანში იმყოფებოდა მთელი დღის განმავლობაში*". პატიმრებს კონტაქტი შეეძლოთ დაემყარებინათ მხოლოდ საპატიმროს თანამშრომლებთან, ფილადელფიის ციხის საზოგადოების წარმომადგენლებთან და

[1515] იხ., იქვე, 2118.

[1516] იხ. *Foucault M.*, Deiscipline and Punishment: The Birth of the Prison, (translated from French, by *Alan Sheridan*), Vintage Books, New York, USA, 1991, 123.

[1517] იხ.: 1. „John Howard and Prison Reform", <https://www.parliament.uk/about/living-heritage/transformingsociety/laworder/policeprisons/overview/prisonreform/>, (მოპოვების თარიღი: 12.05.2013); 2. 1779 წლის „პენიტენციარის" შესახებ კანონის მიღების შესახებ დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ: 1. *Simon Devereaux* (1999), the Making of the Penitentiary Act, 1775–1779, see *The Historical Journal*, 42, 405-433; 2. <http://www.history.ac.uk/reviews/review/882>, (მოპოვების თარიღი:12.05.2013).

[1518] მაგალითად, ფილადელფიაში 1790 წელს დაარსდა უოლნათ სთრითის, ხოლო ნიო-ორკში 1819 წელს აუბურნის პენიტენციარი და სხვ. იხ. *Siegel L.*, Introduction to Criminal Justice, USA, Printed in Canada, Cengage Learning, Jan 5, 2009, 571-576.

მღვდელთან (*chaplain*). ძალიან იშვიათ შემთხვევებში, პატიმრებს შეეძლოთ საკნიდან გამოსვლა და მოეთხოვებოდათ „*თავსაბურავის ან ნიღბის ტარება*“.[1519]

ასეთი მიდგომის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ ხანგრძლივი მარტოობა პატიმრებს დააფიქრებდა მათ მიერ ჩადენილ დანაშაულებზე, უზრუნველყოფდა ბიბლიის შესწავლას და მოამზადებდა გათავისუფლების შემდეგ კანონმორჩილი ცხოვრებისთვის.[1520]

იმის გამო, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში პატიმრის განმარტოების დადებით შედეგებზე აზრთა სხვადასხვაობაა, მიზანშეწონილია, მეტი სიცხადე იქნას შეტანილი პატიმართა განმარტოების დადებით ასპექტებზე. ამ კუთხით, ყურადღებას იპრობს *იან დონელის* ნაშრომი, რომელშიც კარგად არის გამოკვლეული აღნიშნული საკითხი.

იან დონელის მიხედვით, ციხეებთან დაკავშირებულ ლიტერატურაში, ძირითადი ყურადღება ეთმობა განმარტოების ცუდ მხარეებს, გრძნობების დაქვეითებას და არასასურველ იზოლაციას. მისი აზრით, ეს არ შეესაბამება ადამიანის წარმოსახვას ან მსგავს სიტუაციებზე შესაძლო რეაგირების მრავალფეროვნებას.[1521] *დონელი* შენიშნავს, რომ განმარტოება არც დადებითი, და არც უარყოფითია. თუმცა, განმარტოობა, ისეთი ემოციური მდგომარეობა არ არის, როგორც მარტოსულობა (მოწყენილობა), რომელიც თავისი ბუნებით მტკივნეულია, რასაც ამტკიცებენ *კასიოპო* და *პატრიკი*, რომ მარტოსულობას ჯანმრთელობისთვის მოაქვს საკმაოდ მავნე შედეგები.[1522]

ი. დონელი აკეთებს დასკვნას, რომ განმარტოება ღიაა მრავალი კონკურენტული ინტერპრეტაციისა და თანმდევი განწყობებისთვის და იშველიებს *ფ. კოხისა* და *ფ. დოსტოევსკის* შეხედულებებს. კერძოდ, *ფ. კოხის* აზრით, განმარტოება არ არის თავისი არსით, არც მშვიდი და არც არამშვიდი. იგი შეიძლება განსაკუთრებით ხელსაყრელი იყოს სიმშვიდის მისაღწევად, მაგრამ თავისითავად, არ არის ერთგვარი სიმშვიდე. ზოგჯერ იგი არის ტურბულენტური, ზოგჯერ საშიში, ზოგჯერ მყუდრო.[1523] *ფ. დოსტოევსკის* სიტყვებია: „მე ვიყავი საშინლად მარტო, და საბოლოოდ შემიყვარდა ეს მარტოობა. სულიერ მარტოობაში, თავიდან ბოლომდე ვუყურებდი განვლილ

[1519] იხ. Prisons Today and Tomorrow (edited by; *Ashley G. Blackburn*, *Shannon K. Fowler*, and *Joycelyn M. Pollock*), third edition, Jones & Bartlett Publishers, USA, 2014, 23-24.

[1520] იხ.: 1. Prisons Today and Tomorrow (edited by; *Ashley G. Blackburn*, *Shannon K. Fowler*, and *Joycelyn M. Pollock*), third edition, Jones & Bartlett Publishers, USA, 2014, 24-25; 2. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ, *Howe S.G.*, An Essay on Separate and Congregate Systems of Prison Discipline (being a report made to the Boston Prison Discipline Society), Boston, 1846, 67-68, 72-89.

[1521] იხ. *Ian O'Donnel*, Prisoners, Solitude and Time (Clarendon Studies in Criminology), Oxford University Press, USA, 2014, 83- 84.

[1522] იხ. *Cacioppo, J.* and *Patrick, W.* (2008), Loneliness: Human Nature and the Need for Social Connection, NY: WW Norton and Co. 2008, იხ.: *Ian O'Donnel*, Prisoners, Solitude and Time (Clarendon Studies in Criminology), Oxford University Press, USA, 2014, 83.

[1523] იხ. *Koch, P.*, Solitude: A Philosophical Encounter, Chicago: Open Court, 1994, 33, ციტირებულია წიგნიდან: *Ian O'Donnel*, Prisoners, Solitude and Time (Clarendon Studies in Criminology), Oxford University Press, USA, 2014, 83.

ცხოვრებას, ყველაფერს წვრილმან დეტალებში ვაკვირდებოდი, ვფიქრობდი ჩემს წარსულზე, მკაცრად და დაუნდობლად განვსჯიდი საკუთარ თავს და ზოგჯერ ვმადლობდი კიდეც ჩემს იღბალს იმისთვის, რომ მან გამომიგზავნა ეს მარტოობა, რომლის გარეშე ვერ განვსჯიდი საკუთარ თავს ამგვარად."[1524]

ი. დონელის აზრით, განმარტოების საფუძველში დევს სხვა ადამიანებისაგან განთავისუფლების (ინტელექტუალური და ემპირიული, თუ არა ყოველთვის სოციალური) მდგომარეობა, რომელიც ნარჩუნდება დროთა განმავლობაში. *ი. დონელი* არ უარყოფს მარტოსულობით გამოწვეულ ტკივილებს, არამედ უბრალოდ ამტკიცებს, რომ განმარტოების ღირებულების კონცეფცია, ნეიტრალურია თანმდევ ემოციურ მდგომარეობასთან. იგი თვლის, რომ ფიზიკურ იზოლაცის არ მოსდევს მხოლოდ ნეგატიური ფსიქოლოგიური შედეგები და იქვე აანალიზებს *ფ. კოხის* მიერ იდენტიფიცირებულ, განმარტოების ხუთ სათნოებას, რომელთაც აქვთ რეგენერაციის თვისება და მოქმედებს, როგორც წამალი.[1525]

პირველი სათნოება, - ეს არის *თავისუფლება*, სხვათა მოთხოვნებისაგან, ასევე საზოგადოების შეზღუდვებისა და მოლოდინებისაგან. ეს არის თავისუფლება იყო ისეთი, როგორიც არის ადამიანი; აკეთოს ისე, როგორც მას სურს.

მეორე სათნოება - შეთანაწყობა საკუთარ მესთან. ეს კი უთანაბრდება არა თვითგამორკვევას, არამედ იგი უფრო შინაგანი პროცესების გახსნილებაა, რომლის მიიღწევა შესაძლებელია სხვების ყურადღების არარსებობისას. საუბარია, რომ იყო გახსნილი საკუთარ თავთან, მაშინაც კი, როცა მას თან ახლავს კონფუზია, ვიდრე სიმშვიდე და ჰარმონია.

მესამე სათნოებაა - შეთანაწყობა ბუნებასთან. განმარტოება უზრუნველყოფს ძლიერი კავშირის დამყარებას ბუნებასთან. ამ დროს ხდება ძნელად მიღწევადი სიცხადის აღქმა, ხდება საკუთარსა და ბუნებას შორის არსებული ბარიერების გაქრობა.

მეოთხე სათნოებაა - რეფლექსური პერსპექტივა. იგი თავის თავში მოიაზრებს, წარსულისა და აწმყოს გახსენებას, გააზრებას და მნიშვნელობის მინიჭებას, ჭვრეტას უსაზღვროდ და დროის შეზღუდვის გარეშე, და ცოტა იღბლიანთათვის, განათლებულობას.

მეხუთე სათნოებაა - შემოქმედება. განმარტოებული ცხოვრება შემოქმედებისკენ, შეიძლება მოვიძიოთ მრავალი მხატვრისა და გენიოსის ბიოგრაფიაში (მაგალითების

[1524] იხ. *Dostoyevsky, F.* (2004), The House of the Dead (translated by C. Garnett), Mineola, New York: Dover Publications. (Originally published in 1862 by V tip. Iosafata Ogrizko), 2004, 234, ციტირებულია წიგნიდან: *Ian O'Donnel*, Prisoners, Solitude and Time (Clarendon Studies in Criminology), Oxford University Press, USA, 2014, 83.

[1525] იხ. *Ian O'Donnel*, Prisoners, Solitude and Time (Clarendon Studies in Criminology), Oxford University Press, USA, 2014, 84.

ჩამონათვალი იხილეთ, B Cobb 1977; Storr 1988).[1526] მაგრამ, შემოქმედება განმარტოებაში არ შემოიფარგლება რამდენიმე ცნობილი პიროვნებით. ყველა ვინც განიცდის მარტოობას და ნახულობს რესურს, რომლის შესახებაც მათ არ იცოდნენ, მაქსიმალურად იყენებენ მას. ზოგჯერ ამას მოსდევს ნაშრომის შექმნა, ნახატის დახატვა ან სხვა შემოქმედებითი მცდელობები, რაც ააშკარავებს პატიმარის პოტენციალს, რომელსაც მანამდე ვერ აღიქვამდა საკუთარ თავში, და რომელიც სხვა შემთხვევაში შეიძლება დარჩენილიყო შეუმჩნეველი.[1527]

4.3.3.2 პენიტენციარის „შეკავშირების სისტემა“

პენიტენციარის *შეკავშირების სისტემა*, გულისხმობდა პატიმრისათვის ინდივიდულაური საკნის ქონას, ისეთი სიჩუმის უზრუნველყოფას, სადაც უნდა ყოფილიყო მხოლოდ ფეხის ხმის გაგონების შესაძლებლობა, რუტინულ შრომას და პატიმართა მონანიებას. *შეკავშირების სისტემა*, რომელიც ინარჩუნებდა სამონასტრო ხასიათს, პირველად შემოღებულ იქნა *Aubrun*-ის ციხეში.[1528] ციხის *შეკავშირების სისტემის* რეჟიმი დღისით, წააგავდა სამხედრო საქმიანობას *(ყველაფერი განრიგით)*, - სიარული *(ერთ ხმაში და მწყობრში)*, ჭამა *(ჯდომა ზურგით გამართულ პოზაში)* და მუშაობა *(ხანგრძლივი დროით, როგორც წესი, ქარხნის ხმაურიანი სამუშაოს პირობებში).*[1529]

შეკავშირების სისტემა მიზნად ისახავდა სასჯელის შიშითა და ჩუმ პირობებში პატიმრის საკანში მოთავსებით, დანაშაულის პრევენციასა[1530] და მორჩილი პატიმრის ჩამოყალიბებას.[1531] *შეკავშირების სისტემის* საპატიმრო ცხოვრების არსი გულისხმობდა სიმკაცრესა და რეჟიმს. ციხის დღის რუტინა *ლაუმანტისა* და *დე თოკუვილეს* (1833/1964, 65-66) აღწერით, ასეთია: „ერთი დღის წესრიგი ნიშნავს მთელი წლისას. ამგვარად, მსჯავრდებულის ერთ საათს მოსდევს წესრიგის ერთიანობა, დაწყებული საპატიმროში შემოსვლის მომენტიდან დამთავრებული სასჯელის ვადის ამოწურვით“.[1532] მიუხედავად იმისა, რომ მძიმე დამნაშავეებს ადეკვატურად ეპყრობოდნენ და

[1526] იხ.: 1. Cobb, E., *The Ecology of Imagination in Childhood*, New York: Columbia University Press, 1977; 2. Storr, A., *Solitude*, London: HarperCollins, 1988, ციტირებულია წიგნიდან: *Ian O'Donnel*, Prisoners, Solitude and Time (Clarendon Studies in Criminology), Oxford University Press, USA, 2014, 83.

[1527] იხ. *Ian O'Donnel*, Prisoners, Solitude and Time (Clarendon Studies in Criminology), Oxford University Press, USA, 2014, 84.

[1528] იხ.: 1. Prisons Today and Tomorrow (edited by; *Ashley G. Blackburn*, *Shannon K. Fowler*, and *Joycelyn M. Pollock*), third edition, Jones & Bartlett Publishers, USA, 2014, 25; 2. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ, *Samuel Gridley Howe*-ის დასახ. ნაშრ. 72-89.

[1529] იხ. Prisons Today and Tomorrow (edited by; *Ashley G. Blackburn*, *Shannon K. Fowler*, and *Joycelyn M. Pollock*), third edition, Jones & Bartlett Publishers, USA, 2014, 25.

[1530] იხ. *Siegel L.J.*, დასახ. ნაშრ., 571-576.

[1531] იხ. Prisons Today and Tomorrow (edited by; *Ashley G. Blackburn*, *Shannon K. Fowler*, and *Joycelyn M. Pollock*), third edition, Jones & Bartlett Publishers, USA, 2014, 25.

[1532] იხ., იქვე.

კვებავდნენ, მათ არ ჰქონდათ შეწყალების იმედი, რათა შემსუბუქებოდათ განმარტოება და იზოლაცია. გარკვეული დროით, ზოგიერთს, ყველაზე მძიმე დამნაშავეს აიძულებდნენ სრულიად მარტო და მთელი დღის განმავლობაში ხმაამოუღებლად ყოფნას. აღნიშნულმა პრაქტიკამ, პატიმრებში გამოიწვია ფსიქიკური დარღვევები, თვითმკვლელობები და სხეულის თვითდაზიანებები. აღნიშნული მიდგომა, გაუქმდა 1823 წელს.[1533]

პენიტენციარის ასეთი სისტემები ცხარე განხილვის საგანს წარმოადგენდა ხანგრძლივი დროის განმავლობაში. საბოლოოდ, პენიტენციარის რეჟიმის დეტალები და რეფორმის პრაქტიკული დანიშნულება განისაზღვრა უფრო ფინანსური საკითხებით, ვიდრე სხვა პენოლოგიის პერსპექტივებით. ამდენად, *შეკავშირების სისტემა* ამერიკული პენიტენციარისთვის იქცა ნიმუშად, სულ მცირე ნაწილობრივ მაინც, რადგან მე-19 საუკუნის ამერიკაში, არსებობდა მუშახელის დეფიციტი, და შესაბამისად, პატიმრების ქარხნებში გამოყენება წარმოადგენდა მსოფლიოში არსებული საფრთხეებისა და კორუფციისაგან დაცვის ხელსაყრელ საშაულებას.[1534] სიწყნარისა და განმარტოების კომბინაცია, როგორც დასჯის მეთოდი ადვილად ვერ იქნა უგულებელყოფილი. ციხის თანამშრომლები ცდილობდნენ აღმოეფხვრათ უარყოფითი შედეგები და იმავდროულად, შეენარჩუნებინათ პენიტენციარის სისტემა. გადაწყვეტილება, რომელიც ამ პრობლემის მოსაგვარებლად იქნა მიღებული გულისხმობდა მსჯავრდებულების ღამით ცალკე საკნებში მოთავსებას, ხოლო დღისით, მსჯავრდებულების სამუშაო საათებში ერთად ყოფნასა და წყნარი გარემო პირობების შექმნას. მძიმე შრომა და სიჩუმე გახდა *აუბურნის* ციხის სისტემის ცხოვრების წესი, ხოლო სიწყნარე ითვლებოდა ციხის დისციპლინის უმთავრეს მოთხოვნად. ეს უკანასკნელი, გამოწვეული იყო იმით, რომ იგი პატიმრებში უზრუნველყოფდა ციხეში ამბოხების მოწყობისა და ციხიდან გაქცევის გეგმის შემუშავების პრევენციას და საკუთარ შეცდომებზე დაფიქრებას.[1535]

როგორც ირკვევა, *ჯ. ჰოვარდის* პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბების იდეა რეალობაში ბოლომდე ვერ განხორციელდა. პენიტენციარის განმარტოებისა და შეკავშირების სისტემების ანალიზმაც ცხადყო, რომ მონანიება ატარებდა ფორმალურ დატვირთვას. კრიმინოლოგიის ენციკლოპედიაში ვკითხულობთ, რომ თავდაპირველად პენიტენციარული ინსტიტუტი განიხილებოდა საპატიმრო ადგილად, სადაც ცოდვილს,

---

[1533] იხ. *Siegel L.J.*, დასახ. ნაშრ., 576.

[1534] იხ. 1. Prisons Today and Tomorrow (edited by; *Ashley G. Blackburn*, *Shannon K. Fowler*, and *Joycelyn M. Pollock*), third edition, Jones & Bartlett Publishers, USA, 2014, 25; 2 დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ, Francis C. Grey, *Prison Discipline in America*, 1847, Boston, 61-67.

[1535] 1. იხ. *Siegel L.J.*, დასახ. ნაშრ., 576; 2. გარდა ამისა, რეაბილიტაციის თეორიის დაკნინება დაიწყო 1970 წლებში, რომელიც კომპლექსური ფაქტორების წინა პლანზე წამოწევამ განაპირობა. ამ გარემოების გათვალისწინებით პოლიტიკის გამტარებლებმა და კანონმდებლებმა უგულებელჰყვეს რეაბილიტაცია სასჯელის მიზნებიდან. იხილეთ: The Purpose of Criminal Punishment, 116-117,<http://www.sagepub.com/upm-data/5144_Banks_II_Proof_Chapter_5.pdf>, (მოპოვების თარიღი: 12.05.2013).

შესაძლებლობა ეძლეოდა საღ გონებაზე დაფიქრებულიყო ჩადენილ საქციელზე და იმაზეც, თუ როგორ მომხდარიყო მისი რეფორმირება, მათ შორის ღმერთის დახმარებით. თუმცა, თანდათანობით ხდებოდა ამ იდეის გამოდევნა სამეცნიერო ან სამედიცინო მოდელებით, სადაც რეაბილიტაცია განიხილებოდა მკურნალობის ფორმად, რომელსაც შეეძლო გამოესწორებინა ადამიანთა ზოგიერთი ნაკლი, იქნებოდა ეს ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური, რაც შესაძლებლობას მისცემდა მათი ქცევის პრობლემის გადაწყვეტას.[1536]

იგივე შეიძლება ითქვას საქართველოსთან მიმართებაშიც. ქართველი ფსიქიატრ-კრიმინოლოგის *გ. შენგელაიას* მიხედვით, 1820 წლამდე ფსიქიკურ ავადმყოფთა „მკურნალობას“ ეწეოდნენ ექიმბაშები, ბერები, სამღვდელო მსახურნი და სხვები. 1820 წელს, ქ. თბილისში, გაიხსნა პირველი ფსიქიატრიული საავადმყოფო, ხოლო პირველი კრიმინოლოგიური „კლინიკა“, შეიძლება ითქვას ფუნქიონირებდა 1925 წელს, როდესაც ქ. თბილისში ფსიქო-ნევროლოგიურ ინსტიტუტთან გაიხსნა განყოფილება სახელწოდებით „ფსიქიატრიული ექსპერტიზისა და ბოროტმოქმედთა პიროვნების მეცნიერული შესწავლისთვის.“[1537]

მ. წურწუმია, რომელიც იკვლევს საქართველოში ფსიქიატრიის ისტორიის საკითხებს, გვაწვდის საინტერესო ცნობებს. ვახტანგ VI „სასამართლო წიგნთა კრებული“-დან ირკვევა, რომ ბერნი-მოქადაგენი ეწეოდნენ ხორციელ და სულიერ დაავადებათა მკურნალობას. ერთ-ერთ თავში ვკითხულობთ: „ქ. ბრძანებს რიგი მათთვინ, რომელ არიან მკურნალნი, მათთვინ რომელ არიან ბერნი-მოქადაგენი და რომელნი არიან ყოველთა წმინდათ წერილთა წიგნთა მცოდნენი ... . გამძღოლნი არიან ორის გზისა: მკურნალია ხორცთა განმკურნებელი და მოქადაგე სულითა ჭირთა მკურნალია.“[1538] ტექსტის ანალიზით ირკვევა, რომ მე-17-18 საუკუნეებში ქართველ მოსახლეობაში დიდი პოლულარობით და გავლენით სარგებლობდნენ ექიმი-კათოლიკები.[1539] აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ქართული მედიცინა და ფსიქიატრიული აზროვნება გაცილებით მაღლა იდგა დასავლეთ ევროპის მედიცინაზე. იქ გამეფებული დემონოლოგიური შეხედულებებისგან განსხვავებით, ფსიქოზი ითვლებოდა დაავადებად, თვით ავადმყოფობისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გარეშე და ასეთ ავადმყოფებს არა თუ დევნიდნენ და სჯიდნენ, არამედ მზრუნველობდნენ და მკურნალობდნენ.[1540]

[1536] იხ. Encyclopedia of Criminology and Criminal Justice (Editors: *Gerben Bruinsma*, *David Weisburd*), Springer, New York, USA, 2014, 4198.

[1537] *შენგელაია გ.*, სისხლის სამართლის უფლება, ბოროტმოქმედობა და ბოროტმოქმედთა პიროვნების შესწავლის საკითხი, სამეცნიერო ჟურნალი, „თანამედროვე მედიცინა“, №9, თბ., 1927, 456.

[1538] *წურწუმია მ.*, მასალები ფსიქიატრიის ისტორიისთვის საქართველოში, უძველესი დროიდან მეცხრამეტე საუკუნის დასასრულამდე (სადისერტაციო ნაშრომი), თბ. 1951, 314.

[1539] იხ., იქვე, 316.

[1540] იხ. *წურწუმია მ.*, დასახ. ნაშრ., 1951, 379.

4.3.4 პენოლოგიაში მონანიების კონცეფციის რაცეფციის საკითხისთვის

კარგად ცნობილი ფაქტია, რომ სახელმწიფოსთვის მთავარ ღირებულებას წარმოადგენს ადამიანი, რაც არაერთ ნორმატიულ აქტშია დეკლარირებული. მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლზე (იგულისხმება წინამორბედი კონსტიტუცია) გაკეთებული განმარტების მიხედვით, „პიროვნება საქართველოს კონსტიტუციის უზენაესი ღირებულებაა. ადამიანის ღირსების განვითარება ისტორიულად მჭიდროდ არის დაკავშირებული ქრისტიანობასთან, რომლის საფუძველი ღმერთთან მსგავსებაა: „შექმნა ღმერთმა კაცი სახედ თვისად, თავის ხატად შექმნა იგი“.[1541] გარდა ამისა, საქართველოს სისხლის სამართლის ახალმა კოდექსმა, ადამიანი სისხლისსამართლებრივი დაცვის უპირველეს ობიექტად გამოაცხადა.[1542] *გ. ნაჭყებია* აღნიშნავს, რომ „ჰუმანიზმის“ პრინციპშიც ვლინდება, რომ სახელმწიფოსთვის ადამიანი წარმოადგენს მთავარ ღირებულებას, რაც არა მარტო თეორიული იდეაა, არამედ უაღრესად პრაქტიკულ შედეგებთანაა დაკავშირებული. კერძოდ, „ადამიანის პიროვნებისადმი მაღალზნეობრივი დამოკიდებულება დანაშაულთა თავიდან აცილების მნიშვნელოვანი ფაქტორია“.[1543]

თუმცა, სახელმწიფოს ანთროპოცენტრული დამოკიდებულება განსხვავდება ეკლესიურისგან, რაც კარგად წარმოჩინდება დამნაშავის გამოსწორების და სასჯელაღსრულების პოლიტიკაშიც.

როგორც უკვე აღინიშნა, ქრისტიანული მოძღვრებით, ადამიანი სულიერი არსებაა, რომელსაც აქვს უკვდავი თვისება. *წმ. იოანე ოქროპირი* ბრძანებს: „სული თავისი ბუნებით უკვდავია, სხეული კი ბუნებით მოკვდავი“.[1544] ცოდვითა და დანაშაულით უპირველესად ავადდება ადამიანის სული, რომლის სამკურნალოდ გამოიყენება სინანულის სათნოება: „სინანულს ითხოვს ღმერთი ცოდვის სანაცვლოდ, რადგან სინანულია ის საშუალება, რომლითაც შემცოდე ადამიანს უბრუნდება ღმერთთან ურთიერთობის მორალური უფლება” (*არქ. გ. ბასილაძე*).[1545] მონანიება აღესრულება დამნაშავის ღმერთთან შუამავლის მონაწილეობით, აღსარების თქმით, ცოდვების მიტევებით და მადლის მიღებით.[1546] სწორედ სულიწმიდის მადლია ის ძალა, რომელიც წმენდს ადამიანის სულს ცოდვისგან და უზრუნველყოფს ადამიანის

[1541] *კუბლაშვილი კ.*, ძირითადი უფლებები (იურიდიული სახელმძღვანელო), გამომც. „ჯისიაი“, თბ., 2008, 87.

[1542] იხ. *ნაჭყებია გ.*, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორიის შესავალი (სისხლის სამართლის მეცნიერების ცნებათა სისტემის ასპექტით), ნაწილი პირველი, (რედ. *ნ. თოდუა*), გამომც. „ინტელექტი“, თბ., 2000, 166.

[1543] *ნაჭყებია გ.*, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო (რედ. *ი. დვალიძე*), საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“, თბ., 2011, 104.

[1544] *წმინდა იოანე ოქროპირი*, ჰომილიები, II ტომი (რედ. *თ. გოგოჩაშვილი*), გამომც. „ალილო“, თბ., 2015, 332.

[1545] *ა. ჩაგუნავა, ლ ყოლბაია*, დასახ. ნაშრ., 44.

[1546] იხ. *პროტოპრესვეტერი მიხეილ პომაზანსკი*, (2012), დასახ. ნაშრ., 200-2001.

ნორმალურ მდგომარეობაში დაბრუნებას. იურიდიული ტერმინოლოგიით თუ ვიტყვით, მონანიებით მიიღწევა დამნაშავის რეაბილიტაცია-რესოციალიზაცია და დანაშაულის სპეციალური (კერძო) პრევენცია.

გარდა ამისა, მართლმადიდებლური მოძღვრებით, დამნაშავის მონანიების საბოლოო მიზანი უფრო მეტია ვიდრე დამნაშავის სისხლის სამართლით გათვალისწინებული მიზნები, რადგან მონანიების საბოლოო მიზანი არის სულის გადარჩენა: „ციხე და პატიმრობა მძიმე განსაცდელია. უფალს სურს, ამ მძიმე ტანჯვით ამქვეყნადვე განიწმინდოს ადამიანი მის მიერ ჩადენილი სხვადასხვა მძიმე ცოდვებისაგან (სიმართლისთვის ტანჯულთ კი განუმზადოს მოწამის გვირგვინი), იხსნას ცოდვილის სული წარწყმედისაგან“ (*ო. ნიკოლაიშვილი*).[1547] *მღვდელმსახური ზ. მჭედლიშვილი* განმარტავს, რომ „ბევრი მადლიერებასაც გამოთქვამს იმის გამო, რომ ციხეში მოხვდა, რადგან რომ არა იქ ყოფნა, რწმენაში ვერ მოვიდოდა, ვერ შეიცნობდა უფალს და არასდროს მოიხედავდა სარწმუნოებისკენ“.[1548]

ქრისტიანული სწავლებისაგან განსხვავებით, პოზიტიური მეცნიერება ადამიანს განიხილავს სულიერ არსებად, ოღონდ ფსიქოლოგიური გაგებით. „ფსიქე“ კი, ქრისტიანული მოძღვრების მიხედვით, სამშვინველის სინონიმური ცნებაა.[1549]

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსიც ითვალისწინებს დანაშაულის ქმედით მონანიებას, მაგრამ მასში მოიაზრება: ხელისუფლების ორგანოებთან ნებაყოფლობით და დროულად ბრალის აღიარება; დანაშაულის გახსნაში ხელის შეწყობა; ზიანის ანაზღაურება და თუ თავიდან იქნება აცილებული საქართველოს ინტერესებისთვის მოსალოდნელი ზიანი.[1550] *ზ. გოთუა* აღნიშნავს, რომ „დანაშაულის ქმედითი მონანიება არ უნდა გავაიგივოთ დამნაშავის გულწრფელ მონანიებასთან, ანუ მის ისეთ ფსიქიკურ მდგომარეობასთან, როდესაც დამნაშავის ცნობიერებაში ხდება მისი ნამოქმედარის გადაფასება, რასაც ადვილი შესაძლებელია მოჰყვეს საკუთარი ბრალის საჯაროდ აღიარება და მონანიება, წუხილი მომხდარის გამო, თავისი საქმიანობის დაგმობა, თანამზრახველთა მხილება და ა.შ. სისხლისსამართლებრივი გაგებით, გულწრფელი მონანიება იქცევა ქმედით მონანიებად მხოლოდ მაშინ, თუ დამნაშავე დანაშაულის ჩადენის შემდეგ აქტიურად ცდილობს ხელი შეუშალოს მავნე შედეგების დადგომას. აგრეთვე ნებაყოფლობით აანაზღაურებს ზიანს.“[1551]

[1547] იხ. *ნიკოლაიშვილი ო.*, პატიმართა იმედი და ნუგეში, ზრუნვა ნარკომანთა და დამნაშავეთა სამყაროს ცნობიერების შეცვლისთვის, თბ., 25.

[1548] *ყიფიანი მ.*, (რედაქტორ-შემდგენელი), ციხემ იგი ცოდვილად მიიღო და წმინდანად გამოუშვა, ჩვენც შენი ხალხი ვართ (მთრგმნ. *ახალაძე ნ.*, *რუსაძე თ.*, *ბაღათურია ნ.*, და სხვ.), გამომც. „ხარება“, თბ., 2012, 98.

[1549] იხ. მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიის მოძღვრების საფუძვლები, (შემდგ. *დ. შოვნაძე, ნ. ჩაჩიბაია*), დაიბეჭდა შპს„ფავორიტი პრინტში“, თბ., 2013, 43-44.

[1550] იხილეთ საქართველოს სსკ-ის 69-ე მუხლი (სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ქმედითი მონანიების გამო) და 322-ე მუხლი (სახელმწიფოს წინააღმდეგ დანაშაულის ქმედითი მონანიება).

[1551] *გოთუა ზ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სასჯელი (ლექციების კურსი), თბ., 2001, 79.

ამგვარად, სისხლის სამართალში მონანიებას აქვს სულ სხვა დატვირთვა, და თვისებრივად განსხვავდება მონანიების მართლმადიდებლური მოდელისაგან.

ამის მიუხედავად, თანამედროვე პენოლოგია და მეცნიერებაც, ცნობს მონანიების მართლმადიდებლური კონცეფციის ვალიდურობას, მის დადებით ეფექტს დამნაშავის რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის პოლიტიკაში. ბუნებრივია, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არსებობს უამრავი შეხების წერტილებიც, რომელიც პირდაპირ და ირიბად ვლინდება მთელ რიგ ასპექტებში, კერძოდ:

1. პენოლოგიურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „პენიტენციარი არის ინსტიტუტი, რომელიც შექმნილია დამნაშავეებისთვის, იმისთვის, რომ დაფიქრდნენ თავიანთ ჩადენილ დანაშაულებზე და მონანიების გზით, მიაღწიონ ცოდვების შენდობასა და გამოსყიდვას.“[1552] კრიმინოლოგი *მ. მილერის* მიხედვით, ტერმინი „პენიტენციარი“ (*penitentiary*) ნიშნავს იმ დაწესებულებებს, სადაც დანაშაულის პრობლემები წყდება რელიგიური ტრანსფორმირების გზით. იგი, დანაშაულის თავიდან აცილებას ხედავს სულიერებასა და რწმენაში.[1553]

2. ქრისტიანული სწავლების მსგავსად, მეცნიერებაც დამნაშავის გამოსწორებას, ხედავს აზროვნებისა და ღირებულებების შეცვლაში. მაგალითად, რეაბილიტაციის თეორია, სასჯელს გამართლებულად მხოლოდ მაშინ მიიჩნევს, თუ მას შეუძლია დამნაშავეზე დადებითი ეფექტის მოხდენა, აზროვნების, ღირებულებების შეცვლა, რათა მან მომავალში არ ჩაიდინოს დანაშაული.[1554] რესოციალიზაციაში, როგორც უკვე აღინიშნა, იგულისხმება, დამნაშავის ფსიქიკაში დანაშაულის ჩადენისადმი მიდრეკილების აღმოფხვრა, ისეთი ჩვევისა თუ შეხედულების შთაგონება, რომელიც გამორიცხავს მის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის სურვილს (პროფ. *მ. ლეკვეიშვილი*).

იურიდიულ ფსიქოლოგიაში მიჩნეულია, რომ მსჯავრდებულის მიერ სასჯელის სწორი აღქმა შესაძლებელია მხოლოდ „მონანიების განწყობის“ წარმოქმნით, ...[1555] „სასჯელი კი, როგორც დასჯა მხოლოდ მაშინ იქნება ქმედითი, თუკი სასამართლო დანაშაულის სუბიექტური მხარისა და მსჯავრდებულის პიროვნების ცვლილებების პერსპექტივის გათვალისწინებით, მორალური და ფიზიკური ტანჯვის ისეთ ზომას აირჩევს, რომელიც გამოიწვევს მასში სიდისის ქენჯნას და პოზიტიური ცვლილებებისკენ სწრაფვას.“[1556]

[1552] *Robert Johnson*, *Ania Dobrzanska*, and *Seri Palla*, The American Prison in Historical Perspective: Race, Gender, and Adjustment, American University, USA, 2005, 23.

[1553] იხ. 21st Century Criminology, a Reference Handbook (edit. by *J. Mitchel Miller*), Sage Publication, Inc., USA, 2009, 4.

[1554] იხ. *გიორგიძე ალ.*, არასრულწლოვანთა სასჯელის მიზანი, ციტირებულია წიგნიდან: არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიებების შეფარდების პრობლემები, (რედ. *მ. ლეკვეიშვილი*, *მორის შალიკაშვილი*), გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2011, 75.

[1555] იხ. *ამინოვი ი.*, დასახ. ნაშრ., 440.

[1556] იქვე, 440.

საყურადღებოა, რომ *სამუელ უეორის* მიხედვით, ენდოკრინოლოგია დელიკვენტების გამოსწორებას, სახარებაში მოცემული სწავლებებით ადამიანის „მე“-ს შეცნობას, ზნეობრივი ფსიქიკის და შინაგანი კულტურის ჩამოყალიბებას უკავშირებს.[1557] „მე“-ს, ანუ საკუთარი თავის შეცნობა კი, როგორც ზემოთ აღინიშნა, მონანიების მართლმადიდებლური კონცეფციის აუცილებელი წანამძღვარია.

როგორც ცნობილია, დამნაშავეების რეაბილიტაციაში ფსიქიატრებთან ერთად, ასევე ჩართულები არიან ფსიქოლოგებიც. მათი საქმიანობა წარმოებს, როგორც ციხეებში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც, სპეციალურ სამკურნალო და საკონსულტაციო დაწესებულებებსა თუ ცენტრებში.[1558] ციხის ფსიქოლოგების ძალისხმევა მიმართულია პატიმრების ძალადობრივი იმპულსების შესაჩერებლად. ხშირად, ისინი მჭიდროდ საქმიანობენ ციხის ფსიქიატრებთან, როგორც ფსიქიკური აშლილობის დიაგნოსტირების, ასევე მკურნალობის მიზნით.[1559] მართლმადიდებლური მოძღვრებითაც, ძალადობრივი იმპიულსები, როგორიც არის აგრესია და სხვა, წარმოადგენენ ვენებებს, რომელთა წყარო, ორგვარია, - უხილავი ტრანსცენდენტული ბოროტი ძალა ან ადამიანური ვნებები.[1560]

3. მართლმადიდებლური მოძღვრებით, „ცოდვა მატერიაა, ის არ ქრება, ის უარყოფითი, ბოროტი ენერგიაა,[1561] ისევე როგორც ვნება“ (*აქრ. გიორგი ბასილაძე*).[1562] ადამიანის სული და ცოდვებიც სისხლშია (ლევ. 17, 11, 14).[1563] ბოროტის აზრის მიღებითა და ცოდვით, ავადდება ადამიანის სული და სხეული, რომელიც სულიერად და გენეტიკურად შთამომავლებზე გადადის. *წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის (ქიქოძე)* განმარტავს, რომ: „ადამიანი, რომელიც ცოდვას სჩადის, არა მხოლოდ თავის თავს იგდებს სნეულებასა და უბედურებაში, არამედ სენსა და განსაცდელს წინასწარ უმზადებს თავის შთამომავლობასაც, რადგან მისი ხორციელი, თუ სულიერი თვისებები შვილებსა და საერთოდ მომავალ თაობებზე გადადის“.[1564]

[1557] იხ. *Weor A.S.*, Fundamental Notions of Endocrinology and Criminology, Thelema Press, UK, 2007, 60.

[1558] იხ. Forensic Psychologists in Corrections, <https://www.forensicpsychologyedu.org/corrections/>, (მოპოვების თარიღი: 27.01.2022).

[1559] იხ. What is Prison Pscychologist?, <https://www.psychologyschoolguide.net/career-guides/becoming-a-prison-psychologist/>, (მოპოვების თარიღი: 27.01.2022).

[1560] იხილეთ წინამდებარე დისერტაციის მე-3 თავი. დანაშაულ(ობ)ის დეტერმინანტები.

[1561] იხ. *ჩაგუნავა ა., ყოლბაია ლ.*, დასახ. ნაშრ., 45.

[1562] იხ. *ჩაგუნავა ა., ვეკუა ი.*, დასახ. ნაშრ., 269.

[1563] იხ.: 1. „რადგან სისხლშია ხორციელის სული. მე დაგიწესეთ იგი სამსხვერპლოსთვის თქვენი სულის შესანდობლად, რადგან სისხლია, რომ შეუნდობს სულს; რადგან სული ყოველი ხორციელისა მისი სისხლია, მის სულშია იგი.“ (ლევ. 17, 11, 14); 2. ბერის დიადემა, წიგნი 1, (რედ. ლეილა სიხარულიძე), სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტერი, თბ., 2005, 112; 3. *ჯინორია მ.*, (2009), დასახ. ნაშრ., 124.

[1564] 1. ღვთიური სიბრძნის მართლმადიდებლური ანბანი (შემდგ. *გ. კალანდაძე*), წიგნი 6, (ქ-ჯ), გამომც. „პალიტრა L“, თბ., 2020, 94; 2. დამატებით იხილეთ წინამდებარე დისერტაციის ქვე-თავი: 2.1 ქრისტიანული ანთროპოლოგია.

საინტერესოა, რომ ამ მართლმადიდებლურ სწავლებებს მეცნიერებაც იზიარებს. კერძოდ, „მეცნიერებაში დამტკიცებულია, რომ ენერგია არის მატერია. უფრო მეტიც, ფიზიკაში ტალღისებური მოძრაობა მატერიალური მოვლენების საფუძველია.“[1565] გარდა ამისა, „მეცნიერულად დასაბუთებულია, რომ ბუნებრივი კანონზომიერების თანახმად, არც ენერგია და არც მატერია უკვალოდ არ ქრება“.[1566] ამას ფიქსირებული განწყობის კონცეფციაც ამტკიცებს.[1567] კვანტური მექანიკის მიხედვით, უარყოფითი ენერგია ადამიანის გარდაცვალების მერეც, სულში აგრძელებს არსებობას.[1568] მეცნიერება იმასაც ამტკიცებს, რომ ენერგია გენეტიკურადაც გადაეცემა თაობებს.

ფსიქოთერაპევტი *ა. დოროდნი* აღნიშნავს, რომ „თანამედროვე მეცნიერებამ აჩვენა, რომ აზროვნების პროცესი არა მარტო თავის ტვინის უჯრედებში მიმდინარეობს, არამედ ჩვენი სხეულის თითოეულ უჯრედში. ერთი სიტყვით, ჩვენ მთელი სხეულით ვაზროვნებთ“.[1569] *მეცნიერი* შენიშნავს, რომ „ჩევნი უარყოფითი აზრების შედეგია ის ნეგატიური გრძნობები, რომლებიც გამუდმებით „წამლავენ“ და ზემოქმედებენ სისხლსა და ორგანიზმის სხვა სითხეებზე.“[1570] *დოროდნი* დასძენს, რომ „ნებისმიერი ენერგია, მატერიალური იქნება ის თუ სულიერი, აუცილებლად დაკავშირებულია მის წყაროსთან, მის წარმომშობთან. ენერგია ეს რაღაც ზემოქმედებაა თავისი არსის გარეთ, რომელიც მოდის გარკვეული სუბატომური ნაწილაკებისაგან (ფოტონები, გრავიტონები და ასე შემდეგ). ეს ფიზიკური ნაწილაკები უპიროვნოა. არც სულიერი ენერგია (სულიერი ძალები) არ არსებობენ თავისთავად, არამედ გამომდინარეობენ ამა თუ იმ სულიერი არსებისგან.“[1571] *კ. იუნგი*, როგორც უკვე აღინიშნა, ირწმუნება, რომ ადამიანის ცნობიერებაში არსებობს ცოდვისა და ბოროტების ცნებები, რომ ისინი ჩვენი ბუნების ნაწილებია.[1572]

გამოდის, რომ დანაშაულის ჩადენამდე არსებული დანაშაულებრივი განზრახვა, თუ დანაშაულის შემდეგ ადამიანის გონებაში რეალიზებული ბოროტი და ვნებიანი აზრი, ემოცია თუ განცდა, როგორც უხილავი ენერგეტიკული მატერია, უკვალოდ არ

[1565] *მღვდელმთავარი ლუკა (ვოინო-იასენეცკი)*, მეცნიერება და რელიგია, სული, სამშვინველი და სხეული, თბილისი, 2003, 36.

[1566] იხ. გამოჩენილი მეცნიერები რელიგიის შესახებ, *ი. პ. პავლოვის* სიტყვა (საპატრიარქოს რადიო „ივერია“ FM 105.4-ის ვებ-გვერდი), <http://www.orthodoxy.ge/metsniereba/metsnierebi.htm>, (მოპოვების თარიღი: 27.07.2010).

[1567] იხ. *უზნაძე დ.*, განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები, „ფსიქოლოგიის ინსტიტუტის შრომები“, ტ. 6, 1949, <http://dictionary.css.ge/content/set>, (მოპოვების თარიღი:17.07.2018).

[1568] იხ. სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი „ფენომენი“ (დირ. *გ. გობეჩია*; რედ. *მ. თუნგია*), №9, თბ., 2014, 6-9.

[1569] იხ. რატომაა ჩვენი ფიქრები ჩვენი ჯანმრთელობისა და დაავადებების გასაღები..., სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი „ფენომენი“ (დირ. *გ. გობეჩია*; რედ. *მ. თუნგია*), №3, თბ., 2014, 14.

[1570] იხ., იქვე, 14-15.

[1571] რატომ არის საჭირო ჩაკრებთან სიფრთხილე, სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი „ფენომენი“ (დირ. *გ. გობეჩია*; რედ. *მ. თუნგია*), №3, თბ., 2014, 21.

[1572] იხ. *ფრიმანი ჯ.*, დასახ. ნაშრ., 110.

ქრება. ბოროტი ენერგია (აზრი, განზრახვა), რომელიც უხილავი ენერგიიის წყაროდან იღებს სათავეს, მკვიდრდება ადამიანის სულსა და სხეულში, რომლის პათოლოგიური კლინიკა ვლინდება ადამიანის ისეთი სულიერ კატეგორიებში, როგორიც არის აგრესია, მრისხანება, სიძულვილი, მწუხარება, ნაღველი და ა.შ. ამგვარად, ხდება „დანაშაულებრივი (კრიმინალური) ენერგიის“ ფიქსირება ადამიანში. სამეცნიერო ტერმინოლოგიით თუ ვიტყვით, სახეზე გვაქვს „ფიქსირებული დანაშაულებრივი განწობა“. აღსანიშნავია ისიც, რომ კრიმინოლოგიისთვის კარგად არის ცნობილი, ისეთი ცნება, როგორიც არის „კრიმინალური ენერგია“. მაგალითად, ამერიკელი კრიმინოლოგის, *უოლტერ რეკლესის* „შეკავების თეორიის“ (*Containment Theory*) მიხედვით, „შინაგანი დანაშაულებრივი ენერგიის დონე განისაზღვრება ანტისოციალური და აღქმების გაზომვით“.[1573]

როგორც ირკვევა, მეცნიერება, გარკვეულწილად, ეთანხმება მართლმადიდებლურ სწავლებას, იმასთან დაკავშირებით, რომ ადამიანის სულზე, გონებაზე და სხეულზე მოქმედებს უარყოფითი ენერგია, განცდის, ემოციისა თუ აზრების მეშვეობით; რომ ასეთ დროს, ადამიანი ფსიქიკა იმყოფება პათოლოგიურ (ავადმყოფურ, არანორმალურ) მდგომარეობაში, რომლის ერთ-ერთ გამოვლინებას წარმოადგენს დანაშაული.[1574] სხვაგვარად რომ ვთქვათ, დანაშაული არის სულიერ-ფსიქიკური ავადმყოფობის სიმპტომი, ხოლო დანაშაულის ჩადენის სურვილით შეპყრობილ და დანაშაულით გამოწვეულ ადამიანის შინაგან მდგომარეობას, პირობითად შეიძლება ეწოდოს „სულიერი-ფსიქიკური აშლილობა“. ვინმეს შეიძლება მოეჩვენოს, რომ დანაშაულებრივი განზრახვით ან დანაშაულით გამოწვეული სულიერი აშლილობა დიდხანს არ უნდა გრძელდებოდეს ადამიანში, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. დოსტოევსკის ნაწარმოების „დანაშაული და სასჯელის” მთავარი პერსონაჟის, „რასკოლნიკოვის“ ფსიქო-ემოციური მდგომარეობა ამის ნათელი მაგალითია. ზოგადად, ანალოგიური დასკვნა გამომდინარეობს დისერტაციის მესამე თავში, ვნების შესახებ თვისებრივი ასპექტების კვლევიდანაც. *ბ. მილიგანის* სისხლის სამართლის საქმეზე კი, ამ დასკვნის უტყუარი მტკიცებულებაა.[1575]

ამის ფონზე, ძნელი არ უნდა იყოს იმის შემჩნევაც, რომ სისხლის სამართლით გათვალისწინებული სასჯელის შიში და სასჯელის ვადის ფორმალური ამოწურვა, ვერ უზრუნველყოფს დამნაშავის სრულფასოვან გამოსწორებას, აზროვნების ნორმალურ მდგომარეობაში დაბრუნებას. საქმე ისაა, რომ დანაშაულით, უპირველეს ყოვლისა, ავადდება სული, რომელიც უხილავი ენეგეტიკული სუბსტანციაა. დაავადებული

[1573] *Шнайдер Г.Й.*, Криминология, (перевод с немецкого Ю.А. Неподаева, ред., Л.О. Иванова), изд., „Прогесс“ М., 1994, 195.

[1574] ასეთი მდომარეობა ლოგიკურია, რადგან მეცნიერული პოზიციებიც თანხვედრაშია დანაშაულ(ობ)ის მიზეზების ქრისტიანული მოძღვრებასთან.

[1575] იხილეთ წინამდებარე დისერტაციის პარაგრაფი: 3.3.3 მეცნიერება ვნების თვისებრივ (ტრანსცენდენტულ) ბუნებაზე.

სულის სიმპტომები ვლინდება სამშვინველში (ფსიქიკაში), ხოლო სიმპტომებზე მიმართული ძალისხმევა, ბუნებრივია ვერ უზრუნველყოფს სულის განკურნებას.

აღნიშნული დებულება, ბუნებრივად აჩენს კითხვას: რამდენად გამართლებულია, სისხლის სამართლის სასჯელმა, სასჯელის შიშით, მიზნად დაისახოს ადამიანის რესოციალიზაცია (გამოსწორება) და დანაშაულის პრევენცია?

სასჯელის შიშის ეფექტთან დაკავშირებით, *გ. ნაჭყებია* აღნიშნავს, რომ „მატერიალური მდგომარეობა და განათლება უფრო მტკიცე ზღუდეა დანაშაულის წინააღმდეგ, ვიდრე სასჯელი“.[1576] *ტ. ბიორგოს* წიგნში „დანაშაულის პრევენცია“ აღნიშნულია, რომ: „დაშინების თაობაზე არსებული ლიტერატურის სრულყოფილი ანალიზისას, *რ. პეტერსონი* უთითებს, რომ არსებულ ემპირიულ მტკიცებულებებს მივყავართ დასკვნამდე, რომ სასჯელს მხოლოდ მცირედით თუ აქვს დაშინების ეფექტი“.[1577]

რაც შეეხება რესოციალიზაციას, *პროფ. გ. ნაჭყებია* მართებულად აღნიშნავს, რომ:

> „სისხლის სამართლის ნორმას არ შეუძლია დაისახოს მსჯავრდებულის მორალური გამოსწორების მიზანი. მორალური გამოსწორების მიზანი, შეიძლება იყოს მორალური ნორმის მიზანი და მოითხოვს ამ გამოსწორების მორალურ კრიტერიუმებს. როგორც კი, სასჯელის მიზნად მსჯავრდებულის მორალური გამოსწორების მიზანს შევიტანთ, სისხლის სამართალი ლოგიკურად გადის თავისი თავის გარეთ და გადადის მორალურ ნორმათა სისტემაში. ზნეობრივი მიზნის მისაღწევად საჭიროა შესატყვისი საშუალება.“[1578]

ადამიანის ზნეობრივ განვითარებაში მიზნის მიღწევის შესატყვისი საშუალება,[1579] *ჰ. კელზენის* აზრით, შეიძლება იყოს სამართლის ნორმათა ძირითადი ნორმა (*Grund Norm*), რომელიც არ შეიძლება გამოყვანილი იქნეს სხვა ნორმებიდან, რადგან ის არის ჯერარსული უმაღლესი წერტილი, საიდანაც გამომდინარეობს ყველა სხვა ნორმა. ძირითადი ნორმის თავისებურება, ყველა ნორმისაგან განსხვავებით ისაა, რომ იგი არ იქმნება სამართლებრივი პროცედურების მეშვეობით, ის არის *a priori*, როგორც მუდმივი სამართლის იდეა.[1580]

ამგვარად, კონვენციური ან ინდივიდუალური მორალი, და მით უფრო, მათზე დაფუძნებული პოზიტიური სამართლის ნორმა, ვერ იქნება ადამიანის ზნეობრივი

[1576] *ნაჭყებია გ.*, (1998), დასახ. ნაშრ., 68.

[1577] *ბიორგო ტ.*, დასახ. ნაშრ., 51.

[1578] *ნაჭყებია გ.*, მსჯავრდებულის მორალური გამოსწორების საკითხისათვის, ჟურნალი „ამართალი“, № 3-4, 1994, 41-42.

[1579] იხილეთ წინამდებარე დისერტაციის ქვე-პარაგრაფი: 1.2.4.1 ტრანსცენდენტული ასპექტები სამართლის თეორიებსა და სკოლებში.

[1580] იხ. *სავანელი ბ.*, სამართლის თეორია, გამომც. „საქართველო“, თბ., 1993, 56.

მიზნის მიღწევის შესატყივისი საშუალება, თუ იგი შესაბამისობაში არ იქნება საღვთო მორალთან.[1581]

მართლმადიდებლური სწავლებით, ყოველგვარი სათნოების წყარო არის თავად ღმერთი, რომელმაც ადამიანის მორალური გამოსწორებისა და განღმრთობისთვის დააწესა შინაგანი (სინდისი), დაუწერელი და დაწერილი სჯული, ბიბლია (როგორც სამართლის წყარო),[1582] ეკლესია, თავისი სამღვდლო იერარქიით, წესებითა და კანონებით და სახელმწიფო. ადამიანის ზნეობრივი გამოსწორების მიზნით, მართლმადიდებლობა მოქმედებს პრინციპით „ბოროტება აღმოიფხვრება სათნოებით", რომელსაც ასევე იყენებს კლასიკური თანამედროვე მედიცინაც.[1583]

წმ. იოანე ოქროპირი განმარტებით, „ეშმაკნი განიდევნებიან საღმრთო ძალით, ეშმაკს არ შეუძლია ეშმაკის განდევნა".[1584] ბოროტი აზროვნება, როგორც ენერგია, საპირისპიროთი რომ შეიცვალოს, აუცილებელია მხოლოდ კეთილი, სათნო და წმინდა ენერგიასთან ზიარება. მართლმადიდებლური მოძღვრებით „ღმერთი არის ენერგია" (*წმ. გრიგოლ პალამა*),[1585] „ყოველი სათნოების საწყისი" (*წმ. მარკოზ მოსაგრე*),[1586] რომლისგანაც „ყოველნაირი კეთილი აზრი მოდის" (*წმ. ბერი გაბრიელი*).[1587]

წმ. ილია მართალი განმარტავს „სიკეთით სძლიე შენს მტერსა, ერიდე სისხლით ზღვევასა" და „კეთილი ფარად უფარე შენთვის ბოროტის მდომსაო, მადლისა წყაროს ასმევდე ცოდვის გუბეში მდგომსაო."[1588]

წმ. გრიგოლ პალამა განმარტავს, რომ „ღმერთი არ არის მხოლოდ თავისი არსის, ბუნების იგივეობრივი, იგი მყოფობს აგრეთვე თავის შეუქმნელ ენერგიებში, რომლებიც ისევე, როგორც მისი არსი („უსია"), საერთოა სამივე ჰიპოსტასისთვის. ენერგიები განუყოფელნი არიან ღმერთის არსისგან, ისინი მისი ღვთაებრივი არსის მიღმა მყოფობის თავისებურ სახეს წარმოადგენენ. ღმერთთან ზიარება, ნიშნავს სწორედ ენერგიებთან ზიარებას. ადამიანის ღმერთთან ურთიერთობა მხოლოდ ღვთაებრივი ენერგიების მეოხებით ხდება, რასაც წინ უსწრებს მორწმუნეს მზადება, განწმენდა,

---

[1581] იხილეთ წინამდებარე დისერტაციის ქვე-პარაგრაფი: 1.2.4.3 საღვთო და პოზიტიურ სამართლში მორალის კონცეპტი.

[1582] ბიბლიის, როგორც სამართლის წყაროსთან დაკავშირებით იხილეთ წინამდებარე დისერტაციის პარაგრაფი: 1.2.5 შეჯამება.

[1583] იხ. *რემი ე.*, ჰომეოპათიის ანბანი (მეხუთე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა) 1973 წელი, „შტაუფენ - ფარმა გოპინგენ", ჰომეოპათიის ანბანი,<https://curamediana.ge/anbani.html>, (მოპოვების თარიღი: 08.04.2020).

[1584] *წმინდა იოანე ოქროპირი*, ჰომილიები, V ტ., (რედ. *თ. გოგოჩაშვილი*), გამომცემლობა „ალილო", თბ., 2015, 496.

[1585] იხ. *ეკალაძე ზ.*, ფერისცვალება, გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი" №32 (83), 2000, <https://www.orthodoxy.ge/dgesastsaulebi/peristsvaleba.htm>, (მოპოვების თარიღი: 07.05.2017).

[1586] ღვთიური სიბრძნის მართლმადიდებლური ენციკლოპედია, (შემდგ. *გ. კალანდაძე*), თბ., 2007, 498.

[1587] *ჯინორია მ.*, (2009), დასახ. ნაშრ., 75.

[1588] ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 1, გვ. 107-108, ციტირებულია წიგნიდან: *მეტრეველი ვ.* ილია ჭავჭავაძე, დანაშაულისა და სასჯელის შესახებ, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1983, 31.L.

განუწყვეტელი ლოცვა, რომლის დროსაც ხდება ამ ენერგიების უშუალო, რეალური განცდა."[1589]

მნიშვნელოვანია აქაც აღინიშნოს, რომ მონანიება არ არის დასჯა, ან ადამიანის ან საზოგადოების დაშინება, არამედ სულის სამკურნალო საშუალება. მონანიება ნებაყოფლობითი აქტი და განგრძობითი მოვლენაა, რომელიც დროის სამ განზომილებას მოიცავს (ცოდვების აღიარებას აწმყოში, წარსულში და მომავალში, ცხოვრების ბოლომდე). დამნაშავის ზნეობრივი გამოსწორება ხდება სულიწმიდის მადლის ზემოქმედებით: „ცოდვილი იწმინდება სულზე ძალის უშუალო ზემოქმედებით! სულს ქმედების წმინდა ცეცხლი უნდა შეეხოს" (*არქ. გ. ბასილაძის*);[1590] „ღმერთი ჩვენში სულიწმიდის მიერ შემოსახლდება და მკვიდრდება. საერთოდ არ არსებობს არანაირი საბოძვარი საღმრთო მადლისა, რომელიც სულიწმიდის გარეშე იქნებოდა გარდამოვლენილი ჩვენზე" (*წმ. ბასილი დიდი*).[1591]

ღმერთმა ადამიანი უცოდველი შექმნა იმ მიზნით, რომ განმტკიცებულიყო სიწმინდეში და მაქსიმალურად განღმრთობილიყო. ცოდვამ, ადამიანის ბუნება შეცვალა და დააშორა უზენაეს სიკეთეს. მონანიება კი, ადამიანს ეხმარება დაიბრუნოს პირვანდელი ბუნებრივი სულიერი მდგომარეობა და ღმერთთან ზიარებით უკვდავყოს სული. განღმრთობა, ადამიანს რეალურად განაცდევინებს სულის უკვდავებას, მარადიულ ნეტარებას და სიყვარულში მყოფობას. სულის უკვდავების ცოცხალი გამოცდილება და მარადიულ სასუფეველში მოხვედრის სურვილი, ადამიანს ბუნებრივად უჩენს მოთხოვნილებას, ამქვეყნიური ცხოვრება გააატაროს მხოლოდ და მხოლოდ კანონების დაცვითა და სათნოებების აღსრულებით: „სიყვარულს, როგორც შემოქმედებით ძალას, ყველაზე ძლიერი სტიმული აქვს მოქმედებათა.... ის ადამიანს აიძულებს მცნებების დაცვას (იხ. იოანე, 14. 23, 31). ამგვარად, მართლმადიდებლური მოძღვრებით, კანონმორჩილებას, რომელიც უზრუნველყოფს დანაშაულის პრევენციას, საფუძვლად უდევს სიყვარული, ცოცხალი რწმენა და სულის უკვდავებაზე ზრუნვა. მიიჩნევა, რომ მხოლოდ ცოცხალი რწმენა იმის შესახებ, რომ არსებობს ღმერთი, მიღმური სამყარო, სულის უკვდავება, სასუფეველში მარადიულად ცხოვრების შესაძლებლობა, რომელიც მიიღწევა თუკი ადამიანი ამქვეყნად განიწმენდს სულს ცოდვებისგან და მოიხვეჭს სულიწმიდის მადლს მონანიებით, არის ყველაზე ეფექტური და ჰუმანური საშუალება და გარანტია, დანაშაულის პრევენციის უზრუნველსაყოფად.

კიდევ უფრო მეტი დამაჯერებლობა, რომ შეიძინოს აღნიშნულმა მსჯელობამ, საკმარისია გავაანალიზდეს ორი, ერთმანეთისაგან განსხვავებულ მაგალითი, რომელიც კარგად წარმოაჩენს, თუ რა უპირატესობა აქვს ღვთისადმი რწმენას დანაშაულის პრევენციის პოლიტიკაში.

[1589] *ჯინორია მ.*, (2009), დასახ. ნაშრ., 313.

[1590] *ჩაგუნავა ა., ყოლბაია ლ.*, დასახ. ნაშრ., 99.

[1591] ღვთიური სიბრძნის მართლმადიდებლური ენციკლოპედია, (შემდგ. *გ. კალანდაძე*), თბ., 2007, 495-496.

პირველი: მრავალწლიანი პატიმრობის შემდეგ, თავისუფლებაზე გამოდის 60 წლის ასაკის „ურწმუნო“ ადამიანი (ათეისტი). მას, გარეთ გულშემატკივარი არავინ ჰყავს. მისთვის აქსიომატურია ემპირიული მეცნიერების პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ ადამიანის ცხოვრება ამ წუთისოფელში მთავრდება. აქედან გამომდინარე, სრულიად დარწმუნებულია იმაშიც, რომ ადამიანმა უნდა მოასწროს ცხოვრებიდან მაქსიმალური სიამოვნების მიღება. გავიხსენოთ, *რ. მერტონის* კონცეფცია საზოგადოების მოწონებულ მიზნებსა და კანონიერი გზით ამ მიზნების მიღწევის შესაძლებლობებზე და ის ემპირიული კვლევები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ საზოგადოების უმრავლების შეხედულებით, ცხოვრების მიზანს წარმოადგენს ბევრი ფული, მატერიალური კეთილდღეობა და სიამოვნების მიღება, ანუ ვნებების დაკმაყოფილება. „ათეისტმა“ ასევე იცის, რომ სოცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, ყველაზე საუკეთესო მონაცემებით არის 82.2 წელი,[1592] ხოლო პენსიის ასაკი არის, პირობითად 65 წელი. ასევე გათვალისწინებული უნდა იქნას „სტიგმატიზაციის“ უარყოფითი ეფექტიც.

ისმის კითხვა: როგორ დაარწმუნებს სახელმწიფო ასეთ „ათეისტს“ იმაში, რომ მის ცხოვრებას აქვს პერსპექტივა, ღირებულება? შესაძლებელია, რომ სახელმწიფომ შესთავაზოს „ათეისტს“ ისეთი რამ, რომელიც მის გონებაში დაბადებდა კანონმორჩილად ცხოვრების სურვილს?[1593] ნამდვილ ამბავზე გადაღებულ ფილმში, სახელწოდებით „გაქცევა შაუშენკიდან“, პატიმრი, სახელად „*ბრუქსი*“, თავისუფლებაზე გასვლის წინა დღეს შეეცდება პატიმრის მოკვლას დანით იმ იმედით, რომ მკვლელობის გამო მას ციხეში დატოვებდნენ ცხოვრების ბოლომდე. ასეთი საქციელის მოტივი ის იყო, რომ თავისუფლებაზე მას პერსპექტივა არ ჰქონდა. ციხის პატიმრები გადააფიქრებინებენ „*ბრუქსს*“ განზრახვის სისრულეში მოიყვანას, მაგრამ თავისუფლებაზე მყოფი, ვარდება სასოწარკვეთილებაში და თვითმკვლელობით ასრულებს სიცოცხლეს.[1594]

მეორე: აღნიშნული მაგალითი ეხება, ყოფილ პატიმარს, *არჩი უილიამს*, რომელმაც 37 წელიწადი გაატარა ციხეში იმ დანაშაულის გამო, რომელიც მას არ ჩაუდენია. *არჩი* 22 წლის იყო როდესაც დააკავეს, ხოლო ციხიდან გამოვიდა 59 წლის ასაკში, მაგრამ სულიერად არ გატყდა. *არჩი* თავის სულიერ სიმტკიცეს ასე ხსნის: „რაც თავი მახსოვს, ყოველთვის ღმერთთან ურთიერთობაში ვარ. მე მწამს და ვენდობი მას. არ

[1592] იხ.: ინტერნეტ-პორტალი „*Life Expectancy*“, <https://www.worlddata.info/life-expectancy.php>, (მოპოვების თარიღი: 07.07.2021).

[1593] აღნიშნული მაგალითი და კითხვებიც ეკუთვნის *ბერ გრიგოლს (წულაია)*, რომელიც პირადად მოვისმინე შავნაბადას მამათა მონასტერში ყოფნის დროს, მასთან დამნაშავის გამოსწორების საკითხებზე საუბრისას.

[1594] იხ. ფილმი „*გაქცევა შაუშენკიდან*“ (The Shawshank Redemption), ეპიზოდი: 57:20-დან 1.05.47-მდე წთ., ლინკზე, <https://adjaranet.com/movies/391/The-Shawshank-Redemption?lang=RUS&quality=SD>, (მოპოვების თარიღი: 07.08.2021).

ვიცი სხვა ხალხის რწმენა რა არის, მაგრამ ეს არის ჩემი რწმენა. როდესაც ვინმე ბოროტებას მოგვაყენებს, ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, რამდენად მივცემთ ბოროტს უფლებას დამკვიდრდეს გონებაში. თუ ბოროტებას შევუშვებთ, მას შეუძლია თქვენი განადგურება. ეს მეცნიერული ფაქტია. მე არასდროს შემომიშვია ბოროტება ჩემში - მაშინაც კი, როდესაც იმ ადამიანებმა, ვინც ციხეში ჩამსვეს, იცოდნენ ჩემი უდანაშაულობის შესახებ. მე ვსაუბრობ იმაზე, რომ ყველამ იცოდა ჩემი უდანაშაულობა, უმცროსიდან დაწყებული უფროსით დამთავრებული. მიუხედავად ამისა, მე ბოროტი სულისთვის არასდროს მიმიცია უფლება ეცხოვრა ჩემს გულში ... ."[1595]

როგორც ირკვევა, ადამიანს, რომელსაც არა აქვს ცოცხალი რწმენა ღმერთის, სულის უკვდავების არსებობაზე, ბოროტებისა და ცოდვის შედეგებზე და მიჯაჭვულია მხოლოდ მატერიალურ ცხოვრებაზე და „ათეისტურ" იდეოლოგიაზე, მაშინ ადამიანის ცოდვილ ლოგიკას სხვა გზა არ რჩება, გარდა იმისა, რომ იფიქორს დანაშაულის ჩადენაზე, ან თვითმკვლელობაზე, რაც *ბრუქსის* შემთხვევაში მოხდა.

საქმე ისაა, რომ „რელიგია ცხოვრებას აზრს აძლევს, რადგან იგი სიცოცხლეს გვპირდება, ხოლო ათეიზმი მხოლოდ სიკვდილის პერსპექტივას გვიშლის თვალწინ."[1596] დამნაშავის გამოსწორებასთან მიმართებაში, აღნიშნული ასპექტი აქტუალურს ხდის მართლმადიდებლურ მოძღვრებას რწმენის, ცოდვისა და სიკეთის რაობის შესახებ, და ზოგადად, ეკლესიური სწავლებების შესახებ. *სოკრატე* თვლიდა, რომ „ადამიანი, რომელმაც იცის რა არის სიკეთე და ბოროტება, არ ჩაიდენს ბოროტს. ცოდვა ჩაიდინო ეს ნიშნავს არ იცოდე, რომ ეს ცოდვაა".[1597] *სოკრატე* არა გულისხმობდა მიწიერ, არამედ ტრანსცენდენტულ ცოდნას. მისი სიტყვებია: „ადამიანს რომ ჰქონდეს მეტაფიზიკური ცოდნა, არ ჩაიდენდა ბოროტებას".[1598] *წმ. ილია მართალიც* ანალოგიურად მსჯელობს „ადამიანის უბედურება დღემდე იმაშია, რომ ვერ მიუგნია, რა არის ცოდვა და რა არის მადლი! რას ეწოდება კეთილი და რას ბოროტება."[1599]

მაგრამ ურწმუნოების პრობლემა ამით არ ამოიწურება. მორალური გამოსწორების გარეშე (რაც ცოდვის შეძულების, სულის გაწმენდისა და ღმერთთან ზიარების გარეშე შეუძლებელია), საღად მოაზროვნე ადამიანის, და მით უფრო ნასამართლევი პირის

[1595] Why Archie Williams Refuses to Let Anger Imprison Him (by Ryan D'Agostino Sep., 23, 2020), Hearst Magazine Media, Inc. იხ.:<https://goodhousekeeping.com/life/a32851494/archie-williams-agt-wrongful-conviction-story/>, (მოპოვების თარიღი: 07.02.20221).

[1596] *ცაგურიშვილი თ.*, თითქოს ქმნილება აუჯანყდა თავის შემოქმედს, რადგან აღარ სურს მასთან ერთობა. სრულიად გამიწიერდა ზეცისაკენ მოწოდებული სულიერი არსება, რადგან დროებითზე გაცვალა მარადიული, ინტერნეტ-ჟურნალი „კარიბჭე", (10.06.2010), იხ.:<http://karibche.ambebi.ge/>, (მოპოვების თარიღი:27.07.2020).

[1597] იხ. *რამიშვილი ვ.*, ადამიანი და ხვედრი (დროის მეტაფიზიკა), თსუ-ს გამომცემლობა, თბ., 2002, 233.

[1598] იხ., იქვე, 234.

[1599] *ჯავახიშვილი ივ.*, ქართული სამართლის ისტორია, თხზ. 12 ტომად, ტ. 7, გვ. 191, ციტირებულია წიგნიდან: *მეტრეველი ვ.*, ილია ჭავჭავაძის თვალსაზრისი დანაშაულზე, *გივი ინწკირველის 70 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული* (რედ. ლ. ჭანტურია), გამომც. შპს „ნორმა", თბ., 1996

ლოგიკითაც, სასჯელის მოხდა აღქმული იქნება უსამართლო მოპყრობად, სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან. სსკ-ის 68-ე მუხლში მოცემული ქმედითი მონანიება, რეალური სინანულის არარსებობის გამო, ვერ გამოიწვევს ადამიანის გამოსწორებას. შესაბამისად, ლოგიკურია ვარაუდი იმასთან დაკავშირებით, რომ სასჯელის მოხდის შემდეგ, პირი საზოგადოებისთვის უფრო საშიში იქნება, ვიდრე იგი სასჯელს მოხდამდე იყო. აღნიშნული ასპექტი ძალზედ საყურადრებოა და კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მონანიების შესახებ მართლმადიდებლური საფუძვლების გავრცელების აუცილებლობას პენიტენციურ სისტემაში.

მეცნიერებაზე დაფუძნებული ათეისტური იდეოლოგია, რომელიც უარყოფს ღმერთის არსებობას და იზიარებს ცოდვილი უმრავლესობის აზრს, თითქოს „წუთისოფელში ფული, მატერიალური კეთილდღეობა და ვნებების დაკმაყოფილება არის ცხოვრების მიზანი“, მაშინ ადამიანის ლოგიკა, გონებას ჩიხში აქცევს და უწევს იმაზე ფიქრი, რომ: 1. ცხოვრებას აზრი აღარ აქვს. ამას მოჰყვება დეპრესია, სასოწარკვეთილება და ფიქრი თვითმკვლელობაზე,[1600] როგორც ეს აღწერილი აქვს *ე. დიუკრჰეიმს* „ეგოისტურ თვითმკლელობასთან“ დაკავშირებით;[1601] 2. გაიქარვოს დარდი. ამისთვის, ადამიანი ეძალება ნარკოტიკებს ან ალკოჰოლს. საბოლოოდ, მისთვის ესეც ტრაგიკულად სრულდება, ან 3. სხვაგვარად გაერთოს. მაგრამ, ამისთვის ფულია საჭირო. ურწმუნო ადამიანი აუცილებლად მიანიჭებს უპირატესობას ფულის იოლი (უკანონო) გზით შოვნას - ბანკის გაძარცვა, ყაჩაღობა, ქურდობა და ა.შ.; ან 4. ბედი სცადოს აზარტულ თამაშებში, კაზინოში, ტოტალიზატორში და კანონით ნებადართულ სხვა დაწესებულებებში. თეორიული ალბათობა ხომ არსებობს, რომ ბედი გაუღიმებს, მოიგებს დიდ თანხას და ცხოვრების მიზანს დარჩენილ წლებში მაინც რომ ეზიარება? ასეთ აზრებს აქვს საკმაოდ რეალური განვითარების შესაძლებლობა, მით უფრო, რომ ადამიანს ცხოვრებაში გასარისკი ან დასაკარგი არაფერი აქვს. თანაც, აზარტული თამაში ადამიანის სამართლებრივი უფლებაა და ამდენად, სამართლებრივი სიკეთეა.

შესაძლებელია, ბევრი სხვა სცენარის წარმოდგენაც, მაგრამ, ლოგიკური აზროვნებით, ვერც ერთი მათგანი ვერ უზრუნველყოფს ათეისტი მსჯავრდებულის დარწმუნებას მისი ცხოვრების ღირებულებაში. თუ კარგად დავუკვირდებით, გამოდის, რომ სახელმწიფო და მეცნიერება, ადამიანს არაპირდაპირ უბიძგებს აირჩიოს დანაშაულის გზას, რადგან კანონიერი გზით მაქსიმალური მატერიალური სიამოვნების მიღების სხვა საშუალება, რეალურად ამოწურულია.

ეკლესიას კი, ნამდვილად შეუძლია დაარწმუნოს დამნაშავე, მისი ცხოვრების ღირებულებაში იმაზე მითითებით, რომ შეუძლია იცხოვროს მარადიულად, თუკი

[1600] გავიხსენოთ *ნოდარ დუმბაძის* „თეთრი ბაირაღებში“, როდესაც ერთ-ერთი პერსონაჟი, სახელად *ისიდორე* თვითმკვლელობით ასრულებს სიცოცხლეს ციხეში.

[1601] იხ. *Дюркгейм Э.*, Социология. Ее Предмет, Метод, Предназначение (Перевод с французского А. Б. *Гофмана*), изд., “Канон”, М., 1995, 331.

განიწმინდება ცოდვებისგან მონანიებით, არ ჩაიდენს ცოდვას, დანაშაულს (თუ ჩაიდენს მაშინვე რომ უნდა მოინანიოს) და აღასრულებს სიკეთეებს სიცოცხლის ბოლომდე. „დრო ყველაზე დიდი წყალობაა. დროში შეიძლება კაცი ცხონდეს, შეიძლება წარწყმდეს.“[1602] დისერტაციაში აღინიშნა, რომ დამნაშავეებიც, ცოდვების მონანიებითა და სულიწმიდის მადლის მოხვეჭით წმინდანებადაც, რომ შერაცხულან.

4. რადგან დანაშაულის ჩამდენი პირისა და მისი მსხვერპლის ურთიერთობა კრიმინოლოგიის პრობლემაა (*გ. ნაჭყებია*),[1603] მოკლედ გაანალიზდება დაზარალებულის ფაქტორი მსჯავრდებულის მონანიებაში. საქმე ისაა, რომ თავად დაზარალებულმა შეიძლება ითამაშოს დადებითი როლი, როგორც დამნაშავის, ასევე საკუთარი თავის რეაბილიტაცია-რესოციალიზაციაშიც.

მართლმადიდებლური მოძღვრებით დამნაშავეს მოეთხოვება არა მარტო დაზარალებულისთვის ზარალის ანაზღაურება და ბოდიშის მოხდა, არამედ პატიების თხოვნაც. ირკვევა, რომ მიტევება სასარგებლოა თავად დაზარალებულისთვის.

ბიბლიაში აღნიშნულია, რომ: „თუ მიუტევებთ ადამიანებს მათ შეცოდებებს, თქვენც მოგიტევებთ მამა თქვენი ზეციერი. ხოლო თუ არ მიუტევებთ ადამიანებს მათს შეცოდებებს, არც თქვენს შეცოდებებს მოგიტევებთ მამა თქვენი ზეციერი“ (მთ. 6, 14-15).

წმ. იოანე ოქროპირი განმარტავს, რომ: „რაც მეტად მიუტევებ, მით მეტად მოგეტევება. ხოლო, როდესაც მოყვასს წყენისათვის სამაგიეროს უხდი, მაშინ მას ღმერთი აღარ სჯის. თუკი მიუტევებ, მაშინ ღმერთი ან მას სჯის, ან შენ მოგიტევებს ცოდვებს.“[1604]

წმ. იოსებ ათონელის სწავლების მიხედვით: „ხიდი, რომელზეც ყველანი გადავდივართ, დამნაშავეთა პატიებაა, და თუ დამნაშავეს არ პატიობ, ანგრევ ხიდს, რომელზედაც უნდა გადასულიყავი.“[1605]

ამასთან, შესაძლებელია იმის აღნიშვნაც, რომ დაზარალებულმა უნდა მიუტევოს დამნაშავეს იმის გამოც, რომ ხელი შეუწყოს მას მონანიებაში.[1606]

მიუტევებლობა, შურისძიება, ბოღმისა და სხვა უარყოფითი ემოციები საკუთარ თავში დაგროვება რომ საზიანოა, ხოლო მიტევება, სასარგებლო, ამას მეცნიერებაც ადასტურებს, რომ არაფერი ვთქვათ ეკლესიურ სწავლებაზე, მაგალითად:

„*Mayo-Clinic*“-ის კვლევით დგინდება, რომ ადამიანში სიძულვილი იწვევს კარდიოვასკულარულ ეფექტს, ხოლო პატიების სწავლება უკეთესი არჩევანია ჯანმრთელობისთვის. კვლევამ დაადგინა, რომ პირადული წყენის, სიძულვილის

[1602] *ჯინორია მ.*, (2009), დასახ. ნაშრ., 182.

[1603] იხ. *ნაჭყებია გ.*, (2000), დასახ. ნაშრ., 115.

[1604] ღვთიური სიბრძნის მართლმადიდებლური ენციკლოპედია, (შემდგ. *გ. კალანდაძე*), თბ., 2007, 242-243.

[1605] იხ., იქვე, 244.

[1606] დამნაშავის გამოსწორება (რეაბილიტაცია და რესოციალიზაცია) და პატიება ღმერთის შეწყალებაზეა დამოკიდებული. ამის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს ისრაელის მეფის, დავით მეფსალმუნის მიერ ჩადენილი ცოდვის პატიება ღმერთის მიერ.

მიმართ ფოკუსირება ადამიანში იწვევს წნევის მომატებას. ხოლო, როდესაც სუბიექტები გონებით პატიობენ წყენას, სიძულვილს, წნევა უბრუნდება ნორმალურ მდგომარეობას.[1607]

ჯ. მერფის მიხედვით, „თუ თქვენ აპატიეთ და დალოცეთ იგი, თავად ხდებით თავისუფალი. თუ პატიება გულწრფელია, მაშინ ადამიანის აზრობრივი ხატი უკვე აღარ გამოიწვევს თქვენში გაღიზიანებას და ბრაზს. თქვენ მშვიდად იქნებით. სიყვარული და პატიება - ეს სულისთვის შხამსაწინააღმდეგოა."[1608]

ა. დოროდნი აღნიშნავს, რომ „ფსიქოთერაპევტად 20 წლის მუშაობის მანძილზე არაერთხელ დავრწმუნდი - იმისთვის, რომ თქვენი ცხოვრება და ჯანმრთელობა უკეთესობისკენ შეიცვალოს, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია, თქვენი აზრები შეცვალოთ. ფსიქოსომატური მიზეზები, როგორიცაა, სიძულვილი იწვევენ ძალიან ბევრი სახის დაავადებას."[1609]

დ. უზნაძის თანახმად, ემოციას ყოველთვის თან ახლავს მკვეთრი ფიზიკური ცვლილებები. შესაძლოა, ეს ცვლილებები არ იყოს ადვილად აღსაქმელი, მაგრამ უმეტესობა მათგანი შეუიარაღებელი თვალითაც ადვილად შესამჩნევია. ძლიერი ემოციის დროს იცვლება მაჯისცემა, სუნთქვა, სისხლის განაწილება სხეულში, რაც ზოგიერთ შემთხვევაში ცვლის ადამიანის სხეულის სხვადასხვა ნაწილის მოცულობას (იმატებს ან იკლებს) - კუნთების ენერგიას, სახის გამომეტყველებას, სხეულის პოზას, ჟესტებს და ა.შ.).[1610]

წმ. ბასილი დიდი აღნიშნავს, რომ მოშურნეებს თავიანთი შინაგანი მდგომარეობა ფიზიკურადაც კი ემჩნევათ: „თუალი მათი ხმელ არს და უნათლო, ღაწუანი მათნი მჭმუნვარე დადამდნარ, წარბნი მათნი დამდაბლებულ, სული მათი ვნებითა მით უეულ, ჭეშმარიტებისა იგი სამსჯავროი არ არუს საქმეთა ზედა".[1611]

როგორც ირკვევა, მონანიებაშიც, დამნაშავის მხრიდან პატიების თხოვნასა და დაზარალებულის მიტევების დიალექტიკაში ღმერთის მიერ ჩადებულია, არა უბრალოდ დამნაშავისა და დაზარალებულის ფორმალურ-იურიდიული რეაბილიტაცია-

---

[1607] იხ. „პატიება: გაუშვით წყენა და სიმწარე", ინფორმაცია განთავსებულია 2020 წლის 13 ნოემბერს, „MAYO-CLINIC"-ის ვებ-გვერდზე, <http://www.mayoclinic.com/health/forgiveness/MH00131>, (მოპოვების თარიღი: 12.05.2013).

[1608] *მერფი ჯ., მერფი ჯ.*, ტელეფსიქიკა, (რედ. *თამაზ თურმანიძე*; მთარგმნელები: *ნინა* და *მარინა თურმანიძე*), გამომც. „პეგა", თბ., 2015, 158.

[1609] რატომაა ჩვენი ფიქრები ჩვენი ჯანმრთელობისა და დაავადებების გასაღები, სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი „ფენომენი" (დირ. *გ. გობეჩია*; რედ. *მ. თუნგია*), №3, თბ., 2014, 14.

[1610] იხ. *ჩაჩანიძე ე., ზოდელავა თ., გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ.*, კომუნიკაცია სასამართლოში პრაქტიკული სახელმძღვანელო, გამომც. „ჯგუფი სიესტა", თბ., 2013, 43.

[1611] ბასილი კესარიელის „სწავლათა" ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი (გამოსაცემად მოამზადა გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ც. ქურციკიძემ), თბ., 1983, 83, იხ.: *დეკ. მიქაელ გალდავა*, დასახ. ნაშრ., 86.

რესოციალიზაცია, ან დანაშაულის პრევენცია, არამედ მათი სულების გადარჩენის საკრალური დედააზრი.

დაბოლოს, საყურადღებოა *გ. ნაჭყებიას* მოსაზრება, იმასთან დაკავშირებით, რომ „მსჯავრდებულისადმი მოპყრობის მორალური მხარე არ შეიძლება ყურადღების გარეშე იქნას დატოვებული. პირიქით, მას უნდა მიექცეს დიდი ყურადღება. მით უმეტეს, რომ, ამ მხრივ, მომავალში ბევრი რამაა გასაკეთებელი საქართველოში, როგორც პრაქტიკულად, ორგანიზაციულად, ისე თეორიულად და საკანონმდებლო თვალსაზრისით.“[1612]

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ეკლესიური წესებით მონანიების გარეშე დამნაშავის რესოციალიზაცია, არათუ გამორიცხული, არამედ კონტრპროდუქტიულია. იმის გათვალისწიენბით, რომ მეცნიერებაც გარკვეულწილად იზიარებს ტრანსცენდენტული სამყაროს არსებობას და რელიგიის დადებით გავლენას დანაშაულის პრევენციაზე, დღის წესრიგში დგება თანამედროვე პენოლოგიურ პოლიტიკაში მონანიების მართლმადიდებლური დოქტრინის დანერგვის აუცილებლობა.

4.3.5 შეჯამება

მართლმადიდებლური სწავლებით, მონანიება დამნაშავის გამოსწორების ერთადერთი საშუალებაა, რადგან „მონანიებას ითხოვს ღმერთი ცოდვის სანაცვლოდ“ (*არქ. გ. ბასილაძე*). იგი ისეთი პრევენციული იარაღია, რომელიც ყველა დანაშაულის წინააღმდეგ შეიძლება იქნას გამოყენებული, რადგან „არა არს ცოდვა, სინანულს აღემატებოდეს“.[1613] თუკი „ყოველი ცოდვა უფლის მადლისაგან განგვაშორებს“ (*წმ. ბერი გაბრიელი*),[1614] მონანიება და ღმერთთან შერიგება გვიბრუნებს მადლს (*ქრისტიანობის ლექსიკონი*).

ტერმინი მონანიება „*metanoia*“ გულისხმობს ცოდვის ჩადენის გამო აზრის შეცვლას, ცოდვებისგან განშორებას, მადლის მიღების შესაძლებლობას და ღმერთთან გულით დაბრუნებას. მონანიება ხასიათდება ერთმანეთთან დაკავშირებული მრავალი ასპექტით, რომელთა ცოდნა დამნაშავის მორალური გამოსწორების თვალსაზრისით, თანაბრად მნიშვნელოვანია.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ მონანიება ნებაყოფლობითი აქტია. შესაბამისად, იგი არ არის სასჯელი. მონანიება სულის სამკურნალო საშუალება. მისი მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადამიანი შეიგრძნობს ცოდვილ ბუნებას, განიცდის საკუთარ ცოდვებს და ირწმუნებს ღმერთის შეწევნას, სულის

[1612] იხ. *ნაჭყებია გ.*, მსჯავრდებულის მორალური გამოსწორების საკითხისათვის, ჟურნალი „სამართალი“, № 3-4, 1994, 43.

[1613] გამონაკლისია მხოლოდ სულიწმიდის გმობა, იხ.: *ჯინორია მ.*, (2009), დასახ. ნაშრ., 141.

[1614] *ჯინორია მ.*, (2009), დასახ. ნაშრ., 178.

ცხონების საკითხში. ამიტომაც, ვევედრებით სულიწმიდას: *მოვედ და დაემკვიდრე ჩვენ შორის და წმინდა მყვენ ყოვლისაგან ბიწისა* (ძილად მისვლის ლოცვანი). როგორც *არქ. გ. ბასილაძე* განამარტავს, „სულიერი კაცის საქმე საკუთარი თავის შეცნობა, ცოდვების გამოტირება“[1615] და „სულის ცხონების გაცნობიერებაა“.[1616]

მონანიების მარეაბილიტირებელი და პრევენციული ეფექტი, განპირობებულია იმითაც, რომ იგი ადამიანისგან მოითხოვს არა მარტო აწმყოში ერთი კონკრეტული დანაშაულის, არამედ წარსულში ჩადენილი ყველა ცოდვის მონანიებას. ამაში იგულისხმება ის ცოდვებიც, რომლებიც ადამიანს არ ახსოვს, ან უნებლიედ ჩაიდინა, ან ის ქმედებები, რომლებიც მცდარი წარმოდგენის გამო არ იქნა აღქმული, როგორც ცოდვა. წარსულში ჩადენილი ცოდვების გახსენებასა და აღსარების თქმაში, გადამწყვეტია სულიერი მოძღვრის როლი, რომელსაც დაძლეული აქვს ვნებები და შეძენილი აქვს სულიწმიდის მადლი.

გარდა ამისა, მონანიება არ არის მხოლოდ შემობრუნება იმისგან რაც წარსულში ჩაიდინა ადამიანმა, არამედ შემობრუნება მისი ცოდვილი ბუნებისგან. ამიტომ, მონანიებას ახასიათებს „განგრძობადი და მუდმივი დამოკიდებულება“ (*რ. როგერტსი*). ეს კი, ადამიანისგან მოითხოვს სათნო ცხოვრებით ცხოვრებას, რომელიც ეხმარება თავისი სულის სიღრმეში აღმოაჩინოს ღმერთის მსგავსება. ამ გზაზე მას ეღობება ბოროტი, რომელიც იყენებს ყველა შესაძლო ხერხს, რათა აცდუნოს ადამიანი და ჩაადენინოს ცოდვა. ამის გამო, განღმრთობამდე, რომელიც მონანიების საბოლოო მიზანია, ადამიანი მონანიების შემდეგაც არ არის დაზღვეული, რომ კვლავაც არ ჩაიდენს ახალ დანაშაულს. ადამიანს არა აქვს მოდუნების უფლება. ვიდრე ცდუნება ადამიანის გონებაში გაიდგამს ფესვებს და სისრულეში მოაყვანინებს დანაშაულებრივ განზრახვას, აუცილებელია მონანიების გზით მისი განეიტრალება სულიწმიდის მადლით. განღმრთობამდე, ადამიანს მოეთხოვება ბოროტი აზრებისა და ადამიანური ვნებების წინააღმდეგ ბრძოლა სინანულის გზით, რადგან „სინანული არის გამოსწორების ნების გამოვლინება, სურვილი და მტკიცე გადაწყვეტილება უკეთურ მიდრეკილებებთან ბრძოლისა“.[1617] „სინანულის სათნოებით ხდება სულიერ ძალთა განმტკიცება ქრისტიანული ბრძოლისათვის“.[1618]

მონანიების ცნების ანალიზით ირკვევა, რომ მონანიება არის სულიერ-ფსიქოლოგიური[1619] და სოციალურ-სამართლებრივი[1620] ხასიათის ქცევის ფორმა, რომელიც დაკავშირებულია წარსულთან, აწმყოსთან და მომავალთან.

[1615] *ჩაგუნავა ა., ყოლბაია ლ.*, დასახ. ნაშრ., 122.

[1616] *ჩაგუნავა ა., ვეკუა ი.*, დასახ. ნაშრ., 134-135.

[1617] *პროტოპესვიტერი მიხეილ პომაზანსკი*, (2010), დასახ. ნაშრ., 201.

[1618] *პეტროზილო პ.*, დასახ. ნაშრ., 207.

[1619] *რომელიც იწვევს*: აზრის, გულისა და გონების შეცვლას; სინდისის ქენჯნას და გასუფთავებას; ბოროტისაგან განდგომას; გულით დაბრუნებას ღმერთთან; ღვთაებრივი ბუნების თანაზიარებას; სულის სიღრმეში ღმერთის მსგავსების აღმოჩენას; საკუთარი თავის შეცნობას; ცოდვებისგან გაწმენდას; ქრისტეში

აქსიოლოგიური თვალსაზრისით, მონანიების ქრისტიანული კონცეფცია აღემატება იურიდიული გაგებით, დამნაშავის გამოსწორებასა და დანაშაულის პრევენციას, რადგან მიზანი მონანიებისა, არის ადამიანის სულის გადარჩენა და განღმრთობა. აღნიშნული მიზანი გამომდინარეობს ღმერთის სიყვარულიდან ადამიანის მიმართ, რომელმაც გამოიხსნა კაცობრიობა (მათ. 20, 28; მარკ. 10, 45) და დააწესა სინანულის საიდუმლო. ღმერთი, რომელიც დამნაშავის გამოსწორების მთავარი აქტორია, უხილავად აღასრულებს მონანიებას მღვდელმსახურის საშუალებით, რომელიც იბარებს აღსარებას, სულიწმიდის მადლით, დელიკატურად შეახსენებს და აღსარებაში ათქმევინებს წარსულში ჩადენილ ცოდვებს და მიუტევებს მათ ღმერთის სახელით, მხოლოდ გულწრფელი აღსარებისა და სინანულის შემთხვევაში: „უგულოდ შესრულებული კანონები, თავისთავად არაფრის მომცემია“ (*არქ. გ. ბასილაძე*).[1621]

თანამედროვე პენიტენციური სისტემაც, თავის დროზე, სწორედ მონანიების ქრისტიანულ კონცეფციაზე იქნა შექმნილი. თუმცა, დროთა განმავლობაში მოხდა მისი ჩანაცვლება სამეცნიერო ან სამედიცინო მოდელებით.

ემპირიული მეცნიერებისთვის ადამიანი არის მომაკვდავი, რაციონალურად მოაზროვნე, ბიო-ფსიქო-სოციალურ (და არა სულიერი) არსება, რომელიც თავისუფალია გადაწყვეტილების მიღებაში, მათ შორის დანაშაულის ჩადენის დროს. დამნაშავის მორალური გამოსწორების მიზნით, სახელმწიფო იყენებს დასჯის პოლიტიკას, სასჯელის შიშს, ფსიქოთერაპიას, აღმზრდელობით-პედაგოგიური მეთოდებსა და ა.შ. ქმედით მონანიებაში, მოიაზრებს სინანულის ერთჯერად ფორმალურ აქტს, დაზარალებულისთვის ბოდიშის მოხდას, ზიანისა და ზარალის ანაზღაურებას.

მართლმადიდებლური სწავლებით კი, ადამიანი არის ღვთის ხატი და მსგავსი არსება, რომელსაც აქვს უკვდავი თვისების მქონე სული. ცოდვა და ვნება არის ტრანსცენდენტული უხილავი ბოროტი ენერგია, რომელიც „პირდაპირ კავშირშია სნეულებებთან“ (*წმ. გერი გაბრიელი*),[1622] და აავადებს ადამიანის სულს, სამშვინველს (*ფსიქე*) და სხეულს. მნიშვნელოვანი ასპექტი ის არის, რომ ცოდვის მოუნანიებლობა

ღვთის წყალობის გაცნობიერებას; ბრალის, სიბინძურისა და უმწეობის გაცნობიერებას; სულიერი სნეულებებისგან განკურნებას; უცოდველ და განწმენდილ მდგომარეობაში დაბრუნებას; ადამიანის სულიერი გაცოცხლებას; ამპარტავნების, უიმედობის და სასოწარკვეთილების გადალახვას; ღმერთთან შერიგებას; მადლის მიღებას; სიმშვიდის დაბრუნებას; სულიერ ნუგეშს; სულიერ ძალთა განმტკიცებას ქრისტიანული ბრძოლისთვის; ზნეობრივი გაწონასწორებას; სულის ჭრილობების შეხორცებასა და ვნებათა განკურნებას; მარადიული სასჯელისაგან გათავისუფლება; განღმრთობას.

[1620] *რომელიც იწვევს*: ცხოვრების შეცვლას; სოციალურ გაწონასწორებას; მოყვასთან ურთიერთობის აღდგენა-შერიგებას; სათნო, წმინდა ცხოვრებით ცხოვრებას; სინდისის ქეჯნას; ცოდვის არგამეორებას; მცნებების დაცვას; მორჩილებაში დაბრუნებას; მომავალ ქცევაზე გავლენის მოხდენას; მიწიერი სასჯელისაგან ნაწილობრივ გათავისუფლებას; ბრალის აღიარებას; ზიანის ანაზღაურებას; გამოსწორებისათვის საჭირო ქმედებების გადადგმას.

[1621] *ჩაგუნავა ა., ყოლბაია ლ.*, დასახ. ნაშრ., 128.

[1622] *ჯინორია მ.*, (2009), დასახ. ნაშრ., 453.

იწვევს სულის მოკვდინებას. ბოროტი ენერგიის განეიტრალება და აღმოიფხვრა, მიიღწევა საპირისპირო, სათნო ენერგიით, რომელიც არის თავად ღმერთი (*წმ. გერი პაისი, წმ. გერი გაბრიელი*), ყოველი სათნოების საწყისი (*წმ. მარკოზ მოსაგრე*). მონანიების მეშვეობით, ადამიანის სულში სულიწმინდის მადლის დამკვიდრება უზრუნველყოფს დანაშაულით დასნებოვნებული სულის გაწმენდას ცოდვებისაგან, ბოროტი აზრებისაგან, ვნებებისაგან, რაც განაპირობებს ადამიანის ზნეობრივ გამოსწორებას.

დამნაშავის მორალური გამოსასწორების მიზნით, სახელმწიფოს პენოლოგიური და რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის პოლიტიკა, ძალისხმევა მიმართულია სამშვინველზე, ანუ „ფსიქეზე“, კერძოდ, სულიერი გამოვლინების ისეთ კატეგორიებზე, როგორიც არის აგრესია, ეგოიზმი და სხვა ვნებები. უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, ძალისხმევა მიმართულია დანაშაულის სიმპტომების და არა დანაშაულის მიზეზების აღმოსაფხვრელად.

ეკლესიიის ძალისხმევა კი, მიმართულია დანაშაულის უშუალო მიზეზ(ებ)ის წინააღმდეგ, სულიერ (ტრანსცენდენტულ) დონეზე და თანაც პრევენციის ყველაზე ადრეულ, სულიერ ეტაპზე. მახვილი მიმართულია ცდუნების (ბოროტი აზრები, ემოციები და ა.შ.) წინააღმდეგ, ვიდრე იგი დაიმორჩილებს ადამიანის გონებას. მონანიებით, მათი განეიტრალებისა და აღმოფხვრის გზით, მიიღწევა „დანაშაულებრივი განზრახვის მატერიალიზაციის პრევენცია“. აქედან გამომდინარე, შედეგებიც განსხვავებულია.

მონანიებით, გადაილახება ადამიანში ბოროტების მთავარი მიზეზი, ამპარტავნება. სულიწმიდის დამკვიდრებით ადამიანი განიცდის ღვთაებრივ ნეტარებას, სულის უკვდავების ცოცხალ შეგრძნებას. ადამიანს ეუფლება მარადიულ სიცოცხლეში დამკვიდრების დაუოკებელი სურვილი. შესაბამისად, ადამიანი, ბუნებრივად უკვე ვეღარ ღებულობს წუთისოფელის მიერ შემოთავაზებულ და სულის მომაკვდინებელ „სიამოვნებებს“, რომლებიც მოწონებულია საზოგადოების ცოდვილი უმრავლესობის მიერ, როგორც ცხოვრების მთავარი მიზანი. ადამიანის საზრუნავი ამ დროებით ცხოვრებაში ხდება მხოლოდ მაქსიმალურად ბევრი სიკეთის აღსრულება და საღვთო ქრისტიანული მცნებების დაცვა. ყველაზე მთავარი კი, მცნებებს შორის არის, ღმერთისა და მოყვასის სიყვარული (მარკ. 12, 30),[1623] რომელიც მტრის სიყვარულსაც გულისხმობს (ლუკ. 6, 27).[1624] „თუ მხოლოდ თქვენი მოყვარულნი გეყვარებათ, რა სარგებელია? რადგან ცოდვილთაც უყვართ თავიანთი მოყვარულნი“ (ლუკ. 6, 32). *წმ. ი. ოქროპირი*

[1623] „გიყვარდეს უფალი ღმერთი შენი მთელი შენი გულით და მთელი შენი სულით და მთელი შენი გონებით და მთელი შენი ძალით, - აი, უპირველესი მცნება“ (მარკ. 12, 30).
[1624] „გიყვარდეთ თქვენი მტრები და სიკეთე უყავით თქვენს მოძულეებს. ლუკას“ (ლუკ. 6, 27).

განმარტავს, რომ „სიყვარულის დარღვევით შემოიჭრა სამყაროში ბოროტებათა ურიცხვი სიმრავლე“.[1625]

ამგვარად, ქრისტიანული სწავლებით დამნაშავის გამოსწორება, კანონმორჩილება და დანაშაულის პრევენცია, მოტივირებულია სიყვარულით. „სიყვარული ბოროტს არ უზამს მოყვასს; რჯულის აღსრულება სიყვარულია“ (რომ. 13. 10), ხოლო „ცოდვა არის ურჯულოება“ (I იოანე 3:4-10). ადამიანის ღმერთთან ზიარება, რომელიც არის სიყვარული, უზენაესი მორალური სტანდარტი და ყოველგვარი სათნოების წყარო, თავისთავად იწვევს ადამიანის მორალურ გამოსწორებას, კანონმორჩილ პიროვნებად ჩამოყალიბებას. ქრისტიანული მოძღვრებით, დამნაშავის გამოსწორება და დანაშაულის სპეციალური (კერძო) პრევენცია შესაძლებელია მიღწეული იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ადამიანი დაიბრუნებს ღვთაებრივ სიწმინდეს, კეთილშობილებას, და თუ მისი გონება და გული აღივსება სიყვარულით.

სახელმწიფოს პენოლოგიური, და ზოგადად დამნაშავის გამოსწორების მეცნიერული პოლიტიკა არ ითვალისწინებს ადამიანის მსოფლმხედველობის ასეთ ტრანსფორმაციას. მსჯავრებულის მორალური გამოსწორება, რომელიც ეფუძნება სასჯელის შიშს, კონვენციურ თუ ინდივიდუალურ მორალს და დროებით მატერიალურ „ღირებულებებს“ ვერ ჩაითვლება დანაშაულის პრევენციის სანდო გარანტად და ობიექტურადაც შეუძლებელია იქონიოს ზნეობრივი გამოსწორებისა და კანონმორჩილების რაიმე ეფექტი. მას შემაკავებელი და დამარწმუნებელი „ეფექტი“ შეიძლება ჰქონდეს არასრულწლოვან დამნაშავეებთან დელიკვენტებთან მიმართებაში. რაც შეეხება ხანგრძლივ პატიმრობაში მყოფ მსჯავრდებულებს, მათი ზნეობრივი გამოსწორება შეუძლებელია მხოლოდ სასჯელის ფორმალური მოხდით და საკუთარი თავის შეცნობის, დანაშაულის შეძულებისა და ჭეშმარიტი მონანიების გარეშე. უფრო მეტიც, ეკლესიური მონანიების გარეშე სასჯელის მოხდა გამოიწვევს უკუშედეგს. თუ მსჯავრდებული თავს არ თვლის დამნაშავედ, მაშინ ლოგიკურია, რომ სასჯელის უსამართლო მოხდაზე პასუხისმგებლობის ტვირთს იგი დააკისრებს სახელმწიფოს და საზოგადოებას. *წმ. ილია მართალი* აღნიშნავს, რომ მარტო ნაკლის ჩვენებით დამნაშავე ვერ გამოსწორდება. მძარცველისთვის მარტო მორალის კითხვა მის გამოსასწორებლად შედეგს ვერ მოიტანს, „ისინი სნეულნი არიან ჩვენს შორის. იმათ წამლობა უნდა“.[1626]

ადამიანი უნდა იყოს ძალიან მიამიტი დაიჯეროს ის, რომ მხოლოდ სასჯელის შიშის გამო, ზნეობრივად გამოუსწორებელი ადამიანი თავისუფლებაზე გამოიჩენს პატივისცემას იმ სახელმწიფოს, საზოგადოების და კანონების მიმართ, რომლებმაც დაუნგრია ცხოვრება. არ უნდა იქნას დავიწყებული, რომ უსამართლობა დანაშაულის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია, რასაც *წმ. ილია მართალი* აღწერს მოთხრობაში

[1625] *წმინდა იოანე ოქროპირი*, ჰომილიები, IV ტ., (რედ. *თ. გოგოჩაშვილი*), გამომც. „ალილო“, თბ., 2015, 136.

[1626] *ჭავჭავაძე ილ.*, თხზ., ტ. 2, გვ. 459, ციტირებულია წიგნიდან: *მეტრეველი ვ.*, ილია ჭავჭავაძე დანაშაულისა და სასჯელის შესახებ., თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1983, 68.

„სარჩობელაზედ“.[1627] მხოლოდ „სასჯელის შიშზე“ ვსაუბრობთ იმის გამო, რომ სახელმწიფოს მსჯავრდებულის მიმართ რეალურად სხვა დამარწმუნებელი ბერკეტი, თუ რატომ არ უნდა ჩაიდინოს დანაშაული, არა აქვს. გათვალისწინებული უნდა იქნას ის ფაქტიც, რომ კვლევების მიხედვით, სასჯელს მხოლოდ მცირედით თუ აქვს დაშინების ეფექტი (*რეიმონდ პეტერსონი*). *გ. ნაჭყებიას* მიხედვით კი, დანაშაულთა კანონზომიერების აღმოფხვრა სისხლის სამართალს არ შუძლია.

თუმცა, ეს ყველაფერი მაინც ისე არ უნდა იქნას გაგებული, რომ სახელმწიფოს ანთროპოცენტრული დამოკიდებულება მხოლოდ ფიქციაა. სახელმწიფო და მეცნიერება ამავდროულად იცავს ადამიანის აღმსარებლობის უფლებას და აღიარებს ეკლესიის უდიდეს როლს სახელმწიფოს აღმშენებლობასა და საზოგადოების ცხოვრებაში. დამნაშავის გამოსწორების საკითხთან მიმართებაში, ირკვევა, რომ სახელმწიფო დიდწილად აღიარებს (თუმცა, მხოლოდ აღიარებაც არ კმარა) მართლმადიდებლური მოძღვრების მართებულობას მონანიების საკითხთან დაკავშირებით, ისევე როგორც დისერტაციაში გაანალიზებულ ყველა სხვა საკითხთან დაკავშირებით.[1628] ამ ფონზე, მართლმადიდებლური მოძღვრების ჭეშმარიტებად მიჩნევა არის არა რწმენის, არამედ არჩევანის საკითხი, როგორც ეს *კ. სადიკისა* და *ტ. ბიორგოს* დებულებების გაანალიზების შემთხვევაში წარმოჩინდა.

შესაბამისად, დამნაშავის რესოციალიზაციისა და დანაშაულის პრევენციის პოლიტიკაში წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ პოზიციას დაიკავებს სახელმწიფო. ამ საკითხთან დაკავშირებით აბსოლუტურად გასაზიარებელია *ბ. ზოიძის* პოზიცია: „ბოროტება ხომ არასუბსტანციურია და ის სამართლის, როგორც სიკეთის, სუბსტანციაშია დამარხული. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, თუ რა უნდა გააკეთოს პოზიტიური სამართლის შემქმნელმა. მან უნდა შეძლოს არსის არარსისგან იმ დონეზე გაწმენდა, რომ სამართალმა თავისი სახე მიიღოს და სიკეთეს წარმოადგენდეს.“[1629] *ბ. ზოიძე* ასევე მართებულად აღნიშნავს იმასაც, რომ „სახელმწიფო ადამიანისათვის ყოველთვის არაა სანიმუშო ავტორიტეტი მისი გამოსწორებისათვის. დამნაშავემ

[1627] იხ. *მეტრეველი ვ.*, ილია ჭავჭავაძის თვალსაზრისი დანაშაულზე, *გივი ინწკირველის 70 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული* (რედ. *ლ. ჭანტურია*), გამომც. შპს „ნორმა“, თბ., 1996, 57.

[1628] მაგ.: სამართლის, ადამიანის, დანაშაულ(ობ)ის მიზეზების და დანაშაულ(ობ)ის პრევენციის მეტაფიზიკური ბუნება. მაგალითად, ღმერთის არსებობის იდეა დეკლარირებულია კონსტიტუციაში; ტრანსცენდენტული სამყაროს არსებობას ამტკიცებს, მაგალითად, ბიო-ენერგო-ინფორმატიკის მეცნიერული მიმართულება; უხილავ ძალებს, ენერგიების არსებობას და მათ ზეგავლენას ადამიანის ნებელობაზე ამტკიცებს *ბილი მილიგანის* სისხლის სამართლის საქმე; ღმერთის რწმენისა და ეკლესიური ცხოვრების დადებით გავლენას დანაშაულის პრევენციაზე ამტკიცებს მრავალი ეპმირიული კვლევა, და ა.შ.

[1629] *ზოიძე ბ.*, სამართლის პრაქტიკული ყოფიერების შემეცნების ცდა, უპირატესად ადამიანის უფლებათა ჭრილში, ესეები, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, თბ., 2013, 140.

სასჯელი უნდა მიიღოს. ეს კი შეუძლია იმ ადამიანს, რომელსაც აქვს ცოდვის განცდა. მაშასადამე, საჭირო ყოფილა სახელმწიფომ ეკლესია გამოიყენოს ამ მიზნებისათვის.“[1630]

მართალია, დამნაშავის გამოსწორების თვალსაზრისით, მონანიების ქრისტიანული კონცეფციის დადებით შედეგებზე მრავალი მეცნიერული კვლევა მოიპოვება, თუმცა, საქართველოში მსგავსი კვლევები ჯერ არ ჩატარებულა. ამდენად, მიზანშეწონილია, ამ კუთხით საქართველოშიც ჩატარდეს კვლევები მით უფრო, რომ კრიმინოლოგიური კვლევების ჩატარება სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერილია საკანონმდებლო დონეზეც. კერძოდ, საქართველოს პატიმრობის კოდექსის 118[1] მუხლში „**სამსახურის სისტემაში კრიმინოლოგიური კვლევების განხორციელება**“, ვკითხულობთ: „სამსახური ხელს უწყობს მის სისტემაში ისეთი კრიმინოლოგიური კვლევების განხორციელებას, რომელთა მიზანია მსჯავრდებულის რესოციალიზაციის, დანაშაულის პრევენციისა და სარეაბილიტაციო პროგრამების მეცნიერული შესწავლა.“ ასეთი სახის კვლევების ჩატარება აქტუალურია ქართულ სისხლის სამართალშიც. მაგალითად, *გ. ნაჭყებია* აღნიშნავს, რომ „კრიმინოლოგიის მონაცემების გარეშე სისხლის სამართლის კანონშემოქმედება შეუძლებელია“,[1631] „სისხლის სამართლის კანონის მოქმედების მექანიზმის კვლევა აუცილებელია, რადგან საინტერესოა რა მოტივით ხორციელდება სისხლისსამართლებრივად მართლზომიერი ქცევა - ზნეობრივი გრძნობით, კანონისადმი პატივისცემით თუ მოსალოდნელი სასჯელის შიშით.“.[1632]

ამრიგად, თუკი სახელმწიფოსთვის ადამიანი მართლაც წარმოადგენს უმთავრეს ღირებულებას, მაშინ სახელმწიფო ეკლესიასთან მჭიდრო თანამშრომლობით, მიზნად უნდა ისახავდნენ დამნაშავის არა ფორმალურ რესოციალიზაციას, არამედ თვისებრივ გამოსწორებას, რასაც მონანიების ქრისტიანული მონანიება უზრუნველყოფს და რაც საბოლოო ჯამში მოასწავებს ადამიანის სულის გადარჩენას.

[1630] იხ., იქვე, 248.

[1631] *ნაჭყებია გ.*, (1998), დასახ. ნაშრ., 51.

[1632] *ნაჭყებია გ.*, (1998), დასახ. ნაშრ., 85-86.

დასკვნა

წინამდებარე დისერდაციაში გამოკვლეულ იქნა კრიმინოლოგიის საგანში შემავალი ფუძემდებლური საკითხები ქრისტიანული მართლმადიდებლური მოძღვრების ჭრილში. ნაშრომში განვითარებულ მსჯელობებს, შეფასებებსა და დასკვნებს, მაქსიმალურად რომ მინიჭებოდა მეცნიერული მნიშვნელობა, გაანალიზდა, მეცნიერებაში მართლმადიდებლური მოძღვრების გავრცელების ასპექტები და ზოგადად, მეცნიერული მიდგომებიც. მიუხედვად იმისა, რომ კვლევის პროცესში, თითქმის ყველა საკითხზე გაკეთდა შეჯამება, დასკვნაში ყურადღება დაეთმობა ყველაზე არსებით დებულებებს:

1. დანაშაულის საკანონმდებლო და დანაშაულობის კრიმინოლოგიური ცნებებიდან დგინდება, რომ ფორმალურად ისინი ცოდვის გამოვლინების ფორმებია:

ირკვევა, რომ სისხლის სამართალის კოდექსში *malum in se*-ის ყველა ქმედება თავისი არსით ამორალური, ბოროტი და უნივერსალურია. ამდენად, *აღნიშნული* ქმედებები თანხვედრაშია ცოდვის ქრისტიანულ კონცეფციასთან. *malum in prohibitum*-ის ქმედებებს რაც შეეხება, ისინი ფორმალურად შეიძლება ჩაითვალოს ცოდვის გამოვლინების ფორმებად. საქმე ისაა, რომ პოზიტიურ სამართალში არსებობს არაერთგვაროვანი დამოკიდებულება მორალის ცნებასთან დაკავშირებით,[1633] რაც განაპირობებს ისეთი ნორმის მიღებისა და პრაქტიკირების შესაძლებლობას, რომელიც თავისი არსით უსამართლოა ქრისტიანული თვალსაზრისით, ანუ რომელიც ეწინააღმდეგება ქრისტიანულ მორალს, მცნებებს და საფრთხეს უქმნის ადამიანის სულის უკვდავებას. მართლმადიდებლური მოძღვრებით, უსამართლო ნორმის დარღვევა ცოდვად არ ირაცხება. პირიქით, ქრისტიანს მოეთხოვება, მის წინააღმდეგ ბრძოლა სახარებისეული საშუალებებით. ღმერთისა და მოყვასის სიყვარულით განმსჭვალულ ქრისტიანში, უსამართლობა ბუნებრივად აღძრავს შინაგან პროტესტს და ქმედებით უპირისპირდება მას. სახელმწიფო, როგორც წესი, ასეთ „დამნაშავეს“ სამართლებრივად დევნის და სჯის. კაცობრიობის ისტორიაში, ამის უამრავი მაგალითი არსებობს.[1634]

[1633] ცნობილია, რომ პოზიტიურ სამართალს განსაზღვრავს არა ჭეშმარიტება, არამედ ხელისუფლება (*თ. ჰობსი*) და კონვენციური მორალი. სამართლის თეორიაში გავრცელებული აზრის თანახმად, შეიძლება კანონი არ ითვალისწინებდეს მორალს. მეორე მხრივ, სისხლის სამართალის ნორმა ფორმალურად ყოველთვის ითვალისწინებს მორალის ნიშანს, რაც კარგად წარმოჩინდა დანაშაულის საკანონმდებლო ცნების ანალიზის დროს.

[1634] *ქრისტეს* ჯვარცმა, *წმ. ღირსი მამა გაბრიელი აღმსარებელი-სალოსის* სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა, ზოგადად *წმინდანთა* დევნა-გასამართლება, ასევე სოკრატეს გასამართლების ისტორია და სხვა.

აღნიშნული ფაქტორის გამო, მიზანშეწონილია ითქვას, რომ დანაშაული ფორმალურად არის ცოდვის გამოვლინების ფორმა.

დანაშაულობის კრიმინოლოგიურ ცნებასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ცოდვის კონცეფცია მოიცავს დანაშაულობის ცნების ყველა ნიშან-თვისებას. ცოდვა არის სოციალურ-სამართლებრივი, მასობრივი და ისტორიულად ცვალებადი მოვლენა, რომელიც ხასიათდება რაოდენობრივი და თვისებრივი მაჩვენებლებით. იმის გამო, რომ დანაშაულობა, ასევე მოიაზრებს სისხლის სამართლის დანაშაულთა ერთობლიობასაც, მიზანშეწონილია, რომ დანაშაულობაც (და არა ცალკეული დანაშაული ყოველთვის), ასევე ფორმალურად ჩაითვალოს ცოდვის გამოვლინების ერთ-ერთ ფორმად.

2. დანაშაული და დანაშაულობა უპირველეს ყოვლისა არის ტრანსცენდენტული აქტი და მოვლენა:

ქრისტიანული სწავლებით „რჯული სულიერია“ (რომ. 7, 14). გარდა ამისა, კვლევით ირკვევა, რომ ცოდვა არის ქრისტიანულ მორალთან და რჯულთან შესაბამისობაში მყოფი ნორმის დარღვევა, და კონცეპტუალურად მნიშვნელობა არა აქვს, თუ რომელ კატეგორიას განეკუთვნება იგი, - ღვთიურს (ტრანსცედენტულს), თუ არაღვთიურს, დაუწერელს, თუ წერილობითს, და ვინ განსაზღვრავს მას ღმერთი, ადამიანი, საზოგადოება, თუ ხელისუფლება.

შესაბამისად, ტრანსცენდენტულობის გარეშე შეუძლებელია დანაშაული და დანაშაულობა, რადგან ორივე შემთხვევაში ირღვევა ტრანსცენდენტული ნორმა და გარეგანი ნორმატიული წესრიგი.

დანაშაულისა და დანაშაულობის ტრანსცენდენტულ ბუნებას მეცნიერებაც იზიარებს. ირკვევა, რომ პოზიტიური სამართალი მეტაიურიდიული „პროდუქტია“, რადგან:

1. სამართლის წყარო არის:

ა) ადამიანის ფსიქიკაში არსებული გრძნობა და ცნობიერებაა (*ჰ. კრებე, გ. ნანეიშვილი*). ფსიქიკა კი, მიეკუთვნება არაპიროვნულ, ტრანსცენდენტულ სფეროს (*ჯ. მერფი*);

ბ) ძირითადი ნორმა (*Grund Norm*), ანუ თავად ღმერთი (*ჰ. კელზენი*);

2. სამართლის ყველა თეორიასა თუ სკოლაში წარმოდგენილია მეტაიურიდიული ელემენტი;

3. თავისი არსით მეტაიურიდიულია, ასევე სამართლის პრინციპები, ადამიანის უფლებები, კანონისა და სამართლის ანალოგიის ინსტიტუტი, სასამართლო დოქტრინები, სამართალის თეორიაში წარმოდგენილი საგანთა ბუნების კონცეფცია, სინდისი, მორალი და სხვა.[1635]

[1635] სხვა საკითხია, რომელი სამართალია მართალი, ცოდვილი ადამიანის ინტელექტით შექმნილი, თუ ღმერთის მიერ.

ტრანსცენდენტული ბუნება კიდევ უფრო ცხადად წარმოჩინდება უშუალოდ დანაშაულის და დანაშაულობის ცნებების შემადგენელი ნიშნების გაანალიზებით.

იმის გამო, რომ ყოველგვარ ქმედებას წინ უსწრებს ფსიქიკური აქტი, რომლითაც ირღვევა შინაგანი და გარეგანი ნორმა, და ნორმატიული წესრიგი, კეთდება დასკვნა, - „უმეტესწილად, არ არსებობს დანაშაული, არ არსებობს დანაშაულობა ტრანსცენდენტული ნორმისა და ნორმატიული წესრიგის დარღვევის გარეშე". შესაბამისად, დანაშაული და დანაშაულობა, როგორც წესი, არის ტრანსცენდენტული აქტი და მოვლენა.

აღნიშნული დებულების მართებულობა, დისერტაციაში ასევე დასტურდება ყველა სხვა კრიმინოლოგიური საკითხის გაანალიზებისას.

3. დანაშაულის ჩამდენი პირის („დამნაშავის"[1636]) სამართლებრივი და კრიმინოლოგიური ცნებები შეესატყვისება ცოდვის ჩამდენი პირის (ცოდვილის) კონცეფციას:

აღნიშნული დებულება ლოგიკურია, რადგან ცოდვისა და დანაშაულის ჩამდენ პირზე საუბარი შეუძლებელია ნორმ(ებ)ის დარღვევის გარეშე. სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ყოველგვარი ნორმის დარღვევა (უსამართლო ნორმის გარდა) ფორმალურად არის ცოდვა. გარდა ამისა, კონკრეტულ ცოდვას (დანაშაულს) აქვს უნარი წარმოშვას ანომია (უნორმატიულობა), რაც „დანაშაულობის" ცნების შემადგენელი კომპონენტია. ამასთან, „დანაშაულის ჩამდენი პირის" კრიმინოლოგიური ცნების სხვა ნიშნებიც შესაბამისობაშია „ცოდვილის" კონცეფციასთან. ცნობილია, რომ „დამნაშავის" კრიმინოლოგიური ცნება მოიაზრებს ადამიანში არსებულ განსაკუთრებულ კრიმინალურ მახასიათებლებს, რაც, ასევე გულისხმობს იდეას დაბადებით დამნაშავის შესახებ. ბიბლიური სწავლებით, პირველმა ცოდვამ გამოიწვია ადამიანის ნორმალური ბუნების, არანორმალურით შეიცვალა. ცოდვა და ვნებები გახდა ადამიანის სულისა და სხეულის გენეტიკური ნაწილი, რომელიც მიმართავს ადამიანს დანაშაულისკენ. სხვაგვარად, რომ ითქვას, ადამიანი იქცა ცოდვილ და ცოდვისკენ (დანაშაულისკენ) მიდრეკილ არსებად. ამგვარად, ადამიანში ბუნებრივად მოცემულია განსაკუთრებული კრიმინალური მახასიათებლები, რაც თავისთავად, დაბადებითი დამნაშავის კონცეპტსაც მოიაზრებს.

გარდა ამისა, ცოდვისა და დანაშაულის ჩამდენი პირის სამართლებრივ და კრიმინოლოგიურ კონცეფციებში, ცენტრალურ ასპექტს წარმოადგენს ადამიანის თავისუფალი, ნებელობითი ქცევა და ადამიანის ბიპოლარული ბუნება.

ქრისტიანული ანთროპოლოგიის მიხედვით, ადამიანი შეიქმნა ღვთის ხატად თავისუფალი ნებით. ნებელობითი აქტი რეალიზდება, როგორც ტრანსცენდენტულ

[1636] უნდა აღინიშნოს, რომ „დამნაშავის" საკანონმდებლო დეფინიცია განსაზღვრული არ არის საქართველოს სისხლის სამართლის კოდესში.

ასევე ხილულ სამყაროში, რადგან ადამიანი ტრანსცენდენტული და ფიზიკურ არსებაა. იგი შედგება სულის, სამშვინველისა და ფიზიკური სხეულისაგან. სულიერ-მშვინვიერით ადამიანი იმყოფება უხილავ ტრანსცენდენტულ სამყაროსთან კავშირში, ხოლო ფიზიკური სხეულით, რჩება ხილულ, მატერიალ სამყაროში.

ადამიანის ბიპოლარული ბუნება, ასევე მოიცას იმასაც, რომ ადამიანი მიდრეკილია ღმერთისკენ და ბოროტისკენ. ღვთიური ბუნების გამო, ადამიანი ისწრაფვის მიემსგავსოს ღმერთს, იყოს ღმერთთან მარადიულ ნეტარებაში. აღნიშნული სწრაფვა ადამიანის ბუნებრივი მოთხოვნილებაა, რისთვისაც იგი შეიქმნა. თუმცა, თავისუფალი ნებით, ადამიანი დაემორჩილა რა ბოროტის ცდუნებას და ჩაიდინა ცოდვა, საკუთარი არსებიდან განდევნა სულიწმიდის მადლი და ადამიანში დამკვიდრდა ცოდვა და ვნება. ამის გამო, ადამიანი ადვილი მისადგომი გახდა ბოროტისთვის, რომელიც მიდრეკს ადამიანს დანაშაულისკენ. მიუხედავად იმისა, რომ ცოდვის გამო ადამიანი გახდა მომაკვდავი არსება ფიზიკურად, მას აქვს ნების თავისუფლება, გადაირჩინოს სული, სულიწმიდის მადლის მოხვეჭით. არჩევანის მიხედვით, ადამიანს შეუძლია მიემსგავსოს, ღმერთს - სათნოებების აღსრულებით, ან ბოროტს, - ცოდვ(ებ)ის, დანაშაულ(ებ)ის ჩადენით.

ეკლესიური სწავლება ადამიანის ნებელობითი ქცევისა და ბიპოლარული ბუნების შესახებ, კონცეპტუალურად გაზიარებულია მეცნიერების მიერ. ყველაზე კარგად იგი „პათოლოგიურის“ შესახებ მართლმადიდებლური და მეცნიერული კონცეფციების ანალიზის დროს წარმოჩინდა. ირკვევა, რომ ცოდვა, დანაშაული და დანაშაულობა, არის არანორმალური, ავადმყოფური და პათოლოგიური ხასიათის აქტი და მოვლენა. ხოლო, ბოროტი, ცოდვილი, დამნაშავე, ავადმყოფი, პათოლოგი და არანორმალური, სინონიმური ცნებებია.

დანაშაული და დანაშაულობა იწვევს ადამიანისა და საზოგადოების ნორმალური მდგომარეობიდან არაბუნებრივში ჩაყენებას, რადგან დანაშაული და დანაშაულობა იწვევს ადამიანისა და საზოგადოების დასნეულებას, როგორც სულიერი, ასევე ფსიქო-სომატური თვალსაზრისით.

ქრისტიანულ სწავლებებსა და მეცნიერულ მიდგომებში, დანაშაულის ჩამდენი პირის ცნებასთან დაკავშირებით, კონცეპრტუალური შესაბამისობების მიუხედავად, საყურადღებოა ადამიანის სულიერ ბუნებასთან დაკავშირებული ნიუანსი. ქრისტიანული სწავლებით, ადამიანს გააჩნია უკვდავი თვისების მქონე სული, რასაც, ერთი მხრივ, მეცნიერება ოფიციალურად არ აღიარებს, ხოლო, მეორე მხრივ, არ გამორიცხავს.

მიიჩნევა, რომ ადამიანი სულიერი არსებაა, ოღონდ ფსიქოლოგიური და არა ეკლესიური გაგებით. „ფსიქე“-ს მეცნიერულ ცნებას შეესატყვისება ეკლესიური ცნება „სამშვინველის“ შესახებ, რაც განსხვავდება „სულის“ ცნებისგან. ადამიანის დაყვანა მხოლოდ ფსიქოლოგიურ არსებამდე, ვერ იქნება გაზიარებული. თუკი, ადამიანი

უსულო არსებაა, მაშინ მისი ლოგიკური განვითარება მიგვიყვანს იქამდე, რომ ადამიანი საბოლოო ჯამში ვაღიაროთ „მკვდარ“ არსებად, რაც ყოვლად გაუმართლებელია.

ამ ფონზე, მეცნიერება ასევე მიდის იმ დასკვნამდეც, რომ: არსებობს ღმერთი, ტრანცენდენტული სამყარო, რომ ადამიანი არის ტრანსცედენტული არსება (*ჯ. მერფი*), რომ არსებობენ უხილავი ძალები და ენერგიები (მათ შორის კეთილი და ბოროტი), რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ადამიანის ნებელობაზე, ქცევაზე, და სხვა.

კრიმინოლოგიური თვალსაზრისით, ადამიანის სულიერ არსებად გამოცხადება, მნიშვნელოვანია, როგორც თეორიული თვალსაზრისით, - დამნაშავის ცნების სწორად გააზრებისთვის, ასევე პრაქტიკული კუთხით, - დამნაშავის რესოციალიზაციისა და დანაშაულობის პრევენციის პოლიტიკაში მაქსიმალური წარმატების მისაღწევად.

4. დანაშაულის ჩადენით უფრო ზარალდება თავად დამნაშავე, ვიდრე დანაშაულის მსხვერპლი:

კვლევით ირკვევა, რომ კრიმინოლოგიური თვალსაზრისით დამნაშავე ბიო-ფსიქო-სოციალური ფაქტორების მსხვერპლია. ქრისტიანული მოძღვრების მიხედვით კი, ადამიანი თავად მისივე ცოდვის/დანაშაულის მსხვერპლია.

ამას ყველაზე კარგად პირველი ცოდვის დოქტრინა ადასტურებს. იმაზე მეტი ზიანი, რაც პირველმა ცოდვამ მოუტანა ადამიანს, კაცობრიობას და ზოგადად გარემოს (ბუნებას) არ არსებობს. ცოდვამ რადიკალურად დააზიანა ადამიანის ბუნება, დაირღვა ადამიანის სულს, სამშვინველსა და სხეულს შორის არსებული ჰარმონია, ადამიანში ჩასახლდა ცოდვა და ვნება და ა.შ.

ცოდვის ბუნებიდან გამომდინარე, ნებისმიერი სახის ცოდვის, დანაშაულის ჩადენით ადამიანი კარგავს საღვთო მადლს, ძლიერდება ბოროტის გავლენა ადამიანზე და მყარდება ადამიანში არსებული ვნებები. დანაშაულის ჩადენით, დამნაშავე ექცევა ცოდვის ტყვეობაში, რაც აზიანებს მის სულს და ფსიქო-სომატიკას, რადგან „ცოდვა უარყოფითი ბოროტი ენერგიაა, რომელიც უკვალოდ არ ქრება“ *(არქ. გ. ბასილაძე)*. გარდა ამისა, დამნაშავის სტიგმა ადამიანს ცხოვრების ბოლომდე მიჰყვება, რაც ხელს უშლის რეაბილიტაცია-რესოციალიზაციაში. თუმცა, ვიქტიმირების თვალსაზრისით, ყველაზე დიდი ზიანი, რომელსაც ცოდვა და დანაშაული იწვევს არის ის, რომ იგი მოაკვდინებს ადამიანის უკვდავი თვისების მქონე სულს.

ამდენად, დებულება, რომ დამნაშავე უფრო ზარალდება ვიდრე დანაშაულის მსხვერპლი ეჭვგარეშეა. დამნაშავის პიროვნების მეცნიერულ გააზრებაში, დამნაშავის ვიქტიმოლოგიური ასპექტების ცოდნა განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს მსჯავრდებულის რეაბილიტაცია-რესოციალიზაციისას.

5. დანაშაულ(ობ)ის დეტერმინაციის უმთავრესი ფაქტორი არის უხილავი ტრანსცედენტული ძალა:

აღნიშნული დებულება ეფუძნება, როგორც მართლმადიდებლურ სწავლებას, ასევე მეცნიერთა შეხედულებებს და ემპირიული კვლევების შედეგებს.

ქრისტიანული მოძღვრებით, დაცემული ბოროტი არსებები ითვლებიან კაცობრიობის მტრებად, ყოველგვარი ბოროტებისა, და მათ შორის, დანაშაულ(ობ)ის, წყაროდ. ისინი უხულავად მოქმედებენ ყველგან და ცდილობენ ადამიანების შეცდენას, როგორც გარედან, უარყოფითი აზრების შთაგონებით, ასევე შიგნიდან, ადამიანური ვნებების საშუალებით, - ამპარტავნების, შურისა და სხვადასხვა გძნობებისა და ემოციების აღძვრით.

მიუხედავად ამისა, დანაშაულ(ობ)ის მიზეზობრიობაში უმთავრესია ადამიანის თავისუფალი ნება. საბოლოოდ ადამიანია პასუხისმგებელი მის მიერ ჩადენილ ყოველგვარ ცოდვაზე და დანაშაულზე და არა ბოროტი უხილავი არსება, რადგან ბოროტების ცდუნებაზე პრიველირებს ადამიანის თავისუფალი ნება. ირკვევა, რომ დაცემულ ანგელოზებს ღმერთისაგან ნება აქვთ მიცემული შეუტიონ ადამიანს, მაგრამ ვინმეს იძულება არ შეუძლიათ. ადამიანისთვის თავისუფალი ნების მინიჭებით, ღმერთი, უშვებს, რომ ადამიანი საკუთარი ნებით დარჩეს სიკეთეში ან ბოროტებაში, „რადგან არ არის სათნოება ის, რაც იძულებით კეთდება“ (*წმ. ი. დამასკელი*). მიიღებს თუ არა ბოროტის შემოთავაზებას ადამიანი, დამოკიდებულია მხოლოდ მის თავისუფალი ნებით გაკეთებულ არჩევანზე. აქედან გამომდინარე, დანაშაულ(ობ)ის მიზეზობრიობის კონცეფციაში ადამიანის ნების თავისუფლება არის მთავარი ასპექტი.

უარყოფითი ენერგიების, ვნებებსა და ადამიანის თავისუფალი ნების კორელაციის საკითხებზე მართლმადიდებლური სწავლება, შეიძლება ითქვას, რომ თანხვედრაშია ძველი ფილოსოფოსების (მაგ.: *პლატონი, არისტოტელე*), განმანათლებლების (მაგ., *ჰობსი*), სისხლის სამართლის კლასიკური სკოლის წარმომადგენლების, და ზოგადად, მეცნიერების შეხედულებებთან და ემპირიული კვლევების შედეგებთან.

ამ მხრივ, განსაკუთრებით საყურადღებოა „სინქრონულობისა და მნიშვნელობითი კავშირის“ (*კ. იუნგი*), „ირაციონალური ვნებებისა“ (*ე. ფრომი*) და „არაცნობიერის/ქვეცნობიერის“ (*ჯ. მერფი*) შესახებ მეცნიერული თეორიები და კონცეფციები. ისინი დანაშაულობის მიზეზ-შედეგობრივ ჯაჭვში, ტრანსცენდენტული ფაქტორის აღმოჩენის შესაძლებლობას იძლევიან. *კ. იუნგის* მტკიცებით, ადამიანის ფსიქიკაში არის არაპიროვნული შრე, ხოლო *ჯ. მერფის* აღნიშნავს, რომ ადამიანი დაკავშირებული არაა დროებით, სივრცობრივ და მიზეზ-შედეგობრივ საზღვრებთან. ქვეცნობიერება შეადგენს კოსმიურ სუბიექტურ გონებასთან განუყოფელ ერთიანობას, ხოლო აზროვნების კანონები ადამიანთა ნებისაგან დამოუკიდებლად მოქმედებენ. თავად აზრები კი, ფლობენ რეალურ ძალას და შეუძლიათ მატერიალიზება და ა.შ.

დაბოლოს, *ბ. მილიგანის* სისხლის სამართლის საქმეზე მეცნიერული კვლევის შედეგები, დანაშაულობის მიზეზობრიობაში ტრანსცენდენტული ძალის არსებობისა და ადამიანის თავისუფალი ნების კორელაციის, მკაფიო დემონსტრირებაა.

6. დანაშაულ(ობ)ის სრულყოფილი პრევენცია შეუძლებელია დანაშაულ(ობ)ის ტრანსცენდენტული მიზეზ(ებ)ის აღმოფხვრის გარეშე:

აღნიშნული დებულება აქსიომატურია, რადგან კრიმინოლოგიაში დანაშაულ(ობ)ის თავიდან აცილება, დანაშაულ(ობ)ის მიზეზების წინააღმდეგ ღონისძიებების გატარებაში მდგომარეობს, ხოლო დანაშაულ(ობ)ის უმთავრესი მიზეზი, როგორც კვლევამ ცხადყო, არის უხილავი ტრანსცენდენტული ბოროტი ძალა და ადამიანში არსებული ვნებები.

ქრისტიანული სწავლებით, არსებობს ცოდვის თავიდან აცილების სხვადასხვა დონეები და მეთოდი, რომლის პრინციპი ერთია „ბოროტება აღმოიფხვრება სათნოებით". დანაშაულ(ობ)ის პრევენციის უმთავრესი აქტორი კი, თავად ღმერთია, რადგან ღმერთია სათნოებისა და ყოველგვარი წარმატების წყარო.

დანაშაულ(ობ)ის პრევენციაში, ღმერთი მონაწილეობს, უხილავად და ხილულად, მაგალითად: ყოველ ადამიანს განუწესებს მფარველ ანგელოზს, რომელიც იცავს ბოროტისა და განსაცდელისაგან; სინდისის, ანუ შინაგანი მორალური კანონის მეშვეობით, ადამიანს კარნახობს მართებულად როგორ მოიქცეს; საღვთო (დაუწერელი და დაწერილი) კანონების, მცნებების, წმინდა წერილის მეშვეობით ადამიანებს ეხმარება ცოდვის თავიდან აცილებასა და სულიერ განმტკიცებაში. რაც ყველაზე მთავარია, თავად ქრისტე ღმერთი ეცვა ჯვარს ყოველი ადამიანისთვის, ცოდვების გამოსასყიდად. ქრისტე ღმერთი მთელი ქვეყნის ცოდვათა მიმტევებელია, რომელმაც შეავსო ძველი აღთქმის საღვთო სჯული, დააწესა ნეტარების მცნებები ადამიანის ზნეობრივი სრულყოფისათვის და დააფუძნა ეკლესია, რომელიც სამღვდელო იერარქიითა და საეკლესიო კანონების აღსრულებით, ემსახურება ადამიანის განწმენდას, განათლებასა და სრულყოფას. დაბოლოს, ეკლესიის მსგავსად, ღმერთის მიერ სახელმწიფოს დაწესების კონცეფცია, ანთროპოცენტრულია: „ეკლესიისა და სახელმწიფოს მიზანი ერთია - ადამიანი. განსხვავებული ფუნქციების მიუხედავად, ისინი ერთმანეთს ავსებენ და საერთო საქმეს აკეთებენ" (*დეკ. კ. ჯინჭარაძე*).

მრავალი მეცნიერული კვლევა (მაგ. *ბ. ჯონსონის*, *ბ. ოჩეინის*) ადასტურებს, ღმერთის რწმენისა და ეკლესიური ცხოვრების დადებით გავლენას დანაშაულ(ობ)ის პრევენციაზე. ამდენად, ვერ იქნება გაზიარებული *ტ. ბიორგოს* დანაშაულის პრევენციის ყოვლისმომცველი მოდელი, რომლის მექანიზმში არის გათვალისწინებული ეკლესიის როლი და დანაშაულ(ობ)ის ტრანსცენდენტული მეზეზების წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებების გატარება.

7. მსჯავრდებულის რესოციალიზაცია შეუძლებელია მონანიების გარეშე:

თანამედროვე პენიტენციური სისტემა მონანიების ქრისტიანულ კონცეფციაზეა დაფუძნებული. „პენიტენცია" (ლათ. *paenitentia*), რომელიც ციხის რეფორმატორებმა მსჯავრდებულის გამოსასწორებელ ადგილს უწოდეს, მონანიებას ნიშნავს.

ქრისტიანული სწავლებით, მონანიების არსი სულიწმიდის მადლით, დანაშაულით დაავადებული სულის განკურნებაშია. მონანიების სათნოება, სულიწმიდის მოპოვებისა და ცოდვით დაავადებული სულის სამკურნალო საშუალებაა. იგი (მონანიება), არა იძულებითი არამედ ნებაყოფლობითი აქტი და პროცესია, და არა დასჯა. მსჯავრდებული გამოსწორებულად ითვლება, როდესაც მოიხვეჭს სულიწმიდის მადლს. ამისთვის მას მოეთხოვება საკუთარი „ცოდვილობის“ გაცნობიერება, რაც შეუძლებელია სულიერი ღვაწლის გარეშე. მსჯავდებულის გამოსწორებისთვის საკმარისი არ არის მხოლოდ ჩადენილი დანაშაულის ერთჯერადი მონანიება. აუცილებელია წარსულში ჩადენილი ცოდვების აღსარებაში თქმა სულიერ მოძღვართან. ცოდვების აღსარების თქმითა და სულიერი მოძღვრის მიერ ცოდვების მიტევებით, ხდება სულიწმიდის გარდამოსვლა ადამიანზე, რითაც ითრგუნება და აღმოიფხვრება ადამიანში არსებული ის ვნებები (ამპარტავნება, შური და ა.შ.), რომლებიც მიდრეკს ადამიანს დანაშაულისკენ.

მონანიება იწვევს მსჯავრდებულის ზნეობრივ გამოსწორებას, სინდისის გაწმენდას, გონებას უბრუნებს ნორმალურ, საღ აზროვნებას. შესაბამისად, მსჯავდრებული ახდენს საკუთარი საქციელის გადაფასებას, თუ რა ზიანი მიაყენა საკუთარ სულს დანაშაულის ჩადენით. მსჯავრდებული მთელი არსებით იძულებს ცოდვას და დანაშაულს, და სულის გადასარჩენად, იწყებს საღვთო მცნებების აღსრულებას. კანონმორჩილება გამომდინარეობს არა სასჯელის შიშიდან, არამედ სიყვარულიდან, რადგან მასში სულიწმიდის მადლია. დამნაშავის ერთადერთი საზრუნავი ხდება დარჩენილი ცხოვრების გატარება სათნოებების აღსრულებაში, რათა მისმა სულმა დაიმკვიდროს მარადიული სასუფეველი. ამგვარად, მსჯავრდებული გამოსწორების ქრისტიანული კონცეფცია მიზნად ისახავს ადამიანის სრულყოფილ გამოსწორებას სულიწმიდის მადლით, რომლის მიზანი მისი სულის გადარჩენაა.

სისხლის სამართალის კოდექსით გათვალისწინებული მსჯავრდებულის რესოციალიზაცია და ქმედითი მონანიება არ შეესატყვისება მონანიებით დამნაშავის გამოსწორების მიზნების ქრისტიანულ კონცეფციას. შესაბამისად, ვერც ქმედიდითი მონანიება და ვერც სასჯელის შიში, ისევე როგორც დამნაშავის რებილიტაციისთვის გათვალისწინებული ფსიქოთერაპია, თუ სხვა ღონისძიება, ვერ უზრუნველყოფს სასურველი შედეგის დადგომას, რადგან მათი ძალისმევა მიმართულია არა დანაშაულ(ობ)ის სულიერი მიზეზების, არამედ სიმპტომების აღმოფხვრაზე. იმის გამო, რომ დანაშაული და დანაშაულობა ტრანსცედენტული ბუნებისაა და იწვევს სულის დასნეულებას, მისი აღმოფხვრა შესაძლებელია მხოლოდ საპირისპირო ტრანსცედენტული ძალის მონაწილეობით. აქედან გამომდინარე, ადამიანის „სრულყოფილ“ რეაბილიტაცია-რესოციალიზაციაზე საუბარი შესაძლებელია მხოლოდ ქრისტიანული წესებით აღსრულებული მონანიების შემთხვევაში.

ამგვარად, დებულება, რომ „მსჯავრდებულის რესოციალიზაცია შეუძლებელია მონანიების გარეშე“ სრულიად მართებულია. აღნიშნული დებულებიდან გამომდინარეობს ლოგიკური დასკვნაც, რომ „მონანიების გარეშე სასჯელის ფორმალური მოხდა უზრუნველყოფს მსჯავრდებულის ჩამოყალიბებას საზოგადოებისთვის უფრო საშიშ პიროვნებად“. ჩადენილი დანაშაულის შემძულებისა და მსოფლმხედველობის შეცვლის გარეშე, ციხეში გატარებული დრო, მსჯავრდებულის მიერ დიდი ალბათობით შეფასდება, როგორც მისდამი უსამართლო მოპყრობა, სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან. შესაბამისად, ლოგიკურია ვარაუდი, რომ ასეთი შეხედულებისა და განწყობის მქონე პირი საზოგადოებისთვის იქნება უფრო საშიში.

ქრისტიანულ სწავლებებსა და მეცნიერულ მიდგომებში არსებული განსხვავებების მიუხედავად, თანამედროვე პენოლოგია ცნობს მონანიების მართლმადიდებლური კონცეფციის ვალიდურობას, მის დადებით ეფექტს დამნაშავის რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის პოლიტიკაში. სახელმწიფო იცავს, როგორც ადამიანის აღმსარებლობის უფლებას, ასევე მსჯავრდებულის გამოსწორების მიზნით თანამშრომლობას ეკლესიასთანაც. თუმცა, არსებობს იმის აუცილებლობაც, რომ მეცნიერებამ მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს ადამიანის ტრანსცენდეტული ასპექტების შესწავლას დამნაშავის რესოციალიზაციისა და დანაშაულ(ობ)ის პრევენციაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ ქრისტიანული მართლმადიდებლურ სწავლებებს აქვს უდიდესი აქსიოლოგიური მნიშვნელობა კრიმინოლოგიის დარგის განვითარებისთვის. დანაშაულობის პრობლემატიკაში ტრანსცენდენტული ასპქეტების გათვალისწინებას შეუძლია სრულიად „ახალ“ საფეხურზე აიყვანოს კრიმინოლოგია. იგი შესაძლებელს ხდის მაქსიმალურად „სრულყოფილად“ იქნეს გამოკვლეული დანაშაულ(ობ)ის, დანაშაულის ჩამდენი პირის, დანაშაულ(ობ)ის დეტერმინანტებისა და პრევენციის ცნებები, ისევე როგორც, კრიმინოლოგიის საგანში შემავალი ყველა სხვა დანარჩენი საკითხი.

გამოყენებული ლიტერატურა

ქართულენოვანი ლიტერატურა:

1. ***აბაშმაძე ვ.***, ილია ჭავჭავაძე - სახელმწიფოსა და სამართლის პრობლემები (რედ. მ. გაფრინდაშვილი), გამომც. „განათლება“, თბ., 1987;
2. ***აბაშმაძე ვ.***, ნარკვევები პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან II (მონათმფლობელური ეპოქა; ანტიკური სამყაროს ქვეყნები), გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1977;
3. ***აბზიანიძე ა.***, საქართველოს სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობები (დისერტაცია), საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბ., 2006;
4. ***ადეიშვილი გ.***, ღმერთი: სამყაროს გონება, გამომც. „უნივერსალი“, თბ., 2008;
5. ***ავანესოვი გ. ა.***, ***ერიაშვილი ნ. დ.***, (რედ.) კრიმინოლოგია მეოთხე გამოცემა, თბ., 2007;
6. ***ამინოვი ი.***, იურიდიული ფსიქოლოგია, მეორე გამოცემა (რედ *ნ. ერიაშვილი*), გამომც. „იუნიტი-დანა“, თბ., 2008;
7. **აირჩიე ქართველო ერო! ზვიად გამსახურდიას გამონათქვამები** (შემდგ. *ი. ჯაჯანიძე*), გამომც. „ძმობა გრაალის მცველნი“, თბ., 2000;
8. ***არისტოტელე***, პოლიტიკა (მთარგმნ., ძველბერძნულიდან *პროფ. თ. კუკავა*), თბ. 1993;
9. ***არისტოტელე***, რიტორიკა (რედ. *აკაკი ურუშაძე*; მთარგმნ., ძველბერძნულიდან *თ. კუკავა*), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1981;
10. ***არქიმანდრიტი გიორგი***, განღმრთობა, როგორც ადამიანის ცხოვრების აზრი, თბ., 2015;
11. ***არქიმანდრიტი მაკარი აბესაძე***, ყოვლადწმინდა სამების საიდუმლო უპირველესად რწმენით აღიქმება, *მართლმადიდებლური ჟურნალი* „კარიბჭე“, №16 (77), 9-22 აგვისტო, (ინტერვიუ ჩამოართვა *შ. მერკვილაძემ*), თბ., 2007;
12. **ასკეტური ფორმულები** (შემდგ., მორჩილი, *გრ. რუხაძე*), საპატრიარქოს გამოც. თბ., 2015;
13. ***ახალაშვილი ნ.***, იურიდიული ფსიქოლოგია (რედ.: *ვ. ბენიძე, ვ. ვაშაკიძე*), გამომც. „უნივერსალი“, თბ., 2009;
14. ***ბარდაძე გ.***, ნეტარი სვიმეონ სალოსის ცხოვრება (რუსულიდან მასალები თარგმნა *ზვიად დევდარიანმა*), თბ., 2014;
15. ***ბახტაძე უ.,*** კრიმინალიზაციის პროცესის კრიმინოლოგიური ანალიზი (სადისერტაციო ნაშრომი), თსუ, თბ., 2019;
16. ***ბაქრაძე შ.***, სინდისის ფენომენი ძევლბერძნულ ლიტერატურაში (დისერტაცია), აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, 2014;
17. ***ბერი პაისი მთაწმინდელი***, სულის საწამლო ბალახები, სერია: მართლმადიდებლის სამაგიდო წიგნი, თბ., 2004;
18. ***ბერი პაისი მთაწმინდელი***, ტკივილითა და სიყვარულით - თანამედროვე ადამიანის შესახებ (მოამზადა *თინათინ გოგოჩაშვილმა*), თბ., 2004;

19. ***ბერი პაისი მთაწმინდელი***, სულიერი ბრძოლა, წიგნი III, გამომც. „ალილო“, თბ., 2009;
20. ***ბერძენიშვილი ლ.***, ქრისტეს გზა, ძველი აღთქმა, წიგნი 2, თბ, 2005;
21. **ბერის დიადემა**, წიგნი 1 (რედ. *ლ. სიხარულიძე*), სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტერი, თბ., 2005;
22. ***ბერძენიშვილი ლ.***, ქრისტეს გზა, ლიტურგია და კატეხიზმო, წიგნი 4, გამომც. „მერიდიანი“, თბ, 2011;
23. ***ბიორგო ტ.***, დანაშაულის პრევენცია, ყოვლისმომცველი მიდგომა (რედ. *გ. გიორგაძე, მ. შალიკაშვილი*; მთრგმნ. *უ. ბახტაძე*), პირველი ქართული გამოცემა ქართულ-ნორვეგიული კანონის უზენაესობის ასოციაცია, თბ., 2016;
24. ***ბუაძე თ.***, ადამიანის ადგილი სამყაროში, *რელიგიურ-საგანმანათლებლო ჟურნალი* „გული გონიერი“, №12, თბ., 2015;
25. ***ბუმისი ჰ. ი.***, კანონიკური სამართალი (მეორე გადამუშავებული გამოცემა; ბერძნულიდან თარგმნა *ირინე გარაყანიძემ*), ათენი-თბ., 2010;
26. ***გაბულდანი ნ.***, ქრისტიანული ტერმინების სემანტიკური ცვლის ზოგი ტენდენცია ქართულსა და სხვა ქართველურ ენებში, (სადისერტაციო ნაშრომი), თსუ, თბ., 2002;
27. ***გაბიანი ა.***, დანაშაულობის მიზეზების შესახებ, თბ., 1969;
28. ***გაბრიჩიძე ნ.***, საოჯახო კონფლიქტის შედეგად ჩადენილი ძალადობითი დანაშაულობა, გამომც. „ინტელექტი“, თბ., 2004;
29. ***გამსახურდია ზ.***, გელათის აკადემიის სულიერი იდეალები, *საზოგადოებრივი ჟურნალი* „მიჯნა“, №2-3 (13-14), გამომც. „უნივერსალი“, თბ., 2019;
30. ***გვასალია გ.***, შესაქმის განმარტება, სერია „ეგზეგეტიკური კრებული“ - ტომი I, შპს გამომცემლობა „შემოქმედი ანგელოზი“, თბ., 2014;
31. ***გიორგიძე ალ.***, არასრულწლოვანთა სასჯელის მიზანი, ციტირებულია წიგნიდან: არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიებების შეფარდების პრობლემები, (რედ. *მზია ლეკვეიშვილი, მორის შალიკაშვილი*), გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2011;
32. ***გიორგიძე ალ.***, „შეზღუდული შერაცხადობა“ (სისხლისსამართლებრივ-კრიმინოლოგიური და ფსიქიატრიული ასპექტები), სადისერტაციო ნაშრომი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ. 2008;
33. ***გლუხოვი ი.ა.***, მართლმადიდებლური კატეხიზმო (იღუმენია ტაისიას სახელობის საზოგადოება), სანკტ პეტერბურგი, 2010;
34. ***გოთუა ზ.***, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სასჯელი (ლექციების კურსი), თბ., 2001;
35. ***გოგებაშვილი ი.***, საღმრთო ისტორია, გამომც. „მთაწმინდა“, თბ., 2016;
36. ***გოგიაშვილი გ.***, სამოსამართლო სამართალი, გამომც. „იურისტების სამყარო“, თბ., 2014;
37. ***გოგიჩაიშვილი თ.***, ზოგადი ფსიქოლოგიის კურსი (რედ. *გ. მჭედლიშვილი*), გამომც. „უნივერსალი“, თბ. 2006;

38. ***გორგოშაძე მ.,*** სამართლის ფილოსოფიის საკითხები, ბათუმი, 2009;
39. ***გორგოშაძე მ.***, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია (სქემები და განმარტებები), გამომც. „ბათუმის უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2002;
40. ***გოძიაშვილი ი.***, კრიმინოლოგია, გამომც. „პოლიგრაფისტი“, თბ., 1998;
41. ***დევიდი რ.***, თანამედროვე ძირითადი სამართლებრივი სისტემები, (მთრგ. *თ. ნინიძე*), თბ., 1993;
42. ***დვალიძე ი.***, ***თუმანიშვილი გ.***, ***გვენეტაძე ნ.***, კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა სისხლის სამართალში, თბ., 2015;
43. ***დეკ. გიორგი თევდორაშვილი*** (რედ.), *სანუგეშო*, თბ., 2016;
44. ***დეკ. დავით ციცქიშვილი***, ფსიქოლოგიაში უპირველესი დამხმარე ღმერთია, ჟურნალი „სარკე“, №4-10, იანვარი, 2012;
45. ***დეკ. დავით ციცქიშვილი***, ცოდვილი ჩანაფიქრები (სტატიის ავტორი *ლ. ჩხარტიშვილი*, ესაუბრა სასულიერო სამინარიისა და აკადემიის პედაგოგი, ფსიქოლოგი, დავით ციცქიშვილი), მართლმადიდებლური ჟურნალი „კარიბჭე“ (№10(71); რედ.: *თ. მამაცაშვილი*), თბ., 2007;
46. ***დეკ. ალექსანდრე მენი***, შეკითხვები და პასუხები, გამომც. „კავკასიური სახლი“, თბ, 2017;
47. ***დეკ. გრიგოლ კუმელაშვილი***, ყოველგვარი ბილწების, უსჯულოების, ხრწნილების, დაცემის სათავე ღვთის მცნებათა დავიწყება და საკუთარი თავის უფალზე წინ დაყენებაა (ესაუბრა *გვანცა გოგოლაძე*), *მართლმადიდებლური ჟურნალი* „კარიბჭე“, №10, (71), თბ., 18-31 მაისი, 2007;
48. ***დეკ. ვლადისლავ ციპინი***, საეკლესიო სამართალი (მართლმადიდებლური კანონიკა; რუსულიდან თარგმნა *გიორგი ანდრიაძემ*) თბ., 2002;
49. ***დეკ. ზაქარია მაჩიტაძე***, წმინდანთა ცხოვრება, წიგნი პირველი, გამომც. „ბონდო მაცაბერიძე“, თბ., 2003;
50. ***დეკ. კონსტანტინე ჯინჭარაძე***, ჭეშმარიტი სარწმუნოება (საქართველოს საპატრიარქო რადიო „ივერიის“ ეთერში გადაცემული ქადაგებების მიხედვით; რედ. *დალი (თეკლა) მორგოშია*), თბ., 2015;
51. ***დეკ. კონსტანტინე ჯინჭარაძე***, ჭეშმარიტი თავისუფლება (რედ. *თეკლე მორგოშია*), თბ., 2013;
52. ***დეკ. კონსტანტინე ჯინჭარაძე***, კერპთაყვანისცემის სახეობები (საქართველოს საპატრიარქო რადიო „ივერიის“ ეთერში გადაცემული ქადაგებების მიხედვით; რედ. *დალი (თეკლა) მორგოშია*), თბ., 2015;
53. ***დეკ. მიქაელ გალდავა***, სულიერ ზნეობითი სწავლანი წმინდა იაკობ მოციქულის კათოლიკე ეპისტოლეში, თბ., 2018;
54. ***დეკ. ნესტორ ყუბანეიშვილი***, ძველი აღთქმის საღვთო ისტორია (მეორე გამოცემა), გამომც. „მეცნიერება“, თბ., 1990;

55. ***დვალიძე ი.,*** მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციასა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე (სადისერტაციო ნაშრომი), „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, თბ., 2008;
56. ***დობორჯგინიძე ნ.***, ფსალმუნთა გამოკრებული თარგმანება და ძველი ქართული ლინგვისტური აზროვნების საკითხები (სადისერტაციო ნაშრომი), თბ., 1998;
57. ***დრაიერი რ.***, სამართლის ცნება (თარგმნ. *ლადო ჭანტურია*), *გივი ინწკირველის 70 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული* (რედ. *ლ. ჭანტურია*), გამომც. შპს „ნორმა“, თბ., 1996;
58. ***ეკალაძე ელ.*** (რედ.) მართლმადიდებლობის გაცნობა ანუ სულიერი ცხოვრების დასაწყისი (მთრგმნ. *მ. შანავა-ვეფხვაძე*, გამომც., *ლ. ვეფხვაძე*), თბ., 2008;
59. ***ეპისკოპოსი ალექსანდრე***, მართლმადიდებლური კატეხიზმო, მეოთხე გამოცემა, (მთრგმნ.: *გვ. კუპლატაძე, გ. ტონია*), საქართველოს საპატრიარქოს გამოცემლობა, თბ., 2011;
60. ***ექრომაიშვილი ვ.***, ფილოსოფია (გადამუშავებული და შევსებული გამოცემა), გამომც. „კვარი“, თბ., (წელი არ არის მითითებული);
61. ***ერქომაიშვილი ვ.***, *ადამიანი, თავისუფლება, იდეოლოგია*, თბ., 2002;
62. ***ზოიძე ბ.***, სამართლის პრაქტიკული ყოფიერების შემეცნების ცდა, უპირატესად ადამიანის უფლებათა ჭრილში, ესეები, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, თბ., 2013;
63. ***თოდრია გ.***, დანაშაულის პრევენცია, ციტირებულია წიგნიდან: კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემა (მთ. რედ. *გიორგი ღლონტი*), თბ., 2003;
64. ***იოანე დამასკელი,*** მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, (რედ. *ედიშერ ჭელიძე*), გრიგოლ ხანძთელის სახელობის ფონდი, თბ., 2012;
65. ***იღუმენი დიონისე გვიმრაძე***, ნანდვილვე აღდგა უფალი (რედ. *თ. მამაცაშვილი*), დმანისი, 2012.
66. ***ვარძელაშვილი ი.***, სასჯელის მიზნები (სადისერტაციო ნაშრომი), თსუ-ს გამომცემლობა, თბ., 2016;
67. ***ვაჩეიშვილი ალ.***, დანაშაულის სუბიექტური მხარე საბჭოთა სისხლის სამართალში, სტალინის სახელობის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1957;
68. ***ვაჩეიშვილი ალ.***, სასჯელი და სოციალური დაცვის ღონისძიებანი, თსუ-ს გამომცემლობა, თბ., 1960;
69. ***ვაჩეიშვილი ალ.***, სამართლის ზოგადი თეორია, გამომცემლობა „სამართალი“, თბ., 2010;
70. ***თეზელიშვილი ს.***, სახელმწოფოსა და სამართლის თეორია (ენციკლოპედიური მასალა), გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2008;
71. ***თოდრია გ.***, დანაშაულობა ახალი აღთქმის მიხედვით „სამი ჯვრის“ მოძღვრება, ჟურნალი „ალმანახი“, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, № 14, 2000;

72. ***თოფჩიშვილი დ.*** (*მასალების შემკრები და მთარგმნელი*), ცოდვათა განმარტებები, წმიდა მამები მრისხანების შესახებ, თბ., 2019;
73. ***თოფჩიშვილი დ.*** (*მასალების შემკრები და მთარგმნელი*), ცოდვათა განმარტებანი, წმიდა მამები შურის შესახებ, თბ., 2018;
74. ***იმედაძე ი.***, ფსიქოლოგიის ისტორია, გამომც. „მწიგნობარი“, თბ., 2008;
75. ***იღუმენი დიონისე გვიმრაძე***, ნანდვილვე აღდგა უფალი, დმანისი, 2012;
76. ***კამკამიძე ი.***, მართლმადიდებლური ეკლესიის სწავლება ზეციურ ძალთა შესახებ, (რედ. *ზურაბ ქუთათელაძე*), თბ., 2004;
77. ***კანტი ი.***, ზნეობის მეტაფიზიკის დაფუძნება (მთარგმნ., *ლამარა რამიშვილი*; რედ. *ნოდარ ნათაძე*), გამომც. Garpe diem, თბ., 2013;
78. ***კარნეგი დ.***, როგორ მოვიპოვოთ მეგობრები და როგორ ვიმოქმედოთ ადამიანზე (მთრგმნ. *ც. კალმახელიძე*), გამომც., „სამშობლო“, თბ., 1992;
79. ***კიზი დ.***, ბილი მილიგანის მრავალი გონება, მე-5 ქართული გამოცემა (მთრგმნ. *თ. ხომერიკი*), გამომც. „წიგნები ბათუმში“, ბათუმი, 2017;
80. ***კიკნაძე ზ.***, ხეთწიგნეულის თარგმანება (რედ., *მერაბ ღაღანიძე*), ქრისტიანული თეოლოგიისა და კულტურის ცენტრის გამოცემა, თბ., 2004;
81. ***კოდუა ე.***, სოციოლოგია, ნაკვეთი 2 (რედ. *ნ. ბერძენიშვილი*), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1998;
82. ***კორინთელი რ.***, სარწმუნოება და სულიერი ფსიქოთერაპია, პირიოდული გამოცემა: ეროვნული თვითმყოფადობა საკაცობრიო ღირებულებების კონტექსტში, სამეცნიერო სემინარი „სარწმუნოება და ფსიქოთერაპია“, №2, თბ., 2012;
83. ***კობალაძე მ.***, ადამიანი, როგორც ორი საწყისის სინერგია, ჟურნალი, *ქრისტიანობა და მედიცინა* (კონფერენციის მასალები 1999 წლის 14-15 დეკემბერი), გამომც. „ენგარდი“, თბ., 1999;
84. ***კოპაძე გ.***, ცოდვის ცნება და ათი მცნება, თბ., 2006;
85. ***კრისტი ნ.***, დანაშაულის კონტროლი, როგორც ინდუსტრია (პირველი ქართული გამოცემა: რედ. *მ. შალიკაშვილი* და *გ. გიორგაძე*; თარგმნ. *ნ. ბურდული*), გამომც. „სეზანი“, 2017;
86. ***კუბლაშვილი კ.***, ძირითადი უფლებები (იურიდიული სახელმძღვანელო), გამომც., „ჯისიაი“, თბ., 2008;
87. ***კუტალია ლ-გ.***, ბრალი სისხლის სამართალში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ. 2000;
88. ***კუტალია ლ-გ.***, ნორმის უცოდინარობა სისხლის სამართალში (ნორმის ცოდნის ვალდებულების ცნება), ჟურნალი მართლმსაჯულების მაცნე, №1-2, თბ., 1999;
89. ***ლეონტიოს ნიკოპოლელი***, ცხოვრებაი და განგებაი ამბა სვიმეონისი რომელსაც ეწოდა ღმრთისათვის სულელ (გამომცემელი *გ. ბარდაძე*, მთრგმნ. *ზვ. დევდარიანი*), თბ., 2014;

90. ***ლომბროზო ჩ.***, დამნაშავე ქალები და მეძავეები, (მთრგმნ. ნინა და მარინა თურმანიძეები), გამომც. „პეგა“, თბ., 2014;
91. ***ლობჟანიძე გ.***, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, ქუთაისი, 2000;
92. ***ლოპუხინი ალ.***, ბიბლიის განმარტებანი I ტომი (გამომც. რედ. *დეკ. ზაქარია ძინძიბაძე*; მთრგმნ. *თინათინ მეტრეველი*), საგამომცემლო კომპიუტერული ცენტრი „დარასი“, 2000;
93. ***ლოპუხინი ალ.***, ბიბლიის განმარტებანი II ტომი (გამომც. რედ. დეკ. *ზაქარია ძინძიბაძე*; მთრგმნ. *თინათინ მეტრეველი*), საგამომცემლო კომპიუტერული ცენტრი „დარასი“, 2000;
94. ***ლოპუხინი ალ.***, ბიბლიის განმარტებანი III ტომი (გამომც. რედ. *დეკ. ზაქარია ძინძიბაძე*; მთრგმნ. *თინათინ მეტრეველი*), საგამომცემლო კომპიუტერული ცენტრი „დარასი“, თბ., 2000;
95. ***ლოპუხინი ალ.***, ბიბლიის განმარტებანი IV ტომი (გამომც. რედ. *დეკ. ზაქარია ძინძიბაძე*; მთრგმნ. *თინათინ მეტრეველი*), საგამომცემლო კომპიუტერული ცენტრი „დარასი“, 2000;
96. ***მამა გიორგი (სხირტლაძე)***, ადამიანს იმქვეყნიურ სამყაროში ჩახედვა ეკრძალება! - რა საფრთხეს შეიცავს ჰიპნოზი და სეანსები ექსტრასენსთან ადამიანის სულისათვის (ინტერვიუ ჩამოართვა *მანანა ნოდიამ*), *ქართული მართლმადიდებლური გაზეთი* „კანდელი“, №2 (492), 24-30 იანვარი, 2002;
97. ***მამა ზაქარია მარგალიტაძე***, სასჯელი მწარე წამალია, რომელიც დაღუპვისგან გვიხსნის (ინტერვიუ ჩამოართვა *შორენა მერკვილაძემ*), მართლმადიდებლური ჟურნალი „კარიბჭე“, №6 (93), 20 მარტი - 02 აპრილი, თბ., 2008;
98. **მამათა სწავლანი, სულიერი ცხოვრების შესახებ** (შემდგ. *ვლ. წამალაშვილი*; რედ. *ნ. კვანტალიანი*), გამომც. „ბეთანია“, თბ., 2015;
99. **მამათა სწავლანი სულიერი ცხოვრების შესახებ** (შემდგ. *ვლ. წამალაშვილი*; რედ. *ნ. კვანტალიანი*), თბ., 2006;
100. ***მამუკაშვილი ნ.***, ნორმის განსაზღვრულობის პირინციპის სამართლებრივი ასპექტები, ჟურნალი „სამართლის მეთოდები“, №3, სულხან-საბა ორბელიანის დავით ბატონიშვილის სამართლის უნივერსიტეტი, 2019;
101. ***მანია ა.***, როგორ ვმართოთ საკუთარი ფიქრები, *სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი* „ფენომენი“ (დირ. *გ. გობეჩია*; რედ. *მ. თუნგია*), №15, თბ., 2015;
102. ***მანია ა.***, ეს აპარატი ადასტურებს - მძიმე ავადმყოფების აურა სულ დახვრეტილია!, *სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი* „ფენომენი“ (დირ. *გ. გობეჩია*; რედ. *მ. თუნგია*), №11, თბ., 2015;
103. ***მანია ა.***, რაზე გადის ზღვარი „ნორმალურ“ და „არანორმალურ“ ადამიანს შორის, სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი „ფენომენი“ (დირ. *გ. გობეჩია*; რედ. *მ. თუნგია*), №9, თბ., 2015;
104. ***მერფი ჯ.***, ტელეფსიქიკა, (რედ. *თ. თურმანიძე*; მთრგმნ.: *ნ.* და *მ. თურმანიძე*), გამომც. „პეგა“, თბ., 2015;

105. ***მერფი ჯ.***, თქვენი ქვეცნობიერების ძალა, (რედ. *თ. თურმანიძე*; მთრგმნ.: *ნ.* და *მ. თურმანიძე*), გამომც. „პეგა“, თბ., 2015;
106. ***მინდიაშვილი ა.***, საუფლო დღესასწაულები (განმარტება), გამომც. „პაკო“, თბ., 1998;
107. ***ნოზაძე ი.***, პოზიტიური სამართლის წყაროები (ზოგადთეორიული ასპექტები), ავტორეფერატი (სამეცნ. ხელმძღვ. *გ. ინწკირველი*), თსუ, თბ., 2005;
108. ***მეტრეველი ვ.***, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, *სამართალმცოდნეობა* (რედ. *რ. შენგელია*), გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2003;
109. ***მეტრეველი ვ.***, ილია ჭავჭავაძე დანაშაულისა და სასჯელის შესახებ., თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1983;
110. ***მეტრეველი ვ.***, ილია ჭავჭავაძის თვალსაზრისი დანაშაულზე, ციტირებულია: *გივი ინწკირველის 70 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული* (რედ. ლ. ჭანტურია), გამომც. შპს „ნორმა“, თბ., 1996;
111. ***მთავარეპისკოპოსი ამბერკი (ტაუშევი)*** სახელმძღვანელო წმინდა წერილის ახალი აღთქმის წიგნების შესასწავლად, წმინდა პავლე მოციქულის ეპისტოლენი (მთარგმნ.: *ე. ეკალაძე* და *ვლ. ჩხიკვაძე*), „ფერისცვალების“ ბიბლიოთეკა, თბ., 2010;
112. ***მიტრ. იეროთეოს ვლახოსი***, მართლმადიდებლური ფსიქოთერაპია, მეორე გამოცემა (მთრგმნ. *ე. დულაშვილი*; რედ. *მღვდელი ზ. ცხოვრებაძე*), გამომც., „ახალი ივერიონი“, თბ., 2010;
113. ***მიტრ. იეროთეოს ვლახოსი***, სულიერი მედიცინის მეცნიერება, (მთრგმნ. *ე. დულაშვილი*, *ლ. ბუკია*; რედ. *დეკ. მ. ჭანტურია*), გამომც., „ახალი ივერიონი“, თბ., 2017;
114. ***მიტრ. იეროთეოს ვლახოსი***, ადამიანის სულის ენერგიების შესახებ, (მამა იოანე რომანიდისის აუდიო საუბრების მიხედვით), თბ., 2019;
115. ***მიქელაშვილი მ.***, ბიბლია, ეკონომიკური კატეგორიები, გამომც. „სიტყვა“, თბ., 2013;
116. ***მღვდელი ლევან ნავროზაშვილი***, მომაკვდინებელ ცოდვათა და სინანულის საიდუმლოებისათვის, საპატრიარქოს სტამბა „პირველად იყო სიტყვა“, თბ., 2011;
117. ***მღვდელმთავარი ლუკა (ვიონო-იასენეცკი)***, მეცნიერება და რელიგია, სული სამშვინველი და სხეული (გამოცემის ხელმძღვანელი, *დეკ. ილია ნასიძე*, მთარგმნელ-რედაქტორი, *აკ. მინდიაშვილი*), თბ., 2003;
118. ***მღვდელმონაზონ ნიკოდიმოს (შმატკო)***, მართლმადიდებლობის საფუძვლების გავრცელება პენიტენციალურ დაწესებულებებში (მომაზადა ლაზარე იმედაძემ), *საღვთისმეტყველო-შემეცნებითი ალმანახი* „ფერისცვალება“, პერიოდული გამოცემა, №4, თბ., 2010;
119. ***მშვენიერაძე დ.***, ღირსი მამა გაბრიელი აღმსარებელი-სალოსი, ორი განზომილება (რედ. ლეილა სიხარულიძე), თბ., 2012;
120. ***ნადარეიშვილი გ.***, მორალი, როგორც ძველი ქართული სამართლის საფუძველი, ჟურნალი „მაცნე“, სამართლის სერია, №1, 1998;

121. ***ნადარეიშვილი გ.***, სასჯელის მიზნები და ამოცანები საეკლესიო სამართლის მიხედვით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ეკონომიკისა და სამართლის სერია, № 3, გამომც. „მეცნიერება“, თბილისი, 1983;
122. ***ნანეიშვილი გ.***, სამართლის ნამდვილობა და ცდა ნორმატიული დასაბუთებისა (მდივანი *ირ. სურგულაძე*), თბ., 1929;
123. ***ნარგიზიშვილი მ.***, პრაქტიკული ფსიქოლოგია, კრებული, წიგნი II, პირველი გამოცემა, თბ., 2011;
124. ***ნაჭყებია გ.,*** სისხლის სამართლის მეცნიერების საგნი (რედ. *ზ. წულაია*), გამომც. „მერიდიანი“, თბ., 1998;
125. ***ნაჭყებია გ.***, სისხლის სამართლის საგანი (რედ. *ზ. წულაია*), „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, თბ., 1997;
126. ***ნაჭყებია გ.***, სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა და დანაშაულის ცნება, ლექციების კურსი (რედ. *ნ. თოდუა*), თბ., 2002;
127. ***ნაჭყებია გ.***, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორიის შესავალი (სისხლის სამართლის მეცნიერების ცნებათა სისტემის ასპექტით), ნაწილი პირველი, (რედ. *ნ. თოდუა*), გამომც. „ინტელექტი“, თბ., 2000;
128. ***ნაჭყებია გ.***, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო (რედ. *ი. დვალიძე*), საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“, თბ., 2011;
129. ***ნაჭყებია გ.***, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორია, დამხმარე სახელმძღვანელო (რედ. *მ. ლეკვეიშვილი*), საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“, თბ., 2010;
130. ***ნაჭყებია გ.***, მსჯავრდებულის მორალური გამოსწორების საკითხისათვის, ჟურნალი „სამართალი“, № 3-4, 1994;
131. ***ნაჭყებია გ.***, ხელოვნებისა და სამართლის ანალოგიური ნიშნების შესახებ, ციტირებულია: გივი ინწკირველის 70 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული (რედ. *ლ. ჭანტურია*), გამომც., შპს „ნორმა“, თბ., 1996;
132. ***ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი***, მათეს სახარების განმარტება (რედაქტორ-გამომცემელი *ნ. ბულია*; მთრგმნ. *ვ. მურჯიკნელი*), გამომც. „ალილო“, თბ., 2012;
133. ***ნიკოლაიშვილი ო.***, ნიესიმე სალოსი, თბ., 2004;
134. ***ნიკოლაიშვილი ო.***, პატიმართა იმედი და ნუგეში, ზრუნვა ნარკომანთა და დამნაშავეთა სამყაროს ცნობიერების შეცვლისთვის, თბ., 2009;
135. ***ნიკოლაიშვილი ო.***, ღვთისათვის სულელნი, სალოსი მამების ცხოვრება და მოღვაწეობა, სალოსური ღვაწლის განმარტება, თბ., 2004;
136. ***ნიკოლაიშვილი ო.***, (შემდგენელ-გამომცემელი), *წმიდა მამა გაბრიელის სწავლებანი*, თბ, 2013;
137. ***პანენბერგი ვ.***, ცოდვა და პირველცოდვა (გერმანულიდან თარგმნა *ვ. რცხილაძემ*), თბ., 2014;
138. ***პაპუაშვილი ნ.***, მსოფლიო რელიგიები საქართველოში, თბ., 2002;

139. *ჰესტოვი ნ. ე.*, როგორ ვებრძოლოთ უკეთურ აზრებს (რედ. *დეკ. გ. ჯგუშია*; მთრგმნ. რუსულიდან *ა. ეხვაია*), თბ., 2002;
140. *პლატონი*, სახელმწიფო (მთრგმნ. ძველი ბერძნულიდან *ბ. ბრეგვაძე*), გამომც. „ნეკერი“, 2003;
141. *პროტოპრისვეტერი მიხეილ პომაზანსკი*, დოგმატური ღვთისმეტყველა (რედაქტორ-რეცენზენტი *იღუმენი დოსითეოსი (ბოგვერაძე)*; მთრგმნ. *ნ. ბელთაძე*), მესამე შესწორებული გამოცემა, თბ., 2012;
142. *პროტოპრისვეტერი მიხეილ პომაზანსკი*, დოგმატური ღვთისმეტყველება, (რედაქტორ-რეცენზენტი *იღუმენი დოსითეოსი (ბოგვერაძე)*; მთრგმნ. *ნ. ბელთაძე*), საგამომცემლო ცენტრი „ლაზარე“, თბ., 2006;
143. *რადბრუხი გ.*, სამართლის ფილოსოფიის ხუთი წუთი, (მთრგმნ. *დ. გეგენავა*), ჟურნ. „სარჩევი“, № 1-2 (3-4), თბ. 2012;
144. *რამიშვილი ვ.*, ადამიანი და ხვედრი (დროის მეტაფიზიკა), თსუ-ს გამომცემლობა, თბ., 2002.
145. *როუზი ს.,* ეს გზა მოელის ყოველი ქრისტიანის სულს, *სერია: ქრისტიანული აზროვნება* (შეკრიბა და თარგმნა *ვლ. ჩხიკვაძემ*), გამომც. „ალილო“, თბ., 2008;
146. **სამართალმცოდნეობა** (რედ. *რ. შენგელია*), გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2003;
147. **სამოსამართლო ეთიკა** (რედ. *ნ. დ. ერიაშვილი*), თბ., 2016;
148. **საქართველოს იმედი**, წიგნი 3, „ანგელოზები“, (შემდგ.: *კ. კენკიშვილი, ს. თავაძე*), გამომც. „პალიტრა L“, თბ., 2012;
149. **საქართველოს იმედი**, ღირსი ეფრემ ასური, წიგნი II (შემდგ. *სოფიო თავაძე*), გამომც. „პალიტრა L“, თბ., 2015;
150. *სავანელი ბ.*, სამართლის თეორია, გამომც. „საქართველო“, თბ., 1993;
151. *სინაურიძე ა-ლ.*, საკმარისი არ არის, ქრისტიანი ცოდვებს იქმოდეს, ამავე დროს, სათნოებაც უნდა ჰქონდეს, ციტირებულია: მართლმადიდებლური ჟურნალი „კარიბჭე“, №20, 5-18 ოქტომბერი 2017;
152. **სულიერი მდელო** (შემდგ.: *ნ. თარაშვილმა, ხ. რაქვიაშვილმა, თ. ასათიანმა*; რედ. *თ. გოგოჩაშვილი*), გამომც. შპს „მეგობრობა“, თბ., 2014;
153. *სურგულაძე ი.*, ქართული სამართლის ისტორიის ნარკვევები I, გამომც. „პირველი სტამბა“, თბ., 2000;
154. *სქემარქიმანდრიტი იოანე (მასლოვი)*, ლექციები სამოძღვრო ღვთისმეტყველებაში, მეორე გამოცემა (რედ. პროფ. *გ. კოპლატაძე*; მთრგმნ. *გრ. რუხაძე*), საპატრიარქოს გამომცემლობა, თბ., 2013;
155. *სქიიღუმენი საბა (ოსტაპენკო),* ამპარტავნების შესახებ, საქართველოს საპატრიარქო, თბ., 2003;
156. *სქიიღუმენი საბა (ოსტაპენკო),* მთავარი ქრისტიანული სათნოებისა და ამპარტავნების შესახებ, საქართველოს საპატრიარქო, თბ., 2011;

157. *ტურავა მ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა (მეცხრე გამოცემა), გამომც. „მერიდიანი", თბ., 2013;
158. *ტყეშელიაძე გ.*, ბრალი შეფასებითი ცნებაა, ციტირებულია: *საიუბილეო კრებული* მიძღვნილი თსუ იურიდიული ფაკულტეტის 80 წლისთავისადმი *სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალური პრობლემები*, თსუ გამომცემლობა, თბ., 2003;
159. *უგრეხელიძე მ.*, ექსისტენციალიზმი და სამართალი, ქართული უნივერსიტეტის შრომები, ტ. 1, გამომც. „ქართული უნივერსიტეტი", თბ., 2015;
160. *უგრეხელიძე მ.*, სამართლის უზენაესობა და არა კანონის უზენაესობა, გაზეთი „კვირის პალიტრა", №29 (781), 20-22 ივლისი, თბ., 2009;
161. *უზნაძე დ.*, ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის საფუძვლები, ტომი I, ტფილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1925;
162. *უექსი რ.*, სამართლის ფილოსოფია ძალიან მოკლე შესავალი (მთრგმნ. *მ. გაგუხადია*, რედ. *ი. გაჩიაშვილი*), თბ., 2012;
163. *ფილოსოფიური ძიებანი* (მთ. რედ. *ი. კალანდია*), საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემია), კრებული №23, გამომც. „უნივერსალი", თბ., 2019;
164. *ფრიმანი ჯ.*, ინტერვიუ კარლ გუსტავ იუნგთან (ინგლისურიდან თარგმნა *ია ელუაშვილმა*), ჟურნალი „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე", ფილოსოფიისა და ფსიქოლოიგიის სერია, №2, გამომც. „მეცნიერება", თბ., 1991;
165. *ფროიდი ზ.*, ფსიქოანალიზი (გერმანულიდან თარგმნა *ვ. კაკაბაძემ*) გამომც. „სიახლე", თბ. 2016;
166. *ფრომი ე.*, ვართ კი ნორმალურები? (თარგმნა *ნ. კუჭუხიძემ*), სტამბა შპს „ხომლი ენ", ქუთაისი, 2014;
167. *ფრომი ე.*, გამანდგურებლობა (თარგმნა *ნ. კუჭუხიძემ*), სტამბა შპს „ხომლი ენ", ქუთაისი, 2014;
168. **ქართული სამართლის საფუძვლები** (ავტორთა კოლექტივი, რედ. *რ. შენგელია*, რეც. *ზ. წულაია*), თბ., 2000;
169. **ქრისტიანული ფსიქოლოგია**, ტომი I, (ლექციების კურსი, თემატურად შერჩეული, თარგმნილი და გადამუშავებული მიტროპოლიტ სტეფანეს მიერ) გამომც. „აღმსარებელი", ცაგერი, 2019;
170. **ქრისტიანული ფსიქოლოგია**, ტომი II, (ლექციების კურსი, თემატურად შერჩეული, თარგმნილი და გადამუშავებული მიტროპოლიტ სტეფანეს მიერ) გამომც., „აღმსარებელი", ცაგერი, 2019;
171. *ქურციკიძე ც.*, ქართული ბიბლია, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თბ., 2010;
172. **ღვთიური სიბრძნის მართლმადიდებლური ანბანი** (შემდგ. *გ. კალანდაძე*), წიგნი 6, (ქ-ჯ), გამომც. „პალიტრა L", თბ., 2020;
173. *ღლონტი გ.,* (მთ. რედ.) კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემა თბ., 2003;

174. ***ღლონტი გ.,*** (სამეცნ. რედ.) კრიმინოლოგია, თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, თბ., 2008;
175. ***ღლონტი დ***, ერთმა მუჭა ერმა ქრისტიანობა შევინახეთ, არ გავაქრეთ ამ პატარა ქვეყანაში (ინტერვიუ ჩამოართვა *ლელა ჩხარტიშვილმა*), მართლმადიდებლური ჟურნალი „კარიბჭე“, №20, 5-18 ოქტომბერი 2017;
176. ***ღირსი ეფრემ ასური***, შესაქმის განმარტება (რეცენზენტ-რედაქტორი *გ. გვასალია*; მთრგმნ.: *გ. გველესიანი, სლ. ჩხიკვაძე*), დაიბეჭდა შპს. „ფავორიტი სტილი“, თბ., 2014;
177. ***ყიფიანი მ.,*** (რედაქტორ-შემდგენელი), ციხემ იგი ცოდვილად მიიღო და წმინდანად გამოუშვა, ჩვენც შენი ხალხი ვართ (მთარგმნ.: *ნ. ახალაძე, თ. რუსაძე, ნ. ბაღათურია* და სხვ.), გამომც. „ხარება“, თბ., 2012;
178. ***შალიკაშვილი გ.***, ეფუთი და ფუსტი - რა ისტორიულ მემკვიდრეობითი საფუძვლები აქვს ქართულ ეროვნულ წიაღში დღემდე მოტანილ ამ საღვთო კულტურის შედევრებს? (გაზეთი „განმანთავისუფლებელი“, №60), 2019;
179. ***შალიკაშვილი მ.***, ვიქტიმოლოგია, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2011;
180. ***შალიკაშვილი მ.***, *მიქანაძე გ.*, *ხასია მ.*, სასჯელაღსრულების სამართალი, გამომც. „იურისტების სამყარო“, თბ., 2014;
181. ***შოვნაძე დ., ჩაჩიბაია ნ.,*** (შემდგ.) მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიის მოძღვრების საფუძვლები, შპს „ფავორიტი პრინტში“, თბ., 2013;
182. ***შენგელაია გ.***, „სისხლის სამართლის უფლება, ბოროტმოქმედობა და ბოროტმოქმედთა პიროვნების შესწავლის საკითხი“, თანამედროვე მედიცინა, №9, თბ., 1927;
183. **შესავალი თანამედროვე აზროვნებაში**, წიგნი 1 (მთრგმნ.: *ბ. ბრეგვაძე, გ. ნოდია, თ. ცხადაძე*), გამომც., ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, თბ., 2014;
184. ***შოშიაშვილი შ.***, სამყარო, მეცნიერება, რელიგია, გამომც. „მერიდიან“, თბ., 2008;
185. ***შოშიაშვილი შ.***, კოსმიური სამყაროსა და სულის უკვდავების შესახებ, (რედ. *ნელი ელიზბარაშვილი*) გამომც. „ნეკერი“, თბ., 2003;
186. ***ჩაგუნავა ა., ვეკუა ი.***, თავნი და ბოლონი იტყვიან გიორგი, (რედ. *მარიამ ფარცვანია*), თბ. 2009;
187. ***ჩაგუნავა ა.***, ***ყოლბაია ლ.***, ქართველობა ძნელია, მაგრამ აუცილებელი!.., თბ., 2008;
188. ***ჩანი ს.***, ადამიანი და ცოდვა (დამოუკიდებლად შესასწავლი სახელმძღვანელო), მეორე გამოცემა, თბ., 2006;
189. ***ჩაჩანიძე ე.***, ***ზოდელავა თ.***, ***გოგიშვილი მ.***, ***სულხანიშვილი მ.***, კომუნიკაცია სასამართლოში პრაქტიკული სახელმძღვანელო, გამომც. „ჯგუფი სიესტა“, თბ., 2013;
190. ***ჩხარტიშვილი ლ.***, ეშმაკი საბოლოოდ ჯერ არ დაუფლებია ჩვენს სამყაროს, *მართლმადიდებლური ჟურნალი* „კარიბჭე”, №2, (323), 26 იანვარი - 8 თებერვალი, 2017;
191. ***ჩხეიძე რ***, აბელი-ხატი და მსგავსი ღვთისა პირველი მცდელობა და მსგავსების მოკვდინებისა, თავი მეორე, მართლმადიდებლური ჟურნალი „კარიბჭე“, №6 (196), თბ., 15-28 მარტი 2012;

192. *ცინცაძე მ.*, იოანე სინელის „კიბის“ ექვთიმე ათონელისეული თარგმანი და მისი ენა (სადისერტაციო ნაშრომი), ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, 1965;
193. *ძიძიგური შ.*, ალექსანდრე ნეიმანი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, მე-3 გამოცემა, გამომც. „განათლება“, თბ., 1998;
194. *წიკლაური ხ.*, მორწმუნეთა და ათეისტების ღირებულებათა კვლევა საქართველოში (სადისერტაციო ნაშრომი), წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, თბ., 2016;
195. *წმ. იოანე ოქროპირი*, ჰომილიები, I ტომი, შესაქმის განმარტება, ნაწილი პირველი (რედ. *თ. გოგოჩაშვილი*), გამომც. „ალილო“, თბ., 2015;
196. *წმ. იოანე ოქროპირი*, ჰომილიები, II ტომი, შესაქმის განმარტება, მეორე ნაწილი (რედ. *თ. გოგოჩაშვილი*), გამომც. „ალილო“, თბ., 2015;
197. *წმ. იოანე ოქროპირი*, ჰომილიები, III ტომი (რედ. *თ. გოგოჩაშვილი*), გამომც. „ალილო“, თბ., 2015;
198. *წმ. იოანე ოქროპირი*, ჰომილიები, IV ტომი (რედ. *თ. გოგოჩაშვილი*), გამომც. „ალილო“, თბ., 2015;
199. *წმ. იოანე ოქროპირი*, ჰომილიები, ტომი V, წმიდა მათე მახარებლის სახარების განმარტება, პირველი ნაწილი (რედ. *თინათინ გოგოჩაშვილი*), გამომც. „ალილო“, თბ., 2016;
200. *წმ. იოანე სინელი*, კლემაქსი ანუ კიბე, საეკლესიო ბიბლიოთეკა II, (რედ. *ნ. ხურცილავა*, თარგმნ. *ტ. ცომაია*), მეორე გამოცემა, თბ., 2014;
201. *წმ. იოანე სინელი*, ცოდვით დაცემანი და ბრძოლა მათ წინააღმდეგ (რედ. *დეკ. გ. ჯგუშია*, რუსულიდან თარგმნა *მ. ბუკიამ*), ზუგდიდი, 2002;
202. *წმ. მაქსიმე აღმსარებელი*, სულიწმიდის სამგვარი გამოვლინების შესახებ კაცობრიობაში, სამეცნიერო საღვთისმეტყველო შრომები, II, თბილისის სასულიერო აკადემია, თბ., 2004;
203. *წმ. მღვდელმთავარი გაბრიელი (ქიქოძე)*, ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები, თბ., 2012;
204. *წმ. ნიკოდიმოს მთაწმინდელი*, უხილავი ბრძოლა, (რედ. *გ. წულაძე*; ბერძნულიდან თარგმნა *ე. დუღაშვილმა*), გამომც. „ახალი ივერიონი”, თბ., 2014;
205. *წმინდა ეფრემ ასური*, სწავლანი (მთრგმნ. *ია მელიქიძემ*), გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2008;
206. *წმიდა მამათა რჩევა-დარიგებანი*, №4, ბოროტ სულებთან ბრძოლის შესახებ (დაიბეჭდა ახალციხის ეპისკოპოსის თეოდორეს ლოცვა-კურთხევით), ახალციხე, 2001;
207. *წულაია დ.*, დანაშაულობის აღმოფხვრაში კულტურის ფენომენის შესახებ, ციტურებულია: სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალური პრობლემები, (საიუბილეო კრებული, მიძღვნილი თსუ იურიდიული ფაკულტეტის 80 წლისთავისადმი), თსუ გამომცემლობა, თბ., 2003;

208. ***წულაია დ.***, კრიმინოლოგიური ექსპერტიზის მნიშვნელობა სამართლებრივ რეფორმებში, *ჟურნალი*, I საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, თემაზე: „სამართლის აქტუალური პრობლემები“, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბ., 2010;
209. ***წულაია დ.,*** წამების აკრძალვა საერთაშორისოსამართლებრივი ნორმების მიხედვით, „სამართლის ჟურნალი”, № 2, თსუ-ს უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2014;
210. ***წულაია ზ.,*** კრიმინოლოგია (ზოგადი და კერძო ნაწილი), გამომც. „ინტელექტი“, თბ., 2005;
211. ***წურწუმია მ.***, მასალები ფსიქიატრიის ისტორიისთვის საქართველოში, უძველესი დროიდან მეცხრამეტე საუკუნის დასასრულამდე (სადისერტაციო ნაშრომი), თბ. 1951;
212. ***ჭავჭავაძე ი.***, თხზულებათა სრული კრებული, ტომი IV, ერი და ისტორია, წერილები სახალხო განათლების საკითხებზე (რედ. *პ. ინგოროყვა*), საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, თბ., 1955;
213. ***ჭოღოშვილი რ.***, დანაშაულებრივ ქმედებათა პროგნოზირების საკითხები, *გივი ინწკირველის 70 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული* (რედ. *ლ. ჭანტურია*), გამომც. შპს „ნორმა“, თბ., 1996;
214. ***ხეჩუაშვილი ლ.***, პიროვნება, შესავალი პიროვნების ფსიქოლოგიაში I, თბ. 2013;
215. ***ხუბუა გულ.***, ქრისტიანული მორალი და პიროვნების ფორმირება, გამომც. „სამშობლო“, თბ., 1997;
216. ***ხუბუა გ.,*** სამართლის თეორია, თბ., 2015;
217. ***ხუბუა გ.,*** სამართლის თეორია, თბ., 2004;
218. ***ჯინორია მ.***, თქვენი სიცოცხლე ჩემი სიცოცხლეა ცხოვრება, სწავლანი და მოგონებანი ბერი გაბრიელისა (რედ. *ზვ. ტყეშელაშვილი*), თბ., 2009;
219. ***ჯინორია მ.***, თქვენი სიცოცხლე ჩემი სიცოცხლეა (განახლებული და შევსებული გამოცემა), თბ., 2013;
220. ***ჯინორია მ.***, თქვენი სიცოცხლე ჩემი სიცოცხლეა, გამომც. „პერგამენტი“, თბ., 2019;
221. ***ჯულიყანიშვილი ა.***, კულტუროლოგია, ფონდი ღია საზოგადოება, გამომც. „უნივერსალი“, თბ., 2001;
222. ***ჰეგელი გ.ვ.ფ.***, გონის ფილოსოფია, (რედ.: *ნ. ჭავჭავაძე, თ. ბუაჩიძე, გ. ცინცაძე*; თარგმანი გერმანულიდან *ნ. ნათაძის*), ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემია, გამომც. „მეცნიერება“, თბ., 1984.

ბიბლია და ბიბლიის განმარტებები:

1. **ბიბლია** (საქართველოს საპატრიარქოს მიერ 2009 წელს გამოცემული „ბიბლიის“ ტექსტის მიხედვით), გამომც. „პალიტრა L“, თბ., 2013;
2. **ბიბლია** (ახალი ქვეყნიერების თარგმანი), ბრუკლინი, ნიუ-იორკი, აშშ. 2006;

3. **ბიბლია განმარტებებით** (პროექტის ავტ. და რედ. *თ. მამაცაშვილი*), გამომც. „პალიტრა“, თბ., 2019;
4. **სახარების განმარტება, წიგნი I** (შემდგნ. *ბ. ი. გლადკოვი*; მთრგმნ. *რ. ქებურია, ირ. ქებურია* და *ქ. ჯანიაშვილი*), თბ., 2016;
5. **სახარების განმარტება, წიგნი II** (შემდგნ. *ბ. ი. გლადკოვი*; მთრგმნ. *რ. ქებურია, ირ. ქებურია* და *ქ. ჯანიაშვილი*), თბ., 2016;
6. **ძველი აღთქმის საწინასწარმეტყველო წიგნთა განმარტებები** (შემდგნ. *აკ. მეგრელიშვილი*), თბ., 2011;
7. **სახელმძღვანელო ძველი და ახალი აღთქმის შესასწავლად** (შედგ. *ა. პ-სის*), გამოცემა „მწყემსი“-ს რედაქცია, ქუთაისი, 1909.

დამხმარე ლიტერატურა ქართულ ენაზე (*ლექსიკონები და ენციკლოპედიები*):

1. **ლექსიკონი, ადამიანის უფლებათა** (შემდგ.: *ფრ. საყვარელიძემ*, რედ.: *ა. ჭაბაშვილი*) თბ., 1999;
2. **ლექსიკონი, ბიბლიის** (შემდგ. *ბ. გოეცე*), თბ., 2006;
3. **ლექსიკონი, ქართული ენის განმარტებითი** ერთტომეული (მთ. რედ. *არნ. ჩიქობავა*, რედ. *მ. ჭაბაშვილი*), თბ., 1986;
4. **ლექსიკონი, ქრისტიანობის** (შემდგ. *პ. პეტროზილო*; იტალიურიდან თარგმნა *მ. სააკაშვილმა*; რედ. *მ. ღაღანიძე*), სულხან-საბა ორბელიანის სასწ. უნივერსიტეტი, ქრისტიანული თეოლოგიისა და კულტურის ცენტრი, თბ., 2011;
5. **ენციკლოპედია, ღვთიური სიბრძნის მართლმადიდებლური,** ეკლესიის ქართველ მამათა გამონათქვამები (შემდგ. *გ. კალანდაძე*), თბ., 2007;
6. **ენციკლოპედია**, **ღვთიური სიბრძნის მართლმადიდებლური,** მესამე გამოცემა, საქართველოს დიდება, ეკლესიის ქართველ მამათა გამონათქვამები (შემდგ. *გ. კალადაძე*), გამომც. „დიადემა“, თბ., 2019;
7. **სამედიცინო ტერმინოლოგიის ქართულ-ინგლისურ-რუსულ-ლათინური განმარტებითი ლექსიკონი** (შემდგ. *გ. გოგიჩაძე.*, რედ.: *ნ. ჭიჭინაძე, ალ. ქორელი*), გამოც. „მერიდიანი“, თბ. 2009.

ჟურნალები და კრებულები:

1. ***მართლმადიდებლობა და თანამედროვეობა***, კრებული მესამე, (გამომც. *ვ. სიხარულიძე*, შემდგ. *ზ. ქუთათელაძე*, მთ. რედ. *ვ. ბურკაძე*) თბ., 2012;
2. ***ფილოსოფიური ძიებანი,*** კრებული, №15, (რედ. *სერგი ავალიანი*), გამომც. „უნივერსალი“, თბ., 2011;

3. *ფილოსოფიურ-თეოლოგიური მიმომხილველი*, № I, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2011;
4. *ჟურნალი „ალმანახი“*, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, № 14, 2000;
5. საღვთისმეტყველო სამეცნიერო ალმანახი „ფერისცვალება“, გამომც. „ანთიმოზ ივერიელი“, №1, თბ., 2010;
6. *კრებული*, საიუბილეო: მიძღვნილი გივი ინწკირველის 70 წლისადმი (რედ. *ლ. ჭანტურია*), გამომც. შპს „ნორმა“, თბ., 1996;
7. *კრებული*, საიუბილეო: მიძღვნილი თსუ იურიდიული ფაკულტეტის 80 წლისთავისადმი *სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალური პრობლემები*, თსუ გამომცემლობა, თბ., 2003;
1. *კრებული*, სტატიების: ქრისტიანობა ჩვენს ცხოვრებაში: წარსული აწმყო, მომავალი, (II საერთაშირისო სიმპოზიუმი), ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი, თბ., 2005;
2. **ალმანახი „ფერისცვალება“**, საღვთისმეტყველო სამეცნიერო ალმანახი**,** გამომც. „ანთიმოზ ივერიელი“, №1, თბ., 2010;
3. **ჟურნალი,** „**გული გონიერი“**, რელიგიურ-საგანმანათლებლო, №12, თბ., 2015;
4. **ჟურნალი, „კარიბჭე“**, №6 (196), თბ., 15-28 მარტი 2012;
5. **ჟურნალი, „კარიბჭე“**, №2, (323), 26 იანვარი - 8 თებერვალი, 2017;
6. **ჟურნალი, „კარიბჭე“**, №20, 5-18 ოქტომბერი 2017;
7. **ჟურნალი „სამართლის ჟურნალი“**, № 2, თსუ-ს უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2014;
8. **ჟურნალი „სამართლის ჟურნალი“**, №3, სულხან-საბა ორბელიანის დავით ბატონიშვილის სამართლის უნივერსიტეტი, 2019;
9. **ჟურნალი „სამართალი“,** № 3-4, 1994;
10. **ჟურნალი, „სამართლის აქტუალური პრობლემები“,** I საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, თემაზე: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბ., 2010;
11. **ჟურნალი „ფენომენი“, სამეცნიერო-პოპულარული** (დირ. *გ. გობეჩია*; რედ. *მაია თუნგია*), №9, თბ., 2014;
12. **ჟურნალი „ფენომენი“, სამეცნიერო-პოპულარული** (დირ. *გ. გობეჩია*; რედ. *მაია თუნგია*), №9, თბ., 2015;
13. **ჟურნალი „ფენომენი“, სამეცნიერო-პოპულარული** (დირ. *გ. გობეჩია*; რედ. *მაია თუნგია*), №11, თბ., 2015;
14. **ჟურნალი „ფენომენი“, სამეცნიერო-პოპულარული** (დირ. *გ. გობეჩია*; რედ. *მაია თუნგია*), №15, თბ., 2015;
15. **ჟურნალი „ფენომენი“, სამეცნიერო-პოპულარული** (დირ. *გ. გობეჩია*; რედ. *მაია თუნგია*), №1-2, თბ., 2018.

ინტერნეტსტატიები და ინტერვიუები ქართულ ენაზე:

1. ***ეკალაძე ზ.***, ფერისცვალება, გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი“ №32 (83), 2000, <https://www.orthodoxy.ge/dgesastsaulebi/peristsvaleba.htm>, (მოპოვების თარიღი: 07.05.2017);
2. ***ლეტიმანი მ.***, How to Defeat Drugs „როგორ შეიძლება დავამარცხოთ ნარკოტიკი“, (განთავსებულია: 13.05.2021), <https://laitman.com/2021/05/how-to-beat-drugs/>, (მოპოვების თარიღი: 17.07.2021);
3. ***მერკვილაძე შ.,*** რომელი იტყოდეს სიცრუესა, არა წარემართოს წინაშე თვალთა ჩემთა (ესაუბრა, ზესტაფონის წმინდა ნინოს სახელობის ტაძრის წინამძღვარი, მამა კირიონ მუშკუდიანი (სტატიის გამოქვეყნების თარიღი: 15.06.2007), იხ. ელ-ჟურნალი „კარიბჭე“, <http://karibche.ambebi.ge>, (მოპოვების თარიღი: 22.07.2008);
4. ***მოურავი თ.***, კაცს დამოუკიდებლადაც შეუძლია ათი მცნების აღსრულება, მაგრამ არ ძალუძს დამოუკიდებლად აღასრულოს ცხრა ნეტარება, (ინტერვიუ ჩამოართვა ამირან სინაურიძემ), მართლმადიდებლური ინტერნეტ-ჟურნალი „კარიბჭე“ (21.06.2012), <http://karibche.ambebi.ge>, (მოპოვების თარიღი: 21.07.2020);
5. ***ნავროზაშვილი თ.***, „ვინ არიან სალოსები?“, „ამბიონი“, საზოგადოებრივ რელიგიური ინტერნეტ ჟურნალი, 2009, <www.ambioni.ge/vin-arian-salosebi>, (მოპოვების თარიღი: 17.07.2015);
6. „პატიება: გაუშვით წყენა და სიმწარე“, ინფორმაცია განთავსებულია 2020 წლის 13 ნოემბერს, იხილეთ ვებ-გვერდი: „Mayo Foundation for Medical Education and Research (MFMER)“, <http://www.mayoclinic.com/health/forgiveness/MH00131>, (მოპოვების თარიღი: 12.05.2013);
7. ***რემი ე.***, ჰომეოპათიის ანბანი (მეხუთე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა), 1973 წელი, „შტაუფენ - ფარმა გოპინგენ“, ჰომეოპათიის ანბანი, <https://curamediana.ge/anbani.html>, (მოპოვების თარიღი: 08.04.2020);
8. ***უგრეხელიძე მ.***, ტელე-გადაცემა, „პულსი TV“, სათაურით „სტუმრად მინდია უგრეხელიძე - ნაწილი 2“, (10 თებერვალი 2020 წელი, წუთი: 15:00-15:30), <https://www.youtube.com/watch?v=QMPl7p_OB1k>, (მოპოვების თარიღი: 07.06.2020);
9. ***უგრეხელიძე მ.***, საჯარო ლექცია თემაზე: სამართალი და მართლმსაჯულება (წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, საქართველოს საპატრიარქოს ტელე-გადაცემა „ღია აუდიტორია“, დრო: 43:15-45:28, თარიღი 26.07.2015), <https://www.youtube.com/watch?v=X0Bog8XnnZ0>, (მოპოვების თარიღი: 08.09.2019);
10. ***ცაგურიშვილი თ.***, „თითქოს ქმნილება აუჯანყდა თავის შემოქმედს, რადგან აღარ სურს მასთან ერთობა. სრულიად გამიწიერდა ზეცისაკენ მოწოდებული სულიერი არსება,

რადგან დროებითზე გაცვალა მარადიული“, ინტერნეტ-ჟურნალი „კარიბჭე“, (10.06.2010), <http://karibche.ambebi.ge/>, (მოპოვების თარიღი: 27.07.2020);

11. ***ცხოვრებაძე ზ.***, მეორე ნეტარება, გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი“, №5 (312), 2005, <http://www.orthodoxy.ge/sakhli/9netareba_2.htm>, (მოპოვების თარიღი: 07.07.2020);
12. ***წმიდა ეპისკოპოსი ეგნატე (ბრიანჩანინოვი)***, სტატია „ხიბლისათვის“, საქართველოს საპატრიარქოს რადიო "ივერია” 105.4-ის ვებ-გვერდი, გვ. 2, <http://www.orthodoxy.ge/tserilebi/brianchaninovi/khibli1.htm>, (მოპოვების თარიღი: 01.01.2019).
13. ***ხუბუა გ.***, ღმერთის იდეა კონსტიტუციაში (15:25, 06-02-2016), „*iPN ინტერპრესნიუსი*“, <https://www.interpressnews.ge/ka/article/365109-gmertis-idea-konstituciashi/>, (მოპოვების თარიღი: 20.02.2018);
14. სტუმრად საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი, ზურაბ ჯაფარიძე და ფიზიკოსი, გიორგი ასათიანი, TV4-ის ტელე-გადაცემა „ღია ეთერი“, (დრო: 35:35-35:48), <https://www.youtube.com/watch?v=k7fdyxAM1SM>, (მოპოვების თარიღი: 07.07.2020).

ნორმატიული აქტები:

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსი, 2019 წლის ივნისის მდგომარეობით.

სხვა ინტერნეტრესურსები ქართულ ენაზე:

1. <http://www.orthodoxy.ge/metsniereba/metsnierebi.htm>, (მოპოვების თარიღი: 27.07.2010), საპატრიარქოს რადიო „ივერია“ FM 105.4-ის ვებგვერდი „გამოჩენილი მეცნიერები რელიგიის შესახებ“;
2. <http://dictionary.css.ge/content/set>, (მოპოვების თარიღი:17.07.2018), ლექსიკონი ცნობარი სოციალურ მეცნიერებაში;
3. <http://gil.mylaw.ge/ka/term/56875.html>, (მოპოვების თარიღი: 17.01.202), განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი;
4. <https://www.adjaranet.com/movies/391/TheShawshank%20Redemption?lang=RUS&quality=SD>, (მოპოვების თარიღი: 07.08.2021), *აჭარანეტის* ვებ-გვერდი, ფილმი „გაქცევა შაუშენკიდან“;
5. <www.martlmadidebloba.ge/ganmarteba20.html>, (მოპოვების თარიღი: 01.02. 2015), სინდისის შესახებ;
6. <https://martlmadidebloba.ge/ganmarteba4_sjuli-da-mcnebebi.html>, (მოპოვების თარიღი: 01.02. 2015), ათი მცნების განმარტება;

7. <www.orthodoxy.ge/tserili/biblia/sarchevi.htm>, (მოპოვების თარიღი: 01.02. 2015), ძველი აღთქმა;
8. <www.orthodoxy.ge/tserili/akhali_agtqma/sarchevi.htm>, (მოპოვების თარიღი: 20.05.2016), ახალი აღთქმა;
9. <www.orthodoxy.ge/tserili/mtatsmindeli/akhali_agtqma.htm>, (მოპოვების თარიღი: 01.02.2015), ახალი აღთქმა წმ. გიორგი მთაწმინდელის რედაქციით;
10. <www.orthodoxy.ge/tserili/zosime/28_16-20.htm>, (მოპოვების თარიღი: 21.05.2016), მათეს სახარების განმარტება წმიდა მამათა მიხედვით;
11. <www.orthodoxy.ge/tserili/akhali_agtqma/saqme-28.htm>, (მოპოვების თარიღი: 01.02.2015), მოციქულთა საქმენი;
12. <www.orthodoxy.ge/tserili/fsalm/fsalm2.htm>, (მოპოვების თარიღი: 17.05.2015), მეორე ფსალმუნი (ავტ. *მღვდელი მიქაელ გალდავა*);
13. <www.wol.jw.org/ka/wol/h/r20/lp-ge>, (მოპოვების თარიღი: 01.02.2015), ონლაინ ბიბლიოთეკა;
14. <www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=1705>, (მოპოვების თარიღი: 01.02.2015), ელექტრონული ენციკლოპედიური ლექსიკონი;
15. <http://holybible.ge/georgian>, (მოპოვების თარიღი: 03.10. 2019), ბიბლიის ტექტები ელექტრონულად.

ინგლისურენოვანი ლიტერატურა:

1. ***Adam J. Hoffer, William F. Shughart Ii,*** *and* ***Michael D. Thomas***, Sin Taxes and Sindustry, The Independent Review, v. 19, n. 1, Summer 2014, ISSN 1086–1653, 2014;
2. ***Allison, J.A.*** and ***Wrightsman, L.S.***, Rape: The Misunderstood Crime, Newbury Park, CA, 1993;
3. ***Altman A.***, Arguing about Law: An Introduction to Legal Philosophy (2nd ed.), USA, 2001;
4. ***Argyle M.***, Psychology and Religion: An Introduction, „Routledge“ Publishing, New York, USA, 2000;
5. ***Audi R.***, and *Wolterstorff N.*, Religion in the Public Square (the place of Religious Convictions in Political Debate), USA, 1997;
6. ***Aristotle***, Politics (tr. by C.D.C. Reeve), „Hackett Publishing“, 1998;
7. ***Bahnsen G.L.***, By This Standard, the Authority of God's Law Today, (published by Institute for Christian Economics, Texas), USA, 1991;
8. ***Bartlett S.J.***, Normality Does Not Equal Mental Health, published by „Praeger“, California, USA, 2011;
9. ***Bartlett S.J.***, The Pathology of Man, a Study of Human Evil, Charles C. Thomas Publisher, Illionois, USA, 2005;
10. ***Batson C.D.***, Altruism in Humans, printed in Oxford University Press, Inc., USA, 2011;

11. ***Bauer W.***, A Greek-English Lexicon of the New Testament and other Christian Litriture, (revised and edited by *Frederick William Danker*), University of Chicago Press, USA, 2000;
12. ***Blackburn Ash.G.***, *Fowler Sh.K.*, and *Pollock J.M.* (eds), Prisons Today and Tomorrow third edition, Jones & Bartlett Publishers, USA, 2014;
13. ***Bucke R.,M.***, Cosmic Consciousness - A Study in the Evolution of the Human Mind, by Inss and Sons, Philadelphia, 1905;
14. ***Beccaria C.***, „On Crimes and Punishments and Other Writings", Cambridge University Press, 1995;
15. ***Berman H.J.***, Law and Revolution, the Formation of the Western Legal Tradition, „Harvard University Press", USA, 1983;
16. ***Berman H.J.***, Toward an Integrative Jurisprudence: Politics, Morality, History, 76 Cal. L. Rev. 779, 1988;
17. ***Bhatia M.S.***, Dictionary of Psychology and Allied Sciences, published by „New Age International (P) Ltd.,", New Delhi, 2009;
18. ***Briggs S.***, *Friedman J.*, Criminology, While Publishing Inc. 2009;
19. ***Brown, St.E.***, Criminology, Explaining Crime and its Contents, (seventh edition), Anderson Publishing, USA, North Carolina, USA, 2010;
20. ***Browning W.R.F.***, Oxford Dictionary of the Bible, Oxford University Press, Oxford, 2003;
21. ***Burnside J.***, God, Justice, and Society Aspects of Law and Legality in the Bible, Oxford Unniversity Press, Oxford, 2011;
22. ***Bruinsma G.***, ***Weisburd D.*** (eds.), Encyclopedia of Criminology and Criminal Justice Springer, New York, USA, 2014;
23. ***Cacioppo J.*** and ***Patrick W.***, Loneliness: Human Nature and the Need for Social Connection, NY: WW Norton and Co., 2008;
24. ***Carlston M.***, Classical Homeopathy (Medical Guides to Complementary and Alternative Medicine), published by „Churchill Livingstone", Philadelphia, Pennsylvania, USA, 2002;
25. ***Carrabine E.***, ***Cox P.***, ***Lee M.***, ***Plummer K.***, and ***South N.***, Criminology a Sociological Introduction, (2nd Ed.), printed by Routledge, USA, 2009;
26. ***Christian Sh.***, Types and Shadows: Prophetic Pictures to Wholeness in Christ, printed in the USA, 2006;
27. ***Clarke P.B.***, (ed.) The Oxford Handbook of the Sociology of Religion, Oxford University Press, Oxford, 2011;
28. ***Cobb, E.***, The Ecology of Imagination in Childhood, New York: Columbia University Press, 1977;
29. ***Cochran R.F.*** *Jr.*, and ***Drunen D.V.***, (eds.), Law and the Bible, InterVarsity Press, Dorner Groove, Illinois, USA, 2013;

30. ***Concannon D.***, Neurocriminology, Forensic and Legal Applications, Public Policy Implications, CRC Press, London, UK, 2019;
31. ***Devetak R.***, *George Jm*, *Sarah Percy*, Introdauction to International Relatiosn (third edition), Cambridge University Press, UK, 2017;
32. ***Dostoyevsky, F.***, The House of the Dead (translated by C. Garnett), Mineola, New York, 2004;
33. ***Durkheim E.***, Division of Labour in Society, (translated by W.D. Halls), the Free Press, London, 1984;
34. ***Durkheim E.***, Essays on Sociology and Philosophy (ed. by Kurt H. Wolff, Harper Torchbooks), New York, USA, 1964;
35. ***Durkheim E.***, The Rules of Sociological Method, (translated by W.D. Halls), the Free Press, London, 1982;
36. ***Dyzenhaus D.***, The Grudge Informer Case Revisited, chapter „Hart And The Grudge Informer Case", Journal *New York University Law Review*, New York, 2008, Vol. 83, №4.
37. ***Dyzenhaus D.***, *Poole Th.*, Hobbes and the Law, Cambridge University Press, Cambridge, 2012;
38. ***Easton M.G.***, Eastons Bible Dictionary (third edition), published by Thomas Nelson, USA, 1997;
39. ***Elwell W.A.***, (*ed.*), Baker's Evangelical Dictionary of Biblical Theology, published by Bakers Book, Division of Baker Book House Company, Grand Rapids, Michigan, USA, 1996;
40. ***Geisler N.L.***, Christian Ethics: Contemporary Issues and Options, USA, 2010;
41. ***Gilling J.L.***, Criminology and Penology Vol 1, USA, 1929;
42. ***Gove Ph.B.***, (ed. in chief), Webster's Third New International Dictionary of the English Language Unabrudged, , Sringfield, Massachusetts, USA, 1981;
43. ***Greenawalt K.***, Private Consciences and Public Reasons, New York, 1995;
44. ***Eberle Chr.J.***, Religious Conviction in Liberal Politics, UK, 2002;
45. ***Ferri E.***, The Positive School of Criminology, (translated by Ernest Untermann), printed by Forgotten Books, Chicago, USA, 2012;
46. ***Fletcher G.***., Basic Concepts of Criminal Law, Oxford University Press, Oxford, 1998;
47. ***Fletcher G.P., Sheppard S.***, American Law, Oxford University Press, 2005;
48. ***Freedman D.N.***, (ed. in chief), The Anchor Bible Dictionary, published by Doubleday, New York, USA, 1992;
49. ***Foucault M.***, Deiscipline and Punishment: The Birth of the Prison, (translated from French, by Alan Sheridan), Vintage Books, New York, USA, 1991;
50. ***Gareth J.*** (ed), The Sovereignty of the Law Selections from Blackstone's Commentaries on the Laws of England-Palgrave Macmillan UK, 1973;
51. ***Grey F.C.***, Prison Discipline in America, Boston, 1847;
52. ***Hayslett J.***, Anatomy of a Trial: Public Loss, Lessons Learned from The People vs. O. J. Simpson, by „The Curators of the University of Missouri", USA, 2008;
53. ***Heinrich A. J.***, Freedom from Sinful Thoughts, USA, 2007;

54. ***Hoecke M.V.***, Law as Communication, (European Academy of Legal Theory Monograph Series), „Hart“ Publishing, Oxford-Portland Oregon, USA, 2002;
55. ***Horton F.L.*** *Jr.*, The Melchizedek Tradition: A Critical Examination of the Sources to the fifth Century A.D. and in the Epistleto the Hebrews, Cambridge University Press, 1976;
56. ***Howe S.G.*** An Essay on Separate and Congregate Systems of Prison Discipline (being a report made to the Boston Prison Discipline Society), Boston, 1846;
57. ***Humphrey J.A.***, *Cordella P.*, (eds.) Effective Interventions in the Lives of Criminal Offenders, published by „Springer“, New York, USA, 2014;
58. ***Ignatieff M.***, A Just Measure of Pain, Macmillan Education, UK, 1978;
59. ***Jacobsen Th.***, Primitive Democracy in Ancient Mesopotamia, Journal, *Near Eastern Studies*, Vol. 2, No. 3, Jul., 1943;
60. ***James Orr, M.A.,*** and ***D.D.***, (Gen., ed.), The International Standard Bible Encyclopedia, Vol. I, Chicago, USA, 1915;
61. ***James Orr, M.A.,*** and ***D.D.***, (Gen., ed.), The International Standard Bible Encyclopedia, Vol. III, Chicago, USA, 1915;
62. ***Janis M.W.***, ***Evans C.M.*** (Eds.), Religion and International Law, Martinus Nijhoff Publishers, Netherelands, 1999;
63. ***Johnson B.R.***, More God, Less Crime: Why Faith Matters and How it Could Matter More, Templeton Press, USA, 2011;
64. ***Johnson B.R.***, ***Larson D.B.***, ***Li S.D.***, and ***Jang S.J.***, „Escaping from the Crime of Inner Cities: Church Attendance and Religious Salience Among Disadvantaged Youth,“ *Justice Quarterly* 17, № 2, June 2000;
65. ***Johnson R.***, ***Dobrzanska A.***, and ***Palla S.***, The American Prison in Historical Perspective: Race, Gender, and Adjustment, USA, 2005;
66. ***Jones M. K.***, Toward a Christology of Christ the High Priest, printed in Roma, Italy, 2006;
67. ***Jung C. G.***, Synchronicity, an Acausal Connecting Principle (translated by R.F.C. Hull; *from* the Collected Works of C. G. Jung, Vol. *8, Bollongen Series* XX), Princeton University Press, New York, USA, 2010;
68. ***Kelsen H.***, General Theory of Norms (tr. by *M. Hartney*), Oxford, 1991;
69. ***Kelsen H.***, General Theory of Law and State, (The 20th Century Legal Phylosophy Series, tr. by Anders Wedberg, third printing 2009), Harvard University Press, Cambridge, Massachusetts, U.S.A, 1949;
70. ***Kelsen H.***, Pure Theory of Law, (translation from the Second (revised and enlarged) German edition by Max Knight), The Lawbook Exchange LTD, Clark, New Jersey, USA, 2005;
71. ***Kramer S.N.***, The Sumerians: Their History Culture, and Character, USA, 1963;
72. ***Kramer S.N.***, History Begins at Sumer, University of Pennsylvania Press, USA, 1956;

73. ***Lambert D.A.***, How Repentance Became Biblical, Judaism, Christianity and the Interpretation of Scripture, Oxford University Press, UK, 2015;
74. ***Lombroso C.***, Crime: Its Causes and remedies (translated by Henry P. Horton, M. A.), London, 1911;
75. ***Lanier M.***, and *Henry S.*, The Essential Criminology, 2nd ed., published by „Western Press“, USA, 2004;
76. ***Lee C.***, Murder and the Reasonable Man, Passion and Fear in the Criminal Courtroom, New York University Press, USA, 2003;
77. ***Lombroso C.***, Crime: Its Causes and remedies (translated by Henry P. Horton, M. A.), London, 1911;
78. ***McGuckin J.A.***, (ed.) The Encyclopedia of Eastern Orthodox Christianity, 2 Volume, Blackwell publishing Ltd, West Sussex, UK, 2011;
79. ***Miller J.M.***, (ed.), 21st Century Criminology, a Reference Handbook, Sage Publication, Inc., USA, 2009;
80. ***Montgomery T.***, The Angel in Annunciation and Synchronicity, Knowledge and Belief in C.G. Jung, published by Lexington Books, UK, 2013;
81. ***Morrison W.***, Theoretical Criminology, From Modernity to Post-Modernism, Cavendish punlishing, UK, 1995;
82. ***Neuhaus R.J.***, The Naked Public Square: Religion and Democracy in America, (2d ed.), USA, 1986;
83. ***O'Donnel I.***, Prisoners, Solitude and Time (Clarendon Studies in Criminology), Oxford University Press, Oxford, 2014;
84. ***Packard F. A.***, The Union Bible Dictionary, 2nd Edition, (Prepared for the American Sunday-School Union, and revised by the committee of publication) Philadelphia, USA, 1838;
85. ***Parker-Pope, T.*** Cigarettes: Anatomy of an Industry, New York, USA, 2001;
86. ***Perry M.J.***, Under God?: Religious Faith And Liberal Democracy, USA, 2003;
87. ***Plato***, The Laws (translated with an introduction by *Trevor J Saunders*), first printed by *Hazell* Watson and Viney Ltd, Great Britain, 1970;
88. ***Powell Crh.,*** Four Concepts of Morality, ob.: Handbook of the Sociology of Morality (eds.: Steven Hitlin, Stephen Vaisey), Springer, Verlag, New York, 2010;
89. ***Raine A.***, The Psychopathology of Crime. Criminal Behavior as a Clinical Disorder, Academic Press inc., California, USA, 1993;
90. ***Rafter H. N.***, The Origins of Criminology a Reader, Routledge-Cavendish publishing, USA, 2009;
91. ***Rawls J.***, A Theory of Justice (revised edition), Belknap Press of Harvard University, USA, 1999;
92. ***Radbruch G.***, Five Minutes of Legal Phylosophy *(trans., by Bonnie Litschewski Paulson And Stanley L. Paulson), Oxford Journal of Legal Studies*, Vol. 26, № 1, 2006;

93. ***Roberts R. O.***, Repentance, the First Word of the Gospel, published by Crossway Books, USA, 2002;
94. ***Sadique K.***, ***Stanislas P.***, (eds.) Religion, Faith and Crime, published by „Palgrave Macmillan“, UK, 2016;
95. ***Salas-Wright, Christopher P.***, ***Michael G. Vaughn*** and ***Brandy R. Maynard.***, Profile of Religiosity and their Association with Risk Behavior among Emerging Adults in the United States (2014, Society for the Study of Emerging Adulthood and SAGE Publications), Volume 3, Issue 2, 2015;
96. ***Samenow S.***, Inside the Criminal Mind, published by „Bordway Books“, New York, USA, 2014;
97. ***Schabas W.,*** Unimaginable Atrocities, Justice, Politics, and Rights at the War Crimes Tribunals, Oxford University Press, London, UK, 2012;
98. ***Schaer H.***, Religion and the Cure of Souls in Jung's Psychology, (translated by R.E.C. Hull), Printed by Rouledge, London, 1999;
99. ***Scott P.***, Pioneers in Criminology XI-Henry Maudsley (1835-1918), Jurnali „Criminal Law, Criminology & Police Science“ Vol. 46, 1955-1956;
100. ***Seigel L.J.***, Criminology the Core, forth ed., Brinted by Wadsworth, USA, 2011;
101. ***Shoham Sh.G.***, *Knepper P.* and *Kett M.*, (eds.), International Handbook of Victimology, CRC Press, London, 2010;
102. ***Siegel L.***, Introduction to Criminal Justice, USA, Printed in Canada, Cengage Learning, Jan 5, 2009;
103. ***Soetemen A.***, (ed.), Pluralism and Law: State, Nation, Community, Civil Society, Volume 2, Proceedings of the 20th World Congress, Amsterdam 2001;
104. ***Staniloae D.***, Orthodox Spirituality (*translated from Romanian by: Archimandrite Jerome; Otilia Kloos*), St. Tikhon's Orthodox Theological Seminary Press, Saouth Canaan, Pennsylvania, 2003;
105. ***Staut B.***, *Yates J.* and *Williams B.*, (eds) Applied Criminology, Sage publications, London, 2008;
106. ***Storr, A.***, *Solitude*, London: HarperCollins, 1988;
107. ***Thakurdas H.***, and ***Thakurdas L.***, (eds), Dictionary of Psychiatry-Springer Netherlands, published by „MTP Press Ltd, international medical publishers“, Lancaster, England, 1979;
108. ***Thompson K.***, (ed) Readings from Emile Durkheim (tr. by *Margaret A. Thompson*) New York, 1985;
109. ***Treadwell J.***, Criminology the Essentials, second edition, SAGE Publications Ltd, London, UK, 2013;
110. Short Comments on Every Chapter of the Holy Bible (the Religious Tract Society), London, UK, 1839;
111. ***Walklate S.***, Criminology the Basics, Published by Routlege, New Your, USA, 2006;
112. ***Walklate S.***, Criminology the Basics, Published by Routlage Publishing, London, UK, 2005;
113. ***Watts R.***, ***Bessant J.***, ***Hil R.***, International Criminology a Critical Introduction, Routledge, Taylor and Francis Group, New York, USA, 2008;

114. ***Wieland R.***, The Golden Chain, Is there a Broken Link? *Some Insights into the Humanity of Christ*, Delton, USA, 1999;
115. ***Wikström P-O.H.*** and ***Sampson R.J.***, The Explanation of Crime, Context, Mechanisms and Development, Cambridge University Press, UK, 2006;
116. ***Wikström, P-O. H.***, Explaining Crime as Moral Action, ob.: Handbook of the Sociology of Morality (eds.: *Steven Hitlin*, *Stephen Vaisey*), Springer, Verlag, New York, 2010;
117. ***Weor A.S.***, Fundamental Notions of Endocrinology and Criminology, Thelema Press, UK, 2007;
118. ***Wooten A.***, America, Christianity and the Forgotten Link, USA, 2013;
119. ***Wright R.A.***, and ***Mitchell J.***, (eds.), Encyclopedia of Criminology, published by Taylor & Francis Books, Inc., New York, USA, 2005;
120. ***Vaux R.***, Ancient Israel, its Life and Institutions (transl., by John McHugh), USA, 1997;
121. ***Vold G.B., Bernard Th.,J.*** and ***Snipes J.B.***, Theoretical Criminology, 4rth ed., Oxford University Press, USA, 1998.

ინგლისურენოვანი ელექტრონული ლექსიკონები და ენციკლოპედიები:

1. Encyclopædia Britannica, <https://www.britannica.com/topic/Hebraic-law>, (მოპოვების თარიღი: 10, 2019);
2. Baker's Evangelical Dictionary of Biblical Theology (edited by Walter A. Elwell), published by Bakers Book, Division of Baker Book House Company, Grand Rapids, Michigan, USA, 1996,<https://www.biblestudytools.com/dictionaries/bakers-evangelical-dictionary/law.html>, (მოპოვების თარიღი: 08.09.2019).

სხვა ელექტრონული წყაროები ბიბლიურ თემატიკაზე:

1. A List of Kings of the Bible, <www.patheos.com/blogs/christiancrier/2015/10/10/a-list-of-kings-from-the-bible/>, (მოპოვების თარიღი: 20.05.2015);
2. Bible Study, Kings of Israel and Judah, <www.biblestudy.org/prophecy/israel-kings.html>, (მოპოვების თარიღი: 20.05.2015);
3. Bible Gateway, „Sumer", <www.biblegateway.com/resources/encyclopedia-of-the-bible/Sumer>, (მოპოვების თარიღი: 01.04.2016);
4. Bible Hub, „Ur",<www.biblehub.com/topical/u/ur.htm>, (მოპოვების თარიღი: 01.04.2016);
5. Bible Hystory, Nations Mentioned in the Old Testament,<www.bible-history.com/old-testament/nations.html>, (მოპოვების თარიღი: 01.04.2016);
6. Bible Law Index, of the Laws, Statutes, and Judgments of God, <https://famguardian.org/Subjects/LawAndGovt/ChurchVState/BibleLawIndex/bl_index.htm>, (მოპოვების თარიღი: 08.09.2019);

7. Bible Questions Answered, „Who were the Sumerians?“, <www.gotquestions.org/Sumerians.html>, (მოპოვების თარიღი: 01.04.2016);
8. Calvary Independent Baptist Church, „Biblical Kings and Queens - 1 Timothy 1-7“, <www.idahobaptist.com/biblical-kings-and-queens-i-timothy-117/>, (მოპოვების თარიღი: 01.04.2016);
9. Christianity and Law, <www.allaboutworldview.org/christianity-and-law.htm>, (მოპოვების თარიღი: 01.02.2016);
10. Dictionary Com, „Tradition“,<www.dictionary.com/browse/tradition>, (მოპოვების თარიღი: 01.02.2015);
11. ***Dr. Ben C. Dunson***, The Kingdom of God in the Old Testament: Kingship and Creation, 2015, <www.ligonier.org/blog/kingdom-god-old-testament-kingship-and-creation>, (მოპოვების თარიღი: 01.02. 2015);
12. ***Dr. Ben C. Dunson***, The Kingdom of God in the Old Testament: From Abraham to Israel, 2015, <https://www.ligonier.org/blog/kingdom-god-old-testament-abraham-israel/>, (მოპოვების თარიღი: 01.02. 2015);
13. ***Dr. Ben C. Dunson***, The Kingdom of God in the Old Testament: The Prophetic Hope, 2015, <www.ligonier.org/blog/kingdom-god-old-testament-kingship-and-creation>, (მოპოვების თარიღი: 01.02. 2015);
14. Got Questions, „What is Significance of the Greek Empire in Biblical History“, <www.gotquestions.org/Greek-empire.html>, (მოპოვების თარიღი: 01.02. 2015);
15. Got Questions, „Do Christians have to obey the laws of the land?“,<www.gotquestions.org/laws-land.html>, (მოპოვების თარიღი: 01.06.2014);
16. How Many Kingdoms are there in the Bible?, <www.neverthirsty.org/bible-qa/qa-archives/question/how-many-kingdoms-are-there-in-the-bible>, (მოპოვების თარიღი: 20.05.2016).
17. New International Version, New Living Translation, <www.biblehub.com/2_chronicles/35-25.htm>, (მოპოვების თარიღი: 01.02.2015);
18. New International Version, New Living Translation, American King James Version, „Bible Hub“, <https://biblehub.com>, (მოპოვების თარიღი: 01.02.2015);
19. What is Christian Ethics, <www.gotquestions.org/Christian-ethics.html>, (მოპოვების თარიღი: 07.07.2016);
20. The Bible and Government, Biblical Principles: Basis for America's Laws, <www.faithfacts.org/christ-and-the-culture/the-bible-and-government>, (მოპოვების თარიღი: 01.02.2016);
21. The Holy Bible (Translated from the Latin Vulgate; Douay-Rheims Version 1609, 1582), <http://triggs.djvu.org/djvu-editions.com/BIBLES/DRV/Download.pdf>, (მოპოვების თარიღი: 03.08.2014);

22. The Last Supper, by Snopes Media Group Inc., <https://www.snopes.com/fact-check/the-last-supper/>, (მოპოვების თარიღი: 25.05.2020);
23. University of Wisconsin-Medison, The Bible, <www.ssc.wisc.edu/~rkeyser/?page_id=540>, (მოპოვების თარიღი: 01.02.2016);
24. ***Wieland R.***, The Golden Chain, *Some Insights into the Humanity of Christ*, Delton, USA, 1999, 48, <http://www.4eange.com/anglais/LIV/KOR/PDF/ENG/WIE/The%20Golden%20Chain.pdf>, (მოპოვების თარიღი: 10.10.2020).

ინგლისურენოვანი ელექტრონული ჟურნალ-კრებულები:

1. ***Bartholomew C.***, How Has the Bible Been Used Ethically? Editors: Craig Bartholomew, Jonathan Chaplin, Robert Song & Al Wolters, *A Royal Priesthood? The Use of Bible Ethically and Politically*, *A Dialogue with Oliver O'Donovan, Vol., 3*, USA, 2002;
2. ***Berman H.J.***, Toward an Integrative Jurisprudence: Politics, Morality, History, 76 Cal. L. Rev. 779 (1988), page, 782,<http://scholarship.law.berkeley.edu/californialawreview/vol76/iss4/1>, (მოპოვების თარიღი: 10.09.2019);
3. ***Devereaux S.***, (1999), the Making of the Penitentiary Act, 1775–1779, see *The Historical Journal*, 42, 405-433; 2. <http://www.history.ac.uk/reviews/review/882>, (მოპოვების თარიღი:12.05.2013);
4. ***Durrant R.***, Evolutionary Theory and the Classification of Crime, 2020, 7, statiis nomeri: 101449 el-Jurnali „A Review Journal", Aggression and Violent Behavior (Editor-in-Chief: Vincent van Hasselt), Elsevier Ltd, <https://www.journals.elsevier.com/aggression-and-violent-behavior>, (მოპოვების თარიღი: 01.07.2020);
5. ***Dyzenhaus D.***, The Grudge Informer Case Revisited, chapter "Hart And The Grudge Informer Case", Journal *New York University Law Review*, New York, 2008, Vol. 83, №4, 1003-1004, <www.nyulawreview.org/sites/default/files/pdf/NYULawReview-83-4-Dyzenhaus.pdf>, (მოპოვების თარიღი: 01.02.2015);
6. ***Hummer R.A.***, *Ellison Chr.G.*, *Rogers R.G.*, *Moulton B.E.*, and *Romero R..*, „Religious Involvement and Adult Mortality in the United States: Review and Perspective," *Southern Medical Journal* 97, № 12 (December 2004): 1224-1225, <http://marripedia.org/effects_of_religious_practice_on_crime_rates>, (მოპოვების თარიღი: 21.07.2022);
7. ***Louis J.***, Forgivness, Part 1, A 21-Day Study Guide, <http://metanoiaministries.org/Historical.html>, (მოპოვების თარიღი12.05.2013);
8. ***Johnson B.R.***, *Larson D.B.*, *Li S.D.*, and *Jang S.J.*, „Escaping from the Crime of Inner Cities: Church Attendance and Religious Salience Among Disadvantaged Youth," *Justice Quarterly* 17,

№ 2 (June 2000): 377-339, <http://marripedia.org/effects_of_religious_practice_on_crime_rates>, (მოპოვების თარიღი: 22.07.2022);

9. ***Kagan J.***, Sin Tax, Investopedia, LLC (DBA Dotdash), New York, NY 10005, <https://www.investopedia.com/terms/s/sin_tax.asp>, (მოპოვების თარიღი: 07.07.2021);
10. *Kedia B.*, Nullum Crimen Sine Lege in International Criminal Law: Myth or Fact? International Journal of International Law (Volume 1 Issue 2), 2015, 1-2, <www.law.cornell.edu/wex/nullum_crimen_sine_lege>, (მოპოვების თარიღი: 01.01.2015);
11. ***Lester D.***, "Religiosity and Personal Violence: A Regional Analysis of Suicide and Homicide Rates," *The Journal of Social Psychology* 127, no. 6 (December 1987): 685-686, <http://marripedia.org/effects_of_religious_practice_on_crime_rates>, (მოპოვების თარიღი: 22.07.2022);
12. ***Mueller G.O.W.***, (1959) „Criminal Theory: An Appraisal of Jerome Hall's Studies in Jurisprudence and Criminal Theory", *Indiana Law Journal*: Vol. 34: Iss. 2, (Article 2), 208, <http://www.repository.law.indiana.edu/ilj/vol34/iss2/2>, (მოპოვების თარიღი: 08.09.2019);
13. ***Nattan S.V.***, Kings of The Bible: What They Teach Us, Chapter - Other Heathen Kings, Blessed Quitness Journal, <www.blessedquietness.com/journal/housechu/kings.htm>, (მოპოვების თარიღი: 20.05.2016);
14. ***Rawls J.***, Political Liberalism, New York, 1993, at al., *Brewbaker W.S.*, The Bible as a Law Book: Thomas Aquinas on the Juridical Uses of Scripture, 12 Rutgers Journal of Law & Religion, Vol., 12, Part 1, 2010, 80, (8,9), <https://scholarship.law.ua.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1059&context=fac_articles>,(მოპოვების თარიღი: 02.07.2020);
15. ***Salas-Wright, Christopher P.***, ***Michael G. Vaughn*** and ***Brandy R. Maynard.***, Profile of Religiosity and their Association with Risk Behavior among Emerging Adults in the United States (2014, Society for the Study of Emerging Adulthood and SAGE Publications), Vol. 3, Iss. 2, 2015, 67–84, <https://journals.sagepub.com/doi/10.1177/2167696814539327>, (მოპოვების თარიღი: 21.07.2020).
16. ***Scott P.***, Pioneers in Criminology XI-Henry Maudsley (1835-1918), Journal „Criminal Law, Criminology & Police Science" (1955-1956), Vol. 46, 754, <https://scholarlycommons.law.northwestern.edu/jclc/>, (მოპოვების თარიღი: 21.01.2021);
17. Political Setting of the New Testament, Lecture 3, (by, Division of Student Ministry of the Baptist General Convention of Texas, N. Washington Dallas, Texas), <www.ministryserver.com/dsmtext/nttext03.htm>, (მოპოვების თარიღი: 01.08.2014);
18. ***Zgonjanin, Sanja***, Quoting the Bible: The Use of Religious References in Judicial Decision-Making. New York City Law Review, Vol. 9, No. 31, 2005, Available at SSRN, <https://ssrn.com/abstract=952690>, (მოპოვების თარიღი: 04.018.2021);

19. *Wooten A.*, America, Christianity and the Forgotten Link, USA, 2013,<www.managementbooks.me/browse/america-christianity-and-the-forgotten-link/>, (მოპოვების თარიღი: 01.02.2016);
20. ***Barton D.***, God in the Constitution, <www.wilsonncteaparty.wordpress.com/2012/05/16/god-in-the-constitution/>, (მოპოვების თარიღი: 01.02.2016);
21. ***Watson T.***, The Doctrine of Repentance (May 10, 2011; Carlisle, PA 17013, USA),<http://www.onthewing.org/user/Watson%20-%20Repentance%20-%20Modern.pdf>, (მოპოვების თარიღი: 02.18.2021);
22. John Howard and Prison Reform, <http://www.parliament.uk/about/living-heritage/transformingsociety/laworder/policeprisons/over view/prisonreform/>, (მოპოვების თარიღი: 12.05.2013).

სხვა ინტერნეტ-რესურსები:

1. <https://www.worlddata.info/life-expectancy.php>, Life Expectancy, (მოპოვების თარიღი: 07.07.2021);
2. <https://www.unfpa.org/resources/human-rights-principles>, Human Rights Principles, (მოპოვების თარიღი: 08.09.2019);
3. <www.americainclass.org/sources/makingrevolution/rebellion/text8/decindep.pdf>, The Declaration of Independence, (Congress 1776, 4 July), (მოპოვების თარიღი: 01.02.2015);
4. <https://www.bailii.org/uk/cases/UKHL/1978/2.html>, *R v* Camplin, *A*.C. 705, 1978, (მოპოვების თარიღი: 18.01.2020);
5. <https://goodhousekeeping.com/life/a32851494/archie-williams-agt-wrongful-conviction-story/>, Why Archie Williams Refuses to Let Anger Imprison Him (by Ryan D'Agostino Sep., 23, 2020), Hearst Magazine Media, Inc., (მოპოვების თარიღი: 07.02.20221);
6. <https://www.business-standard.com/about/what-is-sin-tax>, What is Sin Tax, Business Standard Pvt Ltd., (მოპოვების თარიღი: 17.07.2021);
7. <https://newspring.cc/devotionals/1-john-a-7-day-devotional/3-ways-to-prevent-sin>, Three Ways to Prevent Sin, New Spring Church, (მოპოვების თარიღი: 08.02.2022);
8. <https://www.usatoday.com/story/money/2019/06/26/states-profiting-the-most-from-sin/39618383/>, Top 10 States Profiting the most from Sin Taxes, (მოპოვების თარიღი: 08.07.2021);
9. <https://www.reuters.com/article/us-merckle-newsmaker-sb-idUSTRE5055O820090107>, „Billionaire commits suicide after VW losses", (მოპოვების თარიღი: 07.07.2020);
10. <https://abcnews.go.com/Entertainment/mark-david-chapman-man-killed-john-lennon-parole/story?id=73149086>, „Mark David Chapman, Man who killed John Lennon, said in Parole Hearing he Wanted 'Glory'", (მოპოვების თარიღი: 15.11.2020);

11. <http://www.sagepub.com/upm-data/5144_Banks_II_Proof_Chapter_5.pdf>, The Purpose of Criminal Punishment, (მოპოვების თარიღი: 12.05.2013);
12. <https://www.forensicpsychologyedu.org/corrections/>, Forensic Psychologists in Corrections, (მოპოვების თარიღი: 27.01.2022);
13. <https://www.psychologyschoolguide.net/career-guides/becoming-a-prison-psychologist/>„What is Prison Pscychologist?“, (მოპოვების თარიღი: 27.01.2022);
14. <https://www.youtube.com/watch?v=PIAXG_QcQNU>, „Money Makes the World Go Round“, (მოპოვების თარიღი: 25.07.2020);
15. <https://www.youtube.com/watch?v=kL7yf__hszA>, „Love Makes the World Go Round“, (მოპოვების თარიღი: 25.07.2020);
16. <www.newadvent.org/cathen/11094a.htm> word „Nomocanon“, (მოპოვების თარიღი: 01.02.2015).

რუსულენოვანი ლიტერატურა:

1. ***Аквинский Ф.***, Учение Фомы Аквинского о Государстве и Праве, История Политических и Правовых Учений,<www.bibliotekar.ru/istoria-politicheskih-i-pravovyh-ucheniy-2/15.htm>, (მოპოვების თარიღი: 01.02.2016);
2. ***Атли Б.***, Учебник по Толкованию Библии, (Перевод с английского: А.Д. Шадов), Техас, США, 2009;
3. ***Графский В. Г.***, Пятикнижие Моисея В Истории Права И Правоведения, Философия Права Пятикнижия (Под ред. ***А.А. Гусейнова*** и ***Е.Б. Рашковского***), изд. „ЛУМ“, М., 2012;
4. ***Дюркгейм Э.***, Социология. Ее Предмет, Метод, Предназначение (Перевод с французского ***А. Б. Гофмана***), Изд., „Канон“, М., 1995;
5. ***Исаева Е.***, Семь Смертных Грехов. Наказание и Покаяние, изд. „Рипол Классик“, М., 2009;
6. ***Лопухин А.П.***, Законодательство Моисея. Суд над Иисусом Христом, Вавилонский царь правды Аммураби (под редакцией и с предисловием *В.А. Томсинова*), „Зерцало“, М., 2014.
7. ***Преподобный Иустин (Попович)***, Собрание творений, Том 1, (ред. ***А. И. Сидорова***, перевод с сербского Сергея Фонова), М., 2004.
8. ***Ричард Юз*** *(Доктор)*, Руководство к Лечению Болезней по Способу Ганемана, (с Англисского перевёл В. Дитман; ред. ***Л. Бразоля.***), изд. „Общество Врачей Гомеопатов“, Санкт-Петербург, 1900;
9. ***Селигман М.***, Новая Позитивная Психология, Научный Взгляд на Счастье и Смысл Жизни (Перев. с англ. Издательство „София“), М., 2006;
10. ***Уилкин Р.Н.***, Покаяние И Спасение, Лексические Особенности, Журнал Евангельского Общества Благодати, том 2:2, Техас, США, 1989, 6,<https://faithalone.org/wp-content/uploads/2021/04/Wilkin-Russian.pdf>, (მოპოვების თარიღი: 12.05.2013);

11. ***Шнайдер Г.Й.***, Криминология, (перевод с немецкого ***Ю. А. Неподаева***, ред., ***Л. О. Иванова***), изд. „Прогесс“ М., 1994;
12. Криминология (ред. ***В.Н. Кудрявцева, В.Е. Эминов***), Издательство, „Юристъ“, М., 1997;
13. Криминология (ред. ***Н. Ф. Кузнецова, В. В. Лунеев***), второе издание, Издательство, „БЕК“, М., 2004;
14. Криминология в Схемах, (сост., Владимир Водопянов), М., 2005;
15. Криминология (ред. С.М Иншакова, А. В. Симоненко. 3-е издание), изд. Юнити, М., 2010;
16. В Чем Смысл Наших Страданий? (персональный блог Михаэля Лайтмана „Каббала, Наука и Смысл Жизни“), <https://www.laitman.ru/crisis/292908.html>, (მოპოვების თარიღი: 14.02.2022).
17. История Политических и Правовых Учений (Авторский коллектив: ***В. Г. Графский***, ***Н. М. Золотухина***, ***Л. С. Мамут***, ***В. С. Нерсесянц***), М., 2000;
18. Механизм Престыпного Поведения, (редколлеия: ***В. Н. Кудрявцев, Л. Г. Ионин, В. П. Казимирчук*** и др.) изд. „Наука“, М., 1981;
19. Новая Женевская Учебная Библия (red.: ***Аликова Е. В., Власенко В. И., Дорофеева Л. В.,*** და სხვები), США, 1998;
20. Теологический Энцеклопедический Словарь (ред. ***Уолтер Элвелл***), ассоциация „Дыховное Возрождение“, М., 2003;
21. Православная Энциклопедия (Под редакции Патриарха Московского и всея Руси Кирилла) электронная версия, 2010,<http://www.pravenc.ru/text/158294.html>, (მოპოვების თარიღი: 08.09.2019).

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარეს,

ქალბატონ **თამარ ზარანდიას**

დოქტორანტურის საგანმანათელბლო პროგრამა „სამართალი“

დოქტორანტ **დავით წულაიას**

განცხადება

გაცნობებთ, რომ ჩემ მიერ შესრულებული სადისერტაციო ნაშრომი „ზოგიერთი კრიმინოლოგიური ასპექტი ქრისტიანული მართლმადიდებლური მოძღვრების მიხედვით“ წარმოადგენს დამოუკიდებელი კვლევის შედეგს და არ შეიცავს პლაგიატს/გაყალბებულ მონაცემებს.

დოქტორანტის ხელმოწერა:

თარიღი: … .07.2022